ჩინგიზ აითმატოვი

და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე

ჩინგიზ აითმატოვი

დე დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე

მკითხველთა ლიგა

სარჩევი

თავი 1. 5

თავი 2..... 31

თავი 3. 57

თავი 4. 75

თავი 5. 109

თავი 6. 151

თავი 7. 183

თავი 8. 205

თავი 9. 248

თავი 10..... 368

თავი 11..... 379

წიგნი ესე - არს მაგიერი ჩემი სხეულის,
სიტყვა ესე - არს მაგიერი ჩემი სულისა...

გრიგორი ნარეკაცი,
„წიგნი ჭმუნვისა“, X საუკუნე

თავი 1.

დიდი მოთმინება სჭიროდა ამ გადამხმარ ღრანტეებსა თუ დახრუკულ-გაქუცულ ხევხუვებში საკბილო ძებნას. მელაც ხან სუნსულ-სუნსულით მისდევდა პაწია, მიწაჩიჩქნია ნადირის რეტის დასხმამდე დახვანჯულ ფაცაფუცა ნაკვალევს, ხან გამწარებით თხრიდა და თხრიდა ზაზუნას სოროს, ხან კიდევ ძველი ნაღვარევის ზროს ქვეშ მიმალული, ელოდა, როდის გამოხტებოდა ღია ადგილზე ერთი ციცქნა მიწის კურდღელი, თათი რომ დაეკრა და მიწაზე გაებრტყელებინა. ასე ნელინელ და შეუპოვრად მიიწევდა მშიერი მელა იმ ლარივით გაჭიმულ, შავად მზირალ მიწაყრილი ზოლისკენ, რომელიც თან აფრთხობდა და თან იზიდავდა. ზათქით, ზრიალით დაგრიალებდნენ იქ მატარებლები, აზანზარებდნენ ირგვლივ მიდამოს და მათგან დარჩენილ კვამლსა და ხრაკს "შერეულ ფრიად გამაღიზიანებელ ნაირ-ნაირ სურნელს ქარი მორეკავდა, ქარი მოაქანებდა მერე მიწა მიწა.

შებინდებისას სატელეგრაფო ხაზის შორიახლო ხევში გაწვა მელა, იქ ხშირი და მაღალი, ძირშემხმარი ღოლო აყრილიყო. შავ-წითელა თესლით დახუნძლულ ღეროებთან მოწითალო-მოყვითალო გორგლად მოიკეცა და დაღამების მოლო-

დინში ქვენა ქარის ზუზუნს აყურადღებდა მქისედ მოშრიალე მკვდარ ბალახებში. მოსაბეზრებლად ზუოდნენ ტელეგრაფის ბოძებიც, თუმცა მელას ბოძებისა არ ეშინოდა, დღენიადაგ ერთ ადგილს დარჭობილიყვნენ, უკან არავის მისდევდნენ.

მაგრამ დროდადრო ჩავლილ მატარებელთა გამაყრუებელ გრიალზე კი უნებურად მთელი ტანით კრთოდა და იძაბებოდა. მალალი სხეულის ნეკნებითაც კი გრძნობდა, რა შემზარავი ძალისა იყო მატარებლის დამთრგუნველი სიმძიმე და გაშმაგებული ძრაობა. თუმცა მაინც სძლევდა შიშსა და ზიზღს ამ უცხო-უცხო ამბრებისადმი, ფეხს არ იცვლიდა, იმ ჟამს ელოდა, თავისეულს, როცა ღამით ლიანდაგებზე სიმშვიდე გამეფდებოდა.

აქაურობას ძალზე იშვიათად აკითხავდა ხოლმე, აკითხავდა მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი მეტისმეტად შეაწუხებდა.

ჩაივლიდნენ მატარებლები და ტრამალზე უეცარი სიჩუმე ისაგურებდა. როგორც ზვავის ჩამოწოლის შემდეგ. ამ სიჩუმეში კი რაღაც გაურკვეველი, მოდარაჯე ჩქამი ესმოდა, ბინდში გახვეულ ტრამალზე რომ სადღაც მაღლით ფრენდა ჰაერში და არა საგანსა და არა სულდგმულს არ ეკუთვნოდა. ეს ჰაერის ნაკადთა თამაში იყო, ეს ამინდის მალიად შეცვლას მოასწავებდა. მხეცი გუმანით გრძნობდა ამას, სიმწრით ქვავდებოდა, ერთი სული ჰქონდა მთელი ხმით ეყმუვლა, რაღაც საყოველთაო უბედურების გაურკვეველი წინათგრძნობა იტანდა, მაგრამ შიმშილი ბუნების ამ გამაფრთხილებელ ძახილსაც აშთობდა.

ასე იწვა მელა, დაბეჟილ თითისგულებს ლოკვით იამებდა და მხოლოდ ჩუმ-ჩუმად წკმუტუნებდა.

ამ დღეებში მიმწუხრისას უკვე ციოდა, შემოდგომა ახლოვდებოდა. ღამღამობით სწრაფად ჰკარგავდა მიწა სითბოს და ალიონზე ტრამალს მლაშობის დარად მოთეთრო, უდღეური

ჭირხლი გადაეკროდა. მალე დადგება დუხჭირი, გაუხარელი ხანი ტრამალის ნადირისათვის. ზაფხულობით ისედაც ცოტა იყო ამ მხარეში ნადირი, ახლა კი სულ აღარ ჭაჭანებდა - ვინ თბილ ქვეყნებს მიაშურა, ვინ სოროში შეძვრა, ვინ ქვიშნარებში დაიდო ბინა. ახლა ყველა მელას თავისით უნდა ეძია სარჩო, კიკოსავით ეძუნძულა ტრამალში, თითქოსდა პირწმინდად ამომწყდარიყო ქვეყნად მელების მთელი მოდგმა. იმ წლის ლეკვობა უკვე დაიზარდა და სხვადასხვა მხარეს გაიფანტა, ხოლო მძუნაობის ჟამი, როცა მელიები ყოველი მხრიდან მოეშურებიან ხოლმე ახალ-ახალი შეხვედრებისათვის, როცა ხვადები ისეთი ძალით დაერევიან ერთმანეთს, რა ძალაც ქვეყნიერების დასაბამიდან მიმადლებია სიცოცხლეს, ჯერ კიდევ არ დამდგარიყო...

დადგა ღამე და მელაც ამოიძურწა ხელიდან. ერთხანს იდგა დაყურადებული და მერე რკინიგზის მიწაყრილისკენ გაცუხცუხდა. უხმაუროდ გადარბოდა ლიანდაგიდან ლიანდაგზე, აქ ეძებდა მგზავრების მიერ ფანჯრებიდან გადმოყრილ საჭმლის ნარჩენებს. დიდხანს იძუნძულა ასე ფერდო -ფერდო, დიდხანს ყნოსა გამაღიზიანებელი თუ გულისამრევი ამბრის მქონე რამერუმეები, იქნებ ოდნავ მაინც სახეიროს წავაწყდეო. მატარებლების მთელი სავალი გზა ქაღალდის ნაფხრეწებს, დაჭმუჭნილ გაზეთებს, დამტვრეულ ბოთლებს, პაპიროსის ნამწვებს, დაწყლეტილ კონსერვის ქილებსა თუ სხვა ურგის ნაგავს მოეფინა. მეტადრე საზიზღრად ჰყარდა დამტვრევას გადარჩენის ბოთლების ყელი, ბანგის სუნი მოდიოდა მათგან. ერთი-ორჯერ რომ დაეხვაა თავბრუ, მერე აღარც გაჰკარებია, აღარ უსუნთქავს ეს სპირტიანი ჰაერი, მყისვე ფრუტუნით გახტებოდა ხოლმე განზე.

ის, რაც სჭიროდა, რისთვისაც ამდენი ივაივაგლახა, რის გამოც დათრგუნა და ჩაიკლა შიში, თითქოს მის ჯიბრზე აღარსად ჩანდა. მაგრამ საკბილოს შოვნის იმედი შეუჩერებლივ მი-

არბენინებდა რკინიგზაზე და წარამარა მიწაყრილის გაღმა-გამოღმა აშლიგინებდა.

ანაზდად მელა გაილურსა, წინა თათი ზევით ასწია, თითქოს რაღაც უგრძნო ტანმაო, აჩრდილივით უძრავად იდგა რელსებს შუა. გეგონებოდა, ნისლიდან მზირალ მთვარის ალისფერ შუქს შერევიაო. შორეული გუგუნის ხმა, ყურები რომ დააცქვეტინა, არა და არ ქრებოდა, ჯერ კიდევ კარგა შორს იყო. კუდი გვერდზე მოიქნია. ყოყმანით იცვალა ფეხი მელამ, გზიდან გაცლა დააპირა, მაგრამ ნაცვლად ამისა ანაზდად აწრიალდა. ფერდობზე შლიგინს მოჰყვა, კიდევ არ წარკვეთოდა იმედი, რამეს ვინც წავაწყდებიო. გუმანი კარნახობდა - სადაცაა საკბილოს ნახავო. თუმცაღა შორიდან უკვე განურინებლად მოექანებოდა რკინის ღრჭიალისა და ასეულ ბორბალთა რახრახის თანდათან მოძალებული მრისხანე ხმა. მელა რაღაც წამით შეყოვნდა. მაგრამ ეს წამი საკმარისი გამოდგა, რეტდასხმულ ფარვანასავით აწრიალებულიყო, როცა მოსახვევიდან გზა გასერა შეწყვილებულ ლოკომოტივთა ახლო თუ შორეულმა სინათლემ, როცა მძლავრმა პროჟექტორებმა გააჩახჩახეს, ხეს წინმდებარე მიდამო, წამიერად გადაათეთრეს ტრამალი და ულმობლად აშიშვლეს მისი მკვდარი ნიადაგი. მატარებელი კი შემმუსვრელი ძალით მირახრახებდა რელსებზე. ჰაერში ხრაკის მძაფრი სუნი და მტვერი დატრიალდა, ქარმა დაქშუვლა.

მელა მოწყდა ადგილს და კისრისტეხით მოჰკურცხლა, წარამარა უკან იხედებოდა, შიშით მიწას აკვდებოდა. ურჩხული კი დიდხანს მიქროდა შუქის ბდღვიალით, დიდხანს, დიდხანს მიგრიალებდა ბორბლების რახრახით. მელაც წამოხტებოდა და ხელახლა გარბოდა, გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა...

მერე, როგორც იყო, მოითქვა სული. მოითქვა და ისევ უკან, რკინიგზისკენ გაუწია გულმა შიმშილის დასაოკებლად. მაგ-

რამ წინ ისევ აბდღვიალდა შუქი. ისევ გამოჩნდა შეწყვილებული ორთქლმავლები, დატვირთულ ვაგონთა მწკრივი.

მაშინ გადაწყვიტა შორით მოევლო ტრამალი, იმ ადგილას გამოსულიყო, სადაც მატარებლები არ დადიოდნენ...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით იზომებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ.

შუაღამისას ვიღაც დიდხანს, ჯიუტად მოისწრაფოდა მეისრის ჯიხურისაკენ. ჯერ ლიანდაგ-ლიანდაგ. მერე, როცა შემხვედრი მატარებელი გამოჩნდა, დაბლა, მიწაყრილის ფერდოზე ჩაინაცვლა. მოაბიჯებდა ხელებაფარებული, თითქოს ქარბუქი ყოფილიყო, თუმცაღა ქარი და მტვერი ჩქარ საბარგო მატარებელს აეყენებინა (ამ ლიტერის მატარებელს მწვანე გზა ჰქონდა ხსნილი – იგი საგანგებო დანიშნულებისა იყო და შემდეგ სარი-ოზექ-I-ის დახურული ზონის ცალკე შტოზე გადავიდოდა - იმათ იქ თავისი სალიანდაგო სამსახური ჰქონდათ - ხოლო იქიდან კოსმოდრომისკენ გასწევდა. ერთი სიტყვით, იმიტომაც იყო ერთიანად ბრეზენტით შეფუთული, ბაქნებზე კი სამხედრო ყარაული იდგა). ედიღეიმ უმალ იაზრა, რომ ცოლი მოისწრაფოდა მისკენ, მოისწრაფოდა რაღაც საჭირბოროტო საქმეზე, თო-

რემ ისე არ წამოვიდოდა. ასეც გამოდგა. მაგრამ ბოლო ვაგონის ჩავლამდე ედიღეი ფეხს ვერასგზით ვერ მოიცვლიდა. ჰოდა, როცა მან და კონდუქტორმა ფარნებით ამცნეს ერთმანეთს, გზად ყველაფერი რიგზეაო, მაშინღა მობრუნდა და, ტვინისწამღები ხმაურისაგან ლამის დაყრუებულმა, მოახლოებულ ცოლს უთხრა:

- რა მოხდა?

ქალმა შიშით შეხედა და რაღაც თქვა. ედიღეიმ ვერ გაიგონა, მაგრამ მიხვდა კია - ასეც ეგონა.

- წამო, აქ ქრის, - ედიღეიმ ცოლი ჯიხურში შეიყვანა.

ვინემ ცოლი იმას ეტყოდა, რაც თავად გულმა უაზრა ედიღეის, იმ წუთს სულ სხვა რამ გრძნობამ შეჰზარა: ქალს სწრაფად ევლო და სულს ძლივს ითქვამდა, ხიხინით და ხრინწით სუნთქავდა, გამხდარი მხრები უჩვეულოდ მაღლა აუდიოდა. თუმცა ადრევე ჰქონდა ნაგრძნობი, რომ სიბერემ უკვე უწია, ახლა რატომღაც გული დაეწვა ცოლის გამო. თეთრად შეფეთქილ პატარა, ჯიხურში სინათლე ძალუმ ჩახჩახებდა და მკაფიოდ აჩენდა უქუბალას ჩალურჯებულ ლოყებზე აწ სამუდამოდ ღამჩნეული ნაოჭების ღარს (არადა, რა გადატკეცილი ხორბლისფერი პირისკანი ჰქონდა, რა ბრჭყვიალა შავი თვალები). ხოლო ჩავარდნილ, ტუჩ-პირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ სიბერეშიაც კი ქალი, უკბილოდ არ უნდა დარჩეს (აქამდეც უნდა წაეყვანა სადგურზე კბილების ჩასასმელად. ახლა დიდი თუ პატარა რომ იკეთებს). გადაცურებულ თავშლიდან გამოწეწილმა სულმთლად გთეთრებულმა თმამ კი მწარედ ატკინა გული. „ვაი, რა დამიბერდი“, - შეიცოდა გუნებაში ცოლი და დანაშაულის გრძნობამაც გაჰკენწლა, ამიტომაც უფრო მეტი მადლიერებით აევსო გული იმის გამო, რაც ამ ხნის მანძილზე ერთად განეცადათ, მეტადრე კი იმისთვის, რომ ამ ღამეში არ დაიზარა და რკინიგზის ასაქცე-

ვის ყველაზე შორეულ წერტილში გამოიქცა, რადგან იცოდა, რა დიდ რამეს ნიშნავდა ეს ამბავი ედიღეისთვის. გამოიქცა, რათა ქმრისთვის ემცნო საცოდავი ყაზანგაპის სიკვდილი, უპატრონოდ რომ ამოძვრა სული თავის ცარიელ, თიხით შეგლესილ ქოხში; ვინაიდან იცოდა - ამქვეყნად მარტო ედიღეი მიიტანდა გულთან ყველასგან მიტოვებული მოხუცს სიკვდილს, თუმცა მიცვალებული მისი ქმრის არც ძმა იყო და არც ნათესავი.

- დაჯე. სული მოითქვი, - უთხრა ედიღეიმ ჯიხურში შესვლისას.

- შენც დაჯექი.

ორივენი დასხდნენ.

- რა იყო?

- ყაზანგაპი მოკვდა.

- როდის?

- აი, ახლახან შევაკითხე. ვიფიქრე, როგორაა, ხომ არაფერი სჭირდება-მეთქი. შევედი, სინათლე ანთია, თავის ადგილზე წევს, ოღონდაც წვერი აუშვერია მაღლა. მივედი ახლოს, ყაზაქე, ცხელ ჩაის ხომ არ ინებებ-მეთქი, ის კი უკვე აღარაა ამქვეყნად. - უქუბალას ხმა ჩაუწყდა, გაწითლებულ, გალეულ ქუთუთოებზე ცრემლი მოადგა, წაისლუკუნა და ჩუმად ატირდა. - აი, როგორ დაასრულა წუთისოფელი. არადა, რა კაცი იყო! ვინ იფიქრებდა, რომ თვალის დამხუჭველი არავინ ეყოლებოდა, - იმდუღრებოდა ქალი, - ისე ამოხდებოდა სული... - როგორც უპატრონო ძაღლსო, უნდოდა ეთქვა, მაგრამ აღარ თქვა უქობალამ, არ ღირდა იმის თქმა, უთქმელადაც აშკარა იყო.

მოღუშული იჯდა ბურანელი ედიღეი (ასე შეარქვეს ამ მიდამოში ომიდან დაბრუნების შემდეგ. როცა ბორანლი-ბურანის ასაქცევზე დაიწყო მუშაობა), დაკორძილი მძიმე ხელები მუხ-

ლებზე დაეწყო, საკმაოდ გაზეთილი და გაცვეთილი რკინიგზელის ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა. ნეტა რაზე ფიქრობდა?

- ახლა რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? - წაილაპარაკა უქუბალამ.

ედიღეიმ თავი ასწია, მწარე ღიმილით შეხედა.

- როგორ მოვიქცეთ? როგორც ასეთ დროს იქცევიან! უნდა დავმარხოთ, - ედიღეი წამოდგა. ეტყობა, გულში უკვე გადაეწყვიტა ყველაფერი. - შენ ახლავე გაბრუნდი უკან. მანამდე კი მისმინე, რასაც გეტყვი.

- ჰო, გისმენ.

- ოსპანი გააღვიძე. იმას ნუ მიხედავ, ასაქცევის უფროსი რომაა, სიკვდილის წინაშე ყველა ერთნი ვართ. უთხარი, ყაზანგაპი გარდაიცვალა-თქო. ორმოცდაოთხი წელი იმუშავა კაცმა ერთ ადგილას. ოსპანი ვინძლო დაბადებული არ იყო, ყაზანგაპმა რომ აქ მუშაობა დაიწყო. მაშინ აქ ძაღლსაც ვერ მოიტყუებდი. იმდენ მატარებელს ჩაუვლია აქ მის წუთისოფელში, თმის ღერს ვერ დაუთვლიდი... ჰოდა, მოიფიქროს რამე, ასე გადაეცი. ჰო, აი, კიდევ რა..

- ჰო, გისმენ.

- სხვებიც გააღვიძე, ყველას სარკმელზე დაუკაკუნე, რა ბევრი ჩვენა ვართ - რვა კომლი ვიქნებით, თითებზე ჩამოსათვლელი... ყველანი ფეხზე წამოყარე. ასეთი კაცი რომ მოკვდება, ძილი რას მიქვია.

- რომ გამლანძღონ?

- ჩვენ შევატყობინოთ და მერე რამდენიც უნდა გვლანძღონ. ჩემზე თქვი, იმან დამავალა-თქო. ნამუსიც კაი საქონელია. დაიცა.

- რა იყო?

- ჯერ მორიგეს შეურბინე, დღეს შაიმერდენია დისპეტჩერად, უთხარი, ასეა და ასე-თქო საქმე, დაე მოიფიქროს, როგორ მოვიქცეო. ეგებ შემცველი მომინახოს ამ ჯერზე. თუ რამე გაახერხა, მაცნობოს. მიხვდი? ჰოდა, ასე უთხარი!

- ვეტყვი. ვეტყვი, – იძახდა უქუბალა და უცებ ენაზე იკბინა, თითქოს ისეთი რაღაც დაავიწყდა, რისი დავიწყებაც არ ეპატიებოდა, – უიმე, მისი შვილები! აბა უყურე! პირველად იმათ უნდა ვაცნობოთ. მამა მოუკვდათ, სხვა რომ არა...

ედიღეიმ ამ სიტყვებზე უამურად შეჰკრა წარბები, უფრო მეტოდ მოიშუშა, სიტყვა არ დაძრა.

- რაც უნდა იყოს, შვილი მაინც შვილია, - თითქოს თავი იმართლა უქუბალამ, თუმცა იცოდა, ედიღეის მისი სიტყვები არც მაინცდამაინც ეჭაშნიკებოდა.

- ვიცი, ვიცი, - ხელი ჩაიქნია კაცმა, – გგონია, არ მესმის? საქმეც ეგაა, რომ მათ გარეშე არ შეიძლება, თორე, ჩემი ნება იყოს, ახლოსაც არ მოვუშვებდი!

- ეგ ჩვენ არ გვეკითხება, ედიღეი, დაე, ჩამოვიდნენ და თვითონ დაასაფლაონ. ხომ იცი, მერე ხალხის ყბიდან ვეღარ ამოვალთ...

- მე რა, ხელს ვუშლი? ადგნენ და ჩამობრძანდნენ.

- ვაჟმა თუ ვერ ჩამოუსწრო ქალაქიდან?

- თუ მოინდომა, ჩამოუსწრებს. გუშინწინ სადგურზე რომ ვიყავი. ჩემი ხელით ტელეგრამა გავუგზავნე, ასეა და ასე მამაშენი კვდება-მეთქი. მეტი რა უნდა! ჭკუის კოლოფად რომ მოაქვს თავი, ხომ უნდა მიხვდეს, ეს რას ნიშნავს...

- თუ ეგრეა, არა უშავს, - გაურკვევლად დაეთანხმა ქალი ედიღეის მოსაზრებას, თუმცა რაღაც ფიქრი, ეტყობა, მაინც აწვალებდა. - კარგი იქნება, ცოლი ჩამოიყვანოს, რაც უნდა იყოს, მამამთილი მოუკვდა...

- ეს უკვე თვითონ გადაწყვიტონ. ამასაც ხომ ვერ ვუკარნანებ, ბალღები კი არ მყვანან.

- ჰო, რასაკვირველია, - დაუკრა კვერი უქუბალამ, თუმცა ჭოჭმანით კი.

ცოლ-ქმარი გაჩუმდა.

- აბა, ნუღა აყოვნებ, წადი, - მოაგონა ედიღეიმ.

მაგრამ ცოლს კიდევ დარჩენოდა სათქმელი.

- იმ უბედურმა აიზადამ, მაგისმა ქალმა, სადგურზე რომ ცხოვრობს შვილებითა და იმ თავის გამოუსწორებელი ლოთი ქმრით, იმანაც ხომ უნდა ჩამოასწროს.

ედიღეის უნებლიეთ გაეღიმა, ცოლს მხარზე დაჰკრა ხელი.

-აბა იქოთქოთე ახლა შენებურად ყველას მაგივრად... აიზადა აგერ ყურის ძირშია. დილას ვინმე გაუვლის სადგურზე, შეატყობინებს, რაღა თქმა უნდა, ჩამოვა. ისე კი აიზადასი და მით უმეტეს საბითჟანის, თუმცა ვაჟი კია, დიდი იმედი ნუ გექნება. აი, ნახავ, ჩამოსვლით ჩამოვლენ. ნუ გეშინია, არ დაიკარგებიან, მაგრამ უცხო სტუმრებივით იქნებიან. ისევ ჩვენი დასამარხი გახდება. ასეა და რას იზამ... ახლა კი წადი და, რაც დაგიბარე. გააკეთე.

უქუბალამ ნაბიჯი გადადგა, წამით გაუბედავად შედგა და ისევ განაგრძო გზა. მაგრამ ედიღეიმ თვითონ მოაბრუნა.

- არ დაგავიწყდეს, ჯერ მორიგეს, შაიმერდენს შეუარე, ჩემ მაგივრად ვინმე გამოგზავნოს, ხომ იცი, არ შევირჩენ-თქო. სად ნახულა, მიცვალებული მარტო ესვენოს ცარიელ სახლში და გვერდით არავინ ჰყავდეს... ასე გადაეცი.

ცოლმა თავი დაუქნია და წავიდა. ამასობაში სადისტანციო ფარზე აზუზუნდა და წითლად აციმციმდა სიგნალიზატორი, ბორანლი-ბურანის ასაქცევს ახალი მატარებელი უახლოვდებოდა. მორიგის განკარგულებით იგი სათადარიგო ხაზზე უნდა გადაეყ-

ვანა, რათა შემხვედრი მატარებელი გაეშვა, რომელიც ასაქცევის შემოსასვლელის მეორე ბოლოში იდგა. ვინემ მატარებლები თავთავიანთ გზას მიუყვებოდნენ, ედიღეი დროდადრო ლიანდაგის კიდეზე მიმავალ უქუბალას გაჰყურებდა, თითქოს რაღაცის თქმა დაავიწყდაო. სათქმელი, იცოცხლე, ბევრი ჰქონდა. დასაფლავების წინ საქმეს რა გამოლევს, ყველაფერს ერთბაშად სად გაიხსენებ, მაგრამ ცოლს ამიტომ არ გაჰყურებდა. არა, სწორედ ახლა შეამჩნია გულმტკივნეულად, რარიგ მოკუზულიყო უქუბალა ამ ბოლო ხანს. რკინიგზის ნათურების მქრქალ, მოყვითალო სინათლეზე ეს უფრო აშკარად ჩანდა.

„მაშ, უკვე სიბერემაც გვიწია, - გაიფიქრა მან. - ამასაც მოვესწარით - ორი ბებერი დავრჩით!“ თუმცა ჯერჯერობით ჯანს ვერ დაემდურება ედიღეი, ჯერ ისევ ერჩის ღონე. მაგრამ ხანის საანგარიშოზე ცოტა წლები როდი ჩამოიყარა - სამოცი და კიდევ ერთი, მაშასადამე, სამოცდაერთი. „გავა ორიოდე წელი და ეგებ კიდევაც მითხრან, პენსიაზე წადიო“, - დაცინვით ჩაილაპარაკა ედიღეიმ. თუმცა იცოდა კია, რომ არც ისე მალე გავა პენსიაზე და არც ისე იოლად მონახავენ ამ მხარეში მის მაგიერს - ლიანდაგის დარაჯსა და გზის შემკეთებელ მუშას (მეისრედ მხოლოდ დროდადრო იყო, როცა ავად გახდებოდა რომელიმე მუშა ან შვებულებაში წავიდოდა). განა ვინ დახარბდება დამატებით გასამრჯელოს ამ გადაკარგულ, უწყლო მხარეში? მიდი და მოძებნე ასეთი ვინმე ახლანდელ ყმაწვილკაცებში.

საროზექის ასაქცევებზე კაცს თუ გულოვნება არ მოგდევს, ვერ გაძლებ, ვერა, დაიღუპები. ტრამალი ვეებერთელაა, ადამიანი კი - პატარა. ტრამალი გულგრილია, უგრძნობელი, მისთვის სულ ერთია, გიჭირს თუ გილხინს; უნდა შეურიგდე, შეეგუო ისეთს, - როგორიც არის. ადამიანისთვის კი სულ ერთი არაა, უჭირს თუ ულხინს ამ ქვეყანაზე, სულ იტანჯება. სულ ჰგონია,

სხვაგან, სხვა ხალხში მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. აქ კი განგებამ შეცდომით გადმოაგდო... იმიტომაც ჰკარგავს თავის მეობას ამ ვეებერთელა, დაუნდობელი ტრამალის პირისპირ, განიმუხტება სიმამაცისგან შაიმერდენის სამბორბლიანი მოტოციკლეტის აკუმულატორივით. შაიმერდენი ხომ ისე დაჰკანკალებს თავის მანქანას, არც თვითონ ჯდება და არც სხვას სვამს. მანქანაც დგას და დგას უქმად. მერე კი აღარ იქოქება, როცა საჭიროა, თურმე დასაქოქი ძალა გამოლევია. ასე მოსდის ადამიანსაც საროზექის ასაქცევზე; საქმეს თუ არ მოეკიდა, ფესვი თუ არ გაიდგა, ტრამალს თუ არ შეეგუა - გაძლება გაუჭირდება. ზოგი ვაგონიდან გადმოხედავს აქაურობას, თავზე იტაცებს ხელს - ღმერთო, აქ როგორ ცხოვრობს ხალხი, ამ ტრამალებში, სადაც აქლემების მეტი არა ჭაჭანებს რაო! მაგრამ ცხოვრუბენ კია, სანამდე ჰყოფნით გამძლეობა. ვინ სამი, დიდი-დიდი ოთხი წელი უძლებს - და მერე თამამ,[1] ანგარიშს გაასწორებს, დაჰკრავს ფეხს და სადმე შორს გასწევს...

ბორანლი-ბურანზე მხოლოდ ორმა მოიკიდა ფეხი სამუდამუამოდ- ყაზანგაპმა და ბურანელმა ედიღეიმ. არადა, რამდენი ვინმე ჩამოვიდა და წავიდა ამასობაში! საკუთარი თავი ვის განუსჯია, ჰო, ცხოვრობდა, ფარ-ხმალს არ ჰყრიდა. აგერ ყაზანგაპმა ორმოცდაოთხი წელი იჯახირა აქ, განა იმიტომ, სხვებზე ნაკლები შნო მისცა ღმერთმა, ზოგიერთ ათ კაცში ერთ ყაზანგაპს არ გაცვლიდა ედიღეი... ახლა კი აღარც ყაზანგაპია...

მატარებლებმა ჩაიარეს, ერთმა აღმოსავლეთს მიაშურა, მეორემ - (დასავლეთს. რამდენიმე ხნით დაცარიელდა ბორანლი-ბურანის ასაქცევი და თითქოს მაშინვე გაშიშვლდა ყოველივე - შავ ცაზე უფრო მეტად აკაშკაშა ვარსკვლავები, ქარმა უფრო

[1] მორჩა

მარდად გაინავარდა მიწაყრილის ფერდოებსა და განძელებზე, სუსტად მოწკრიალე რელსებს შუა დაყრილ ხვინჭაზე.

ედიღეი აღარ შებრუნებულა ჯიხურში. ბოძს მიეყრდნო და ფიქრებს მიეცა. შორს, მის პირდაპირ, რკინიგზის გადაღმა, მინდვრად მობალახე აქლემების უძრავი და გაშეშებული ლანდები ჩანდა მთვარის შუქზე, გადაღამებას ელოდნენ. იმათ შორის თავისი ორკუზიანი, დიდთავა ლიონი დაინახა - ყველაზე ღონიერი და ფეხმარდი აქლემი მთელ საროზექში. პატრონივით მასაც ბურანელ ყარანარს ეძახდნენ. ედიღეი ამაყობდა ამ მართლაც გასაოცრად ღონიერი პირუტყვით, თუმცაღა ადვილი არ იყო მისი დამორჩილება და ჭკუაზე მოყვანა, რადგან ათანი იყო ყარანარი - ახალგაზრდობაში არ დაკოდა ედიღეიმ და აღარც მერე უხლია ხელი.

სხვა სახვალიო საქმეთა შორის ისიც გაიხსენა ედიღეიმ. რომ დილაადრიანვე უნდა მოაგდოს ყარანარი შინ, უნაგირი დაადგას. დასაფლავებაზე წასასვლელად დასჭირდება. სხვა საზრუნავიც ბევრი წამოაგონდა ედიღეის...

ასაქცევზე კი ჯერაც მშვიდად ეძინა ხალხს. გზის ერთ მხარეს ბევრი წამოაგონდა ედიღეის... მიყუჟულიყო სადგურის პატარა შენობები, შიფერის ერთნაირი ორფერდა სახურავებიანი მზა ფიცრებისაგან აწყობილი სახლები, რკინიგზის უწყებამ რომ დადგა, შემდეგ ედიღეის სახლი, მისივე ხელით აშენებული, განსვენებული ყაზანგაპის მიწური და სხვა. დასხვა ნაგებობანი, ღუმელი, ფარდულები, ლელის საჩეხეები კი რუტყვისა თუ სხვა რამ საჭიროებისათვის, შუაში კიდევ ქარისა თუ იგივე უნივერსალური ელექტრო და შიგადაშიგ ხელის წყლის საქაჩავი, ამ უკანასკნელ წლებში რომ გაჩნდა - ეს იყო და ეს ბორანლი-ბურანის მთელი დაბა.

ეს იყო და ეს ამ დიდ რკინიგზაზე, ამ დიადი საროზექის ტრამალზე პატარა შემაერთებელი რგოლი სისხლძარღვებივით დატოტვილი სხვა ასაქცევების, ჩვეულებრივი თუ საკვანძო სადგურებ-ქალაქებისა... ეს იყო და ეს, ქვეყნად ყველა ქარის სანავარდო ხელისგულივით გაშლილი ადგილი, მეტადრე ზამთრობით, როცა ბობოქრობს საროზექური ქარბუქები, სახლებს, ფანჯრებამდე მინამქრავს თოვლით, ხოლო რკინიგზას ყინულის გორებით ხერგავს... კიდეც იმიტომ ჰქვია ამ ასაქცევს ბორანლიბურანი და წარწერაც ორმაგი ჰკიდია. ბორანლი - ყაზახურად, ბურანი - რუსულად...

ისიც გაიხსენა ედიღეიმ, ვინემ გადასარბენზე ყველანაირი თოვლის საწმენდი მანქანები გაჩნდებოდა - ჰაერის ნაკადებით თოვლის დამცხრილავნი და სიგრძივი დანებით გვერდებზე გადამხვეტნი, თუ სხვა და სხვა - ისა და ყაზანგალი თოვლის ნამქერებს ლეანდაგებზე, შეიძლება ითქვას, ხელჩართული ეომებოდნენ. არადა, თითქოს სულ ახლახან იყო ორმოცდათერთმეტი და ორმოცდათორმეტი წლები - რა მძვინვარე ზამთარი იდგა მაშინ. აი, ფრონტზე თუ იყო მხოლოდ ასე, როცა სიცოცხლე ერთჯერად საქმეს ეწირებოდა, ერთ იერიშს, ერთი ხელყუმბარის შეგდებას ტანკქვეშ... აქაც ასე იყო. მერე რა, რომ არავინ გკლავდა. სამაგიეროდ თვითონ იკლავდი თავს. რამდენი ნამქერი გადაუყრიათ ხელით, გაუთრევიათ სათრეველათი და ტომრებითაც კი აუტანიათ ზევით, მეშვიდე კილომეტრზე, სადაც გზა შუაში გაჭრილ გორაკის ძირს მისდევს, და ყოველთვის ეგონა, რომ ეს უკანასკნელი შებმა იყო ამ ბუქსა და ორომტრიალთან, რომ შეიძლება დაუფიქრებლად გასწირო თავი, ოღონდაც კი არ გაიგონო ტრამალზე ორთქლმავლების ბღავილი – გზა, გზა ჩქარაო!

მაგრამ ის თოვლი გადნა, იმ მატარებლებმა ჩაიარა, იმ წლებმა ჩაიქროლა... ახლა აღარავის აწუხებს ეს ამბები. იყო და არა იყო რა. ახლაც დროდადრო ჩამოივლიან ხოლმე გზათა უწყების ხმაურიანი, ქოთქოთა ვაჟბატონები - საკონტროლო-სარემონტო ბრიგაღები. იმაო ხომ არაფრისა სჯერათ და არაფერი სწამთ, ვერა და ვერ გაუგიათ, როგორ შეიძლება საროზექის ნამქერები რამდენიმე კაცს ნიჩბებით გაეწმინდა გადასარბენზე! სასწაულია პირდაპირ! ზოგი აშკარად დასცინოდა: ნეტა რად გაიწამეთ, რად მოიკალით თავი, რისი გულისთვის! ჩვენთვის რომ ეთქვათ - არამც და არამც არ ვაკისრებდით! დავკრავდით ფეხს და სხვაგან წავიდოდით, იმ დალოცვილ მშენებლობებსა თუ სადმე სხვაგან მივაშურებდით, სადაც წესიერი სამუშაო იქნებოდა. ამდენს ვიმუშავებ - ამდენი გადამიხადე. თუ საგანგაშოა რამე - ხალხი შეჰყარე, საზეგანაკვეთო ჩამოყაზე... „სულელები იყავით და მიტომაც კისერზე გასხდნენ, ეგრე სულელებად დაიხოცებით!..“

ამისთანა „გადამფასებლებს“ ყაზანგაპი ყურადღებას არ აქცევდა, გეგონებოდა, სულაც არ ეხებოდა ეს ამბავი, მხოლოდ ჩაიცინებდა. თითქოსდა რაღაც ისეთი იცოდა, რასაც ესენი თავის დღეში ვერ ჩახვდებოდნენ. ედიღეი კი თავს ვერ იკავებდა, გაცეცხლდებოდა, პირში ეცემოდა ხოლმე და სისხლსაც ტყუილად იშრობდა.

არადა, მასა და ყაზანგაპს ხშირად ულაპარაკნიათ იმაზე, რასაც ახლა საკონტროლო-სარემონტო სპეცვაგონებით ჩამობრძანებული ეს ვაჟბატონები სასაცილოდ იგდებდნენ, ულაპარაკნიათ ბევრ სხვა რამეზე იმ წლებში, როცა ეს ჭკუის კოლოფები ალბათ ჯერ კიდევ უშარვლოდ დატანტალებდნენ. უფიქრიათ და განუსჯიათ ამ წუთისოფლის ავი და კარგი, სადამდეც ჭკუა გასწვდომიაო. (ცოტა დრო კი არ გამონღა ორმოცდახუთი წლის

აქეთ, მეტადრე მას მერე, რაც ყაზან-აპი პენსიაზე გავიდა. თუმცა ვერ წაუვიდა საქმე კარგად: ვაჟთან გადავიდა ქალაქში საცხოვ-რებლად და სამი თვის თავზე კი უკან დაბრუნდა. ბევრ რამეზე ილაპარაკეს მაშინ, როგორაა ეს ქვეყანა მოწყობილი. ბრძენი კაცი იყო ყაზანგაპი. ბევრი რამ მოაგონდება ედიღეის... და უცებ ცხადად და საოცარი სიმწარით იგრძნო ედიღეიმ, რომ ამიერი-დან მოგონებადღა დარჩა ყაზანგაპი...

უცებ ყური მოჰკრა სალაპარაკო მიკროფონის ტკაცანს და ჯიხურს მიაშურა. თითქოს ქარი ქშუისო, ისე აშრიალდა და აში-შინ– და ეს სულელური ხელსაწყო.

- ედიღეი, ალო, ედიღეი, - წაიხრიწინა შაიმერდენმა, ასაქ-ცევის მორიგემ. - გესმის ჩემი? მიპასუხე!

- მესმის! მესმის!

- გესმის, ხომ?

- ჰო, ჰო, მესმის!

- როგორ გესმის?

- როგორც საიქიოდან!

- საიქიოდან ვითომ რატომ?

- რა ვიცი, ასე კია!

- ჰო... მაშასადამე, ბებერმა ყაზანგაპმა, ასე ვთქვათ...

- რა ასე ვთქვათ?

- რა და შენი ჭირი წაიღო... - შაიდერდენი შეეცადა უფრო საკადრისი სიტყვა მოენახა - აბა, როგორ ვთქვა? მაშასადამე, დაასრულა თავისი წუთისოფელი.

- ჰო, - მოკლედ მოუჭრა ედიღეიმ.

„ჰაი, შე უტვინო ჰაივანო , - გაიფიქრა თან, - სიკვდილზე ადამიანურად ლაპარაკიც არ გეხერხება“.

შაიმერდენი წამით დადუმდა. მიკროფონი უფრო მეტად აახრიალა და აატკაცუნა მისმა სუნთქვამ. მერე ისევ ჩაიხრიწინა:

- ედიქე, ძვირფასო, ოღონდაც ტვინს ნუ ამირევ, ასე ვთქვათ, თუ მოკვდა, რაღას უშველი... მე ხალხი არა მყავს. აბა რად გინდა წახვიდე და გვერდით მიუჯდე? მიცვალებულს, ასე ვთქვათ, ვერ: გააცოცხლებ, მგონია...

- მე კი მგონია, რომ არაფერიც არ გაგეგება! - აღშფოთდა ედიღეი. - რა თქმაა, ტვინს ნუ მირევო! შენ აქ მეორე წელია ხარ, მე და მაგან კი ოცდაათი წელი ერთად ვიმუშავეთ. ვის გაუგია ან სად ნახულა, მიცვალებული მარტო დააგდო ცარიელ სახლში.

- აბა ის საიდან გაიგებს, ასე ვთქვათ, მარტოა თუ არა?

- ჩვენ ხომ ვიცით!

- ჰო, კაი, კაი, რა გაყვირებს, ასე ვთქვათ, ბებერო!

- მე გიხსნი.

- კი მაგრამ, რა გინდა ჩემგან? მე ხალხი არ მყავს. იქ რა უნდა აკეთო მაინც ამ ღამეში?

-ვილოცებ, მიცვალებულს გავაპატიოსნებ, ლოცვებს წავიკითხავ.

-ილოცებ? შენ, ბურანელი ედიღეი ილოცებ?

- ჰო, მე. ლოცვები ვიცი.

-ამას უყურე, ასე ვთქვათ, საბჭოთა ხელისუფლების სამოცი წლის თავზე.

- საბჭოთა ხელისუფლებას შენ თავი გაანებე! ათადან ბაბადან, მიცვალებულზე ლოცვას კითხულობენ. კაცი მოკვდა, პირუტყვი კი არა!

- კაი, კაი, ილოცე, ასე ვთქვათ, რა გაყვირებს. ედილბაისთან თან გავგზავნი ვინმეს, თუ დათანხმდა, ხომ მოვა, ასე ვთქვათ, შეგცვლის... ახლა კი საქმეს მიხედე, ასმეჩვიდმეტე ახლოვდება, მეორე სათადარიგო მოამზადე...

შაიმერდენმა ლაპარაკი შეწყვიტა, გამომრთველი გააჩხაკუნა. ედიღეი ისრისკენ გაეშურა. თან სულ იმაზე ფიქრობდა, მო-

ვა თუ არა ედილბაო. იმედი მოეცა, როცა სახლებში აქა-იქ აინთო სინათლე. ხალხს მაინც ჰქონია სინდის-ნამუსი. ძაღლებმა ყეფა ატეახეს. მაშასადამე, უქუბალამ გააღვიძა, ფეხზე დააყენა ბორანლელები.

ამასობაში ასმეჩვიდმეტე სათადარიგო ხაზზე დადგა. მეორე მხრიდან ნავთობსასხმელი მატარებელი მოდგა - მარტო ცისტერნებიდან შედგებოდა. მერმე ერთმა აღმოსავლეთისკენ გასწია, მეორემ - დასავლეთისკენ...

უკვე ღამის ორი საათი დაიწყო. ვარსკვლავებმა კაშკაშს უმატეს, ცალ-ცალკე გამოარჩევდი ყველას. მთვარეც მეტი ძალით აჩახჩახდა და საროზექზე. უფრო და უფრო აივსო სადღაციდან მოსული ნათელეთ. ვარსკვლავიანი ცის ქვეშ კი თვალმიუწვდომლად გადაჭიმულიყო საროზექი, მარტო აქლემების ლანდები - მათ შორის ორკუზა ბუმბერაზი ბურანელი ყარანარის ლანდი და მანლობლად კიდევ ლილები ჩანდა ბნდუდ, სხვა დანარჩენი რკინიგზის გაღმა-გამოღმა უკიდეგანო სიბნელეს ჩაენთქა. ქარსაც არ ეძინა, დასტვენდა და ირგვლივ ნაგავს აშრიალებდა.

ედიღეი წარამარა გამოდიოდა ჯიხურიდან, ედილბაი ხომ არ მოდის ლიანდაგზეო. ანაზდად შორიახლო პატარა ცხოველს მოჰკრა თვალი. მელია ყოფილიყო. თვალები მწვანედ უციმციმებდა. ტელეგრაფის ბოძთან იდგა დაღონებით, არც მოახლოებას აპირებდა და არც გაქცევას.

- შენ აქ რა გინდა! - ჩაიბუტბუტა ედიღეიმ და ხუმრობით თითი დაუქნია. მელა არ შეშინებულა. - ჭკუით იყავი! იცი, რას გიზამ! - და ფეხი დააბაკუნა.

მელა განზე გახტა და ისევ დაცუცქდა, პირი მისკენ მოაქცია. მწუხარედ მისჩერებოდა ედიღეისა თუ მის ახლოს რაღაც საგანს. ნეტა რამ მოიტყუა, რამ მოიყვანა აქ? იქნებ ელექტრონის

შუქმა მოიზიდა ან შიმშილმა მოაგდო? უცნაურად კი იქცევა. რაღაი ნადირი თავისი ფეხით მოსდგომია, რატომაც არ უნდა ესროლოს ქვა და მოკლას. ედიღეიმ ხელი მოაფათურა, მოზრდილი ქვა დაითრია დაუმიზნა, მაგრამ უმალ ხელი დაუშვა, ქვა გააგდო, ოფლმაც კი დაახსა. რა სისულელეს არ იფიქრებს კაცი! ქვა რომ მოიქნია, უცებ გაახსენდა, ვიღაცამ ამ უამბო, მგონი, იმ რომელიღაც ჩამოსულმა ვაჟბატონმა თუ ფოტოგრაფმა, ვისაც ღმერთზე ებაასებოდა, ან სხვა ვიღაცამ, არა, არა, საბითჟანმა, კი, კი, საბითჟანმა უამბო, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი, სულ რაღაც სასწაულებს ყვება. ოღონდაც კი ხალხმა უსმინოს, ოღონდაც კი ხალხი გააკვირვოს. ჰო, საბითჟანმა, ყაზანგაპის ძემ უამბო სიკვდილის მერე სულთა გადასახლების თაობაზე.

რა თავისდა ეშმაკად ასწავლეს მაინც ამ უქნარასა და ყბედს. შეხედავ - ბიჭად ბიჭია, ყველაფერი იცის, ყველაფერი გაუგონია, მაგრამ რა მერე! ასწავლეს, ასწავლეს იმ ინტერნატებში, ინსტიტუტებში და მაინც დიდი ვერაფერი შვილი ბრძანდება. ტრაბახი, სმა და სადღეგრძელოები, იცოცხლე, იცის, საქმე კი არაფერი გამოსდის. ერთი სიტყვით, გუდაფშუტა ვინმეა. კოჭებამდეც ვერ მისწვდება ყაზანგაპს, თუმცაღა დიპლომით მოაქვს თავი. არა, არ გაუმართლა მამას იმედი. მამის კვალზე არ ხტის კვიცი, თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს, რას იზამ, რაც არი, ეგ არი...

ჰოდა, ერთხელაც მოჰყვა საბითჟანი, ინდოეთში ასეთი მოძღვრება სწამს ხალხს, კაცი რომ მოკვდება, მისი სული რომელიმე პირუტყვის გვამში ჩასახლდებაო. სულ ერთია, რომელიც არ იქნება, გინდაც ჭიანჭველაო. ჰოდა, მათი რწმენით ყოველი კაცი დაბადებამდე ან ჩიტი იყო, ან ნადირი, ან მწერიო. ამიტომაც ცოდვად ითვლება ყოველი ცხოველის მოკვლა. გინ-

და კობრა შეხვდეს გზაზე ინდოელს, ხელს არ ახლებს, მხოლოდ თავს დაუკრავს და გზას დაუთმობსო.

რა სასწაულები არ ხდება ამ დუნიაზე. რამდენად მართალია ეს ყველაფერი, კაცმა არ იცის ქვეყანა დიდია, ადამიანს კი ყოვლის ცოდნა არ მიმადლებია. ჰოდა, როცა მელიის მოკვლა განიზრახა, თავში გაჰკრა ედიღეის, ვაითუ ყაზანგაპის სულია ახლა მელიაში ჩასახლებული? ვაითუ იქ ჩასახლების შემდეგ თავის საუკეთესო დოსტს მიაშურა ყაზანგაპმა. რადგან სიკვდილის შემდეგ მისი მიწური ცარიელია და ჭმუნვისმომგვრელი?.. „არა, მართლა გამოვჩერჩეტდი უკვე! - საყვედურობდა და არცხვენდა თავის თავს ედიღეი. - ეს რამ მაფიქრებინა? ფუჰ! ფუჰ! გამოვტვინებულვარ საბოლოოდ!“

მაგრამ მელასკენ მაინც ფრთხილი ნაბიჯით წავიდა, თან ისე ელაპარაკებოდა, თითქოს მელას მისი სიტყვების გაგება შეეძლო:

- წადი წადი აქედან, აქ შენი ადგილი არაა, გასწი ისევ შენს ტრამალში. გაიგე? აბა, გასწი. არა, მანდეთ არა, მანდ ძაღლებია. ღმერთმა ხელი მოვიმართოს, ტრამალს მიაშურე ისევ.

მელია გატრიალდა და უკან გაცუხცუხდა, თუმცა ერთი-ორჯერ მაინც მოხედა. მერე სიბნელეს შეერია.

ამასობაში ასაქცევზე კვლავ მორიგი მატარებელი შემოგიალდა. ნელ-ნელა უკლო სიჩქარეს და გაჩერდა. ვაგონების თავზე ნისლივით ციმციმებდა მტვერი. ძრავები კი ისევ და ისევ მძიმედ ტრიალებდნენ ზუზუნ-ზუზუნით.

- ჰეი, ედიქე ბურანლეო, გადმოჰყო თავი მემნქანემ, - ასალამ-ალეიქუმ!

- ალეიქუმ-ასალამ!

ედიღეიმ თავი ასწია, კარგად რომ დაენახა, რომელი იყო. ტრამალზე ყველა იცნობდა ერთმანეთს ნაცნობი ბიჭი გამოდგა.

მას დააბარა ედიღეიმ, ქუმბელის საკვანძო სადგურზე აიზადას მამის სიკვდილი აცნობეო. მემანქანე ხალისით დაპირდა, ყაზანგაპის ხსოვნის ხათრით, ამ სათხოვრის შესრულებას, მეტადრე, რომ ქუმბელში მატარებლის ბრიგადები იცვლებოდა, და იმასაც შეჰპირდა, თუ მოასწრო აიზადას, მასა და მის ოჯახს თავადვე ჩამოვიყვან, უკან რომ დავბრუნდებიო.

ეს საიმედო კაცი იყო და ედიღეისაც გულზე მოეშვა. მაშასადამე, ერთი საქმე მოიშორა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა. მემანქანეს რომ ეშვიდობებოდა, ედიღეიმ დაინახა, თანდათან აჩქარებული მატარებლის გასწვრივ, ლიანდაგის კიდეზე ვიღაც აყლაყუდა კაცი მოაბიჯებდა მისკენ. ეს ედილბაი იყო.

ვინემ ედიღეი საქმეს გადააბარებდა, ვინემ მომხდარ ამბავზე ილაპარაკებდნენ, ყაზანგაპს ოხვრით მოიგონებდნენ, ბორანლი-ბურანზე ორი შემხვედრი მატარებელი მოვიდა და წავიდა. აქაური საქმეები რომ მოითავა და შინისკენ გასწია, მაშინ გაახსენდა, წეღან ცოლს რომ არ მოაგონა, უფრო სწორად, არ გაეთათბირა, თავისი ქალებისა და სიძეებისთვის როგორ შეეტყობინებინა ბებერი ყაზანგაპის სიკვდილი. ედიღეის ორი გათხოვილი ქალი სულ სხვა მხარეს - ყიზილ-ორდისთან ცხოვრობდნენ. უფროსი ბრინჯის საბჭოთა მეურნეობაში იყო. მისი ქმარი ტრაქტორისტად მუშაობდა. უმცროსი ჯერ ყაზალინის ახლოს ცხოვრობდა, მერე კი ოჯახიანად ამავე მეურნეობაში გადასახლდა, დასთან რომ ახლოს ყოფილიყო. სიძე მძღოლად მუშაობდა. ყაზანგაპი მათი ნათესავი არ იყო, დასაფლავებას რომ უთუოდ დასწრებოდნენ, მაგრამ ყველა ნათესავს კი სჯობდა. მის ხელში დაიბადნენ და გაიზარდნენ ისინი ბორანლი-ბურანზე. ქუმბელის

ინტერნატში, სადაც სწავლობდნენ, ხან ედიღეისა და ხან ყაზანგაპს დაჰყავდა ისინი რიგრიგობით. არდადეგების დაწყებამდე თუ არდადეგების შემდეგ. უმცროს გოგოს წინ დაისვამდა ედიღეი აქლემზე, უფროსს - უკან, თვითონ შუაში დაჯდებოდა და ასე მიდიოდნენ ხოლმე სამივენი. ბორანლი-ბურანიდან სამ საათს, ზამთრობით კი უფრო მეტხანს თოხარიკით მირბოდა ყარანარი ქუმბელამდე. ხოლო თუ ედიღეის არ ეცალა, ყაზანგაპს მიჰყავდა ისინი. მისი გოგოებისთვის მეორე მამა იყო ყაზანგაპი. არა, ხვალ დილითვე გაუგზავნის ედიღეი ტელეგრამას შვილებს და როგორც მოეხერხებათ, ისე მოიქცნენ... მაგრამ იცოდნენ კია, რომ ბებერი ყაზანგაპი აღარაა, ამ წუთისოფელს გამოესალმა...

მიაბიჯებდა ედიღეი და თან ფიქრობდა, რომ დილას პირველ ყოვლისა ყარანარი უნდა წამოიყვანოს საძოვრიდან, დასჭირდება და იმიტომ. არც სიკვდილია იოლი საქმე და არც ადამიანის წესიურად და პატიოსნად დამარხვა... ხან რა დაგჭირდება და ხან რა, ყველაფერი ჰაიჰარად უნდა იშოვო, სუდარა იქნება ეს თუ ქელეხისათვის საჭირო შეშა.

სწორედ იმ წუთს ჰაერი ანაზდად შეინძრა, ისე, როგორც ფრონტზე, სადღაც შორს რომ აფეთქდებოდა ხოლმე რაღაც და ჰაერის ძლიერი ტალღა მოვარდებოდა. მიწა ფეხქვეშ შეზანზარდა. შორს, ტრამალზე, იმ მხარეს, სადაც საროზექის კოსმოდრომი იყო, ალმოდებული ცეცხლის სვეტი ქარბორბალასავით აიჭრა ცაში. ედიღეი ადგილზე გაშეშდა - კოსმოსში რაკეტა მიფრინავდა. ასეთი რამ თავის დღეში არ ენახა. როგორც ყველა საროზექელმა, მანაც იცოდა, სარი-ოზექ-I კოსმოდრომის არსებობა, იგი აქედან ორმოციოდე თუ ცოტა ნაკლებ კილომეტრზე იყო, იცოდა, რომ იქ თოგრექ-თამის სადგურიდან რკინიგზის ცალკე შტო მიდიოდა. იმასაც კი ჰყვებოდნენ, იმ მხარეში ტრამალზე დიდი ქალაქი აშენდა, დიდზე დიდი მაღაზიებითო.

რადიო თუ გაზეთები გაუთავებლივ იუწყებოდნენ კოსმოსში გაფრენაზე, კოსმონავტებზე, გაუთავებლივ ამაზე ლაპარაკობდა ხალხი. ეს ყველაფერი სადღაც ახლოს ხდებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმ ქალაქში, სადაც საბითქანი ცხოვრობდა - ეს ქალაქი კი უფრო შორს, მატარებლით დღენახევარ სავალზე იყო - თვითშემოქმედების კონცერტებზე ყმაწვილები მღეროდნენ, ჩვენზე ბედნიერი ბავშვები ამქვეყნად არ არიან, ვინაიდან ძია კოსმონავტები კოსმოსში ჩვენი მიწიდან მიფრინავენო; მაგრამ რაღაი კოსმოდრომი დახურულ ზონად ითვლებოდა, ედიღეი იმით კმაყოფილდებოდა, რაც სხვებისაგან იცოდა, თუმცაღა იმ ადგილებიდან არც ისე შორს ცხოვრობდა. საკუთარი თვალით კი ახლა პირველად ნახა, რა სისწრაფით მიჰქროა აგიზგიზებულ ცეცხლის ალში გახვეული კოსმიური რაკეტა, შავვარსკვლავიან ცაში და მიდამოს აჩახჩახებდა. ედიღეის ხელში შიშმა გაჰკრა - ნუთუ იმ ცეცხლში ადამიანი ზის? ერთია თუ ორი? ან აქამდე რატომ არ უნახავს აფრენის წამი, თუმცაღა სულ აქ ცხოვრობს. კოსმოსში ხომ იმდენჯერ გაფრინდნენ, კაცს ანგარიში აერევა, იქნებ იმ ჯერზე ხომალდები დღისით მიფრინავდნენ, ეს კი ამ ღამით რად აიჭრა? მაშასადამე, საშური საქმეა თუ წესია ასეთი? ან იქნებ მიწიდან ღამით ადის, იქ კი მაშინვე დღე ხვდება? საბითჟანი ერთხელ მოჰყვა, კოსმოსში ყოველ ნახევარ საათში დღეს ღამე ცვლისო, გეგონება, თვითონ იყოს ნამყოფი. ერთი კარგად უნდა გამოჰკითხოს საბითჟანს. საბითჟანმა ხომ ყველაფერი იცის. ძალიან უნდა თავი ყოვლისმცოდნედ გაასაღოს, დიდკაცად ჩათვალონ. აბა როგორ! კაცი საოლქო ქალაქში მუშაობს. ნეტა რას იკლავს თავს, რა საჭიროა? რაცა ხარ, ის იყავი. იმასთან ვიყავი, დიდი კაცი რომაა, ამასა და ამას ესა და ეს ვუთხარი“. აყლაყუდა ედილბაიმ ერთხელ თურმე სამსახურში მიაკითხა და ასე მოჰყვა: ეს ჩვენი საბითჟანი მისაღებ ოთახში სულ

წინ და უკან დარბის, ტელეფონიდან კაბინეტის კარამდე და კაბინეტის კარიდან ტელეფონამდე, სულ ამას გაიძახის: „მესმის, ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ! დიახ, ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ! ახლავე. ალჯაფარ ყაჰარმანოვიჩ!“ ის კი თურმე იმ თავის კაბინეტში ზის და მარტო ღილაკებს აჭერს ხელს. სეირიანად არც დაგვცალდა ლაპარაკი... აი, თურმე ვინ ყოფილა ეს ჩვენი საბითჟანი, თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს, როგორიც არი, არი... ყაზანგაპი იყო ცოდვა, ძალიან განიცდიდა შვილის ამბავს. უკანასკნელ დღემდე მის აუგს ვერ დააცდენდი. ქალაქშიაც კი გადაბარგდა ვაჟსა და რძალთან, თვითონვე სთხოვეს, თვითონვე წაიყვანეს, მაგრამ რა გამოვიდა... ეჰ, ეს ცალკე ამბავია.

ასე ფიქრობდა ედიღეი იმ შუაღამისას და კოსმიურ რაკეტას გაჰყურებდა. დიდხანს უცქირა ამ სასწაულს. ხოლო როცა ცეცხლოვანი რაკეტა თანდათან დაპატარავდა, თეთრ ნისლოვან წერტილად იქცა და შავ წყვდიადში ჩაინთქა, ედიღეიმ თავი გადააქნია და თავის გზას გაუდგა. უცნაური და საწინააღმდეგო გრძნობები დაეუფლა. მართალია, აღტაცება კი მოჰგვარა იმ სურათმა, რაც ნახა, მაგრამ ამავე დროს ისიც იცოდა, ეს მისთვის გარეშე ამბავი იყო, რამაც მხოლოდ გააკვირვა და შეაშინა. ანაზდად მელა გაახსენდა, რკინიგზაზე რომ მოიძურწა წეღან. ნეტა რა გუნებაზე დადგა, როცა უკაცრიელ ტრამალში ცად აჭრილი ეს ცეცხლოვანი სვეტი დაინახა. ალბათ არ იცოდა, სად წასულიყო და სად ჩამძვრალიყო...

მაგრამ არც რაკეტის აფრენის მოწმე ბურანელმა ედიღეიმ იცოდა და არც ეგებოდა ცოდნა, რომ ეს კოსმიური ხომალი, და კოსმონავტის სასწრაფო და საავარიო გაფრენა იყო კოსმიურ სადგურ „პარიტეტზე“ მომხდარ საგანგებო ამბავთან დაკავშირებით. ყოველგვარ ზარზეიმისა, ჟურნალისტებისა და პატაკების გარეშე. იმ სადგურზე, რომელიც წელიწად-ნახევარია საბჭოე-

თის ერთობლივი პროგრამით პირობითად წოდებულ ორბიტა „ტრამპლინზე“ იმყოფებოდა. ან კი საიდან უნდა სცოდნოდა. არც ის იცოდა ედიღეიმ, რომ ეს ამბავი მასაც და მის ცხოვრებასაც შეეხებოდა, განა იმიტომ, რომ ადამიანი და ადამიანთა მოდგმა განუყოფელ კავშირშია არა მარტო ზოგადი, არამედ ყოვლად კონკრეტული და პირდაპირი გაგებით: მით უმეტეს არ იცოდა და ვერც წარმოიდგენდა, რომ საროქეზიდან აფრენილი ხომალდის კვალდაკვალ რამდენიმე ხნის შემდეგ პლანეტის მეორე ბოლოში ნევადის კოსმოდრომიდანაც აიჭრებოდა ცაში ამერიკული ხომალდი იმავე მიზნით, იმავე სადგურ „პარიტეტზე“ და იმავე ორბიტა „ტრამპლინის“ მიმართულებით.

ხომალდები სასწრაფოდ გაიგზავნა კოსმოსში სამეცნიერო-საკვლევი ავიოსნიდან გადმოცემული ბრძანების მიხედვით ავიოსანი „კონვენცია“ მცურავი ბაზა გახლდათ პროგრამა „დემიურგის“ საბჭოთა ქვეყნისა და ამერიკის საერთო მართვის ცენტრისა.

ავიოსანი „კონვენცია“ თავისი მუმივი ადგილსამყოფელის რაიონში - წყნარ ოკეანეში იმყოფებოდა, ალეუტის კუნძულების მარცხნივ მდებარე კვადრატში, დაახლოებით ერთ მანძილზე როგორც ვლადივოსტოკიდან, ისე სან-ფრანცისკოდან მართვის საერთო ცენტრი აქ დროს დაძაბული ადევნებდა თვალს ორივე ხომალდის ორბიტა „ტრამპლინზე“ გასვლას. ჯერჯერობით ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. ახლა მთავარი ამოცანა კომპლექს პარიტეტთან“ მათი შეპირისპირება იყო, ამოცანა რთულზე ურთულესი, რამეთუ შეპირისპირება თანმიმდევრობით კი არ უნდა მომხდარიყო, ერთმანეთის კვალდაკვალ დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ, არამედ ერთდროულად, სრულიად სინქრონულად, სადგურის ორი სხვადასხვა მხრიდან.

თორმეტ საათზე მეტი იყო, რაც „პარიტეტი“ პასუხს არ იძლეოდა „კონვენციაზე“ მყოფ მართვის საერთო ცენტრის სიგნალებზე, პასუხს არ იძლეოდა მასთან შესაპირაპირებლად წასული ხომალდების სიგნალებზე... გამოსარკვევი იყო, რა მოუვიდა „პარიტეტის“ ეკიპაჟს.

თავი 2.

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

აქ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ბორანლი-ბურანის ასაქცევიდან არანაკლებ ოცდაათი კილომეტრი იქნება ნაიმანთა საგვარეულო სამარხ ანა-ბეიითამდე, ისიც მაშინ, თუ საროზექს, ანდეზე მინდობით, სულ პირდაპირ და პირდაპირ გადაჭრი, ხოლო თუ გზის აბნევა არ გინდა ტრამალში, სჯობს ჩვეულებრივ ნაკვალევს გაჰყვე, რომელიც ერთთავად რინიგზას მიჰყვება, თუმცა გზას კი გაიდიდებ, ვინაიდან კარგა მანძილის შემოვლა დაგჭირდება ქიისიქსაის ხევიდან ანა-ბეიითისკენ მიმავალ შესახვევამდე. სხვა გზა არ არის. ისე რომ, თუ ბედმა გაგიღიმა, ოცდაათი ვერსის გავლა მოგიხდება იქით გზობასა და კიდევ ამდენი აქეთობისას. ახლანდელ ბორანლელებიდან ედიღეის გარდა ხეირიანად არავინ იცოდა იქამდე მისასვლელი გზა. თუმცა სმენით კი ბევრი სმენიათ იმ

ძველ ბეიითზე, რომელზედაც ათასნაირ ამბებს ჰყვებოდნენ, კაცმა არ იცის, მართალსა თუ ტყუილს. ყოფნით კი არასოდეს ყოფილან. არ დასჭირვებიათ და იმიტომ. ამდენი წლის ანძილზე პირველი შემთხვევა იყო, ბორანლი-ბურანში, რვა კომლისგან შემდგარ გზისპირა დაბაში, კაცი რომ მოკვდა და უნდა დაემარხათ აქამდე, რამდენიმე წლის უკან გულის ხუთვისგან ერთ საათში გათავდა პატარა გოგო და ის დედ-მამამ თავიანთ სამშობლო მხარეში, ურალში წაასვენა დასაფლავებლად. ყაზანგაპის მოხუცი ცოლი ბუქეი ქუმბელში განისვენებდა სადგურის სასაფლაოზე - ქუმბელის საავადმყოფოში გარდაიცვალა რამდენიმე წლის წინათ გადაწყვიტეს - იქვე დაემარხათ. ბორანლი-ბურანში მის ჩამოსვენებას აზრი არ ჰქონდა. ქუმბელი სარი-ოზექის ყველაზე დიდი სადგური იყო, თანაც იქ მისი ქალი აიზადა ცხოვრობდა თავისი უქნარა და ლოთი ქმრით. მაგრამ ლოთი იყო თუ უქნარა, მაინც სიძე იყო და საფლავის მოვლას არ დაამადლიდა. მაშინ ყაზანგაპი ცოცხალი გახლდათ და თავის საქმეს, როგორც უნდოდა ისე წყვეტდა. ახლა კი თავსამტვრევი გახდა, რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ.

ედიღეიმ მაინც თავისი გაიტანა.

- ასეთი ლაპარაკი ჯიგიტებს არ ეკადრებათ, – შეუტია ახალგაზრდებს. - ყაზანგაპისთანა კაცი ანა-ბეიითზე უნდა დაიმარხოს, სადაც ჩვენი წინაპრები მარხია და სადაც თვითონ განსვენებულმა დაიბარა. სჯობს სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ, სამზადისს შევუდგეთ. გზა დიდი გველის. ხვალ დილაუთენია უნდა დავიძრათ...

ედიღეის ეგებოდა ამ საქმის გადაწყვეტა, ყველამ იცოდა და კიდევაც დაეთანხმნენ. თუმცა საბითჟანმა მაინც სცადა შესიტყვება. იმ დღეს საბარგო მატარებლით ჩამოასწრო, სამგზავრო აქ არ ჩერდებოდა. ჰოდა, მამის დასაფლავებაზე რომ ჩამოვი-

და, თუმცა არ იცოდა, ცოცხალი დაუხვდებოდა მამა თუ არა. სიხარულით ცას ეწია ედიღეი. იმიტომაც გადაეხვია საბითჟანს, იმიტომაც ერთად ღვარეს ცრემლები, ერთი დარდითა და მწუხარებით ატანილებმა. ედიღეის მერე კიდევაც უკვირდა თავისი თავისა. გრძნობას ვერ მოერია, საბითჟანი გულში ჩაიკრა და სულ ამას იმეორებდა სლუკუნით: „რა კარგი ჰქენი, რომ ჩამოხვედი, რა კარგი ჰქენი!“ - თითქოს მისი ჩამოსვლა ყაზანგაპს გააცოცხლებდა. ან რამ აატირა ასე ედიღეი, თავადაც არ იცოდა, ასეთი რამ თავის დღეში არ მოსვლია. დიდხანს იტირეს ეზოში, ყაზანგაპის დაობლებულ მიწურის კართან. რაღაც დაემართა ედიღეის. მოაგონდა, საბითჟანი რომ მის თვალწინ გაიზარდა. პატარა ბიჭი იყო მაშინ, მამას მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა. ქუმბელის სკოლა-ინტერნატში დაჰყავდათ; რკინიგზელების შვილებისათვის იყო გახსნილი ეს სკოლა. როგორც კი დროს მოიხელთებდნენ, სანახავად ჩადიოდნენ - ან მატარებელს გაჰყვებოდნენ, ან აქლემებით გასწევდნენ. რასა იქმს, როგორ არის, საერთო საცხოვრებელში ხომ არავინ აწყენინა, ან უწესო რამ ხომ არ ჩაიდინა, როგორ სწავლობს, რას ამბობენ მასზე მასწავლებლები... არდადეგების შემდეგ კი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაუყვანიათ აქლემით სკოლისაკენ, ქურქში გახვეული, საროზექის დათოვლილ ველებზე, ყინვასა და ბუქში, ოღონდაც მეცადინეობაზე არ დაგვიანებოდა.

ეჰ, გაფრინდა, აღარ დაბრუნდება ის დღეები! სიზმარივით გაქრა ყველაფერი. იმ პატარა, თვალდაჭყეტილ საბითჟანს ვეღარც მიამსგავსებ ამ სათვალიან, დასრულებულ კაცს, რომელსაც ჩაჭყლეტილი ქუდი ჰხურავს და დაძენძილი ჰალსტუხი ჰკიდია, რომელიც საოლქო ქალაქში მუშაობს და ძალიანაც უნდა დიდკაცად გაჩვენოს თავი, დიდი თანამდებობის მუშაკად. მაგრამ წუთისოფელი ვერაგია, არც ისე იოლია გადიდკაცება, რო-

გორც არაერთხელ დაუჩივლია თვით საბითუანსაც, თუ მაგარი ზურგი არა გაქვს, თუ ნაცნობობა ან ნათესაობა არ მოგდევს. ის კი ვინაა, ვიღაც ყაზანგაპის შვილი, რომელიღაც ბორანლი-ბურანის ასაქცევის მუშაკისა. საწყალი, მაშ! თუმცა ახლა აღარც ასეთი მამა ჰყავს. კიდევ ცოცხალი, თუნდ უვარგისი მამა გერჩივნოს სახელოვან მკვდარ მამას, არადა, ასეთიც რომ აღარაა ახლა...

მალე დაშრა ცრემლები და საქმეზე დაიწყეს ლაპარაკი. მაშინ აღმოჩნდა, რომ ყოვლისმცოდნე ვაჟიშვილი მამის დასასაფლავებლად კი არ ჩამოსულიყო, თავიდან მოშორებას, ჰაიჰარად მიწაში ჩაგდებას უპირებდა თურმე მშობელს და საჩქაროდ უკან გამგზავრებას. კიდევაც გამოთქვა თავისი აზრი - აბა რა საჭიროა იმ სიშორეზე, ანა-ბეიითზე წავჩანჩალდეთ, როცა ირგვლივ ამოდენა სივრცეა - სარი-ოზექის უკაცრიელი ტრამალი, რომელიც აგერ ჩვენი ზღურბლიდან იწყება და ქვეყნის კიდემდეა გადაჭიმულიო. გავთხაროთ სადმე ახლოს საფლავი, რომელიმე მაღლობზე. რკინიგზის გვერდით, დაე, იწვეს იქ ბებერი დარაჯი და ესმოდეს, როგორ მიგრიალებენ მატარებლები იმ გადასარბენზე, სადაც მთელი სიცოცხლე იმუშავაო. ძველი ანდაზაც მოიშველია: მკვდრის პატივი თუ გინდა, მიწა მალე მიაბარეო. რა საჭიროა გაჯანჯლება, ტვინის ჭყლეტა, სულ ერთი არაა, სად ჩაფლავენ მიწაში, ამ საქმეში სიჩქარე ყველაფერს სჯობსო.

თან ამას ამბობდა და თან თავს იმართლებდა, სასწრაფო და დიდი საქმეები მიმელის სამსახურში, ყოველი წუთი დათვლილი მაქვსო, მოგეხსენებათ, უფროსებს სულაც არ ენაღვლებათ, შორსაა თუ ახლოს აქაური სასაფლაო, სამსახურში მითხრეს, ამა და ამ დღეს ამა და ამ საათს გამოცხადდიო, და მორჩა. უფროსები უფროსებია და ქალაქი ქალაქიო...

ედიღეიმ გულში შეიკურთხა. კაცი ამ ხნამდე მოიყარა და ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. შერცხვა და ინანა, ამ ვაჟბატონის დანახვაზე გული რად ამომიჯდა, რა ვუყოთ, რომ ყაზანგაპის ვაჟიაო. ხუთი კაცი იჯდა ძველ განძელებზე, მერხებად რომ მიედგათ კედელთან. ძლივს შეიკავა თავი, ისიც ყაზანგაპის ხათრით, საწყენი და შეურაცხმყოფელი არაფერი ეთქვა ხალხში ასეთ დღეს. ესღა წაილაპარაკა ფეხზე წამომდგარმა:

- იცოცხლე, ირგვლივ ადგილი იყოს. მაგრამ რატომღაც ხალხი თავის მკვდარს ყველგან არა ფლავს მიწაში. ტყუილად არ იქნება ასე, თორემ მიწა ვის ენანება? - ბორანლელები ჩუმად უსმენდნენ და ედიღეიმაც ცოტა ხნის მერე დაამატა: - იფიქრეთ, გადაწყვიტეთ, მე კი წავალ და დავხედავ, იქ როგორაა საქმე.

სახემოქურუხებული, გაავებული გავიდა გარეთ ედიღეი, ცოდვას გაერიდა. კოპები ასხდა შუბლზე. გულფიცხი იყო ედიღეი, ბურანელი ხომ კიდევ იმიტომაც შეარქვეს, რომ ხასიათით იმ თავის ყარანარს ჰგავდა. მარტო რომ ყოფილიყო, გიყვარდეს, იმ ყველაფერს, რისი ღირსიც ბრძანდებოდა. ისეთებს ეტყოდა, თავისი დღენი არ დავიწყებოდა. მაგრამ დედაკაცებს ხომ არ აჰყვებოდა მართლა. აგერ ქალები აღშფოთებით ჩურჩულებენ- სტუმარივით ხელცარიელი ჩამობრძანდა ვაჟი მამის დაკრძალვაზე, ერთი შეკვრა ჩაიც არ ჩამოიტანა, იმ ქალაქელ რძალსაც ვითომ არ ეკადრებოდა ჩამოსვლა. პატივი დაედო და დაეტირა მამამთილი, როგორც ადათი მოითხოვსო, მაგრამ ვინ მისცა სინდის-ნამუსი. როცა ყაზანგაპი ცოცხალი იყო და შეძლება მოსდევდა - ორი მეწველი აქლემი ჰყავდა, თხუთმეტიოდე ცხვარ-ბატკანი - მაშინ ხომ კარგი იყო, მაშინ ხომ ჩამოდიოდა რძალი, ვინემ იმდენი არ ქნა, ყველაფერი არ გააყიდვინა, თავისთან არ გადაიყვანა მამამთილი, შეაძენინა ავეჯი, მანქანა, მერე კი ვეღარ იგუა მოხუცი. ახლა აქეთ არც იყურება. დააპირეს

ქალებმა ალიაქოთის ატეხა, მაგრამ ედიღეიმ აუკრძალა: არ გაბედოთ და ამისთანა დღეს სიტყვა არ დასძრათ, ჩვენ არავინ გვკითხავს, თავისი საქმისა თვითონ იციანო.

საჩეხეში, საითაც ახლა მიაბიჯებდა, საძოვრიდან მოყვანილი ბურანელი ყარანარი ება და დროდადრო გულმოსული ბღაოდა. ერთი-ორჯერ ჭაზე წყლის დასალევად მოჰყვა ჯოგს, თორემ თითქმის მთელი კვირა დღედაღამ თავის ნებაზე დაფარფაშებდა. სულ აიშვა თავი ამ ავაზაკმა. ახლაც უკმაყოფილო ჩანდა - მძვინვარელ აფჩენდა დიდკბილა პირს და დროდადრო ბღაოღა: ახალი ამბავი არაა - თავისუფლების დაკარგვას მიჩვევა უნდა.

გაჯავრებული მიუახლოვდა ყარანარს საბითუანთან ლაპარაკის შემდეგ ედიღეი, თუმცა წინდაწინვე იცოდა, ასე რომ იქნებოდა. თითქოსდა თავს ამადლის ყველას, მამის დაკრძალვაზე რომ ჩამობრძანდა, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოიშოროს ეს ტვირთი. არ იკადრა ედიღეიმ ზედმეტის თქმა, არ ღირდა საამისოდ, ისედაც ყველაფერი მისი გასაკეთებელი იყო. კიდევ კარგი, მეზობლები ამოუდგნენ მხარში. ვინც სამუშაოდ არ იყო წასასვლელი, ხვალინდელი დასაფლავებისა და ქელეხის სამზადისს შეუდგა. ქალებმა ყველა ოჯახიდან ჩამოითხოვეს ჯამ-ჭურჭელი, დააპრიალეს სამოვრები, მოზილეს ცომი და პურის ცხობაც დაიწყეს. კაცები წყალს ეზიდებოდნენ, უკვე გამოუსადეგარ ძველ განძელებს ხერხავდნენ - შეშა და წყალი ამ მოტიტვლებულ ტრამალზე ყველაზე მეტად ჭირდა. მარტო საბითუანი ედებოდა ყველს ფეხებში, საქმეს არავის აცლიდა, ლაქლაქებდა და ყბედობდა ქვეყნის ამბებზე, - ვის რა თანამდებობა ეჭირა ოლქში, ვინ მოხსნეს, ვინ დააწინაურეს. ხოლო მისი ცოლი რომ არ ჩამობრძანდა მამამთილის დასაფლავებაზე, ამისი სულაც არ რცხვენოდა. საოცარია, ღმერთმანი! თურმე მის ცოლს რაღაც

კონფერენცია ჰქონია, ვიღაც უცხოელი სტუმრებიც უნდა დასწრებოდნენ. შვილიშვილებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. კარგი ნიშნებისათვის იკლავენ თურმე გოგოები თავს, გაკვეთილებს არ აცდენენ, რათა საუკეთესო ატესტატი მიიღონ და ინსტიტუტში მოეწყონ. „ეს რა ხალხი წამოვიდა! - თავის გულში იკურთხებოდა ეღიღეი, - ადამიანის სიკვდილი არაფრად მიაჩნიათ!“ ეს აზრი არ აწევდა მოსვენებას: „თუ სიკვდილი მაგათთვის არაფერს ნიშნავს, გამოდის, არც სიცოცხლეს ჰქონია ფასი. რისთვისღა ცხოვრობენ მაშინ ამ ქვეყანაზე? “

ედიღეიმ ბრაზით დაუცაცხანა ყარანარს:

- რა გაბღავლებს, ნიანგო? რომ აგიღერია თავი და ცას შეჰბღავი, ggონია, ღმერთს შენ გარდა საქმე არა აქვს? — როცა წონასწორობას ჰკარგავდა, მაშინ ეძახდა ედიღეი თავის აქლემს ნიანგს. რკინიგზის ჩამოსულმა მუშაკებმა მონათლეს ასე ბურანელი ყარანარი დიდი კბილებისა და სიანჩხლის გამო. - იმდენს იზამ, მაგ ბღავილისთვის მთელ კბილებს ჩაგამტვრევ!

ვინემ ყარანარს კეხს დაადგამდა, ნელ-ნელა მოლბა, ბრაზი გაუნელდა ედიღეის. თვალი ვეღარ მოწყვიტა თავის აქლემს. ლამაზი და ღონიერი იყო ბურანელი ყარანარი. თავამდე ხელს ვერ მიუწვდენდი, თუმცა არც ეღოღეის აკლდა სიმაღლე. ძლივს მოადრეკინა ქედი ყარანარს. იმდენი უკაკუნა მუხლებზე მათრახი და იმდენი ეჩიჩინა მკაცრი ხმით, როგორც იქნა, ჩააჩოქა აბღავლებული და გაურჩებული აქლემი. ხოლო როცა ბოლო-ბოლო ფეხები მოიკეცა, მკერდით მიწაზე გაწვა და დამშვიდდა ყარანარი, ედიღეიც შეუდგა საქმეს.

რაღა სახლი აგიშენებია და რაღა აქლემი შეგიკაზმავს რიგზე და წესზე. ყოველ ჯერზე კეხი ხელალა უნდა გამართო, ამას კი მარიფათიც უნდა და ღონეც. მეტადრე თუ ყარანარისთანა ბუმბერაზ აქლემს კაზმავ.

ტყუილად კი არ ერქვა ყარანარი ანუ შავი ნარაქლემი. შავი, გაბურძგვნილი თავი ჰქონდა, ჯიდაომდე გამოზრდილი შავი წვერი, კისრის ქვემოდან მუხლებამდე ფაფარივით ჩამოყრილი შავი გრუზა ბანჯგვლები, ნარაქლემის ყველაზე დიდი მშვენება - ზურგზე კოშკებივით ამართული ორი მკვრივი კუზი, მოკლე შავი კუდი. სხვა დანარჩენი - ზედა კისერი, მკერდი, ფერდები, ფეხები, მუცელი, პირიქით, ღია წაბლისფერი. იმიტომაც იყო ასე ლამაზი და დიდებული ბურანელი ყარანარი აღნაგობითაც და ფერითაც. უკვე მოწიფულიყო, როგორც ათანი - მესამე ათეულ წელში გადაებიჯა.

აქლემები დიდხანს ცხოვრობენ. ალბათ იმიტომაც მხოლოდ ხუთი წლის ასაკში შობს აქლემი კოზაკს, თანაც ყოველ წელს არა, ორ წელიწადში ერთხელ. ნაყოფსაც სხვა ცხოველებზე დიდხანს, თორმეტ თვეს ატარებს მუცლით. კოზაკს წლამდე, წლისნახევრამდე უნდა გაუფრთხილდე, დაიფარო ტრამალის გამკრავ ქარიდან. მერე კი დღითიდღე იზრდება, დღითიდღე ძალას იმატებს - ვერც სიცივე, ვერც სიცხე, ვერც უწყლობა ვერაფერს აკლებს.

ედიღეი გამოცდილი იყო ამ საქმეში - ბურანელი ყარანარი, თვალისჩინივით ჰყავდა მოვლილი. ჯანისა და ღონის პირველი ნიშანი - შავი კუზები კაჟივით მაგარი ჰქონდა ყარანარს. ჯერ მაშინ აჩუქა ყაზანგაპმა იხვის ჭუკივით გაბუმბლული, პატარა, ძუძუმწოვარა კოზაკი, როცა ედიღეი ომიდან ახალი დაბრუნებული იყო ბორანლი-ბურანის ასაქცევზე დასახლდა. იმხანად ედიღეი ჯეელი იყო - რას იფიქრებდა მაშინ, თუ სიბერემდე აქ მოუწევდა ცხოვრება! ზოგჯერ სურათებს დახედავს და თვალს არ უჯერის. რა ძალიან შეიცვალა - სისვი ცხენივით იქცა, წარბებიც კი გაუთეთრდა, ცხადია, სახეც ის აღარა აქვს. თუმცა ტანი არ დამძიმებიმებია, როგორც ამ ასაკში იცის. როგორღაც თა-

ვისთავად მოხდა - ულვაში მოიზარდა, მერე წვერი, ახლა კი უწ-ვერულვაშობა ვეღარც წარმოუდგენია. მას აქეთ, შეიძლება ით-ქვას, მთელმა ისტორიამ განვლო.

აი, ახლაც, როცა დაწოლილ ყარანარს კაზმავს, ხან შეუყ-ვირებს, ხან ხელს მოუქნევს ჭკუაზე მოსაყვანად, ყარანარი კი გრძელ კისერზე დასკუპულ შავ ბურძგლა თავს მოაბრუნებს აღ-რენილი და ლომივით ბდღვინავს, ედიღეი იხსენებს იმ წლებს და სულს იმშვიდებს...

დიდი წვალებისა და ჯახირის შემდეგ ჩამოაცვა და მოარგო ყარანარს აკაზმულობა. ვინემ კეხს დაადგამდა, ჯერ ყველაზე ძვირფასი, საგარეო ყაჯარი გადააფარა, ძველებური ნახელავი, ფერად-ფერადი გრძელი ფუნჯებით გაწყობილი და ნაქარგი. აღარც ახსოვს, უკანასკნელად როდის მორთო ყარანარი ამ იშ-ვიათი ყაჯრით, უქუბალა ასე რომ დაჰკანკალებს და უფრთხილ-დება. ახლა კი მიეცა საამისო შემთხვევა...

ფეხზე წამოაყენა შეკაზმული ყარანარი ედიღეიმ და დიახაც ნაამები დარჩა თავისი ნამუშევრით. სიამაყეც კი იგრძნო, მედი-დურად, დიდებულად გამოიყურებოდა ყარანარი ამ ფუნჯებიან ყაჯრითა და კუზებშუა ოსტატურად ჩადგმული კეხით. დაე, დატ-კბნენ ახალგაზრდები, მეტადრე საბითჟანი, დაე იცოდნენ: იმ კა-ცის დამარხვა, ვინც ღირსეულად გალია თავისი წუთისოფელი, არც მძიმე ტვირთია და არც ხელისშემშლელი დაბრკოლება, ეს დიდი საქმეა, თუმცა სამწუხარო, და საკადრისი პატივიც უნდა მი-აგოს ყველამ. სად მუსიკით, დროშებით მიაცილებენ სამარის კა-რამდე მიცვალებულს, სად თოფების გრიალით, სად ყვავილე-ბით და გვირგვინებით...

ბურანელი ედიღეი კი, ფუნჯიან ყაჯრით მორთულ ყარა-ნარზე ამხედრებული, ხვალ დილას ანა-ბეიითისკენ გაუძღვება სამგლოვიარო პროცესიას და ყაზანგაპს მის უკანასკნელ საუკუ-

ნო განსასვენებლამდე მიაცილებს... მთელი გზა, ამ ვეებერთელა, უკაცრიელი სარი-ოზექის გადაჭრისას, იგი ყაზანგაპზე იფიქრებს და ამ ფიქრებით მიაბარებს მამაპაპისეულ სამარხის მიწას, როგორც ადრევე ჰქონდათ დათქმული მასა და ყაზანგაპს. დიახ, დათქმული ჰქონდათ. შორსაა თუ ახლოს, ვერავინ გადაათქმევინებს ამას, მიცვალებულის ვაჟიც კი. ყაზანგაპის ნება-სურვილი უნდა აღსრულდეს...

დაე, ყველამ იცოდეს, რომ ეს ასე იქნება, რომ ყარანარი საამისოდ მზად არის, - შეკაზმულია და კეხი ადგას.

დაე, ყველამ შეხედოს და ნახოს. ედიღეიმ აღვირით გამოიყვანა ყარანარი საჩეხედან, ყველა სახლი შემოატარა და მერე ყაზანგაპის მიწურის წინ დააბა. დიახ, ყველამ შეხედოს და ნახოს ბურანელი ედიღეი თავის სიტყვას არ გატეხს და არ უღალატებს. თუმცა არ ყოფილა ამის დასტურყოფა საჭირო. ვინემ ედიღეი ყარანარს შეკაზმავდა, აყლაყუდა ედილბაიმ დრო იხელთა და საბითჟანი განზე გაიხმო:

- წამო, ჩრდილში ვილაპარაკოთ.

ედილბაის ბევრი ლაილაი არ გაუბამს, პირდაპირ მიახალა:

- იცი, რას გეტყვი, საბითჟან, ღმერთს უმადლე. რომ ბურანელი ედიღეისთანა კაცი მოგივლინა ამ ქვეყანას, მამაშენის ძმაკაცი. ამიტომ ხელს ნუ გვიშლი, მამაშენი ადათისამებრ მივაბაროთ მიწას. თუ გეჩქარება, ჩვენ არ გაკავებთ, მიბრძანდი, შენ მაგივრად მე მივაყრი ერთ მუჭა მიწას!

- ეს მამაჩემია და მე ვიცი... - დაიწყო საბითჟანმა, მაგრამ ედილბაიმ აღარ დაამთავრებინა:

- მამა კი შენია, ოღონდ თავი არაა შენი.

- იტყვი რაღა, - უკან დაიხია საბითჟანმა. - კარგი, კარგი.

მოდი, ასეთ დღეს ნუღა ვიდავებთ. კი, ბატონო, ანა-ბეიითი იყოს, რა მნიშვნელობა აქვს, უბრალოდ შორია-მეთქი, ვიფიქრე...

ეს იყო და ეს, მეტი აღარაფერი თქმულა. ხოლო ედიღეი რო მობრუნდა, ყარანარი ყველას დასანახად კართან დააბა და ბორანლელებს უთხრა: „მორჩით, ჯიგიტებს ასეთი ლაყაფი არ ეკადრებათ, ამისთანა კაცი ანა-ბეიითზე უნდა დავასაფლავოთ...“ კრინტი არავის დაუძრავს, უხმოდ დაეთანხმა ყველა...

საღამო და ის ღამე ყველამ მიცვალებულის სახლის წინ, ეზოში გაატარა. კაი დარი იდგა. დღისით ცხელოდა, საღამოს კი სარძნობლად აგრილდა, საროზექის შემოდგომა ახლოვდებოდა. დიდებულმა მდუმარებამ მოიცვა ბინდბუნდში გახვეული მიდამო. ქარი არ ქროდა. სახვალიო ქელეხისთვის დაკლული ცხვარი რომ გაატყავეს, კიდეც დაბნელდა. მერე ათუხთუხებულ სამოვრებთან დალიეს ჩაი და მთისა და ბარისა თქვეს... დასაფლავებისთვის თითქმის ყველაფერი მზად იყო, ახლა გათენებასღა ელოდნენ, რომ ანა–ბეითის გზას დასდგომოდნენ. წყნარად, მშვიდად ვიდოდა ღამეული ჟამი , როგორც ხდება ხოლმე მხცოვანი კაცის მიცვალებისას, ზარისა და ვიშის გარეშე...

ბორანლი-ბურანის ასაქცევზე კი, როგორც ყოველთვის, მიგრიალებდნენ მატარებლები - აღმოსავლეთიდან დასავლეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით...

ასე გახლდათ საქმე იმ საღამოს, ანა-ბეითისაკენ გამგზავრების წინ. ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ერთი უსიამო ამბავი არ მომხდარიყო.

საბარგო მატარებელს აიზადა ჩამოჰყვა თავისი ქმრით მამის დასაფლავებაზე. ჩამოჰყვა და ისეთი წივილ-კივილით მოვიდა, ქალებმაც უმალ ტირილი ატეხეს. მეტადრე უქუბალა იღვრებოდა ცრემლად აიზადას სიბრალულით. ორივენი მწარედ მოთ-

ქვამდნენ და ქვითინებდნენ. ედიღეიმ სცადა აიზადას გაჩუმება: რას იზამ, თავს ვერ მოიკლავ, ბედს უნდა დამორჩილდეო. მაგრამ აიზადა ვერ გააჩუმა და ვერა.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე - მამის სიკვდილი საბაბი გამოდგა აიზადასთვის, ტირილით ეთქვა ის, რაც დიდი ხანია გულში დაგუბებოდა. თმაგაწეწილი და თვალებდასიებული გულმდუღარედ ჩიოდა თავის უბედობაზე - რომ გამგები და ნუგეშისმცემელი არავინ გააჩნია, რომ ცხოვრებამ თავიდანვე დაჩაგრა, ქმარი ლოთი გამოადგა, შვილები დილიდან საღამომდე სადგურზე უპატრონოდ დაწანწალებენ, გახულიგდნენ, ხვალ შეიძლება ყაჩაღობაც დაიწყონ, მატარებლები გაძარცვონ. უფროსმა ბიჭმა სმა დაიწყო, მილიციამ უკვე მოაკითხა, გააფრთხილა - საქმე მალე პროკურტურამდე მივაო. მარტო ქალმა რა გააწყოს, რა მოუხერსოს ექვს შვილს, მათი მამა კი ყურსაც არ იბერტყავს...

აიზადას ქმარი მართლაც ყურს არ იბერტყავდა, იჯდა თავისთვის, მოშვებული, გაბრუებული, დაღონებული. რაც უნდა იყოს, სიმამრის დაკრძალვაზე ჩამოვიდა. იჯდა და იმ თავის აყროლებულ, იაფფასიან სიგარეტებს უხმოდ აბოლებდა. მისთვის ეს ახალი ამბავი არ იყო. იცოდა -- იკივლებს, იწივლებს ქალი და დაიღლება... მაგრამ, საუბედუროდ, ძმა ჩაერია და აირია ყველაფერი. საბითუანმა შეარცხვინა აიზადა: სად გაგონილა ასეთი რამ, მამის დასასაფლავებლად ჩამოვიდა თუ თავის მოსაჭრელად? განა ყაზახმა ქალმა ასე უნდა დაიტიროს დარბაისელი მამა? განა ყაზახი ქალების დიდებული მოთქმა და ზარი ლეგენდებად და სიმღერებად არ ექცა მათ შთამომავლებს საუკუნეების მანძილზე? მათი მოთქმა და ზარი მკვდრებს ვერ აცოცხლებდა, თორემ ცოცხლებს ცრემლების ღვარს აფრქვევინებდა ირგვლივ. აქებდნენ და ცაში აჰყავდათ მიცვალებული -

ასეთი ზარი იცოდნენ ძველად ქალებმა... ის კი რას სჩადის? საწყალობელ წუწუნსა და ჩივილს მოჰყვა, რა უკუღმართი ბედი შენ და ამ ქვეყანაზე!

აიზადა თითქოს ამას ელოდა. უარესად აკივლდა და აწივლდა: ვიშ, რა ჭკვიანი და ნასწავლი ბრძანდები! თუ ასეა, შენს ცოლს ასწვლე ჭკუა. ეგ ლამაზ-ლამაზი სიტყვები მისთვის შეინახე! რატომ თვითონ არ ჩამობრძანდა და არ გვაჩვენა დიდებული ზარი და მოთქვა. სწორედაც მართებდა მამაჩვენის ქება-დიდება. მაგ გველაძუამ და შენ, მისმა უნამუსო ყურმოჭრილმა მონამ. გაქურდეთ და გაძარცვეთ მოხუცი! თითზე გადასახვევი არ შეარჩინეთ. ჩემი ქმარი ხომ ლოთია. მაგრამ აგერ აქა ზის, შენი ჭკუით დაყურსული ცოლი კი სადა ბრძანდება?

საბითჟანმა მაშინ აიზადას ქმარს დაუღრიალა, შენს ცოლს ხმა ჩააწყვეტინეო, იმასაც უცბად რაღაცამ წამოუარა და საბითჟანს ეცა დასახრჩობად.

ძლივს გააშველეს ბორანლელებმა გაწიწმატებული ჭირისუფლები. შერცხვათ, გული აემღვრათ ამ სურათზე, გუნება გაუფუჭდათ. ედიღეიმაც იცოდა, განა არ იცოდა რაც ბრძანდებოდნენ, მაგრამ ამას მაინც არ მოელოდა. გაწყრა და სასტიკად გააფრთხილა და-ძმა: თუ ერთმანეთს არად აგდებთ, მამის ხსოვნას მაინც დადეთ პატივი, თორემ ორივეს გაგისტუმრებთ უკან, არაფერს არ მივხედავ. თქვენს თავსვე დააბრალეთო...

დიახ, ასეთი ცუდი რაღაც მოხდა დასაფლავების წინა ღამეს. მოიჟამა ედიღეი. კვლავ კოპები დაასხდა შუბლზე, კვლავ აეკვიატა, არ ასვენებდა ფიქრები - რად გამოუვიდათ ასეთი შვილები, რა დაემართათ? განა ამას ნატრობდნენ ისა და ყაზანგაპი, განა ამაზე ოცნებობდნენ, როცა ქუმბელის ინტერნატში დაჰყავდათ ისინი სიცივესა თუ სიცხეში, ოღონდაც ესწავლათ, ოღონდაც ხალხში გამოსულიყვნენ, არ ჩარჩენილიყვნენ სარო-

ზექის რომელიმე ასაქცევზე და უღიმღამოდ არ გაეჩანჩალებინათ ცხოვრება, არ ეწყევლათ ბედი, მშობლებმა თავი არ შეიწუხეს ჩვენზეო. უკუღმა კი დატრიალდა ყველაფერი... რა მოხდა, რამ შეუშალათ ხელი კარგი ადამიანები გამოსულიყვნენ, ზიზღი არ გეგრძნო მათ დანახვაზე?..

ღმერთი უშველის აყლაყუდა ედილბაის, კიდევ იმას გამოაჩნდა ალღო და გულისხმიერება, დარდი გააქარვებინა იმ საღამოს ედიღეის. მიხვდა ედილბაი, რა დღეში იყო ედიღეი. შვილები არიან მამის ყველაზე დიდი ჭირისუფლები, ასე იყო ათადან-ბაბადან. რა გინდ ნამუსგარეცხილნი და წყალწაღებულნი არ იყვნენ, რას იზამ ვერ გაყრი, ვერ მოიშორებ. და-ძმას შორის მომხდარმა აყალ მაყალმა ყველას ჩაუშხამა გუნება. ჰოდა, ედილბაიმაც თავისთან გადაიპატიჟა მამაკაცები, ცაში რად ვთვალოთ ვარსკვლავები, ჩემთან წავიდეთ, ჩაი დავლიოთ, ვიბაასოოთო...

თითქოს სხვა ქვეყანაში მოხვდა აყლაყუდა ედილბაისთან ედიღეი. ადრეც ბევრჯერ შეუვლია მეზობელთან და მუდამ ნასიამონები წამოსულა იქიდან, გახარებული. დღეს კი უფრო დიდხანს მოუნდა იქ დარჩენა, სურვილი გაუჩნდა ასეთი - თითქოს სული ჰქონდა დაცლილი და იქ უნდა აევსო.

აყლაყუდა ედილბაიც რკინიგზის მუშა იყო, სხვებივით მასაც ფიცრის სახლის ნახევარი ეჭირა, ორი ოთახი და სამზარეულო, არც სხვებზე მეტი ჯამაგირი ჰქონდა, მაგრამ აქ სულ სხვა სული - სისუფთავე, მყუდროება, სინათლე დასადგურებულიყო. ჩაი რა არის, ჩაიც კი ედილბაის ფიალებში ფიჭის თაფლივით ტკბილი ეჩვენა ედიღეის. ედილბაის ცოლი შესახედავადაც ვარგოდა და ოჯახის დიასახლისადაც. ბავშვები ბავშვებს ჰგავდნენ... სანამ გაეძლებათ, ალბათ მანამდე დარჩებიან საროზექში, ფიქრობდა

ედიღეი გულში, მერე კი უკეთეს ადგილას გადასახლდებიან. ძალიან დაწყდება კია გული, ესენი რომ აქედან წავლენ...

კირზაჩები კართან დატოვა ედიღეიმ და წინდების ამარა შევიდა ოჯახში, ფეხმორთხმული დაჯდა. მთელი დღის მანძილზე ახლა პირველად იგრძნო, რარიგ დაღლილიყო და მოშიებოდა. ფიცრის კედელს ზურგით მიეყრდნო, დადუმდა. დანარჩენები მრგვალ მაგიდას შემოსხდომოდნენ და ხმადაბლა ბაასობდნენ ხან რაზე და ხან რაზე...

ნამდვილი საუბარი მერე გაიბა, უცნაური საუბარი. წუხელ აფრენილი კოსმიური ხომალდის ამბავი ედიღეის აღარც ახსოვდა. ახლა კი მცოდნე ხალხმა ისეთი რაღაცები თქვა, ედიღეიც ჩააფიქრა. განა იმიტომ, რაღაც ახალი აღმოეჩინოს თავისთვის, უბრალოდ გააკვირვა იმათმა მსჯელობამ და თავისმა უცოდინარობამ ამ ამბების ირგვლივ. კოსმოსში გაფრენები, სხვებისთვის ესოდენ საგულისხმო, მისთვის ერთობ შორეული, თითქმის გრძნეული, მაგრამ უცხო ამბავი იყო. ამიტომაც გადარაჯებულ-მოწიწებული გრძნობა ჰქონდა ყოველივე ამისადმი, როგორც რაღაც ყოვლისშემძლე უსახური ნების მოვლინებისას ექნებოდა, დიდი-დიდი. ყურად უნდა იღო, სხვა შენ არ გეკითხება, გინდაც რომ კოსმოსში აჭრილი ხომალდის ხილვამ შეგძრა და თვალი მოგტაცა. სწორედ ამაზე გააბა ბაასი აყლაყუდა ედილბაის სახლში.

ჯერ შუბათი დალიეს - აქლემის რძის კუმისი. ჩინებული შუბათი იყო, გრილი, ქაფმოღებული, ცოტაოდენ მათრობელა, საკონტროლო-სარემონტო ბრიგადის წევრები ყოველთვის ხარბად ეტანებოდნენ ხოლმე ამ სასმელს, საროზექის ლუდს ეძახდნენ. ცხელ საუზმეს არაყიც მოაყოლა ედილბაიმ. ბურანელ ეღიღეის თავპატიჟი არასოდეს გაუდვია, სხვებს არ ჩამორჩენია, მაგრამ ახლა არ გაეკარა და სხვებსაც აგრძნობინა, არაყს მაინ-

ცდამაინც ნუ მიეტანებითო, - ხვალ მძიმე დღე ელოდათ, დიდი გზა ელით წინ. შეშფოთებული უყურებდა, სხვები. მეტადრე საბითჟანი, არაყსა და შუბათს რომ ერთად ეძალებოდნენ. შუბათი და არაყი ერთმანეთს კარგად ეთავსება, ერთ ეტლში შებმულ ბედაურებივით არიან - ადამიანს ბუნებას უხალისებენ. მაგრამ დღეს ხომ გახალისება არავის სჭიროდა. არადა, როგორ უნდა დაუშალო მოწიფულ კაცებს, არ დალიოთო? თავად უნდა იცოდნენ ზომა. ერთადერთი ნუგეში ის იყო, რომ აიზადას ქმარი არაყს არ მიჰკარებია. ლოთს და ბევრი უნდა, ხელად დათვრება. გამოშტერდება, ის კი მარტო შუბათს სვამდა. ეტყობა, ესმოდა მაინც, რომ სიმამრის დასაფლავებაზე გატრეტილი მთვრალი არ შეიძლება იყოს, მეტისმეტი იქნება. თუმცა სანამდე შეიკავებს თავს, ღმერთმა უწყის.

ასე ისხდნენ და მუსაიფობდნენ ათას რამეზე. ედილბაი შუბათს უსხამდა სტუმრებს, თავის გრძელზე გრძელ ხელებს ექსკავატორის ციცხვივით შლიდა და კეცავდა. ჰოდა, როცა სუფრის მეორე თავიდან ედიღეის სავსე ფიალა გაუწოდა, უცებ გაახსენდა:

- ედიქე, გუშინღამ, თქვენ რომ წახვედით, იმავ წუთს ისე შეზანზარდა ჰაერი, კინაღამ წავიქეცი. გავიხედე, რაკეტა აჭრილიყო კოსმოდრომიდან. ვეებერთელა, ხელნასავით უშველებელი! არ დაგინახავთ?

- დავინახე ჰქვია! სახტად დავრჩი! ძალაც ასეთი უნდა ცეცხლს აფრქვევდა ; ზევით-ზევით მიიწევდა, ბოლო აღარ უჩანდა! შემეშინდა კიდეც. ამდენი ხანია აქ მიცხოვრია, მსგავსი არაფერი მნახავს.

- მეც პირველად ვნახე ჩემი თვალით, - გამოტყდა ედილბაი.

- შენ თუ პირველად ნახე, ჩვენ რაღა გვეთქმის, აბა როგორ ვნახავდით, - ვითომ გაიხუმრა საბითუანმა, ედილბაის გაჰკრა კბილი, ასე მაღალი რომ იყო.

აყლაყუდა ედილბაის ცალყბად ჩაეღიმა.

- მე რა მოსატანი ვარ, - ხელი ჩაიქნია მან, - ვუყურებ და თვალებს არ ვუჯერი – ცეცხლი გუგუნებს ცაში, მაშასადამე, ვიფიქრე, ვიღაც გაფრინდა კოსმოსში. გზა მშვიდობისა ჰქონია-მეთქი! ხელად გადავატრიალე ტრანზისტორი, მუდამ თან დამაქვს! ვიფიქრე, ალბათ უკვე რადიოთი გადმოსცემენ მეთქი. ჩვეულებრივ ხომ კოსმოდრომიდან მაშინვეა სიხარულისგან დიქტორი ისე ლაპარაკობს, გეგონება, მიტინგზეაო. ჟრუანტელი დაგივლის ტანში! ძალიან მინდოდა, ედიქე, გამეგო, ვინ იყო, პირადად მე ვინ ვნახე გაფრენისას. მაგრამ ვერაფერი გავიგე.

- ნეტა რატომ? - ყველას დაასწრო საბითუანმა და განცვიფრებით, მრავლისმეტყველად და მედიდურად აჭიმა წარბები. უკვე მოჰკიდებოდა ბრუჟი, გაოფლიანებული და გაწითლებული იყო.

- რა ვიცი, არაფერი გადმოუციათ. მუდამ „მაიაკის“ ტალღაზე მიყენია რადიო. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ...

- შეუძლებელია! აქ რაღაც სხვა ამბავი იქნება! - დაეჭვდა საბითუანი და არაყის ყლუპს უმალ შუბათი დააყოლა. - კოსმოსში ყოველი გაფრენა საქვეყნო ამბავია... გესმის? ჩვენი მეცნიერებისა და პოლიტიკის პრესტიჟის ამბავი!

- მე რა ვიცი, რატომ. საგანგებოდ უკანასკნელ ცნობებსაც ვუსმინე, გაზეთების მიმოხილვასაც.

- ჰმ! - თავი გააქნია საბითუანმა. - სამსახურში რომ ვყოფილიყავი, ცხადია, გავიგებდი! აფსუს, ეშმაკმა დალახვროს. ან იქნებ აქ სხვა რამ ამბავია?

- ვინ იცის, რა ამბავია, ოღონდაც მე კი, ღმერთმანი, გული დამწყდა, - გულწრფელად გამოტყდა აყლაყუდა ედილბაი. ასე მეგონა, ჩემი კოსმონავტი იყო, რაღაი ჩემ თვალწინ გაფრინდა. ვიფიქრე, იქნებ ჩვენი ბიჭებიდან გაფრინდა ვინმე. ვაი, რა სიხარული იქნებოდა. ვნახოთ და სადმე შევხვდე, გაგეხარდება კაცს..

საბითჟანმა საჩქაროდ გააწყვეტინა, თითქოს რაღაცას მიხვდაო.

- ჰოო, მესმის. უპილოტო ხომალდს გაუშვებდნენ, მაშასადამე, საცდელად.

- ეს როგორ? - ალმაცერად შეხედა ედილბაიმ.

-საცდელი ვარიანტი იქნებოდა, უპილოტო ხომალდის შესაპირისპირებლად ან ორბიტაზე გასასვლელად. ჯერ არავინ იცის, როგორ იქნება საქმე. თუ კარგად დამთავრდა, რადიოშიც იქნება ცნობა და გაზეთშიც. თუ არა, შეიძლება არც არაფერი დასწერონ, უბრალოდ მეცნიერული ცდაა.

- მე კი მეგონა, ცოცხალი ადამიანი გაფრინდა-მეთქი, – ედილბაიმ წყენით მოიფხანა შუბლი.

საბითჟანის ახსნა-განმარტებამ ცოტა არ იყოს გული გაუტეხა მსმენელებს და დადუმდნენ, იქნებ საუბარი აღარც გაგრძელებულიყო, რომ თვითონ ედიღეის უნებურად ხელახლა არ დაეწყო:

-მაშასადამე, კოსმოსში ადამიანის გარეშე გაფრინდა რაკეტა, ჯიგიტებო? სწორად გავიგე? კი მაგრამ, ვინ მართავს?

- ვინ? - განცვიფრებით აიქნია ხელები საბითჟანმა და ნიშნისმოგებით გადახედა უვიც ედიღეის. - იქ, ედიღეი, ყველაფერი რადიოს საშუალებით კეთდება. დედამიწის ბრძანებით მართვის ცენტრიდან. ყველაფერს რადიოთი მართავენ, გესმის? გინდაც შიგ კოსმონავტი იჯდეს, რაკეტას მაინც რადიოთი მართავენ.

კოსმონავტს თუ რამის გაკეთება უნდა თვითონ, ამაზე ნებართვა უნდა ითხოვოს... ეს. ქოქეტაი[2] ძვირფასო, ყარანარით მგზავრობა არ გეგონოს საროზექში, იქ ყველაფერი ძალზე რთული გახლავს...

- აბა უყურე შენ, - გაურკვევლად წაილაპარაკა ედიღეიმ.

როგორ შეიძლება რადიოთი მართვა. ბურანელ ედიღეის ვერა და ვერ გაეგო. რადიო მისთვის - ხმები, ბგერები იყო, ეთერში რომ შორი მანძილიდან მოდიოდა. მაგრამ უსულო საგანი როგორ შეიძლება ამდაგვარად მართო? თუ უსულო საგნის შიგნით აღამიანი იქნება, კიდევ ჰო: ის შეასრულებს ბრძანებას - ასე მოიქეცი ისე მოიქეცი. კი უნდოდა კარგად გამოეკითხა ყველაფერი, მაგრამ გადაწყვიტა, არ ღირსო. გულმა არ უქნა რატომღაც და გაჩუმება არჩია. მეტისმეტი მოწყალე კილო ჰქონდა საბითჟანს, აი მე რამდენი ვიცი, თქვენ კი არარაობად მთვლით, ეს ჩემი ლოთი სიძე დასახრჩობადაც მეცა, თუმცა თქვენზე მეტი გამეგებაო. „ღმერთმა კარგად გამყოფოს, - გაიფიქრა ედიღეიმ, – იმიტომაც გასწავლიდით მთელი ცხოვრება. ჩვენისთანა უსწავლელებზე მეტი ვიღაცამ ხომ უნდა იცოდეს“. ისიც კი მოაფიქრდა ბურანელ ედიღეს: „ამისთანა კაცი რომ მთავრობაში მოხვდეს - მტრისას, ყველას შეჭამს, თუ მისმა ქვეშევრდომებმა ყოვლისმცოდნედ არ გაასაღეს თავი. ჯერჯერობით მაგას დაარბენინებ აქეთ-იქით. ჰოდა, საროზექში უნდა იზღოს ყველაფერი, აქ მაინც პირში უყუროს ყველამ...

საბითჟანს ალბათ მართლა უნდოდა საბოლოოდ გაეოგნებინა, რეტი დაესხა ბორანელებისათვის, რათა დასა და სიძესთან სამარცხვინო აყალმაყალის შემდეგ ფასი აწეოდა მათ თვალში, ამ ლაპარაკით ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა.

[2] მოფერებითი, კნინობითი და ამავე დროს მოწყალე მიმართვა.

ჰოდა, მოხსნა გუდა დაუჯერებელ სასწაულებზე, მეცნიერების მიღწევებზე, თან არაყსაც არ ივიწყებდა, ყლუპ-ყლუპით სვამდა, ზედ შუბათს აყოლებდა. ამან უფრო და უფრო შეახურა და ისეთი გაუგონარი რაღაცები დაფქვა, საწყალმა ბორანელებმა აღარ იცოდნენ, რა დაეჯერებინათ და რა არა.

- აბა, თვითონ განსაჯეთ, - ამბობდა იგი და აპრიალებული სათვალიდან აგზნებით, მომნუსხველად უცქერდა ყველას, - გაგება რომ გვქონდეს, ჩვენზე ბედნიერი ხალხი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. აი, შენ, ედიღეი, ყველაზე უფროსი ხარ ჩვენში. შენ იცი, ადრე როგორ იყო და ახლა როგორ არის. ამას რატომ ვამბობ? ადრე ხალხს ღმერთებისა სწამდა. ძველ საბერძნეთში ღმერთები თურმე ოლიმპოს მთაზე ცხოვრობდნენ. მაგრამ რა ღმერთები იყვნენ ისინი?! წმიდაწყლის ობროდები. რა შეეძლოთ? ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, აი, რით გაითქვეს სახელი, ადამიანის ცხოვრება კი ვერ შეცვალეს, თავი არც აუტკივებიათ ამაზე. ეს ღმერთები არც ყოფილან, მხოლოდ მითია, ზღაპარი. ჩვენი ღმერთები კი აგერ იქ, ჩვენ გვერდზე, კოსმოდრომზე ცხოვრობენ, ჩვენი საროზექის მიწაზე, მთელი მსოფლიოს წინაშე ამით მოგვაქვს თავი. ჩვენ მათ არ ვხედავთ, არ ვიცნობთ და არც უნდა ვიცნობდეთ, არცაა წესი და არც მართებს ყოველ შემხვედრ მირქინბაი-შიიქიმბაის ხელი მიაჩეჩოს: გამარჯობა, რასა იქმო? მაგრამ ისინი ნამდვილი ღმერთები არიან! აი, შენ, ედიქე, გიკვირს, როგორ მართავენ კოსმიურ ხომალდებს რადიოთი. ეს რაა, ეს სისულელეა, უკვე განვლილი საფეხურია! ეს აპარატურა, მანქანები მოქმედებენ პროგრამის მიხედვით. მაგრამ დადგება დრო, როცა რადიოს მეშვეობით ადამიანებსაც დაუწყებენ ავტომატების დარად მართვას. გესმით - ადამიანებს, სუყველას, დიდსაც და პატარასაც. უკვე არის საამისო მეცნიერუ-

ლი მონაცემები. მეცნიერებამ ამასაც მიაღწია, ზენა მიზნებიდან გამომდინარე.

- დაიცა, დაიცა, რა ხელდახელ ზენა მიზნებს მიახტები ხოლმე! - გააწყვეტინა აყლაყუდა ედილბაიმ. - შენ ის მითხარი, რაღაც ჩემამდე ვერ დადის, მაშასადამე, ყველამ სულ პატარა რადიომიმღები უნდა ვატაროთ, ტრანზისტორის მსგავსად, ბრძანება რომ გავიგოთ? მაგრამ ასე ხომ უკვე ყველგანაა!

- აბა შენა ხარ! ამაზე ვინ ლაპარაკობს? ეს სისულელეა, ეს ბალღური ოინებია! არაფერიც არ უნდა ატარო, გინდაც დედიშობილა იარე. ოღონდაც უხილავი რადიოტალღები - ეგრეთწოდებული ბიოდენები - ნიადაგ იმოქმედებენ შენზე, შენს შეგნებაზე. მაშინ რაღას იზამ?

- ეგრეა?

- მაშ რა გეგონა! ადამიანი ყველაფერს ცენტრის კარნახით გააკეთებს. იმას ჰგონია, თავისით ცხოვრობს და მოქმედებს, თავისი ნებით, სინამდვილეში კი ზემოდან უთითებენ, მკაცრი განრიგის მიხედვით. უნდა იმღერო - სიგნალი იქნება და იმღერებ. უნდა იცეკვო - სიგნალი იქნება და იცეკვებ. უნდა იმუშაო - სიგნალი იქნება და იმუშავებ, მერედა როგორ იმუშავებ! ქურდბაცაცობა, ხულიგნობა, ბოროტმოქმედება - დავიწყებას მიეცემა, მარტო ძველ წიგნებში წაიკითხავენ ამაზე, ვინაიდან და რადგან ყველაფერი იქნება გათვალისწინებული - ადამიანის ყველა საქციელი, ყველა ფიქრი, ყველა სურვილი. მაგალითისათვის ვთქვათ, მსოფლიოში ახლა დემოგრაფიული აფეთქებაა, ესე იგი ადამიანები მეტისმეტად გამრავლდნენ, საჭმელი არ ჰყოფნით. რა არის ამის წამალი? ის, რომ დაბადება შემცირდეს. ცოლთან მაშინ გექნება საქმე, როცა სიგნალს მიიღებ, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

- ზენა მიზნებიდან, ხომ? – ცოტა არ იყოს იქედნურად დაა-აზუსტა აყლაყუდა ედილბაიმ.

- სწორედაც ეგრე, სახელმწიფო მიზნები ყველაფერზე მაღლა.

- თუკი მაგ მიზნების გარეშე მომინდა ცოლთან ან კიდევ სხვა რამ?

- ედილბაი, ძვირფასო, არაფერიც არ გამოგივა, ასეთი აზრი თავშიც არ გაგივლის. მზეთუნახავიც რომ გაჩვენონ, ზედაც არ შეხედავ. იმიტომ რომ უარყოფით ბიოდენებს ჩაგირთავენ. ამ საქმესაც, მერწმუნე, ღამი მოიყვანენ. ან ავიღოთ სამხედრო საქმე, ყველაფერი სიგნალით იქნება. ცეცხლში შევარდნა იქნება საჭირო, ცეცხლში შევარდები, პარაშუტით უნდა გადმოხტე - თვალსაც არ დაახამხამებ, ატომური ნაღში ტანკქვეშ უნდა ააფეთქო -- კი, ბატონო, ამ წუთას. რატომ, მკითხავ? სიმამაცის ბიოდენი ჩაირთვება -- და მორჩა, შიმმა ჭირი მოგჭამა... ასეა, მაშ!

- ვაჰ, რა ცრუპენტელა ყოფილხარ! რას აბრახუნებ! ნეტა ამდენი წელი რას გასწავლიდნენ? - გულწრფელად უკვირდა ედილბაის.

სხვები სიცილს ვერ იკავებდნენ, თავს აქნევდნენ, ცქმუტავდნენ, აბა, უყურე. რა ზღაპრებს ჰყვება ბიჭი, მაგრამ მაინც უსმენდნენ - მერე რა, რომ ეშმაკ-ქაჯურ რაღაცებს როტავს, საინტერესო კია, არგაგონილი. თუმცა მთვრალს რა მოეკითხება, არაყთან ერთად შუბათს ყლურწავს, იყბედოს, რამდენიც უნდა. სადღაც რაღაც გაუგონია, რაღაცისათვის მოუკრავს ყური, მაგრამ რაა მართალი და რა ტყუილი. ღირს კია თავის მტვრევა. და მაინც ედიღეი ერთ პირობა შიშის ზარმა აიტანა - ვთქვათ და ტყუილად არ ჩხავის ეს ჩვენი ყბედი, ალბათ საღაც ამოიკითხა ან ყური მოჰკრა, ეგ ყველაფერს ჰაერში იჭერს სად რა ხდება

ცუდი და ავი. ვთქვათ და დასტურ არიან სადმე ისეთი ადამიანები, თანაც დიდი მეცნიერები, რომლებსაც მართლა სწყურიათ ღმერთებივით თავიანთ ნება-სურვილზე ატრიალონ სალნი?..

საბითჟანი კი ერეკებოდა და ერეკებოდა თავისას, მეტადრე რომ მსმენელები ჰყავდა. სათვალე დაეოფლა, გუგები გაუგანივრდა, როგორც კატას სიბნელეში, ხან არაყს ყლურწავდა და ხან შუბათს. ახლა ხელების ქნევით რომელიღაც ბერმუდის სამკუთხედზე ჩმახავდა რაღაცას. ეს კუნძული ოკეანეშიაო, იქ გემები იღუპებიან, თვითმფრინავები უგზოუკვლოდ იკარგებიანო.

- აგერ ჩვენს ოლქში ერთი კაცი იყო, თავს იკლავდა, ისე უნდოდა საზღვარგარეთ წასვლა. ნეტა რა დარჩენოდა იქ! ჰოდა, გაემგზავრა კიდევაც თავისდა ჭირად. იმეტიჩრა, სხვებს თავზე გადაახტა. გაფრინდა, არ ვიცი, ურუგვაიში თუ პარაგვაიში და კიდეც მოგჭამა ჭირი. ზედ ბერმუდის სამკუთხედზე თვითმფრინავი ფაფუ! აორთქლდა, გაქრა. დაიღუპა კაცი! ამიტომაც, მეგობრებო, რა საჭიროა ვისმე ეხვეწო, ნებართვაზე ემუდარო, სხვებს გადაახტე, ბერმუდის სამკუთხედების გარეშე როგორმე გავძლებთ, იხარე, იცხოვრე შენს მიწაზე, ჯანმრთელობა არ მოგაკლოს ღმერთმა მოდით, ჩვენი ჯანმრთელობისა შევსვათ!

„ოჰო, გაუტია მისებურად! - გულში შეიკურთხა ედიღეიმ. ახლა თავის საყვარელ არაკს მოაყოლებს. ეს რა ჭირია! დალევა თუ არა, მაშინვე მუხრუჭები მოეშლება!“ ასეც მოხდა.

- მაშ შევსვათ ჩვენი ჯანმრთელობისა! - გაიმეორა საბითჟანმა და ამღვრეული, აცაბაცა მზერა მოავლო ყველას, თუმც მაინც ცდილობდა მედიდური იერი არ დაეკარგა. - ჩვენი ჯანმრთელობა ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამ ჩვენი ქვეყნისა, მაშასადამე, ჩვენი ჯანმრთელობა - სახელმწიფო ქონებაა. დიახ. ბატონო! არც ისეთი უბრალო ხალხი გახლავართ, სახელმწიფო ხალხი გვქვია კიდევ მინდა გითხრათ...

სწრაფად წამოდგა ბურანელი ედიღეი, საბითჟანს სადღეგრძელოს დამთავრება არ აცალა, გარეთ გავიდა. პარმაღზე, ბნელში, რაღაცას გაჰკრა ფეხი - ცარიელი ვედრო თუ რაღაც ჯანდაბა აახრიგინა - ფეხები ჩაჰყო გაყინულ კირზაჩებში და შინისკენ გასწია. „ვაი, საწყალო ყაზანგაპ! - უხმოდ დაიკვნესა მწარედ და ულვაში ჩაიკვნიტა, - ეს რა გამოდის – არც სიკვდილს დაგიდევს და არც გლოვას. გათხლაშულა სკამზე, იჭყიპება არაყით, თითქოს ქეიფში იყოს, არაფერი ანაღვლებს! მოიგონა რაღაც ჭირად ის წყეული არაკი -- სახელმწიფო ჯანმრთელობაო, და სულ ამას გაიძახის. ღმერთმა ქნას, ხვალ ადათისამებრ მოვაგვაროთ ყველაფერი. რომ დავასაფლავებთ და პირველ ქელეხს გადავიხდით, მაგის ფეხი აღარ იქნება ჩვენთან, თავიდან მოგვშორდება, ვის რა ოხრად უნდა აქ ან თვითონ ვინ რაში ჭირდება?!“

ისე კი თურმე კაი დიდხანს მსხდარან აყლაყუდა ედიბაისთან.

შუაღამე გადასულიყო. ღრმად ისუნთქავდა ედიღეი საროზექის ცივ ჰაერს. ხვალ ალბათ მზიანი, მშრალი დღე იქნება, საკმაოდ ცხელი. მუდამ ასეა. დღისით ცხელა, ღამღამობით კი ცივა. კანკალი აგიტანს კაცს. იმიტომაც გახრიოკებულა აქაურობა - მცენარეები ვერ ხარობენ, დღისით მზისკენ მიისწრაფიან, აყელყელდებიან, ცვარს ნატრობენ, ღამე კი სიცივე აზრობთ, იმიტომაც მხოლოდ ნარეკალა და აბზინდა ძლებს აქ, ისინი ხარობენ მარტო. ხევის ნარიყზე თუ იპოვი ალაგ-ალაგ ბუჩქა-ბუჩქა ბალახს, იმას თუ გაცელავ თივად. ბურანელი ედიღეის ძველი დოსტი - ელიზაროვი, გეოლოგი რომ იყო, ჰყვებოდა კი არადა, პირდაპირ სურათს გიხატავდა, რა დიდებული, ბალღაზიანი მინდვრები ყოფილა აქ. ჰავაც სხვანაირი, წვიმა სამჯერ უფრო მეტი მოდიოდა თურმე. ცხოვრებაც, ცხადია, სხვა იყო, საროზექში ნა-

ხირი, რემა, ფარა დადიოდაო. ალბათ დიდი, დიდი ხნის წინათ იყო ეს ყველაფერი, ალბათ იმაზე ადრე, ვიდრე აქ ჟუანჟუანების მძვინვარე ტომი ჩამოეთესლებოდა, რომელთა კვალი საუკუნეებმა წაშალა. გადმოცემა დარჩა მარტო, თორემ ამდენი ხალხი საროზექში როგორ დაეტეოდა. ტყუილად კი არ იძახდა ელიზაროვი: საროზექი ტრამალების ისტორიის დავიწყებული წიგნიაო... მისთვის რომ გეკითხა, ანა-ბეიითის სამარხიც შემთხვევითი ამბავი არ იყო. ზოგი მწიგნობარი ისტორიად მარტო იმას თვლის. რაც ქაღალდზე წერია. მაგრამ თუ იმ ხანებში წიგნები არ იწერებოდა, მაშინ რას იტყვი?..

გრიალით მიქრი-მოქროდნენ ასაქცევზე მატარებლები. ყურს უგდებდა ედიღეი ამ გრიალს და რატომღაც არალის ზღვის ქარიშხლები ახსენდებოდა. არალის ნაპირზე დაიბადა, გაიზარდა და ომამდე დაჰყო ედიღეიმ. ყაზანგაპიც არალელი ყაზახი იყო. იმიტომაც დაახლოვდნენ, როცა რკინიგზაზე ამოჰყვეს თავი. ბევრჯერ მონატრებიათ საროზექში თავიანთი ზღვა. ყაზანგაპის სიკვდილამდე არც ისე ადრე ორივე გაემგზავრა ზღვაზე. თურმე ზღვას გამოემშვიდობა ბებერი. ჯობდა კი არ წასულიყვნენ. გუნება ჩაიშხამეს და მეტი არაფერი. სადღა იყო ზღვა, თურმე შრება, ქრება არალი. ათიოდე კილომეტრი იარეს დამშრალ, მოტიტვლებულ თიხნარზე, ვინემ წყლის პირს მიაღწევდნენ. მაშინ თქვა ყაზანგაპმა: „ანა-ბეიითზე უნდა დამმარხო, ედიღეი! ზღვას მეტად ვეღარ ვიხილავ!..“

სახელოთი მოიწმინდა მომდგარი კურცხალი ბურანელმა ედიღეიმ, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა. ხმაზე არ შეტყობოდა გულაჩვილება. და ყაზანგაპის მიწურში შევიდა. იქ ჭირისუფლად აიზადა, უქუბალა და სხვა ქალები ისხდნენ. ბორანლელი ქალებიდან ხან ვინ შემოვიდოდა და ხან ვინ, ცოტა ხანს რომ მჯდარიყო და საქმეში წაშველებოდა სხვებს.

საჩეხეს რომ ჩაუარა, ედიღეი წამით შეჩერდა მიწაში ჩარჭობილ როკიან პალოსთან, სადაც შეკაზმული და ფუნჯიანი ყაჯრით დამშვენებული ბურანელი ყარანარი იდგა, მთვარის შუქზე სპილოსებრ ვეება, დინჯი და ძლიერი. ედიღეიმ ვერ მოითმინა, აქლემს ფერდზე გაჰკრა ხელი:

- რა კაი ვიღაც ხარ!

რატომღაც ზღურბლზე გაახსენდა ედიღეის, თვითონაც არ იცოდა, რატომ, წუხელ რომ მელამ მოირბინა რკინიგზასთან, მან კი ვერ გაბედა, გადაიფიქრა ქვა ესროლა მელასათვის; ისიც მოაგონდა, როცა შინ მიდიოდა, როგორ აიჭრა კოსმოდრომიდან ცეცხლოვანი ხომალდი ცის შავ უფსკრულში...

თავი 3.

ამ დროს წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ განედებში უკვე გათენებული იყო, დილის რვა საათი იქნებოდა. თვალისმომჭრელად ჩახჩახებდა მზე, უსაზღვრო შუქად ეღვრებოდა მობრკიალე უკიდეგანო სივრცეს. აქ, ქვეყნის ამ კიდეზე მხოლოდ ცისა და წყლის საუფლო იყო. მაგრამ სწორედ აქ, ავიოსან „კონვენციის“ ქიმზე, თამაშდებოდა მსოფლიო დრამა, რის თაობაზე გემის მიღმა ჯერ კაციშვილმა არ უწყოდა და რაიც კოსმოსის ათვისების მთელი ისტორიის მანძილზე ამერიკულ-საბჭოთა ორბიტალურ საღგურ „პარიტეტზე“ მომხდარ გაუგონარ შემთხვევას გამოეწვია.

ავიოსან „კონვენციას“ - ერთობლივი პლანეტოლოგიური პროგრამა „დემიურგის“ სტრატეგიულ შტაბს - რომელმაც მყის შეწყვიტა ყოველგვარი კავშირი გარე სამყაროსთან, არ შეუცვლია თავის მუდმივი ადგილ-სამყოფელი ალუეტის კუნძულების სამხრეთით წყნარ ოკეანეში, პირიქით, მეტი სიზუსტით მოახდინა ამ რაიონში კოორდინირება, რომ საჰაერო გზით ზუსტად ერთნაირი მანძილით ყოფილიყო დაშორებული როგორც სანფრანცისკოდან, ისე ვლადივოსტოკიდან.

თვით სამეცნიერო გემზეც მოხდა ზოგი რამ ცვლილება. პროგრამის ამერიკულ და საბჭოთა გენერალური თანახელმძღვანელობის მითითებით. კოსმიური კავშირის ბლოკის ორივე მორიგე ოპერატორი, რომლებმაც „პარიტეტზე“ მომხდარ საგანგებო ამბის თაობაზე ინფორმაცია მიიღეს. დროებით, მაგრამ

მკაცრად იყვნენ იზოლირებელნი, რათა მომხდარ ამბავს საიდანმე არ გაეჟონა...

„კონვენციის“ ეკიპაჟს შორისაც გაძლიერებული მზადყოფნის მდგომარეობა შეიქმნა, თუმცაღა გემს სამხედრო დანიშნულება არ ჰქონდა, მით უმეტეს, არც შეიარაღებული იყო და, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო გადაწყვეტილებით, საერთაშორისო ხელუხლებლობის სტატუსით სარგებლობდა. მსოფლიოში ეს ერთადერთი არასამხედრო ავიოსანი გახლდათ.

დღის თერთმეტი საათისათვის, ხუთი წუთის შუალედით, „კონვენციაზე“ ორივე ქვეყნის საპასუხისმგებლო კომისიის ჩამოსვლას მოელოდნენ, რომელნიც განსაკუთრებული უფლებებით იყვნენ მოსილნი სასწრაფო გადაწყვეტილებისა და პრაქტიკული ღონისძიებების მისაღებად, რასაც უცილობლად მიიჩნევდნენ თავიანთი ქვეყნების უშიშროებისა და მშვიდობის დაცვისათვის.

ასე და ამგვარად, ავიოსანი „კონვენცია“ ამ დროს ალეუტის სამხრეთით, გაშლილ ოკეანეში იღდგა, ვლადივოსტოკსა და სანფრანციკოდან ერთნაირ მანძილზე. ეს მდებარეობა შემთხვევით როდი იყო შერჩეული. როგორც არასდროს, ისეთი სიცხადით გამოვლინდა ამჯერად პროგრამა „დემიურგის“ შემომქმედთა გამჭრიახობა და წინდახედულება. რამეთუ გემის, მდებარეობაც კი, რომელზედაც პლანეტოლოგიურ გამოკვლევათა ერთობლივად შემუშავებული გეგმა ხორციელდებოდა, ამტკიცებდა სრული თანასწორობის პრინციპებს, სრულიად პარიტეტულ საწყისებს ამ უნიკალურ სამეცნიერო-ტექნიკურ საერთაშორისო თანამშრომლობისას.

ავიოსანი „კონვენცია“, მისი მოწყობილობა, აღჭურვილობა, ენერგიის მარაგი თანასწორად ეკუთვნოდა ორივე მხარეს

და ამგვარად ორივე სახელმწიფო კოოპერატიულ გემს წარმოადგენდა. იგი პირდაპირი და ერთდროულად მოქმედი რადიო-სატელეფონო-სატელევიზიო ხაზით იყო დაკავშირებული როგორც ნევადის, ისე საროზექის კოსმოდრომებთან. ავიოსანზე იმყოფებოდა რვა, თითოეული მხრიდან ოთხ-ოთხი, რეაქტიული თვითმფრინავი, რომმელთა მეშვეობით მუდმივად ხორციელდებოდა ყველა სატრანსპორტო მოძრაობა თუ ტვირთის გადატანა, ერთიც მართვის საერთო ცენტრს სჭირდებოდა ხმელეთთან ყოველდღიური კავშირისთვის. „კონვენციაზე“ იმყოფებოდა ორი პარიტეტ-კაპიტანი - ერთი საბჭოთა და ერთი ამერიკელი: პარიტეტ-კაპიტანი 1-2 და პარიტეტ-კაპიტანი 2-1; ყოველი მათგანი უფროსი გახლდათ თავისი მორიგეობის ხანს. მთელი გემის ეკიპაჟი - პარიტეტ-კაპიტანთა, თანაშემწენი, შტურმანები, მექანიკოსები, ელექტრიკოსები, მეზღვაურები, სტიუარდები ორივე მხარეს თანატოლი რაოდენობით შეერჩია.

იმავე სისტემაზე იყო აგებული სამეცნიერო ტექნიკური შემადგენლობაც. დაწყებული პროგრამის გენერალური თანახელმძღეა ნელობით თითოეული მხრიდან - 1-2 და 2-1 მთავარი პარიტეტ-პლანეტოლოგებით, მომდევნო მეცნიერ-მუშაკებიც ყველა დარგისა ასევე თანატოლი რაოდენობით იყო შერჩეული ორივე მხრიდან. კოსმოსური სადგურიც, რომელიც დედამიწიდან დღესდღეობით ყველაზე შორეულ ორბიტა „ტრამპლინზე“ მდებარეობდა, „პარიტეტად“ იწოდებოდა და იმ ურთიერთდამოკიდებულების არსს გამოხატავდა, დედამიწაზე რომ არსებობდა.

რაღა თქმა უნდა, ყოველივე ამას დიდძალი სხვადასხვაგვარი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა წინ ორივე ქვეყნის სამეცნიერო, დიპლომატიური თუ ადმინისტრაციული დაწესებულებებისა. ცოტა წლები როდი დასჭირდა, ვინემ ორივე მხარე

უთვალავ შეხვედრებსა და თათბირებზე პროგრამა „დემიურგის“ ზოგად თუ კერძო საკითხებზე შეთანხმდებოდა.

პროგრამა „დემიურგს“ ამ საუკუნის კოსმოლოგიურ პრობლემათა შორის ყველაზე დიდი ამოცანა დაესახა - შეესწავლა პლანეტა „იქსი“. მისი მინერალური რესურსების გამოყენების მიზნით, იგი ხომ მიწისშვილთა წარმოდგენით გაუგონარ და წარმოუდგენელ შიდა ენერგიის მარაგს შეიცავდა. ვარსკვლავის ზედაპირზე თითქმის თავისუფლად მდებარე ასეული ტონობით იქსისეული მადანი იმდენი რაოდენობის შიდა ენერგიას გამოათავისუფლებდა შესაფერი დამუშავების შედეგად, რამდენიც გადამუშავებული სახით მთელ ევროპას ელექტროობისა და სითბოს სახით მთელი წელი დასჭირდებოდა. ასეთი გამოდგა მატერიის ენერგეტიკული ბუნება იქსზე, რომელიც გალაქტიკის საგანგებო პირობებში ხანგრძლივი პლანეტარული ევოლუციის შედეგად წარმოშობილიყო მილიარდობით წლობის მანძილზე. ამას მოწმობდა ნიადაგის სინჯები, არაერთგზის რომ ჩამოეტანათ კოსმიურ აპარატებს იქსის ზედაპირიდან, ამაზე ღაღადებდა ჩვენი მზიური სისტემის ამ წითელ პლანეტაზე ხანმოკლედ გადამსხდარ ექსპედიციათა შედეგებიც.

გადამწყვეტ მამოძრავებელ ძალად, იქსის ათვისების პროექტის სასარგებლოდ, აღმოჩნდა გარეგნულად უდაბნოდ მზირალი იქსის პლანეტის წიაღში მდებარე თავისუფალი წყალი, რაც მთვარის და ვენერას ჩათვლით მეცნიერებისათვის არც ერთ ცნობილ პლანეტაზე არ აღმოჩენილა. იქსზე რომ წყალი უდავოდ იყო, ეს სინჯებმაც დაადასტურა. მეცნიერთა გამოანგარიშებით იქსის ზედაპირის ქვეშ წყალი შესაძლოა რამდენიმე კილომეტრის სისქეზე ყოფილიყო, რასაც უცვლელ მდგომარეობაში აჩერებდა ქვემოთ მდებარე ცივი, ქვიანი ქანების ფენები.

იქსის ვარსკვლავზე სწორედ წყლის ესოდენ უზარმაზარი რაოდენობის არსებობა უზრუნველყოფდა პროგრამა „დემიურგის“ რეალობას. წყალი ამ შემთხვევაში არათუ ტენიანობის წყაროს წარმოადგენდა, არამედ სხვა ელემენტთა სინთეზირების აღმოსავალ მასალასაც, იმ ელემენტთა, რომელნიც აუცილებელი იყო უცხო პლანეტათა პირობებში სიცოცხლის შესანარჩუნებლად ადამიანის ორგანიზმის ნორმალური არსებობისათვის, პირველ ყოვლისა კი სუნთქვისათვის საჭირო ჰაერისა. საწარმოო თვალსაზრისით წყალი მთავარი გახლდათ იქსისეული ქანების პირველადი ფლოტაციის ტექნოლოგიაში, მათი გადმოტვირთვის დროს ტრანსკოსმიურ კონტეინერებში.

ჯერჯერობით კვლავ ბჭობა და მსჯელობა მიმდინარეობდა იმ საკითხის ირგვლივ, სად უფრო მართებული იქნებოდა იქსისეული ენერგიის მიღება: კოსმოსის ორბიტალურ სადგურებზე, რომ მერე გეოსინქრონული ორბიტებით მიწაზე გადაეცათ, თუ უშუალოდ თვით მიწაზე. მაგრამ დრო ჯერ კიდევ ითმენდა.

უკვე მზადდებოდა მებურღეთა და ჰიდროლოგთა ჯგუფის დიდი და ხანგრძლივი ექსპედიცია იქსის პლანეტაზე, რომლებსაც უნდა უზრუნველეყოთ იქსის წიაღიდან წყლის მუდმივი და ავტომატური ნაკადი წყალსადენთა სისტემაში. ორბიტალური სადგური „პარიტეტი“, მთამსვლელთა გამოთქმას თუ ვიმართ, მთავარი საბაზო ბანაკი იყო იქსის გზაზე. „პარიტეტზე“ უკვე მოწყობილი იყო საჭირო კონსტრუქციები სატრანსპორტო „მაქოების“ მისადგომად და გადასატვირთ-გადმოსატვირთად, იქსსა და „პარიტეტს“ შორის რომ ივლიდნენ. დროთა ვითარებაში, ბლოკების დადგმისთანავე, „პარიტეტზე“ - ასზე მეტი ადამიანი მოთავსდებოდა ფრიად კეთილმოწყობილ პირობებში, მიწიდან მიღებულ გამუდმებული სატელევიზიო გადაცემების ჩათვლით.

ამ დიდ კოსმიურ წამოწყებაში იქსის წყლის მოპოვება და მისი ანალიზი იმ საწარმოო საქმიანობის პირველი აქტი იქნებოდა, ადამიანს რომ ოდესმე განეხორციელებინა თავისი პლანეტის საზღვრებს მიღმა...

ეს დღეც საცაა დადგებოდა. ყველაფერი საამისოდ ეწყობოდა...

საროზექისა და ნევადის კოსმოდრომებზე უკვე მთავრდებოდა უკანასკნელი მოსამზადებელი სამუშაოები იქსზე ჰიდროტექნიკური ოპერაციისთვის. ორბიტა „ტრამპლინზე“ გასული „პარიტეტი“ მზად იყო კოსმიური ყამირელების პირველ სამუშაო ჯგუფის გასაყვანად იქსის პლანეტაზე.

თანამედროვე კაცობრიობა უკვე მიწისმიღმური ცივილიზაციის სათავეებთან იდგა...

სწორედ ამ დროს, იქსის პლანეტაზე ჰიდროლოგების პირველი ჯგუფის გაგზავნის წინადღეს, ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე“ ხანგრძლივ კოსმიურ მორიგეებად მყოფი ორი პარიტეტელი კოსმონავტი უკვალოდ გაქრა.

კოსმონავტები არ პასუხობდნენ, არ ეხმაურებოდნენ არა სიგნალს, არც კავშირისთვის დადგენილ საათებში და არც სხვა დროს. ამან ფრიად დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა - სადგურის ადგილსამყოფელის მუდმივად აღმნიშვნელ გადამწოდებისა და მისი მოძრაობის მაჩვენებელი კორექციის არხის გარდა რადიო-სატელევიზიო კავშირის სხვა დანარჩენი სისტემები არ მოქმედებდა.

დრო მიდიოდა. „პარიტეტი“ არანაირ მიმართვას არ ეხმაურებოდა. „კონვენციაზე“ შეშფოთებამ თანდათან იმატა. რა ვარაუდი და მოსაზრება არ წარმოიშვა. რა დაემართათ პარიტეტ-კოსმონავტებს? რატომ სდუმან? ავად ხომ არ არიან, ხომ არ მოწამლა უვარგისმა საჭმელმა? ან არიან კი ცოცხლები?

დაბოლოს უკანასკნელ ხერხს მიმართეს - სადგურზე საერთო სახანძრო საგანგაშო სისტემის ჩასართველად სიგნალი გაგზავნეს. მაგრამ არც ამ საშიშმა ნიშანმა გასჭრა.

პროგრამა „დემიურგს“ დიდზე დიდი ხიფათი ემუქრებოდა. მაშინ მდგომარეობის გასარკვევად მართვის საერთო ცენტრმა უკანასკნელი ღონე იხმარა. „პარიტეტზე“ ნევადისა და საროზექის კოსმოდრომებიდან სასწრაფოდ გაფრინდა ორი ხომალდი ორი კოსმონავტით.

ერთობლივი და ერთდროული შეპირაპირების განხორციელებისთანავე, რაც თავისთავად უაღრესად ძნელი საქმე გახლდათ „პარიტეტზე“ შეღწეულ კოსმონავტ-კონტროლიორების გადმოცემულმა პირველმა ცნობამ ყველა გააოგნა და სახტად დატოვა. შემოიარეს რა ყველა ლაბორატორია, ყველა სართული, ყველა კუთხე თუ კუნჭული, მათ განაცხადეს, რომ პარიტეტ-კოსმონავტები ვერც ცოცხლები და ვერც მკვდრები ვერსად ნახეს...

ამას ვერავინ იფიქრებდა, ვერა კაცი ვერ წარმოიდგენდა. რა მოხდა, სად გაქრა ის ორი ადამიანი, რომლებიც სამ თვეზე მეტხანს ორბიტალურ სადგურზე იმყოფებოდნენ და აქამდე პირნათლად ასრულებდნენ ყველა მოვალეობას? მართლა და მართლა ხომ არ აორთქლებოდნენ. ღია კოსმოსში ხომ არ გავიდოდნენ!

„პარიტეტის“ შემოწმება პირდაპირი რადიო-სატელევიზიო ხაზით ხდებოდა ორივე გენერალურ თანახელმძღვანელ, მთავარ პარიტეტ-პლანეტოლოგთა მონაწილეობით. მართვის საერთო ცენტრის მრავალ ეკრანზე კარგად ჩანდა, უწონადო სივრცეში როგორ მიცურავდნენ კოსმონავტ-კონტროლიორები. უვლიდნენ ყველა ბლოკსა და სათავსოს, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. მათ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარეს მთელი სადგური და თა-

ვიანთი დაკვირვების შედეგს ყოველ წამს გადმოსცემდნენ, მათ გადმონაცემს მაგნიტოფონი იწერდა.

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. როგორც ხედავთ, სადგურზე არავინ არის. ჩვენ ვერავინ აღმოვაჩინეთ.

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. რამე თუ არის გატეხილი, დამტვრეული ან დარღვეული საღგურზე?

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. არა. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, ყველაფერი თავის ადგილზეა.

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. სისხლის კვალი ხომ არ შეგიმჩნევიათ?

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. მსგავსი არაფერი არაა.

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. სად არის და რა მდგომარეობაშია პარიტეტ-კოსმონავტების პირადი ნივთები?

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. თითქოს ყველაფერი რიგზეა.

„კო ნ ვ ე ნ ც ი ა“. და მაინც?

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. ისე გეგონება, რომ სულ ახლახან აქ იყვნენ. წიგნები, საათი თუ სხვა რამ - თავის ადგილზეა.

„კო ნ ვ ე ნ ც ი ა“. კეთილი. რამე ჩანაწერი ხომ არაა კედელზე ან ქაღალდზე?

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. არა, არ დაგვინახავს. თუმცა მოიცათ! რაღაც მინაწერია. ჟურნალი დამაგრებულია, რომ არ აცურებულიყო, და გაშლილი გვერდებით შემოსელისკენ პირმოქცეული...

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. წაიკითხეთ, რა სწერია!

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. ახლავე ვცდით. აქ ორი ტექსტია, გვერდიგვერდ სვეტებად მიწერილი, ინგლისურად და რუსულად...

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. წაიკითხეთ, რაღას უცდით!

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. სათაურად აქვს - „წერილი დედამიწელებს“, ფრჩხილებში კი სწერია - ახსნა-განმარტებითი ბარათი.

„კ ო ნ ვ ე ნ ც ი ა“. სდექ; არ წაიკითხოთ. კავშირს ვწყვეტთ. გველოდეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ნელახლა გამოგიძახებთ, მზად იყავით.

„პ ა რ ი ტ ე ტ ი“. ო კეი!

ორბიტალურ სადგურსა და მართვის საერთო ცენტრის დიალოგი ამ ადგილზე შეწყდა. პროგრამა „დემიურგის“ გენერალურმა თანახელმძღვანელებმა ერთმანეთთან ბჭობა-თათბირის შემდგომ ორი მორიგე პარიტეტ-ოპერატორის გარდა, ყველას სთხოვეს კოსმიური კავშირის ბლოკი დაეტოვებინათ. მხოლოდ ამის შემდეგ განახლდა ორმხრივი კავშირის სეანსი. აი, იმ წერილის შინაარსი, რომელიც „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურზე პარიტეტ-კოსმონავტებს დაეტოვებინათ:

„პატივცემულო კოლეგებო, ვტოვებთ რა ორბიტალურ სადგურ „პარიტეტს“ ფრიად უჩვეულო ვითარებაში, გაურკვეველ, იქნებ სულაც უსაზღვრო დროის მანძილზე, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ამ უპრეცედენტო წამოწყებასთან დაკავშირებელ მთელ რიგ ფაქტორებზე, ჩვენს უცილობელ მოვალეობად მიგვაჩნია ავხსნათ, თუ რამ გვიბიძგა ამ საქციელისკენ.

ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ეს საქციელი მოულოდნელი კი არადა, დაუშვებელიც არის ელემენტარული დისციპლინის თვალსაზრისით. მაგრამ ის საგანგებო შემთხვევა, რომელსაც კოსმოსში ორბიტალურ სადგურზე ყოფნისას შევეჯახეთ და რომლის მსგავსი ძნელი წარმოსადგენია კაცობრიობის კულტურის მთელი ისტორიის მანძილზე, უფლებას გვაძლევს იმის იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ გაგვიგებენ...

რამდენიმე ხნის წინათ იმ უთვალავი რაოდენობის რადიოიმპულსთა შორის, კოსმიური გარემოცვისა და საკმაოდ დიდწილად თვით მიწის იონოსფეროდან რომ მოდიოდა და გაუთავებლივ ხმაურითა და შეფერხებით იყო სავსე, ერთი მომარ-

თული რადიოსიგნალი დავიჭირეთ ვიწრო სიხშირის ზოლზე. რაკი ყველაზე ვიწრო და ამიტომ ადვილად გამოსაყოფი იყო, იგი მუდამ ერთსა და იმავე დროს, მუდამ ერთი და იგივე შუალედებით თანამიმდევრულად გვაუწყებდა თავის თავზე. თავდაპირველად ყურადღება არ მივაქციეთ. მაგრამ იგი გამუდმებით სამყაროს ზუსტად გარკვეულ ერთ წერტილიდან მოდიოდა და, ყველაფრის მიხედვით, ზუსტად ჩვენ ორბიტალურ სადგურზე იყო მომართული. ახლა ჩვენ დანამდვილებით ვიცით: ეს ხელოვნურად მომართული რადიოტალღები ეთერში ადრეც ჩნდებოდა, ჩვენს მორიგეობამდე გაცილებით ადრე (ეს მორიგეობა ანგარიშით მესამე იყო - „პარიტეტი“ ხომ შორეულ კოსმოსში ორბიტა „ტრამპლინზე“ წელიწად-ნახევარია იმყოფება). ძნელია თქმა, პირველად რად აღგვიძრა ცნობისწადილი სამყაროდან გამოგზავნილმა ამ სიგნალმა, ალბათ სრულიად შემთხვევით მოხდა. ასე იყო თუ ისე, ჩვენ დავიწყეთ აღნუსხვა-შესწავლა ამ მოვლენისა და თანდათან მივედით იმ დასკვნამდე, რომ იგი ხელოვნური წარმოშობისა იყო.

მაგრამ ამ აზრს ვერც ისე მალე მივეჩვიეთ. მთელი ეს ხანი ეჭვები არ გვასვენებდა. აბა როგორ შეგვეძლო, ჩვენი აზრით, ამ ერთადერთ ხელოვნური რადიოსიგნალის ფაქტზე დაყრდნობით იმის მტკიცება, დედამიწის გარეთ კიდევ არსებობს ცივილიზაციაო, იმ რადიოსიგნალის ფაქტზე დაყრდნობით, სამყაროს უცნობი სიღრმეებიდან რომ მოდიოდა? ჩვენ გვაკავებდა ის გარემოება, რომ მეცნიერების მიერ არაერთგზის ჩატარებული ყველა წინარე ცდა ყოვლად მინიმალური ამოცანის გადასაწყვეტად - არის თუ არა სიცოცხლის სულ მცირედი, ყოვლად მარტივი ნიშანწყალი თუნდაც მოსაზღვრე პლანეტებზე, როგორც ცნობილია, ფრიად უნაყოფო გამოდგა. მიწის მიღმიერ გონების აღმოსაჩენად ჩატარებული ყოველგვარი ძიება მცირედ სარწმუნო,

შემდეგ და შემდეგ კი უბრალოდ არარეალურ, უტოპიურ საქმედ მიიჩნეოდა, რადგან კოსმიურ სივრცეთა გამოსაკვლევად გადადგმული ყოველი ახალი ნაბიჯის შემდეგ ეს შესაძლებლობა თეორიულადაც კი სულ უფრო ნაკლებ დასაჯერებელი ხდებოდა, თუ აღარ ვიტყვით იმას, რომ პრაქტიკულად ნულამდეც თავიდა. ჩვენ ვერ გავბედეთ ეს მოსაზრებანი განგვეცხადებინა. ჩვენ არ ვაპირებდით სადავოდ გვექცია საყოველთაოდ გაბატონებული აზრი, დედამიწაზე არსებული სიცოცხლე უნიკალური, უპრეცედენტო, ერთადერთი ბიოლოგიური ფაქტორი არისო. არ ჩავთვალეთ ჩვენს მოვალეობად საეჭვოდ მიგვეჩნია ეს ამბავი, რამეთუ ჩვენი სამუშაო ვალდებულების პროგრამა ორბიტალურ სადგურზე ასეთ დაკვირვებებს არ შეიცავდა. მართალი გითხრათ, მიუხედავად ყველაფრისა, სულაც არ გვსურდა იმ კოსმონავტის მგომარეობაში აღმოვჩენილიყავით, რომელსაც ერთხელ ფრენისას, ძროხის ზმუილი მოესმა, მოელანდა წყლისპირა მდელოზე მობალახე ნახირი და მას აქეთ „ძროხების კოსმონავტი“ შეერქვა.

ხოლო როცა კიდევ ერთმა შემთხვევამ. საბოლოოდ დაგვიდასტურა, რომ სამყაროში დედამიწის გარდა კიდევ არსებობს გონიერი სიცოცხლე. უკვე გვიანღა იყო, ჩვენმა შეგნებამ ნახტომი გააკეთა, ჩვენმა შეხედულებებმა სამყაროს წყობაზე სახე იცვალა, გარდაიქმნა. უცბად აღმოჩნდა, რომ სულ სხვა კატეგორიებით ვაზროვნებთ თურმე, ვინემ აქამდე. სამყაროს სტრუქტურის თვისობრივად ახალმა გააზრებამ, ახალი დასახლებული სივრცის აღმოჩენამ, აზროვნების კიდევ ერთი კერის არსებობამ იმ დასკვნამდე, მიგვიყვანა, რომ გარკვეულ დრომდე უთუოდ თავი უნდა შევიკავოთ და დედამიწის მცხოვრებთ არ ვაუწყოთ ჩვენი აღმოჩენა ვინაიდან ჩვენ უკვე ახლებურად გვესმოდა დე-

დამიწაზე ზრუნვის არსი. ჩვენ ამ დასკვნამდე თვით თანამედროვე საზოგადოების ინტერესმა მიგვიყვანა.

ახლა საქმის არსზე გადავიდეთ, იმაზე, რაც მოხდა.

ცნობისწადილით ატანილებმა ერთ დღეს საპასუხო რადისიგნალის გაგზავნა გადავწყვიტეთ დაახლოებით იმ სიხშირის სპექტრით და სამყაროს იმ წერტილის მიმართულებით, საიდანაც ნიადაგ მოგვდიოდა ის იდუმალი, მუდმივი რადიოიმპულსები. მ ო ხ დ ა ს ა ს წ ა უ ლ ი! ჩ ვ ე ნ ი ს ი გ ნ ა ლ ი მ ი - ი ღ ე ს! ი გ ი დ ა ჭ ე რ ი ლ დ ა გ ა გ ე ბ უ ლ ი ქ ნ ა!

პასუხად ჩვენს მისაღებ ზოლზე, ძველის გვერდზე, კიდევ ერთი დუბლბი ამუშავდა, შემდეგ კიდევ ერთი - ეს იყო მისასალმებელი ტრიო. სამ ერთდროულ რადიოსიგნალს რამდენიმე საათის მანძილზე საზეიმო მარშივით მოჰქონდა სამყაროდან აღმაფრთოვანებელი ცნობა ჩვენი გალაქტიკის მიღმა არსებულ გონიერ არსებებზე, რომელთაც უდიდესი საშუალება ჰქონდათ ზეშორეულ მანძილებზე თავის მსგავს არსებებთან კონტაქტის დამყარებისა. ამ ამბავმა რევოლუცია მოახდინა ჩვენს წარმოდგენებში „კოსმიურ ბიოლოგიაზე, ჩვენს ცოდნაზე დროის, სივრცის, მანძილის აგებულების შესახებ... ნუთუ მარტოსულნი, ნუთუ ერთადერთნი არა ვართ ამ ქვეყანაზე, ამ წარმოუდგენლად ცარიელ უსაზღვრო სამყაროში, ნუთუ ადამიანის გამოცდილება ამ მიწაზე ერთადერთი სულიერი შენაძენი არის სამყაროში?

იმის შესამოწმებლად, მართლა არსებობდა თუ არა მიწისმიღმიერი ცივილიზაცია, დედამიწის მასის ფორმულა გავგზავნეთ რადიოთი, გავგზავნეთ ის, რაზეც დასაბამითვე წარმოიშვა და დღემდე ეფუძნება ჩვენი სიცოცხლე. პასუხი გაშიფრული მოვიდა თავის მხრივ დაახლოებით იგივე ფორმულა გამოგზავნეს თავის პლანეტის მასისა. აქედან დავასკვენით, რომ ის დასახ-

ლებული პლანეტა საკმაოდ დიდი ზომისა და საკმაო მიზიდულობის ძალის მქონე ყოფილა.

ასე და ამგვარად გავუზიარეთ ერთმანეთს ფიზიკური კანონენბის პირველადი ცონდა, ასე და ამგვარად პირველად დავუკავშირდით მიწისმიღმიერ გონების მატარებელთ.

უცხოპლანეტელები აქტიური მონაწილენი გამოდგნენ ჩვენი კავშირის გაღრმავებასა და დაახლოებაში. მათი მცდელობით ჩვენი კავშირი უფრო და უფრო მდიდრდებოდა ახალ-ახალი შინაარსით. მალე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მათ მიერ შექმნილი მფრინავი აპარატების მოძრაობის სიჩქარე სინათლის სიჩქარის ტოლია. ეს ყველაფერი და კიდევ სხვა ბევრი რამ იმის მეოხებით შევიტყვეთ, რომ შევძელით თავდაპირველად მათემატიკური და ქიმიური ფორმულების გზით აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მერე კი ისიც გვამცნეს, რომ ლაპარაკიც შეუძლიათ. თურმე მრავალი წლის მანძილზე, რაც დედამიწელებმა მიწიური მიზიდულობა დავძლიეთ, კოსმოსში გავედით და იქ მუდმივად მოვიკიდეთ ფეხი, მძლავრი აუდოასტრონომიული ხელსაწყოს საშუალებით, რომელიც გალაქტიკაში კარგა სიღრმეზე იჭერს ხმებს, ისინი ჩვენს ენებსაც სწავლობენ. კოსმოსსა და დედამიწას შორის სისტემატური რადიოკავშირის დაჭერისას, დაპირისპირებათა და ანალიზის გზით მოახერხეს ჩვენი სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობის გაშიფრვა. ეს მაშინ ვიგრძენით, როცა ინგლისურსა და რუსულ ენაზე შეეცადნენ ჩვენთან ლაპარაკს. ჩვენთვის ეს კიდევ ერთი წარმოუდგენელი აღმოჩენა იყო...

ახლა კი მთავარზე გადავიდეთ. ჩვენ გადავწყვიტეთ მიწისმიღმიერ ცივილიზაციის მქონე ამ პლანეტის ნახვა. ტყისგულეთი - დაახლოებით ასე გავშიფრეთ ჩვენ მათი პლანეტის სახელი. ტყისგულელებმა თვითონ მიგვიპატიჟეს. ეს მათი იდეაა.

ჰოდა, ბევრი ფიქრის შემდეგ ჩვენც დავთანხმდით. მათ აგვიხსნეს, რომ სინათლის სიჩქარის მქონე მათი მფრინავი აპარატი ჩვენს ორბიტალურ სადგურს ოცდაექვს-ოცდაშვიდ საათში მოაღწევს. ამავე ხანშივე გვპირდებიან ტყის გულელები უკანვე მოყვანას, როდესაც კი მოვისურვებთ. შეპირაპირების თაობაზე როცა ვკითხეთ, აგვიხსნეს, რომ მათთვის ეს პრობლემა არაა, რამეთუ ტყისგულელთა მფრინავ აპარატს შეუძლია ჰერმეტულად მიეერთოს ყველანაირი მოხაზულობისა თუ მოყვანილობის საგანს. ალბათ ეს ელექტრომაგნიტური მართვის რაღაც თვისებაა. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ყველაზე უკეთესი იქნება, თუ მათი მფრინავი აპარატი ღია კოსმოსში გამსვლელ კარს შეუპირაპირდება, საიდანაც ჩვენ შეგვეძლება ორბიტალური სადგურიდან მათთან გადასვლა. ამავე გზით ვაპირებთ უკანვე დაბრუნებას, თუ, რასაკვირველია, „ტყისგულეთში“ ჩვენი მგზავრობა მშვიდობით დამთავრდება...

მაშასადამე, ჩვენ ვტოვებთ „პარიტეტის“ ქიმზე წერილს, თუ გნებავთ, ახსნა-განმარტებით ბარათს, მიმართვას... თუმცა თავიდათავი ეს არ გახლავთ... ჩვენ საკმაოდ ნათლად გვესმის, რაზეც მივდივართ და რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას ვკისრულობთ, ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ბედმა გვარგუნა ყველაზე უნიკალური შესაძლებლობა - კაცობრიობისთვის გაგვეწია ის სამსახური, რომელზე ღირსეული ვერც კი წარმოგვიდგენია...

და მაინც ჩვენთვის ყველაზე ძნელი აღმოჩნდა მოვალეობა ურთიერთკავშირის, ვალდებულების, დაბოლოს, გრძნობის დაძლევა, იმის დაძლევა, რაც ყოველ ჩვენგანს გამოუმუშავა ტრადიციებმა, კანონებმა, ზნეობის საზოგადოებრივმა ნორმებმა. ჩვენ ვტოვებთ „პარიტეტს“ ისე, რომ წინასწარ არაფერი გამცნეთ, არც მართვის საერთო ცენტრის ხელმძღვანელებს და არც სხვა დედამიწელთ, არ შეგითანხმეთ ჩვენი მიზნები და

ამოცანები. არა იმიტომ, რომ უგულვებელვყოფთ დედამიწაზე საზოგადოერივი ცხოვრების წესებს. ჩვენთვის ეს ყველაზე მძიმე ფიქრების საგანი გახლდათ. ჩვენ იძულებული ვართ ასე მოვიქ-ცეთ, ვინაიდან ძნელი წარმოსადგენი არაა, რა გრძნობები, წი-ნააღმდეგობანი, ვნებათა ღელვანი გაღვივდება, როგორც კი ამოძრავდებიან ის ძალები, რომელთაც ჰოკეის თამაშის დრო-საც კი ზედმეტად გატანილი გოლი თვისი სახელმწიფო სისტემის პოლიტიკურ გამარჯვებად, უპირატესობის დამტკიცებად მიაჩნია. ვინ იქნება იმის თავმდები, რომ მიწისმიღმიერ ცივილიზაციას-თან კავშირის შესაძლებლობი, კიდევ ერთი საბაბი არ გახდება დედამიწელთა მსოფლიო - შინა ომისა?

დედამიწაზე ძნელია ან თითქმის შეუძლებელი განზე განუდგე, თავი აარიდო პოლიტიკურ ბრძოლას, მაგრამ შორე-ულ კოსმოში ხანგრძლივი დროის - მრავალი დღისა და კვირის მანძილზე ყოფნისას, საიდანაც დედამიწა ავტომობილის ბორ-ბლის ოდენა ჩანს, გულისტკივილსა და უძლურ ბრაზს გვგვრიდა ის ფიქრი, რომ დღევანდელი ენერგეტიკული კრიზისი, რასაც საზოგადოება გააფთრებამდე, სასოწარკვეთამდე მიჰყავს, ზოგ ქვეყნებს კი სურვილს აღუძრავს ატომურ ყუმბარას სტაცოს ხე-ლი, - მხოლოდ და მხოლოდ დიდი ტექნიკური პრობლემაა. ამ ქვეყნებს რომ შეძლებოდათ ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმება...

იმის შიშით, რომ არ ავამღვრიოთ, არ გავართულოთ დედაწელთა ისედაც ფრიად სახიფათო მდგომარეობა, ჩვენ გავ-ბედეთ და ვიკისრეთ უჩვეულო პასუხისმგებლობა - მიწისმიღმი-ერ გონიერ არსებათა წინაშე წარდგომა მთელი კაცობრიობის სახელით, ჩვენი რწმენისა და სინდისის შესაფერისად. იმედი გვაქვს და შინაგანი რწმენაც გვკარნახობს, რომ ამ ჩვენს ნება-

ყოფლობით მისიას საკადრისად და ღირსეულად შევასრულებთ.

დაბოლოს უკანასკნელი. ამ ჩვენი ფიქრების, ეჭვებისა და ყოყმანისას არანაკლებ გვაწუხებდა ის ამბავი, ვნება და ზიანი არ მიგვეყენებინა კაცობრიობის გეოკოსმიურ ისტორიაში ისეთი უდიდესი წამოწყებისათვის, როგორიც პროგრამა „დემიურგი“ გახლავთ, რომელსაც დიდი წვალებითა და ტანჯვით მიაღწიეს ჩვენმა ქვეყნებმა მრავალი წლის მანძილზე ურთიერთუნდობლობის, თანამშრომლობაზე მრავალგზის შეთანხმებისა და უარის თქმის შედეგად. და მაინც გონებამ იმძლავრა - ჩვენ კეთილსინდისიერად ვემსახურებოდით ჩვენს საერთო საქმეს ჩვენი ძალისა და ნიჭის მიხედვით. მაგრამ შევუწონეთ რა ერთი მეორეს, არ ვინდომეთ რა პროგრამა „დემიურგის“ ზემოხსენებულ საფრთხეში ჩაგდება, ჩვენ ავირჩიეთ ჩვენი გზა - დროებით ვტოვებთ „პარიტეტს“, რათა დაბრუნების შემდეგ ისევ განვაგრძოთ მორიგეობა. თუ სამუდამოდ გავქრებით ან თუ ჩვენი ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ღირსნი არა ვართ „პარიტეტზე“ კვლავ განვაგრძოთ მორიგეობა, ჩვენი შეცვლა ძნელი არ იქნება. მუდამ მოიძებნებიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც ჩვენზე არანაკლები მონდომებით იმუშავებენ.

ჩვენ უცნობელ სამყაროში მივემგზავრებით. ჩვენ იქ მივყავართ ცოდნის წყურვილს, ადამიანის საუკუნო ოცნებას - თავისი მსგავსი გონიერი არსებანი აღმოაჩინოს სხვა სამყაროში და გონება გონებას შეუწყვილოს. მაგრამ არავინ იცის, მიწისმიღმიერი ცივილიზაციის გამოცდილება რას მოუტანს კაცობრიობას, სიკეთე იქნება იგი მისთვის თუ ბოროტება? ჩვენ შევეცდებით პირუთვნელად შევაფასოთ ყოველივე. თუ ვიგრძენით, რომ ჩვენი აღმოჩენა დედამიწას რაიმე საფრთხეს, რაიმე მუქარას შე-

უქმნის, ვფიცავთ, ისე გაუსწორდეთ საკუთარ სიცოცხლეს, დედამიწას ჩვენი მიზეზით არა უბედურება არ შეემთხვეს.

და კიდევ უკანასკნელი სიტყვა. ჩვენ გემშვიდობებით. ილუმინატორებიდან ვხედავთ დედამიწას. სხივმფინარი ბრილიანტივით ელავს იგი სივრცეთა შავ ზღვაში, ცისფრად ციალებს არნახულად, და აქედან ისეთი მშვენიერი ჩანს, ვით ახალშობილის თავი. აქედან გვგონია, რომ ყველა, ვინც ამქვეყნად ცხოვრობს, ჩვენი დები და ძმებია, უმათოდ ვერც წარმოგვიდგენია არსებობა, თუმცაღა ვიცით, რომ დედამიწაზე სულ მთლად ასე არაა საქმე...

ჩვენ ვეთხოვებით დედამიწას. რამდენიმე საათის შემდეგ დავტოვებთ ორბიტა „ტრამპლინს“ და დედამიწაც თვალთაგან მიეფარება, მას ვეღარ დავინახავთ. უცხოპლანეტელები - ტყისგულელები უკვე გზაში არიან. რამდენიმე საათის შემდეგ მოგვაკითხავენ, დარჩა სულ ცოტა დრო, ველით.

და კიდევ. ჩვენ ვუტოვებთ წერილებს ჩვენს ოჯახებს. ძალიან გთხოვთ ყველას, ვისაც კი ამ საქმესთან რაიმე კავშირი ექნება, დანიშნულების მიხედვით გადასცეს ისინი...

P. S. ცნობა იმათთვის, ვინც „პარიტეტზე“ შეგვცვლის. სავახტო ჟურნალში ჩვენ მივუთითეთ მიმღებ-გადამცემი არხი და რადიოტალღათა სიხშირე, რპმელთან მეშვეობით უცხოპლანეტელებს ვუკავშირდებოდით. აუცილებლობის შემთხევაში ჩვენ ამ არხით დაგიკაშირდებით და ცნობებს მოგაწვდით. რამდენადაც გავარკვიეთ ტყისგულელებთან რადიოკავშირის მეოხებით, დაკავშირების ყველაზე მოხერხებული და ერთ-ერთი საშუალება - ეს ორბიტალური სადგურის საბორტო სისტემებია, ვინაიდან სამყაროდან უშუალოდ დედამიწაზე გაგზავნილი რადიოსიგნალები მის ზედაპირს ვერ აღწევს გადაუ-

ლახავი დაბრკოლების - დედამიწის ატმოსფერული გარემოცვის ძლიერი იონიზირებული სფეროს გამო.

ჩვენ დავამთავრეთ. მშვიდობით. უკვე დროა, წერილის ზუსტად ერთნაირი ტექსტი შედგენილია ორ ენაზე - ინგლისურსა და რუსულზე.

პარიტეტ-კოსმონავტი 1-2
პარიტეტ-კოსმონავტი 2-1
ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ ქიმი.
მესამე ვახტა. 94 დღე-ღამე“.

ზუსტად დანიშნულ დროს, შორეულ აღმოსავლეთის დროით თერთმეტ საათზე, ავიოსან „კონვენციის“ გემბანზე ერთიმეორის კვალდაკვალ ორი რეაქტიული თვითმფრინავი დაჯდა, რომლებმაც ამერიკისა და საბჭოთა ქვეყნის მხრიდან განსაკუთრებული რწმუნების მქონე კომისიები ჩამოიყვანეს.

კომისიის წევრებს ზუსტად ოქმის მიხედვით შეხვდნენ. მათ მაშინვე განუცხადეს, რომ სადილის შემდეგ, რაზედაც ნახევარი საათი ეძლევათ, კომისიის წევრები მაშინვე უნდა შეიკრიბონ კაიუტკამპანიაში დახურულ თათბირზე, ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე“ შექმნილ საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით.

მაგრამ თათბირი დაწყებისთანავე შეწყდა. „პარიტეტზე“ მყოფმა კოსმონავტ-კონტროლიორებმა მართვის საერთო ცენტრს „კონვენციაზე“ პირველი ცნობა აუწყეს, მეზობელ გალაქტიკის ტყისგულეთის პლანეტიდან 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისგან რომ მიიღეს.

თავი 4.

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი უდაბური სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით და დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რაც მართალი მართალია, ნაიმანების საგვარეულო სამარხი ანა-ბეიითი ყურის ძირას არაა - ოცდაათი ვერსია იქამდე, ისიც მაშინ, თუ თვალი გიჭრის და გზის გაპირდაპირება შეგიძლია.

ამ დღეს ადრიანად აღგა ბურანელი ედიღეი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ეძინა, ალიონზე ჩათვლიმა მხოლოდ. მანამდე კი საქმე ჰქონდა - ყაზანგაპის ცხედარს აპატიოსნებდა, რაც ჩვეულებრივად დამარხვის დღეს კეთდება ხოლმე, გამოსვენებამდე ცოტა ხნით ადრე, გარდაცვლილის სახლში საერთო ლოცვის - ჯანაზის შემდეგ. აქ კი წინაღამეს გაკეთდა ყველაფერი, რათა დილას აღარ დაბრკოლებულიყვნენ და მაშინვე გადგომოდნენ გზას. თავისი ხელით გააპატიოსნა ედიღეიმ ყაზანგაპი, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ აყლაყუდა ედილბაის მოჰქონდა შემთბარი

წყალი ცხედრის განსაბანად. მკვდრისა, ცოტა არ იყოს, ეშინოდა ედილბაის, გან-განზე უვლიდა. ედიღეიმაც ვითომ სხვათა შორის წაულაპარაკა:

- კარგად მიყურე, ედილბაი, ცხოვრებაში გამოგადგება. ვინც იბადება, იმას დამარხვაც სჭირდება.

- ვიცი, განა არ ვიცი, - ყოყმანით უთხრა ედილბაიმ.

- მეც მაგას გეუბნები. ხვალ რომ მე გავჭიმო ფეხები, არ უნდა გამაპატიოსნოთ, ისე ჩამაგდოთ ორმოში?

- მაგას რად ამბობ! - შერცხვა ედილბაის, ლამპა ახლოს მიიტანა და შეეცადა ისე შორს აღარ დამდგარიყო, - უთქვენოდ აქ მოგვწყინდება. ამიტომ უნდა იცოცხლოთ, ორმო მოითმენს.

საათ-ნახევარი მოუნდა ყაზანგაპის გაპატიოსნებას. სამაგიეროდ თავის თავის კმაყოფილი დარჩა ედიღეი. ცხედარი ადათის მიხედვით განბანა, ხელ-ფეხი გაუსწორა და წესისამებრ დააწვინა, თეთრი სუდარა გამოჭრა და ყაზანგაპი ისე გახვია, ტილო არ დაუნანია. ედილბაისაც აჩვენა, როგორ უნდა სუდარას გამოჭრა. მერე თავის თავს მიხედა, წვერი სუფთად გაიპარსა, წარბებივით ხშირი, სისვა ცხენივით გაჭაღარავებული გაფანჩული ულვაშები შეისწორა. მედლები და ორდენებიც არ დავიწყებია, დამკვრელის ნიშნებთან ერთად ისინიც გააპრიალა, პიჯაკზე დააბნია, სახვალიოდ მოამზადა.

ამასობაში შემოათენდა კიდევაც. თვითონვე უკვირდა ბურანელ ედიღეის, ასე მშვიდად და დინჯად რომ აკეთებდა ყველაფერს, ვისმე რომ მანამდე ეთქვა მისთვის, ამ სამწუხარო მოვალეობის შესრულებასაც შეიძლებო, არ დაიჯერებდა. მაშასადამე, თავიდანვე ეწერა ბედის წიგნში, ყაზანგაპი რომ მას დაემარხა. ასე ენება თურმე ბედს.

დიახ, დიახ, ენება. თუმცა ვინ იფიქრებდა ამას, როცა ქუმ-ბელის სადგურზე პირველად შეხვდენენ ერთმანეთს. ორმოცდაოთხი წლის ბოლოს გაათავისუფლეს ჯარიდან ედიღეი. გარეგნულად რა უჭირდა - ხელი თავის ადგილზე ჰქონ-და და ფეხი, თავიც ედგა მხრებზე. ოღონდაც თითქოს მისი არ იყო ეს თავი. ყურები ისე უხშუოდა, ასე ეგონა, ქარი უზუზუნებდა შიგ. რამდენიმე ნაბიჯს გაივლიდა და წაბარბაცდებოდა, თავბრუ ეხვეოდა, გულს აზიდებდა, ხან ცივი ოფლი ასხამდა, ხან – ცხე-ლი, ენაც დროდადრო არ ემორჩილებოდა - სიტყვის თქმა დიდ ჯაფად უღირდა. კარგა მაგრად შეანჯღრია გამსკდარი გერმანუ-ლი ნაღმის ტალღამ. არ მოკლა, მაგრამ არც ცოცხალი დატო-ვა. ძალზე დაღონდა მაშინ ედიღეი, შეხედავ, ახალგაზრდა, ჯა-ნიანი კაცია, მაგრამ შინ, არალის ზღვაზე რომ დაბრუნდება - რა აკეთოს, რაში გამოდგება? ბედად კარგი ექიმი შეხვდა. არც უმ-კურნალა, გასინჯა მხოლოდ გულდაგულ. რამდენადაც ახსოვს, ზორბა წითურა კაცი იყო, თეთრი ხალათი ეცვა და თეთრი ჩაჩი ეხურა, გრძელი ცხვირი ჰქონდა, ნათელი თვალები. მხიარუ-ლად დაჰკრა ეღიღეის მხარზე ხელი, გაიცინა.

- იცი, რას გეტყვი, ძმობილო, - უთხრა, - ომი მალე არ მთავ-რდებოდეს, ცოტა ხნის მერე უკანვე გაგგზავნიდი ჯარში, კიდევ იომებდი. მაგრამ რაც არი, არი, როგორმე უშენოდ გავიმარ-ჯვებთ. ჯავრი არ გქონდეს - ერთი წლის შემდეგ ან იქნებ უფრო ადრე ყველაფერი გაგივლის, ბუღასავით იქნები. მე ასე მით-ქვამს, მერე გამიხსენებ. ახლა კი მოემზადე და შენს მხარეში გა-ემგზავრე. ნუ იდარდებ, შენისთანები ას წელს ცოცხლობენ.

თურმე მართალი უთქვამს იმ წითურა ექიმს. ასეც მოხდა თუმცა ადვილი სათქმელია - ერთი წელიო. ჰოსპიტლიდან რო გამოვიდა იმ თავის დაჭმუჭნული ბაზარით, შულდაკით ზურგზე ყოველი შემთხვევისთვის იღლიაში ამოჩრილი ყავარჯნით და

ქალაქის ქუჩებს გაუყვა, ასე ეგონა, უსიერ ტყეში მოვხვდიო. თავი უშხუოდა. ფეხები უკანკალებდა, თვალთ უბნელდებოდა. ვინ გაქცევს ყურადღებას სადგურებზე, მატარებლებში, ვის რაში ენაღვლება შენი ამბავი, - ზღვა ხალხი ირევა, ვისაც ღონე აქვს, ის მიძვრება, შენ განზე გისვრის. მაინც მიაღწია, მიათრია ფეხები სახლამდე. ლამის ერთი თვის ხეტიალის შემდეგ ღამე ჩამოდგა მატერებელი არალსკის სადგურზე. „მხიარული ხუთასმეშვიდე“ ერქვა იმ „მშვენიერ“ მატარებელს. ღმერთმა ნურავინ ნურასოდეს ამგზავროს ასეთი მატარებლით.

მაშინ კი ესეც ბედნიერება იყო. სიბნელეში ჩამოძვრა ვაგონიდან, დაბნეული შეჩერდა. თვალთან თითს ვერ მიიტანღი, აქა-იქ ბჟუტავდა მხოლოდ სადგურის სინათლე. ქარი ქროდა. სწორედ ეს ქარი შემოეგება, საკუთარი, მშობლიური არალის ქარი! ზღვის სუნი ეცა ცხვირში. იმხანად აქვე, რკინიგზის ქვემოთ ტყლაშუნობდა ზღვა, ახლა კი დურბინდითაც ვერ დაინახავ...

სუნთქვა შეუკრა ტრამალიდან მოდენილმა ჰაერმა, აბზინდის სუნი რომ დაჰკრავდა ოდნავ. არალს მიღმა გაზაფხული იღვიძებდა. თავის მშობლიურ მხარეში იყო კვლავაც.

კარგად იცნობდა სადგურს ედიღეი, კარგად იცოდა ზღვისპირა სადგურის მოღრეცილი ქუჩებიც. მიდიოდა და ჩექმებზე ტალახი ეწებებოდა. ნაცნობებთან აპირებდა ღამის გათევას, დილას კი - ანგელდისკენ გასწევდა. ეს იყო მისი აული, აქედან კარგა მანძილზე მდებარე მეთევზეთა აული. ვერც შეამჩნია, ქუჩამ რომ დაბის ბოლოს, ზღვის პირას გამოიყვანა. ახლა კი ვეღარ მოითმინა. ზღვას მიადგა, წყლის ზოლთან დადგა. ზღვა ბნელში გახვეულიყო, ანავთებულ და მერე გაუჩინარებულ ტალღათა ქეჩოზე აქა-იქ გაბრკიალებულ ათინათით თუ მიხვდებოდი, იქ რომ იყო. მთვარეს დატყობოდა ალიონის პირი - ზემოთ, ღრუბლის მიღმა ეულად ქათქათებდა.

მაშასადამე, კვლავაც შეხვდნენ ერთმანეთს.

- გამარჯობა შენი, არალო, - წაიჩურჩულა ედიღეიმ და ქვაზე ჩამოჯდა, გააბოლა, თუმცაღა ექიმებმა ურჩიეს, კონტუზიის მერე ნუ მოწევო. შემდეგ კიდევაც მიატოვა ეს მავნე ჩვევა. მაშინ კი აღელვებამ სძლია - თუთუნის კვამლს რას დაგიდევდათ, როცა არ იცოდა, რა ექნა, როგორ ეცხოვრა შემდეგ. ზღვაში მეთევზეობას ღონიერი მხარ-მკლავი და წელი უნდა, თავმა არ უნდა გიღალატოს, თავბრუ არ დაგეხვას ნავში. ფრონტზე წასვლამდე თევზსარეწში მუშაობდა, ახლა კი სად იმუშაოს? ხეიბარი არ ეთქმის, მაგრამ ეს რას შველის, როცა არაფერში არ გამოდგება. პირველ ყოვლისა თავი უმტყუნებს, თუკი ისევ მეთევზეობა იკისრა.

ის იყო წამოდგომა დააპირა, რომ საიდანღაც თეთრი ძაღლი გამოტყვრა სანაპიროზე. წყლისპირს ძუნძულით მოუყვებოდა, შემდიღეიმ დაუძახა. ძაღლი მივიდა, კუდი ააქიცინა. ბანჯგვლიან კისერზე ხელი მოუთათუნა ედიღეიმ.

- საიდან ხარ, ჰა? საიდან მორბიხარ? რა გქვია? არსტანი? ჟოლბარსი, ბორიბასარი?[3] ჰოო, მესმის, თევზს ეძებ ნაპირზე. ბარაქალა შენ! ოღონდაც ზღვა ყოველთვის არ გამორიყავს მკვდარ თევზს. რას იზამ! იმიტომაც ხარ ძვალი და ტყავი, ამდენს რომ ძუნძულებ. მე კი, მეგობარო, სახლში ვბრუნდები, კენიგსბერგთან ვიყავი. ცოტა მაკლდა იქამდე მისვლას, მაგრამ ჭურვი გასკდა და კინაღამ ფეხები ვეშიკე. ახლა კი, ვფიქრობ, ტვინს ვიჭყლეტ, რა გზას დავადგე. ასე რად მიყურებ? საშენო არაფერი მაქვს. ორდენებისა და მედლების მეტი არაფერი გამაჩნია... ომია, ჩემო კარგო, შიმშილია ყველგან. თორემ არ კი დავინა-

[3] ლომი, ვეფხვი, ქოფაკი

ნებდი... დაიცა, აქ შაქარყინული უნდა მქონდეს, ჩემი ბიჭისთვის მიმაქვს. ალბათ დარბის კიდევაც...

არ დაიზარა ედიღეიმ, ზურგჩანთა გახსნა, სადაც გაზეთის ნაგლეჯში გახვეული ერთი მუჭა შაქარყინული ედო, კიდევ თავშალი, ხელზე რომ იყიდა ცოლისათვის რომელიღაც სადგურზე, ორიოდე ცალი საპონი, ისიც გადამყიდველთან შეძენილი, ორი ხელი საცვალი, ქამარი, პილოტურა, გიმნასტურა, შარვალი - ეს იყო და ეს მისი ავლადიდება.

ძაღლმა შაქარყინული აუსვლიპა ედიღეის ხელისგულიდან, კუდი გააქიცინა და იმედით განათებული თვალები ერთგულად მიპყრო.

- აბა ახლა კი მშვიდობით.

ზღვისპირს გაუყვა ედიღეი. არჩია ნაცნობი ოჯახი აღარ შეეწუხებინა, სადაცაა ინათებდა, დროის დაკარგვა არ ღირდა, აულისაკენ უნდა გასდგომოდა გზას.

მხოლოდ შუადღისას ჩააღწია ჟანგელდში, სულ ზღვისპირს მიუყვებოდა. კონტუზიამდე კი ორ საათში არბოდა ხოლმე. ჩავიდა და თავზარდამცემი ამბავი დახვდა - თურმე მისი ბიჭი დიდი ხანია ცოცხლებში აღარ ეწერა. ედიღეი,რომ ჯარში წაიყვანეს, ექვსი თვის იყო ბიჭი , თერთმეტისა კი დაღუპულა. ასე ენება განგებას. წითელბატონები შეყროდა და სიცხისთვის ვეღარ გაეძლო, დაიწვა, გაწყდა სიცოცხლის ძაფი. ფრონტზე აღარ მიწერეს ეს ამბავი. სად მიეწერათ, ან რისთვის მიეწერათ? ომში ისედაც სიმწარეს რა გამოლევს. თუ ცოცხალი ჩამოვა, გაიგებს, იდარდებს, როგორმე მოინელებს დარდს, ასე განსაჯეს ნათესავებმა და უქუბალასაც გადაათქმევინეს, არ შეუთვალოო. ახალგაზრდები ხართ, აგერ ომი დამთავრდება, ღვთის წყალობით კიდევ გეყოლებათ შვილებიო. „რტო გინდაც მოტყდეს, თავიდათავია, ალვის ტანი დარჩესო“. ისიც იფიქრეს გულში,

თუმცა ხმამაღლა არ უთქვამთ, ისედაც ყველა მიხვდა: ომი ომია, თუ რამე მოხდა, თუ ტყვიამ მოკლა, იმედით მაინც გამოეთხოვოს ამ წუთისოფელს - შინ ვაჟი დამრჩა, უძეოდ არ გადავეგებიო...

უქუბალა კი ყველაფერს თავის თავს აბრალებდა. გულამოსკვნილი ქვითინით ეხვეოდა ქმარს. რა იმედით, რა დაუნელებელი ტკივილით ელოდა ამ დღეს, რარიგ ტანჯავდა თავისი დანაშაული. ცხარე ცრემლებით ჰყვებოდა, რომ დედაბრებმა მაშინვე გააფრთხილეს: ბიჭს წითელბატონები სჭირს, ეს ვერაგი სენია, ბალღი თბილად უნდა გაახვიო აქლემის ბეწვის საბნებში, სიბნელეში გაჩერო, სულ ცივ-ცივი წყალი ასვა ღმერთმა ქნას, სიცხეს თუ გაუძლო, გადარჩებაო. მან კი, უიღბლო და ბეიბაქმა[4] არ დაუჯერა აულის დედაბრებს, მეზობლებს ფორანი სთხოვა და სნეული ბიჭი სადგურზე ექიმ ქალს წაუყვანა. იმ ჯანჯღარა ფორნით არალსკს რომ ჩააღწია, უკვე გვიან იყო. სიცხეს ვერ გაუძლო ბიჭმა და გზაში დაიღუპა. ექინმა ქალმა სულ ლანძღა და თათხა უქუბალა, მოხუცი ქალებისათვის უნდა დაგეჯერებინაო...

ასეთი ამბები დახვდა ედიღეის ოჯახში, როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა. გაქვავდა, დარდით გაშავდა კაცი. არ ეგონა, თუ ასე იდარდებდა თოთო ბავშვს, ასე იჯავრებდა თავის პირმშოს. ვისი ლოლიავიც ხეირიანად არც კი დაცლია. ამიტომ უფრო ემძიმებოდა შვილის დაკარგვა. ვერა და ვერ დაევიწყებინა თავისი ბიჭის უკბილო, მიმნდობი, ნათელი ღიმილი, რომლის გახსენებაზე დიდხანს უკვნესდა ხოლმე გული.

აქედან დაიწყო ყველაფერი, შესძულდა ედიღეის აული. ოდესღაც აქ, ზღვისპირეთის თიხიან მაღლაკებზე სახლობდა

[4] ბედნავსი

ორმოცდაათამდე ოჯახი: არალში თევზს იჭერდნენ და ასე ირჩენდნენ თავს. არტელი ჰქონდათ და ეს იყო. ახლა კი ორიოდე მიწურიღა იდგა ფლატის ძირას. მამაკაცებიდან ყველა პირწმინდად წაეხიკა ომს. მოხუცები და ბალღებიც კი თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. ბევრი საკოლმეურნეო თუ მესაქონლე აულებში გაიხიზნა, შიმშილით რომ არ დახოცილიყვნენ. დაიშალა არტელიც. ზღვაში გამსვლელი კაცი არ იყო.

უქუბალასაც შეეძლო თავისიანებთან წასვლა. ტრამალიდან იყო მისი გვარტომი. მასაც ჩამოაკითხეს ნათესავებმა, თავისთან წაყვანა მოუნდომეს. ამ გაჭირვებულ დროს ჩვენთან იქნები, ედიღეი რომ ჩამოვა ჯარიდან - ძალით ხომ არ დაგაკავებთ, ამ შენს ჟანგელდში დაბრუნდებიო. მაგრამ უქუბალამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა „არა, ქმარს აქ დავუცდი. ბიჭი დავკარგე, თუ ცოცხალი დაბრუნდა, მე მაინც დავხვდე შინ. მარტო ხომ არ ვიქნები, მოხუცებიც და ბალღებიც არიან, იმათ მივეხმარები, როგორმე ერთად გავიტანთ თავს“.

სწორადაც მოიქცა უქუბალა. მაგრამ პირველი დღეებიდანე დაიწყო ლაპარაკი ედიღეიმ, აქ ვერ დავრჩები, არ შემიძლია, უსაქმოდ ზღვაზე რა გამაჩერებსო. მართალიც იყო. უქუბალას ნათესავები ჩამოვიდნენ ეღიღეს სანახავად, უთხრეს, ჩვენთან გადმოდი, ტრამალზე იცხოვრე, სადაც ფარები გვყავს, ხოლო როცა გამოკეთდები, სხვა საქმეს მოეკიდე, ნახირს დაუდექი მწყემსადაო... ეღილეიმ მადლობა გადაუხადა, მაგრამ არ დათანხმდა. იცოდა, ტვირთად დააწვებოდა მოყვრებს. ერთიორი დღე კი გისტუმრებს ცოლოური, მაგრამ მერე, თუ მუშად არ ვარგიხარ, ვის რაში სჭირდები.

მაშინ გადაწყვიტეს მან და უქუბალამ რკინიგზაზე წასულიყვნენ სამუშაოდ. იქნებ ედიღეისთვის რამე შესაფერისი სამუშაო აღმოჩნდესო, გუშაგად ან ყარაულად დანიშნონ სადმე, არადა,

რკინიგზის გადასასვლელზე შლაგბაუმთან იმუშავებს, ფრონტელ ხეიბარს რამეში ხომ უნდა დაეხმარონ.

ამ გადაწყვეტილებით დაადგნენ კიდევაც გზას. ჯეელები იყვნენ, ჯერჯერობით თავისუფლები. პირველ ხანებში სხვადასხვა სადგურებზე ათევდნენ ღამეს. მაგრამ შესაფერისი სამუშაო ვერა და ვერ მონახეს. ბინის ამბავს ხომ ნუ იკითხავ, სადაც მოხვდებოდათ, იქ ცხოვრობდნენ, შემთხვევითი სამუშაოთი გაჰქონდათ თავი რკინიგზაზე. უქუბალა მხარში ვაჟკაცივით ედგა ქმარს - მეტწილად ის შრომობდა. ედიღეი, შესახედად საღსალამათი კაცი, დატვირთვა-გადმოტვირთვაზე ურიგდებოდა ხალხს, მუშაობით კი უქუბალა მუშაობდა.

შუა გაზაფხული იყო, როცა ერთხელ ქუმბელის დიდ საკვანძო სადგურზე ამოჰყვეს თავი. ნახშირით სავსე ვაგონებს სათადარიგო ლიანაგით პირდაპირ დეპოს უკანა ეზოებში აყენებდნენ. აქ ჯერ მიწაზე ჰყრიდნენ ნახშირს, ბაქნები რომ საჩქაროდ გაენთავისუფლებინათ. მერე კი ურიკებით მიაგორებდნენ და სახლებივით უზარმაგარ ბურტებში სცლიდნენ. მთელი წლის მარაგი მზადდებოდა. ძალიან მცირე, მტვრიანი, ჭუჭყიანი სამუშაო იყო. მაგრამ ცხოვრებაც ხომ გინდოდა ადამიანს. ედიღეი ნიჩბებით ჰყრიდა ურიკაზე ნახშირს, უქუბალა კი ფიცარნაგზე მიაგორებდა, დასცლიდა და უკანვე ბრუნდებოდა. ედიღეიც ხელახლა ავსებდა ურიკას ნახშირით და უქუბალაც დროგის ცხენივით მიაგორებდა ზემოთკენ, ქალისათვის დიახაც მძიმე ურიკას. თანაც სიცხე უფრო და უფრო აჭერდა შუადღისას, ამ სიცხისა და ნახშირის მტვრისგან გული ერეოდა ედიღეის. გრძნობდა, თანდათან როგორ ეცლებოდა ძალა, ერთი სული ჰქონდა ნახშირის გორაზე დამხობილიყო და აღარც წამომდგარიყო. მაგრამ ყველაზე მეტად ის ჰკლავდა, რომ ცოლიც ამ შავ მტვერში უნდა გაგუდულიყო და მასთან ერთად ეკეთებინა ის საქმე, რისი კეთებაც

წესით ედიღეის მართებდა. ცოლისთვის ვეღარ შეეხედა. თავით ფეხამდე მტვერში ამოგანგლულ უქუბალას, მხოლოდ თვალების თეთრონი და კბილები უჩანდა, შავი ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა კისერზე, მკერდზე, ზურგზე. ადრინდელი ძალა რომ ჰქონოდა ედიღეის, თვითონვე გაავსებდა და თვითონვე დასცლიდა ამ წყეული ნახშირით სავსე ორიოდე ვაგონს, ოღონდ ცოლის წამება არ ენახა.

როცა ჟანგელდი - მეთევზეთა ეს დაცარიელებული აული დატოვეს, იმედი ჰქონდათ, დაჭრილი ფრონტელის კვალობაზე ედიღეის რაიმე შესაფერის საქმეს გამოუნახავენო. ის ვეღარ გაითვალისწინეს, რომ ასეთი ნაფრონტლებით სავსე იყო ქვეყანა. ყველას ხელახლა უნდა დაეწყო, ყველა ხელახლა უნდა შეჰგუებოდა ცხოვრებას. კიდევ კარგი, ედიღეის არც ხელი აკლდა და არც ფეხი. რამდენი უფეხო, უხელო, ყავარჯნიანი თუ პროტეზიანი დაეხეტებოდა მაშინ რკინიგზებზე... როცა კი სადგურის ხალხით გაჭედილ აყროლებულ შენობაში სადმე კუთხეში მიიკუჭნებოდნენ ღამის გათევად. უქუბალა ღმერთს უსიტყვო მადლობას სწირავდა, რომ ქმარი გვერდით ჰყავს, რომ ომმა ისე არ დაასახიჩრა, უსაშველო და საშინელი რამ არ დამართა. ვინაიდან, რასაც ის სადგურებზე ხედავდა, შიშის ზარითა და სიბრალულით ავსებდა. უფეხო, უხელო. დამტვრეულ-დასახიჩრებული ხალხი, გაქექილ მაზარებსა და შემოძენძილ ტანსაცმელში, უსახლკარო და მიუსაფარნი, მატარებლებსა და საღგრებზე დაძრწოდნენ, ვინ გორგოლაჭებიან ფიცარზე უკანალით დაკრული, ვინ ყავარჯნებშედგმული, ვინ სამოწყალოდ სხვისი წამოყვანილი. სასადილოებსა და ბუფეტებში ძალით იჭრებოდნენ. მათი მთვრალი ყვირილი, ტირილი სულს ძრწოლით ავსებდა... რა მოელოდა მომავალში ყოველ მათგანს, რა აუნაზღაურებდათ იმას, რისი ანაზღაურებაც არავის ძალუძდა? თუნდაც იმიტომ, რომ ბედმა

იგი დაინდო და ასეთ უბედურებას ააცდინა, რომ ქმარი, თუმც კონტუზირებული, მაგრამ სახიჩარი არ დაუბრუნდა, უქუბალა მზად იყო მთელ ქვეყანას მომსახურებოდა. ამიტომაც არ ჩიოდა, ყველაფერს ითმენდა, არც იმჩნევდა, რომ ზოგჯერ ნაბიჯის გადადგმაც კი უჭირდა და მოთმინების ძაფი სადაცაა გაუწყდებოდა.

მაგრამ ედიღეს ეს როდი უმსუბუქებდა ჯავრს. რაღაც უნდა ეღონა. სადღაც მკვიდრად უნდა მოეკიდა ფეხი. მთელ სიცოცხლეს ხომ წანწალში არ გაატარებდა, უკვე ხშირ-ხშირად გაჰკრავდა თავში: რა იქნება, „თაუბაქელ“[5] ვთქვა და სადმე ქალაქში დავსახლდე, იქნებ იქ მაინც გამიმართლოს ბედმაო? ოღონდაც ჯანი დაუბრუნდეს, ოღონდაც ამ ოხერმა კონტუზიამ გაუაროს. მაშინ კიდევ შეიძლება ბრძოლა, კიდევ შეიძლება ბედთან ჭიდილი... რა თქმა უნდა, არც ქალაქში იცი, რა მოგელის. როგორ წაგივა საქმე. იქნება დროთა ვითარებაში შეჰგუებოდნენ კიდეც იქაურობას და სხვებივით ისინიც ქალაქელები გამხდარიყვნენ, მაგრამ ბედმა სხვანაირად ინება. დიახ, ეს ბედი იყო, სხვას ვერაფერს დაარქმევდი...

ქუმბელის სადგურზე ცხოვრობდნენ ედიღეი და უქუბალა, გარიგებულნი იყვნენ დეპოს უკანა ეზოში ნახშირის ვაგონები გადმოეცალათ. ერთხელ ვიღაც ყაზახი შემოვიდა აქლემით ეზოში. ეტყობოდა, ტრამალიდან ჩამოსულიყო თავის საქმეზე. ჩამოსულმა აქლემი დააფალმანდა და უშენ მინდორზე გაუშვა საბალახოდ, მერე კი შეწუხებულმა მიმოიხედა და იღლიაში ამოჩრილი ცარიელი ტომრით ედიღეისკენ გამოემართა.

[5] რაც იყოს, იყოს

- თუ შეიძლება, ძმაო, - უთხრა მან ედიღეის, გვერდით რომ ჩაუარა, - აქლემს მიმიხედე, ბალღებმა არ შეაწუხონ. ცუდი ჩვევა სჭირთ - აბრაზებენ და სცემენ პირუტყვს, იქნებ აუშვან კიდეც თავის გასართობად. მე ახლავე დავბრუნდები, ცოტა ხნით მივდივარ.

- წადი, წადი, მე მივხედავ, - შეჰპირდა ედიღეი, რომელიც ნიჩბით ხვეტდა ნახშირს და შავად გაზინზლული მჩვრით იწმენდდა ოფლს, ღვარად რომ ჩამოსდიოდა თავპირზე. ედიღეი ისედაც ნახშირის გორასთან ტრიალებდა, ურიკას ავსებდა, რა დიდი ამბავი იქნებოდა აქლემისთვისაც მიეხედა, რათა სადგურის ონავარ ბიჭებს არ შეეწუხებინათ. ერთხელ მოწმე იყო კიდევაც მათი ოინბაზობისა - ისე გააბეზრეს საწყალი პირუტყვი, ბღავილს და ფურთხებას მოჰყვა და ბიჭებს დაერია. იმათაც ეს უნდოდათ, პირველყოფილი მონადირეებივით ველური გნიასით შემოეხვივნენ აქლემს, ქვები და ჯოხები დაუშინეს. შავ დღეში ჩავარდა პირუტყვი, ვინემ პატრონი არ დაბრუნდა...

ამჯერადაც, თითქოს ჯიბრზე, ერთი ჟივილ-ხივილით გამოტყვრა საიდანღაც პატარა ყაჩაღების ბრბო. ხელად ფეხბურთის თამაში გააჩაღეს. ბურთს სწორედ დაფალმანდებულ აქლემს უმიზნებდნენ. აქლემი გარბოდა, ისინი კი ბურთს უბათქუნებდნენ ფერდებზე. ვინც ყველაზე მაგრად და მარჯვედ მოარტყამდა, ისე ზეიმობდა, თითქოს გოლი გაეტანოს.

- ჰეი, თქვენ, აბა მოუსვით აქედან, თავი გაანებეთ პირუტყს! - ნიჩაბი მოუქნია ბიჭებს ეღილეიმ. - თორემ მე რას გიზამთ!

ბიჭები ხელად გაცვივდნენ. პატრონი თუ ეგონთ ან არადა შეაშინათ ნახშირის გადმომტვირთელის იერმა. იქნებ სულაც მთვრალი იყო და მართლა შავი დღე ღაეყარა მათთვის. ამიტომაც ბურთი წინ გაიგდეს და გაიქცნენ. რა იცოდნენ, რომ

ყოვლად უშიშრად შეეძლოთ აქლემის წამება. რამდენიც უნდოდათ. ელედეიმ ყასიდად შეაშინა ისინი ნიჩბით, თორემ თავის დღეში ვერ დაეწეოდა ბიჭებს. ერთი ნიჩაბი ნახშირი რომ ურიკაზე დაეყარა, მთელი ძალა უნდა მოეკრიბა. თურმე რა საძაგელი, რა დამამცირებელი გრძნობა ყოფილა უძლურება და ავადმყოფობა. თავი გამუდმებით უბრუოდა. ოფლმა ხომ გააწამა და გააწამა, ღვარივით სდიოდა, ძალას აცლიდა, ნახშირის მტვერიც სუნთქვას უჭირებდა, შავი ნახველი გულზე აწვებოდა. უქუბალა სულ იმას ცდილობდა, მეტწილად თვითონ ემუშავა და ქმარს დაესვენა, ცოტა ხანს განზე მჯდარიყო. თვითონ ავსებდა ნახშირით ურიკას და ზემოთ, ბურტისკენ მიაგორებდა. მაგრამ ეიღეის რა მოასვენებდა, როცა ქალი წელში წყდებოდა, წამოდგებოდა ბარბაც-ბარბაცით და მუშაობას განაგრძობდა...

ის კაცი მალე დაბრუნდა, აქლემს მიმიხედეო, რომ სთხოვა. ზურგზე მოეკიდებინა ტვირთი. საპალნე რომ აქლემს დაადო, მერე ედიღეისთან მივიდა, გამოელაპარაკა. სწორედ ეს იყო ყაზანგაპი, ბორანლი-ბურანის რკინიგზის ასაქცევიდან...

თურმე ერთი მხრიდან ყოფილან. ყაზანგაპიც არალის ზღვისპირა აულელი გამოდგა: ამან ხელდახელ დააახლოვა ისინი.

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს შეხვედრა განსაზღვრავდა ედიღეისა და უქუბალას მთელ მერმისს. ყაზანგაპმა მალე დაარწმუნა ცოლ-ქმარი ბორანლი-ბურანის ასაქცევზე გამგზავრებულიყვნენ მასთან ერთად, იქ ეცხოვრათ და ემუშავათ. ზოგი კაცი გაცნობისთანავე მიგიზიდავს და მოგხიბლავს. უჩვეულო არაფერი ჰქონდა ყაზანგაპს, პირიქით, უბრალოც იყო, მაგრამ ეს უბრალოება მოწმობდა, გამოცდილება და სიბრძნე რა მძიმე გაკვეთილის შედეგად შეეძინა. შეხედავდი, ჩვეულებრივი ყაზახი იყო. მის გახუნებულ, დიდხანს ნატარებ სამოსს ტანის მოყვანი-

ლობა მიეღო უკვე. თხის ტყავის შარვალიც ტყუილად არ ეცვა - აქლემით მოგზაურობისას მოსახერხებელი იყო. მაგრამ რაც ჰქონდა, იმის მოფრთხილება სცოდნოდა - დიდ თავზე რკინიგზელის შედარებით ახალი ქუდი ეხურა, ეტყობა, საგარეოდ ინახავდა, წლების მანძილზე ნახმარი ტყავის ჩექმებიც გაფისული ძაფით გულდაგულ ჰქონდა ბევრგან დაკერილი. ტრამალის მკვიდრი მუშა რომ იყო, მცხუნვარე მზისა და ზედმივი ქარისაგან გაყავისფრებულ სახეზე და ხეშეშა, დაძარღვულ ხელებზე ეტყობოდა. ჯაფისგან ნაადრევად მოხრილი მხრები ძალუმად დაჰქანებოდა და ამიტომ კისერიც მამალი ბატივით გრძელი უჩანდა, თუმცაღა საშუალო ტანისა იყო. საოცარი თვალები კი ჰქონდა - თაფლისფერი, ყოვლისგამგები, დაკვირვებული, ღიმილიანი, ირგვლივ ნაოჭებით დასერილი.

ყაზანგაპი მაშინ ორმოციოდე წლისა იქნებოდა. თუმცა იქნებ იმიტომაც ჩანდა ამ ხნისა, რომ მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები და პატარა წაბლისფერი წვერი ცხოვრებაში გამოჯაგული კაცის იერს აძლევდა. მაგრამ ნდობას უფრო მეტად მისი ჭკუადამჯდარი საუბარი გინერგავდა. უქუბალა უმალ განიმსჭვალა ამ კაცის პატივისცემით. რაც თქვა, ყველაფერი ჯეროვანი და ჭკვიანური თქვა: რახან ასეთი საქმე დაგემართა და კონტუზიამ ჯერ არ გაგიარა, ჯანს რად იღუპავ. მე მაშინვე შეგამჩნიე, ედიღეი, ეს სამუშაო რომ გიჭირს. ამისთანა საქმეებისთვის შენ ჯერ მომაგრებული არა ხარ, ფეხებს ძლივს დაათრევ. ახლა შენ უფრო იოლი სამუშაო უნდა შეარჩიო, სუფთა ჰაერზე იყო, რძე ბლომად სვა. აგერ ჩვენს რკინიგზის ასაქცევზე ხალხი ძალიან გვჭირდება. ახალი უფროსი სულ ამას მეუბნება: შენ აქაური მკვიდრი ხარ, შესაფერისი ხალხი მოგვიძებნე და ჩამოგვიყვანეო. მაგრამ სად მოძებნი ასეთებს? ყველა ომშია წასული. ვინც ომიდან დაბრუნდა, სამუშაოს სხვაგანაც შოულობს. რა თქმა უნ-

და, არც ჩვენთანაა სამოთხე. ჩვენთანაც ძალიან ჭირს, ადგილია ცუდი - ირგვლივ საროზექია, უკაცრიელობა და უწყლობა. ცისტერნით ჩამოაქვთ ხოლმე მთელი კვირის სამყოფი წყალი. ზოგჯერ ვერც ჩამოაქვთ. ასეც ხდება. მაშინ შორს უნდა წახვიდე ტრამალში, ჭებისკენ, თულუხებით ჩამოიტანო წყალი, დილით რომ წახვალ, საღამოს დაბრუნდები მხოლოდ. და მაინც ჯობია იმ მივარდნილ საროზექში გქონდეს შენი კუთხე, ვინემ ასე იჯახირო და სადგურ-სადგურ იწანწალო. ჭერი გექნება და მუდმივი სამუშაო, გაჩვენებთ, გასწავლით, რა უნდა გააკეთო. თუ ხელს გაანძრევ, საკუთარ მეურნეობასაც მოიწყობ. ორნი ხართ და საკმაოდ იშოვით სარჩოს. ამასობაში ჯანიც დაგიბრუნდება. დრო გავა, მოგწყინდებათ და სადმე სხვაგან გაემგზავრებით...

აი, ასე თქვა მაშინ ყაზანგაპმა. ედიღეიმ იფიქრა, იფიქრა და დათანხმდა. იმავე დღეს გაჰყვნენ ყაზანგაპს საროზექში, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე, რამეთუ ედიღეისა და უქუბალას იმ დროების პირობაზე ჩასალაგებელი ბევრი არაფერი ებადათ. მოხიკეს თავიანთი ავლადიდება და გზას გაუდგნენ. რა ენაღვლებოდათ, ბარემცდიდნენ. თურმე კი მათი ბედი ეს ყოფილა.

მთელი სიცოცხლე ემახსოვრება ედიღეის ის გზა ქუმბელიდან ბორანლი-ბურანამდე. ჯერ რკინიგზას მიჰყვებოდნენ, მერე ნელ-ნელა დაშორდნენ და ხრიატი დაღმართებით გან-გან გაუხვიეს. როგორც ყაზანგაპმა თქვა, ათიოდე კილომეტრით მაინც ჩამოჭრეს გზა, ვინაიდან აქ რკინიგზა დიდ რკალს აკეთებდა, ოდესღაც კარგა დიდ, ახლა კი დამშრალი მლაშე ტბის, დიდი თაკირის ფსკერს გარშემო უვლიდა. მარილი და ჭანჭრობები დღემდე გამოდის თურმე თაკირის წიაღიდან. ყოველ გაზაფხულზე ეს მარილიანი ვაკე იღვიძებდა - დაჭაობიანდებოდა, გაჟივჟივდებოდა, ძნელი სავალი ხდებოდა, ზაფხულში კი მარილის თეთრ ხეშეშ ბრკეს გადაიკრავდა და ქვასავით მაგრდებო-

და შემდგომ გაზაფხულამდე. აქ რომ ოდესღაც უზარმაზარი მარილიანი ტბა იყო, ეს ყაზანგაპმა საროზექში ნამყოფ გეოლოგ ელიზაროვის ნათქვამით იცოდა, ვისაც მერე ბურანელი ედიღეიც ძალიან დაუმეგობრდა. დიდი ჭკვიანი კაცი იყო ელიაზაროვი.

ედიღეის მაშინ ჯერ კიდევ არ ერქვა ბურანელი ედიღეი, მაშინ ბორანლელ რკინიგზელთან შემთხვევით შეხვედრილი ერთი არალელი ყაზახი იყო, ცხოვრებამოუწყობელი, დაჭრილი ფრონტელი, რომელიც ყაზანგაპს მიენდო და ცოლთან ერთად სამუშაოსა და ჭერის საძებრად გაჰყვა მისთვის უცნობ ბორანლი-ბურანის ასაქცევზე; რა იცოდა, რომ მთელ სიცოცხლეს იქ, იმ ასაქცევზე გაატარებდა.

საროზექის თვალუწვდენელმა, ვეებერთელა სივრცეებმა, გაზაფხულზე ხანმოკლედ აბიბინებულმა, გააბრუა და დაარეტიანა ედიღეი. არალის ზღვის ირგვლივ იყო ბლომად ტრამალი და ვაკე. ჯერ მარტო უსტიურტის ზეგანი რად ღირდა, მაგრამ ასეთი უდაბური ხალვათობა პირველად ნახა მისმა თვალებმა. მერმე მიხვდა ედიღეი, რომ საროზექის მდუმარებასთან მარტოდმარტო დარჩენას მხოლოდ ის შეიძლებდა, ვინც უდაბნოს სიდიადეს საკუთარ სულს მიუთანაზომებდა. კი, დიდია და დიადი საროზექი, მაგრამ ადამიანის ცოცხალი აზრი და ფიქრი მასაც გასწვდება, მასაც მოიცავს. ბრძენი კაცი იყო ელიზაროვი, იმას აგიხსნიდა, რაც ქვეშეცნეულად შენშიაც ბუნდოვნად მწიფდა.

ვინ იცის, რა გუნებაზე დადგებოდნენ ედიღეი და უქუბალა საროზექში შეღრმავებისას, ყაზანაში რომ არ ყოფილიყო. ის მიუძღოდათ წინ, სადავით მიჰყავდა აქლემი, რომელზედაც საპალნეებს შორის ედიღეი წამომჯდარიყო. რა თქმა უნდა, წესით უქუბალას მართებდა აქლემზე ჯდომა, მაგრამ ყაზანგაპმა და მეტადრე უქუბალამ თითქმის ძალათი შეაყუნცეს ზედ ედიღეი: „ჩვენ საღსალამათი ხალხი ვართ, შენ კი ძალა უნდა დაზოგო,

ნუ გვედავები. ნუ გვაყოვნებ, ისედაც დიდი გზა გვიდევს წინ...“ აქლემი ჯერ ახალგაზრდა იყო, დიდ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა, იმიტომაც ორი ადამიანი ფეხით მიაბიჯებდა, მესამე კი აქლემზე იჯდა. აი, ედიღეის ყარანარზე სამივე არხეინად მოკალათდებოდა და უფრო ჩქარაც - სამ საათ-ნახევარ, ოთხ საათში ჩამოვიდოდნენ თოხარიკით, მაშინ კი ბორანლი-ბურანს ღამითღა მიაღწიეს.

მაგრამ ლაპარაკსა და უცნობი მიდამოების თვალიერებაში გზა შეუმჩნევლად გაილია. ყაზანგაპი მოჰყვა გზაში, როგორ მოხდა თვითონ აქ, რკინიგზაზე, საროზექის მხარეში. თურმე არც ისე წლოვანი ყოფილა. ამ წელიწადს, ომის დამთავრების წინ, ოცდამეთექვსმეტეში გადამდგარა. წარმოშობით არალისპირა ყაზანი იყო. ბუშაღაჩი, მისი აული, ჟანგელდიდან ოცდაათ კილომეტრზე მდებარეობდა ნაპირის გაყოლებაზე. კარგა ბლომა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ყაზანგაპი იქიდან წამოვიდა, მაგრამ თავის აულში ერთხელაც აღარ ჩაუდგამს ფეხი. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მამამისი თურმე კულაკების ლიკვიდაციის დროს გაუსახლებიათ. როცა გაირკვა, რომ კულაკი არ იყო, ხაზის გადახრას შეეწირა და სულ ტყუილად, უფრო სწორად, შეცდომით მოქცეოდნენ ასე სასტიკად მისთანა საშუალო შეძლების გლეხებს, დააბრუნეს, მაგრამ ვეღარ კი ჩამოაღწია და გზაში გარდაიცვალა. საქმის გამოსწორება გვიანი აღმოჩნდა. ოჯახი დაიშალა, და-ძმებიდან ვინ სად გადაიკარგა და ვინ სად, ოღონდაც თვალს მოშორებოდნენ. მას აქეთ მათი ასავალ-დასავალი ყაზანგაპმა აღარ იცოდა. თავად მას, მაშინ ჯერ ყმაწვილს, ფრიად თავგამოდებული აქტივისტები ძალას ატანდნენ; კრებაზე გამოდი, მამა დაგმე, მთელი ხალხის წინაშე განაცხადე, რომ ჩვენს ხაზს მხარს მხურვალედ უჭერ, რომ მამაშენი სწორად დასაჯეს, ვით უცხო ელემენტი, რომ ასეთ მამაზე ხელს იღებ, რომ მამა-

შენისთანა კლასობრივმა მტრებმა ქვეყნად არ უნდა იბოგინონ და ისინი ყველგან უნდა გააცამტვერონ.

ამ სირცხვილს რომ გადარჩენოდა, ადგა ყაზანგაპი და შორს გადაიხვეწა. მთელი ექვსი წელი იმუშავა ბეთფაქ-დალში, სამარყანდთან მდებარე მშიერ ტრამალში, სადაც საუკუნეების მანძილზე ყამირი არავის გაუტეხავს, ახლა კი ბამბის პლანტაციებისთვის ამუშავებდნენ. ხალხი იქ ძალიან სჭირდებოდათ. ბარაკებში ცხოვრობდნენ ყველანი, არხებს თხრიდნენ. ყაზანგაპი მიწასაც თხრიდა, ტრაქტორისტობდა კიდეც, ბრიგადირადაც იყო, საპატიო სიგელიც მიიღო, როგორც დამკვრელმა. იქ ითხოვა ცოლიც ყველა კუთხიდან მოეშურებოდა მაშინ ხალხი მშიერ ტრამალში საშოვარზე. ხივიდან ჩამოვიდა ყარაყალპაკელი ბუქეი, ოჯახს ჩამოჰყვა ბეთფაქ-დალში სამუშაოდ. თურმე ბედის წიგნში ეწერათ ერთმანეთს შეხვედროდნენ. დაქორწინდნენ ბეთფაქ-დალში და გადაწყვიტეს ყაზანგაპის სამშობლოში გამგზავრებულიყვნენ, არალის ზღვას, თავის ხალხს, თავის მიწას დაბრუნებოდნენ. თურმე კარგად არ დაფიქრებიან ამ ამბავს. დიდხანს იმგზავრეს „მაქსიმებით“[6], რამდენიმე მატარებელი გამოიცვალეს. როცა ქუმბელში კიდევ ერთ მატარებელში უნდა გადამსხდარიყვნენ, შემთხვევით შეხვდა ყაზანგაპი თავის სოფლელებს და მათი ლაპარაკით გაარკია, ბეშაღაჩში არ უნდა დაბრუნებულიყო. თურმე იქაურობას ისევ ის ხაზის გადამხრელები განაგებდნენ. ჰოდა, გადაიფიქრა ყაზანგაპმა თავის აულში დაბრუნება. განა იმიტომ, რამესი ეშინოდა, ახლა თვით უზბეკისტანის სიგელი ჰქონდა: არ უნდოდა იმ ხალხის ნახვა, ასე ბოროტად რომ მოექცნენ და გაამწარეს. იმათ ჯერჯერობით ყვე-

[6] ასე ეწოდებოდა იმ ეშელონებს, ხალხი რომ გადაჰყავდა

ლაფერი ხახვივით შერჩათ, ყაზანგაპს კი არ შეეძლო გულმშვიდად მისალმებოდა მათ, ვითომცდა არაფერი მომხდარიყო.

ყაზანგაპს ახლაც არ სიამოვნებდა ამ ამბების მოგონება, თუმცა მის გარდა უკვე ყველას დავიწყებოდა ისინი. რაც სარო-ზექში დასახლდა, მთელი ამ წლების მანძილზე მხოლოდ ორ-ჯერ გაამჟღავნა, რომ არაფერი დავიწყებოდა. ერთხელ ვაჟმა მოაყვანინა გული, მეორედ კი ედიღეი გაეხუმრა უშნოდ.

საბითჟანი იყო ერთხელ ჩამოსული, ჩაის უსხდნენ, საუბ-რობდნენ, ქალაქის ახალ ამბებს ისმენდნენ საბითჟანისგან. სა-ბითჟანი სიცილით მოჰყვა, ის ყაზახები და ყირგიზები, კოლექ-ტივიზაციის წლებში სინცზიანში რომ წავიდნენ, ახლა ისევ ბრუნ-დებიანო. ჩინეთმა თურმე ძალზე შეავიწროვათ – ხალხს შინ ჭა-მა აუკრძალა, მხოლოდ საერთო ქვაბიდან უნდა ჭამოთ დღეში სამჯერ. დიდი თუ პატარა ჯამებით რიგში იდგა. ჩინელებმა ისე-თი დღე აყარეს ამ ხალხს, სარჩო-საბადებელი მიატოვეს და იქი-დან დამდუღრულებივით გამოიქცნენ. ახლა თავმოდრეკით იხ-ვეწებიან, უკან დაგვაბრუნეთო.

- მერედა ეს კარგია? - მოიღუშა ყაზანგაპი და ტუჩები ბრა–ზით აუცახცახდა. იშვიათად თუ გაჯავრებულა ასე, ასეთი კილო-თი იშვიათად თუ მიუმართავს თავის ვაჟისთვის, ვინც ქვეყანას ერჩია, ვისაც ასწავლა, ვისთვისაც არაფერს ზოგავდა და იმედი ჰქონდა, დიდი კაცი გამოვაო. - სასაცილო აქ რა ნახე, რომ იცი-ნი? დაუმატა ყრუდ და თავში სისხლმა აასხა. - ხალხს უბედურება დაატყდა.

- ნეტა სხვანაირად როგორ მეთქვა? - შეეპასუხა საბითჟა–ნი. - როგორც იყო, მეც ისე ვყვები.

ყაზანგაპს არაფერი უთქვამს, ჩაის ფიალა განზე გადგა, დადუმდა, და ეს დუმილი აუტანელი იყო.

- ან ვისზე მოგდის გული? - გაკვირვებით აიჩეჩა მხრები საბითჟანმა. - ვერ გამიგია. კიდევ გიმეორებ - ვისზე მოგდის-მეთქი გული? დროზე - დრო მოუხელთებელია. მთავრობაზე - უფლება არ გაქვს.

- იცი, საბითჟან, მე ჩემი საქმე ვიცი, სხვისაში არ ვერევი. მაგრამ ეს კი გახსოვდეს, შვილო, თუმცა შენი ჭკუით თვითონაც უნდა მიმხვდარიყავი, რომ მარტო ღმერთზე არ შეიძლება მოგივიდეს გული - თუ სიკვდილი კარს მოგაყენა, მაშასადამე, შენს სიცოცხლეს ყავლი გასვლია - დანარჩენზე კი ამქვეყნად კაცს ყველაფერი უნდა მოეკითხოს ! - ყაზანგაპი წამოდგა და გაჯავრებული გარეთ გავიდა, არავისთვის არ შეუხედავს...

მეორედ, ქუმბელში მათი შეხვედრიდან კარგა ბლომა წლების მერმე, როცა უკვე დასახლდნენ, უკვე ფესვი გაიდგეს ბორანლი-ბურანში, როცა შვილები გაუჩნდათ და კიდეც წამოეზარდათ, ერთ გაზაფხულის საღამოს, ცხვრების და ბატკნების საჩეხეში შედენისას, ედიღეი ყაზანგაპს გაეხუმრა:

- გავმდიდრდით მე და შენ, ყაზაქე, და ესაა. დროა ხელახლა განგვაკულაკონ!

ყაზანგაპმა მკვახედ შეხედა, ულვაშებიც კი აეჯაგრა.

- ენა დააყე, წინ ნუ გისწრებს!

- ვიხუმრე, რა, ხუმრობა არ იცი?

- ეს სახუმარო არაა.

- კარგი ერთი, ყაზაქე, ასი წელი გავიდა, მგონია...

- საქმეც ეგაა. ქონებას წაგართმევენ - არ დაიღუპები, როგორმე გაუძლებ, სულში ჩაფურთხებას კი ვერაფერი გადაგავიწყებს, ვერაფერი წაშლის.

მაგრამ იმ დღეს ქუმბელიდან საროზექის ველებით ბორანლი-ბურანში რომ მიდიოდნენ, ამისთანა ლაპარაკამდე ჯერ კიდევ კაი ძალი დრო უკლდათ. ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რით

დამთავრდებოდა ბორანლი-ბურანში მათი ჩასვლა, დიდხანს დაჰყოფდნენ იქ თუ ცოტა ხანს; შეეგუებოდნენ, თუ კიდევ სხვაგან სადმე გასწევდნენ. უბრალოდ, ცხოვრებაზე ბაასობდნენ მაშინ და ედიღეიმ ცნობისმოყვარედ ჰკითხა ყაზანგაპს, რა მიზეზით არ მოხვდა იგი ფრონტზე, ავად ხომ არ იყო?

- არა, ჯანს ვერ დავემდურები, - უპასუხა ყაზანგაპმა, - არც ავად ვყოფილვარ ოდესმე. სხვებზე ნაკლებ, მგონია, არც მე ვიომებდი, მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა...

როცა ყაზანგაპმა ვეღარ გაბედა თურმე ბეშაღაჩში დაბრუნება, ისა და მისი ცოლი ქუმბელის სადგურზე დარჩნენ, სხვა რა გზა ჰქონდათ. მშიერ ტრამალზე დაბრუნებულიყვნენ - ჯერ ერთი, შორი იყო, თან არც ღირდა მაშინ აქედან წასვლა. არალზედაც გადაიფიქრეს გამგზავრება. აქაურმა სადგურის უფროსმა, კეთილი კაცი იყო თურმე, შეამჩნია ისინი, შეიცოდა, გამოჰკითხა, საიდან ხართ, რას აპირებთო. მერე დასვა ყაზანგაპი და ბუქეი სატვირთო მატარებელზე და ბორანლი-ბურანის ასაქცევზე გამგზავრა. იქ ხალხი სჭირდებათ, თქვენ კი შესაფერისი წყვილი ხართო, უთქვამს და ასაქცევის უფროსთან წერილიც გაატანა. არც შემცდარა ქუმბელის სადგურის უფროსი. თუმცა მშიერ ტრამალთან შედარებითაც ძალზე ძნელი გამოდგა აქ ცხოვრება - იქ, მშიერ ტრამალზე უამრავი ხალხი ირეოდა, გახურებული მუშაობა იყო - თუმცა ძნელად შესაგუები აღმოჩნდა უწყლო საროზექის ველები, მაინც ნელ-ნელა მიეჩვივნენ, შეეგუენ და დაიწყეს ცხოვრება, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ თავის ნებაზე და დამოუკიდებლად. ორივე, ყაზანგაპიცა და ბუქეიც, რკინიგზის მუშებად ირიცხებოდნენ გადასარბენზე. მაგრამ ასაქცევზე, რაც საჭირო იყო, ყველაფერი უნდა ეკეთებინათ. ასე დაიწყო სინამდვილეში ყაზანგაპის და მისი ყმაწვილი ცოლის ერთად ცხოვრება უკაცრიელ საროზექში, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე. როცა ფუ-

ლი დააგროვეს, ორჯერ დააპირეს იმ წლებში სადმე სხვაგან გადაბარგება. რომელიმე სადგურისა თუ ქალაქის ახლოს, მაგრამ ვინემ ისინი ამ საქმეს თავს მოაბამდნენ, ომიც დაიწყო.

ჰოდა, ეშელონი ეშელონს მიჰყვა ბორანლი-ბურანის გავლით, დასავლეთისაკენ ჯარისკაცებით სავსე, აღმოსავლეთისკენ - ევაკუირებული ხალხით, დასავლეთისკენ პურით დატვირთული, აღმოსავლეთისკენ - დაჭრილებით. ბორანლი-ბურანისთანა პატარა სადგურზედაც კი მაშინვე საგრძნობი გახდა, რაოდენ მკვეთრად შეიცვალა ცხოვრება...

ერთიმეორის მიყოლებით ბღაოდნენ და კიოდნენ ორთქლმავლები, გზა მოგვეცითო. მოპირდაპირე მხრიდანაც ასეთივე ბღავილი ისმოდა... განძელები ვეღარ უძლებდა ასეთ დატვირთვას და იღუნებოდა, დროზე ადრე ცვდებოდა რელსებიც გაჭედილ ვაგონთა სიმძიმისაგან. ერთ ადგილას რომ გამოცვლიდნენ ლიანდაგს, სასწრაფოდ მეორე ადგილასაც იყო საჭირო გამოცვლა თუ შეკეთება.

დასასრული აღარ უჩანდა მატარებლებს - ნეტა სად იყო ამდენი ლაშქარი, ურიცხვი და უთვალავი. ეშელონი ეშელონს მისდევდა ფრონტისაკენ დღისით თუ ღამით. კვირეებით თუ თვეობით, მერე კი წლიდან წლობით. ყველა დასავლეთისაკენ მიისწრაფოდა - იქ, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჭიდებოდნენ ერთმანეთს ქვეყნები.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყაზანგაპის რიგმაც მოაწია, ომში გაიძახეს. ქუმბელიდან უწყება გადმოსცეს - შესაკრებ პუნქტში გამოცხადდესო. ასაქცევის უფროსმა თავში იტაცა ხელები, დაიკვნესა - საუკეთესო რკინიგზელს ართმევდნენ, ბორანლო-ბურანის ასაქცევზე ისედაც კაცნახევარი დაითვლებოდა. მაგრამ რა ჩარა იყო, მისას ვინ მოისმენდა, ბორანლი-ბურანი რეზინა ხომ არაა, ამდენ მატარებლებს გაუძლოსო, სემაფორებთან ორ-

თქლმავლები ბღავიანო. სასაცილოდაც აიგდებდნენ, რომ ეთქვა, კიდევ ერთი სათადარიგო ხაზია საჭირო. ვის ეცალა საამისოდ - მტერი მოსკოვთან იდგა...

უკვე კარზე იყო მომდგარი ომის წლების პირველი ზამთარი, ნაადრევი, ნისლიანი, ძვალ-რბილში გამტანი სუსხით, ადრიანი ბინდბუნდით. იმ ღამით კი თოვლიც მოვიდა. ჯერ ნელ-ნელა, მერე კი ბარდნით წამოუშინა. საროზექის დიადი მდუმარებით მოცულ ველებს, ხევხუვებს, ფლატეებს სპეტაკი თოვლის საბანი დაეფინა, მაშინვე ამოძრავდა საროზექის ქარებიც, ჯერ კიდევ დაუტკეპნავი თოვლის ფენა მჩატე-მჩატედ აათამაშა. ეს დასაწყისი, ეს პირველი ცდა იყო მხოლოდ, მერე აღმუვლდება, დაბზრიალდება, უშველებელ ბუქს დააყენებს. რაღას უზამს მაშინ რკინიგზას, წვრილი ძაფივით რომ გასდევს დიდი ყვითელი ტრამალების შუაგულ მიწებს კიდით კიდემდე, ვით საფეთქლის ძარღვი? ფეთქავდა ძარღვი - მიგრიალებდნენ და მოგრიალებდნენ მატარებლები იქით თუ აქეთ...

იმ დილას წავიდა ყაზანგაპი ფრონტზე. წავიდა მარტო, არავის გაუცილებია. სახლიდან რომ გამოვიდნენ, ბუქეი შედგა, თოვლისგან რეტი მესხმისო, თქვა. ყაზანგაპმა ჩამოართვა შეფუთნული ბალღი, მაშინ უკვე ჰყავდათ აიზადა. ერთად გაუყვნენ გზას, ვინ იცის, კვალს უკანასკნელად ტოვებდნენ ერთად თოვლზე. მაგრამ ცოლს არ გაუცილებია ყაზანგაპი, თვითონ ყაზანგაპმა მიაცილა იგი უკანასკნელად მეისრის ჯიხურამდე, ვინემ ქუმბელისკენ მიმავალ სატვირთოს დააჯდებოდა. ახლა ბუქეი რჩებოდა მეისრედ ქმრის მაგივრად, აქ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. სათქმელი და სატირალი ღამით თქვეს და მოათავეს. ორთქლმავალი გასამგზავრებლად ქშუოდა. მემანქანე აჩქარებდა, ყაზანგაპს ეძახდა. როგორც კი ეს ზანგაპი ავიდა, ორთქლმავალმა დაჰკივლა, ნელ-ნელა უმატა სიჩქარეს და

რახარუხით გავიდა ისარზე, სადაც ბუქეი იდგა, შალშემოხვეული, ქამარშემოჭერილი, ქმრის ჩექმებში, ცალ ხელში ალმით და ცალში კი აიზადათი. უკანასკნელად დაუქნიეს ხელი ერთმანეთს. წამით გაიელვა ბუქეის სახემ, თვალებმა, ხელმა, სემაფორმა...

მატარებელი კი უკვე მიჰქროდა, გრიალით ახმიანებდა საროზექის რძისფრად დათოვლილ სივრცეებს, უხმოდ რომ მოცურავდნენ შესახვედრად აქეთ-იქიდან და უხმოდვე უჩინარდებოდნენ თეთრი სიზმარივით. ქარი დაქშუოდა ორთქლმავალში, დამწვარი წიდის მოუსრველ სუნს ტრამალის პირველქმნილი თოვლის სურნელს ურევდა. ყაზანგაპი ცდილობდა საროზექის სივრცეთა ეს ზამთრის სურნელი დიდხანს არ ამოესუნთქა, დიდხანს გაეჩერებინა ფილტვებში, იგრძნო, ეს მიწა მისთვის ამიერიდან უცხო არ იყო.

ქუმბელის სადგურზე მობილიზებულთ უკვე ამგზავრებდნენ. ყველას მწყობრში აყენებდნენ, სიით იძახებდნენ და ვაგონებში ანაწილებდნენ. მაშინ მოხდა უცნაური ამბავი. ყაზანგაპის კოლონის ჩასხდომის ჯერმა რომ მოაღწია, სამხედრო კომისარიატის ერთი მუშაკი გზაში წამოეწია ყაზანგაპს.

- ყაზანგაპ ასანბაევი! რომელია აქ ასანბაევი? მწყობრიდან გამოდი! უკან მომყევი!

- მე ვარ ასანბაევი!

- საბუთები მაჩვენე!.. სწორია. აბა მომყევი.

სადგურზე, შეკრების პუნქტში რომ მივიდნენ, იმ კაცმა უთხრა:

- აი, რას გეტყვი, ასანბაევო, მოდი და შინ დაბრუნდი, სახლში გაემგზავრე, გაიგე?

- გავიგე, - მიუგო ყაზანგაპმა, თუმცა ვერაფერიც ვერ გაიგო.

- თუ გაიგე, მაშ მოუსვი აქედან, დროს ნუ აცდენ, თავისუფალი ხარ.

ყაზანაპი დაბნეული იდგა აზუზუნებულ გამცილებელთა თუ წამსვლელთა ბრბოში. პირველად გაეხარდა, საქმე რომ ასე შეტრიალდა, მერე კი თავში დაცეცხლა, როცა ამის მიზეზს მიხდა. აი, თურმე რა ყოფილა! და მყისვე შესაკრები პუნქტის უფროსის კართან მოზღვავებულ ხალხში გზის გაკაფვას შეეცადა.

- შენ სად მიძვრები? -- დაუტიეს იმათ, ვისაც უფროსთან შესვლა უნდოდა.

- სასწრაფო საქმე მაქვს! ეშელონი გადის, მეჩქარება! - და კიდეც შევიდა.

გაბოლილ ოთახში მაგიდას შეჭაღარავებული კაცი უჯდა. მაგიდაზე ტელეფონები იდგა, ქაღალდების ხროვა ეყარა. ირგვლივ ხალხი შემოხვეოდა. კაცმა თავი ასწია, ყაზანგაპი რომ ზედ წაადგა.

- შენ რა გინდა, რა საკითხზე ხარ?

- იმაზე, რომ არ ვეთანხმები!

- რაზე არ ეთანხმები?

- მამაჩემი გაამართლეს, არასწორად იყო გასახლებული. კულაკი არ ყოფილა! კარგად გასინჯეთ, რაც მანდ გიწერიათ! საშუალო გლეხი იყო და გადაასახლეს.

- დაიცა, დაიცა! შენ რას ითხოვ?

- თუ ამ მიზეზით:არ მიგყავართ, სწორად არ იქცევით.

- რას მიედ-მოედები. კულაკიო, საშუალოო - ვის სცალია ახლა საამისოდ! ციდან ხომ არ ჩამოვარდი? ვინა ხარ?

- ასანბაევი ვარ ბორანლი-ბურანის ასაქცევიდან.

უფროსმა სიას ჩახედა:

- ეგრე გეთქვა, რა ტვინს მიბნევ. საშუალოო, ღატაკიო, კულაკიო! შენზე ჯავშანია მოსული! შეცდომით გამოგიძახეს. პირადად ამხანაგ სტალინის ბრძანება - რკინიგზელები არ წაიყვანოთ, თავის ადგილზე დატოვეთ ყველაო. გირჩევნია ხელს ნუ მიშლი, შენს ასაქცევზე გასწი ჩქარა და საქმეს მიხედე...

მიუახლოვდნენ ბორალნი-ბურანს და მზეც ჩაესვენა. ახლა ისევ რკინიგზისაკენ მიდიოდნენ. უკვე ისმოდა ხან აღმა, ხან დაღმა მიმავალ მატარებელთა საყვირის ხმა და ვაგონების გარჩევაც შეიძლებოდა. შორიდან, საროზექის ვეება ველებზე, ისინი სათამაშო მატარებლებს ჰგავდნენ. მზე ნელ-ნელა იფერფლებოდა სადღაც უკან, თან ანათებდა და თან ჩრდილს ჰფენდა გაშლილ ხევებსა და გორაკებს. ბინდი უჩინრად ჩამოდიოდა მიწაზე, თანდათან ალურჯებდა და ავსებდა ჰაერს გაზაფხულისთვის მომზადებული, ნელინელ გაგრილებული მიწის სურნელით, ჯერ კიდევ რომ შემორჩენოდა ზამთრის სინოტივე.

- აგერ ჩვენი ბორანლიც! - თითით აჩვენა ყაზანგაპმა აქლემზე შესკუპულ ედიღეის გვერდით ჩქარ-ჩქარა მიმავალ უქუბალას. - ახლა ცოტაღა დაგვრჩა, მალე მივალთ ღვთის წყალობით. დაისვენებთ კიდევაც.

იქ, სადაც რკინიგზა ოდნავ შესამჩნევად ირკალებოდა, ცარიელ ვაკეზე, რამდენიმე პატარა სახლი იდგა, სათადარიგო ლიანდაგზე მატარებელი ელოდა სემაფორის გახსნას. გაღმა თუ გამოღმა ტრიალი მინდორი, დამრეცი ფერდობი ჩანდა - მდუმარე. განუზომელი სივრცე, ტრამალი და მხოლოდ ტრამალი...

გული ჩასწყდა ედიღეის - არალელ ტრამალელისთვის უცხო არ იყო უდაბნოები, მაგრამ ასეთ რამე არ მოელოდა. მუდამ ცვალებადი ლურჯი ზღვის პირას გაზრდილს ამ მკვდარ, უწყლო მხარეში როგორ ეცხოვრა?!

გვერდით მიმავალი უქუბალა ედიღეის ფეხზე სწვდა, რამდენიმე ნაბიჯი ასე გაიარა. მიხვდა ედიღეი ცოლის ხვაშიადს. „გულს ნუ გაიტეხ, - ეუბნებოდა იგი, - თავიდათავია, შენ იყო კარგად, ჯანზე მოხვიდე. მერე კი ვნახოთ, ეს ცხოვრება რასაც მოგვიტანს...“

ასე მიუახლოვდნენ ისინი იმ ადგილს, სადაც თურმე მრავალი, მრავალი წელი - მთელი დარჩენილი წუთისოფელი უნდა ეცხოვრათ.

მალე მზე სულ ჩაიფერფლა. საროზექის ჩაბნელებული ცა უკვე უთვალავ კაშკაშა ვარსკვლავს მოეჭიდა, როცა ისინი ბორანლი-ბურანს მიადგნენ.

რამდენიმე დღე ყაზანგაპთან დაჰყვეს, მერე კი ცალკე გადავიდნენ, რკინიგზელთა მაშინდელ ბარაკში ერთი ოთახი გამოუყვეს. ასე და ამგვარად დაიწყეს ცხოვრება ახალ ადგილზე.

თუმცა ყოველნაირად ჭირდა ცოვრება, თუმცა ძნელი გამოდგა, მეტადრე პირველ ხანებში, ამ უკაცრიელი საროზექის შეჩვევა, ედიღეის საოცრად არგო ორმა რამ - ჰაერმა და აქლემის რძემ. ჰაერი მართლა რომ პირველქმნილი სიწმინდისა იყო, მეორე ასეთ ხელუხლებელ სამყაროს ძნელად თუ სადმე აღმოაჩენდი. რძე კი ყაზანგაპმა გაუხერხა. თავისი ორი ჯამა აქლემიდან ერთი დაუთმო.

- მე და ჩემმა ცოლმა ასე დავთქვით, - უთხრა ყაზანგაპმა, - რძე ჩვენ სამყოფი გვაქვს, ამიტომ თეთრთავა თქვენ წაიყვანეთ, ახალგაზრდა ჯამა აქლემია, კარგად იწველება, მეორე მოგებაა, თქვენვე მოუარეთ და თქვენვე მოიხმარეთ. ეგ თქვენია, მე და ჩემმა ცოლმა ასე გადავწყვიტეთ. აბა შენ იცი, როგორ მოამრავლებ ედიღეი. კარგად მოუვლი - კარგად გაგიმრავლდება, წასვლას დააპირებ - გაყიდი, ფულია.

თეთრთავას კვირა-ნახევრის უკან შესძენოდა შავთავა ერთი ციცქნა კოზაკი, პაწაწინა კუზებით. დიდრონი, წამოზიდული, ნამიანი თვალები ბავშვური ალერსითა და ცნობისმოყვარეობით ავსებოდა - გულს აგიჩვილებდა პირდაპირ. სასაცილოდ დაკუნტრუშობდა და ცელქობდა ხოლმე დედის გვერდით, როცა მარტო დარჩებოდა საჩეხეში - საბრალისი ხმით ადამიანივით ეძახდა დედას. განა ვინ იფიქრებდა, ეს თუ მომავალი ბურანელი ყარანარი იქნებოდა, მთელ ოლქში სახელგანთქმული, დაუღალავი და ძლიერი ყარანარი, ბურანელი ედიღეის ცხოვრებაში ბევრი შემთხვევისა და ამბის მონაწილე. მაშინ კი კოზაკს გამუდმებული ზრუნვა და თვალისჭერა სჭირდებოდა. ძალიან შეიყვარა იგი ედიღეიმ. მოცალეობის დროს სულ თავს დასტრიალებდა. არალზე უკვე მიჩვეოდა ამ საქმეს და ახლა ძალიან გამოადგა. ზამთრისთვის საგრძნობლად წამოიზარდა პატარა ყარანარი. როგორც კი აცივდა, თბილი ყაჯარი შეუკერეს. მუცელზე რომ ეკვრებოდა. ამ ყაჯარში კიდევ უფრო სასაცილოდ გამოიყურებოდა - მარტო თავი, კისერი, ფეხები და ორი პაწია კუზი უჩანდა. მთელი ზამთარი და გაზაფხულის დამდეგი ამ სამოსელში გაატარა – დღისით და ღამით ღია ცის ქვეშ იყო ტრამალზე.

იმ წლის ზამთარში კიდეც იგრძნო ედიღეიმ, თანდათან როგორ მოეცა ძალა. შეუმჩნევლად გაუარა თავბრუსხვევამ. გაუქრა ყურებში შხუილი და ოფლიც აღარ ასხამდა მუშაობისას. შუა ზამთარში კი, დიდთოვლობას უკვე სხვებთან ერთად შეეძლო საავრალო სამუშაოზე გასვლა. მერე კი იმდენად მომაგრდა - ახალგაზრდა იყო და ბუნებითაც თვითრჯული - კიდეც დაავიწყდა, რარიგ დაგლახებული იყო, ძლივას მიათრევდა ფეხებს, აუხდა წითურწვერა ექიმის სიტყვები.

კარგ გუნებაზე ყოფნის ხანს ედიღეი ხშირად ეხუმრებოდა ხოლმე კოზაკს, , ეფერებოდა და ყელზე ხელს ხვევდა.

- მე და შენ ძუძუმტეები შეიძლება დაგვარქვას კაცმა. როგორ წამოგჩიტა თეთრთავას რძემ, მე კი კონტუზიისგან განმკურნა, ღმერთმა ქნას, სამიდღემჩიოდ. განსხვავება ისაა, შენ ჯიქანს წოვდი მისას, მე კი ვწველიდი და შუბათს ვაყენებდი...

გავიდა ხანი, ბურანელი ყარანარის სახელი მთელ სარაზექში გავარდა. ვიღაცები საგანგებოდაც კი ჩამოვიდნენ მისი სურათის გადასაღებად. ომი თითქმის დავიწყებას მიეცა. შვილები სწავლობდნენ. ბორანლი-ბურანზე საკუთარი წყალსაქაჩი დადგეს, ისე - წყლის საკითხი აღარასოდეს შეაწუხებდათ. ედიღეიმ სახლი გამართა, თუნუქით დახურა - ერთი სიტყვით, ამდენ ჭაპანწყვეტისა და ვაივაგლახის შემდეგ ცხოვრება ძლივძლივობით ჩადგა ადამიანისთვის ღირსეულ, ჩვეულებრივ კალაპოტში. აი, სწორედ ამ ხანებში მოხდა ის ლაპარაკი, ედიღეის რომ კარგა ხანს ჩარჩა გულში.

რა თქმა უნდა, ფოტოკორესპონდენტთა ჩამოსვლა, როგორც თავად გააცნეს თავი, იშვიათი, თითქმის ერთადერთი შემთხვევა იქ ბორანლი-ბურანის მთელ ისტორიაში. მკვირცხლმა, ენაგაკრეფილი ფოტოკორებმა - სამნი იყვნენ - დაპირებების ბუქი დააყენეს - იმიტომაც ჩამოვედით, ყველა გაზეთსა და ჟურნალში ბურანული ყარანარი და მისი პატრონი გამოვჭიმოთო. ეს ალიაქოთი და აურზაური სულაც არ ეჭაშნიკა ყარანარს - გულმოსული ბღაოდა, კბილებს აკრაჭუნებდა და თავს ცისკენ იღერებდა, მომეშვით, გული ნუ გამიწყალეთო. ისე რომ ჩამოსულები წარამარა ეხვეწებოდნენ, ედიღეის, აქლემი დააწყნარე, უთხარი, ასე მიბრუნდეს, უთხარი ისე დადგესო. ედიღეიც იმავ წამს ბალღებს, ქალებს და ყაზანგაპს უხმობდა. რა არის ყველასთვის გადაეღოთ სურათი, მარტო მასა და ყარანარისთვის კი არა. ფოტოკორებიც უარს არ ამბობდნენ, წარამარა ნაირნაირ აპარატებს აჩხაკუნებდნენ. ყველაზე დიდებულიის სურათი

გამოვიდა, სადაც ბურანელ ყარანარს მთელი წვრილფეხობა ასხდა, ორი კისერზე, ოთხი კიდევ ზურგზე, შუაში კი ედიღეი იდგა - აბა უყურეთ, რა ღონიერი აქლემიაო! ჰო-ჰო, რა სიხარულის ჭყივილი ატყდა, მაგრამ მერე ფოტოკორესპონდენტები გამოტყდნენ. ყველაფერს გვირჩევნია ნარაქლემი მარტო გადავიღოთო. მერედა გადაიღონ, ვინ უშლით ხელს!

ჰოდა, გადაიღეს ფოტოგრაფებმა ბურანელი ყარანარი თუ წინიდან, თუ გვერდიდან, თუ ახლოდან, თუ შორიდან, როგორც შეძლეს და მოახერხეს, მერე ედიღეისა და ყაზანგაპის დახმარებით კიდეც გაზომეს, რა სიმაღლისა იყო ჯიდაომდე, რა სიგანისა ჰქონდა მკერდი, რა სიგრძის ტანი, ყველაფერი ჩაიწერეს და თან აღტაცებით იძახდნენ:

- რა დიდებული ბაქტერიანია! აი, რას ნიშნავს დიდებული გენები! კლასიკური ბაქტერიანის ტიპია, რა მძლავრი მკერდი აქვს, ჩინებული ექსტერიერია!

ეამა, ძალზე ეამა ედიღეის ასეთი ხოტბა, მაგრამ მაინც ჰკითხა, რას ნიშნავდა ეს გაუგებარი სიტყვები, მაგალითად, „ბაქტერიანი“ რა იყო. თურმე ასე ეძახდნენ მეცნიერები ორკუზა აქლემების ძველთაძველ ჯიშს.

- მაშ, ბაქტერიანი ყოფილა?

- იშვიათი წმინდა სისხლია.

- გაზომვა რაღა საჭირო იყო?

- მეცნიერული მონაცემებისათვის.

ჟურნალ-გაზეთების თაობაზე ჩამოსულებმა, რა თქმა უნდა, ბორანელების წინაშე ბუქი დააყენეს, რა არის ფასი დაედოთ თავიანთი საქმიანობისათვის, მაგრამ ნახევარი წლის შემდეგ კი ბანდეროლით სახელმძღვანელო გამოაგზავნეს. ეს იყო ზოოტექნიკურ ფაკულტეტის აქლემმცოდნეობისთვის განკუთვნილი წიგნი, რომლის ყდას კლასიკური ბაქტერიანის, ბურანელი ყა-

რანარის სურათი ამშვენებდა. უამრავი სურათიც გამოაგზავნეს, ფერადიცა და არაფერადიც. ამ სურათების მიხედვითაც დარწმუნდებოდა კაცი, რა ბედნიერი, დალხენილი დრო იყო მაშინ. ომის შემდგომი წლების ვაივაგლახი და გაჭირვება უკან დარჩა, ბალღები ჯერ პატარები იყვნენ, დიდები საღ-სალამათნი და სიბერემდეც კაი ხანი უკლდათ.

იმ დღეს სტუმრების პატივსაცემად ცხვარი დაკლა ედიღეიმ და მთელ ბურანლელებს დიდებული ნადიმი გაუმართა. შუბათი, არაყი თუ სასმელ-საჭმელი თავზე საყრელი იყო. მაშინ ბორანლი-ბურანის ასაქცევზე მუშათა მომარაგების მოძრავი ვაგონი-მაღაზია ჩამოდიოდა. სულო და გულო, რა არ ჩამოჰქონდათ, ათასნაირი კიბორჩხალები, წითელი და შავი ხიზილალა, ნაირნაირი თევზეული, კონიაკი, ძეხვები, კანფეტები და სხვა, ოღონდაც კი ფული გქონოდა. თურმე როცა ყველაფერია, ყიდვას არ ხარბდები, ზედმეტი აბა რა საჭიროა? ახლა კი ეს მოძრავი მაღაზია დიდი ხანია გაქრა, დიდი ხანია თვალით აღარ უნახავთ...

მშვენიერი დრო გაატარეს ბორანელებმა, ბურანელი ყარანარის სადღეგრძელოც კი შესვეს. სჯა-ბაასში გამოირკვა, რომ ყარანარის ამბავი სტუმრებს ელიზაროვისაგან შეეტყოთ. ელიზაროვს უამბნია მათთვის, რომ საროზექში მისი მეგობარი ბურანელი ედიღეი ცხოვრობს და ამ ედიღეის ყველაზე ლამაზი აქლემი ჰყავს ამქვეყნად - ბურანელი ყარანარი! ელიზაროვი! დიდებული კაცია ელიზაროვი, საროზექის დიდი მცოდნე, მეცნიერი... როცა ელიზაროვი ბორანლი-ბურანში ჩამოდიოდა, შეგროვდებოდნენ ის, ედიღეი და ყაზანგაპი და მთელი ღამეები სჯა-ბაასში და მუსაიფში იყვნენ.

იმ ნადიმზე უამბეს ყაზანგაპმა და ედიღეიმ სტუმრებს საროზექული თქმულება აქაური ჯიშის აქლემთა წინაპარ, განთქმულ თეთრთავა ჯამა აქლემ აქმაიასა და არანაკლებ გან-

თქმულ მის პატრონ ქალ ნაიმან-ანაზე, რომელიც ანა-ბეიითის სამარხში ასვენია. აი, საიდან მოდიოდა ბურანელი ყარანარის ჯილაგი. ბორანლელებს იმედი ჰქონდათ, ამ ძველებურ ისტორიას გაზენშიც გამოაქვეყნებენო. სტუმრებმა დიდი ხალისით მოისმინეს, მაგრამ ეს ალბათ ადგილობრივ ლეგენდად ჩათვალეს, თაობიდან თაობაში გადმოსულად, თუმცა ელიზაროვი კი სხვა აზრისა იყო. იგი ამბობდა, აქმაიას ლეგენდა დიახაც შეიძლება ისტორიული სინამდვილის გამომხატველი იყოსო. ელიზაროვს უყვარდა ასეთი ამბების მოსმენა. თვითონაც ცოტა თქმულება როდი იცოდა ტრამალის წარსულიდან...

საღამო ხანს გააცილეს სტუმრები. კმაყოფილი იყო ედიღეი, საამაყით ავსებოდა გული. ცოტა შეჭიკჭიკდა კიდეც, სტუმრებთან ერთად მანაც დალია. იმიტომაც წამოაყრანტალა დაუფიქრებლად მაგრამ ნათქვამს რას უშველი, უკან ვერ დააბრუნებ.

- აბა, გამოტყდი, ყაზაქე, გული არ გწყდება, ყარანარი რომ ძუძუთა მაჩუქე?

ყაზანგაპმა დაცინვით შეხედა. ეტყობა, არ მოელოდა ედილებსაგან ამ სიტყვებს, ერთხანს იყუჩა და მერე თქვა:

– ყველანი კაცნი ვართ, თქმა არ უნდა. მაგრამ იცი, ჯერ როდის უთქვამს ჩვენს მამა-პაპას: მალ იესი ქუდიდან[7]. ღმერთმა ინება ასე, სწორედ შენი ყოფილიყო ყარანარი და სწორედ შენ ყოფილიყავი მისი პატრონი. სხვის ხელში, კაცმა არ იცის, რა დაემართებოდა. იქნებ არც ეცოცხლა, ფეხები გაეფშიკა და ან კიდევ ვთქვათ ხრამში ჩავარდნილიყო. ის შენი უნდა ყოფილიყო. მე ხომ ადრეც მყავდა აქლემები და კარგი აქლემებიც, იმავე თეთრთავა ჯამასგან, ვისგანაც არის ყარანარი. შენთვის კი ეგ

[7] საქონლის პატრონი ღვთისგან მოდისო.

ერთადერთი იყო, ნაჩუქარი... ღმერთმა ქნას ასი წელი გემსახუროს: ისე კი ტყუილად გგონია, რომ..

- მაპატიე, მაპატიე, ყაზაქე, - შერცხვა ედიღეის და ინანა. ეს რა წამოვროშეო.

მაშინ გაუზიარა ყაზანგაპმა თავისი დაკვირვება. თქმულების მიხედვით უბრალო ჯამა აქლემ აქმაიას შვიდი კოზაკი გასჩენია - ოთხი ჯამა და სამი ნარაქლემი. მას აქეთ ყველა ჯამა აქლემი ღია ფერისა და თეთრთავა, ყველა ნარაქლემი, პირიქით, შავთავა და წაბლისფერი. ყარანარიც იმიტომ დაიბადა ასეთი - თეთრთავა დედისგან შავი აქლემი. ეს პირველი ნიშანია აქმაიას ჩამომავლობისა. მას აქეთ, ვინ იცის, რამდენმა წელმა ჩაიარა, ორასმა, სამასმა, ხუთასმა თუ უფრო მეტმა, ეს კია, საროზექში აქმაიას ჯიშს გადაშენება არ უწერია, დროდადრო გამოერევა ხოლმე ბურანელი ყარანარივით სირთან[8] აქლემი. ედიღეის უბრალოდ ბედი ეწია; მის იღბლად გაჩნდა ყარანარი და მის ხელში მოხვდა...

ხოლო როცა დრო დადგა, ყარანარი ან დაეკოდათ ან დაებორკათ, ვინაიდან სულ გაგიჟდა, აიწყვიტა, გადაირია, კაციშვილს ახლოს არ იკარებდა, რამდენიმე დღეობით სადღაც იკარგებოდა, ყაზანგაპმა პირდაპირ უთხრა მასთან რჩევისთვის მისეულ დიღეის:

- ეგ შენი საქმეა, შენ უნდა გადაწყვიტო, სიმშვიდე გინდა - დაკოდე, დიდება გინდა, ხელი არ ახლო. მაგრამ თუ რამე დაეაშავა, პასუხიც შენ უნდა აგო. მოითმენ, გაუძლებ - სამიოდე წელში გადაიგიჟებს და მერე ფინიასავით აგედევნება უკან.აღარ დაკოდა ბურანელი ყარანარი ედიღეიმ. ვერ გაბედა, ხელი არ მო-

[8] ზეარსება. მაგალითად, ზეძაღლი, ზემგელი.

უბრუნდა. ნარაქლემად დატოვა, თუმცა ბევრჯერ კი სიმწრის ცრემლები აღვრევინა მისმა აქლემმა.

თავი 5.

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ.

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო. ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა.

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდენ.

დილაადრიან უკვე ყველაფერი მზად იყო. ყაზანგაპის ცხედარი, ქეჩაში მაგრად გახვეული და გარედან შალის ზონრით შეკრული - მიცვალებულს სახე უჩანდა მხოლოდ - ტრაქტორის მისაბმელ ურიკაზე დაასვენეს, რომლის ძირზე წინასწარ მოაბნიეს ნახერხი, ბურბუშელა და მერე სუფთა თივა გაშალეს, დროზე უნდა დაძრულიყვნენ, რომ არა უგვიანეს საღამოს ხუთი საათისა მობრუნებელიყვნენ სასაფლაოდან, ვინაიდან ოცდაათი კილომეტრი იყო იქით და აქეთ გასავლელი, თან დამარხვასაც დრო სჭიროდა, იმიტომაც ადრიანად უნდა გასულიყვნენ, რომ ექვსი საათისთვის მაინც მოსხდომოდნენ ჭირის სუფრას. საამისოდ კი ყველაფერი მზად იყო.

წუხელისვე შეკაზმული და მორთული ყარანარი ედიღეის სადავით ეკავა და ხალხს აჩქარებდა. აღარ დაადგებათ ხოლმე საშველი, ვეღარ გამოეტევიან. ედიღეისაც არ ეძინა მთელი ღა-

მე, მაგრამ არკი ემჩნეოდა, ისე იყო ძალა და ყურადღებამოკ-
რეფილი, ეს კი, ფერი ჩაკრთობოდა. სუფთად გაპარსული, ჭა-
ღარაულვაშა და ჭაღარაწარბა ედიღეი საგარეოდ მორთულიყო
— ეცვა ტყავის ჩექმები, ხავერდის განიერი გალიფე, თეთრი პე-
რანგი, შავი პიჯაკი. ეხურა რკინიგზელის საგარეო ქუდი, მკერ-
დზე ყველა ორდენი, მედალი და, ასე გასინჯეთ, დამკვრელის
ნიშნებიც კი უბრწყინავდა. ფრიად მედიდური შესახედაობა ჰქონ-
და. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო ბურანელი ედიღეი
ყაზანგაპის დასაფლავების დღეს.

ყაზანგაპის გასაცილებლად ყველა ბორანლელი შეყრი-
ლიყო, დიდი თუ პატარა ურიკასთან იდგა წამსვლელთა დაძ-
ვრის მოლოდინში. ქალები ტიროდნენ.

- ჩვენ ახლა ანა-ბეიითზე მივემართებით, - დაიწყო ედიღე-
იმ, - ყველაზე საპატიო ძველისძველ სასაფლაოზე. განსვენე-
ბულმა ყაზანგაპ-ათამ დაიმსახურა, იქ რომ დავასაფლავოთ.
თვითონვე დატოვა ანდერძი, იქ დამმარხეთო. - ედიღეი ჩაფიქ-
რდა, კიდევ ვთქვაო, და მერე განაგრძო, - მაშასადამე, გამო-
ილია ის წყალი მარილი, ღმერთმა რომ მას განუკუთვნა. ამ კაც-
მა ჩვენს ასაქცევზე ორმოცდაოთხი წელი იმუშავა, შეიძლება ით-
ქვას, მთელი სიცოცხლე. ის რომ აქ ჩამოვიდა, მაშინ არც
წყალსაქაჩავი იყო - ცისტერნებით მოქონდათ მთელი კვირის
სამყოფი წყალი - არც თოვლის გამწმენდი თუ სხვა მანქანები,
ახლა რომ არის, არც ტრაქტორი, რომლითაც ახლა მივასვე-
ნებთ. მაგრამ მატარებლები მაინც დადიოდნენ და გზა მათთვის
მუდამ ხსნილი იყო. მან პატიოსნად გალია თავისი წუთისოფელი
ბორანლი-ბურანზე. ის კარგი კაცი იყო, ეს ჩვენ ყველამ ვიცით.
ახლა კი უნდა დავიძრათ. ყველა ვერ წამოხვალთ და არცაა სა-
ჭირო, რკინიგზას უპატრონოდ ვერ მივატოვებთ. ჩვენ იქ საკმა-
რისად მივემგზავრებით და ყველაფერს ჩვენი ადათისამებრ გა-

ვაკეთებთ. თქვენ აქ დაგვიცდით, დაბრუნებისას ყველანი ქელეხ-ზე შევიკრიბებით, გეპატიჟებით მისი ვაჟისა და ქალის სახელით, რომლებიც აგერ აქ დგანან.

მისდა უნებურად ედიღეის პატარა სამგლოვიარო მიტინგი გამოუვიდა. ამის შემდეგ გაუყვნენ კიდევაც გზას. ბორანელებმა ცოტაზე გააცილეს და სახლების უკან დარჩნენ. რამდენიმე ხანს კიდევ ისმოდა ხმამაღალი ტირილი - აიზადა და უქუბალა მოთ-ქვამდნენ...

ხოლო როცა მიწყდა მოთქმის ხმა, თანდათან დასცილ-დნენ რკინიგზას და ექვსი კაცი ტაატით გაუყვა საროზექის ტრა-მალებს, ბურანელმა ედიღეიმ შვებით ამოისუნთქა. ახლა ისინი თავის ანაბარა იყვნენ, ახლა მან იცოდა, რა უნდა ექნა.

მზე უკვე თავზე წამოსდგომოდა დედამიწას და უხვად აფ-რქვევდა საროზექს თავის სხივებს. ჯერჯერობით ისევ გრილო-და, არა უშლიდა რა ხელს მათ მოძრაობას. მთელ დუნიაზე მხო-ლოდ ორი ძერა ნავარდობდა ჩვეულებისამებრ ცაში, მიუწვდო-მელ სიმაღლეზე. დროდადრო კიდევ ტოროლები აფრინდე-ბოდნენ დარცხვენილი ჟღურტულითა და ფრთების ფართქა-ლით. „მალე ესენიც გაფრინდებიან. მოთოვს თუ არა, გუნდ-გუნ-დად გაფრინდებიან“, - გაიფიქრა ედიღეიმ და წამით თვალწინ დაუდგა ფანტელ-ფანტელა თოვლი და ამ თოვლში გაფრენილი ჩიტუნები. რატომღაც ის მელია გაახსენდა, რკინიგზასთან რომ მოძუნძულდა. მალვით მიმოიხედა კიდევაც ირგვლივ - უკან, ხომ არ მოგვდევსო, მოაგონდა ის ცეცხლოვანი რაკეტაც, იმ ღამეს საროზექიდან კოსმოსში რომ აიჭრა. გაუკვირდა, რა უცნაური ფიქრები მომდისო, თავს ძალა დაატანა, აღარ ეფიქრა ამაზე, ასეთი ფიქრების დრო არ იყო ახლა, თუმცა გზა კარგა დიდი ელოდათ...

ყარანარზე ამხედრებული ედიღეი წინ მიდიოდა. ანა-ბეითის გზას უჩვენებდა დანარჩენთ. განიერი ნაბიჯით მიალაჯებდა ყარანარი, ნელინელ შედიოდა სიარულის ეშხში. მცოდნე კაცი თუ შეაფასებდა, რა ლამაზი იყო ყარანარი სიარულისას. ამაყად მოღერილ კისერზე თავს არ ატოკებდა, თითქოსდა ტალღებზე მიცურავსო, გრძელი, ძარღვიანი ფეხებით შეუჩერებლივ კეცავდა გზას. ედიღეი მარჯვედ, მტკიცედ მოკალათებულიყო კუზებს შუა. უხაროდა, ყარანარს რომ დაცაცხანება არა სჭიროდა, მჩატედ მიაბიჯებდა და პატრონის ყველა სურვილს უთქმელად ხვდებოდა. წკრიალ-წკრიალი გაჰქონდა ედიღეის მკერდზე მზეზე აბრჭყვიალებულ მედლებ-ორდენებს, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს.

მის უკან ტრაქტორი „ბელარუსი“ მოგორავდა მისაბმელით. კაბინაში ახალგაზრდა ტრაქტორისტ კალიბეგს საბითჟანი უჯდა, წუხელ საკმაოდ ბევრი დალია, ბორანლელებს ათასნაირი ზღაპარი მოუყვა. ადამიანებს სურვილებს რადიოთი უგამგებლებენო, კიდევ სხვა ბევრი რამეც დაროშა. ახლა კი მომჩვარულივით იყო, ხმას არ იღებდა. თავი აქეთ-იქით ისე ერწეოდა, ედიღეის ეშინოდა, სათვალე არ გაუტყდესო.

მისაბმელ ურიკაზე, ყაზანგაპის ცხედართან, აიზადას ქმარი იჯდა და მოწყენილი, თვალებს ჭუტავდა მზეზე, დრო-დრო თუ გაიხედავდა აქეთ-იქით. ამ უბადრუკმა ლოთმა ამჯერად ვაჟკაცობა გამოიჩინა. წვეთი არ დალია, ყველას ყველაფერში ეხმარებოდა. ცხედარი რომ გამოასვენეს, იმდენი ქნა, თვითონაც შეუდგა სხვებს მხარში. ედიღეიმ რომ შესთავაზა, აქლემზე უკან მომიჯექიო, უარი თქვა, სიმამრის გვერდით ვიქნები, ბოლოდე ასე გავყვები, რაიც ედიღეიმაც მოუწონა და სხვებმაც. როცა ბორანლიდან დაიძრნენ, ყველაზე ხმამაღლა სწორედ ის ქვითინებდა და მისაბმელ ურიკაზე დასვენებულ, ქეჩაში გახვეულ ცხე-

დარს ხელს არ უშვებდა. „ვინ იცის, ჭკუაზე მოეგოს და სმას თავი ანებოს! გაბედნიერდებოდნენ აიზადაც და შვილებიც“, - მიეცა იმედი ედიღეის.

ამ პატარა, უცნაურ პროცესიას, წინ რომ ფუნჯიანი ყაჯრით მორთულ აქლემზე ამხედრებული კაცი მიუძღოდა უკაცრიელ ტრამალში, სულ ბოლოს ბორბლებიანი ექსკავატორი „ბელარუსი“ მიჰყვებოდა, რომლის კაბინაში ედილბაი და ჟუმაგალი ისხდნენ. ზანგავით შავი, ჯმუხა ჟუმაგალი საჭეს უჯდა. ჩვეულებრივ მას დაჰყავდა ხოლმე ეს მანქანა რკინიგზის სხვადასხვა სამუშაოზე. ბორანლი-ბურანზე არც ისე დიდი ხანია ჩამოსულიყო, ასე რომ ვერ იტყოდი, აქაურობას შერჩება თუ არაო. გვერდით აყლაყუდა ედილბაი ეჯდა, ჟუმაგალიზე მთელი თავით მაღალი. მთელი გზა რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდნენ.

კაცმა უნდა დაუფასო სიკეთე ბორანლი-ბურანის ასაქცევის უფროს ოსპანს. მან გამოყო დასაფლავებაზე ყველა მანქანა რაც კი გააჩნდა. ჭკვიანურად განსაჯა ახალგაზრდა უფროსმა - ამოდენა გზა უნდა გაევლოთ, მერე ხელით გაეთხარათ საფლავი, ღრმა ორმო ამოეღოთ გვერდითა წალოთი, მუსულმანური ადათის მიხედვით. რა თქმა უნდა, უმანქანებოდ დაღამებამდე დაბრუნებას ვერ მოასწრებდნენ.

თავდაპირველად ძალზე უცხოვა ეს წინადადება ედიღეის. თავშიც ვერ გაივლებდა, საფლავი რომ ხელით კი არა, ექსკავატორით ამოეთხარათ. დაეჭვებული, მოღუშული უსმენდა ოსპანს. მაგრამ ოსპანმა იმდენი ქნა, დაარწმუნა მოხუცი:

- გონივრულს გირჩევთ, ედიქე. მე გული რომ საგულეს გქონდეთ, ჯერ ხელით დაიწყეთ თხრა, ასე ვთქვათ მიწა პირველად ნიჩბებით ამოიღეთ. მერე კი ექსკავატორით ხელდახელ მორჩებით. საროზეში ქვასავით ნიადაგია, თავადაც იცით. ექსკავატორით იმდენზე ჩაღრმავდებით, რამდენიც საჭირო იქ-

ნება, ბოლოს კი ხელით განაგრძობთ, ასე ვთქვათ, ხელით მოალამაზებთ. დროსაც დაზოგავთ და ადათ-წესსაც არ დაარღვევთ...

რაც უფრო წინ და წინ წევდა საროზექში, უფრო და უფრო გონივრულად თვლიდა ოსპანის რჩევას ედიღეი. უკვირდა კიდეც, თავად როგორ არ მომაფიქრდაო. დიახ, ასეც მოიქცევიან, თუკი ღმერთმა ქნა, და ანა-ბეიითს მიაღწიეს. ასეც მართებთ - მოძებნონ სასაფლაოზე მოხერხებული ადგილი, რა არის მიცვალებული თავით მარადიული ქააბისკენ იწვეს; პირველად ბარითა და ნიჩბებით დაიწყებენ თხრას, თან რომ წამოიღეს, ცოტაზე რომ ჩაღრმავდებიან, მერე ექსკავატორს ამოათხრევინებენ ბოლომდე, გვერდითა წალოს კი, ყაზანაქს, - ხელით დაამთავრებენ. ასე უფრო ჩქარაც იქნება და საიმედოც.

ამ მიზნით მიუყვებოდნენ ყველანი საროზექს, ხან გორაკის თავზე გაიბაწრებოდნენ, ხან განიერ ხეებში იმალებოდნენ, ხან ისევ მკაფიოდ ჩანდნენ სწორეზე - წინ ბურანელი ედიღეი მიუძღოდა თავის აქლემზე, უკან ბორბლიანი ტრაქტორი მიფოფხავდა ხოჭოსავით, მისაბმელი ურიკით. მის უკან გრძელხელა ექსკავატორი „ბელარუსი“ მიაბოტებდა, წინ რომ ბულდოზერის სამაგრი უჩანდა, უკან კი შემოტრიალებული ციცხვი.

ბორანლი-ბურანის ასაქცევი რომ თვალს მიეფარა და ედიღეიმაც უკანასკნელად მიიხედა უკან, გაოცებულმა თავის წითურა ძაღლს ჟოლბარსს ჰკრა თვალი, საქმიანად რომ მოცუხცუხებდა გვერდით. ნეტა როდის მოასწრო გამოდევნება? აბა უყურე! ბორანლი-ბურანიდან რომ გამოდიოდნენ, თითქოს არსად ჩანდა, რომ სცოდნოდა, ამისთანა ოინს იზამდა, ჯაჭვზე დაბამდა, რა ეშმაკის ფეხია! როგორც კი შეამჩნევს, ედილეი და ყარანარი სადღაც მიდიანო, მყისვე იხელთებს დროს და დაემ-

გზავრებათ. ახლაც ხომ თითქოს მიწიდან ამოძვრა. ჯანდაბას მაგისი თავი, გადაწყვიტა ედიღეიმ. უკან გაგდება უკვე გვიანია, არც ღირს ძაღლისთვის დროის დაკარგვა. გაუშვი, წამოძუნძულდეს. თითქოს მიუხვდაო პატრონს, ჟოლბარსმა ტრაქტორს გაუსწრო და ყარანარს ცოტა წინ და განზე მიჰყვა, ედიღეი მათრახით დაემუქრა, მაგრამ ძაღლმა ყურიც არ შეიბერტყა. რაღა დროს მუქარაა, დააგვიანეო. ან რატომ არ უნდა გამოჰყოლოდათ ამისთანა საქმეზე, მე შენ გეტყვი, ცუდი ძაღლი იყო. განიერი მკერდი, ბანჯგვლიანი ღონიერი კისერი, მოჭრილი ყურები და ჭკვიანური დინჯი მზერა წითურა ჟოლბარსს თავისებურად ლამაზსა და თვალში მოსახვედრს ხდიდა.

მიჰყვებოდა ედიღეი ანა-ბეიითის გზას და ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. უცქერდა, მზე როგორ ამოდიოდა ცისკიდურზე, როგორ წყავდა დროის დინებას, იხსენებდა იმ ამბებს, ისევ თავის წარსულ ყოფას. იგონებდა იმ დღეებს, როცა ისა და ყაზანგაპი ახალგაზრდები იყვნენ, როცა ჯანი მოსდევდათ და ასაქცევზე მთავრ მუდმივ მუშებს წარმოადგენდნენ. სხვები არცთუ დიდხანს რჩებოდნენ ბორანლი-ბურანზე, როგორც ჩამოდიოდნენ, ისე მიდიოდნენ. მასა და ყაზანგაპს სულის მოსათქმელად დრო არ რჩებოდათ, უნდოდათ არ უნდოდათ, ასაქცევზე მთელი სამუშაო თავად უნდა ეკისრათ, თავად გაეკეთებინათ. ახლა ხმამაღლა ვერც იტყვის ამას - ახალგაზრდებს სასაცილოდაც არ ჰყოფნით : თქვე ბებერო ჩერჩეტებო, თავს რად იკლავდით, რისი გულისთვის! მართლაცდა რისი გულისთვის? მაშასადამე, იყო, რისი გულისთვისაც.

ერთხელ მთელი ორი დღე და ღამე თოვლის ნამქერებისაგან წმენდნენ გზას. საღამოს ორთქლმავალი მოიყვანეს იქაურობის გასანათებლად. თოვლი კი ბარდნიდა და ბარდნიდა, ქარი გაქშუოდა. ერთ მხარეს გაწმენდნენ, მეორეგან უკვე ნამქერი

იყო დაზვავებული. ციოდა ჰქვია! სახე, ხელები დაუსივათ ყინვამ. ხუთი წუთით აძვრები ორთქლმავალზე, ძვალი რომ გაითბო, და მერე ისევ ეს დაღუპული საქმე უნდა განაგრძო. ორთქლმავალსაც კი უკვე თვლებმდე მიაყარა ნამქერი. სამი ახლად ჩამოსული მუშა იმ საღამოსვე წავიდა, საროზექს სულ დედა აგინეს: ჩვენ ტუსაღები კი არა ვართ, ციხეშიაც კი აძლევენ ხალხს გამოძინების საშუალებას. დილას, როცა მატარებლები დაიძრნენ, სტვენით დაემშვიდობნენ:

- ჰეი, ტუტუცებო, აგრემც გიქნიათ, თავი მოგიკლავთ!

მაშინ მოუვიდათ ჩხუბი მასა და ყაზანგაპს, განა იმიტომ, იმ ჩამოსულმა ვაჟბატონებმა რომ გათათხეს, უბრალოდ მოხდა ასე. დიახ, იყო ასეთი ამბავი. ღამე უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა მუშაობა. თოვლი აყრიდა და აყრიდა, ქარი ავი ძაღლივით ყოველი მხრიდან უღრენდათ, ვერსად დაემალებოდი. ორთქმავალი ორთქლს უშვებდა, მაგრამ ნისლი დგებოდა მხოლოდ, სხვა არაფერი. ფარებიც ძლივს ანათებდა წყვდიადს. ის სამნი რომ წავიდნენ, ყაზანგაპი და ედიღეი დარჩნენ თოვლის გასაწმენდად და სათრეველათი გასატანად, წყვილი აქლემი იყო ამ სათრეველაში შებმული. მაგრამ არ მიდიოდნენ ის ოხრები, იმათაც სციოდათ და ეშინოდათ ამ ორომტრიალში. გზისპირებზე თოვლი მკერდამდე იდგა. ყაზანგაპი ლაშებით მიათრევდა აქლემებს, ედიღეი სათრეველაზე იდგა და მათრახს უტყლაშუნებდა მათ. ასე იჯახირეს შუაღამემდე. აქლემები თოვლში დაეყარნენ, მოჰკალი თუ გინდა. არაქათი საბოლოოდ გამოეცალათ, რა უნდა ქნა? რა და მიატოვო საქმე, ვინემ ამინდი არ ჩაცხრება ისინი ორთქლმავალთან იდგნენ, ქარს ეძალებოდნენ.

- კმარა, ყაზაქე, ორთქლმავალზე ავძვრეთ, მერე ვნახოთ, ამინდს რა პირი ექნება - წაილაპარაკა ედიღეიმ და გაყინული ხელჯაგები ერთმანეთს მიატყაპუნა.

- ამინდი როგორიც არის, ისეთი იქნება. სულ ერთია, გზა ჩვენი გასაწმენდია. მიდი, მიდი, გაანძრიე ნიჩაბი, რა უფლება გვაქვს ვიდგეთ.

- ჩვენ რა, ადამიანები არა ვართ?

- ადამიანი კი არა, მგელი და სხვა ნადირი მიძვრება ახლა ბუნაგში.

- აჰ, შე წყეულო! შენთვის სულ ერთია, კაცი თუნდაც ჩაძაღლებულა! თვითონაც აქ ჩაძაღლდები! - გაცოფდა ედიღეი და ყბაში გაუშალა ყაზანგაპს.

ებდღვნენ ერთმანეთს. ტუჩები გაუხეთქეს, კიდევ კარგი, მეცეცხლური გადმოხტა ორთქლმავლიდან, დროზე გააშველა ისინი.

ასეთი კაცი იყო ყაზანგაპი. ახლა მისთანები სანთლით უნდა ეძიო. აღარ არიან, აღარ ყაზანგაპები, უკანასკნელი მიჰყავთ ახლა დასამარხად, მიწას დააყრიან გამოსასალმებელი სიტყვებით და მორჩა, გათავდა, ყველაფერი!

ბურანელი ედიღეი ნახევრად დავიწყებულ ლოცვებს იმეორებდა გულში, სიტყვათა დადგენილ წყობას ამოწმებდა ღმერთისადმი მიმართულ ფიქრთა თანამიმდევრობის ზუსტად აღსადგენად. რამეთუ მხოლოდ მას ერთს, უხილავსა და უცნობელს, შესწევს ძალა ადამიანის გონებაში შეარიგოს საწყის-სასრულის, სიკვდილ-სიცოცხლის შეურიგებლობა. იმიტომაც შეიქმნა ალბათ ლოცვები. ღმერთს ხმას ვერ მიაწვდენ, გინდაც იყვირე და იბღავლე, ვერ ჰკითხავ, ასე რად დაადგინე, დაბადებული რომ უნდა მოკვდესო. ასეც ცხოვრობს ადამიანი მას აქეთ, რაც ეს დუნია გაჩნდა. არ ეთანხმება, მხოლოდ ურიგდება. ეს ლოცვებიც

შეუცვლელია იმ დღეებს აქეთ, იგივეზეა იქ ლაპარაკი - ტყუილად არ იდრტვინოს, ნუგეშინ იცეს ადამიანმა. მაგრამ ეს სიტყვები, ათასი წლის მანძილზე ნაჩარხი და ნალოლიავები, ვით ოქროს ზოდები, უკანასკნელი სიტყვებია იმ უკანასკნელთა შორის, რაიც ცოცხალმა მკვდარზე უნდა თქვას, ასეა წესი.

ფიქრობდა იმაზედაც, რომ მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ღმერთი, ადამიანს მეტწილად მაშინ აგონდება იგი, როცა გაუჭირდება, თუმცა ვერ იტყვი, ძალიან ლამაზი საქციელიაო. იმიტომაცაა ნათქვამი ალბათ - ურწმუნოს ღმერთი მაშინ მოაგონდება, როცა ჭირი მოადგებაო. მაგრამ ასეა თუ ისე, ლოცვები მაინც უნდა იცოდეს კაცმა.

გაჰყურებდა თავის ჯეელ თანამგზავრებს ედიღეი და გულწრფელად წუხდა და ნანობდა, არც ერთმა რომ არ იცოდა ლოცვა. ნეტა როგორ დამარხავენ ერთმანეთს? სიცოცხლის საწყის-სასრულის მომცველი რა სიტყვებით გააცილებენ ისინი იმქვეყნად წასულ ადამიანს? „მშვიდობით, ამხანაგო, არ დაგივიწყებთ“ თუ სხვა მსგავსი აბდაუბდით?

ერთხელ საოლქო ქალაქში დაესწრო იგი დაკრძალვას. გაოცებას იყო ბურანელი ედიღეი - გეგონებოდა, კრება ტარდებაო; კუბოსთან ნაირ-ნაირი ორატორები გამოდიოდნენ, დაწერილს კითხულობდნენ, სულ ერთსა და იგივეს იმეორებდნენ, რა ხელობისა იყო გარდაცვლილი, რა თანამდებობაზე უმუშავია და როგორ უმუშავია, ვის ემსახურებოდა და როგორ ემსახურებოდა, მერე დაუკრეს მუსიკა და საფლავი ყვავილებით აავსეს. ერთ კაცსაც არ შეუწუხებია თავი სიკვდილზე ეთქვა რამე, როგორც ამას ლოცვები ამბობს, დამგვირგვინებელნი ადამიანის შემეცნებისა დასაბამიდან ყოფნა-არყოფნის ამ მონაცვლეობისას. თითქოს აქამდე არავინ მომკვდარა ამქვეყნად და ამის შემდეგაც არ

მოკვდება. საცოდავები, თავი უკვდავი ჰგონიათ! ასეც აცხადებდნენ სინამდვილის პირუკუ: „ის უკვდავებას ეზიარაო!“...

ედიღეი კარგად იცნობდა აქაურ ადგილებს. თანაც ბურანელი ყარანარის ზურგიდან კარგა შორს სწვდებოდა მისი თვალი. ცდილობდა საროზექი რაც შეიძლება პირდაპირ გადაეჭრა ანაბეიითის სამარხისაკენ. მხოლოდ იქ უხვევდა გზას, სადაც ხრამები იყო, რა არის ტრაქტორები არ გაეწვალებინა.

ყველაფერი ჩანაფიქრის მიხედვით მიდიოდა. არც მაინცდამაინც ჩქარა, არც მაინცდამაინც ნელა, მაგრამ მაინც დაძლიეს გზის მესამედი.. ბურანელი ყარანარი დაუღალავად მიაბიჯებდა, პატრონის ყველა სურვილს გუმანით ხვდებოდა. უკან რახრახით მოყვებოდათ ტრაქტორი, ტრაქტორის უკან ბორბლებიანი ექსკავატორი „ბელარუსი“.

მაგრამ წინ კი გაუთვალისწინებელი გარემოება მოელოდათ, და ამ გარემოებას, რარიგ დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, რაღაც შინაგანი კავშირი ჰქონდა საროზექის კოსმოდრომზე მომხდარ ამბებთან...

ავიოსანი „კონვენცია“ წყნარი ოკეანის იმავე რაიონის იმავე ადგილას იმყოფებოდა, ალეუტის კუნძულების სამხრეთით, საჰაერო გზით ზუსტად ერთსა და იმავე მანძილზე როგორც ვლადივოსტოკიდან, ისე სან-ფრანცისკოდან.

ოკეანეზე ამინდი არ შეცვლილა. დღის პირველ ნახევარში ისევ ისე დამაბრმავებლად კაშკაშებდა მზე წყლის მოციმციმე უსაზღვრო სივრცეზე. ამინდის შეცვლას დასალიერზე არა ნიშანი არ იუწყებოდა.

თვით ავიოსანზე ყველა დაძაბული იყო - ყველა სამუშაო მზადყოფნაში იმყოფებოდა შინაგანი უშიშროების ჯგუფის, ავიოფრთის ჩათვლით, თუმცაღა საამისოდ კონკრეტულ, მიზეზებს ირგვლივ გარემო არ იძლეოდა. მიზეზები გალაქტიკის საზღვრებს მიღმა მდებარეობდა.

ტყისგულეთის პლანეტაზე მყოფ პარიტეტ-კოსმონავტებიდან „კონვენციაზე“ მიღებულმა ცნობებმა მართვის საერთო ცენტრის ხელმძღვანელები და განსაკუთრებული რწმუნების მქონე კომისიების წევრები დიდად შეაშფოთა. შეშფოთება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორივე მხარემ გადაწყვიტა პირველად ცალ-ცალკე ეთათბირათ შექმნილ მდგომარეობაზე, უწინარეს ყოვლისა, თავისი ინტერესებისა და პოზიციებიდან გამომდინარე, და მხოლოდ მერე შეკრებილიყვნენ საერთო თათბირზე.

მსოფლიომ ჯერ არაფერი უწყოდა სამყაროს ისტორიაში ამ უპრეცედენტო აღმოჩენაზე, იმაზე, რომ ტყისგულეთის პლანეტაზე მიწისმიღმიერი ცივილიზაცია არსებობდა. ორივე მხარის მთავრობებსაც კი, რომელთაც სრულიად საიდუმლოდ შეატყობინეს მომხდარი ამბავი, ჯერჯერობით არ ჰქონდათ ცნობები, თუ როგორ წარიმართებოდა ამბები, კომპეტენტურ კომისიათა შეთანხმებულ თვალსაზრისს ელოდნენ. ავიონის მთელ ტერიტორიაზე მკაცრი წესრიგი დამყარდა. ავიოფრთის ჩათვლით, არავის ჰქონდა უფლება თავისი ადგილი დაეტოვებინა. არავის ჰქონდა უფლება, რაც უნდა მომხდარიყო, გემი მიეტოვებინა, არა სხვა გემს არ შეეძლო ორმოცდაათი კილომეტრის რადიუსზე „კონვენციას“ მიახლოებოდა. ამ რაიონში გადაფრენისას თვითმფრინავები გეზს იცვლიდნენ, რა არის სამასი კილომეტრის მანძილზე ავიონის ადგილ-სამყოფელს არ მიახლოებოდნენ.

მაშასადამე, ორივე მხარის საერთო თათბირი შეწყვეტილ იქნა. თითოეული კომისია პროგრამა „დემიურგის“ თავიანთ თანახელმძღვანელებთან ერთად 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების ცნობებზე ბჭობდა, რომლებიც მათ მეცნიერებისათვის უცნობ ტყისგულეთის პლანეტიდან გადმოსცეს.

მათი სიტყვები წარმოუდგენელი ასტრონომიული სიშორიდან მოვიდა:

„გვისმინეთ, გვისმინეთ!

ჩვენ ვაწარმოებთ ტრანსგალაქტიკურ გადმოცემას დედამიწისთვის!

შეუძლებელია ყოველივე ამის ახსნა, რასაც მიწიური სახელი არა აქვს, მაგრამ საერთო ბევრია.

ისინი ადამიანის მსგავსი არსებები არიან, ჩვენისთანა ადამიანები. ვაშა მსოფლიო ევოლუციას! ევოლუციამ აქაც შეიმუშავა გომინადის მოდელი უნივერსალური პრინციპის მიხედვით! ესენი ჩინებული. წარმომადგენლები არიან უცხოპლანეტელ-გოგინადებისა! შავგვრემანები, ცისფერი თმა, მოიისფრო და მომწვანო თვალები, თეთრი ხშირი წამწამები.

ჩვენ ისინი დავინახეთ, როცა სრულიად გამჭვირვალე სკაფანდრებით ჩვენს ორბიტალურ სადგურს მოადგნენ. ხომალდის კიჩოდან შემოგვღიმეს, თავისთან მიგვიპატიჟეს. და ჩვენც ერთი ცივილიზაციიდან მეორეში გადავაბიჯეთ. ხრახნილა მფრინავი აპარატი მოწყდა სადგურს და სინათლის სიჩქარით, თუმცა ეს სიჩქარე ხომალდის შიგნით სულაც არ შეგვიგრძნია, სამყაროში გავეშურეთ, დავძლიეთ რა დროის დინება. პირველი, რაიც ვინიშნეთ და რამაც მოულოდნელი შვება მოგვგვარა, ის იყო, რომ უწონადობის გრძნობა არ განგვიცდია. რა გზით მიაღწიეს ამას, ახსნა ჯერჯერობით არ შეგვიძლია. პირველივე წინადადება, მათ რომ გვითხრეს, ერთმანეთში არეული რუსულ-ინგლისური სიტ-

ყვები იყო: „ველ ნაშ, გალაქტიკ!“ მაშინ მივხვდით, რომ გარკვეული ალღოს წყალობით შეგვიძლია. ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. ეს ცისფერთმიანი არსებანი დაახლოებით ორი მეტრი სიმაღლისა არიან. ისინი ხუთნი იყვნენ, ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი, რომელსაც წმინდა ქალური მოყვანილობა და კანიც უფრო ღია ფერისა ჰქონდა, ეს იყო და ეს განსხვავება. ყველა ცისფერთმიანი ტყისგულელები საკმაოდ შავგვრემანები არიან, ჩვენი ჩრდილოელი არაბების მსგავსად. პირველივე წუთებიდან მათ ჩვენი ნდობა დაიმსახურეს.

სამი მათგანი - მფრინავი აპარატის პილოტები არიან, ერთმა კაცმა და ქალმა დედამიწის ენები იციან. მათ პირველებს შეუსწავლიათ და სისტემატიზაცია გაუკეთებიათ კოსმოსში რადიოთი დაჭერილი ინგლისური და რუსული სიტყვებისათვის და დედამიწელთა სიტყვარი შეუდგენიათ. ჩვენი შეხვედროს დრპისთვის უკვე ორი ათას ხუთასზე მეტი სიტყვისა და ტერმინის მნიშვნელობა იცოდნენ. ამ ლინგვისტიკური მარაგის წყალობით დაიწყო კიდეც ჩვენი ურთიერთობა. თვითონ ისინი, ცხადია, ჩვენთვის სრულიად გაუგებარ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჟღერადობით იგი ესპანურს ჩამოგავს.

„პარიტეტიდან“ გაფრენის თერთმეტი საათის შემდეგ მზიური სისტემის საზღვრებს გავცდით.

ერთი გალაქტიკიდან მეორეში გადასვლა შეუმჩნევლად მოხდა, უჩვეულო არაფერი ყოფილა. სამყაროს მატერია ყველგან ერთნაირია. მაგრამ წინ, კურსის მიხედვით (ეტყობა, ასეთი იყო იმ წუთს მდებარეობა და მდგომარეობა სხვასისტემური სხეულებისა) თანდათან გამოასხივა ალისფერმა დაფიონმა. დაფიონი ნელ-ნელა გაიზარდა და შორს უსაზღვრო სინათლის სივრცედ გაიშალა. ამასობაში ჩავუარეთ რამდენიმე პლანეტას, იმ დროს ერთ მხარეს ჩაბნელებულს და მეორე მხარეს განათე-

ბულს. უთვალავი მზე და მთვარე მიქროდა თვალმისაწვდომ სივრცეებში.

ჩვენ თითქოს ღამიდან დღეში გადავდიოდით. და უცბად - თვალისმომჭრელად კამკამა და უნაპირო სინათლეში შევფრინ-დით, რომელსაც აქამდე უცნობელ ცაზე დიდი და ძლიერი მზე ასხივებდა.

- ეს ჩვენი გალაქტიკაა! აგერ ჩვენი მპყრობელი ანათემა! მალე გამოჩნდება ჩვენი ტყისგულეთიც! - გვაუწყა ლინგვისტმა ქალმა.

მართლაც ახალი სამყაროს განუსაზღვრელ სიმაღლეზე დავინახეთ ჩვენთვის ახალი მზე, მპყრობელად წოდებული. გა-მოსხივების სიმძაფრით და მოცულობითაც მპყრობელი ჩვენს მზეს აღემატება. სწორედ აქაური მნათობის ამ თვისებით და კი-დევ იმით, რომ ტყისგულეთის პლანეტაზე დღე-ღამე ოცდარვა საათს შეადგენს. შეიძლება აიხსნას, ჩვენი აზრით, აქაური სამყა-როს მთელი რიგი გეობიოლოგიური განსხვავებანი ჩვენი სამყა-როსაგან.

მაგრამ ყოველივე ამაზე ჩვენ შევეცდებით შემდგომი გად-მოცემისას ან „პარიტეტზე“ დაბრუნების მერმე გიამბოთ. ახლა კი მხოლოდ გაკვრით გადმოგცემთ რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას. ტყისგულეთის პლანეტა მაღლიდან ჩვენს დედამიწას ჰგავს. ასევე შემოჰხვევია ატმოსფერული ღრუბლები. მაგრამ ახ-ლოდან, ხუთი-ექვსი ათასი მეტრის სიმაღლეზე ზედაპირიდან - ტყისგულელებმა საგანგებოდ ჩვენ გამო შემოუფრინეს ირ-გვლივ - ლამაზი სანახავია: ხასხასა მწვანით არის მოსილი მთე-ბი, ქედები და გორაკები, მათ შორის მდინარეები, ზღვები და ტბებია, ხოლო პლანეტის ზოგიერთ ნაწილში, მეტწილად განა-პირა კიდეებზე, პოლუსებზე – ვეებერთელა ლაქებად ჩანს უკაც-რიელი უდაბნოები, სადაც თურმე მტვრის ქარბუქები ბობოქ-

რობს, მაგრამ ყველაზე მეტი შთაბეჭდილება ჩვენზე ქალაქებმა და დაბებმა მოახდინა. ტყისგულეთის ლანდშაფტის შუაგულ ეს კონსტრუქტორული ნაგებობანი ურბანიზაციის საოცრად მაღალ დონეზე მოწმობს. მანჰატენიც კი ვერ შეედრება ამ პლანეტის ცისფერთმიან ბინადართა ქალაქების მშენებლობას.

თვით ტყისგულელები, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ ფენომენებს წარმოადგენენ სამყაროს გონიერ არსებათა შორის. ორსულობის ხანა - თერთმეტი ტყისგულეთის თვე გრძელდება. ცხოვრების ხანგრძლივობა დიდია. თუმცა საზოგადოების უმთავრეს გადასაჭრელ ამოცანად და არსებობის მიზნად თვითონ მათ სიცოცხლის ხანგრძლივობა დაუსახავთ. საშუალოდ ას ოცდაათი - ას ორმოცდაათი წელი ცხოვრობენ, ზოგი ორას წლამდეც აღწევს. პლანეტაზე ათ მილიარდზე მეტი მოსახლეობა ითვლება.

ჩვენ არ ძალგვიძს ახლა თანამიმდევრულად მოგითხროთ ყველაფერი, რაც ცისფერთმიანთა ცხოვრებასა და მათი ცივილიზაციის მიღწევებს შეეხება. ამიტომაც ნაწყვეტ-ნაწყვეტ გადმოგცემთ იმას, რამაც ყველაზე მეტად გაგვაოცა ამ ქვეყანაში.

ისინი ახერხებენ ენერგია მზიდან ან, უფრო სწორად, მპყრობელისგან მიიღონ, ამ ენერგიას კი სითბურ და ელექტროენერგიად აქცევენ მარგი ქმედების მაღალი კოეფიციენტით, რაც ჩვენს ჰიდროტექნიკურ საშუალებებს ბევრად აჭარბებს. ამას გარდა, რაიც დიდად მნიშვნელოვანია, ენერგიის სინთეზირებას ჰაერის დღისა თუ ღამის ტემპერატურის სხვაობიდანაც ახერხებენ.

მათ დაიმორჩილეს ჰავაც. როცა პლანეტას დასათვალიერებლად ირგვლივ შემოვუფრინეთ, მფრინავი აპარატი გამოსხივების გზით თვალის დახამხამებაში ფანტავდა დაგროვილ ღრუბლებსა და ნისლს, ჩვენ ისიც შევიტყვეთ, რომ მათ შეუძლიათ ჰაერის მასებისა და ზღვასა თუ ოკეანეებში წყლის ნაკადთა

დინებაზე გავლენა მოახდინონ და ტენიანობა და ტემპერატურა პლანეტის ზედაპირზე ამის წყალობით მოაწესრიგონ.

მაგრამ მათ წინაშე დგას ძალზე დიდი პრობლემა, როგორსაც, რამდენადაც ვიცით, ჯერ არ შევჯახებივართ მიწაზე. მათ არ იციან, რა არის გვალვა, რამეთუ ჰავა უკვე დაიმორჩილეს. ჯერჯერობით არ განიცდიან საკვების ნაკლებობას, თუმცაღა მოსახლეობა ძალზე დიდია, ორჯერ და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე დედამიწაზე, მაგრამ პლანეტის საკმაოდ დიდი ნაწილი თანდათანობით უვარგისი ხდება სიცოცხლისათვის, იმ ადგილებში ვერა სულიერი ვეღარ ბოგინობს. ამ მოვლენას ეგრეთ წოდებული შიდა გამოშრობა ჰქვია. ამ პლანეტის ირგვლივ შემოფრენისას ჩვენ დავინახეთ მტვრის ქარბუქები ტყისგულეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. რაღაც საშიშ რეაქციათა შედეგად პლანეტის წიაღში - იქნებ ჩვენი ვულკანური პროცესების დარად, თუმცა ეს უფრო გაბნეული სხივური გამოფრქვევის რაღაც ფორმას ჰგავს - ზედაპირული ნიადაგი იშლება, თავის სტრუქტურას ჰკარგავს, ხდება გადაწვა ნიადაგის ყველა წარმომშობ ნივთიერებათა. ტყისგულეთის ამ მხარეში საჰარის ოდენა უდაბნო ყოველწლიურად ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევს და ცისფერთმიან უცხოპლანეტელთ სასიცოცხლო სივრცეს ართმევს. ეს მათი ყველაზე დიდი უბედურებაა. ჯერ კიდევ ვერ შეუსწავლიათ, როგორ დაიმორჩილონ პლანეტის წიაღში მომხდარი პროცესები. ამ საშიშ მოვლენასთან საბრძოლველად უკვე ამოქმედებულია საუკეთესო ძალები, უზარმაზარი სამეცნიერო თუ მატერიალური საშუალებანი. მათ გალაქტიკურ სისტემაში მთვარე არ არის, მაგრამ ჩვენი მთვარის ამბავი იციან და ნამყოფნიც არიან იქ. მათი ვარაუდით ჩვენი მთვარეც შესაძლოა იგივე მოვლენის მსხვერპლი გახდა. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, ჩვენც შეგვაფიქრიანა - მთვარე ხომ არც ისე შორსაა დედამიწიდან. მზად ვართ

კია ასეთი შეხვედრისათვის? ან საგარეო თუ შინაგანი ხასიათის რა შედეგი მოჰყვება? ხომ არ იფიქრებს კაცობრიობა, თუ რა ბევრი დაკარგა ინტელექტუალურ განვითარების საქმეში დედამიწაზე გაუთავებელი შეუთანხმებლობის მიზეზით?

ამჟამად ტყისგულეთის სამეცნიერო წრეებში საყოველთაო საპლანეტო დავა-კამათი მიმდინარეობს - მართებულია თუ არა მთელი ძალისხმევის დახარჯვა შინაგანი გამოშრობის საიდუმლოების ამოსახსნელად და ამ პოტენციალური უბედურების შესაჩერებელ საშუალებათა ძიება, თუ სჯობს წინასწარ მოიძიონ სამყაროში ახალი პლანეტა. მათ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს რომ დააკმაყოფილებს, და დაიწყონ დროთა განმავლობაში მასობრივი გადასახლება ახალ ადგილ-სამყოფელზე ტყისგულეთის ცივილიზაციის გადატანისა და აღორძინების მიზნით. ჯერ კიდევ გარკვეული არაა, სად, რომელი პლანეტისაკენაა მიმართული მათი მზერა. ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ პლანეტაზე ჯერ კიდევ მილიონობით წლები მოუწევთ ცხოვრება, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ ახლავე ფიქრობენ ამ ეგზომ შორეულ მერმისზე და ისეთი გატაცებითა და მოქმედების წყურვილით არიან შეპყრობილნი, თითქოს ეს პრობლემა უშუალოდ ახლანდელ მოსახლეობას შეეხებოდეს, ნუთუ არავის გაუელვა თავში სულმდაბალმა ფიქრმა: „ჩვენ შემდეგ ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო.“ შეგვრცხვა კიდევაც ჩვენი თავისა, მსგავსი რამ რომ გავიფიქრეთ იმის გაგებისას, ტყისგულელთა საერთო საპლანეტო ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი წიაღის შინაგან გამოშრობის აცილებას ხმარდებაო. ისინი ცდილობენ ბარიერები შექმნან მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზე. ნელინელ მომცოცავ უდაბნოს მთელ გაყოლებაზე ბურღავენ ზეღრმა ღრმულებს, ასხამენ შიგ ისეთ ხანგრძლივად მოქმედ გამანეიტრალებელ ნივ-

თიერებებს, რაც მათი აზრით სათანადო გავლენას მოახდენს პლანეტის შინაგან ბირთვულ რეაქციებზე.

რა თქმა უნდა, აქაც არის და უნდა იყოს კიდეც საზოგადოებრივი ყოფის პრობლემები, ის, რაიც ძველთაგანვე აწამებს გონებას და მძიმე ტვირთად ქცეულა მისთვის, - პრობლემები ზნეობრივი, მორალური, ინტელექტუალური ხასიათისა. თავისთავად ცხადია, არც ისე იოლად მიმდინარეობს ალბათ ათ მილიარდზე მეტი ადამიანის ერთად ცხოვრება, რა დიდი კეთილდღეობისთვისაც არ მიეღწიათ. რა არის სახელმწიფო, როგორც ასეთი, არ იციან, რა არის იარაღი, არ იციან, რა არის ომი.
ძნელია იმის თქმა, ჰქონდათ თუ არა ისტორიულ წარსულში ომები, სახელმწიფოები, ფული თუ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა თანმხლები კატეგორიები, იქნებ კი ჰქოდათ. მაგრამ ამჟამად წარმოდგენა არა აქვთ ძალადობის ისეთ ინსტიტუტზე, როგორიცაა სახელმწიფო, და ბრძოლის ისეთ ფორმებზე, როგორიცაა ომი. საჭირო რომ გახდეს იმის ახსნა, რად ხდება ჩვენს დედამიწაზე გაუთავებელი ომები, ხომ არ მოეჩვენებათ უაზრობად ან, უფრო მეტიც, ხომ არ ჩათვლიან საკითხის ასეთ გადაჭრას ბარბაროსობად?

მთელი მათი ცხოვრება სულ სხვა, ჩვენთვის არც ისე გასაგებ და არც ისე მისაწვდომ საწყისებზეა დაფუძნებული, ჩვენი აზროვნების მიწიური სტერეოტიპის გამო.

მათ მიაღწიეს ერთობლივი პლანეტარული შეგნების ისეთ დონეს, რაიც გადაჭრით გამორიცხავს ომს, ვით ბრძოლის საშუალებას, ისე რომ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ - ცივილიზაციის ეს ფორმა იქნებ ყველაზე მოწინავე იყოს სამყაროს გარემოს მთელი მოაზროვნე სივრცის საზღვრებში. იქნებ მათ მიაღწიეს მეცნიერული განვითარების ისეთ საფეხურს, როცა დროისა და სივრცის ჰუმანიზაცია გონიერ არსებათა ცხოველ-

მოქმედების მთავარ მიზნად და ამის შედეგად სამყაროს ევოლუციის გაგრძელებად ქცეულა მის ახალ, უმაღლეს, უსაზომო ფაზაში.

ჩვენ არ ვაპირებთ შეპირისპირებას შეუპირისპირებელ საგანთა. დროთა ვითარებაში ჩვენს მიწაზედაც მიაღწევენ ადამიანები ესოდენ დიდ პროგრესს. საამაყო ჩვენ ახლაც ბევრი გაგვაჩნია, და მაინც არ გვასვენებს დამთრგუნველი ფიქრი?იქნებ ტრაგიკული შეცდომაა, როცა დედამიწაზე კაცობრიობა , თავის თავს ირწმუნებს, ვითომდა ისტორია - ეს ომების ისტორიაა? იქნებ გზა განვითარებისა დასაბამითვე მცდარი და ჩიხში მომქცევი იყო? თუ ასეა, საით მივდივართ და სად მიგვიყვანს ეს გზა? თუ ასეა, მოასწრებს კია კაცობრიობა ვაჟკაცობა გამოიჩინოს და ეს აღიაროს, რათა თავიდან აიცდინოს ტოტალური კატაკლიზმი? აღმოვჩნდით რა განგების ნებით მიწისმიღმიერი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწმენი, ჩვენ რთულ გრძნობებს განვიცდით – ერთი მხრივ შიში გვიტანს მიწის,შვილთა მერმისის გამო და ამასთან იმედიც გვეძლევა, რამეთუ მსოფლიოში მაგალითი გვაქვს დიადი ერთად ცხოვრებისა, რომლის წინსვლითი ძრაობა წინააღმდეგობათა იმ ფორმების გარე მდებარეობს, ომებით რომ გადაიჭრება...

ტყისგულეთის უცხოპლანეტელებმა იციან, რომ მათი სამყაროს შორეულ საზღვრებს მიღმა არსებობს დედამიწა. ბუნებრივი ცნობისმოყვარეობის გარდა მათ დიდი სურვილი აქვთ მიწისშილთ იმიტომაც დაუკავშირდნენ, რომ ეს გონების ფენომენის გამარჯვება იქნება, როგორც ისინი თვლიან, ეს ცივილიზაციათა გამოცდილების გაზიარება იქნება, ეს ახალი ერა იქნება ამ სამყაროშო ინტელექტის მატარებელთა აზრისა და სულის განვითარებაში.

ყოველივე ეს, მათი აზრით, გაცილებით დიდ შედეგს მოიტანს, ვიდრე კაცმა შეიძლება იფიქროს; დედამიწელთადმი მათი ინტერესი კიდევ იმითაცაა ნაკარნახევი, რომ მსოფლიო გონების ამ ორი შტოის საერთო ძალისხმევათა შეერთება, მათი ფიქრით, ძირითადი გზაა ბუნებაში სიცოცხლის უსასრულო გახანგრძლივების უზრუნველსაყოფად, ითვალისწინებენ რა, რომ ყოველი ენერგია გარდუვლად განიცდის დეგრადაციას და ყოველ პლანეტას დროთა ვითარებაში დაღუპვა ელის... მათ უკვე ახლა აფიქრებთ „სამყაროს აღსასრულის“ პრობლემა, მილიარდი წლების შემდეგ რომ მოელის სამყაროს და უკვე იმუშავებენ კოსმოლოგიურ გეგმებს სამყაროს ყოველი სულიერი არსებისთვის ურთიერთკავშირის ახალი ბაზის ჩამოსაყალიბებლად...

მათ შეუძლიათ უკვე ახლაც ეწვიონ ჩვენს დედამიწას, რაღაც სინათლის სიჩქარის მქონე მფრინავი აპარატები აქვთ. მაგრამ არა სურთ დედამიწელთა თანხმობისა და მოწვევის გარეშე ჩამოვიდნენ, არა სურთ დაუპატიჟებელი სტუმრებივით შემოიჭრნენ. იმასაც მიგვახვედრეს, რომ ჩვენს გასაცნობად დიდი ხანია საბაბს ეძებდნენ. მის აქეთ, რაც ჩვენი კოსმიური სადგურები ორბიტაზე ხანგრძლივად მყოფ ობიექტებად იქცა, მათთვის ნათელი გახდა, რომ შეხვედრის ჟამი მოახლოვდა და თაოსნობა მათ უნდა იკისრონ. ისინი გულმოდგინედ ემზადებოდნენ, მოხერხებულ შემთხვევას ელოდნენ. ეს შემთხვევა ჩვენ გვხვდა წილად, რამეთუ შუალედურ გარემოში - ორბიტალურ სადგურზე აღმოვჩნდით...

რა გასაკვირია, რომ ჩვენმა ჩასვლამ მათ პლანეტაზე გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ამასთან დაკავშირებით ეთერში ჩართეს გლობალური ტელეკონტრაქტირება, რაც მხოლოდ დიდი დღესასწაულებისას ხდება ხოლმე. გასხივოსნებულ ჰაერში ჩვენ ირგვლივ თვალნათლივ ვხედავდით იმ სახეებსა და

საგნებს, ათასობით კილომეტრის დაშორებით რომ იყვნენ, და იმავე დროს ერთმანეთს შევღიმოდით, ხელს ვართმევდით, აღტაცებითა და სიცილით ველაპარაკებოდით, თითქოსდა უშუალო კავშირში ვიმყოფებოდით. უნდა ნახოთ, რა ლამაზები არიან ტყისგულელები, რა სხვადასხვანაირნი, ცისფერი თმაც კი სხვადასხვა ფერს იკრავს მუქი ლურჯიდან ლაჟვარდით გათავებული, იმათ მოხუცებს ისევე უჭაღარავდებათ თურმე თმა, როგორც ჩვენებს. ანტროპოლოგიური ტიპებიც სხვადასხვანაირნი არიან, ვინაიდან და რადგან სხვადასხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს წარმოადგენენ.

ყოველივე ამასა და კიდევ ბევრ არანაკლებ გასაოცარ ამბებს მოგითხრობთ „პარიტეტსა“ თუ მიწაზე დაბრუნების შემდეგ. ახლა კი ყველაზე მთავარი რაცაა. ტყისგულელებმა გვთხოვეს გადმოგვეცა თქვენთვის „პარიტეტის“ კავშირის სისტემით, რომ სურთ ჩვენს პლანეტას მაშინ ეწვიონ, როცა ეს დედამიწელთ მოეხერხებათ, მანამდე კი გვთავაზობენ შევთანხმდეთ საგალაქტიკათაშორისო სადგურის მოწყობის პროგრამაზე, რომელიც ჯერ პირველი წინასწარი შეხვედრების ადგილად, შემდეგ კი მუდმივ ბაზად გადაიქცევა ურთიერთთან მიმოსვლის ჟამს. ჩვენც შევპირდით ჩვენს თანაპლანეტელთა ყურამდე მივაწვდინოთ ეს წინადადებანი. მაგრამ ამასთან დაკავშირებით უფრო მეტად სხვა რამ გვაღელვებს.

მზად ვართ კი დედამიწელნი ასეთ საგალაქტიკათაშორისო შეხვედრებისათვის, ვართ კი საკმაოდ მომწიფებულნი საამისოდ მოაზროვნე არსებათა კვალობაზე? შევძლებთ კი ჩვენ გათიშულობისა და არსებულ წინააღმდეგობათა ნიადაგზე ერთპიროვნულობა გამოვიჩინოთ, ვიკისროთ ეს, ასე ვთქვათ, მთელი კაცობრიობის, მთელი დედამიწის სახელით? ჩვენი მუდარაა, მეტოქეობის, ყასიდი პრიორიტეტისათვის ბრძოლის თავიდან

ასაცდენად ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიენდოს. ჩვენი თხოვნაა ამასთან ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ვეტოს უფლება და, თუ შესაძლებელია, გამონაკლისის სახით ამჯერად გაუქმდეს კიდეც ეს უფლება. ჩვენთვის მეტად მწარე და მძიმეა ისეთ ამბებზე ფიქრი სამყაროს მიღმიერ გალაქტიკაში ყოფნისას, მაგრამ ჩვენც დედამიწელნი ვართ და კარგად ვიცნობთ ჩვენს სამყოფელ პლანეტას.

და ბოლოს ისევ ჩვენს თავზე, ისევ ჩვენი საქციელის თაობაზე მოგახსენებთ. ჩვენ ვიცით, რაოდენ გაოცებასა და, ამის შედეგად, რა სასწრაფო ღონისძიებებს გამოიწვევდა ორბიტალური სადგურიდან ჩვენი გაუჩინარება. ჩვენ დიდად ვწუხვართ, რომ ესოდენ შეგაშფოთეთ. მაგრამ ეს ის უნიკალური შემთხვევა იყო მსოფლიო პრაქტიკაში, როცა ჩვენ არ შეგვეძლო, უფლება არ გვქონდა უარი გვეთქვა ჩვენი ცხოვრების ყველაზე დიდ საქმეზე. ჩვენ მკაცრი რეგლამენტის ხალხი ვართ და ამიტომ მოვალენი ვიყავით ასეთი მიზნის გამო ამ რეგლამენტის პირუკუ მოვქცეულიყავით.

დაე, ეს ჩვენს სინდისზე იყოს, დაე, მოგვეზღოს ამისათვის ღირსი სასჯელი, მაგრამ ჯერჯერობით დაივიწყეთ ეს ამბავი. გვისმინეთ! ჩვენ გადმოგეცით სიგნალი სამყაროდან. ჩვენ გადმოგეცით ნიშანი აქობამდე უცნობ გალაქტიკურ სისტემიდან - მპყრობელის მნათობიდან. ცისფერთმიანმა ტყისგულელებმა უდიდესი თანამედროვე ცივილიზაცია შექმნეს. მათთან შეხვედრამ შეიძლება ძირფესვიანად შეატრიალოს მთელი ჩვენი ცხოვრება, მთელი კაცობრიობის ბედი. გავბედავთ კი ამას, პირველ ყოვლისა, დედამიწის ინტერესებიდან გამომდინარე..

უცხოპლანეტელების მხრიდან ჩვენ არა საფრთხე არ მოგველის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია. მაგრამ მათ გა-

მოცდილებას თუ ვეზიარებით, შეგვეძლება გადატრიალება მოვახდინოთ ჩვენს ყოფიერებაში, შეგვეძლება სამყაროს მატერიალური გარემოცვიდან ენერგიის მიღება და უიარაღოდ, ძალადობის, ომების გარეშე ცხოვრება. ეს უკანასკნელი შესაძლოა მოსმენითაც კი დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიცავართ მთელი არსებით, რომ სწორედ ასე აქვთ ცხოვრება მოწყობილი ტყისგულეთის პლანეტის გონიერ არსებათ, რომ სწორედ ასეთ ნანატრ სრულყოფისთვის მიუღწევიათ მათ, რომელნიც ისეთივე სიდიდის მქონე გეობიოლოგიურ სამყოფელზე სახლობენ, როგორიც დედამიწაა. სამყაროეულ, მაღალცივილიზებულ აზროვნების მატარებელი მკვიდრნი მზად არიან ღია კონტაქტი იქონიონ გონებით თავიანთ მოძმე დედამიწელებთან ისეთი ყაიდისა და ხასიათის კავშირი, რაიც შეესაბამება ორივე მხარის მოთხოვნილებებსა და ღირსებებს.

მიწისმიღმიერი ცივილიზაციის აღმოჩენით გატაცებულთ და სულის სიღრმემდე შეძრულთ ჩვენ მაინც გვწყურია ჩქარა დაბრუნება, რათა ვამცნოთ ადამიანებს ყოველივე ის, რისი მოწმენიც გავხდით ჩვენი სამყაროს მიღმა მყოფ გალაქტიკაში მპყრობელ მნათობის სისტემის ერთ-ერთ პლანეტაზე.

ჩვენ განზრახული გვაქვს რადიოკავშირის ან სეანსიდან ოცდარვა საათის ანუ ზუსტად ერთი დღე-ღამის შემდეგ უკანვე გამოვფრინდეთ „პარიტეტზე“. ხოლო „პარიტეტზე“ ჩამოსვლის შემდეგ ცენტრის წინაშე წარსვდგეთ.

ჯერჯერობით კი ნახვამდის. მზის სისტემისკენ გამოფრენის წინ გაცნობებთ „პარიტეტზე“ ჩვენი ჩამოსვლის დროს.

ამით ვამთავრებთ ჩვენი პირველი ცნობების გადმოცემას ტყისგულეთის პლანეტიდან. მალე შევხვდებით ერთმანეთს. ძალიან გთხოვთ გადასცეთ ჩვენს ოჯახებს, ნუ იღელვებენ...

პარიტეტ-კოსმონავტი 1-2

ავიოსან „კონვენციაზე“ განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიების ცალ-ცალკე სხდომა, რაიც ორბიტალურ სადგურ „პარიტეტზე“ საგანგებო შემთხვევის გამოკვლევის თაობაზე შედგა, იმით დამთავრდა, რომ ორივე კომისიის მთელი შემადგენლობა ზემდგომ ინსტანციებთან საკონსულტაციოდ გაფრინდა. ერთმა თვითმფრინავმა, ავიოსნის გემბანიდან აფრენის შემდეგ, სან-ფრანცისკოსკენ აიღო გეზი, მეორე რამდენიმე წუთის შემდეგ საპირისპირო მხარეს - ვლადივოსტოკისკენ გაფრინდა..

ავიოსანი „კონვენცია“ კვლავაც თავის მუდმივ სამყოფელ ადგილას - წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით იმყოფებოდა... ავიოსანზე მკაცრი წესრიგი მეფობდა. ყველა თავის საქმეს ადგა, ყველა ფხიზლად იყო... ყველა დუმდა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

აგერ მესამედი გზაც გაილია ანა-ბეიითისკენ. სწრაფად ამოგორებული მზე თითქოს ერთ ადგილას მიეყინა საროზექის ცას, მაშასადამე, დღე უკვე დადგა და სიცხემაც დღის საკადრისად დააჭირა.

ბურანელი ედიღეი ხან საათს, ხან მზეს უყურებდა, ხან წინ გადაშლილ ტრამალის ტრიალ მიდამოებს. ყოველივე ისე მი-

ედინებოდა, როგორც ჯერ არს. ისევე მიჩნდრიკობდა ყარანარი, ისევ უკან მიჰყვებოდა მისაბმელიანი ტრაქტორი, ტრაქტორის კვალდაკვალ - ბორბლებიანი ექსკავატორი „ბელარუსი“, ცოტა განზე კი ჟოლბარსი მიძუნძულებდა.

„თურმე ადამიანს წამით არ შეუძლია ფიქრის გარეშე. აბა უყურე, რა სულელურადაა მოწყობილი - გინდა არ გინდა, ფიქრს ფიქრი მოსდევს დაუსრულებლივ, ვინემდე ალბათ არ მოკვდები!“ ეს აღმოაჩინა დამცინავად ედიღეიმ, როცა საკუთარ თავს შეასწრო, რომ გაუთავებლივ რაღაცას ფიქრობს გზაში, ფიქრი ფიქრს ეტორღიალება, ვით ტალღას ტალღა ზღვაში, პატარა ბიჭობაში საათობით გაჰყურებდა არალის ზღვას, როცა ქარი შორს თეთრ ფურთუნებს წამორეკავდა, ქეჩოაფაფრული ნაპირს უახლოვდებოდა და ტალღას ტალღაზე შობდა. ასე იბადებოდა, ნადგურდებოდა, ისევ იბადებოდა და კვდებოდა ზღვის ცოცხალი სხეული. და ნატრობდა ბიჭი თოლიად გადაქცეულიყო, გადაფრენოდა ამ ტალღებს, ამ მოელვარე შხეფებს, რა არის მაღლიდან დაეხედა, როგორ ცოცხლობს და სულდგმულობს ეს დიადი წყალი.

შემოდგომის პირისეული, გამჭვალავი ჭმუნვით მოსილი ხალვათი საროზექი, აქლემის ერთფეროვანი ბაკაბუკი ბურანელ ედიღეის ფიქრის გუნებაზე აყენებდა და ისიც აღარ ეწინააღმდეგებოდა. ნებდებოდა ამ ფიქრებს, რამეთუ წინ დიდი გზა ედო და არც არაფერი აფერხებდა ამ გზაზე. ყარანარი, როგორც სჩვეოდა ხოლმე დიდ გზაზე სიარულისას, ნელ-ნელა შეხურდა სიარულში და მუშკის მძაფრი სუნი ასდინდა კისრიდან ჯიდაომდე. „აბა, აბა, - კმაყოფილებით იღიმოდა ედიღეი გულში - მაშასადამე, ბაყვებში უკვე ოფლი ხვითქად გადაგდის! ჰაიტ, შე ნადირო, ჰაიტ, შე მართლა ნარავ! ფინთი ხარ, ფინთი!“

გაახსენდა ედიღეის წარსული დღენი და საქმენი, როცა ყაზანაპი ჯერ კიდევ ჯანიანად და ყოჩაღად იყო; მოგონებების გალამ ყოვლად უადგილოდ ადრინდელი მწარე ნაღველიც ამოატივტივა. ვერც ლოცვებმა უშველა, რომლებსაც ჩურჩულით იმეორებდა ისევ და ისევ, რომ გადეყარა, განერინა, მიეჩქმალა კვლავაც დაბრუნებული გულისტკივილი. მაგრამ ტკივილი არ ცხრებოდა. მოიჟამა ბურანელი ედიღეი, ქუსლებს უმიზეზოდ სცემდა წამდაუწუმ ბეჯითად ზოჩინდრიკე აქლემს, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და აღარც გაუხედავს უკან რახრახით მომავალი ტრაქტორისაკენ. გაუშვი, კვალდაკვალ მოჰყვნენ, არ ჩამორჩნენ, რაში ენაღვლებათ ამ ჯერ უმწიფრ ყმაწვილებს ის ძველი ამბავი, რაზედაც მასა და მის ცოლს კრინტი არ დაუძრავთ, მაგრამ რაიც ყაზანგაპმა, როგორც ყოველთვის, ბრძნულად და ნამუსიანად განსაჯა. მარტო მან შესძლო ამის განსჯა, თორე ედიღეი ბორანლი-ბურანს კაი ხნის წინათ მიატოვებდა...

იმ წელს, ორმოცდათერთმეტი წლის დამლევს, ზამთარში ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ერთი ოჯახი ჩამოვიდა - ცოლი, ქმარი და ორი ბავშვი. უფროსი ხუთი წლისა იყო და დაული ერქვა, მეორეს, სამი წლისას - ერმექი. თვითონ აბუტალიფი ედიღეის კბილა იქნებოდა. ვინემ ომი დაიწყებოდა, აულის სკოლაში ერთი წელი მასწავლებლობდა ჯერ სულ ყმაწვილი აბუტალიფი, ხოლო ორმოცდაერთის პირველ დღეებში ფრონტზე გაგზავნეს. მაშასადამე, ზარიფასა და მას ომის დასასრულს თუ ცოტა უფრო გვიან მოუწერიათ ხელი. ზარიფაც აქ ჩამოსვლამდე უმცროს კლასებში მასწავლებლობდა. ბედმა მდევარმა კი აქ, საროზექში, ამ ბორანლი-ბურანზე მოაგდო ისინი.

დალხენილ ცხოვრებას რომ არ გამოქცევია ეს ცოლ-ქმარი ამ გადაკარგულ საროზექში, მაშნვე ნათელი იყო, აბუტალიფი და ზარიფა სხვაგანაც მშვენივრად მოეწყობოდნენ.

არადა, ეტყობა, ისე წავიდა საქმე, სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდათ. პირველ ხანებში ბორანლელებს ეგონათ, ესენი აქ დიდხანს ვერ გაძლებენ, ვერ შესძლებენ, სადმე სხვაგან გადასახლდებიანო. მისთანები ბევრი ჩამოსულა და წასულა უკან ბორანლი-ბურანიდან. ამასვე ფიქრობდნენ ედიღეიცა და ყაზანგაპიც, თუმცა აბუტალიფის ოჯახს მაინც ყველა დიდ პატივს სცემდა. წესიერი, განათლებული ხალხი იყო, ცხოვრებისაგან შეჭირვებულნი, ცოლიცა და ქმარიც სხვებივით მუშაობდნენ, განძელებს საკუთარი ზურგით ათრევდნენ. გზის ნამქერებიდან გაწმენდისას სხვებივით იყინებოდნენ. მოკლედ, რაც რკინიგზის მუშებს ევალებოდათ, იმას აკეთებდნენ. თანაც შეკრული, შეხმატკბილებული ოჯახი ჰქონდათ, თუმცა გატანჯული იმის გამო, რომ აბუტალიფი გერმანელების ტყვეობაში იყო ნამყოფი. მართალია, ომის წლების ვნებანი იმ ხანებში ისე აღარ ბობოქრობდა; ყოფილ ტყვეებს მოღალატეებად და მტრებად უკვე აღარავინ თვლიდა. რაც შეეხება ბორანლელებს, იმათ ტვინი ამაზე არც უჭყლეტიათ. რა მოხდა მერე, კაცი ტყვედ იყო, ომი გამარჯვებით დამთავრდა, მსოფლიოს ამ საშინელ ორომტრიალში განა ცოტა ვაება ნახა ხალხმა. ზოგი აგერ დღემდე დაწანწალებს, ფეხი ვერსად მოუკიდია, ომის აჩრდილი კვლავაც ფეხდაფეხ დასდევს ადამიანებს... ამიტომაც კითხვებით სული აღარ შეუწუხებიათ ჩამოსულებისათვის, ან რატომ უნდა შეაწუხო და მოშხამო ადამიანები, რომლებმაც ალბათ ისედაც ბევრი მწარე იგემეს...

გავიდა ხანი და ედიღეი და აბუტალიფი შეუმჩნევლად დაახლოვდნენ. ჭკვიანი კაცი იყო აბუტალიფი. ხომ შავი დღე ადგა, თავს მაინც არ ისაწყლებდა. ღირსებას არ ჰკარგავდა, წარამარა ბედზე არ წუწუნებდა. ანგარიშს უწევდა, ქვეყნად რაც ხდებოდა, მიხვდა ალბათ, რომ ასეთი ხვედრი არგუნა განგებამ. ზარიფაც, როგორც ჩანს, ასევე ფიქრობდა. ორივენი შერიგებოდნენ იმას,

რომ პასუხისგება, ზღვევა გარდაუვალი იყო და ცხოვრების აზრად ერთმანეთისადმი რაღაც გასაოცარი სინაზე და იქცა მათთვის. მერე მიხვდა ედიღეი, რომ ეს ასულდგმულებდათ, ასე იცავდნენ თავს, ერთიმეორესა და შვილებს ასე იფარავდნენ დროის მძვინვარე ქროლვისაგან. მეტადრე აბუტალიფი ერთ დღესაც ვერ ძლებდა ცოლშვილის გარეშე. სულს ერჩივნა თავისი ბიჭები. როგორც კი მოიცლიდა, სულ მათთან იყო, წერა-კითხვას ასწავლიდა, ნაირ-ნაირ გამოცანას, თამაშს უგონებდა. ცოლ-ქმარი რომ სამუშაოდ წავიდო– და, ყმაწვილები მარტო რჩებოდნენ ბარაკში. მაგრამ უქუბალა ამას მშვიდად ვერ უყურებდა, ბიჭები თავისთან მოჰყავდა ხოლმე. მათ სახლში უფრო თბილოდა, მათი ცხოვრება იმ დროისათვის უფრო უკეთ იყო მოწყობილი, ვიდრე ახალჩამოსულთა, ამ ამბავმა დააახლოვა ეს ორი ოჯახი. იმხანად ხომ ედიღეისაც ჰყავდა შვილები, ორი გოგო, აბუტალიფის ბიჭების კბილა.

გადასარბენზე მუშაობიდან რომ მობრუნდა ერთხელ აბუტალიფი და თავისი პატარა ბიჭების წასაყვანად ედიღეის შეუარა, ასე უთხრა:

- ბარემ შენს გოგოებსაც ვამეცადინებ, ედიღეი, იმიტომაც ვარ სულ ბალღებთან , რომ საქმე არა მაქვს. ბალღები დაამხანაგდნენ, ერთად თამაშობენ, დღისით თქვენთან იქნებიან. საღამოს ჩვენთან. ამას რატომ ვამბობ, იცი? აქ, ამ გადაკარგულში, ისედაც მწირია ცხოვრება, იმიტომაც ზრუნვა უნდა ყმაწვილებს. ახლა ისეთი დრო დადგა, ცოდნას პატარაობითვე უნდა დაეწაფონ, ამისთანა ცეროდენებმა იმდენი უნდა იცოდნენ, რაც წინათ კარგა მოზრდილებმა, თორემ ისე განათლების მიღება გაუჭირდებათ.

მისი ესოდენი მოწადინების მიზეზსაც მოგვიანებით მოხვდა ბურანელი ედიღეი, როცა უბედურება მოხდა. მაშინ იაზრა, რომ

აბუტალიფის დღეში მყოფ კაცს მხოლოდ ამის გაკეთება შეეძლო შვილებისათვის ბორანლი-ბურანი პირობებში საკუთარი ძალითა და უნარით, თითქოსდა იცოდაო, ისე ეშურებოდა რაც შეიძლება მეტი მიეცა თავისი შვილებისთვის. თითქოს ამით უნდოდა უფრო მეტად დაემახსოვრებინა თავი მათთვის, თავის შვილებში განეგრძო ცხოვრება. აბუტალიფის სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ მათი სახლი სკოლა-ბაღად გადაიქცეოდა ხოლმე მისი და ედიღეის შვილებისთვის. ბალღები სწავლობდნენ ასოებს, მარცვლებს, თამაშობდნენ, ხატვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, უსმენდნენ, რასაც მშობლები უკითხავდნენ. ერთად სწავლობდნენ სიმღერებსაც. მეცადინეობა იმდენად სახალისო იყო, ედიღეიც ხშირ-ხშირად მიაკითხავდა ხოლმე. უქუბალაც მალიმალ მორბოდა, ვითომ რაღაც საქმეზე, სინამდვილეში კი თავისი გოგოების დასახედად. გულზე ეფონებოდა ხოლმე ბურანელ ედიღეის, სული ტკბებოდა მისი. აი, რას ნიშნავს განათლებული, მასწავლებელი ხალხი! ან ბალღებს როგორ ექცევიან, ან თვითონაც როგორ გაბალღდებიან ხოლმე და ამასთან უფროსის სიდინჯეს არ კარგავენ. ედიღეი თავისთვის ჩუმად მიდგებოდა კუთხეში, ხელი რომ არ შეეშალა. შემოსვლისას კი ზღურბლზევე მოიშვლეპდა ქუდს.

- საღამო მშვიდობისა! აგერ მეხუთე შეგირდიც გეახლათ.

ყმაწვილებიც მიეჩვივნენ ედიღეის სტუმრობას. მისი გოგოები ხომ სიხარულით ცას ეწეოდნენ. მამასთან უფრო მეტად მუყაითობდნენ. ედიღეი და უქუბალა რიგრიგობით ახურებდნენ ღუმელს რომ საღამოობით აბუტალიფის ბარაკში მეტი სითბო და სიმყუდროვე ეგრძნოთ ბალღებს.

აი, რა ოჯახი შეეკედლა იმ წელს ბორანლი-ბურანს, მაგრამ საოცარია და, ასეთ ადამიანებს ბედი რატომღაც არც მაინცდამაინც სწყალობთ.

აბუტალიფ ქუთიბაევის მთელი უბედურება ის იყო, რომ არა მარტო გერმანელებთან მოხვდა ტყვედ, მისდა ჭირად თუ ბედად საკონცენტრაციო ბანაკიდან ტყვეების ჯგუფთან ერთად გამოიქცა სამხრეთ ბავარიიდან და ორმოცდასამში იუგოსლავველ პარტიზანთა რიგებში ამოჰყო თავი. იუგოსლავიის განმათავისუფლებელ ჯარში აბუტალიფი ომის დასრულებამდე იბრძოდა. იქ დაჭრეს კიდეც და უმკურნალეს. დაჯილდოებული იყო იუგოსლავური ორდენებით, მისი ამბავი პარტიზანულ გაზეთებში გაწერეს, სურათებიც კი გამოაქვეყნეს. ეს ამბავი ძალიან დაეხმარა, როცა სამშობლოში დაბრუნებისას ორმოცდახუთ წელს საკონტროლო-საფილტრაციო კომისიაში განიხილეს მისი საქმე. საკონცენტრაციო ბანაკიდან გამოქცეული თორმეტი კაციდან ოთხიღა გადაურჩა სიკვდილს. ამ ოთხს ბედმა იმაშიც გაუმართლა, რომ საბჭოთა საკონტროლო კომისია უშუალოდ იქ ჩავიდა, სადაც იუგოსლავიის განმათავისუფლებელი კარის ქვეგანაყოფი იმყოფებოდა. იუგოსლავველმა მეთაურებმა წერილობითი დახასიათება მისცეს, ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეებმა რა საბრძოლო და ზნეობრივი თვისებები გამოიჩინეს, რა მონაწილეობა მიიღეს ფაშისტთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში.

ერთი სიტყვით, მთელი ორი თვე გაგრძელდა შემოწმება. დაკითხვა თუ მოწმეთა პირისპირ წაყენება, მთელი ეს ორი თვე ხან იმედი და ხან უიმედობა ენაცვლებოდა ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა აბუტალიფ ქუთიბაევი თავის ყაზახსტანში. მართალია, უფლებები არ ჩამოართვეს, მაგრამ არც ის უპირატესობა მისცეს, რაიც ჩვეულებრივ დემობილიზებულთ ეკუთვნოდა. აბუტალიფ ქუთიბაევს გულში წყენა არ ჩარჩენია. ომამდე გეოგრაფიის ასწავლიდა სკოლაში და ახლაც იმავე საქმეს დაუბრუნდა. იქ რაიცენტრის ერთ-სკოლაში შეხვდა იგი დაწყებითი კლასების ახალგაზრდა მასწავლებელ ზარიფას. არც ისე ხში-

რად, მაგრამ ნანდახან მოიგუნებებს ხოლმე ბედი ორივე მხარე ერთნაირად გააბედნიეროს, არც უამისობაა ამ ქვეყანაზე.

ამასობაში გადაიქუხა გამარჯვების პირველმა წლებმა. ზეიმსა და სიხარულს ფეხდაფეხ მოჰყვა „ცივი ომის“ პირველი ნიშან-ამბემბი. მერე თანდათან იმატა სუსხმა. შეიკუმშა შეგნების ზამბარები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა მტკივან წერტილში.

გეოგრაფიის ერთ გაკვეთილზე ეს ზამბარა კიდევაც ამოქმედდა, ადრე თუ გვიან, აქ თუ სხვაგან ეს მაინც მოხდებოდა, მას თუ არა, სხვას მაინც დაატყდებოდა თავს.

მერვე კლასის მოსწავლეებს უყვებოდა აბუტალიფი მსოფლიოს ევროპულ ნაწილზე. ისიც მოჰყვა, როგორ წარეკეს ერთხელ ტყვეები საკონცენტრაციო ბანაკიდან სამხრეთ ბავარიის ალპების ქვის სამტეხლოებში, სადაც მოახერხეს ყარაულის განიარაღება და იუგოსლავიის პარტიზანებთან გაღწევა. უამბო, როგორ გაიარა მან ომის დროს ნახევარი ევროპა, იყო ადრიატიკისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე, კარგად იცნობს იქაურ ბუნებას, მკვიდრთა ყოფას, რისი აღწერაც სახელმძღვანელოებში შეუძლებელია, ხოლო ამ ამბების მოწმის მონაყოლი უფრო ცოცხალს გახდიდა გაკვეთილს მისი აზრით.

მასწავლებლის ჯოხი სასკოლო დაფაზე დაკიდებულ ევროპის ლურჯ-მწვანე-ყავისფერ რუკაზე დასრიალებდა, მაღლობებს, ვაკეებს, მდინარეებს ხაზავდა. წარამარა იმ ადგილებზე ჩერდებოდა, ახლაც რომ ღამღამობით ესიზმრებოდა, სადაც ყოველ ცისმარე დღე წლების მანძილზე ზამთარ-ზაფხულ ბრძოლები იყო, იქნებ ჯოხი იმ წერტილსაც შეეხო, სადაც მან სისხლი დაღვარა, როცა გვერდიდან მოელოდნელად მტრის, ავტომატის ჯერმა დასერა. ნელა დაგორდა მერე ფერდობზე, სისხლით შეღება ჯოყარი და ქვები, ის ალისფერი სისხლი

მთელ ამ სასწავლო რუკა შეღებავდა, წამით მოეჩვენა კიდეც, როგორ გაიდღაბნა ალისფერი სისხლი რუკაზე, როგორ დაესხა მაშინ თავბრუ და თვალთ დაუბნელდა, როგორ გადმოყირავდა და ჩამოემხო მთები და იყვირა, საშველად უხმო თავის პოლონელ მეგობარს, რომელთან ერთად შარშან ზაფხულს გამოიქცა ბავარიის სამტეხლოებიდან: - „კაზიმირ! კაზიმირ!“ მაგრამ ვერ კი გააგონა, ან როგორ გააგონებდა, როცა თვითონ ეგონა, ვყვირივარო, თორემ კრინტიც არ დაუძრავს, გონზე მხოლოდ პარტიზანულ ჰოსპიტალში მოვიდა, სისხლის გადასხმის მერე.

აბუტალიფს თავადაც უკვირდა, ამდენი გადატანილი ტანჯვის შემდეგ როგორ საქმიანად, მიუკერძებლად ჰყვებოდა მხოლოდ იმ ამბებს, ელემენტარულ სასკოლო გეოგრაფიას რაც ეხებოდა.

უცბად წინა მერხზე ვიღაცამ ასწია სწრაფად ხელი და ლაპარაკი შეაწყვეტინა:

- აღაი,[9] მაშ თქვენ ტყვედ იყავით?

ცივად, ნათლად შეჰყურებდა აბუტალიფს მოსწავლის მკაცრი თვალები. ბიჭს თავი ოდნავ უკან გადაეწია, „სმენაზე“ იდგა. რატომღაც სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში ბიჭის ტუჩ-პირი, წინ წამოყრილი ზედა კბილები.რუკაზე, სადაც ხელახლა იჭექა ავტომატის ჯერმა.

- კი, რატომ მკითხე?

- რატომ არ მოიკალით თავი?

- რად უნდა მომეკლა? მე ხომ ისედაც დაჭრილი ვიყავ.

- იმიტომ, რომ არ შეიძლება მტერს ტყვედ ჩაუვარდე, აკი ბრძანებაც ასეთი იყო!

- ვისი ბრძანება?

---

[9] მასწავლებელი

- ვისი და ზემოდან!

- შენ საიდან იცი?

- მე ყველაფერი ვიცი, ალმა-ატიდან ჩამოდის ხოლმე ჩვენთან ხალხი, მოსკოვიდანაც ჩამოდიან. მაშასადამე, ბრძანება არ შეასრულეთ?

- მამაშენი თუ იყო ჯარში?

- არა. მას მობილიზაციის საქმე ებარა.

- მაშინ არა მგონია ერთმანეთს გავუგოთ. იმას კი ვიტყვი, რომ სხვა გამოსავალი არ დამრჩენოდა.

- და მაინც უნდა შეგესრულებინათ ბრძანება.

- რას ჩააცივდი? - წამოხტა მეორე მოწაფე. - ჩვენი მასწავლებელი იუგოსლაველ პარტიზანებთან იბრძოდა, მეტი რა გინდა?

- სულ ერთია, ბრძანება მაინც უნდა შეესრულებინა, - თავისას გაიძახოდა პირველი.

მაშინ კი დაირღვა სამარისებური სიჩუმე, აზუზუნდა, ახმაურდა მთელი კლასი: „უნდა მოეკლა თავი!“ „არა, არ უნდა მოეკლა!“ „შეეძლო მოეკლა!“ „არ შეეძლო!“ „სწორია!“, „არაა სწორი!“. მასწავლებელმა ბოლოს მუშტი დაახეთქა მაგიდაზე.

- შეწყვიტეთ ლაპარაკი ! ახლა გეოგრაფიის გაკვეთილია! როგორ ვიბრძოდი, ან რა გადამხდა, იქ იციან, სადაც და ვინც უნდა იცოდეს. დავუბრუნდეთ რუკას!

კლასში არც ახლა დაუნახავს არავის ის ძნელად გასარჩევი წერტილი რუკაზე, სადაც ხელახლა იჭექა ავტომატის ჯერმა. დაფასთან ჯოხით მდგარი მასწავლებელი დაგორდა ფერდობზე, მისმა სიხლმა შეღება ევროპის ლურჯ-მწვანე-ყავისფერი რუკა...

რამდენიმე დღის შემდეგ მასწავლებელი რაიონის განათლების განყოფილებაში დაიბარეს. იქ მიკიბ-მოუკიბავად, პირდა-

პირ უთხრეს, განცხადება დაწერეთ, რომ საკუთარი სურვილით გნებავთ სამსახურიდან წასვლაო. ყოფილ სამხედრო ტყვეს ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა მოზარდი თაობა გაეზარდა.

მეტი რა გზა იყო, სხვა რაიონში გადაბარგდნენ აბუტალიფი და ზარიფა თავისი პირმშო დაულით, რაც შეიძლება შორს საოლქო ცენტრიდან. ერთი აულის სკოლაში მოეწყვნენ. თითქოს მოეკიდნენ იქაურობას, ჭერიც იშოვეს, ზარიფა ნიჭიერი მასწავლებელი იყო და სასწავლო ნაწილის გამგე გახდა. მაგრამ დადგა ორმოცდარვა წელი, დაიწყო იუგოსლავიასთან დაკავშირებული ამბები. ახლა აბუტალიფი არამარტო ნატყვევარი, არამედ საეჭვო პიროვნებაც გახდა, იუგოსლავიაში დიდხანს ნამყოფი. ბევრი ამტკიცა, იუგოსლაველ ამხანაგებთან ერთად მხოლოდ პარტიზანობდიო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ყველა თანაუგრძნობდა, ყველას ესმოდა მისი ამბავი, პასუხისმგებლობა კი არავინ იკისრა, ვერავინ გაბედა. ისევ გამოიძახეს რაიონის განათლების განყოფილებაში, ისევ დააწერინეს განცხადება, ჩემი ნება-სურვილით გამათავისუფლეთო...

ასე და ამგვარად ადგილიდან ადგილზე ხეტიალის შემდეგ ამოჰყო თავი აბუტალიფის ოჯახმა ორმოცდათეთრთმეტი წლის შუა ზამთარში საროზექში, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე...

დიდი ცხელი ზაფხული დადგა ორმოცდათორმეტში. მიწა ისე გამოახმო და გავარვარა პაპანებამ, საროზექელმა ხვლიკებმაც კი აღარ იცოდნენ, რა ექნათ, სად წასულიყვნენ, ადამიანების შიში კარგეს და ზღურბლს მოაწყდებოდნენ ხოლმე პირდაღებულნი და აქოშინებულნი, ოღონდაც კი მზეს დამალოდნენ. ძერები ისე მაღლა იკარგებოდნენ ცაში სიგრილის საძებრად, ჩვეულებრივი თვალი ვეღარც სწვდებოდა. მხოლოდ

დროდადრო თუ დაიჩხავლებდა რომელიმე და მერე კარგა ხნით ყუჩდებოდნენ ხოლმე ამ გავარვარებულ ჰაერში.

მაგრამ სამსახური სამსახური იყო. მატარებლები აღმოსავლეთიდან დასავლეთით, დასავლეთიდან კი აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ, ბორანლი-ბურანზე ხვდებოდნენ და შორდებოდნენ ერთმანეთს. ვერა სიცხე ვერ შეუშლიდა ხელს მატარებლების მოძრაობას ამ დიდ სახელმწიფო მაგისტრალზე.

ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. რკინიგზაზე ხელჯაგებით უნდა გემუშავა, შიშველ ხელს ვერც ქვას დააკარებდი და მით უმეტეს ვერც რკინას. მზე გავარვარებულ ტაფასავით ეკიდა ცაზე. წყალი, როგორც ყოველთვის, ცისტერნით მოჰქონდათ და, ვინემ მოიტანდნენ, ლამის უკვე დუღდა. ტანისამოსი ორ დღეში უკვე ტანზე გეწვოდა. მგონი, ზამთრის უწყალო ყინვებიც კი უფრო ადვილი ასატანი იყო საროზექში, ვინემ ეს ხვატი.

ბურანელი ედიღეი აბუტალიფის გამხნევებას ცდილობდა იმ დღეებში.

- განა ყოველთვის ასეა ზაფხულში, წელსაა მხოლოდ ასე, ისე იმართლებდა თავს, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყო, - კიდევ თხუთმეტი, ჰა, ჰა, ოცი დღე - და აგრილდება, დაიკლებს სიცხე დასწყევლოს ღმერთმა, სული ამოგვხადა, გაგვაწამა ყველა. ასე იცის ჩვენს საროზექში, ზაფხულის ბოლოს გატყდება ხოლმე სიცხე, ხელად იცვლება ამინდი. მაშინ ზამთრამდე სამოთხესავით შემოდგომაა - გრილა, საქონელი ხორცს ისხამს. წელს სწორედ ასეთი პირი უჩანს, ამის ნიშნებიც ჩანს. ისე რომ გაუძელით, შემოდგომა კარგი იქნება.

- მაშასადამე, პირობას იძლევი? - გაეღიმა აბუტალიფს.

- შეიძლება ითქვას, კი.

- მაგაზედაც მადლობელი ვარ. ასე მგონია, აბანოში ვარმეთქი ახლა. მაგრამ ჩემი დარდი არა მაქვს, მე და ზარიფა რო-

გორმე გავალებთ, ასეთები მოგვითმენია! ბალღები მეცოდება... ვერ მიცქერია...

გაწამდა ბორანლელი გოგობიჭობა, გახდნენ, შეიფერთხნენ, ამ ბუღსა და გამასავათებელ სიცხეს ვერსად დამალოდნენ. ერთი ხე არ ხარობდა ირგვლივ, ერთი წყარო არ მირაკრაკებდა ყმაწვილების გულის გასახარად. გაზაფხულზე რომ გამოცოცხლდა საროზექი და ირგვლივ მცირე ხნით გადამწვანდა ხევები და ფერდობები, გაიხარეს და მოილხინეს ბალღებმა. ბერთიც ითამაშეს, დამალობანაც, ტრამალში ზაზუნებს დასდევდნენ. გულს უაროდა მათი ჟრიამული, მთელ არემარეს სძრავდა მათი ჟივილ-ხივილი.

ზაფხულმა მოსრა ყველაფერი. დაუდევარ ყმაწვილებსაც სიქა გააცალა უსაშველო ხვატმა, რომელსაც სახლების კედლების ჩრდილში ემალებოდნენ. მხოლოდ მაშინ გამოჰყოფდნენ თავს, როცა მატარებლები ჩაივლიდნენ. მათი გართობა იყო - დაეთვალათ, რამდენი მატარებელი ჩაივლიდა აქეთ და რამდენი იქით, რამდენი იყო სამგზავრო ვაგონი და რამდენი სატვირთო. ხოლო როცა სამგზავრო მატარებელი ასაქცევზე სვლას შეანელებდა, ყმაწვილებს ეგონათ, ეს მატარებელი მაინც გაჩერდებაო აქ, და ქლოშინ-ქლოშინით მისდევდნენ უკან, მზისგან ხელმოჩრდილულნი, ვინ იცის, გულუბრყვილოდ ეჯერათ, რომ ამ თორნედან შორს გააქროლებდათ ეს მატარებელი. გული მოგიკვდებოდა იმის შემხედვარეს რა შურითა და არაბავშვური ნაღველით გასცქეროდნენ ბორანელი გოგო-ბიჭები მიმავალ ვაგონებს. მგზავრებასაც დაეღოთ ვაგონის კარ-ფანჯრები, ისინიც ლამის ჭკუიდან შეეშალა სიცხეს, სიმყრალესა და ბუზებს, მაგრამ იმედი მაინც ჰქონდათ, რომ ორიოდე დღის შემდეგ იქ ჩავიდოდნენ, სადაც გრილი მდინარეები და მწვანით მოსილი ტყეები იყო.

იმ ზაფხულს ყველას გული უკვდებოდა ბალღების შემყურე, დედებსაც და მამებსაც. მაგრამ რა დღეში იყო აბუტალიფი, ზარიფას გარდა, მგონი, მარტო ედიღეიმ იცოდა. სწორედ ზაიფას გაესაუბრა იგი პირველად ამაზე და მაშინ კიდევ სხვა რაღაცებიც შეიტყო ამ ორი ადამიანის ბედზე.

იმ დღეს რკინიგზაზე მუშაობდნენ, ხრეშს ცლიდნენ ვაკისზე, ღორღს ყრიდნენ განძელებისა და რელსების ქვეშ, ჩამოშლილ მიწაყრილს გამაგრება სჭიროდა. მატარებლები რომ ჩაივლიდნენ, მაშინ ანახლებდნენ ისევ მუშაობას. დიდი დრო სჭიროდა ამ საქმეს. პაპანება არაქათს აცლიდა ყველას. ნაშუადღევის პირი იყო როცა აბუტალიფმა ცარიელი ბიდონი აიღო და ჩიხში მდგარ ცისტერნიდან გაცხელებული წყლის მოსატანად გასწია. თან ბავშვებსაც დავხედავო, თქვა.

სწრაფი ნაბიჯით გაუყვა განძელებს, თუმცა მზე უმოწყალოდ აჭერდა. შვილებისკენ მიიჩქაროდა, თავისი თავი აღარ ედარდებოდა, გახუნებული, ჭუჭყისფერი მაისური გაძვალტყავებულ მხრებზე ჩამოჰკიდებოდა, თავზე გახუნებული ჩალის ქუდი ეხურა, შარვალი ფომფლოდ ადგა გამხდარ ტანზე. ფეხზე გაცვეთილი სამუშაო წაღები ეცვა უზონრებოდ. მიდიოდა განძელებზე, ლანჩებს მიაშლაპუნებდა და ყურადღებას არაფერს აქცევდა. უკნიდან რომ მატარებელი გამოჩნდა, არც მაშინ მოუხედავს.

- ჰეი, აბუტალიფ, დაყრუვდი? ლიანდაგიდან გადადი! - დაუძახა ედიღეიმ.

მაგრამ აბუტალიფს არც ეს გაუგონია, მხოლოდ მაშინ ჩავიდა მიწაყრილის ფერდობზე, როცა ორთქლმავალმა საყვირი ააკივლა. მაგრამ არც მაშინ მიუხედავს ჩაქროლილი მატარებლისაკენ და არ დაუნახავს, მემანქანე მუშტებს რომ უღერდა.

კაცმა ომი მოიარა. ტყვეობაც იგემა და ჭაღარა არ გარეევია. ახალგაზრდა იყო და, ცხადია, ამიტომ. ფრონტზე ცხრამეტი

წლისა წავიდა, უმცროს ლეიტენანტად. იმ ზაფხულს კი თეთრი გაერია თმაში. ასე იცის საროზექმა. უცბად გაერია, შავი, გრუზა თმა გადაუთეთრა, მეტადრე საფეთქლებზე იძალა ჭაღარამ. კაი ცხოვრება ყოფილიყო, იცოცხლე, ლამაზი, წარმოსადეგი ვაჟკაცი იქნებოდა: განიერი შუბლი. არწივივით ცხვირი, ძლიერი ტუჩპირი, მოგრძო, დაკვირვებული თვალები. ტანადიც იყო, მაღალი, ზარიფა მწარედ გაეხუმრებოდა ხოლმე: „ბედმა გიმუხთლა, აბუ, საცა სამართალია, სცენაზე ოტელო უნდა გეთამაშა“ - აბუტალიფი ჩაიცინებდა: „ძალიან გინდა სცენაზე მიგახრჩო!“.

ედიღეი მართლა შეაშინა იმ ამბავმა, რომ აბუტალიფმა მატარებლის მოახლოება ვერ გაიგო.

- უნდა უთხრა, ასე როგორ იქნება, - უსაყვედურა მან ზარიფას. - მემანქანე პასუხს არ აგებს, ლიანდაგზე სიარული აკრძალულია, ესეც რომ არა, სიკვდილთან თამაში ვის გაუგია?

ზარიფამ მძიმედ ამოიოხრა, დახრუკული, გაოფლილი სახე სახელოთი მოიწმინდა.

- მაშინებს, ძალიან მაშინებს მაგის ამბავი.

- რა იყო ასეთი?

- შიშით აღარ ვარ, ედიღეი, შენთან რა მაქვს დასამალი, ჩემი და ბავშვების გამო იტანჯება ასე, მშობლებს არამც და არამც არ უნდოდათ მაგას გავყოლოდი. ჩემი უფროსი ძმა გაგიჟდა, მიყვირა და მიყვირა: „შენი წუთისოფელი თითებს დაიჭამ სიმწრით, ჩერჩეტო! ეს გათხოვება კი არა, თავის გაუბედურებაა. შენი შვილები და შენი შვილთა შვილები, ჯერ რომ არ გაჩენილან, ისინიც კი სატანჯველად განწირულნი არიან. მაგ შენმა მიჯნურმა, თუ ჭკუა აქვს, ოჯახს მოეკიდოს კი არა, თავი უნდა ჩამოიხრჩოს. მაგისთვის ეს ყველაფერს აჯობებს!“ ჩვენ კი მაინც ჩვენი გავიტანეთ. იმედი გვქონდა: ომი დამთავრდა, ცოცხლებსა და მკვდრებს ანგარიშს ვინ გაუსწორებს! არავის ვეკარებოდით, არც

მაგისა და არც ჩემს ნათესავებს. უკანასკნელად კი, იცი, ჩემმა ძმამ რა ქნა? თვითონ დაწერა განცხადება: მე ადრევე გავაფრთხილე ჩემი და, არ მინდოდა ამ კაცს მისთხოვებოდაო. მე მათთან საერთო არაფერი მაქვს, მით უმეტეს, ისეთ პიროვნებასთან, როგორიც აბუტალიფ ქუთიბაევია, იუგოსლავიაში დიდხანს ნაცხოვრებიო. მას შემდეგ ისევ აირია ყველაფერი. სადაც არ წავედით, ყველგან ზურგი გვაქციეს, ახლოს არ გაგვიკარეს. ახლა კი აგერ აქ მოვხვდით, აქედან კი სადღა წავალთ.

ზარიფა დადუმდა, ისევ საქმეს დაუბრუნდა - განძელების ქვეშ გამწარებით ჰყრიდა ხრეშს. ამასობაში ხელახლა გამოჩნდა მატარებელი. მათაც წამოკრიფეს ნიჩბები და ჯინები და ლიანდაგს გაეცალნენ.

გრძნობდა ედიღეი, ადამიანს როცა უჭირს, უნდა დაეხმარო უშველო რამე, მაგრამ ედიღეის რისი შველა შეეძლო, უბედურება შორიდან მოდიოდა, საროზექის საზღვრებს მიღმიდან.

- ჩვენ აქ კარგა ბლომა წელია ვცხოვრობთ. თქვენც მიეჩვევით, შეეგუებით. რას იზამ, ცხოვრება თავისას ითხოვს, - ხაზგასმით თქვა მან და ზარიფას შეხედა: „ეჰ, მწარეა, მწარე საროზექული პური. ზამთარში რომ ჩამოვიდნენ, თეთრყირმიზა იყო. ახლა კი მიწისფერი გაუხდა სახე, - გაიფიქრა და დაენანა თვალსა და ხელს შუა გამქრალი სილამაზე. - თმაც გაუხუნდა, არადა, რა თმა ჰქონდა, წამწამებიც გამოუწვა მზემ, ტუჩები დაუსკდა, უმძიმს, ძალიან უმძიმს , არაა მიჩვეული გაჭირვებას. მაგრამ არ იმჩნევს, არ ტყდება, უძლებს. მოდი და ნუ გაუძლებ - ორი შვილის დედაა... მაინც ბარაქალა, ქალო..

მატარებელმა ავტომატის ჯერივით ჩაიგრიალა, შეხუთული, ცხელი ჰაერის ბუღი დააყენა. ისინი ისევ ავიდნენ ლიანდაგზე იარაღებით - მუშაობა უნდა განეგრძოთ.

- გამიგონე, ზარიფა, - შეეცადა ედიღეი ქალის გამხნევებას, სინამდვილესთან მის შეგუებას. - ბალღებს აქ რომ გაუჭირდებათ, არ გედავები, ამას ლაპარაკი არ უნდა. ჩვენი გოგო-ბიჭების შეხედვაზე მეც გული მიკვდება. მაგრამ სიცხე ხომ მუდამ არ იქნება. დაცხრება. თანაც აქ ხომ მარტონი არა ხართ, ირგვლივ ხალხია, ჩვენც აქა ვართ ბოლოს და ბოლოს. რას იზამ, თავს ხომ ვერ მოილავ.

- მეც მაგას არ ვეუბნები, ედიღეი, მე ხომ ყოველნაირად ვცდილობ ზედმეტი არაფერი დამცდეს. განა არ მესმის, რა დღეშიცაა.

- სწორსაც შვრები. ამის თქმა მინდოდა კიდევაც შენთვის, ზარიფა, შემთხვევას ველოდი. თვითონაც იცი ყველაფერი. სიტყვამ მოიტანა და ამიტომ გითხარი. მაპატიე.

- ზოგჯერ ასე მქონია, გული გამისკდება-მეთქი. ჩემი თავიც მეცოდება და ისიც, შვილები ხომ უფრო მეტად. რა მაგის ბრალია, მაგრამ თავს დამნაშავედ გრძნობს, რომ აქ ჩამოგვიყვანა. შეცვლა კი არაფრის შეუძლია. რა თქმა უნდა, ჩვენს მხარეში, ალათაუში, სადაც მთები და მდინარეებია, ცხოვრებაც სხვაა და ჰავაც სხვა. ბიჭები შეიძლებოდა ზაფხულში მაინც იქ გაგვეგზავნა, მაგრამ ვისთან? მშობლები აღარ გვყვანან, ადრე გარდაიცვალნენ. და-ძმები , ნათესავებიღა დაგვრჩა... მაგრამ არც იმათ გაემტყუნებათ, ჩვენ გამო რატომ გაიმწარებენ სიცოცხლეს. ადრეც გაგვირბოდნენ. ახლა კი მით უმეტეს. რაში ენაღვლებათ ჩვენი შვილები? ჰოდა, ჩვენც ვეწამებით, ვაითუ მთელი ცხოვრება აქ ჩავრჩეთო, თუმცა ხმამაღლა ვერ ვამბობთ, არადა ხომ ხედავ, როგორ იტანჯება... წინ რა გველის, ღმერთმა იცის მარტო...

გაჩუმდა ორივე, მძიმე იყო ეს სიჩუმე, მერე აღარ დაბრუნებიან ამ საუბარს; მუშაობა განაგრძეს, ჩაატარებდნენ დრო-

დადრო მატარებლებს და ისევ და ისევ მუშაობდნენ. სხვა რა ექნა? ნუგეში რითი ეცა, რითი ეშველა მათი გაჭირვებისათვის ედიღეის? „სამათხოვროდ მაინც არ ექნებათ საქმე, - ფიქრობდა ედიღეი, - ლუკმაპურს იშოვნიან, ორივე მუშაობს. თითქოსდა ძალით არავის დაუმწყვდევია, არადა, აქედან არც წაესვლებათ სხვაგან, არც ხვალ და არც ზეგ“.

თავისი თავისაც უკვირდა ედიღეის, ასე რად აწუხებდა ამ ოჯახის ამბავი, თითქოსდა პირადად მას ეხებოდა. ვინაა ეს ხალხი მისთვის? ხომ შეეძლო ეთქვა თავისი თავისთვის - რა შენი საქმეა, ნეტა რა განაღვლებსო? ვინაა ბოლოს და ბოლოს ედიღეი, რომ ის განსაჯოს, რაც მისი განსასჯელი არაა? მისთანა ტრამალის მუშა ამქვეყნად ურიცხვია. რა მისი საქმეა აღშფოთდეს, სინდისის ქენჯნა იგრძნოს, თავი იმტვრიოს, რაა უსამართლო თუ სამართლიანი ამ ქვეყანაზე. იქ, საიდანაც ეს ყველაფერი მოდის, უთუოდ ბურანელ ედიღეიზე ათასჯერ მეტი იციან, იქ უფრო საჩინოა ალბათ ყველაფერი, ვიდრე აქ, ამ საროზექში. რა მისი საქმეა, რატომ იტკივებს თავს? და მაინც ვერ დამშვიდებულიყო ედიღეი. რატომღაც ზარიფა უფრო ეცოდებოდა. აოცებდა და ხიბლავდა ამ ქალის ერთგულება, გამძლეობა, გასაჭირთან შეუპოვარი ბრძოლა. დედა ჩიტს ჰგავდა, ფრთებით რომ გადაეფოფრება ხოლმე ბუდეს, ქარიშხალმა არ დამინგრიოსო. მის ადგილზე სხვა იტირებდა, ივიშვიშებდა და ისევ ნათესავებს მიადგებოდა დაჩოქილი, ის კი ქმარს მხარში ედგა, მასთან ერთად ეწამებოდა წარსულის გამო. იმიტომაც წუხდა ყველაზე მეტად და ყველაფრის მიუხედავად ედიღეი, თავად რომ არ შეეძლო მისი ქმარ-შვილის დაცვა. შემდეგში ბევრჯერ ინანა მწარედ, რად გადმოაგდო ბედმა ეს ოჯახი ბორანლი-ბურანზე, რად გაუჩინა ეს საწუხარი? არ ექნებოდა ეს განცდები და იცხოვრებდა ადრინდელივით არხეინად...

თავი 6.

წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით, ნაშუადღევის შემდეგ ზღვამ ღელვა იწყო, ტალღები წამოიქოჩრა. სამხრეთაღმოსავლეთის ქარმა, ამერიკის დაბლობებიდან დაძრულმა, ნელინელ მოიცა ძალა და ნელინელ გარკვეული მიმართულება მიიღო. უზარმაზარ სივრცეზე ამოძრავდა, მძიმედ ატორტმანდა წყალი, ზვირთი ზვირთზე აგორდა. ეს კი, თუ ქარიშხლის არა, ხანგრძლივი ღელვის მაუწყებელი იყო.

ავიოსან „კონვენციას“ გაშლილ ოკეანეში ასეთი ზვირთები საშიშს არას უქადდა. სხვა დრის არც შეიცვლიდა მდებარეობას. მაგრამ რაკიღა წუთი წუთზე იყო მოსალოდნელი სასწრაფოდ დაბრუნებულ განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისების თვითმფრინავთა გემბანზე დაჯდომა, ზემდგომ ინსტანციებთან გათათბირების შემდგომ, ავიოსანმა ქარის საწინააღმდეგოდ შებრუნება არჩია, რათა გემი ისე აღარ ერწია ზღვას. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ჯერ სან-ფრანცისკოს, მერე კი ვლადივოსტოკის ლაინერი დაჯდა.

კომისიები უკლებლივ დაბრუნდნენ, ერთნაირად მდუმარენი და შეურვებულნი. თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ყველა საიდუმლო სათათბირო მაგიდას უჯდა. კომისიის მუშაობის დაწყებინდან ხუთი წუთის შემდეგ ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ ქიმიდან, მპყრობელის გალაქტიკაში მყოფ 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისთვის გადასაცემად სასწრაფო დაშიფრული რადიოგრამა გაიგზავნა: „ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ 1-2 და 2-1 კოსმონავტ-კონტროლიორებს. გააფრთხილეთ მზის სისტემის საზღვრებს მიღმა მყოფი 1-2 და 2-1 პარიტეტ-

კოსმონავტები, რომ არაფერი მოიმოქმედონ და ადგილიდან არ დაიძრან მართვის საერთო ცენტრის საგანგებო მითითებამდე“.

ამის შემდეგ განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თავიანთი პოზიციებისა და წინადადებების განხილვას კოსმიური კრიზისის გადასაწყვეტად...

ავიოსანი „კონვენცია“ წყნარ ოკეანეში იდგა ქარის პირისპირ, ზვირთი ზვირთს ეხლებოდა გაუთავებლივ, მსოფლიოში არავინ უწყოდა, რომ ავიონის ქიმზე ამ დროს პლანეტის გლობალური ბედი წყდებოდა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი ცარიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო. ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ანა-ბეიითის სამარხამდე ორი საათის გზაღა დარჩენილიყო. სამგლოვიარო პროცესია კვლავ ისეთივე რიგით იძროდა. წინ ბურანელი ედიღეი მიუძღოდა გზის მაჩვენებლად, მისი ყარანარი ისევე დაუღლელად მიალაჯებდა, უკან მისდევდა მისაბმელიანი ტრაქტორი, სადაც მიცვალებულს მოთმინებით ეჯდა გვერდით აიზადას ქმარი, ტრაქტორს ექსკავატორი „ბელა-

რუსი“ მიჰყვებოდა. განზე კი კვლავ ისევე საქმიანად და დაბეჯითებით მკერდგანიერი წითურა ჟოლბარსი მიძუნძულებდა, რომელიც ხან წინ უსწრებდა, ხან უკან რჩებოდა ფრიად მნიშვნელოვან მიზეზთა გამო.

მზე აცხუნებდა, ზენიტს ნელ-ნელა უახლოვდებოდა. უკან დარჩა გზის უმეტესი ნაწილი. ხოლო დიადი საროზექი ყოველი მაღლობის მიღმა ახალ და ახალ უკაცრიელ მიწებს აჩენდა, დასალიერამდე გადაჭიმულს. ხალვათად გადაშლილიყო ტრამალები. ოდესღაც ამ ადგილებში ის ღვთისგან წყეული ჟუანჟუანები სახლობდნენ, თითქმის მთელი საროზექის მხარის კარგა ხ ნით დამპყრობი გადამთიელნი. აქ იყვნენ სხვა მომთაბარე ტომებიც, გაუთავებლივ რომ ეომებოდნენ ერთმანეთს საძოვრებისა და ჭების გამო. გამარჯვების სასწორი ხან ერთი მხრისკენ იხრებოდა, ხან მეორისკენ. მაგრამ გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც მაინც ისევ აქ რჩებოდნენ. ერთნი შევიწროვებულნი, მეორენი კი გაფართოებულნი. ელიზაროვი ამბობდა, საროზექი, როგორც საცხოვრებელი ადგილსამყოფელი, დასტურ ღირდა ამ ომებადო. მაშინ აქ თურმე უფრო ხშირად მოდიოდა წვიმები გაზაფხულ-შემოდგომობითა და საძოვრებიც სამყოფი იყო მსხვილ თუ წვრილფეხა საქონლისათვის. მაშინ აქ დადიოდნენ ვაჭართა ქარავნები და ვაჭრობაც იყო. მაგრამ მერმე თურმე მკვეთრად შეცვლილა ჰავა - აღარ მოდიოდა წვიმები, დაშრა ჭები, გადახმა ბალახი. ჰოდა, დატოვა საროზექი მისულმა ხალხმა და ტომებმა, აღმა-დაღმა გაიფანტნენ ყველანი. ჟუანჟუანები კი სულაც გაქრნენ, ედილიასკენ დაიძრნენ, მაშინ ასე იწოდებოდა ვოლგა, ედილიასპირა მხარეში შთაინთქნენ უგზოუკვლოდ. არავინ უწყოდა, საიდან იყვნენ მოსულნი და არავინ უწყოდა, სად გაქრნენ ახლა. ამბობენ, წყევლამ უწიათო გზაში - ზამთარში გროვა-გროვად რომ გადადიოდნენ ედილიაზე, ჩატყდა მდინა-

რეზე ყინული და თავიანთ რემებ-ფარებიანად წყალში ჩაცვივ-დნენო...

ძირეულ, მკვიდრ საროზექელებს - ყაზახთა ნომადებს იმ ხანებშიაც არ მიუტოვებიათ თავიანთი მხარე, იმ ადგილებში იკი-დებდნენ ფეხს, სადაც ხელახლა გათხრილ ჭებში წყალს აღმოა-ჩენდნენ. მაგრამ ყველაზე გაცხოველებული ხანი საროზექს ომის შემდგომ წლებში დაუდგა, წყალისმომტანი მანქანები რომ გამოჩნდა. ერთ ასეთ წყლის მანქანას, თუ მძღოლმა იქაური არემარე კარგად იცოდა, სამი-ოთხი ალაჩოყის მომსახურეობა შეეძლო. საროზექის საძოვართა მოიჯარენი - მომიჯნავე ოლ-ქების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე ფიქ-რობდნენ, საროზექში მუდმივი ბაზები მოეწყოთ გადასარეკი მე-საქონლეობისათვის. ანგარიშობდნენ, ზომავდნენ, როგორ და რამდენი დაუჯდებოდათ მეურნეობებს ამ ბაზების აშენება. კიდევ კარგი, რომ არ იჩქარეს. შეუმჩნევლად და შეუნიშნავად გაჩნდა ანა-ბეიითის მიდამოებში უსახელო ქალაქი - საფოსტო ყუთი. ასედაც ლაპარაკობდნენ ერთმანეთში - საფოსტო ყუთში მივდი-ვარო. საფოსტო ყუთში ვიყავიო, საფოსტო ყუთში ვიყიდეო, სა-ფოსტო ყუთში ვნახეო... თანდათან გაიზარდა, აშენდა საფოსტო ყუთი და გარეშე ხალხისათვის გზაშეკრული აღმოჩნდა. ასფალ-ტიანი გზა აკავშირებდა ერთი მხრივ კოსმოდრომსა და მეორე მხრივ - რკინიგზის სადგურს. აქედან დაიწყო საროზექის ახალი, ინდუსტრიული დასახლება. იმ მხარეში წარსულის ხსოვნად მარ-ტო ანა-ბეიითის სამარხი დარჩა,აქლემის კუზებივით აყუდებული ორ ტყუპ გორაკ ეგიდ-თუბეზე შეფენილი. ეს იყო ყველაზე საპა-ტიო სამარხი მთელ საროზექის მხარეში. ძველად ზოგჯერ იმ სიშორიდან ჩამოჰყავდათ მიცვალებული, ხალხს ტრამალში უწევდათ ღამისთევა. სამაგიეროდ ანა-ბეიითზე დამარხულთა შთამომავალნი კანონიერად ამაყობდნენ, თავიანთ მამაპაპებს

რომ ასეთი დიდი პატივი დასდეს. აქ იმარხებოდა ყველაზე საპატიო და ცნობილი ხალხი, რომლებსაც დიდხანს ეცხოვრათ, ბევრი ენახათ და ქველი სახელიც მოეპოვებინათ სიტყვით თუ საქმით. ელიზაროვმა ხომ ყველაფერი იცოდა, იმიტომაც ამ ადგილს საროზექის პანთეონს ეძახდა.

ამ ადგილს უახლოვდებოდა სწორედ იმ დღეს უცნაური სამგლოვიარო პროცესია. ძაღლის თანხლებით, ბორანლი-ბურანის რკინიგზის ასაქცევიდან.

ანა–ბეიითს თავისი ისტორია ჰქონდა. გადმოცემა იუწყებოდა, რომ წინა საუკუნეებში საროზექის დამპყრობი ჟუანჟუანები სასტიკად და დაუნდობლად ექცეოდნენ თურმე ტყვედ ჩავარდნილ მეომრებს. ბედნიერი იყო ის ტყვე, ვისაც მეზობელ მხარეში გაჰყიდდნენ მონად, ვინაიდან გაყიდულ მონას მაინც შეეძლო ადრე თუ გვიან გაქცევა და თავის სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ ვაი მას, ვისაც ჟუანჟუანები თავის მონად დაიტოვებდნენ. საშინელი წამებით - თავზე შირის ჩამოცმით - მეხსიერებას ართმევდნენ მონას. მეტწილად ასეთი ხვედრი ტყვედ ჩავარდნილ ჭაბუკებს ელოდა. ჯერ პირწმინდად გადახოტრიდნენ თმას, ღერი რაა, ღერს არ დაუტოვებდნენ თავზე. იმ დროისათვის, როცა თმის პარსვა მოთავდებოდა, გამოცდილი ჟუანჟუანელი ყასბები იქვე ახლოს უზარმაზარ აქლემს დაკლავდნენ, გაატყავებდნენ და პირველ ყოვლისა ყველაზე მკვრივ ქედის ნაწილს გამოაცლიდნენ. მერე დაჭრიდნენ კისრის ტყავს და ცხლად დაადებდნენ ხოლმე ტყვეს გადაპარსულ თავზე. ტყავი მყისვე მიეკვრებოდა სალბუნის დარად, როგორც თანამედროვე საცურაო ქუდი. ამას ერქვა შირის ჩამოცმა. ვისაც კი შირს ჩამოაცვამდნენ, ის ან კვდებოდა, წამებას ვერ უძლებდა, ან სამუდამოდ ჰკარგავდა მეხსიერებას, აღარ ახსოვდა თავისი წარსული და იქცეოდა მონა მანქურთად. ერთი აქლემის კისრის ტყავიდან ხუთი-ექვსი

შირი გამოდიოდა. შირის ჩამოცმის შემდეგ განწირულს კისერზე ფიცრის ბორკილს დაადებდნენ, რომ თავი მიწისთვის არ ეხალა. მერე საცხოვრებელი ადგილიდან კარგა შორს გაიყვანდნენ, რათა გულისმომკვლელ ბღავილს ხალხი ტყუილუბრალოდ ან შეეწუხებინა, და ხელფეხშებორკილს შუა მინდორზე, თაკარა მზეზე დაჰყრიდნენ სასმელ-საჭმელის გარეშე. წამება რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მხოლოდ მზირთა მოზრდილი გუნდი დარაჯობდა გარკვეულ ადგილებში მისასვლელ გზებს, ტყვეთა თვისტომებს რომ მათი გამოხსნა არ ეცადათ. მაგრამ ასეთი ცდა იშვიათი იყო. - გაშლილ ტრამალში შეუმჩნევლად ვერავინ გაიჭაჭანებდა, ხოლო თუ ხმა მოვიდოდა, მავანი და მავანი ჟუანჟუანებმა მანქურთად აქციესო, ახლო ნათესავებიც კი აღარ ცდილობდნენ მის გადარჩენასა თუ გამოხსნას, ვინაიდან ეს უკვე კაცი კი არა, ფიტული იყო. მხოლოდ ერთი ნაიმანელი დედა, ვისი ხსოვნაც თქმულებამ ნაიმან-ანას სახელით შემოინახა, არ შეურიგდა თავისი შვილის ასეთ ბედს. ასე ჰყვებოდა საროზექული ლეგენდა. მისი წყალობით დაერქვა სასაფლაოსაც ანა-ბეიითი - დედის სამარხი.

მზისგულზე დაყრილ ტყვეებიდან მეტი წილი აუტანელი ტკივილებისაგან იხოცებოდა, ხუთი-ექვსი კაციდან ერთი ან ორი მანქურთი თუ გადარჩებოდა ცოცხლად. იხოცებოდნენ არა იმდენად შიმშილისა და უწყლობის გამო, რამდენადაც გაუსაძლისი არაადამიანური ტანჯვისაგან, აქლემის მოუქნელი ტყავი, თაკარა მზეზე თანდათან დაპატარავებული, რკინის სალტესავით ეჭირებოდა მონას თავზე. გადაპარსული თმა იზრდებოდა, აზიური თმის სწორი, ჯაგარა ღერები ზოგჯერ შირს ეხორცებოდა, მეტწილად კი უკანვე, თავის კანში ჩადიოდა, რაც კიდევ უარესი წამება იყო, და მონას საბოლოოდ უბინდავდა გონებას. მეხუთე

დღესღა მოაკითხავდნენ ჟუანჟუანები ტყვეებს, აბა ვინ დარჩა ცოცხალიო. თუ წამებულთაგან ერთს მაინც ედგა სული, მაშასადამე, მიზანი მიღწეული იყო. ცოცხლად დარჩენილ წყალს დაალევინებდნენ, ბორკილს ახსნიდნენ და შემდეგ კარგი მოვლით ფეხზედაც დააყენებდნენ. ეს უკვე მეხსიერება-დაკარგული მონა მანქურთი იყო. ათ საღ-სალამათ მონაზე უფრო ძვირად ფასებული. დაწესებულიც იყო - თუ შინაური ბრძოლებისა და შეტაკებისას ვისმე მონა მანქურთი შემოაკვდებოდა, ასეთი ზარალისათვის სამჯერ მეტი გამოსასყიდი უნდა გაეღო, ვინემ მისივე თვისტომის მოკვლის გამო.

მანქურთმა არ იცოდა, ვინ იყო, ვისი გვარისა და ტომისა, არ იცოდა თავისი სახელი, არ ახსოვდა თავისი ბავშვობა, დედმამა,– ერთი სიტყვით, ადამიანადაც არ გრძნობდა თავს. პატრონის თვალში მანქურთს მეტი წონა და ღირსება ჰქონდა, რაღაი საკუთარი „მეობა“ დაკარგვოდა. იგი უენო პირუტყვს უდრიდა და ამ პირუტყვივით მორჩილი და უვნებელი იყო. გაქცევის სურვილი ფიქრადაც არ მოუვიდოდა. პატრონისათვის კი ყველაზე საშიში მონის ამბოხია, რადგან ყოველი მონა პოტენციალური მეამბოხეა. მანქურთი ერთადერთი გამონაკლისი იყო, მის გულს ამბოხისა თუ ურჩობის სურვილი არასოდეს ეკარებოდა, ასეთი ვნებანი არ აწუხებდა. ამიტომაც არ სჭირდებოდა არც მზირი და არც ყარაული, არც შიში გქონდა გულში, რაღაც ზრახვას მალავსო. ერთგული ძაღლივით მანქურთი მხოლოდ პატრონს სცნობდა, სხვებს არ იკარებდა. მთელი მისი ფიქრი და აზრი მუცლის ამოყორვას მოეცვა. სხვა არაფერი ანაღვლებდა. სამაგიეროდ, ყველაფერს ბრმად, ბეჯითად, სიტყვასიტყვით ასრულებდა. მანქურთს ებარა ყველაზე ბინძური, მძიმე საქმეები, ყველაზე გამაბეზრებელი სამუშაოები, ჩლუნგ მოთმინებას რომ მოითხოვდა. მხოლოდ ის თუ გაუძლებდა მარ-

ტოობას საროზექის უკაცრიელ, მიყრუებულ და თვალუწვდენელ ველებში, როცა აქლემებს ედგა დღედაღამ დარაჯად, ის ერთი სწევდა ამ სიშორეზე მრავალი მუშის მაგიერობას. ოღონდ საჭმელს ნუ მოაკლებდი და ზამთარ-ზაფხულ შეუნაცვლებლივ გაეკეთებდა თავის საქმეს, არც მარტოობა შეაწუხებდა და არც სხვა რაიმე გასაჭირი. პატრონის ბრძანება მანქურთისთვის კანონი იყო. ოღონდაც საჭმელი და ძონძები ჰქონოდა, სიცივით რომ არ გაყინულიყო, სხვა არაფერს დაგიდევდათ.

ბევრად ადვილია ტყვეს წააცალო თავი, ან სხვა რამ ზიანი მიაყენო დასაშინებლად, ვინემ ადამიანს მეხსიერება, გონება დაუკარგო, ის ამოძირკვო მისი სულიდან, რაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან დაჰყვება, რაც მისი ერთადერთი შენაძენია, სხვათათვის მიუწვდომელი და მასთან ერთად გამქრალი; მაგრამ მომთაბარე ქუანჟუანებს მათმა საშინელმა წარსულმა ყველაზე დაუნდობელი. ყველაზე ულმობელი ბარბაროსობა ჩააგონა, ადამიანის ყველაზე სანუკვარის ხელყოფა აკისრებინა. მათ შეძლეს მონებისათვის ცოცხალი მეხსიერება წაერთმიათ, რაიც ადამიანის ბუნებისათვის ყველა დასაშვებ თუ დაუშვებელ ბოროტებათა შორის ყველაზე დიდი ბოროტებაა. ტყუილად კი არ მოთქვამდა სასოდაკარგული ნაიმან-ანა თავის მანქურთად ქცეულ შვილზე:

„როცა მეხსიერება წარგტაცეს, შვილო, კაკლის სამტვრევ მარწუხივით თავის ქალაზე ნელინელ გამხმარი აქლემის ტყავი შემოგიჭირეს, როცა უხილავი სალტე თავზე ისე ჩამოგაცვეს, შიშის ზარ-წყალით სავსე თვალები ლამის ბუდიდან გადმოგცვენოდა, როცა საროზექის უკვამლო ცეცხლზე იხრაკებოდი და წყურვილი გკლავდა, ცამ კი შენთვის წვეთი წყალი არ გაიმეტა - ხომ არ შეგძულდა მზე, ყოვლის სიცოცხლის მიმნიჭებელი, ხომ

არ იქცა იგი შენთვის ბრმა და ყველაზე შავ მნათობად ამ ქვეყანაზე ყველა სხვა მნათობთა შორის?

როცა ტკივილებით გაწამებული შემზარავი ღრიალით სძრავდი უდაბნოს, როცა მთელი დღეები და ღამეები ბორგავდი და ღმერთს შეჰღაღადებდი, ცარიელ ზეცას შველას შესთხოვდი, როცა გატანჯულ სხეულიდან ამონთხეულ ნარწყევში იხრჩობოდი, ბილწ განავალში იკლაკნებოდი, სიმყრალეში სული გხდებოდა, გონი გეკარგებოდა , ბუზები გჭამდა - ხომ არ დასწყევლე ღმერთი უკანასკნელად მოკრებილ ძალით, ღმერთი, რომელმაც მის მიერვე დატოვებულ ქვეყანაზე ჩვენ გაგვაჩინა?

როცა ბინდი ეფინებოდა წამებით სამუდამოდ დასახიჩრებულ შენს გონებას, როცა ძალით გაგიგლიჯეს ის ჯაჭვი, მეხსიერებას წარსულთან რომ აკავშირებდა, და სამარადისოდ დაგიკარგეს ხსოვნა, როცა გაშმაგებულ ბორგვაში გავიწყდებოდა დედის თვალები, წყაროს ჩუხჩუხი იმ გორასთან, სადაც ზაფხულის დღეებში თამაშობდი, როცა სახელი შენი და სახელი მამაშენისა დაივიწყა შენმა განადგურებულმა მეხსიერებამ, როცა იმ ადამიანთა სახეები, რომელთა შორის იზრდებოდი, დავიწყების ნისლმა დაფარა, ბნელმა მოიცვა იმ ასულის სახელიც, მორცხვად რომ გიღიმოდა, - უგონობის უფსკრულში შთავარდნილმა ნუთუ არ დასწყევლე და შეაჩვენე დედაშენი საზარი კრულვით, რად ჩაგსახა თავის საშოში და რად გაგაჩინა ქვეყანაზე ამა დღისათვის?..“

ეს გადმოცემა იმ დროებიდან მოდიოდა, როცა მომთაბარე აზიის სამხრეთ საზღვრებიდან გამოდევნილმა ჟუანჟუანებმა ჩრდილოეთს მიაშურეს, საროზექში კარგა ხნით გაბატონდნენ სამფლობელოთა და მონათა შესაძენად გაუთავებელი ომები გააჩაღეს. პირველ ხანებში, უეცარი შემოსევის წყალობით, საროზექის მიმდებარე მიწებზე უამრავი ტყვე იგდეს ხელთ, მათ

რიცხვში ქალებიც და ბავშვებიც, და ყველანი მონებად გარეკეს. მაგრამ უცხოთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან გახურდა, დაიწყო გამძვინვარებული შეტაკებანი. ჟუანჟუანები არ აპირებდნენ საროზექიდან წასვლას, პირიქით, ესწრაფებოდნენ მესაქონლეობისათვის ამ ვრცელ, ხალვათ ტრამალიან მხარეში მტკიცედ მოეკიდათ ფეხი. ადგილობრივი ტომები კი ვერა და ვერ შერიგებონენ მათ პარპაშს და თავის უფლებად და მოვალეობად მიაჩნდათ ადრე თუ გვიან განედევნათ დამპყრობელნი. შეტაკებისას გამარჯვების სასწორი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს იხრებოდა. მაგრამ ეს დამაოსებელი, ქანცის გამწყვეტი ბრძოლებიც დროდადრო ჩაცხრებოდა ხოლმე.

სწორედ ერთი ასეთი ჩაცხრომის ჟამს ნაიმანთა მიწა-წყალზე ჩამოსული მექარავნე ვაჭრები ჩაის სმისას მოჰყვნენ, როგორ გაიარეს საროზექის ტრამალები, ისე რომ ჟუანჟუანების მხრიდან სასმელ ჭებთან დაბრკოლებას არ წაწყდომიან. ისიც ახსენეს, საროზექში ერთი ჯეელი მწყემსი ვნახეთ, აქლემის დიდ ჯოგს ედგაო. გამოველაპარაკეთ, ის კი თურმე მანქურთი ყოფილაო. ერთი შეხედვით - ამ ჯანიან ჭაბუკზე ვერც იფიქრებდი, მის თავს თუ ასეთი უბედურება იყო. თავის დროზე სხვებზე ნაკლები ბიჭი არ იქნებოდა, ჭკუაც უჭრიდა ალბათ და ენაც, ხნითაც სულ ყმაწვილი ჩანდა, ულვაში ახლა აბიბინებოდა. შეხედულადაც კაი თვალადი იყო, მაგრამ დაელაპარაკები - გეგონება, გუშინ დაიბადა ამქვეყნად, არ ახსოვს საწყალს არც თავისი, არც დედისა და მამის სახელი, არც ის, რა უყვეს ჟუანჟუანებმა; არც ის, სადაურია და რომელი მხრიდან, რასაც ჰკითხავ, დუმს, მხოლოდ „კი“ ან „არაო“ გეტყვის, ხელი კი სულ ქუდზე უჭირავს, თავზე მჭიდროდ რომ ჩამოცმიაო. სულო ცოდვილო, და სახიჩარსაც დასცინის ხოლმე ხალხი. ჰოდა, კიდევაც გაიცინეს. ზოგ მანქურთს თურმე აქლემის ტყავი თავზე სამუდამოდ ეხორცებაო. ასეთ მან-

ქურთს ყველაზე დიდ თავზარს მაშინ დაცემ, თუ დაექადები: კუდს მოგაგლეჯო... ურა ცხენივით აყრის ტლინკებს, თავზე კი ხელს არ მიგაკარებინებს. ასეთები არც დღე, არც ღამე ქუდს არ იხდიან, ქუდითვე სძინავთ... მაგრამ სულელი დაუძახე შენ, განაგრძეს სტუმრებმა, თავისი საქმე კი არ ეშლება - ვინემ იმ ადგილს საკმაო მანძილზე არ გაშორდნენ მექარავნენი, სადაც მისი აქლემების ჯოგი ბორიალობდა, თვალი არ მოუშორებია მანქურთს. დამშვიდობებისას ერთი მეხრე თურმე გაეხუმრა:

- ჩვენ დიდი გზა უნდა გავიაროთ. ვის გადავცეთ შენი მოკითხვა, რომელ ტურფას რომელ მხარეში? თქვი, ნუ მალავ. გესმის? იქნებ ხელმანდილს გაგვატან მასთან?

კარგა ხანს მდუმარედ შეჰყურებდა მანქურთი მეხრეს, მერე წაილაპარაკა:

- მე ყოველდღე შევცქერი მთვარეს, ის კი მე შემომცქერის, მაგრამ ერთმანეთისა არა გვესმის... იქ ვიღაცა ზის..

ამ საუბრისას იურტაში ერთი ქალი ტრიალებდა, ვაჭრებს ჩაის უსხამდა. ეს ქალი ნაიმან-ანა იყო. საროზექელ ლეგენდას იგი სახელით შემორჩა.

ნაიმან-ანას არა გაუმჟღავნებია რა ჩამოსულ მგზავრებთან კაციშვილმა ვერ შეამჩნია, რარიგ შეაკრთო ამ ამბავმა, რაზომ ეცვალა ანაზდად ფერი. კი უნდოდა უფრო წვრილად გამოეკითხა ვაჭრებისათვის იმ ჭაბუკი მანქურთის ამბავი, მაგრამ გულმა არ უქნა - ვაითუ იმაზე მეტი გავიგო, რაცა თქვესო. ამიტომაც გაჩუმდა, გულში ჩაიხშო შიში, ვით დაჭრილი ჩიტის წივილი... ამასობაში საუბარმა სულ სხვა საგანზე გადაინაცვლა, ვის რაში ენაღვლებოდა უბედური მანქურთი, ცოდვა-ბრალს ამქვეყნად რა გამოლევს. ნაიმან-ანა კი კვლავ ებრძოდა შიშს, იოკებდა ხელების კანკალს, თითქოს და მართლა მოეგუდა თავის გულში

აწივლებული ჩიტი. ოღონდაც უფრო დაბლა ჩამოიწია შავი მანდილი, დიდი ხანია გათეთრებულ თმას რომ უფარავდა.

ვაჭართა ქარავანი მალე გაუდგა თავის გზას. ის ღამე თეთრად გაათენა ნაიმან-ანამ და მიხვდა, მოსვენებას მანამ ვერ ჰპოვებს, ვინემ იმ მწყემს მანქურთს არ მოსძებნის საროზექში და არ დარწქუნდება, მისი ვაჟი რომ არაა. ამ საზარელმა, ამ საშინელმა ფიქრმა კვლავ გააღვიძა დედის გულში დიდი ხანია უკვე ჩაბუდებული ყრუ ეჭვი, მისი შვილი რომ ომის ველზე დაეცა... ამ წამებას, ამ განურინებელ შიშსა და ტკივილს, ამ მოუშორებელ ექვს ერჩივნა მეორედაც გამოეტირა შვილი.

მისი ბიჭი ჟუანჟუანებთან ერთ-ერთ ბრძოლაში მოკლეს საროზექის მხარეში. ქმარი, ნაიმანთა შორის სახელმორჭმული კაცი, ერთი წლით ადრე დაეღუპა. მამის სისხლის ასაღებად პირველსავე ლაშქარს გაჰყვა მისი ვაჟი. ნაიმანთა ადათის მიხედვით მოკლულის ცხედარს ომის ველზე არ ტოვებდნენ ნათესავები. თან გამოჰქონდათ, ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა იმ დიდ ბრძოლაში. ბევრს დაენახა თავისი თვალით, როგორ შეება მისი ვაჟი მტერს. როგორ გადმოემხო მერე ცხენის ფაფარს, ომის ყიჟინითა და ხმაურით დამფრთხალმა ფიცხმა ტაიჭმა როგორ გაიტაცა იგი შორს. ჭაბუკი ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ ფეხი უზანგში გაეჩხირა. ჰოდა, სულ მთლად დაფეთებულ ტაიჭს მიწაზე თრევა-თრევით გაუქანებია მისი უსულო სხეული, თითქოსდა ჯიბრზე, მტრის მხარეზე. მიუხედავად ხელჩართული სისხლისმღვრელი ბრძოლისა, ორი ნაიმანი უკან დადევნებია, რომ აწყვეტილი ცხენი დროზე შეეჩერებინათ და დაღუპულის ცხედარი წამოეღოთ. მაგრამ ხევში ჩასაფრებული ჟუანჟუანების რაზმიდან რამდენიმე კიკინიანმა მხედარმა ყიჟინით ყველა გზა გადაუჭრა მათ, ერთი ნაიმანი ისრით გაგმირეს, მეორემ, მძიმედ დაჭრილმა, ცხენი მო-

ატრიალა და, თავისიანების მწკრივს რომ მოაღწია, იქ მოადინა ზღართანი მიწაზე. ამ შემთხვევამ დროზე აღმოაჩენინა ნაიმანებს, რომ ხევში ჟუანჟუანთა რაზმი იყო ჩასაფრებული და გადამწყვეტ წუთს ფლანგიდან უპირებდა დარტყმას. ნაიმანებმა საჩქაროდ დაიხიეს უკან, რათა გადაჯგუფება მოეხდინათ და ისევ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. ცხადია. აღარავის გახსენებია, რა დაემართა მათ ჭაბუკ მხედარს, ნაიმან-ანას ვაჟს... ის დაჭრილი ნაიმანი, თავისიანებთან რომ მოასწრო ცხენით მოჭენება, ყვებოდა მერე, როცა კვალდაკვალ დავედევნეთ ცხენს, ჭაბუკის გვამს რომ მიათრევდა, იგი მალე მიეფარა თვალს გაურკვეველი მიმართულებითო...

რამდენიმე დღე ზედიზედ მიდოდნენ ცხენოსანი ნაიმანები გვამის საძებრად, მაგრამ ვერც მის ცხედარს, ვერც ტაიჭსა და ვერც იარაღს ვერსად მიაგნეს. მისი დაღუპვა საეჭვოდ უკვე აღარავის მიაჩნდა. თუნდაც დაჭრილი ყოფილიყო, ამ ხანში ან უწყლობა მოჰკლავდა ტრამალზე ან სისხლისაგან დაიცლებოდა. იგლოვეს, ივიშვიშეს ნაიმანებმა, ჭაბუკი ნათესავი რომ უკაცრიელ საროზექში დაუმარხავი დარჩათ, ეს ყველასათვის დიდი სირცხვილი იყო. იუტაში შეყრილი ნაიმან-ანას ნათესავი დედაკაცები მოთქვამდნენ და ქმრებსა და ძმებს ასე საყვედურობდნენ:

- ორბებმა დაკორტნეს იგი, ტურებმა დაიტაცეს მისი ძვლები, რა სინდისით გხურავთ ამის შემდეგ ვაჟკაცის ქუდი!..

და მიეწყო ერთმანეთს გამოცარიელებული დღეები ამ გამოცარიელებულ წუთისოფელში. იცოდა ნაიმან-ანამ, რომ ადამიანები ომში იღუპებიან, მაგრამ იმაზე ფიქრმა, მისი ვაჟი ომის ველზე უპატრონოდ გდია, მიწას ვერ მიაბარეს, სიმშვიდე და მოსვენება დაუკარგა, დღედაღამ გაუთავებლივ აწამებდა, ან ვისთვის ეთქვა, ვისთვის შეეჩივლა დარდის შესამსუბუქებლად, ვინ ჰყავდა სხვა, თუ არ ღმერთი...

ამაზე რომ არ ეფიქრა, თავისი თვალით უნდა დარწმუნებულიყო დედა, მისი ვაჟი რომ მართლა მკვდარია. ღვთის ნებას განა ვინმე შედავებია? ყველაზე მეტად ის უმღვრევდა ტვინს, ვაჟის ცხენიც რომ უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცხენი ხომ არ მოკლეს, ცხენი შეშინებული გაიქცა. ჯოგის ცხენი კი ადრე თუ გვიან უკან, მშობლიურ მხარეში უნდა მობრუნებულიყო და პატრონის ცხედარიც თან მოეთრია უზანგით. ხომ მეხი, ხომ ელდა იქნებოდა მისთვის, მაგრამ იკივლებდა, იწივლებდა, ცრემლს დააფრქვევდა შვილის ცხედარს, სახეს დაიხოკავდა, ივიშვიშებდა თავის კრულსა და უბედურ ბედზე, ივიშვიშებდა ისე, ცაზე ღმერთიც კი შეძრწუნებულიყო, თუკი ნართაულისა რამე გაეგებოდა. სამაგიეროდ ეჭვი არ ჩარჩებოდა დედას გულში, სიკვდილს აუღელვებლად, შეგნებით დაელოდებოდა, არ ინდომებდა ფიქრშიაც კი თუნდაც წამით მობღაუჭებოდა ამ წუთისოფელს. მაგრამ მისი ვაჟის ნეშტი ვერა და ვერ იპოვეს, არც მისი ტაიჭი დაბრუნებულა. ეჭვებმა გატანჯა დედა, თუმცაღა თვისტომებმა თანდათან დავიწყებას მისცეს ეს ამბავი, დრო ხომ ყველა ტკივილს აყუჩებს და ყველაფერს ავიწყებს ადამიანს... მხოლოდ დედა ვერ დამშვიდდა, დედამ ვერ დაივიწყა, მისი ფიქრები სულ ამ ამბავს დასტრიალებდა. რა დაემართა ტაიჭს, სად დარჩა აკაზმულობა, საჭურველი, რომ ამით მაინც ნუ წილობრივ გამოერკვია, რა მოუვიდა მის ბიჭს. ხომ შეიძლება ჟუანჟუანებს ჩაეგდოთ ხელთ ტაიჭი საროზექში, როცა ცხენს არაქათი გამოელია, კარგად აკაზმული ტაიჭიც ხომ კარგი დავლაა. როგორ მოექცნენ მაშინ მის ვაჟს, ვისაც ცხენი უზანგით მოათრევდა – მიწას მიაბარეს თუ ტრამალში დააგდეს ნადირთ საჯიჯგნად? ვაითუ ცოცხალი იყო, ვაითუ სული ედგა კიდევ რაღაც სასწაულით? მოჰკლეს და ტანჯვა-წამებისაგან იხსნეს, თუ ტრიალ მინდორში ამოხდა სული უპატრონოდ? ან იქნებ?.. ან ვაითუ?..

აღარ და აღარ ილეოდა ეჭვები. ხოლო როცა მგზავრმა ვაჭრებმა ჩაის სმისას ახსენეს, საროზექში ერთი მანქურთი ვნახეთო, რა იცოდნენ, თუ რა ცეცხლი დაანთეს ნაიმან-ანას დატანჯულ გულში, შეშინებულმა წინათგრძნობამ როგორ გაუწურა გული. ჭაბუკი რომ შეიძლება მისი უგზოუკვლოდ დაკარგული ვაჟი ყოფილიყო, ეს ფიქრი უფრო და უფრო დაჟინებით, უფრო და უფრო ძლიერ ეუფლებოდა მის სულსა და გულს. დედა მიხვდა, რომ მოსვენება არ ექნება, ვინემ იმ მანქურთს არ მოძებნის და არ დარწმუნდება, ჩემი შვილი არააო.

ნაიმანებს საზაფხულო სადგომები იმხანად მთების ძირას ედგათ, სადაც კბოდოვანზე პატარა ნაკადულები მოჩუხჩუხებდა. მთელი ღამე უსმენდა ნაკადულების რაკრაკს ნაიმან-ანა, რას ეუბნებოდა წყალი, ესოდენ არათანხმიერი მისი შეძრული სულისა? გულს დამშვიდება უნდოდა, ყურს გაძღომა მოჩუხჩუხე წყლის ხმებით, ვინემ უდაბურ, მდუმარე საროზექის გზას დაადგებოდა. დედამ იცოდა, რარიგ საშიშია საროზექში მარტო მგზავრობა, მაგრამ არ სურდა ვისმესთვის გაენდო თავისი ზრახვა. მაინც ვერავინ გაუგებდა. ყველაზე ახლობლებიც არ მოუწონებდნენ ამ განზრახვას. ვის გაუგია დიდი ხნის მოკლული ვაჟის საძებრად წასვლა? ხოლო თუ რაღაც განგებით ცოცხალი დარჩა და მანქურთად იქცა, მით უფრო არა აქვს აზრი მის მოძებნას, ტყუილუბრალოდ გულის გახეთქვას, ვინაიდან მანქურთი მხოლოდ, გარეგნული გარსია, მხოლოდ ფიტული იმისა, რაც ადრე იყო კაცი...

წასვლის წინა ღამეს დედა რამდენჯერმე გამოვიდა იურტიდან, დიდხანს გაჰყურებდა მიდამოს, უსმენდა ღამეულ ხმებს, რათა გულისყური, ფიქრები მოეკრიბა. ნაშუაღამევის მთვარე კარგა მაღალზე იდგა უღრუბლო ცაში და დედამიწას რძისფერ შუქს აღვრიდა. ფერდობების ძირას მიმოფანტული იურტები მორაკ-

რაკე ნაკადულების ნაპირებზე ღამის სათევად დაფრენილი დიდრონი ფრინველების გუნდი გეგონებოდა. აულის ახლოს, სადაც ცხვრის ბაკები იყო, და შორს, ხევებში, სადაც ცხენების რემები ბალახობდნენ, ძაღლის ყეფა და ადამიანთა გაურკვეველი ხმები ისმოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ნაიმან-ანას გულზე ეფონა მომღერალ გოგოების გადაძახ-გადმოძახება, აულის მახლობლად, ბაკებთან რომ ფხიზლობდნენ. ოდესღაც თვითონაც უმღერია ეს ღამის სიმღერები. მას აქეთ, რაც პატარძალი ჩამოიყვანეს, ყოველ ზაფხულს ამ მხარეში იდგა ხოლმე მათი ალაჩოყები. მთელმა მისმა ცხოვრებამ ამ მიდამოებში გაიარა. მაშინაც, როცა ოჯახში ბევრნი იყვნენ და ერთბაშად ოთხ იურტას დგამდნენ - ერთს სამზადად, ერთს - სასტუმროდ, ორს კი - საცხოვრებლად - და მერეც, როცა ჟუანჟუანების შემოსევის შემდეგ სულ მარტო დარჩა...

ახლა ისიც სტოვებდა თავის ეულ იურტას... გუშინღამიდან გაეზადა უკვე სამგზავროდ, მოიმარაგა საჭმელი და უფრო მეტი წყალი, ორი თულუხით მიჰქონდა წყალი, იქნებ საროზექში უცბად ვერ მიეგნო ჭისათვის... წუხელვე დააბა იურტას ახლოს ჯამა აქლემი აქმაია, მისი იმედი და თანამგზავრი. ვერც გაბედავდა ამ უკაცრიელ საროზექში მგზავრობას, აქმაიას ღონისა და სიმარდის იმედი არ ჰქონოდა. იმ წელს ბერწად იყო აქმაია, ორჯერ მშობიარობის შემდეგ ისვენებდა და მშვენივრად გამოიყურებოდა. უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებდი. ლართხა ტანი, ღონიერი გრძელი ფეხები, გაკაჟებული ფეხისგულები სიმძიმის თრევასა და სიბერეს რომ ჯერ არ გაეცვითა, ორი მკვრივი კუზი, დაკუნთულ კისერზე ლამაზად დადგმული ხმელი კოხტა თავი, პეპლის ფრთებივით გამოყვანილი ნესტოები, ჰაერს რომ ხარბად ისრუტავდა სიარულისას. ეს თეთრი ჯამა აქლემი დიდი ფასი ღირდა, მთელ ჯოგს იყიდდა. მისთანა ფეხმარდ მოწიფულ

ჯამაში ათ ახალ მოზარდს მოგცემდნენ, ოღონდაც მისი შთამომავლობა ჰყოლოდათ. ამ დიდებულ სანაშენო ჯამას გარდა სხვა სიმდიდრე აღარ დარჩა ნაიმან-ანას, დანარჩენი ხელის მტვერივით გაქრა, წავიდა. ორმოცისა თუ წლისთავის აშებმა - დაღუპულთა სულის მოსახსენებელმა აღაპებმა - ჩანთქა ყველაფერი. ამ ცოტა ხნის წინ უკანასკნელი აღაპი გადაუხადა თავის ბიჭს, ვის საძებრადაც მიჰყავდა ახლა წინათგრძნობას, უსაზღვრო კაეშანსა და მწუხარებას. უამრავი ხალხი ჰყავდა იმ აღაპზე, ახლომახლო მიდამოებიდან ყველა ნაიმანი დაესწრო.

გამთენიისას გამოვიდა უკვე სამგზავროდ მომზადებული ნაიმან-ანა იურტადან. ზღურბლს რომ გადმოაბიჯა, შეგა, კარს მიეყრდნო, გამგზავრებამდე ჩაფიქრებით მოავლო თვალი მძინარე აულს. ჯერ ისევ მოქნილი ტანი ჰქონდა ნაიმან-ანას, ჯერ კიდევ შერჩენოდა ადრინდელი სილამაზე. წელზე სარტყელი ერტყა, როგორც შორ გზაზე მიმავალს შვენოდა, ეცვა ჩექმები, შარვალი. კაბის ზემოდან უსახელო ახალუხი, მხრებზე თავისუფლად ჩამოშვებელი მოსასხამი. თავზე თეთრი მანდილი წაეკრა, მანდილის წვერები უკან, კეფაზე გაესკვნა. ასე გადაწყვიტა იმ თეთრად გათენებულ ღამეების ხანს - თუ იმედი აქვს, შვილის ცოცხლად ნახვისა, ძაძა რად უნდა, ხოლო იმედი თუ გაუცრუვდა, მერეც მოასწრებს სამუდამო შავი მანდილის მოხვევას. დილის ბინდბუნდში აღარ უჩანდა დედას გაჭაღარავებული თმა და ღრმა მწუხარების დაღი - ნაოჭების ღარი ნაღვლიან სახეზე. თვალები დაენამა იმ წუთს და ღრმად ამოიორა. განა ოდესმე იფიქრებდა, ამასაც რომ მოესწრებოდა, მაგრამ თავს მოერია, გამხნევდა. „აშვადან ლა ილა ალა“, - წაიჩურჩულა ლოცვის პირველი სტროფი (არ არს ალაჰი თვინიერ ალაჰისა) და მერე მტკიცედ გაემართა ჯამა აქლემისაკენ, მუხლებზე წამოაჩოქა. ჩვეულებრივ ახლაც შეიღრინა აქმაიამ, ხმადაბლა დაიბღავლა

რამდენჯერმე, მერე ღინჯად დაწვა მკერდით მიწაზე. სწრაფად გადაჰკიდა უნაგირზე ხურჯინი ნაიმან-ანამ, თვითონაც შეაჯდა აქლემს. ადექიო, უბრძანა და აქლემიც წამოდგა, ფეხები გამართა, თავისი პატრონი მაღლა აიტაცა. მიხვდა აქმაია - შორი გზა უწევდა...

არავინ იცოდა აულში ნაიმან-ანას გამგზავრების ამბავი. გარდა მისი ნათესავი მსახური ქალისა, წამდაუწუმ რომ ამთქნარებდა. მან გააცილა მხოლოდ ნაიმან-ანა. წუხელვე უთხრა მას ნაიმან-ანამ, რომ თავის თორქუნებთან - ნათესავებთან - მიემგზავრება სტუმრად, ხოლო იქიდან, თუ მლოცველები ნახა, მათთან ერთად წავა ყივჩაღთა მიწაზე წმინდა იასავის ტაძარში სალოცავად...

იგი ადრიანად გაემგზავრა, რომ კითხვებით არავის გაებეზრებინა აულს გაშორდა და საროზექისკენ აიღო გეზი ნაიმან-ანამ, შორს, უმოძრაო სიცარიელეში ბნდუდ რომ მოჩანდა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე – სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ავიოსან „კონვენციის“ ქიმიდან კიდევ ერთი დაშიფრული რადიოგრამა გაეგზავნა „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურზე კოსმონავტ-კონტროლიორებს. ეს რადიოგრამა კატეგორიულად აფრთხილებდა მათ, მზის სისტემის მიღმა მდებარე მყოფ 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებთან რადიო-კავშირი არ ჰქონოდათ ორბიტა- სადგურზე მათი დაბრუნების დროისა და საშუალებათა განსასჯელად. ვინემ მართვის საერთო ცენტრიდან მითითებებს არ მიიღებდნენ.

ოკეანეზე ქარიშხალი ქროდა, თუმცა მთელი ძალით არა, ავიოსანს შესამჩნევად ატორტმანებდა ტალღებზე. წყნარი ოკეანის წყალი ფურთუნებდა. უზარმაზარი გემის ქიმებს ეტყლაშუნებოდა. მზე ისევ და ისე დაჰკაშკაშებდა ზღვის სივრცეს, რომელზეც გაუთავებლივ მოგორავდა და მოგორავდა თეთრქაფიანი ტალღები. ქარი თანაბარი ძალით ქროდა.

ავიოსან „კონვენციაზე“, ავიოფრთისა და სახელმწიფო ინტერესოა უშიშროების ჯგუფების ჩათვლით, ყველანი ფხიზლად, ყველანი მომზადებულნი იყვნენ...

უკვე რამდენიმე დღეა ერთფეროვანი ზუზუნ-ზუზუნით და ოდნავ გასაგონი ფლატუნით მიჩინდრიკებდა თეთრი ჯამა აქმაია დიდი საროზექის ხევხუვებსა თუ სწორეზე, პატრონი კი მაინც მიდენიდა და მეიერეკებოდა მას უდაბნოს გახურებულ მიწაზე. მხოლოდ ღამით შეჩერდებოდნენ ხოლმე ჭასთან; ჭები ამ მხარეში იშვიათი იყო. დილიდან კი ისევ და ისევ მიეშურებოდნენ საროზექის უთვალავ ველებში დაკარგულ აქლემების დიდი ჯოგის საძებრად. აქ, საოზექის ამ მიდამოებში, მრავალ კილომეტრზე გაჭიმულ მალაჯუდიაში მოწითალო ქვიშიან ხრამთან შეხვედრიათ ამას წინ იმ მგზავრ ვაჭრებს მწყემსი მანქურთი, ვისაც ახლა ნა-

იმან-ანა დაეძებდა. აგერ უკვე მეორე დღეა მალაყუმდიჩაფის ირგვლივ დაწრიალებდა, აკვირდებოდა შორეთს, ხან იქით გა-უხვევდა, ხან აქეთ, თუმცა ჟუანჟუანებთან შეფეთებისა კი ეშინო-და, მაგრამ ყველგან ტრამალი იყო, ტრამალი და მაცდური მი-რაჟები. ერთხელ მართლაც მოტყუვდა, კარგა ხანი იარა მიხვე-ულ-მოხვეული გზით იმ მეჩეთებიან და ციხე-გალავნიან ქალა-ქამდე. იქნებ იქ ჰყავდათ წაყვანილი მისი ბიჭი მონების ბაზარზე გასაყიდად? მაშინ უკან შემოისვამდა თავის შვილს აქმაიაზე და აბა ეცადა ვისმე მათი დაწევა... ძნელი, ძნელი ყოფილა უდაბ-ნოში მგზავრობა, მიტომაც მოელანდა ასე.

არაა, არაა იოლი საროზექში ადამიანის პოვნა, რაღა კაცი და რაღა ქვიშის მარცვალი აქა, მაგრამ თუ დიდ ჯოგს უდგას საძოვარზე, კარგა დიდ ადგილზე გაშლილს, ადრე თუ გვიან ერთ პირუტყვს მაინც მოჰკრავ თვალს საძოვრის კიდეზე. მერე სხვებს დაიანახავ, ჯოგთან კი მწყემსსაც აღმოაჩენ. ამ იმედით იყო სწორედ ნაიმან-ანა.

მაგრამ ჯერჯერობით არსაით არაფერი ჩანდა. უკვე შიშიც შეეპარა, ვაითუ სხვა ადგილზე გადარეკეს ჯოგი, უფრო მეტიც - ვაითუ ეს აქლემები ჟუანჟუანებმა ყველა ერთად ხივაში ან ბუხა-რაში წალალეს გასაყიდად. დაბრუნდება კი მაშინ მწყემსი იმ გა-დაკარგული მიწებიდან?.. ნაიმან-ანა დარდითა და ეჭვებით გულგამოჭმული წამოვიდა აულიდან, იმასღა ნატრობდა, ოღონ-დაც ცოცხალი ვნახო ჩემი ბიჭი და გინდაც მანქურთი თუ რაც უნდა იყოს, გინდაც არ ახსოვდეს არაფერი, არ ჰქონდეს გონი, ოღონდ პირში სული ედგასო. განა ეს ცოტაა! მაგრამ რაც უფრო შეღრმავდა საროზექში და იმ ადგილებს მიუახლოვდა, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ქარავნით ჩავლილ ვაჭრებს ენახათ მწყემსი, დე-დას უფრო და უფრო ზარავდა ის ფიქრი, ვაითუ ჭკუით სახიჩარი ვნახო შვილიო. ეს შიში უწურავდა და უმძიმებდა გულს. და მაშინ

ღმერთს ვედრიდა, ოღონდ მისი შვილი ნუ იქნება, ოღონდაც სხვა ვიღაც უბედური იყოს, ხმასაც არ ამოიღებს, უსიტყვოდ შეურიგდება ამ აზრს, რომ მისი ბიჭი ცოცხლებში არ წერია და არც შეიძლება ეწეროს, ხოლო თუ მიდის, მხოლოდ იმიტომ, მანქურთს შეხედოს, დარწმუნდეს, რომ მისი იჭვი მცდარია, და მაშინვე უკან გამობრუნდეს. გულს აღარ გამოუჭამს დარდი, თავის დარჩენილ წუთისოფელს ისე გალევს, როგორც განგება ინებებს... მაგრამ მერე ისევ და ისევ აიტანდა დარდი, ისევ და ისევ იმორჩილებდა სურვილი, საროზექში სხვა კი არა, სწორედ თავისი შვილი ენახა, რა შემზარავიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის ეს ამბავი...

ამ გრძნობათა ჭიდილში იყო, როცა ანაზდად, დამრეცი გორის გადავლისას, აქლემების მრავალრიცხოვანი ჯოგი დაინახა. ასობით აქლემი თავისუფლად ძოვდა განიერ ველზე. ნაპატიები, მურა ფერის პირუტყვები დაბალ ჯაგებსა და ეკლიანებს მოდებოდნენ, ნეკერს აკვნეტდნენ ბუჩქებს. ნაიმან-ანამ ქუსლი ჰკრა და სწრაფად გააქანა იქით აქმაია. ჯერ ლამის დაახრჩო სიხარულმა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც იპოვა ჯოგი. მერე კი შიშმა აიტანა, თავით ფეხებამდე აკანკალდა, ისე შეზარა ფიქრმა, რომ ახლა მანქურთად ქცეულ თავის შვილს ნახავდა. მერე ისევ სიხარულმა სძლია და უკვე თვითონაც აღარ იცოდა, რა ხდებოდა მის თავს.

ჯოგი აქ იყო, მაგრამ მწყემსი რომ არ ჩანდა? ალბათ სადმე აქ იქნება. საძოვრის მეორე თავში მართლაც კაცი იდგა, ვინ იყო, შორიდან ვერ გაარჩევდი. კომბალი და უკან მდგარი საპალნიანი საჯდომი აქლემის სადავე ეპყრა, ჩამოფხატული ქუდიდან მშვიდად გასცქეროდა მოახლოებულ ქალს.

რომ მიუახლოვდა და შვილი იცნო ნაიმან-ანამ, აღარც ახსოვს, როგორ ჩამოცურდა აქლემის ზურგიდან. მგონი, კიდეც დაეცა, მაგრამ ტკივილი ვის ახსოვდა!

- ჩემო შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო! მე კი ირგვლივ დაგეძებ! - ისე გაექანა შვილისკენ, თითქოს უსიერი ტყე აშორებდა მისგან, - მე დედაშენი ვარ!

მაგრამ იმწამსვე მიხვდა ყველაფერს და მწარედ, საზარლად აქვითინდა, სულ ფეხები ურტყა მიწას, აკანკალებული, მოღრეცილი ტუჩები დაიჭიმა, თავს რომ მორეოდა, მაგრამ ვერ მოერია. არ წავიქცეო, გულგრილად აყუდებულ შვილს მოეჭიდა, მწუხარებით ზარდაცემული ტიროდა და ტიროდა, ეს უბედურება დიდი ხანია ელოდა და ჰა, დაატყდა კიდეც თავზე, გათელა და მიწაში ჩაიტანა. მტირალი მისჩერებოდა შვილს, სველი თმის ბღუჯებიდან, აკანკალებელი თითებიან უჭვრეტდა. გზის მტვერს რომ უდღლაბნიდა სახეზე. აცქერდებოდა ნაცნობ ნაკვთებს და ცდილობდა შვილის მზერა დაეჭირა. იმედი მაინც უბჟუტავდა, იქნებ მიცნოსო - განა რა უნდა საკუთარი დედის ცნობას.

მაგრამ მის ნახვას შვილზე არა გავლენა არ მოუხდენია, თითქოს ეს ქალი სულ აქ იყო და ყოველდღე მოდიოდა მასთან. ისიც კი არ ჰკითხა, ვინა ხარ ან რა გატირებსო. რამდენიმე ხნის შემდეგ მწყემსმა ქალის ხელი მოიცილა და წავიდა, თან გაიყოლა თავისი განუყრელი საპალნიანი საჯდომი აქლემი, წავიდა ჯოგის მეორე მხარეს იმის სანახავად, შორს ხომ არ გაიქცნენ თამაშით გატაცებული ახალმოზარდი აქლემებიო.

ნაიმან-ანა კი ისევ იქ დარჩა. ჩაცუცქდა, სახეზე ხელები მიიფარა. ასე იჯდა ერთხანს თავაუღებლივ. მერე მოიკრიფა ძალა და შვილისკენ გასწია ნაძალადევი სიმშვიდით. მანქურთმა შვილმა კი, ვითომ აქაც არაფერიო, უაზროდ, უნდილად შეხედა მჭიდროდ ჩამოფხატული ქუდიდან და თითქოს მკრთალმა ღი-

მილმა გადაურბინა გალეულ, მზისა და ქარისგან გარუჯულ, გატ-ლანქებულ თავ-პირზე. თუმცა თვალები კი, ამქვეყნად ყველაფ-რისადმი უხალისოდ მზირალი თვალები კვლავინდებურად გულგრილი, გაუცხოებული დარჩა.

- დაჯე აქ, ვილაპარაკოთ, - მძიმე ოხვრით უთხრა ნაიმან-ანამ.

ორივენი მიწაზე დასხდნენ.

- მიცანი თუ არა? - ჰკითხა დედამ.

მანქურთმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

- რა გქვია?

- მანქურთი, - უპასუხა შვილმა.

- ახლა გქვია ასე, ძველად კი რა გერქვა? აბა გაიხსენე შენი ნამდვილი სახელი.

მანქურთი დუმდა, დაძაბვისაგან ცხვირის კეხზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა, თვალები დაებინდა, თითქოს რაღაც აუციმციმდა შიგ. ხედავდა დედა, გახსენებას ცდილობდა მისი შვილი, მაგრამ წინ ალბათ ყრუ კედელი აემართა და ვერ დაეძ-ლია იგი.

-მამაშენს რა ერქვა? შენ თვითონ ვინა ხარ, სადაური, ვისი შვილი? ის მაინც თუ იცი, სად დაიბადე?

არა, არაფერი ახსოვდა, არაფერი იცოდა მანქურთმა.

- ეს რა გიყვეს! - წაიჩურჩულა დედამ და ისევ აუკანკალდა უნებურად ტუჩები. ბრაზმა, რისხვამ და მწუხარებამ ლამის დაახ-რჩო, ისევ აუტყდა ქვითინი, ვერა და ვერ დაიოკა. დედის ტანჯვა ახლოს არ გაჰკარებია მანქურთის გულს.

– შეიძლება მიწა მოსტაცო, სიმდიდრე, სიცოცხლეც კი წა-ართვა ადამიანს, - ამოილაპარაკა დედამ ხმამაღლა, - მაგრამ ვის მოაფიქრდა, ვინ გაბედა მეხსიერება დაუკარგოს ადამიანს?! ჰოი, ღმერთო, თუ სადმე ხარ, ასეთი რამ რად ჩააგონე ადამი-

ანს?! განა ისედაც ცოტა ცოდვა და ბოროტება ტრიალებს წუთი-სოფელში?

მაშინ თქვა სწორედ, მანქურთი შვილის შემყურემ, ის განთქმული გლოვის ზარი მზეზე, ღმერთზე, თავის თავზე, ახლაც რომ ჰყვება მცოდნე ხალხი, როცა კი საროზექის ისტორიაზე ჩამოვარდება სიტყვა...

მაშინ დაიწყო ის თავისი ტირილი, ახლაც რომ იხსენებენ მცოდნეები:

- მენ ბოთასი ოლგენ ბოზ მაია, თულიბინ ქელიფ ისქეგენ[10].

მაშინ აღმოჰხდა სულიდან მოთქმა, ხანგრძლივი უნუგეშო გოდება დუმილით მოცულ უკიდეგანო საროზექში...

მაგრამ არა გაჰკარებია მისი მანქურთი გულს. მაშინ გადაწყვიტა ნაიმან-ანამ აღარაფერი ეკითხა, ჩაგონებითღა ეცადა გაეგო მის შვილს, ვინც იყო იგი.

- შენი სახელი ჟოლამანია: გესმის, შენ ჟოლამანი ხარ. მამაშენს კი დონენბაი ერქვა, ნუთუ არ გახსოვს მამაშენი? აკი მან გასწავლა მშვილდ-ისრის სროლა ბავშვობაში, მე კი დედა ვარ შენი, ხოლო შენ ჩემი შვილი. შენ ნაიმანების ტომისა ხარ, გაიგე? შენ ნაიმანი ხარ...

მანქურთი უგულისყუროდ უსმენდა დედის ამ სიტყვებს, თითქოს ლაპარაკი მასზე არ იყო. ალბათ ასევე მოუსმენდა კუტკალიას ტკაცანს ჯოყარში.

მაშინ ჰკითხა ნაიმან-ანამ თავის მანქურთ შვილს:

- მანამდე რა იყო, ვინემ აქ მოხვედი?

- არაფერი არ იყო,

- დღე იყო თუ ღამე?

---

[10] მე ცრემლით გალღობილი დედა აქლემი ვარ, მოსული ყნოსვად ჩალით დატენილი ჩემი კოზაკის ტყავისა.,

- არაფერი არ იყო.

- ვის გინდა ხოლმე ელაპარაკო?

-მთვარეს. მაგრამ ჩვენ არ გვესმის ერთმანეთის... იქ ვიღაცა ზის.

- კიდევ რა გინდა?

- ჩემი პატრონისთანა კიკინა მქონდეს.

- აბა მაჩვენე, რა გიყვეს თავზე, - შვილისკენ გადაიხარა ნაიმან-ანა.

მანქურთი უკან გახტა, ქუდზე იტაცა ხელი, დედისთვის აღარ შეუხედავს. მიხვდა ნაიმან-ანა, რომ შვილთან თავზე სიტყვა არ უნდა დასცდეს.

ამ დროს შორით, ვიღაც კაცი გამოჩნდა, აქლემზე შემჯდარი მათკენ მოემართებოდა.

- ეგ ვინაა? - ჰკითხა ნაიმან-ანამ.

- ჩემთვის საჭმელი მოაქვს ხოლმე, - მიუგო შვილმა.

ნაიმან-ანა შეშფოთდა – უნდა მალე მიმალულიყო, ვინემ ეს უდროო დროს გამომტყვრალი ჟუანჟუანი დაინახავდა. მან წამოაჩოქა თავისი ჯამა მიწაზე და უნაგირზე შეჯდა.

- შენ არაფერი უთხრა. მე მალე მოვალ, - დაარიგა შვილი ნაიმან-ანამ.

შვილმა არაფერი უპასუხა, მისთვის სულ ერთი იყო.

მიხვდა ნაიმან-ანა, რომ აქლემზე შემჯდარს არ უნდა გაეარა ჯოგში, მაგრამ რაღა დრო იყო, ჯოგისკენ მომავალი ჟუანჟუანი ალბათ შეამჩნევდა ჯამაზე შემჯდარ ქალს. ფეხით უნდა წასულიყო, ძოვით გართულ პირუტყვებს უნდა ამოფარებოდა.

კარგა შორს გაშორდა იმ ადგილს ნაიმან-ანა, ღრმა ხევში ჩავიდა, რომლის კიდეებზე აბზინდა ამოსულიყო. აქ ჩამოქვეითდა, აქმაია ხეობის ფსკერზე დააწვინა. აქედან დაუწყო თვალთვალი. ჰო ასეც იყო, იმ ჟუანჟუანმა მაინც მოჰკრა თვალი. რამ-

დენიმე ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდა, აქლემს ჩორთით მოერეკებოდა. შუბითა და ისრებით იყო აღჭურვილი. გაოცებული ჩანდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ვერ გაეგო, სად გაქრა თეთრ აქლემზე შემჯდარი მხედარი, შორიდან რომ დალანდა, არ იცოდა, საით წასულიყო. ჯერ იქით მხარეს გააქანა აქლემი, მერე აქეთ. დაბოლოს სულ ახლოს ჩაუარა ხეობას. კიდევ კარგი, ნაიმან-ანამ მოისაზრა, აქმაიას მანდილით აუკრა პირი, უცბად არ დაიბღავლოსო. აბზინდის ნაყარიდან ნაიმან-ანამ კარგად გაარჩია ის ჟუანჟუანი. ბანჯგვლა აქლემზე იჯდა, აქეთ-იქით იხედებოდა, გაფიჟვინებული სახე დაძაბული, თავზე შავი ნავივით ქუდი ეხურა. ბოლოებაწკეპილი, ზურგზე შავი პრიალა კიკინა უკონწიალობდა წყვილად დაწნული. უზანგებზე შემდგარიყო ჟუანჟუანი, შუბი მოემარჯვებინა, თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, თვალებს აბრიალებდა. ერთი იმ დუშმანთაგანი იყო, ვინაც საროზექი დაიპყრო, ბევრი ნაიმანი წაასხა მონად და მის ოჯახს ამდენი უბედურება დაატეხა. მაგრამ რა უნდა გაეწყო უიარაღო ქალს ამ მძვინვარე ჟუანჟუანელ მეომრის წინააღმდეგ; ან ისეთი რა გადახდა ცხოვრებაში, ისეთი რა შეემთხვა ამ ხალხს, ესოდენ ველური, ესოდენ უწყალო სისასტიკე რომ აკისრებინათ - მონას მეხსიერება სამუდამოდ ამოძირკვონ...

იქაურობა რომ მოირბინა ჟუანჟუანმა, ისევ ჯოგისკენ გამოაბრუნა აქლემი.

მოსაღამოვდა. მზე ჩაესვენა, მაგრამ დაფიონი კიდევ დიდხანს გიზგიზებდა ტრამალის თავზე. მერე ერთბაშად დაბნელდა და უკუნი ღამე დადგა.

მარტოდმარტომ გაატარა ის ღამე ნაიმან-ანამ ტრამალში, თავისი ბედშავი მანქურთი შვილის შორიახლო, ვერ გაბედა მასთან დაბრუნება, იმის შიშით, წეღანდელი ჟუანჟუანი იქნება ამაღამ ჯოგთან დარჩაო.

მაშინ გადაწყვიტა, არამც და არამც არ დაეტოვებინა მონობაში შვილი, ყველაფერი ეღონა, ოღონდ თან წაეყვანა. დაე, მანქურთი იყოს, დაე, არაფერი გაეგებოდეს, მაინც თავის სახლში, თავისიანებში იქნება, ჟუანჟუანებს მწყემსად არ ედგება ამ უდაბურ საროზექში. ამას უკარნახებდა დედის გული. ის ვერ შეურიგდება იმას, რასაც სხვები ურიგდებიან, თავის სისხლსა და ხორცს მონობაში ვერ დააგდებს. იქნებ მშობლიურ მხარეში დაუბრუნდეს გონი, იქნებ იქ გაიხსენოს სიყრმე...

დილით ისევ შეჯდა აქმაიაზე ნაიმან-ანა. ბევრი იარა შორი გზებით და ისე მიუახლოვდა ჯოგს, რომელიც იმ ღამით კარგა მანძილზე წასულიყო. დიდხანს აკვირდებოდა შორიდან, ჟუანჟუანებიდან იქ ხომ არავინ არისო. როცა დარწმუნდა, არავინ იყო, სახელით უხმო თავის შვილს.

- ჟოლამან! ჟოლამან! გამარჯობა შენი!

ვაჟმა მოიხედა და დედამაც სიხარულით შეჰკივლა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, მხოლოდ ხმაზე მოხედა შვილმა.

კვლავაც შეეცადა ნაიმან-ანა შვილისთვის გაეხსენებინა წარსული, გაეღვიძებინა წართმეული მეხსიება.

- გაიხსენე, რა გქვია, გაიხსენე შენი სახელი! - ვედრებით ჩასჩიჩინებდა ვაჟს. - განა არ იცი, მამაშენი რომ დონენბაი იყო? შენ კი ჟოლამანი[11] ხარ და არა მანქურთი. ასე იმიტომ დაგარქვით, რომ გზაში დაიბადე. როცა ნაიმანები დიდ სადგომებისაკენ მიეშურებოდნენ. შენ რომ დაიბადე, იმ ადგილს სამი დღე სულ ნადიმი გვქონდა.

[11] ჟოლამანი ორი სიტყვისგან წარმოსდგება: „ჟოლ“ - გზა, „ამან“ - ჯანმრთელობა. ნიშნავს: ჯანი არ მოგკლებოდეს გზაში.

დედა უყვებოდა და უყვებოდა შვილს მის წარსულზე, არ ჩერდებოდა, იმედი ჰქონდა - ეგებ ანაზდად რაღაც გაუკრთესო ჩამქრალ მეხსიერებაში, მაგრამ მის მანქურთ შვილზე არაფერი ჭრიდა, დედა ყრუდ დაკეტილ კარს ეხეთქებოდა და მაინც თავისას იმეორებდა:

- აბა, გაიხსენე რა გქვია? მამაშენი დონენბაი იყო!

მერე ასვა, აჭამა შვილს თავისი საგზლიდან და იავნანაც უმღერა.

მანქურთს ძალიან მოეწონა სიმღერა, სიამოვნებით მოუსმინა. თითქოს გაუცოცხლდა, გაუთბა გაყინული, ნახშირად ქცეული სახე. მაშინ ჩაგონება დაუწყო დეიდამ: დატოვე აქაურობა, ჟუანჟუანები, მე წამომყევი შენს მშობლიურ მხარეში. მანქურთს ვერ გაეგო, როგორ შეიძლება ადგეს და წავიდეს სადღაც- ჯოგს რა უყოს? არა, პატრონმა დაავალა, ჯოგს წამით არ მოსცილდეო. ასე თქვა პატრონა. ამიტომ ჯოგს ვერამც და ვერამც ვერ მოშორდება.

ბევრი, ბევრი ეცადა ნაიმან-ანა განადგურებული მეხსიერების დახშულ კარში შეეღწია.

- გაიხსენე, ვისი შვილი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! - ჩასჩიჩინებდა ისევ და ისევ.

ისე გაუფრინდა დრო ამ ამაო, ფუჭ წადილში, მაშინღა გამოერკვა ნაიმან-ანა, როცა ჯოგის ბოლოში კვლავ გამოჩნდა აქლემიანი ჟუანჟუანი. ამჯერად უფრო ახლოს მოსულიყო და აქლემსაც გამალებით მორეკავდა. ნაიმან-ანა მყისვე შეაჯდა აქმაიას და იქაურობას გაეცალა. მაგრამ მეორე ბოლოდან ახლა სხვა აქლემიანმა ჟუანჟუანმა უყელა გზა. მაშინ კი ქუსლი ჰკრა ნაიმან-ანამ თავის აქმაიას და შუაიში გაუარა ჟუანჟუანებს. ფეხმალმა თეთრმა ჯამამ სწრაფად გააქანა იგი წინ, ჟუანჟუანები კი ყვირილითა და შუბების ქნევით დაედევნენ. მაგრამ ვინ იყო

აქმაიას დამწევი, თანდათან უკან მოიტოვა მდევრები, რომლებსაც ბანჯგვლა აქლემები უმოწყალოდ აჯიყჯიყებდნენ. თეთრმა ჯამამ უხშირა სუნთქვას, ჰაერი ბლომად დაიგუბა და სწრაფად გაჰქროლა. გაჰქროლა და ნაიმან-ანა სიკვდილს გააცალა.

რა იცოდა ნაიმან-ანამ, რომ უკან დაბრუნებულმა, გაბოროტებულმა ჟუანჟუანებმა მანქურთი სცემეს. მაგრამ გინდ სცემე და გინდ არა, რა ჭკუა მოეკითხება მანქურთს.

- ასე თქვა, დედაშენი ვარო, - ამასღა გაიძახოდა.

- სადაური დედაშენი ეგ არი! დედა სადა გყავს! არ იცი, რისთვის მოვიდა? არ იცი? ქუდი უნდა წაგაძროს და თავი წაგაცალო! - აშინებდნენ ისინი საწყალ მანქურთს.

მანქურთი გაყვითლდა, ნახშირივით სახე გაუნაცრდა, მხრებში ჩარგო, ხელები ქუდზე იტაცა და ნადირივით დააცეცა თვალები.

- შენ ნუ გეშინია! აჰა, დაიჭი! - უფროსმა ჟუანჟუანმა მშვილდისარი ჩაუდო ხელში.

- აბა ესროლე! - უმცროსმა ქუდი მაღლა ააგდო, ისარმა ქუდი გახვრიტა. - აბა უყურე, მკლავს მაინც შერჩენია მეხსიერება! - განცვიფრდა ქუდის პატრონი...

ბუდიდან დამფრთხალი ჩიტივით ირგვლივ უვლიდა ნაიმან-ანა იმ არემარეს. არ იცოდა, რა ექნა, ან ჟუანჟუანები რას განიზრახავდენ. გადარეკავენ მთელ ჯოგს სხვა ადგილას, დიდი ურდოს ახლოს, და მის ბიჭს თან წაიყვანენ, სადაც ნაიმან-ანა ვეღარ მივა, თუ ნაიმან-ანას დასაჭერად ჩაუსაფრდებიან? ამ ფიქრებით დაბნეული დედა მოფარებული გზებით მიიწევდა წინ და, რა დაინახა, იმ ორმა ჟუანჟუანმა ჯოგი დატოვა და გზას გაუდგნენ გვერდიგვერდ, უკანმოუხედავად, სიხარულით ცას ეწია. დიდხანს გასცქეროდა იმ ორს ნაიმან-ანა, და, როცა თვალს მოეფარენ, შვილთან მობრუნება გადაწყვიტა. არა, თავს მოიკლავს

და ახლა თან წაიყვანს თავის შვილს. როგორიც არ უნდა იყოს - რა მისი ბრალია, ასე უკუღმართად რომ წაუვიდა ბედი, ასე უწყალოდ რომ დააბეჩავეს მტრებმა, დედა მაინც არ დატოვებს მონობაში თავის შვილს, დაე, თავისი თვალით ნახონ ნაიმანებმა, როგორ ასახიჩრებენ, ამცირებენ და გონს ართმევენ მომხდური გადამთიელნი ტყვე ჯიგიტებს, ნახონ და აღშფოთებულმა იარაღზე იკრან ხელი. განა მიწაზეა საქმე, მიწა ყველას ეყოფა, მაგრამ ჟუანჟუანებს ეს არაკაცობა შორმა მეზობლებმაც კი არ უნდა აპატიონ.

ამ გადაწყვეტილებით მიდიოდა ნაიმან-ანა თავის შვილისკენ და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაერწმუნებინა, როგორ დაეყოლიებინა ამ საღამოსვე გაქცეულიყვნენ...

უკვე ბნელდებოდა. წითელი ბინდბუნდი მოჰყვებოდა ხევებს და ველებს. დიდ საროზექზე კიდევ ერთი ღამე ეშვებოდა, კიდევ ერთი ღამე გარდასულ თუ მომავალ ურიცხვ ღამეთა შორის. თეთრ ჯამას მჩატედ, ლაღად მიჰყავდა თავისი პატრონი დიდი ჯოგისკენ. ჩამავალ მზის სხივებზე მკაფიოდ ჩანდა ნაიმან-ანა აქლემის კუზებშუა. ფერი გაკრთობოდა ნაიმან-ანას, შეწუხებული მიდიოდა, ფხიზლად, გოროზად იყურებოდა აქეთ-იქით. ჭაღარა თმა, ნაოჭებით დაღარული, დაფიქრებული სახე, თვალებში კი, საროზექის ამ ბინდბუნდივით განურინებული ტკივილი... აგერ, მიაღწია კიდეც ჯოგს, საძოვარზე მიმობნეულ პირუტყვებში გაიარა, აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ შვილს ვერსად ჰკრა თვალი, საჯდომი საპალნიანი აქლემი რატომღაც თავისუფლად ძოვდა, სადავე მიწაზე მისთრევდა. მაგრამ თვითონ კი არ ჩანდა. ხომ არაფერი დაემართა?

- ჟოლამან! შვილო ჟოლამან, სადა ხარ? - დაუძახა ნაიმან-ანამ. არავინ გამოჩენილა, არავინ გაეხმიანა.

- ჟოლამან! სად ხარ? ეს მე ვარ, დედაშენი! სადა ხარ?

აქეთ-იქით მიმოიხედა შეშფოთებულმა დედამ, ის კი ვერ შეამჩნია, რომ მისი მანქურთი შვილი, აქლემის ჩრდილს მოფარებული, უკვე ჩამუხლულიყო და მშვილდზე მოჭიმულ ისარს უმიზნებდა, მზის ათინათი უშლიდა და მარჯვე წამს ელოდა.

- ჟოლამან! ჟოლამან, შვილო! - ეძახდა ნაიმან-ანა შეშინებული, ხომ არაფერი დაემართაო. უნაგირზე შებრუნდა. - არ ისროლო! - ესღა მოასწრო ეყვირა და ის იყო თეთრ აქმაიას ქუსლი ჰკრა შვილისკენ მისაბრუნებლად, რომ ისარმა გაიზუზუნა და მარცხენა ბეჭში, მკლავს ქვემოთ ჩაესო.

ეს იყო სასიკვდილოდ ნასროლი ისარი. ნაიმან-ანა გადმოიხარა, აქლემის ყელს მოეჭიდა და ნელ-ნელა ჩამოცურდა ძირს. მანამდე კი თავიდან მანდილი წასძვრა, ჰაერში ფრინველად იქცა და ძახილძახილით გაფრინდა: „გაიხსენე, ვისი ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაია! დონენბაია!“

ამბობენ, მას აქეთ დაფრინავს ღამღამობით დონენბაი ჩიტიო. მგზავრს რომ დაინახავს, ახლოს მიჰყვება და გასძახის: „გაიხსენე, ვისი ხარ? ვინა ხარ? რა გქვია? მამაშენი დონენბაია! დონენბაი დოდენბაი!..“

ადგილს, სადაც ნაიმან-ანა დამარხეს საროზექში, ანა-ბეიითი - დედის სამარხი დაერქვა.

თეთრ ჯამა აქმაიას მრავალრიცხოვანი შთამომავლობა დარჩა. მისი ჯიშის დედა აქლემები მასავით თეთრთავა იბადებოდნენ და იმ არემარეში განთქმულნი იყვნენ, ხოლო ლიონები, პირიქით, შავთავა და ღონიერნი იყვნენ, ახლანდელი ყარანარის მსგავსად.

განსვენებული ყაზანგაპი. ვისაც ახლა ანა-ბეიითზე მიასვენებენ მუდამ ამტკიცებდა, ბურანელი ყარანარი უბრალო ჯიშის არ გეგონოთ, იგი ნაიმან-ანას დაღუპვის შემდეგ საროზექში

დარჩენილი აქმაიას, განთქმული თეთრი ჯამა აქლემის ჩამომავალიაო.

სჯეროდა ყაზანგაპის ეს ნათქვამი ედიღეის. ან რატომ არ უნდა დაეჯერებინა... ბურანელი ყარანარი დიახაც იმსახურებდა ამას. ჭირსა თუ ლხინში მუდამ მხარში ედგა ყარანარი თავის პატრონს, გაჭირვების ტალკვესი იყო მისთვის... ოღონდაც ახურების დროს ხდებოდა აუტანელი, მუდამ ყინვებში მოსდიოდა ეს. იცოცხლე, მაშინ მძვინვარებდა, ზამთარი და ის ერთად მძვინვარებდნენ, ორი ზამთარი გამოდიოდა რაღა. ვერაფერს გააწყობდი მასთან ამ დროს.. ერთხელ ცუდი საქმე უყო ედიღეის, ერთობ ცუდი. კაცი კი არა, ვთქვათ, სხვა გონიერი არსება ყოფილიყო, თავის დღეში არ აპატიებდა ბურანელი ედიღეი ამ ამბავს ბურანელ ყარანარს... მაგრამ ახურების ხანს გამოთაყვანებულ აქლემს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო, რა მისი ბრალია... განა პირუტყვზე შეიძლება გულის მოსვლა; უბრალოდ სიტყვამ მოიტანა, თორემ ბედია დამნაშავე ყველაფერში, ბედმა ინება ასე, ბურანელი ყარანარი რა შუაშია? აი, ყაზანგაპმა კარგად იცოდა ეს ამბავი. მანვე განსაჯა, თორემ, ვინ იცის, რანაირად დატრიალდებოდა ყველაფერი

თავი 7.

1952 წლის ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს ბედნიერების საოცარი გრძნობით იხსენებდა ბურანელი ედიღეი. ჯადოქარივით აუხდა ნაწინასწარმეტყველები. იმ საშინელი ხვატის შემდეგ, როცა საროზექის ხვლიკებიც კი სახლის ზღურბლს აწყდებოდნენ, ოღონდაც მზეს დამალოდნენ, უკვე აგვისტოს ნახევარში ამინდმა უეცრივ იცვალა პირი. დაცხრა გაუსაძლისი სიცხე, ნელ-ნელა დაჰბერა სიგრილემ, ყოველ შემთხვევაში, ღამე მაინც მოსვენებით ეძინა კაცს. საროზექშიც იცის ხოლმე ასეთი დალოცვილი ამინდი.

ყოველ წელს არა, მაგრამ შიგადაშიგ მაინც ზამთარი მუდამ ზათარს ჰგავს, მუდამ მკაცრია, სასტიკი, ზაფხულში კი ზოგჯერ სულს მოგათქმევინებს, გაგანებივრებს ადამიანს. ეს მაშინ არისო, ამბობდა ელიზაროვი, როცა საჰაერო დინების ზედა ფენებში დიდი ძვრები ხდებაო, ჰაერის ნაკადები მიმართულებას იცვლიანო. ელიზაროვს უყვარდა ასეთ რამეებზე ლაპარაკი, ამბობდა ხოლმე, რომ ზემოთ ვეებერთელა, უხილავი მდინარეები მიედინება, თავისი ნაპირები აქვს და ადიდებაც იცისო. ეს მდინარეები განუწყვეტლივ მიმოიქცევიან დედამიწის ირგვლივო. ჰოდა, ქარებით გარემოცული ვალს დედამიწაც და სიმრგვალესა თვისსა გარემოიქცევს, დროის დინებაც ამას ჰქვიაო. არაფერი სჯობდა ელიზაროვის მოსმენას. სანთლით საძებარია ასეთი ხალხი. იშვიათი კაცი იყო. დიდად აფასებდა ბურანელი ედიღეი ელიზაროვს და ისიც ასევე პატივსა სცემდა. ჰოდა, მაშასადამე, ის ციური მდინარე, ხანდახან რომ საროზექში სიგრილე და შვე-

ბა მოაქვს, თაკარა სიცხეში ღაბლა ჩამოდის და ჰიმალაის ეჯა-ხება. ჰიმალაი კი ხომ, ღმერთმა იცის, რა სიმაღლეზეა. მაგრამ მიწიური საზომით მაინც არც ისე შორია. ჰაერის მდინარე ჰიმალაის რომ დაეჯახება, უკანვე იქცევს პირს; ინდოეთსა თუ პაკისტანში ვერ ხვდება, სიცხე იქ სიცხედ რჩება, საროზექის თავზე კი გაიშლება ხოლმე, ვინაიდან საროზექი ზღვის დარად, გაშლილი სივრცეა, სადაც არაფერი ეღობება და სიგრილე მოაქვს ჰიმალაიდან...

ასეა თუ ისე, გაგიხარია, ისეთი ამინდი გამოვიდა იმ წელს ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დამდეგს. წვიმები იშვია-თი მოვლენაა საროზექში. ყოველი წვიმა დიდხანს გამახსოვ-რდება კაცს. მაგრამ ის წვიმა სამიდღემჩიოდ დაამახსოვრდა ბუ-რანელ ედიღეის. ჯერ ღრუბლები მოიყარა ცაზე, უჩვეულოც კი იყო, რომ საროზექის თაკარა, სულ ერთნაირი ცის ნიადაგ ცა-რიელი სიღრმე ღრუბლებმა დამალა. ისე შეიხუთა ჰაერი, ისეთი სიცხის ბუღი დადგა, სულს ვერ მოითქვამდი. ედიღეი იმ დღეს გადამბმელად მუშაობდა. ასაქცევის ჩიხში კიდევ სამი ბაქანი ხრეში და ფიჭვის განძელები დარჩა გადმოსატვირთი. დანარჩე-ნი წინადღეს გადმოტვირთეს. სულ ასეა ხოლმე, გაჩქარებენ, ცეცხლს გიკიდებენ, ჩქარა, ჩქარა, სასწრაფოა, მერე კი აღმოჩ-ნდება, რომ არც ისე სასწრაფო ყოფილა. გადმოტვირთვის შემ-დეგ ნახევარი დღე იდგა ის ბაქნები ჩიხში. გადმოტვირთვაზე ყველა მიასიეს - ყაზანგაპი, აბუტალიფი, ზარიფა, უქუბალა, ბუ-ქეი, ვინც რკინიგზის ხაზზე არ იყო, ყველა ამ საქმეზე დააყენეს. მაშინ ხომ ყველაფერი ხელით უნდა გეკეთებინა არადა, რა სიც-ხით იწვოდა ყველაფერი. რაღა მაინცდამაინც ამ სიცხეში მოაყე-ნეს ეს ბაქნები ასაქცევს. მაგრამ რახან საჭიროა, სხვა რა ჩარაა. დაიწყეს მუშაობა. უქუბალას პირსაქმება აუტყდა, გაფისული ცხელი განძელების სუნზე სულ ასე მოსდიოდა. ჰოდა შინ გაუშ-

ვეს ქალი. მერე ყველა ქალი დაითხოვეს - სახლში ბალღებს აცლიდა სიქას სიცხე. მარტო კაცები დარჩნენ, თავი მოიკლეს და მაინც მოათავეს საქმე.

მეორე დღეს, გაწვიმებამდე, ცარიელი ვაგონები სატვირთო მტარებლისთვის უნდა გაეყოლებინათ ქუმბელში. ვინემ ლიანდაგზე გადაიყვანდნენ, ვინემ ვაგონებს ერთმანეთს გადააბამდნენ, კინაღამ გაგუდა ედიღეი სიცხემ, თავი სალდათურ აბანოში ეგონა. მზეს ეცხუნებინა, ათასჯერ ერჩივნა. მემანქანეც ისეთი ზოზინა გამოდგა, აღარ დააყენა საშველი, წამალივით ჩაის კოვზობით იზოგავდა საქმეს. შენ კი იმ დროს სამად მოკეცილი ვაგონების ქვეშ იყავი შემძვრალი. გიყვარდეს, დედა აგინა ედიღეიმ იმ მემანქანეს. იმანაც კარგები შემოუკურთხა თავის მხრივ. არც იმას ადგა კაი დღე ორთქლმავლის საცეცხლურთან. სიცხემ გადარია ორივე. ღვთის მადლით, როგორც იქნა, წავიდა სატვირთო, ცარიელი ბაქნები წაარიხინა.

და უცბად დასცხო, მაგრამ რა დასცხო წვიმამ. ცამ გახსნა პირი, რაც წვიმები არ მოსულიყო, ახლა მოვიდა. შეცახცახდა დედამიწა, მყის აბუყბუყდა, გუბეებით დაიფარა. გახელებით, გაშმაგებით ასხამდა წვიმა, რაც ჰიმალაის თოვლიან მთებიდან სიგრილე და ტენი წამოეღო - თუ მართალი იყო, რასაც ამბობდნენ - ახლა გადმოაფრქვია ერთიანად. ბარაქალა, ჰიმალაი! ძალა იმას ჰქონია! ედიღეი შინისკენ გაიქცა. თუმც ვერ იტყოდა, რატომ. უბრალოდ ისე, როცა გზაში გაუწვიმდება, ადამიანი ან შინ მირბის, ან სადმე აფარებს თავს. რას იზამ, ჩვევაა, თორემ ამისთანა წვიმას რად უნდა დამალვოდა კაცი? ამას მაშინ მიხვდა, როცა დაინახა, ქუთიბაევების მთელ ოჯახს - აბუტალიფს, ზარიფას და მათ ორ ბიჭს, დაულსა და ერმექს, ერთურთისთვის ხელი ჩაეკიდათ და თავიანთი ბარაკის გვერდზე ხტოდნენ და ცეკვავდნენ, გაოცდა ედიღეი და შეყოვნდა. განა იმიტომ, რომ ხტუნავ-

დნენ, წვიმას შეხარადნენ. წვიმა არც წამოსულიყო, აბუტალიფი და ზარიფა რომ შინისკენ გაეჩქარენ, განძელებზე ფართო ნაბიჯით მიაბოტებდნენ. ახლაღა მიხვდა, რატომაც. თავის შვილებთან უნდოდათ ყოფილიყვნენ ამ წვიმაში. ედიღეის ასეთი რამ ფიქრადაც არ მოუვიდოდა. ისინი კი ამ კოკისპირულ წვიმაში ცეკვავდნენ, ყვიროდნენ, როგორც არალის ზღვაზე დაფრენილი გარეული ბატების გუნდი! ეს მათი ზეიმი იყო, ციდან მოვლენილი შვება და მადლი. თურმე რარიგ მონატრებოდათ, მოწყურებოდათ საროზექში წვიმა. გაეხარდა და გაეცინა კიდეც ედიღეის, შეეცოდა ეს ბედისაგან გარიყული ადამიანები, წუთიერ სიხარულსაც რომ ასე ებღაუჭებოდნენ ბორანლი-ბურანის ასაქცევზე.

- ჩვენთან მოდი, ედიღეი!–გამოსძახა ამ თავსხმიდან აბუტალიფმა და ხელები მოცურავესავით აიქნია.

- ედიღეი ძია! - სიხარულით გამოიქცნენ მისკენ ბიჭებიც.

უმცროსს, სამი წლის ერმექს, ხელები გაეშალა და ისე მირბოდა მისკენ. პირი ღია ჰქონდა და წვიმა შიგ ესხმოდა. ედიღეის გამორჩეულად უყვარდა ეს ბიჭი. აუწერელი სიხარულით, გმირობის გრძნობითა და ეშმაკობით გაბრწყინებოდა ერმექს თვალები. ედიღეიმ ხელში აიტაცა, დააბზრიალა ბიჭი, სხვა რა ექნა, აღარ იცოდა, სულაც არ აპირებდა ამ ოჯახურ ფერხულში ჩაბმას. მაგრამ ამ დროს სახლია კუთხიდან ჭყივილით გამოცვივდნენ საულე და შარაფათი, ედიღეის გოგოები. ქუთიბაევების ჟრიამული გაეგონათ. ისინიც ბედნიერები გახდნენ. „მამა, ვირბინოთ, ვირბინოთ!“ - მოსთხოვეს შვილებმა ედიღეის და იმასაც აღარ უყოყმანია, ახლა უკვე ყველანი ერთად გიჟობდნენ კოკისპირული წვიმის ქვეშ.

ედიღეის ძირს აღარ ჩამოუშვია პატარა ერმექი, ამ აურზაურში გუბეში არ ჩავარდეს და არ დაიხრჩოსო. აბუტალიფს კი მისი პატრა გოგო შარაფათი შეესვა ზურგზე. ასე დარბოდნენ ისინი და ბალღებს ართობდნენ. ერმექი ხტუნავდა, მთელი ხმით კიოდა და, სუნთქვა რომ შეეკვრებოდა, მაშინვე ედიღეის ჩაახუტებდა კისერში სველ თავპირს. ედიღეიმ რამდენჯერმე დაიჭირა აბუტალიფისა და ზარიფას მადლიერი მზერა ამ გულის ამაჩუყებელ სურათზე. უხაროდათ, მათი ბიჭუკელა რომ ასე კარგად გრნობდა თავს ძია ედიღეისთან. მაგრამ ედიღეიმ და მისმა გოგოებმაც ძალზე მოილხინეს. მაშინ შეამჩნია მისდა უნებურად ედიღეიმ, რა ლამაზი იყო თურმე ზარიფა. წვიმას გაეწეწა მისი თმა, თავკისერზე, მხრებზე ჩამოეყარა, თავით ფეხამდე გალუმპულს, წყალი წურწურით ჩამოსდიოდა მკვრივ ახალგაზრდა სხეულზე, გამოეკვეთა ყელი, მკლავები, თეძოები, შიშველი ფეხის ქუსლები. თვალები სიხარულით, გამომწვევად უბრწყინავდა. თეთრი კბილები უელავდა.

საროზექისთვის წვიმა განა რა დიდი ბედენაა, თოვლი ნელ-ნელა გააჟიჟინებს, გაუჯდება ხოლმე მიწას. წვიმა კი, როგორიც არ უნდა იყოს, ხელისგულზე აგორებული ვერცხლისწყალივით ზედაპირიდან მყის ხევხუვებსა და ღარტაფებში ჩასრიალდება, აბუყბუყდება, აუხჩუხდება - და გაქრება, თითქოს არც ყოფილაო.

იმ თავსხმა წვიმაში კი რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე სწრაფი, აქაფებული ღელეები და ნაკადები აჩხრიალდა. ბორანელებმა ახდა ღელეებში იწყეს სირბილი და ხტუნვა, ტაშტები და ვარცლები ააცურეს წყალზე. მოზრდილები, დაული და საულე, უკვე ტაშტებით დასეირნობდნენ ღელეებში, მერე უმცროსებიც ჩასვეს ვარცლებში და ისინიც აცურეს...

წვიმა კი ასხამდა და ასხამდა. ტაშტებით ცურვამ ყველა ისე გაიტაცა, მალე რკინიგზის მიწაყრილის ძირას ამოჰყვეს თავი, ასაქცევის დასაწყისში. ამ დროს ბორანლი-ბურანზე სამგზავრო მატარებელიმა ჩაიარა. ვაგონების ფართოდ დაღებულ სარკმლებსა და კარებიდან მგზავრები ლამის მთელი ტანით გადმოწოლილიყვნენ, უდაბნოს ამ უბედურებს გადმოსცქეროდნენ და „ჰეი, არ დაიხრჩვეთ“ - მგონი, ამას უყვიროდნენ. თან ისე ხარხარებდნენ, უსტვენდნენ, იცინოდნენ ალბათ მართლაც უცნაური სანახავნი იყვნენ. ჩაიარა მატარებელმა წურწურით რომ ჩამოსდიოდა წვიმის ნაკადები, ჩაიარა და თან წაიყვანა ისინი, ვინც ერთი თუ ორი დღის შემდეგ იქნებ მოჰყვეს და ხალხი გააცინოს ამ სურათზე, რისი მოწმეც იყო.

ეს არც მოაფიქრდებოდა ედიღეის, რომ არ დაენახა, ზარიფა ტირისო. ადამიანს რომ თავპირზე წყალი წურწურით ჩამოსდის, ძნელია თქმა, ტირი თუ იცინის. მაგრამ ზარიფა კი მართლა ტიროდა. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს იცინის, ძალიან მხიარულობსო, თვითონ კი ტიროდა, სლუკუნს ძლივს იკავებდა, ტირილის მიჩქმალვას კისკისით და შეძახილებით ლამობდა. აბუტალიფმა შეშფოთებით დაუჭირა ხელი:

- რა იყო? ცუდად ხომ არ ხარ? შინ წავიდეთ.

- არა, არა, მასლოკინებს, სხვა არაფერი, - მიუგო ზარიფამ და ისევ განაგრძო ცოლ-ქმარმა ბავშვების გართობა, რომ ამ ანაზდეული წვიმის მადლით დამტკბარიყვნენ. ედიღეის გული შეეკუმშა, ალბათ რა ძნელია ამ ორისათვის იმის შეგრძნება, რომ არსებობს სხვა ცხოვრება, სადაც არავისთვის უჩვეულო არაა წვიმა, სადაც ადამიანები ცხოვრობენ და ბანაობენ სუფთა, კამკამა წყალში, სადაც სხვა პირობებია, სხვა გასართობები, შვილებზე სულ სხვაგვარი ზრუნვა. ისინი კი ამ ცხოვრებას მოწყვეტილნი არიან. აბულალიფი და ზარიფა ბავშვების ხათრით იმხია-

რულებდნენ ახლა თავს. ედიღეიმაც, გული არ ვატკინოო, ისევ განაგრძო მათთან ერთად მხიარულება...

იანცეს, გული იჯერეს და მერე შინისაკენ გასწია ყველამ. წვიმა კი ისევ ასხამდა და ასხამდა. ედიღეი თანაგრძნობით გაჰ-ყურებდა ქუთიბაევების ოჯახს, გაჰყურებდა, როგორ მირბოდნენ ერთად დედა, მამა და შვილები, თავით ფეხამდე გაწუწულები. ეს ერთი ბედნიერი დღე მაინც ეღირსათ საროზექში.

უქუბალამ შიშით გაასავსავა ხელები, როცა ზღურბლზე ედიღეიმ გადმოაბიჯა. პატარა გოგო ატატებული მოჰყავდა, უფ-როსი კი - ხელჩაჭიდული.

- ვაიმე, რა მოგსვლიათ? რას ჰგავხართ?

- ნუ გეშინია, - სიცილით დაამშვიდა ედიღეიმ ცოლი,- ათანი რომ დათვრება, თავის თაილაკებს მაშინ ათამაშებს[12].

- განა არ ვხედავ, - გაეღიმა უქუბალას საყვედურით, - აბა გაიხადეთ, რას დგახართ გაწუწული ქათმებივით.

წვიმამ გადაიღო, მაგრამ სადღაც, საროზექის განაპირა მხარეებში, გათენებამდე მოდიოდა თქეში, მთელი ღამე შორი-დან ყრუ გრგვინვის ხმა. ედიღეი რამდენჯერმე გააღვიძა ამ გრუხუნმა, გაუკვირდა კიდეც. არალის ზღვაზე ხანდახან ლამის თავზე დაგრუხუნებდა ხოლმე ჭექა-ქუხილი და ძილი არ გაკ-რთობია, თუმცა იქ ავდარი ხშირად იცის. ედიღეი თვალდახუჭუ-ლი გრძნობდა, როგორ განათდებოდა და აციალდებოდა ხოლ-მე წამიერად ფანჯრები, როცა შორს, ხან აქ და ხან იქ, ელვა გასერავდა ტრამალის ცას.

იმ ღამეს სიზმარი ნახა ბურანელმა ედიღეიმ: თითქოს ფრონტზეა და მიწაზე წევს, ზემოთ კი უხმაუროდ სკდება ჭურვე-ბი. აფეთქებული მიწა ისევე უხმაუროდ ადის მაღლა და, შავ

[12] ათანი - ლიონი, მამალი აქლემი, თაილაკი - კოზაკი

ტალღებად გართხმული, ნელა, მძიმე-მძიმედ ცვივა დაბლა. ერთმა ასეთმა აფეთქებამ ისიც ააგდო ჰაერში და, გულგაწურული, დიდხანს, დიდხანს ვარდებოდა ძირს, საზარელ სიცარიელეში. მერე იერიშზე გაიქცა ბევრ, ძალიან ბევრ რუხმაზარიან ჯარისკაცებთან ერთად, თუმცა სახე ვერც ერთისა ვერ გაერჩია, თითქოსდა ავტომატმომარჯვებული მაზარები თავისთავად მირბოდნენ, ხოლო როცა მაზარებმა, „ვაშაო“, სჭექეს, ედიღეის წვიმისაგან გაწუწული, მოკისკისე ზარიფა გადაუდგა წინ. ეს საოცრება იყო. ჩითის კაბა ეცვა, თმა ჩამოშლოდა, წვიმა ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა თავზე, ის კი კისკისებდა და კისკისებდა, არ ჩერდებოდა. ედიღეის არ ეცალა გასაჩერებლად, ახსოვდა, იერიშზე რომ მიიჩქაროდა. „ასე რა გაცინებს, ზარიფა? ეს კარგს არაფერს მოასწავებს“, - უთხრა ედიღეიმ. „კი არ ვიცინი - ვტირი“, - მიუგო ზარიფამ და ისევ განაგრძო კისკისი იმ თავსხმაში...

მეორე დღეს დააპირა ეს სიზმარი აბუტალიფისა და ზარიფასთვის ეამბნა, მაგრამ გადაიფიქრა, ცუდად ენიშნა. ზედმეტად რად უნდა მოუშხამოს გუნება ადამიანებს...

იმ დიდი წვიმის შემდეგ მოტყდა სიცხე საროზექში, ყაზანგაპის თქმით, ნასესხი დღეები ამოეწურა ზაფხულს. კი, ზოგჯერ ცხელოდა კიდევ, მაგრამ აღარც ისე, კაცს ვერ გაეძლო. ნელი-ნელ გამეფდა საროზექული შემოდგომის დალოცვილი დამდეგი. სიცხე აღარ აოსებდა ბორანელ გოგობიჭობას. აურიამულდნენ, დაირხა ისევ მათი წკრიალა ხმები. ამასობაში კი ქუმბელიდან ცნობა მოვიდა; ყიზილორდული საზამთროები და ნესვები მივიღეთ სადგურზე, ბორანლელებს რა გირჩევნიათ - თქვენი წილი გამოგიგზავნოთ თუ თვითონ ჩამოხვიდეთ და წაიღოთო. ედიღეიმ იხელთა დრო და ასაქცევის უფროსი დაარწმუნა, ჩვენ თვითონ უნდა წავიდეთ, თორემ იმას გამოგვიგზავნიან, რასაც თვითონ დაიწუნებენო. უფროსიც დათანხმდა, ეგრე

იყოს, შენ და ქუთიბაევი წადით. აარჩიეთ და წამოიღეთო. ედიღეისაც ეს უნდოდა. აბუტალიფსა და ზარიფას ბავშვებიანად ერთი დღით მაინც გააცლიდა აქაურობას და არც მასა და მის ოჯახს აწყენდა გასეირნება. ჰოდა, ერთად გაჰყვა ორი ოჯახი დიდპატარიანად დილით ადრე ქუმბელში მიმავალ მატარებელს, ჩაცმულნი და გამოწყობილნი. რა დიდებული დღე იყო. ბალღებს ეგონათ, ზღაპრულ ქვეყანაში მივდივართო. მთელი გზა მოლხენით იყვნენ, სულ იძიებდნენ: ხეები თუ იზრდება იქ? იზრდება, მაშ. მწვანე ბალახი თუა? მწვანე ბალახიცაა და ყვავილებიც. სახლები დიდებია? მანქანები დარბიან ქუჩაში, საზამთროები და ნესვები იმდენია, რამდენიც გინდა? ნაყინიც არის ზღვა არის იქა?

ქარი საამოდ ქიქინებდა სატვირთო ვაგონის ღია კარიდან, განიერი ფიცრებით რომ გადაღობეს, ბავშვები არ გადაცვივდნენო, თუმცა ზედ გასასვლელთან ედიღეი და აბუტალიფი ისხდნენ ცარიელ ყუთებზე, თან ბაასობდნენ ათას რამეზე და თანაც ყმაწვილებს აძლევდნენ კითხვებზე პასუხს. კმაყოფილი იყო ბურანელი ედიღეი; ყველანი ერთად მიემგზავრებოდნენ, ამინდიც ჩინებული შეესწროთ, ყმაწვილებმაც გაიხარეს, მაგრამ ყმაწვილებზე უფრო აბუტალიფისა და ზარიფას შეხედვა ახარებდა ედიღეის. გაუნათდა ადამიანებს სახე, ცოტა ხნით მაინც შვება იგრძნეს, თავი აიხსნეს, გადაიყარეს მუდმივი სადარდელი. ისიც კი იფიქრა გახალისებულმა ედიღეიმ, იქნებ ნება მისცენ აბუტალიფს საროზექში იცხოვროს, როგორც შეიძლებს და რამდენ ხანსაც შეიძლებს. ღმერთმა ქნას!

ზარიფა და უქუბალაც გულითადად ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს საოჯახო საქმეებზე, ბედნიერები ჩანდნენ. განა ასე არ უნდა იყოს, განა რა ბევრი უნდა ადამიანს... სულით და გულით ეწადა ედიღეის გადავიწყებოდათ ყველა უბედურება ქუთიბაე-

ვებს, ძირი გაედგათ, შეგუებოდნენ თავიანთ ყოფას ბორანლი-ბურანში, რაღაი სხვა არჩევანი არ ჰქონდათ. ისიც ეამაყებოდა, რომ აბუტალიფი გვერდით უზის, მხარზე ეხება, რომ იცის, ედიღეის შეიძლება დაენდოს კაცი, რომ კარგად ესმით ერთმანეთისა ყოველგვარი ზედმეტი სიტყვების გარეშე, არ ლაპარაკობენ იმ მტკივნეულ საკითხებზე, რომლებზეც არც ღირს ამაო და ჰაიჰარა ლაპარაკი. მოსწონდა აბუტალიფის გონიერება და თავშეკავება, ყველაზე მეტად კი ცოლ-შვილისადმი ერთგულება და სიყვარული. მათთვის სულდგმულობდა, მათ გამო არ უტყდებოდა ბედს, ეს აძლევდა ძალას. აბუტალიფის სჯა-ბაასს რომ უგდებდა ყურს, რწმუნდებოდა ედიღეი, ყველაზე კარგი, რაც შეიძლება ადამიანმა სხვებისთვის გააკეთო, ესაა, რომ ღირსეული შვილები - ზარდო, გაზარდო არა სხვისი შემწეობით, არამედ შენ თვითონ, მოველდღე, ყოველ ნაბიჯზე, მთელი სული და გული ჩააქსოვო ამ საქმეს, სანამდეც შეიძლებ, დიდხანს იყო შენი შვილების გვერდით.

აგერ სად არ ასწავლეს საბითჟანს, არ დააკლეს არც ინტერნატები, არც ინსტიტუტები,არც სხვადასხვა ცოდნის ასამაღლებელი კურსები. საცოდავი ყაზანგაპი რასაც შოულობდა, ყველაფერს შვილს ახარჯებდა, მის საბითჟანს სხვებზე ნაკლებად არ ეცხოვრა ამა თუ იმ ქალაქში. გიყვარდეს, ყველაფერი იცის, მაგრამ რა ? არარაობა დარჩა მაინც.

სწორედ მაშინ, საზამთროებისა და ნესვებისათვის ქუმბელში ერთად მგზავრობისას იფიქრა ედიღეიმ, თუ სხვა გამოსავალი არაა, ისევ ბორანლი-ბურანში უჯობს აბუტალიფ ქუთიბაევს დარჩეს, მეურნეობას მოეკიდოს, საქონელი გაიჩინოს, სარო-ზექში წამოზარდოს თავისი ბიჭები, როგორც შეიძლებს და სანამდე შეიძლებს. თქმით კი არაფერი უთქვამს, არ დაუწყია ჭკუის სწავლება, მაგრამ საუბრიდან გაარკვია, რომ აბუტალიფიც ამას-

ვე ფიქრობს, ასევე აპირებს. გამოჰკითხა ედიღეის, როგორ უნდა მოიმარაგო კარტოფილი, სად უყიდოს ცოლ-შვილს თექის ფეხსამოსი, თვითონ ჩექმებითაც იოლას გავალო. ისიც ჰკითხა, ქუმბელში თუა ბიბლიოთეკა და ბორანლი-ბურანის ასაქცევზე თუ გამოატანენ იქიდან წიგნებს.

იმ საღამოსვე უკან გამოჰყვნენ სატვირთო მატარებელს, საზამთროები და ნესვები წამოიღეს ბურანელებისათვის. დაიღალნენ გოგობიჭები, მაგრამ ძალიან ნასიამოვნები კი დარჩნენ. ნახეს ქვეყანა, იყიდეს სათამაშოები, მიირთვეს ნაყინი თუ სხვა რამ. თუმცა ერთი სამარცხვინო ამბავი კი შეემთხვათ სადგურის საპარიკმახეროში, სადაც ბავშვები შეიყვანეს თმის გასაკრეჭად. ერმექის რიგმა რომ მოაწია, ისეთი კივილ-წივილი ატეხა, ვერაფრით ვერ გააჩერეს ბიჭი. გასავათდნენ ყველანი, ბიჭი კი ვერ დასვეს, ხელიდან სხლტებოდა, მამას ეძახდა საშველად. აბუტალიფი ამ დროს იქვე, მაღაზიაში შესულიყო, ზარიფამ აღარ იცოდა, რა ექნა, სირცხვილისაგან ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, თავს იმართლებდა წარამარა, რაც დაიბადა, არ გაგვიკრეჭია, გვენანებოდა, ისეთი ლამაზი ხუჭუჭი თმა ჰქონდაო. მართლაც საუცხოო თმა ჰქონდა ერმექს, გრუზა და ხვეული დედასავით, ზარიფას ჰგავდა ისედაც: თმას რომ დაბანდნენ და დავარცხნიდნენ - თვალს ვერ მოწყვეტდი.

უქუბალა იმაზედაც კი წავიდა, საულესთვისაც დაამოკლებინა თმა: აბა შეხედე, გოგოა და მაინც არ ეშინიაო. ამან თითქოს გაჭრა, მაგრამ როგორც კი საპარსი მანქანა ხელში აიღო პარიკმახერმა, ისევ კივილი და ღრიალი ატეხა ერმექმა, ხელიდან დაუსხლტა პარიკმახერს. ამასობაში აბუტალიფი გამოჩნდა კარებში და ერმექი მამას მივარდა. მამამ აიყვანა, გულში ჩაიხუტა ბიჭი, მიხვდა, არ ღირდა ბავშვის წამება.

- გვაპატიეთ, როგორმე სხვა დროს მოვალთ, - უთხრა მან პარიკმახერს, - გამბედაობას მოვიკრებთ და მოვალთ... მანამდე კი მოვითმენთ. ჯერჯერობით იაროს ასე, საჩქარო არაფერია... როგორმე სხვა დროს...

განსაკუთრებულ უფლებებმოსილ რწმუნებათა მქონე კომისიების საგანგებო სხდომაზე ორივე მხარის შეთანხმებით ავიოსან „კონვენციიდან“ „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურზე კიდევ ერთი დაშიფრული რადიოგრამა გაიგზავნა მიწისმიღმიერ ცივილიზაციის მქონე პლანეტა 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებისთვის გადასაცემად - არამც და არამც არ მოემოქმედათ არაფერი და ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, ვიდრე მართვის საერთო ცენტრიდან საგანგებო მითითებას არ მიიღებდნენ.

სხდომა კვლავინდებურად ერთობ საიდუმლოდ მიმდინარეობდა, ავიოსანი „კონვენცია“ კვლავინდებურად თავის ადგილზე, წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით იმყოფებოდა, ზუსტად ერთნაირ მანძილზე საჰაერო გზით როგორც სან-ფრანცისკოდან, ისე ვლადივოსტოკიდან.

კვლავინდებურად არავინ იცოდა მსოფლიოში, რა უდიდესი საგალაქტიკათაშორისო შემთხვევა მოხდა - მპყრობელ მნათობის სისტემაში მიწისმიღმიერი ცივილიზაციის მქონე ახალი პლანეტა აღმოჩნდა, რომლის გონიერი არსებანი მიწისშვილთ ურთიერთკავშირის დამყარებას სთავაზობდნენ.

საგანგებო სხდომაზე ორივე მხარე არჩევდა და კამათობდა ესოდენ უჩვეულო და მოულოდნელი პრობლემის ყველა დადებითსა და უარყოფით მხარეზე, კომისიის ყველა წევრს, სხვა დამხმარე მასალების გარდა, მაგიდაზე წინ ედო დოსიე, 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების გადმოცემათა მთლიანი ტექსტით.

ირჩეოდა ამ საბუთების ყოველი წინადადება და ყოველი სიტყვა. ყოველი წვრილმანი, მოყვანილი იმის დასტურად, თუ როგორაა მოწყობილი ტყისგულეთის პლანეტაზე გონივრული ცხოვრება, პირველ ყოვლისა იმ მოსალოდნელ შედეგთა თვალსაზრისით განიხილებოდა, ეთავსებოდა თუ არა იგი ცივილიზაციის დედამიწისეულ გამოცდილებას და პლანეტის წამყვანი ქვეყნების ინტერესებს... ასეთ პრობლემებს ადამიანთა შორის ჯერ არავინ გადაწყდომია. საკითხი სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

წყნარ ოკეანეში კვლავინდებურად დაქროდა ქარიშხალი, თუმცა მთელი ძალით არა.

რაღაი ქუთიბაევებმა საროზექის ამ საშინელ პაპანაქებას გაუძლეს და სასოწარკვეთილები თავიანთი ბარგი-ბარხანით ბორანლი–ბურანიდან უკანმოუხედავად არ გაიქცნენ, სადაც გინდა, ოღონდ აქ არა, ბორანელები მიხვდნენ, რომ ეს ოჯახი აქ დარჩებოდა და ცხოვრებას შეეცდებოდა. შესამჩნევად გახალისდა, უფრო სწორად, ბორანელთა ჭაპანში ჩაება აბუტალიფ ქუთიბაევი. რა ლაპარაკი უნდა, შეეგუა, შეეჩვია ასაქცევზე ცხოვრების პირობებს. როგორც ყველა და ყოველ კაცს, მასაც შეეძლო ეთქვა, ბორანლისთანა დაქცეული ადგილი ქვეყნად მეორე არაა, თუკი წყალიც, გინდ დასალევი და გინდ სახმარი, ცისტერნით უნდა ჩამოიტანოს მატარებელმა, ხოლო ვისაც ახალი წყალი მოესურვება, აქლემი შეკაზმოს და თულუხებით ცხრა მთას იქიდან მოზიდოს, რაიც ედიღეისა და ყაზანგაპის მეტს ვერავის ეკისრა.

დიახ, ბატონო, ასე გახლდათ ორმოცდათორმეტიდან სამოც წლამდე, ვინემ ასაქცევზე სიღრმის ელექტრო-საქარო წყლის საქაჩი არ დადგეს. მაგრამ იმხანად კი ოცნებითაც ვერა-

ვინ იოცნებებდა ასეთ რამეზე. მიუხედავად ამისა, აბუტალიფს თავის დღეში არ დაუწყევლია და უგინებია არც ბორანლი-ბურანის ასაქცევი და არც საროზექის ეს კედარო. კარგი კარგად მიაჩნდა, ცუდი ცუდად. ბოლოს და ბოლოს ეს მიწა არაფერში და არავის წინაშე დამნაშავე არ იყო. კაცმა შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო, გეცხოვრება თუ არ გეცხოვრება აქ...

ამ მიწაზედაც ცდილობდა ხალხი უკეთ მოწყობილიყო. როცა ქუთიბაევებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ მათი ადგილი აქ, ბორანლი-ბურანზეა, რომ წასასვლელი გზა სხვაგან არსად აქვთ და ამიტომ მკვიდრად უნდა მოიკიდონ ფეხი, საოჯახო საქმეებს ვეღარ და ვეღარ აუვიდნენ. რა ლაპარაკი უნდა, რომ ყოველდღეობით თუ ყოველ ცვლაზე თავისი წილი სამუშაო უნდა ეკეთებინათ. მაგრამ თავისუფალ დროსაც საზრუნავი საკმარისზე მეტი ჰქონდით. რეტი დაესხა ოფლში გაიღვარა აბუტალიფი, ვინემ სადგომს საზამთროდ მოამზადებდა - ღუმელს ამოაშენებდა, კარს დაათბუნებდა, ფანჯრის ჩარჩოებს წესრიგში მოიყვანდა. ეს საქმეები მაინცდამაინც არ ემარჯვებოდა, მაგრამ ედიღეი ხან იარაღით, ხან მასალით ხელს უმართავდა, მარტო არ ტოვებდა. ხოლო როცა ფარდულის გვერდით სარდაფი ამოთხარეს. ყაზანგაპიც წაეხმარათ. პატარა სარდაფის ორმო ძველი განძელებით, ჩალით, თიხით დახურეს. სახურავიც მკვიდრი გაუკეთეს, რომ ვისმე საქონელი ანაზდად შიგ არ ჩავარდნილიყო, მაგრამ რა საქმესაც არ ადგნენ, აბუტალიფის ბიჭები გვერდიდან არ სცილდებოდნენ, სულ იქ ტრიალებდნენ, ზოგჯერ ხელსაც კი უშლიდნენ, სამაგიეროდ ართობდნენ და ამხნევებდნენ. ედიღეიმ და ყაზანგაპმა ბევრი იფიქრეს, აბუტალიფს როგორ დახმარებოდნენ მეურნეობის მოწყობაში და კიდევაც მოიფიქრეს. გაზაფხულიდან მეწველ ჯამა აქლემს მიუჩენდნენ. თავიდათავია, აბუტალიფი წველას მიეჩვიოს. აქლემი ძროხა არაა. იგი ფეხმდგო-

მელამ უნდა მოწველო, ტრამალში უკან სდიო და კოზაკსაც გაუფრთხილდე, დროზე მიუშვა დედის ცურთან და დროზე მოაშორო. კოზაკს ცოტა ზრუნვა როდი სჭირდება. უნდა იცოდე, როდის რა გაუკეთო...

ყველაზე მეტად კი ეს ახარებდა ბურანელ ედიღეის: ხომ ამდენი საქმე ჰქონდა აბუტალიფს, მეურნეობასაც მისდევდა, თავისა და ედიღეის შვილებსაც ხან ათამაშებდა, ხან ზარიფასთან ერთად წერა-კითხვასა და ხატვას ასწავლიდა, ამ მიყრუებულ, ამ მივარდნილ ბორანლიში საკუთარ თავსაც არ ივიწყებდა. აბუტალიფი ხომ ნასწავლი კაცი იყო. წიგნების კითხვა, რაღაცების ჩაწერა-ჩანიშვნა ღმერთს დაედგინა მისთვის. გულში კიდეც ამაყობდა ედიღეი, რომ ასეთი მეგობარი ჰყავდა. იმიტომაც მიუწევდა მისკენ გული. ელიზაროვსაც, საროზექის გეოლოგს, ამ ადგილებში ხშირად რომ ჩამოდიოდა, განა შემთხვევით დაუძმაკაცდა. ნასწავლსა და ბევრის მცოდნე ხალხს დიდად აფასებდა ედიღეი. აბუტალიფმაც ხომ ბევრი რამ იცოდა, ოღონდაც ერიდებოდა ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აზრები. მაგრამ ერთხელ კი დიახაც საგულისხმო საუბარი ჰქონდათ.

რკინიგზის სამუშაოდან მოდიოდნენ მწუხრისას. მეშვიდე კილომეტრზე, სადაც მუდამ ნამქერების საუფლო იყო, თოვლის საწინააღმდეგო დარაკები დადგეს იმ დღეს. მერე რა, რომ შემოდგომის პირი იყო, ზამთრის თადარიგი წინდაწინ უნდა დაიჭიროს კაცმა. ისა და აბუტალიფი ერთად გამობრუნდნენ შინ. ჩინებული, ნათელი საღამო იყო, ლაპარაკის საღერღელს აგიშლიდა კაცს. მისთანა საღამოებში საროზექის მიდამოები ბნდედ იმზირებოდა დაისის თხელ ბურუსიდან არალის ზღვის ფსკერის დარად, როცა წყნარ ამინდში ნავიდან ჩახედავ.

- აბუ, საღამოობით, როცა კი თქვენ წინ ჩავივლი, რაფიდან სულ შენი თავი ჩანს, ლამპა გინთია გვერდით. წერ თუ კირკემალაობ რამეს? - ჰკითხა ედიღეიმ.

აბუტალიფმა ბარი მეორე მხარზე გადაიტანა და პასუხი არ დააყოვნა:

- საქმე სულ უბრალოა. ხომ იცი, საწერი მაგიდა არა მაქვს. ჰოდა, ჩემი ყაჩაღანები რომ დაწვებიან, ზარიფა კი რაღაც წიგნებს კითხულობს, მეც მივჯდები და ვწერ ჩემთვის ომისა და რაც მთავარია, იუგოსლავიაში გატარებული წლების ამბებს. ვინემდე კიდევ რამე მახსოვს. დრო მიდის, ნამყო თანდათან გვშორდება. - აბუღალიფმა მცირე ხანს იყუჩა. - სულ იმაზე ვფიქრობ, ჩემს შვილებს რა გავუკეთო. ჭამა-სმას, გაზრდას - ცხადია, ვიდრემდე შემიძლია, არ დავაკლებ. მე იმდენი გადამიტანია და განმიცდია, ღმერთმა სხვას ასი წელი ნუ განაცდევინოს. მაგრამ მე ვცოცხლობ და ვსუნთქავ, ალბათ განგებამ ტყუილად არ ინება ასე. ვინ იცის, ეგებ იმიტომ, რომ პირველ ყოვლისა ჩემს შვილებს რაღაც ვუთხრა, მათ ჩავაბარო ჩემი ცხოვრების ანგარიში, რადგან მე გავაჩინე ისინი ქვეყნად. ჩემი გაგებით ასეა. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტება ყველასთვის ერთია, საყოველთაო, მაგრამ გაგება კი ყველას ჩვენ-ჩვენი გვაქვს და ჩვენვე მიგვყვება მიწაში. როცა ადამიანი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ტრიალებს მსოფლიო ძალთა შეჯახებისას და ცოცხალი რჩება, თუმცა შეიძლებოდა, სულ ცოტა, ასჯერ მაინც მოეკლათ, იგი ბევრ რასმე შეიცნობს - შეიცნობს სიკეთესა და ბოროტებას, სწორსა და მრუდს...

- დაიცა, ეს გამაგებინე, -- გაოცებით გააწყვეტინა ედიღეიმ. იქნებ სწორიც იყო, მაგრამ შენი ბიჭები ხომ პატარებია, ცინგლიანები, თმის საკრეჭისაც კი ეშინიათ - იმათ რა უნდა გაიგონ?

- იმიტომაც ვწერ, რომ დავუტოვო, შემოვუნახო. წინდაწინ არავინ იცის, ცოცხალი იქნება თუ არა. აგერ სამი დღის უკან გზაში ფიქრებმა ისე გამომაშტერა, მატარებელს კინაღამ ჩავუვარდი. კიდევ კარგი, ყაზანგაპმა მოასწრო და ხელი მკრა, ლიანდაგიდან გადამაგდო. მერე კი შავი დღე მაყარა, შენმა შვილებმა დღეს ღმერთს უნდა დაუჩოქონ და მადლობა შესწირონო.

- სწორიც უთქვამს. მე ადრევე გითხარი, ზარიფასაც ვუთხარი, - აღშფოთდა ედიღეი და კვლავაც გააფრთხილა. - ასე რად დაალაჯებ ლიანდაგებზე, თითქოს მატარებელმა რელსებიდან უნდა გადაუხვიოს და გზა გიტიოს? ხომ არსებობს მოძრაობის წესები. წიგნიერი კაცი ხარ, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო ერთი და იგივე? ახლა რკინიგზელი ხარ, ისე კი დადიხარ, გეგონება, ბაზარში იყო. შენ ნუ ეხუმრები, მართლაც შეიძლება დაგეჯახოს.

- თუ დამეჯახა, ჩემი ბრალი იქნება, - მოღუშვით დაეთანხმა აბუტალიფი. მაგრამ ჯერ მომისმინე. მერე დამარიგე ჭკუა

- სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი. განაგრძე.

- წინათ ხალხი შვილებს ქონებას, სიმდიდრეს უტოვებდა. ვის ავად შეერგებოდა ეს სიმდიდრე, ვის - კარგად, როდის როგორ. ბევრი წიგნი დაწერილა, ბევრი. ბევრი ზღაპარი შექმნილა, ბევრი პიესა დადგმულა იმაზე, როგორ ნაწილდებოდა იმ ხანებში მემკვიდრეობა და რა მოსდიოდათ მერე მემკვიდრეებს, მერედა, რატომ, იმიტომ, რომ ეს ქონება მეტწილად უსამართლო გზით იყო შეძენილი, სხვისი უბედურებისა და შრომის ხარჯზე, სხვისი მოტყუების გზით, იმიტომაც თავიდანვე ბოროტება, ცოდვა, უსამარლობა სდევდა სიმდიდრეს.. ჩემთვის დიდი ნუგეშია, რომ, ღვთის მადლით, ჩვენ ეს არ მოგველის. ჩემი სამკვიდრო არავის ავნებს. ეს მხოლოდ ჩემი სული იქნება, ჩემი ნაწერები, ის, რასაც მე ომმა მიმახვედრა და რაც ომიდან გამოვიტანე, სხვა

სიმდიდრეს ჩემს შვილებს მე ვერ ვუტოვებ. აქ, ამ საროზექის უდაბნოში, მივედი ამ დასკვნამდე. ცხოვრება სულ უკან და უკან მხევდა, სულ აქეთ მიბიძგებდა, რომ აქ დავკარგულიყავ, გავ-მქრალიყავ, მე კი ჩავიწერ ჩემი შვილებისთვის ყველაფერს, რა-საც ვფიქრობ და ვაზროვნებ, რომ შემდეგ ჩემს შვილებში გან-ვაგრძო ოდესმე არსებობა. რაიც მე ვერ შევძელ, იქნებ მათ შეძ-ლონ და მიაღწიონ... მათ კი ჩვენზე ძნელი ცხოვრება ელის. ამი-ტომ სიყრმიდანვე უნდა ისწავლონ ჭკუა...

რამდენიმე ხანს ჩუმად მიდიოდნენ, თავ-თავისას ფიქრობ-და ორივე. ეუცნაურა ედიღეის ეს სიტყვები. გაუკვირდა, რომ კაც-მა შეიძლება ასეც გაიგოს ამქვეყნად თავისი არსებობის აზრი. მაინც შეეცადა უფრო ნათლად გაერკვია ის, რამაც ესოდენ გა-აკვირვა.

- ყველას ჰგონია და რადიოშიაც ამას ამბობენ, ჩვენს შვი-ლებს ჩვენზე უკეთესი და იოლი ცხოვრება მოელითო. შენ კი ამბობ, ჩვენზე უფრო გაუძნელდებათო. ატომურ ომს ხომ არ გუ-ლისხმობ?

- არა, მარტო მაგიტომ არა. იქნებ ომი არც იყოს, ხოლო თუ იქნება, არც ისე მალე. მე ლუკმაპურს არ ვგულისხმობ. უბ-რალოდ, დროის ჩარხი თანდათან უფრო სწრაფად ბრუნავს. ჩვენს შვილებს მოუწევთ ყველაფერს თავისი ჭკუით, თავისი ფიქ-რით ჩასწვდნენ და ნაწილობრივ ჩვენ მაგივრადაც აგონ პასუხი. ფიქრი კი ყოველთვის სამძიმოა, იმიტომაც ჩვენზე უფრო გაუძ-ნელდებათ.

ედიღეი აღარ ჩაძიებია, რატომ ჰგონია აბუტალიფს, ფიქრი ყოველთვის სამძიმოაო. არადა, ტყუილად არ ჩაეძია, შემდეგში ძალიანაც ინანა, ამ საუბარს რომ იგონებდა. უნდა გამოეკითხა, გამოერკვია, რას გულისხმობდა აბუტალიფი.

- მე იმიტომ ვამბობ, - განაგრძო, აბუტალიფმა, თითქოს ედიღეის ეჭვებს უპასუხაო, - რომ პატარებს უფროსები მუდამ ძალიან ჭკვიანები ჰგონიათ. დიდი ავტორიტეტის მქონენი. წამოიზრდებიან, ხედავენ, მასწავლებლები, მაშასადამე, ჩვენ, არც ისე ჭკვიანები ვყოფილვართ და არც ისე ბევრი გვცოდნია, როგორც ეგონათ. სასაცილო და ზოგჯერ კი საცოდავებიც ეჩვენებათ თავიანთი დაბერებული გამზრდელები. დროის ჩარხი თანდათან უფრო სწრაფად ტრიალებს. ისე რომ საბოლოო სიტყვა საკუთარ თავზე ისევ ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენი წინაპრები თქმულებებით ცდილობდნენ ამას, რათა შთამომავლებისთვის დაემტკიცებინათ, რა დიდი ადამიანები იყვნენ. სწორედ მათი სულით ვსჯით ახლა ჩვენ იმათ. მეც ამასვე ვაკეთებ, ჩემი შეძლებისდა მიხედვით, ჩემი შვილებისათვის. ჩემი თქმულებები ჩემი ომის წლებია. მათთვის ვწერ ამ ჩემს პარტიზანულ რვეულებს. რა იყო და როგორ იყო, რა ვნახე და რა გამოვიარე. გაიზრდებიან და გამოადგებათ. გარდა ამისა, სხვა ჩანაფიქრიც მაქვს. ისინი საროზექში უნდა გაიზარდონ. ხოლო რომ წამოიზრდებიან, არ იფიქრონ, ცარიელ-ტარიელ ადგილზე ვცხოვრობდითო. ამიტომაც ჩვენს ძველ სიმღერებს ვიწერ, მათ ხომ მერე ვეღარც მოძებნი. ჩემი გაგებით სიმღერა - წარსულიდან მოსული ცნობაა. შენს უქუბალას თურმე ბევრი სიმღერა სცოდნია. დამპირდა, კიდევ სხვებსაც გავიხსენებო.

- აბა როგორ! არალელი ქალია წარმოშობით! - მყის სიამაყე იგრძნო ედიღეიმ. - ზღვის პირას მცხოვრებ ყაზახთა ქალი! ზღვაზე სიმღერას კი რა სჯობია. ზღვას ყველაფერი ესმის, ყველაფერს იგებს. რასაც არ იტყვი - ყველაფერი გულით ნათქვამი და თანხმიერი გამოდის ზღვაზე.

- ეგ კი მართალი თქვი. ამას წინ გადავიკითხე ჩანაწერები და მე და ზარიფამ კინაღამ ვიტირეთ. რა ლამაზი სიმღერები

ჰქონიათ ჩვენს ძველებს! ყოველი სიმღერა - მთელი ისტორიაა. თვალწინ გიცოცხლდება ეს ხალხი. გინდა სულში ჩაუძვრე, შეუხმატკბილდე, ეზიარო. გიყვარდეს და იტანჯო მათსავით. აი, რა ხსოვნა დაგვიტოვეს. ყაზანგაპის ბუქეიც დავიყოლიე უკვე - შენი ყარაყალპაკეთის სიმღერები გაიხსენე და ცალკე რვეულში ჩავიწერ-მეთქი, ყარაყალპაკური რვეულიც გვექნება-მეთქი...

ასე ტაატ-ტაატით მიჰყვებოდნენ რკინიგზის ხაზს ისინი. ნაზად, ნელინელ ილეოდა დღე, ვით შემოდგომის დამდეგზე იცის. ხომ არც ტყეები, არც მდინარეები, არც მინდვრები გააჩნდა საროზექს, ჩამავალი მზე დედამიწის დაშლის პირზე, შუქ-ჩრდილის თვალშეუსწრები ციგლიგის წყალობით, მაინც სავსედ აჩენდა ტრამალს. ბნდუ, მოძრავი სილურჯე ამ ვეებერთელა სივრცისა ამაღლებულ ფიქრებს ბადებდა, სურვილს გიძრავდა დიდხანს გეცოცლა და ბევრი ფიქრის დრო მოგცემოდა ამ საწუთროში...

- გამიგონე, ედიღეი, - დაიწყო ისევ აბუტალიფმა. გაახსენდა, რაღაც რომ უნდა ეკითხა და შემთხვევასღა ელოდა. - სულ მინდა გკითო. როგორ გგონია, ბუნებაში თუა ისეთი ჩიტი, დონენბაი რომ ჰქვია? ან გინახავს სადმე ასეთი ჩიტი?

- ეს ხომ ლეგენდაა.

- ვიცი, მაგრამ ლეგენდა ხშირად ნამდვილი ამბავია, დასტურ მომხდარი. მაგალითად, ერთი ჩიტია, მოლაღური ჰქვია ჩვენთან, სემირეჩიეში მთელი დღე გალობს მთის ბაღ-ბაღჩებში და სულ კითწულობს: „ჩემი საქმრო ვინაა?“ ეს მხოლოდ ბგერათა თამაშია, ბგერათა თანხმიერება. მაგრამ ზღაპარიც არის, თუ რად მოსძახის ასე. ჰოდა, მეც ვფიქრობ: ასეთი თანხმიერება ხომ არ არის ამ ამბავშიც? იქნებ ბუდობს ტრამალზე ისეთი ფრინველი, რომელიც დონენბაის მსგავს რაღაცას იძახის და ლეგენდაშიაც იმიტომ მოხვდა?

- არა, არ გამიგია, არც მიფიქრია, ასე თუა, - დაეჭვდა ედიღეი. - თუმცა ეს მიდამოები სიგრძივ თუ განივ შემოვლილი მაქვს და ასეთი ფრინველი არ შემხვედრია. ალბათ არც არის.

- შესაძლოა, - ჩაფიქრებით წაილაპარაკა აბუტალიფმა.

- თუ ასეთი ფრინველი არაა, მაშასადამე, არც ეს ლეგენდაა მართალი - შეშფოთდა ედიღეი.

- რატომ არა, რაკიღა ანა-ბეიითის სამარხი დგას, მაშ აქ რაღაც მომხდარა. და მაინც მგონია, რომ ასეთი ფრინველი არის და ვინმე ოდესმე მაინც ნახავს. შვილებისთვის სწორედ ასე ჩავიწერ.

- ჰო, თუ შვილებისთვის ჩაიწერ, - ყოყმანით ჩაილაპარაკა ედიღეიმ, - მაშინ რა უშავს...

რაც თავი ახსოვს ედიღეის, მხოლოდ ორმა კაცმა ჩაიწერა თვის დროზე ნაიმან-ანას საროზექული თქმულება ქაღალდზე. ჯერ აბუტალიფმა თავის ბიჭებისათვის, რომ წამოიზრდებიან, წაიკითხავენო. ეს კი ორმოცდათორმეტი წლის მიწურულს იყო. ის ხელნაწერი დაიკარგა. იმდენი მწუხარება შეხვდათ მას შემდეგ ამისთვის ვისღა ეცალა! ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, ორმოცდაჩვიდმეტ წელს ეს ლეგენდა ელიზაროვმა, აფანასი ივანოვიჩმა, ჩაწერა. ახლა აღარც ელიზაროვია. ხელნაწერი ალბათ მის ქაღალდებში დარჩა ალმა-ატაში... ერთმაც და მეორემაც მეტწილად ყაზანგაპის მონაყოლით ჩაწერეს. ედიღეიც იქ ესწრებოდა,მაგრამ უფრო მოკარნახე-მომგონებლისა და, ასე ვთქვათ, ამხსნელ-გამმარტებლის კვალობაზე.

„ესეც შენი წლები! ღმერთო ჩემო, როდის იყო ეს ყველაფერი!“ - ფიქრობდა ბურანელი ედიღეი, როცა ყაჯრით მორთული ყარანარის კუზებშუა მიირწეოდა. წრე თითქოს შეიკრა. ლეგენდის მთქმელს ახლა თვითონ ეპოვნა სამუდამო განსასვე-

ნებელი იმ სამარხში, რომლის ამბავს ასე სასოებით ინახავდა გულში და სხვებს გადასცემდა.

„ჩვენ ორიღა დავრჩით - მე და ანა-ბეიითი. თუმცა მეც მალე მომიწევს აქ მობრძანება და ადგილის დაკავება. ასე უჩანს პირი“, - ნაღვლიანად ფიქრობდა ედიღეი, რომელიც კვლავ წინ მიუძღოდა ყარანარით უცნაურ სამგლოვიარო პროცესიას. უკან მისაბმელიანი ტრაქტორი მისდევდა, ტრაქტორის უკან ბორბლებიანი ექსკავატორი „ბელარუსი“. მარტოოდენ წითურა ძაღლი ჟოლბარსი, დაკრძალვაზე თვითნებურად წამოცუხცუხებული, თავისდა გუნების მიხედვით ხან თავში მოექცეოდა პროცესიას, ხან კუდში. ხან გვერდით მისდევდა და ხან კი სულაც მცირე ხნით სადღაც გატყვრებოდა... კუდი დიდგულად აეპრიხა და აქეთ-იქით საქმიანად იყურებოდა...

მზე უკვე შუბისტარზე იდგა, შუადღე ახლოვდებოდა. ანა-ბეიითის სამარხამდე არც ისე დიდი გზა დარჩენოდათ...

თავი 8.

ორმოცდათორმეტი წლის დამლევი, უფრო სწორად, მთელი შემოდგომა და დაგვიანებით, მაგრამ უქარბუქოდ შემობრძანებული ზამთარი, მგონი, ყველაზე საუკეთესო ხანი იყო ბორანლი-ბურანის ასაქცევის მაშინდელი ერთი მუჭა მცხოვრებთათვის. ედიღეი მერე კიდევაც შენატროდა იმ დღეებს.

ბორანლელთა პატრიარქი ყაზანგაპი, ფრიად თავდაჭერილი, სხვის საქმეში თავის დღეში რომ არ ჩაერეოდა, მაშინ ჯანზედაც იყო და ძალაც მოსდევდა. მისი საბითჟანი უკვე ქუმბელის ინტერნატში სწავლობდა. ქუთიბაევების ოჯახმა იმ დროისათვის მკვიდრად მოიკიდა ფეხი საროზექში. ბარაკი საზამთროდ დაათბუნეს, კარტოფილი მოიმარაგეს, ზარიფასა და ბიჭებს თექის ჩექმები უყიდეს. ერთი ტომარა ფქვილი თვითონ ედიღეიმ ჩამოუტანა ქუმბელის მუშათა მომარაგების განყოფილებიდან იმხანად უკვე მომძლავრებული ახალგაზრდა ყარანარით. აბუტალიფი ნამუსიანად აკეთებდა თავის საქმეს და მთელ თავისუფალ დროს ყმაწვილებთან ატარებდა, საღამოს კი რაფაზე ლამპას შემოდგამდა და მუყაითად წერდა.

სადგურის მუშების კიდევ ორი-სამი ოჯახიც იყო ასაქცევზე, მაგრამ იმათ აქ დარჩენის პირი არ უჩანდათ. ასაქცევის მაშინდელი უფროსი აბილოვიც კაი კაცი ჩანდა. ბორანლელებიდან არავინ ავადმყოფობდა. ყველა თავის საქმეს უძღვებოდა. ბალღები იზრდებოდნენ. ზამთრისეული სამუშაოები - დარაკების დადგმა იყო თუ გზის შეკეთება - დროულად სრულდებოდა.

უმშვენიერესი დარი იდგა საროზექის კვალობაზე. - პურის ქერქივით ყავისფრად დაბრაწული შემოდგომა! მერე ზამთარიც

ჩამოდგა. თოვლი მაშინვე დადო. ესეც ლამაზი იყო, თეთრად გადაქათქათდა იქაურობა. ამ თეთრ, მდუმარე სივრცეზე შავი ძაფივით გაჭიმულიყო რკინიგზა და დღენიადაგ გრიალით მიქროდნენ ზედ მატარებლები. ამ მოგრიალე გზის გვერდით კი თოვლის ბორცვებთან პაწია დაბა - ბორანლი-ბურანის ასაქცევი მიყუჟულიყო, სულ რამდენიმე სახლი და სხვადასხვა ნაგებობანი... მგზავრები გულგრილად გადმოხედავდნენ ხოლმე ვაგონებიდან ამ სახლებს, ვის წამიერი სიბრალულიც გაუკრთებოდა ასე ეულად მცხოვრებ ადამიანებისადმი...

მაგრამ წამიერად შესაბრალისიც კი არაფერი ჰქონდათ ბორანლელებს. მათთვის ეს ჩინებული წელი გახლდათ, თუ ზაფხულის იმ არნახულ პაპანაქებას არ ჩავთვლით, რომელმაც უკვე განვლო. ცხოვრება ომის შემდეგ ყველგან მძიმე-მძიმედ, მაგრამ მაინც უკეთ ეწყობოდა, ახალი წლისათვის ისევ ფასების დაკლებას ელოდებოდნენ სანოვაგესა თუ სამრეწველო საქონელზე. მართალია, მაღაზიებში ყველაფერი უხვად არ ეყარა, მაგრამ წლიდან წლამდე მაინც უმჯობესდებოდა მდგომარეობა.

ჩვეულებრივ ბორანლელებისთვის დიდი ზეიმი არ გახლდათ ახალი წელი, გულის ფანცქალით არ ელოდნენ შუაღამეს. სამუშაო სამუშაო იყო. საქმე საქმე, მატარებლები მიდი-მოდიოდნენ, სულაც არ ანაღვლებდათ, სად და როდის მოუსწრებდათ გზაში ახალი წელი, თანაც ზამთრის ხანს ოჯახში საქმემ იმატა. ღუმელს დანთება უნდოდა, საჩეხეებსა თუ საძოვარზე საქონელს მიხედვა. მთელი დღე იქანცებოდა კაცი, დასვენება და ადრე დაძინება ყველაფერს ერჩივნა.

ასე მისდევდა წელი წელს... მაგრამ ორმოცდაცამეტის ახალი წელი ჭეშმარიტი დღესასწაული გამოდგა ბორანლი-ბურანში და, რა თქმა უნდა, ქუთიბაევების ოჯახის წყალობით. საახალწლო სამზადისში ედიღეი სულ ბოლოს ჩაება. ქუთიბაევებმა გა-

დაწყვიტეს ბავშვებისთვის ნაძვის ხე მოეწყოთ. საროზექში კი ნაძვის ხეზე უფრო ადვილად დინოზავრის კვერცხს მოძებნიდი კაცი, აკი აღმოაჩინა ელიზაროვმა საროზექში მილიონობით წლების უკან ნამარხი დინოზავრის კვერცხები გეოლოგიურ ბილიკებზე ხეტიალისას. ქვად ქცეულიყო ვეებერთელა, საზამთროს ოდენა კვერცხები. ისინი ალმა-ატას მუზეუმში წაიღეს. გაზეთებშიაც დაიბეჭდა ეს ამბავი.

სხვა რა გზა იყო, იმ ყინვაში ქუმბელში გაემგზავრა აბუტალიფ ქუთიბაევი. იქაური ადგილკომი ძლივს დაითანხმა, რომ ამ დიდ სადგურზე გამოგზავნილი ხუთი ნაძვის ხიდან ერთი ბორანლი-ბურანისთვის გამოეყოთ. აქედან დაიწყო ყველაფერი.

სწორედ საწყობთან იდგა ედიღეი, ასაქცევის უფროსისგან ახალ სამუშაო ხელჯაგებს იბარებდა, როცა ღრჭიალითა და ყინულის ლაწალუწით ჩამოდგა პირველ ლიანდაგზე ტრამალის ქარებისაგან დაღრეკილი გრძელი სატვირთო მატარებელი ოთხღერძიანი დაპლომბილი ვაგონებით. ბოლო ვაგონის ღია ბაქნიდან რის ვაივაგლახით ჩამოძვრა აბუტალიფი, ჩექმები ყინულად ქცეოდა. გაფიჩხულ ფეხებს ძლივას ადგამდა. ბაქანზე ამ მატარებლის გამყოლი იდგა, უზარმაზარი ტყაპუჭი ეცვა, ბეწვის ქუდი გულდაგულ ჩამოფხატა, ტანს ძლივს ატრიალებდა, აბუტალიფს რაღაც დიდი შეხვეული ჩამოაწოდა. ნაძვის ხე იქნებაო, მიხვდა ედიღეი და მართლა გაოცდა.

- ჰეი, ედიღეი ბურანელო! აქ მო, მოეხმარე ამას! - დაუძახა გამყოლმა, რომელიც მთელი თავისი ვეებერთელა ტანით ვაგონის კიბეზე გადმოყუდებულიყო.

ედიღეი საჩქაროდ გაეშურა მათკენ. აბუტალიფის დანახვაზე შეშინდა კიდეც. წარბებამდე თოვლს დაეფარა აბუტალიფი, ისე გათოშილიყო, ტუჩებს ვეღარ ატრიალებდა, ხელებს ვეღარ

ამოძრავებდა. გვერდით ნაძვის ხე ედგა, ის ეკლიანი ხე, რომ-ლის გამოც ლამის იმ ქვეყანას გაემგზავრა.

- ასე როგორ გამოუშვით ეს კაცი! - უკმაყოფილოდ ჩაიხ-რიწინა გამყოლმა. - უკანა ბაქანზე ლამის სული გააფრთხობინა ქარმა. ჩემი ტყაპუჭი მინდოდა მიმეცა, მაგრამ მეც რომ გავიყი-ნებოდი!

აბუტალიფმა ძლივას აამოძრავა ტუჩები:

- უკაცრავად, ასე მოხდა. აქვე ვცხოვრობ, ხელად გავთბე-ბი.

- განა არ ვუთხარი, - ბუზღუნით მიუბრუნდა კონდუქტორი ედიღეის, - მე აგერ ტყაპუჭი მაცვია, ტყაპუჭის შიგნით დაბამბული ტანსაცმელი, თექის ჩექმები, ქუდი და მაინც, ვინემ გადასარბენს მოვითავებ და ცვლას ჩავაბარებ, ლამის თვალები გადმომცვივ-დეს: ასე როგორ იქნება!

ედიღეიმ აღარ იცოდა, რა ეთქვა.

- კარგი კარგი, ტროფიმ, გავითვალისწინებთ! მადლობე-ლი ვართ. აბა, მშვდობით გემგზავროს! - უთხრა ეს და ნაძვის ხეს დაავლო ხელი. დიდი ხე არ იყო, კაცის სიმაღლე იქნებოდა. სიცივე და ზამთრის ტყის სუნი დააყენა ნაძვის წიწვებმა. გულმა რეჩხი უყო ედიღეის - გაახსენდა ფრონტი, იქაური ტყეები. ჰაუ, რა ნაძვნარი იყო! ტანკებით ზედ გადადიოდნენ, ჭურვებით ძირ-ფესვიანად თხრიდნენ. განა ოდესმე იფიქრებდა, ნაძვის სურ-ნელი თუ ასე ეძვირფასებოდა.

-წავიდეთ, - ედიღეიმ ნაძვის ხე მხარზე შეიგდო და აბუტა-ლიფს შეხედა.

სახე განაცრისფერებოდა აბუტალიფს. გათოშილ ლოყებ-ზე ცრემლები შეყინვოდა, წარბები გათეთრებოდა. მაგრამ თვა-ლა სიხარულითა და ზეიმით უბრწყინავდა. ედიღეი ანაზდად ში-შიშმა აიტანა: დაუფასებენ კია შვილები ასეთ ერთგულებას? ხში-

რად ხომ პირიქით ხდება. მადლიერებას გულგრილობა და ხანდახან სიძულვილიც ცვლის. „ღმერთმა დაიფაროს ამისაგან. სხვა უბედურებაც ეყოფა!“ - გაიფიქრა გულში.

ნაძვის ხე პირველად ქუთიბაევების პირმშო დაულმა დაინახა დაინახა და სიხარულით შეჰყვირა. ბარაკის კარიდან გამოსხლტა, ზარიფაც და ერმექიც ზედა ჩასაცმელის გარეშე გამოცვივდნენ.

- ნაძვის ხე, ნაძვის ხე! შეხე, შეხე, რა ნაძვის ხეა - ზეიმობდა დაული და ასკინკილას უვლიდა გარშემო.

ზარიფა არანაკლებ ხარობდა:

- მაინც იშოვე! აი, ყოჩაღ!

ერმექს თურმე ნაძვის ხე არასოდეს ენახა, ამიტომაც თვალს ვერ აშორებდა ძია ედიღეისა და მის ტვირთს.

- ესაა ნაძვის ხე, დედი? კარგია, ხომ? ჩვენთან იცხოვრებს?

- ამ დაწყევლილი ნაძვის გამო ქმარი კინაღამ გაგეყინა, ზარიფა, - უთხრა ედიღეიმ. - ჩქარა შინ შეიყვანე და გაათბე. პირველ ყოვლისა ჩექმები გახადე.

ჩექმები ისე გაყინულიყო, როცა ყველა ერთად დაექაჩა გასახდელად, აბუტალიფს სიმწრისაგან სახე დაემანჭა, პირმოკუმული კვნესოდა. მეტადრე ბიჭები ბეჯითობდნენ, პაწია ხელებით ებღაუჭებოდნენ მძიმე ჩექმებს. ყინვას ქვად და რკინად ექცია ისინი.

- ხელს ნუ მიშლით, ბავშვებო, მე გავხდი! - იშორებდა შვილებს დედა..

მაგრამ ედიღეიმ ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

- თავი გაანებე, ზარიფა, დაე გაისარჯონ.

გუმანით მიხვდა ედიღეი, რომ ყველაზე დიდი ჯილდო - შვილების სიყვარული და თანაგრძნობა იყო აბუტალიფისთვის. შასადამე, უკვე ადამიანები არიან, მაშასადამე, უკვე რაღაც ეს-

მით, ყველაზე სასაცილო მაინც უმცროსი ჩანდა. რატომღაც მამუკის ეძახდა ერმექი მამას. ასე თავისებურად გადააკეთა ერთ-ერთი ის სიტყვა, დასაბამიდან ყველაზე პირველად რომ წარმოთქვამს ხოლმე ადამიანი, არც არავის გაუსწორებია ერმექისათვის მერე, ასე არ უნდაო.

- მამუკი! მამუკი! - ფაციფუცობდა გულმოდგინებისგან ლოყებდაწითლებული ბიჭი. კულულები აფუშფუშებოდა, თვალებში სურვილი უბრწყინავდა მამას მიხმარებოდა, სახე კი ისე დადინჯებოდა, უნებურად გაგეცინებოდა.

არა, რაღაც უნდა მოეფიქრებინა ედიღეის, ბიჭები რომ მიზანს სწეოდნენ, - და მოიფიქრა კიდეც. ჩექმები უკვე გამლხვალიყო, ისე რომ შეიძლებოდა თითქმის უმტკივნეულოდ გაეძრო აბუტალიფს.

- აბა, ბიჭებო, უკან მომისხედით, ვითომ მატარებელი ვართ. დაულ, შენ მე მომეჭიდე, ერმექ, შენ - დაულს. აბუტალიფი მიუხვდა ზრახვას ედიღეისა და მოწონებით დაუქნია თავი. სითბოში ცრემლები მოსდგომოდა თვალებზე.

ედიღეი აბუტალიფის წინ დაჯდა, უკან ბიჭები ჩარიგდნენ ვაგონებივით.

- აბა, ბიჭებო, ერთად დავეჭიდოთ, აბა ღონივრად! - დაიწყო ედიღეიმ, - თორემ მე მარტო ვერას გავხდები, ამდენი ძალა ვინ მომცა, მიდით, დაულ, ერმექ! რაც ძალი და ღონე გაქვთ!

ბიჭები ერთი ხვნეშა-ხვნეშით ცდილობდნენ დახმარებას. ზარიფა გულშემატკივრობდა. ედიღეის ვითომ ძალიან უჭირდა, ვერ ერეოდა ჩექმას. და როცა ბოლოს ცალი ჩექმა წააძრეს აბუტალიფს, ბიჭებმა გამარჯვების კიჟინა დასცეს. ზარიფა უმალ მიიჭრა ქმართან და შალის ნაქსოვით ფეხისგულის ზელა დაუწყო, მაგრამ ედიღეიმ შეაჩერა:

- ეგ როგორ იქნება, აბა რას აკეთებთ დედა-შვილები? მეორე ჩექმა ვინ გააძროს? კაი იქნება ასე დავტოვოთ მამა, ცალი შიშველით და ცალი კი გაყინული ჩექმით?

რატომღაც ყველას კისკისი აუტყდა. სიცილისაგან დიდხანს იკოტრიალეს იატაკზე. მეტადრე ბიჭებმა და აბუტალიფმა იცინეს ბევრი.

შემდეგში, როცა იმ საშინელი ამოცანის ამოხსნა უცდია, ბევრჯერ უფიქრია ბურანელ ედიღეის: სადღაც, ბორანლი-ბურანიდან ძალიან შორს; იქნებ სწორედ იმ წუთას ამოტივტივდა კვლავაც აბუტალიფ ქუთიბაევის სახელი ქაღალდზე და ხალხი, ვისაც ეს ქაღალდი ედო წინ, მისი მიხედვით წყვეტდნენ საკითხს, რომელიც არც ამ ოჯახსა და არც ასაქცევზე მცხოვრებთ არ მოაფიქრდებოდათ და არც დაესიზმრებოდათ.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ამბავი. თუმცა ამ საქმეებში უფრო გამოცდილი და უფრო ეშმაკი კაცი რომ ყოფილიყო ედიღეი, მიხვედრით თუ ვერ მიხვდებოდა, გაურკვეველ შიშს მაინც უნდა აეტანა.

მაგრამ შიშს მაშინ რად უნდა აეტანა? წლის ბოლოსათვის ასაქევზე მუდამ ჩამოდიოდა უბნის რევიზორი. გრაფიკის მიხედვით ჩამოივლიდა ხოლმე ყოველ ასაქცევსა და სადგურს, გაჩერდებოდა ორიოდე დღე, შეამოწმებდა, ხელფასი როგორ დარიგდა, მასალები როვორ გაიხმარეს და სხვა და სხვა, დასწერდა რევიზიის აქტს ასაქცევის უფროსსა და რომელიმე მუშასთან ერთად და ისევ ერთ-ერთ მატარებელს გაჰყვებოდა. განა რა დიდი საქმეები იყო ასაქცევზე! ედიღეისაც ბევრჯერ მოუწერია ხელი რევიზიის აქტზე. ამჯერად სამი დღე დაჰყო რევიზორმა ბორანლი-ბურანში. ღამეს ასაქცევის მთავარ შენობაში ათევდა, სადაც ტელეფონი იდგა და კიდევ უფროსის ოთახი იყო, კაბინეტად რქმეული. ასაქცევის უფროსი აბილოვი წამდაუწუმ შერბო-

და და ჩაი შეჰქონდა ხოლმე ჩაიდნით. ედიღეიმაც მიაკითხა რევიზორს. ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა კაცი და თუთუნს აბოლებდა. იქნებ ვინმე ნაცნობთაგანი იყოსო, იფიქრა ედიღეიმ, მაგრამ არა, ამას არ იცნობდა, ლოყებღაჟღაჟა კაცი იყო, სათვალიანი, მეჩხერკბილება, თმაში ჭაღარა გარეოდა. უცნაური, თითქო ლორწო ღიმილი უკრთოდა თვალებში.

გვიან საღამოს ისევ შეხვდა. ცვლიდან მოდიოდა ედიღეი. დაინახა სამორიგეო შენობის წინ, ფარნის ქვეშ ბოლთას სცემდა რევიზორი. კრაველის საყელო აეწია, კრაველისავე ქუდი ეხურა, სათვალე ეკეთა, ჩაფიქრებული აბოლებდა, ჩექმებს დააჭრიჭინებდა ხვინჭაზე.

- საღამო მშვიდობისა. გასაბოლებლად გამობრძანდით? დაიღალეთ? - უთანაგრძნო ედიღეიმ.

- მაშ, როგორ, - ოდნავ გაიღიმა იმ კაცმა. - ადვილი კი · არაა, - და ისევ მკრთალმა ღიმილმა გადაურბინა პირზე.

- ცხადია ასე იქნება, - ზრდილობის ხათრით წაილაპარაკა ედიღეიმ.

- ხვალ დილას მივემგზავრები, - აუწყა რევიზორმა. - მეჩვიდმეტე ჩამოივლის, გაჩერდება და იმას გავყვები. - ისევ მკრთალად გაიღიმა კაცმა. მოგუდული ხმა ჰქონდა, თითქოს ლაპარაკი უჭირდა. თვალები კი მოწკურვით გიცქერდნენ. - მაშ თქვენ ბრძანდებით ედიღეი ჟანგელდინი? – ჰკითხა რევიზორმა.

- დიახ, მე გახლავარ.

- ასედაც მეგონა, - რევიზორმა თავდაჯერებით გამოაბოლა მეჩხერი კბილებიდან. - ყოფილი ფრონტელი. ასაქცევზე ორმოცდაოთხიდან ცხოვრობთ. რკინიგზის მუშაკები ბურანელს გეძახიან,

- მართალს ბრძანებთ, - მიამიტად მიუგო ედიღეიმ. ეამა, ამ კაცმა რომ ამდენი რამ იცოდა მასზე, თუმცა კი გაუკვირდა, ნეტა რაში დასჭირდა ამ ამბების გარკვევა, რამ დაამახსოვრაო.

- მე კარგი მეხსიერება მაქვს, - ისევ მკრთალი ღიმილით განავრცო რევიზორმა, მიხვდა ალბათ, რაც გაიფიქრა ედიღეიმ. - ამ თქვენი ქუთიბაევივით მეცა ვწერ, - თავი გაიქნია და განათებული ფანჯრისკენ გაუშვა ბოლი რევიზორმა, სადაც, როგორც ყოველთვის, აბუტალიფის თავი ჩანდა, თავის ჩანაწერებს მისჯდომოდა. - მესამე დღეა ვუყურებ, სულ წერს და წერს. მესმის, მე თვითონაც ვწერ, ოღონდ ლექსებს. დეპოს გაზეთში თითქმის ყოველთვე ვიბეჭდები, იქ ჩვენ ლიტერატურული წრე გვაქვს. მე ვხელმძღვანელობ. საოლქო გაზეთებშიც დამიბეჭდეს რვა მარტზე ლექსი. წლეულს კი - პირველ მაისზე.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა. ედიღეი ის იყო უნდა დამშვიდობებოდა და წასულიყო, რომ რევიზორმა ისევ ჰკითხა:

- იუგოსლავიაზე წერს, ხომ?

- მართალი გითხრათ, კარგად არ ვიცი, - მიუგო ედიღეიმ. - მგონი, კი. ეგ ხომ იქ დიდხანს პარტიზანობდა. თავის შვილებისთვის სწერს.

- ვიცი. აბილოვს გამოვკითხე. თურმე ტყვეობაშიც ყოფილა. თითქოს რომელიღაც წლებში უმასწავლებლია კიდეც. ახლა კი კალმით გადაუწყვეტია თავის გამოჩენა, - ისე ჩაიცინა, თითქოს კბილები გააღრჭიალაო რევიზორმა, - თუმცა ეს არც ისე იოლია. როგორც ჩანს. მეც ვფიქრობ დიდი რაღაც დავწერო ფრონტზე, ზურგზე, შრომაზე. მაგრამ ჩვენს ძმას დრო ვინ მისცა. სულ მივლინებებში გვაგზავნიან...

- ეგეც საღამოობით იცლის ხოლმე, დღე მუშაობს, - ჩაურთო ედიღეიმ.

ისევ დადუმდნენ. ედიღეიმ ვერც ახლა მოასწრო გაცლა.

- აბა უყურე, სულ წერს და წერს, თავს ზევით არ იღებს. – ისევ ცალყბად გაიღმიჭა რევიზორი და აბუტალიფის ლანდს დააკვირდა ფანჯარაში.

- რაღაც ხომ უნდა აკეთოს კაცმა, - მიუგო ედიღეიმ. - წიგნიერი კაცია. ირგვლივ არავინაა და არაფერია. ჰოდა, ეგეც სწერს.

- ოჰო, ეგ სწორი თქვით. ირგვლივ არავინაა და არაფერია, თვალები მოწკურა და ჩაფიქრებით ჩაიბურტყუნა რევიზორმა: - კაცი შენს ნებაზე ხარ, ირგვლივ არავინაა და არაფერია. ეგ კი კარგი აზრი მომაწოდეთ... შენ კი შენს ნებაზე ხარ...

ამ სიტყვებზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. შემდეგ დღეებში სულ ფიქრობდა ედიღეი, არ დამავიწყდეს, რევიზორთან ის შემთხვევით საუბარი აბუტალიფს ვუთხრაო, მაგრამ როგორღაც დრო ვერ იხელთა, მერე კი სულ გადაავიწყდა.

ზამთარი ახლოვდებოდა. საქმე ბევრი იყო. რაც მთავარია, ყრანარმა სულ აიშვა და აიწყვიტა. შავ დღეში ჩააგდო პატრონი, ორი წლის უკან მომწიფდა, როგორც ათანშა[13], ყარანარი. მაგრამ იმ ორ წელს კიდევ შეიძლებოდა მისი დამორჩილება, დაშინება, თუკი დაუყვირებდი. თანაც ბორანლელთა ჯოგის ბებერი ლიონი - ყაზანგაპის ნარაქლემი ფრთებს არ აშლევინებდა, წიხლავდა და კბენდა, დედლებს ახლოს არ აკარებდა. მაგრამ ტრამალი დიდია, ერთი კიდიდან რომ გააგდებდნენ ყარანარს, მეორიდან შემოუტევდა. მთელი დღე ასე დაარბენინებდა ბებერ ათანს ახალგაზრდა ფიცხი ათანი, ვინემ სიქას არ გააცლიდა, მერე კი მაინც გაჰქონდა თავისი.

მაგრამ როცა ზამთრის ყინვები გამეფდა და აქლემებს კვლავ ძველებურად სისხლი აუჩქროლა ბუნებამ, ბორანლელ-

[13] ახალგაზრდა ათანი, ლიონი

თა ჯოგის ბელადად ყარანარი იქცა. ძლიერმა, უკვე ყოვლის-შემმუსვრელი ძალის მქონე ყარანარმა სულ იოლად მიიმ-წყვდია ყაზანგაპის ათანი ხრამის კიდეზე უკაცრიელ ტრამალში და ისე სცემა, დაწიხლა და დაკბინა, სიკვდილის პირამდე მიიყ-ვანა ბებერი აქლემი, რამეთუ გამშველებელი ირგვლივ არავინ იყო. ბუნება თანამიმდევრულად მისდევდა თავის ულმობელ კა-ნონს - ახლა ყარანარის ჯერი დადგა შთამომავლობის გაჩენისა.

ამის თაობაზე მაშინ პირველად წაიკინკლავეს ყაზანგაპმა და ედიღეიმ, გულმა არ მოუთმინა ყაზანგაპს, როცა ეს საცოდავი სურათი - ხრამის ქვეშ თავისი დაწიხლული და გათელილი ათა-ნი ნახა. საძოვრიდან მოჟამული დაბრუნდა და ედიღეის უთხრა:

- ეს როგორ ჰქენი? ეგენი თუ პირუტყვებია, ჩვენ ხომ კაცნი ვართ! შენმა ყარანარმა ხომ მკვლელობა ჩაიდინა. ასე უპატრო-ნოდ რატომ გაუშვი ტრამალზე!

- მე არ გამიშვია, ყაზაქე, თვითონ წავიდა. მითხარი, როგორ გავაჩერო? ჯაჭვით დავაბა? ეგ ჯაჭვსაც აწყვეტს. თვითონაც იცი, ტყუილად არ უთქვამთ ძველად: „ყიუშ ათასინ თანიმაიდი“[14]. მაგისი ჟამიც დადგა.

- შენ კი გიხარია! მაგრამ დაიცა, ჯერ სადა ხარ: გეცოდება. არ გინდა ნესტოები გაუხვრიტო და შიში[15] გაუყარო, მაგრამ ცხა-რე ცრემლებით გატირებს, უკან დევნით ღდინს გაგაცლის. მის-თანა პირუტყვი ერთ ჯოგს არ იკმარებს, მთელი საროზექის ტრამალებს მოირბენს და ყველას შეებმება. ვერც დააკავებ და დაიმორჩილებ. მაშინ გაიხსენებ ჩემს სიტყვებს...

---

[14] ძალა მამასაც არ ინდობს

[15] ხის ნაჭერი, ზედა ტუჩზე რომ უყრიან აქლემს

აღარ დაუწყია დავა, აღარ გააჯავრა ყაზანგაპი ედიღეიმ, თუმცა კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო. ამიტომ ესღა ჩაიბურტყუნა.

- შენ თვითონ არ მაჩუქე, როცა ძუძუმწოვარა იყო, ახლა კი მეჩხუბები. კარგი. რამეს მოვიფიქრებ, რაღაცას გავახერხებ, ქედი რომ მოვადრეკინო.

მაგრამ ნესტოები გაეხვრიტა, ხის შიში გაეყარა, ყარანარისთანა ლამაზი აქლემი დაემახინჯებინა, ეს ვეღარ გააკეთა ედიღეიმ, გულმა არ უქნა. შემდეგში, ვინ მოთვლის, მართლაც რამდენჯერ გაიხსენა ყაზანგაპის ნათქვამი, გაცოფებულმა რამდენჯერ დაიფიცა, არაფერს აღარ მივხედავო, და მაინც ხელი არ ახლო აქლემს. ერთი პირობა კიდეც გადაწყვიტა, დავკოდავო, მაგრამ ვერ გაბედა. ვერ მოერია თავს. წლები კი მიდიოდა და ყოველ წელს ზამთრის ყინვების დადგომისთანავე იწყებოდა ისევ ტრამალებში ხეტიალი ვნებისგან გაგიჟებული და გააფთრებული ყარანარის საძებრად...

იმ ზამთრიდან დაიწყო ყველაფერი. ეს კარგად ახსოვს ედიღეის. ვინემ ყარანარს მოარჯულებდა, ვინემ საჩეხს გააკეთებდა მის დასამწყვდევად, ახალმა წელმაც მოაღწია. ქუთიბაევებმა ნაძვის ხის მოწყობა განიზრახეს. ბორანლელი გოგო-ბიჭებისთვის. ეს დიდზე დიდი დღესასწაული გამოდგა. უქუბალა თავისი გოგოებით ლამის ქუთიბაევების ბარაკში დასახლდა. მთელი დღე ნაძვის ხის მორთვის სამზადისში იყვნენ. სამსახურში წასვლამდე და იქიდან მობრუნებისას ედიღეიც პირველად ქუთიბაევებს შეაკითხავდა იმის სანახავად, ნაძვის ხის საქმე როგორაა. თანდათან ლამაზდებოდა და ირთვებოდა ნაძვი ლენტებით, ხელით ნაკეთები ნაირ-ნაირი სათამაშოებით. მართლა იყოჩაღეს ქალებმა - ზარიფამ და უქუბალამ თავი გადადეს, პატარებისთვის მთელი თავისი ოსტატობა აჩინეს. მარტო ნაძვის

ხის გამო არ იყო ეს ყველაფერი, ამ ახალი წლისგან ბევრ რასმე გამოელოდნენ, ანგარიშმიუცემლად ყველას იმედი ჰქონდა, მალე იქნება ცვლილებები, ბედნიერი ცვლილებებიო.

აბუტალიფი ნაძვის ხეს აღარ დასჯერდა. მთელი გოგობიჭობ, გარეთ გამოიყვანა, თოვლის დიაცი გააკეთებინა. ედიღეის ჯერ ეგონა, უბრალოდ ერთობიან, თავს იქცევენო, მერე კი თვითონაც მოეწონა. უზარმაზარი, სასაცილოზე სასაცილო თითქმის ადამიანის სიმაღლე თოვლის დიაცი, ნახშირის თვალებითა და წარბებით, წითელი ცხვირით, თავზე ყაზანგაპის გაქუცული მალახაით, მოღიმარი იდგა ასაქცევის წინ და მატარებლებს ეგებებოდა. ცალ „ხელში“ რკინიგზელის მწვანე ალამი ეჭირა - გზა ხსნილიაო, მეორეში კი - ფიცარი, რომელზედაც ეწერა: „მოგვილოცნია ახალი 1953 წელი!“ ზორბად კი გამოვიდა მართლა! ახალი წლის მერმეც დიდხანს იდგა ეს თოვლის დიაცი...

მიმავალი წლის 31 დეკემბერს მთელი დღე დაბინდებამდე თამაშობდნენ ბორანლელი გოგო-ბიჭები ხან ნაძვის ირგვლივ და ხან ეზოში.. ასევე ერთობოდნენ მოზრდილებიც, ვინც იმ დღეს არ მორიგეობდა. დილას უამბო აბუტალიფმა ედიღეის, გათენებისას როგორ შემოუძვრნენ საწოლში ბიჭები, ქსუტუნებდნენ, წრიალებნენ. აბუღალიფმა კი თავი მოიმძინარა თურმე.

„– ადექი, ადექი, მამუკი! - მაჯანჯღარებს ერმექი, - თოვლის ბაბუა მალე ჩამოვა და უნდა შევხვდეო.

- კარგი, - მე ვუთხარი, - ახლავე ავდგებით, დავიბანთ, ჩავიცვამთ და წავალთ. ხომ შეგვპირდა თოვლის ბაბუა, ჩამოვალო.

- რომელი მატარებლით? - მკითხა ახლა უფროსმა.

- რომლითაც უნდა, - ვუთხარი, - თოვლის ბაბუას ჩვენს ასაქცევზე ყველა მატარებელი გაუჩერებს!

- მაშინ ჩქარა უნდა ავდგეთ!

დიდი ამბით მოვემზადენით.

-დედა არ წამოვა? - მკითხა დაულმა, - დედასაც ხომ უნდა თოვლის ბაბუას ნახვა?

- აბა როგორ, - ვუთხარი, - დედასაც დაუძახეთ.

ყველანი ერთად გამოვედით სახლიდან. ბიჭებმა გაგვასწრეს, სამორიგეოსკენ გაიქცნენ. ჩვენ უკან მივყევით. დარბიან ჩემი ბიჭები, ირგვლივ უვლიან, თოვლის ბაბუა კი არა ჩანს და არა.

- მამუკი, სადაა თოვლის ბაბუა?

ხომ იცი, რა თვალები აქვს ერექს, აფახულებს, ისე მიყურებს..

- ნუ ჩქარობთ, ახლავე გავიგებ მორიგესთან.

სამორიგეოში კი წინადღითვე მქონდა დამალული თოვლის ბაბუას წერილი და საჩუქრების პარკი. გამოვედი თუ არა იქიდან, მომცვივდნენ:

- რაო, მამუკი?

- თოვლის ბაბუას თურმე წერილი დაუტოვებია თქვენთვის. აი, რასა გწერთ: „ჩემო ძვირფასო ბიჭუნებო- დაულ და ერმექ! თქვენს განთქმულ ბორანლი-ბურანზე ძალიან ადრე, დილის ხუთ საათზე ჩამოვედი, როცა თქვენ გეძინათ, ძალიან ციოდა. მეც ხომ ცივი ვარ, წვერი ყინულის მატყლისა მაქვს. მატარებელი მხოლოდ ორი წუთით შეჩერდა. ისღა მოვასწარი, წერილი დამეწერა და საჩუქრები დამეტოვებინა თქვენთვის. მაგ პარკიდან თითო-თითო ვაშლი და ორ-ორი კაკალი ასაქცევის ყველა გოგობიჭს ჩამოურიგეთ. ნუ შემიწყრებით, წინ ძალიან ბევრი საქმე მაქვს. სხვა ბავშვებთან უნდა წავიდე, ისინიც მიმელიან. თქვენთან კი მომავალ ახალ წელს ჩამოვალ და უთუოდ გნახავთ. ახლა ნახვამდის. თქვენი თოვლის ბაბუა აიაზ-ათა“. დაიცათ, აქ რა-

ღაცაა კიდევ მიწერილი, ჰაიჰარად მიუჯღაბნია, ვერ გაარჩევ. ალბათ მატარებელი უკვე დაიძრა. ჰოო, გავარჩიე: „დაულ, შენს ცუგას ნუ სცემ, გავიგონე, ერთხელ კალოზე რომ დაარტყი, როგორ აწკმუტუნდა. მაგრამ მეტჯერ არ გამიგია. ალბათ ახლა უკეთ ექცევი. ესაა და ეს. ისევ და ისევ თქვენი თოვლის ბაბუა აიაზ-ათა“ დაიცა, დაიცა, კიდევ რაღაც მიუწერია. ჰოო, მივხვდი: „თოვლის დიაცი ძალიან მომეწონა, ყოჩაღ თქვენ, მე მას ხელი ჩამოვართვი“.

იცი, როგორ გაეხარდათ. თოვლის ბაბუას წერილმა მაშინვე ყველაფერში დაარწმუნა ბიჭები. გული არ დაწყვეტიათ: ოღონდაც კამათი დაიწყეს, არა მე წავიღებ საჩუქრების პარკს და არა მეო. მაშინ დედამ მოარიგა ერთმანეთში:

- პირველ ათ ნაბიჯზე დაული წაიღებს, იმიტომ რომ უფროსია, მეორე ათ ნაბიჯზე კი შენ, ერმექ, რადგან უმცროსი ხარ...“

გულიანად იცინა ედიღეიმ: „აბა უყურე, თუმცა მაგათ ადგილზე მეც დავიჯერებდი“.

სამაგიეროდ დღისით ყველაზე დიდი სახელი ძია ედიღეიმ მოიხვეჭა გოგო-ბიჭებში. მარხილით ასეირნა ისინი. ყაზანგაპს ჰქონდა ძველი მარხილი. შეუბეს მარხილს ყაზანგაპის თვინიერი აქლემი, მკერდზე ცალუღს რომ არ უცხოობდა - ყარანარს ასეთი რამ არ ენდობოდა. შეაბეს აქლემი და ყველანი ერთად წავიდნენ. რა ჟრიამული და ჟივილ-ხივილ იდგა! ედიღეი მეეტლედ იჯდა, ბავშვები ზედ ეხვეოდნენ, ყველას მის გვერდით უნდოდა ჯდომა, ყველა ეხვეწებოდა: „გააქანე, გააქანე მარხილი!“ აბუტალიფი და ზარიფა ხან ნელა, ხან სრბილით მისდევდნენ, დაღმართებზე კი თვითონაც ჩამოსხდებოდნენ ხოლმე მარხილის კიდეზე. ასაქცევს ორ კილომეტრზე რომ გაშორდნენ, გორაზე მოატრიალეს მარხილი და ქვემოთ დაეშვნენ. დაიღალა აქლეში, ცოტა ხანს შესვენება დასჭირდა.

მშვენიერი დარი იდგა. თეთრად მოქათქათე უსაზღვრო საროზექზე პირველქმნილი მდუმარება სუფევდა. გარშემო ტრამალი გადაჭიმულიყო, მის მაღლობებს, ბორცვებს და ვაკეებს თოვლის იდუმალი საბანი ეფარა. ცა მკრთალად აშუქებდა, ნაშუადღევის წყნარ სითბოს ღვრიდა. ნიავი ნაზად ელამუნებოდა ყურს. წინ რკინის ლიანდაგზე, გრძელი წითელი მატარებელი მიდიოდა, ორ შავ ორთქლმავალს მიჰყავდა. მილებიდან რგოლ-რგოლად ამოდიოდა კვამლი და ჰაერში ნელა დნებოდა. სემაფორთან მიახლოებისას ორთქლმავალმა ხანგრძლივად დაჰკივლა. დაჰკივლა ორჯერ - მოვდივარო, აუწყა. მატარებელი არ შეჩერებულა, სვლა არ შეუნელებია, ისე ჩაუგრიალა ასაქცევს. ჩაუარა სემაფორებს, რკინიგზის ხაზს უშნოდ მიწებებულ ექვსიოდე პატარა სახლს, თუმცაღა ირგვლივ ამოდენა სივრცე იყო. ჩაიარა მატარებელმა ისევ მიწყნარდა, მიჩუმდა ყველაფერი. ირგვლივ არაფერი არ მოძრაობდა. მხოლოდ ბორანლელთა სახურავებიდან იკლაკნებოდა იისფერი კვამლი. ყველა ჩუმად იყო. სეირნობით გახურებული გოგო-ბიჭებიც წამით გაირინდნენ. ზარიფამ ხმადაბლა, მარტო ქმრის გასაგონად ჩაილაპარაკა:

- რა კარგია და თან რა საზარი!

- მართალი ხარ, - ასევე ხმადაბლა მიუგო აბუტალიფმა.

ედიღეის თავი არ მოუბრუნებია, ისე ალმაცერად გახედა ცოლქმარს - როგორ ჰგავდნენ ერთმანეთს. ზარიფას ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით ნათქვამმა გული ატკინა ედიღეის, თუმცაღა გასაგონად არ იყო თქმული. უეცრად მიხვდა, რა შიშსა და გულისწუხილს ჰგვრიდა ქალს ეს პატარა სახლები, კვამლი ბოლქვებად რომ ასდიოდა. მაგრამ რა უნდა ეშველა ედიღეის, რკინიგზასთან მიყუჟული ეს სახლები ხომ ერთადერთი თავშესაფარი იყო ყველასთვის.

მათრახი გადაჰკრა აქლემს ედიღეიმ, ასაქცევისკენ გააქანა.

ახალი წლის წინა ღამეს ყველა ბორანლელი ედიღეისთან შეიყარა, ასე გადაწყვიტეს რამდენიმე დღის წინ ედიღეიმ და უქუბალამ.

- ქუთიბაევები ახლა ჩამოვიდნენ, მთელ გოგო-ბიჭებს კი ნაძვის ხე მოუწყვეს, ჩვენ მით უფრო არ გვმართებს სიძუნწე, - თქვა უქუბალამ.

ედიღეი ძალზე გაახარა ამ ამბავმა. თუმცა ყველა ვერ დაესწრებოდა - ზოგი ხაზზე იყო მორიგე, ზოგს საღამოდან უნდა ემორიგევა. მატარებლებს რა უნაღვლებოდა, უქმე იყო თუ საქმი დღე. ყაზანგაპი მხოლოდ დასაწყისს დაესწრო, საღამოს ცხრა საათიდან ისართან უნდა მდგარიყო. ედიღეისაც, გრაფიკის მიხედვით, პირველი იანვრის ექვსი საათიდან ხაზზე უწევდა მორიგეობა. რას იზამ, ასე ითხოვდა სამსახური. და მაინც დიდებულად გაატარეს დრო. ყველა მშვენიერ გუნებაზე იყო, შორიდან ჩამოსულ სტუმრებივით მორთულიყვნენ, თუმცაღა დღეში ათჯერ მაინც ხედავდნენ ერთმანეთს. უქუბალამ თავი გამოიჩინა - ნაირ-ნაირი საჭმელი დაამზადა. დასალევიც ჰქონდათ - არაყი, შამპანური. მსურველებს ზამთრის შუბათი მიართვეს, ყაზანგაპის დაუღალავი ბუქეი ზამთარშიაც ახერხებდა ხოლმე დედა აქლემების მოწველას.

ჭეშმარიტი ლხინი მაშინ გაიმართა, როცა წაისაუზმეს, პირველი ჭიქები დაცალეს და სიმღერა დაიწყეს, როცა მასპინძლებმა მოათავეს ფაციფუცი და სტუმრებმაც თავი ლაღად იგრძნეს. ახლა შეიძლებოდა აუჩქარებლად, წვრილმანებისთვის ყურადღების მიუქცევლად, მოგელხინა და დრო გეტარებია იმათ წრეში, ვისაც ყოველდღე ხვდებოდი, კარგად იცნობდი და მაინც რაღაც ახალი თვალით ხედავდი, ვინაიდან ასე მოსდგამს დღესას-

წაულს, ადამიანებს სულ გადაასხვაფერებს ხოლმე. ზოგჯერ - ცუდი მხრითაც. ოღონდ არა აქ, ბორანელთა შორის. ისღა გაკ-ლია, საროზექში იცხოვრო და უჟმური თუ ჩხუბისთავი კაცი იყო. ედიღეი ცოტა შეზარხოშდა, მაგრამ ზარხოშიც ძალიან დაშვენ-და.

უქუბალამ მშვიდად, შეუშფოთებლად გაახსენა:

- არ დაგავიწყდეს, ხვალ ექვსისთვის სამუშაოზე უნდა იყო.

- გასაგებია. უქუ, ყველაფერს მივხვდი.

უქუბალასთვის მკლავი ყელზე შემოეჭდო ედიღეის და მღე-როდა. მერე რა, რომ შიგადაშიგ ეშლებოდა, სამაგიეროდ თა-ვისი გულმოდგინებით კარგა ძლიერ ხმაურს ქმნიდა. მშვენიერ გუნებაზე იყო. ისეთზე, როცა თავიც ნათლად გიმუშავებს, გრძნობებიც მოგრევია, მაგრამ არც ერთი ერთმანეთს ხელს არ უშლის. მღეროდა და თან გრძნობით შეჰყურებდა თავის სტუმ-რებს, მხიარულად, გულიანად უღიმოდა ყველას, სწამდა, რომ ყველა ასეთსავე კარგ გუნებაზე იყო. მაშინ ლამაზი ვაჟკაცი გახ-ლდათ ედიღეი. შავწარბა და შავულვაშა, ბრჭყვიალა თაფლის-ფერი თვალები ჰქონდა, თეთრი ჩაწიკწიკებული კბილები. კაცი ვერ იფიქრებდა, სიბერე თუ ასე შეცვლიდა. უყურადღებოდ არა-ვინ რჩებოდა ედიღეის. სისრულეში შესულ ბუქეის მხარზე უთა-თუნებდა ხელს და ბორანლელთა დედას ეძახდა. მისი სადღეგ-რძელო შევსვათო, იძახდა, მისი სახით მთელ ყარაყალპაყელ ხალხს გაუმარჯოსო, ამურდარიას ნაპირებზე მცხოვრებთ. ამშვი-დებდა, არ დაღონდე, ყაზანგაპმა რომ სუფრა მიატოვა და სამუ-შაოზე წავიდაო.

- მაგან შინაც მომაბეზრა თავი! - ხუმრობით პასუხობდა ბუ-ქეიც.

თავის უქუბალასაც სრულად ეძახდა სახელს ედიღეი - ჩემი უქუბალასიო, რაიც ბუს მართვეს ნიშნავდა. ყველასათვის აღმო-

აჩნდა ტკბილი სიტყვა ედიღეის, ამ ვიწრო წრეში ყველა მისი და ძმები იყვნენ, ასე გასინჯეთ, ასაქცევის უფროსი აბიბოვიც კი, თავისი ადგილი რომ ეპატარავებოდა საროზექში, და მისი ფერმკრთალი, ორსული ცოლი საქენიც, რომელსაც სულ მალე ქუმბელის სამშობიარო სახლში მოუწევდა გამგზავრება. გულწრფელად სწამდა, რომ ირგვლივ ძალზე ახლობელი ხალხი ეხვია, ხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო, საკმარისია თვალი დახუჭო სიმღერის დროს, რომ წუთში წინ დაგიდგეს საროზექის ვეებერთელა დათოვლილი უდაბნო და მის სახლში ერთი ოჯახივით შეყრილი ეს ერთი მუჭა ხალხი. მაგრამ ყველაზე მეტად აბუტალიფსა და ზარიფას შეჰხაროდა ედიღეი. ალალიც იყო მათზე. ზარიფა მანდოლინაზე უკრავდა და მღეროდა, რა სიმღერაც არ უნდა წამოეწყოთ, ხელათვე ააყოლებდა მანდოლინას. ზარივით წკრიალა ხმა ჰქონდა ზარიფას. ნელა, გაბმით მიჰყავდა სიმღერა აბუტალიფის მოგუდულ ბანს, შეწყობილად, ტკბილად ჟღერდა მათი სიმღერა, მეტადრე თათრული ყაიდისა, ალმაქსალმაქის დარად - ერთმანეთის გაპასუხებით. სხვები ხმას აყოლებდნენ. ბევრი სიმღერა იმღერეს ძველიცა და ახალიც. მაგრამ არავინ დაღლილა. პირიქით, უფრო და უფრო ეშხში შევიდნენ. მაშასადამე, სტუმრები მოლხენით იყვნენ. ედიღეი თვალს ვერ აცილებდა მის პირდაპირ მჯდომ ზარიფასა და აბუტალიფს. გრძნობამორევით უყურებდა - სულ ასე უნდა ყოფილიყვნენ, ამ წყეულ ბედს რომ სული მოეთქმევინებინა მათთვის. იმ გაუსაძლისმა პაპანაქებამ ზაფხულში დაწვა და დახრუკა ზარიფა, როგორც ნორჩ ხეს დაწვავს ხანძარი, ძირებამდე გამოუხუნა თმა, ტუჩ-პირი ჩაუნახშირა და დაუხეთქა. ახლა კი ვეღარ იცნობდი, ისეთი ლამაზი იყო ისე უციმციმებდა შავი თვალები, გადატკეცოდა პირისკანი, როგორც აზიელ დიაცებს მოსდგამთ. მოქნილი წარბები ყველაზე უკეთ ამჟღავნებდა მის განწყობას, წარბები

მღეროდნენ, ხან შეიჭმუხნებოდნენ, ხან გაიშლებოდნენ და ზე აფრინდებოდნენ. დიდი, დიდი ხნის წინათ შექმნილი სიმღერების კვალობაზე. აბუტალიფი აქეთ-იქით ირწეოდა და ისე აძლევდა ბანს, დიდი გრნობით გამოჰყავდა ყოველი სიტყვა.

... ვერა წაშლის რა სიყვარულის გარდასულ დღეებს

ტაიჭის ფერდზე დარჩენილი მოსართავის კვალისდა დარად...

კვნესოდა და წკრიალებდა ზარიფას თითებქვეშ მანდოლინა იმ ახალი წლის ღამეს შეყრილ სტუმრების პატარა წრეში. იასამნისფერი ნაქსოვი ზედაწელი ეცვა ზარიფას, თეთრი საყელო გადაეკეცა, სიმღერის ხმებთან ერთად მიცურავდა თითქოს. და ედირეისაც ისე ეჩვენებოდა, რომ სადღაც შორს, შორს წასულიყო ზარიფა, ლაღად, თავისუფლად მირბოდა საროზექის გადათოვლილ ველებზე, წკრიალებდა მანდოლინა, უკან იხევდა წყვდიადი, თანდათან ნისლს ერეოდა ქალი, მხოლოდ მანდოლინას ჟღერა ისმოდა, მაგრამ რა გაახსენდებოდა, ბორანლის ასაქცევზეც ცხოვრობს ხალხი, ვისაც უიმისოდ გაუჭირდება, კვლავ უკან, სუფრაზე ბრუნდებოდა ზარიფა და კვლავ მღეროდა და მღეროდა...

მერე აბუტალიფმა აჩვენა ბორანლელებს, როგორ ცეკვავდნენ პარტიზანები ხელიხელგადახვეულნი. მერე ზარიფამ დაუკრა, აბუტალიფმა კი დაამღერა მხიარული სერბიული სიმღერა. ყველანი წრეში დადგნენ, ერთმანეთს მხრებზე ხელი გადახვიეს, ცეკვავდნენ და „ჰოპლა“, „ჰოპლაო...“ დასძახოდნენ.

შემდეგ ისევ იმღერეს, დალიეს, ჭიქების ჭახუნით ერთმანეთს ახალი წელი მიულოცეს. ზოგი წავიდა, ზოგი მოვიდა... ასაქცევის უფროსმა და მისმა ფეხმძიმე ცოლმა ცეკვებამდე დატოვეს სუფრა. ასე გაიარა ღამემ.

ზარიფა გარეთ გავიდა, სუფთა ჰაერზე, აბუტალიფიც უკან გაჰყვა. უქუბალამ შილიფად არავინ გაუშვა, გაოფლიანებული ხართ, გაცივდებითო. ზარიფამ და აბუღალიფმა დააგვიანეს შემობრუნება. ედიღეიმ გადაწყვიტა წასულიყო და შემოეყვანა ისინი, ლხინს უიმათოდ ლაზათი აკლდა.

- ჩაიცვი, ედიღეი, - დაუძახა უქუბალამ. -თორემ გაცივდები.

- ახლავე მოვბრუნდები. - ედიღეი გარეთ გავიდა. ცივი, კამკამა ღამე იყო. ირგვლივ მიმოიხედა და დაიძახა,

- აბუტალიფ, ზარიფა!

ხმა არავინ გასცა. სახლის უკნიდან ლაპარაკი შემოესმა. შეყოყმანდა ედიღეი, აღარ იცოდა, შინ შებრუნებულიყო თუ, პირიქით, მისულიყო და ისინიც წამოეყვანა. რაღაც ამბავი იყო იქა.

- არ მინდოდა შენ დაგენახა, - სლუკუნებდა ზარიფა. მაპატიე. რა ვქნა, ძალიან დამიმძიმდა გული. მაპატიე, გეთაყვა

- მესმის, განა არ მესმის, - ამშვიდებდა აბუტალიფი. ყველაფერი მესმის, მარტო მე ვიყო ამ დღეში, მარტო მე მეხებოდეს, არაფერს ვიტყოდი. ღმერთო ჩემო, ერთ კაცს გინდ უცოცხლია, გინდ არა. ასე აღარც მოვებღაუჭებოდი სიცოცხლეს. - ორივე დადუმდა, აბუტალიფმა ისევ განაგრძო: - მაგრამ ჩვენს შვილებს ხომ მაინც ეშველება... ეს იმედიღა მრჩება...

ნელა, ფეხაკრეფით დაიხია უკან ედიღეი, მთლიანად ვერ ჩახვდა, რაში იყო საქმე. უხმაუროდ შებრუნდა შინ. შემცივნული ათამაშებდა ბეჭებს. დღესასწაული აღარ ეჩვენა დღესასწაულად, ერი დაკარგოდა ყველაფერს. ახალი წელი ახალი წელია, მაგრამ ნამუსიც კაი საქონელია, ყველაფერს ბოლო უნდა ჰქონდეს.

1953 წლის 5 იანვარს, დილის ათ საათზე ბორალნი-ბურანის ასაქცევზე სამგზავრო მატარებელი ჩამოდგა, თუმცა გზა ხსნილი იყო და შეუჩერებლივ შეეძლო ჩავლა. მატარებელი წუთნახევარს იდგა, ალბათ მეტხანს არც იყო საჭირო. ერთ-ერთი ვაგონის კიბიდან სამი კაცი ჩამოვიდა, სამივეს შავი ქრომის ერთნაირი ჩექმები ეცვა. ჯიქურ სამორიგეო შენობისკენ გასწიეს. აქეთ-იქით არც გაუხედავთ, მტკიცედ, უხმოდ მიაბიჯებდნენ. ესაა, წამით შეჩერდნენ თოვლის დიაცის წინ, უხმოდ დახედეს ფიცარზე მისალოც წარწერას. შეათვალიერეს დიაცის თავზე ჩამოფხატული ყაზანგაპის გაქუცული ძველი მალახაი და სამორიგეოში შევიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სამორიგეოს კარიდან ასაქცევის უფროსი აბილოვი გამოვარდა, კინაღამ თოვლის დიაცს დაეტაკა, შეიაურთხა და თითქმის სირბილით განაგრძო გზა. ეს კი თავის დღეში არ უქნია. ათიოდე წუთის შემდეგ ქოშინ-ქოშინით დაბრუნდა აბუტალიფ ქუთიბაევის თანხლებით, რომელიც სასწრაფოდ მოეძებნა და სამუშაოდან წამოეყვანა. აბუტალიფი გაფითრებული ჩანდა, ქუდი ხელში ეჭირა. აბილოვი და ის სამორიგეოში შევიდნენ. სულ მალე აბუტალიფი ორი ქრომისჩექმებიანი, ჩამოსული კაცის თანხლებით უკანვე გამოვიდა და თავის ბარაკისკენ გასწია მათთან ერთად, იქიდანაც მალე გამობრუნდნენ რაღაც ქაალდებით. აბუტალიფს ფეხდაფეხ მოსდევდნენ ის კაცები. მერე ყველაფერი მიწყნარდა, არავინ გამოსულა და არავინ შესულა სამორიგეოში.

მომხდარი ამბავი უქუბალამ შეატყობინა ედიღეის. აბილოვის დავალებით მეოთხე კილომეტრზე მიიჭრა სირბილით. იმ დღეს იქ სარემონტო სამუშაოებზე იყვნენ წასულნი. ედიღეი განზე გაიხმო:

- აბუტალიფი დაჰკითხეს.

- ვინ დაკითხა?

- არ ვიცი. ვიღაცები ჩამოვიდნენ, აბილოვმა დამაბარა, თუ არ ჩაგაცივდნენ, არ დაგცდეთ, ახალ წელს აბუტალიფსა და ზარიფასთან ერთად რომ შევხვდითო.

- ვითომ რატომაო?

- არ ვიცი, ასე კი დამაბარა შენთან. შემოგითვალა, ორ საათზე შინ იყავიო. აბუტალიფის თაობაზე შენც უნდა გკითხონ რაღაცაო.

- რა უნდა მკითხონ?

- მე საიდან ვიცი. აბილოვი შეშინებული დამადგა თავზე და ასეა და ასეო, მითხრა. მე კი შენთან გამოვქანდი.

ორ საათზე ისედაც სადილად ბრუნდებოდა შინ ედიღეი. ჯერ გზაში და მერე სახლში სულ თავს იმტვრევდა, რა მოხდაო, პასუხი კი ვერ მოეძებნა. ვითომ წარსულის გამო, ტყვეობაში რომ იყო აბუტალიფი? კი მაგრამ, რა ხანია შემოწმდა და გაირკვა ყველაფერი. მეტი რა ბრალი ჰქონდა ნეტა? გუნება მოეშხამა, შიშმა აიტანა ედიღეი. ორიოდე კოვზი ვერმიშელის სუპი შეხვრიპა და თეფში განზე გადგა. საათს დახედა. ორს ხუთი წუთი აკლდა. რახან ორზე დაიბარეს, მაშასადამე, ორზე უნდა იყოს. სამორიგეოს წინ აბილოვი დახვდა, საოცრად მობუზული, დათრგუნვილი, წინ და უკან ბოლთას სცემდა.

- რა მოხდა?

- ძალიან ცუდი ამბავი, ედიქე, - აბილოვმა შიშით შეხედა, ტუჩები აუთრთოლდა. - ქუთიბაევი დაიჭირეს.

- რისთვის?

- რაღაც აკრძალული ნაწერები უნახეს. განა არა, მთელი საღამოები იჯდა და რაღაცას წერდა, ყველამ გაიგო. ყველაფერი მაგ წერამ უქნა.

- ეგ ხომ თავის ბიჭებისთვის წერდა.

- მე არ ვიცი, ვისთვის წერდა. არაფერი არ ვიცი. შედი, შენ გელოდებიან.

ასაქცევის უფროსის კაბინეტში ედიღეის დაახლოებით მისი ხნის კაცი დახვდა, ოცდაათიოდე ან ცოტა უფრო ნაკლები წლისა. ჩასხმული კაცი იყო, დიდი თავი და მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა. რაღაცას კითხულობდა, დაძაბული, ხორციანი, დაჩვრეტილი ცხვირი გაოფლიანებოდა. მძიმე, მაღალი შუბლი შეეჭმუხნა. ედიღეის შესვლისას და მერეც, როცა ლაპარაკობდნენ, ცხვირსახოცით წარამარა იმშრალებდა ცხვირს. წინ „ყაზბეგის“ კოლოფი ედო. კარებში მდგარ ედიღეის დანახვაზე გრძელი პაპიროსი ამოიღო, თითებში შეატრიალა, გააბოლა. სონღულივით კრიალა, მოყვითალო თვალები ჰქონდა.

- დაჯექი, - უთხრა მოკლედ. ედიღეი მაგიდის წინ ტაბურეტზე დაჯდა.

- აი, ეჭვი რომ არ გქონდეს, - თქვა სონღულისთვალებამ, სამოქალაქო კიტელის გულის ჯიბიდან რაღაც ყავისფერი წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და მაშინვე შეინახა. თან რაღაც ჩაიბურტყუნა, თუმცა. „თანსიქბაევი“ თუ „თისიქბაევიო“, ედიღეიმ კარგად ვერ გაარჩია.

- გასაგებია? - ჰკითხა სონღულისთვალებამ.

- გასაგებია, - აბა სხვა რა უნდა ეთქვა ედიღეის.

- მაშინ საქმეს შევუდგეთ, როგორც მითხრეს, შენ ქუთიბაევის დიდი ძმაკაცი ყოფილხარ?

- გინდაც ეგრე იყოს, მერე რა?

- გინდაც ეგრე იყოს, - გაიმეორა სონღულისთვალებამ და ნაფაზი დაარტყა, თითქოს ნათქვამის აზრს კარგად უნდა ჩასწვდესო, - გინდაც ეგრე იყოს. დავუშვათ. გასაგებია. - უცებ მოულოდნელად ჩაიცინა და შუშასავით გამჭვირვალე თვალებში

წინასწარი სიამის გრძნობა გაუკრთა. - მაშასადამე, ჩემო კარგო, ვწერთ და ვწერთ?

- რას ვწერთ? - დაიბნა ედიღეი.

- მეც სწორედ ეგ მინდა გავიგო.

- არ მესმის, რაზეა ლაპარაკი.

- ნუთუ? აბა დაფიქრდი! ჰა?

- არა, არ მესმის.

- რასა სწერს ქუთიბაევი?

- არ ვიცი.

- არ იცი? ყველამ იცის, შენ კი არ იცი?

- ვიცი, რომ რაღაცას წერს, მაგრამ რას, საიდან უნდა ვიცოდე. რა ჩემი საქმეა? კაცს თუ წერა უნდა, გაუშვი, წეროს. ვის რა ესაქმება?

- როგორ თუ რა ესაქმება? - გაკვირვებით შეტოკდა სონღულისთვალება და ტყვიასავით გამბურღავი გუგები მიაჩერა. - მაშასადამე, ვისაც რა მოესურვება, ის უნდა წეროს ? ასე დაგარწმუნა?

- არაფერიც არ დამარწმუნა.

სონღულისთვალებას ყურში არ შეუშვია მისი პასუხი, ისე იყო აღშფოთებული:

- მტრის აგიტაციაც ამას ჰქვია! ის კი არ გიფიქრია, რა იქნება, ყველამ რომ ჯღაბნა დაიწყოს? არ გიფიქრია, ჰა? მერე ადგეს და რაც თავში მოუვა, ის ილაპარაკოს? ასეა ხომ, შენი აზრით? საიდან გაქვს ეს უცხო აზრები? არა, ჩემო ძვირფასო, ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ ასეთი კონტრრევოლუცია არავის გაუვა!

ედიღეი შეწუხებული, დათრგუნული ჩუმად უსმენდა სიტყვების ამ ნიაღვარს. გაოცდა კიდეც, ირგვლივ რომ არაფერი შეიცვალა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. ფანჯრიდან და-

ინახა, როგორ ჩაიგრიალა ტაშკენტის მატარებელმა. წამით თვალწინ დაუდგა: თავის საქმეებზე მიემგზავრება ამ მატარებლით ხალხი. ჩაისა თუ არაყს სვამენ, ერთმანეთს ებაასებიან და არავის ენაღვლება, რომ ამ დროს ბორანლი-ბურანში ედიღეი, კაცმა არ იცის, საიდან გამომტყვრალ ამ სონღულისთვალებას წინ ზის. გამწარებით მოუნდა გამოვარდნილიყო სამორიგეოდან, მიმავალ მატარებელს დასწეოდა და თუნდაც გადასაკარგავში გაჰყოლოდა, ოღონდ ამწუთს აქ არ მჯდარიყო.

- ჰა, რას იტყვი? ჩახვდი, რას გეკითხები? - განაგრძო სონღულისთვალებამ.

- ჩავხვდი, ჩავხვდი, - მიუგო ედიღეიმ, - ოღონდ ეს მინდა გავიგო. ის თავისი შვილებისთვის წერდა მოგონებებს, რა გადახდა თავს, ვთქვათ, ფრონტზე, ტყვეობაში, პარტიზანობის დროს. რაა აქ ცუდი?

- შვილებისათვის! - შეჰყვირა იმ კაცმა. - მაგას ვინ დაიჯერებს! აბა ვინა სწერს შვილებისთვის, რომლებსაც ჯერ, მგონი, კბილებიც არ მოუცვლიათ! ეგ ზღაპრები სხვას მოუყევი! აი, როგორ მოქმედებს გამოცდილი მტერი! გადმოიხვეწა ამ მივარდნილ ადგილას, სადაც ირგვლივ კაცი არაა, ვერავინ უთვალთვალებს, და მოგონებების წერა დავიწყო აქ!

- რას იზამ, თუკი ასე მოუნდა კაცს, - თქვა ედიღეიმ, - მოუნდა ყველაფერი პირადად ეთქვა, თავისი ეთქვა, თავისი აზრები გამოეთქვა, რომ მის შვილებს, როცა წამოიზრდებიან, წაეკითხათ.

- თავისი ეთქვაო! ეს რას ნიშნავს? - საყვედურით გააქნია თავი სონღულისთვალებამ და - ამოიოხრა. - რა თავისი აზრები აქვს, რა პირადი სათქმელი? საკუთარი შეხედულება ხომ არა? არავითარი პირადი სათქმელი არ არსებობს, რაც ქაღალდზე დაიწერება, უკვე პირადი აღარ არის. კალმით დაწერილს ნაჯა-

ხიც ვეღარ ამოკვეთს. ყველამ რომ კალმით თავისი აზრი გამოთქვას, კაი დახლი დაგვიდგება. აგერ მისი ეგრეთ წოდებული „პარტიზანული რვეულები“, აგერ ქვესათაურად სწერია - „იუგოსლავიაში გატარებული დღეები“, აი, ესენი! - სონღულისთვალებამ მაგიდაზე დაყარა მუშამბისყდიანი სქელი საერთო რვეულები. - ეს რასა ჰგავს! შენ ძმაკაცი გინდა დაიხსნა. ის კი ჩვენ უკვე გამოვიჭირეთ!

- რაში გამოიჭირეთ?

სონღულისთვალება ისევ შეტოკდა სკამზე და ისევ უეცარი ღიმილით, წინასწარი სიამისა და ნიშნისმოგების იერით დაუხამხამებლად მიაჩერა ედიღეის მოკრიალებული შუშა თვალები.

- ეს ჩვენ ვიცით, რაშიაც გამოვიჭირეთ, - ნეტარებით და ზარ-ზეიმით დამარცვლა თითოეული სიტყვა: - ეს ჩვენი საქმეა ყველას ვერ მოვახსენებთ.

- რახან ასეა, რას იზამ, – დაბნევით წაილაპარაკა ედიღეიმ.

- ეს მტრული მოგონებები ამაოდ არ ჩაუვლის, - თქვა სონღულისთვალებამ და გამალებით დაიწყო რაღაცის წერა. - მე მეგონა, ჩვენი კაცი იყავი, მეტი ჭკუა გქონდა. მოწინავე მუშაა. ყოფილი ფრონტელი, დაგვეხმარება-მეთქი, მტერი ვამხილოთ.

ედიღეი აიქოჩრა, ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ, მტკიცედ წაილაპარაკა:

- მე ხელს არაფერს მოვაწერ, ახლავე მითქვამს.

სონღულისთვალებამ გამანადგურებელი მზერა ესროლა:

- არც გვჭირდება შენი ხელმოწერა. ხომ არ გგონია, თუ ხელს არ მოაწერ, საქმე ჩაიშლება? ძალიან ცდები, მასალა საკმაოდა გვაქვს, შენი ხელმოწერის გარეშეც სასტიკ პასუხს მოვთხოვთ.

გაჩუმდა ედიღეი, დამცირების მწვავე გრძნობამ აიტანა, დაუცარიელდა სული. არალის ზღვა რომ აზვირთდება, ისე იმძლავრა თანდათან აღშფოთებამ, ვერა და ვერ შერიგებოდა იმას, რაც ხდებოდა. ანაზდად სურვილმა მოუარა - ცოფიანი ძაღლივით წაეხრჩო ეს სონღულისთვალება, ძალა დიახაც ეყოფოდა. ის ფაშისტი ხომ საკუთარი ხელით დაახრჩო, რადგან სხვა გზა არ დარჩენოდა. ძარღვიანი, მაგარი კისერი ჰქონდა და მაინც მოერია. როცა პოზიციაზე გამაგრებულ მტერს შეუტიეს, ფლანგიდან შემოუარეს, სანგარში ხელყუმბარები ისროლეს, ხოლო გასასვლელები ავტომატების ჯერით დაცხრილეს, ხაზი თითქმის გაწმინდეს და ბრძოლით განაგრძეს გზა, სანგარში უეცრივ პირისპირ შეეტაკა ედიღეი იმ ფაშისტს. ეტყობა, მეტყვიამფრქვევე იყო. მანამ არ წავიდა, ვინემ ტყვიამფრქვევი არ დაცალა. კი ჯობდა ტყვედ ჩაეგდო, ასეც გაუელვა თავში ედიღეის, მაგრამ იმან მოასწრო და დანა ამართა, თავში უნდა ჩაერტყა ედიღეისთვის. მაშინ კასკიანი თავი აძგერა სახეში.. ორივენი ძირს გაგორდნენ, ჰოდა, სხვა რაღა დარჩენოდა, ორივე ხელი ყელში წაუჭირა. ფაშისტი იკლაკნებოდა, ხროტინებდა, თითებს აფათურებდა, ხელიდან გაგდებული დანა რომ ეპოვა. ყოველ წამს ელოდა ედიღეი, დანას როდის დასცემდნენ ზურგში, ამიტომაც არაადამიანური, მხეცური ძალითა და ღმუილით უჭერდა თითებს კბილებდაკრეჭილ, გაშავებულ მტერს ხრტილიან კისერში. მაშინღა გახსნა დაკრუნჩხული თითები, როცა მტერი დაახრჩო და შარდის მძაფრი სუნი ეცა. იმავე წუთს გული აერია, საკუთარ ნარწყევში ამოსვრილმა, თვალებდაბინდულმა ხოხვა-ხოხვით, კვნესით განაგრძო გზა. ეს ამბავი არავისთვის უამბნია არც მაშინ და არც შემდეგ. მხოლოდ ხანდახან ესიზმრებოდა კოშმარივით, მეორე დღეს ადგილი ვერ მოენახა, სიცოცხლე აღარ უნდოდა. ზიზღით, ძრწოლვით გაიხსენა ახლაც ეს ამბავი

ედიღეიმ. გრძნობდა, სონღულისთვალება ეშმაკობით, ჭკუით ჯაბნიდა და აღელდა, გული მოუვიდა. ვინემ ის წერდა, ედიღეი ცდილობდა სონღულისთვალებას მტკიცებაში სუსტი ადგილი მოეძებნა. მისი ნათქვამიდან ერთმა გააკვირვა ედიღეი, ალოგიკური, საოცრად შეუსაბამო ეჩვენა: როგორ შეიძლება ადამიანს „მტრული მოგონებანი“ დააბრალო? ვის გაუგია მოგონებანი მტრული ან არამტრული იყოს - ეს ხომ წარსულში მომხდარი ამბავია, ის, რაც აღარაა, რაც ნამყოს ეკუთვნის. მაშასადამე. ადამიანი იმას იგონებს, რაც სინამდვილეში იყო,

- მე მინდა ვიცოდე, - ედიღეის აღელვებისაგან ყელი გაუშრა, მაგრამ თავს სძლია, რომ ეს სიტყვები მშვიდადაც კი ეთქვა. - აი, შენ ამბობ.. - დაე, მიხვდეს სონღულისთვალება, რომ ედიღეის არც სალაქუცო და არც საშიში არაფერი აქვს - საროზექზე შორს სადღა გადაკარგავენ! იმიტომაც მიმართა შენობით, - მტრული მოგონებებიო. ეს როგორ გავიგო? განა შეიძლება მოგონებები მტრული თუ არატრული იყოს? ჩემი აზრით, კაცი იმას იგონებს, რაც მოხდა და როგორც მოხდა ოდესღაც, რაც დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ან იქნებ კარგი უნდა მოვიგონოთ მარტო, ცუდი კი დავიწყებას მივცეთ? ასე არასოდეს ყოფილა, მაშასადამე, სიზმარი რომ ნახო, ის სიზმარი უნდა მოიგონო თუ არა? ვთქვათ და, ცუდი სიზმარი ნახო, ვისმე არ ეჭაშნიკოს შენი სიზმარი ?

- აი, თურმე ვინ ყოფილხარ! ჰმ, ეშმაკმა დალახვროს! - გაოცდა სონღულისთვალება. - მსჯელობა, კამათი გყვარებია. აქაურ ფილოსოფოსად მოგაქვს თავი. ბატონი ბრძანდები, ვიკამათოთ, სონღულისთვალება დადუმდა, თითქოს ნახტომისთვის მოემზადა, - ცხოვრებაში შეიძლება ყველაფერი მოხდეს ისტორიული თვალსაზრისით. მაგრამ მერე რა! - მთავარია, ის მოიგონო, ზეპირად და მით უმეტეს წერილობით წარსული ისე

დახატო, როგორც ახლაა ჩვენთვის საჭირო, როგორც ამჟამად დრო მოითხოვს. ხოლო რაც ჩვენ ხელს არ გვაძლევს, არც უნდა მოიგონო, ამას თუ არ მისდიე, მაშასადამე, მტერი ხარ ჩვენი.

- მაგაზე ვერ დაგეთანხმები, - უთხრა ედიღეიმ, - ეგრე არ შეიძლება იყოს.

- შენ არც არავინ გეკითხება თანხმობას, სიტყვამ მოიტანა და იმიტომ ვთქვი. მკითხე და ჩემი კეთილი გულით გიპასუხე. ისე კი სულაც არ მევალება შენთან სჯა-ბაასი გავაბა. აბა, საქმეზე გადავიდეთ. მითხარი, გულახდილად რომ გელაპარაკებოდა, ვთქვათ, ერთად რომ სვამდით, ინგლისური სახელები არ უხსენებია შენთან?

- ეგ რა საჭიროა? - გულწრფელად გაოცდა ედიღეი.

- აი, რატომ. - სონღულისთვალებამ აბუღალიფის „პარტიზანული რვეულებიდან“ ერთი გადაშალა და წითელი ფანქრით ხაზგასმული ადგილი წაიკითხა: - „27 სექტემბერს ჩვენ ნაწილში ინგლისელების მისია ჩამოვიდა - პოლკოვნიკი და ორი მაიორი. ჩვენ საზეიმო მარშით ჩავიარეთ მათ წინ, ისინი მოგვესალმნენ. მერე მეთაურების კარავში საერთო სუფრა გაიშალა. იქ რამდენიმე უცხოელი პარტიზანიც მოგვიწვიეს, იუგოსლავთა შორის ვინც ვიყავვთ. პოლკოვნიკი გამაცნეს და მანაც დიდი თავაზით ჩამომართვა ხელი, თარჯიმნის პირით წვრილად გამომკითხა, საიდან ვიყავ და აქ როგორ მოვხვდი. მეც მოკლედ ვუამბე. ღვინო დამისხეს და ერთად შევსვით. მერე დიდხანს ვისაუბრეთ კიდევ. მომეწონა ინგლისელები, უბრალო, გულახდილი ხალხი ყოფილა. პოლკოვნიკმა თქვა, ბედი ანუ, როგორც გამოთქვა, განგების ძალა დაგვეხმარა, მთელი ევროპა რომ ფაშიზმის წინააღმდეგ გაერთიანდაო. უამისოდ ჰიტლერთან ომი გაჭირდებოდა ან იქნებ დაქსაქსული ერებისთვის უფრო ტრაგიკულად დამთავრებულიყოო“ და ა. შ. - სონღულისთვალებამ რვეული

განზე გადადო. პაპიროსს მოუკიდა, ერთხანს იყუჩა, ნაფაზი ნაფაზზე დაარტყა, და მერე განაგრძო: - მაშასადამე, ქუთიბაევს არ უთქვამს ინგლისელ პოლკოვნიკისათვის, სტალინის გენიის გარეშე გამარჯვებას ვერ მივაღწევდით, რამდენიც არ უნდა ეპარტიზანათ ევროპაში და რაც არ უნდა ექნათო. მაშასადამე, ამხანაგ სტალინზე არ უფიქრია, არც გახსენებია ამხანაგი სტალინი! ჩახვდი ახლა?

- იქნებ კიდევაც უთხრა, - გამოესარჩლა აბუტალიფს ედიღეი. - მაგრამ დაწერა დაავიწყდა.

- ეს საიდან ჩანს? ვერ დაამტკიცებ! უფრო მეტიც, ჩვენ შევამოწეთ ქუთიბაევის ჩვენებანი. ორმოცდახუთში რომ მიუცია საკონტროლო კომისიისთვის იუგოსლავიის პარტიზანული შენაერთიდან დაბრუნებისას. იქ ინგლისელთა მისია ნახსენებიც არა ჰყავს მაშასადმე, აქ მთლად წმინდად არაა საქმე. ვინ დაუდგება თავდებად, რომ ინგლისელთა დაზვერვასთან არ ჰქონდა კავშირი!

გული ჩაწყდა და დაუმძიმდა ედიღეის. ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა, საით უმიზნებდა სონღულისთვალება.

- აბა, მოიგონე, ქუთიბაევს რამე ხომ არ უთქვამს, ინგლისელებიდან ვინმე ხომ არ დაუსახელებია? ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ იყო იმ ინგლისელთა მისიაში.

- რა სახელები აქვთ მათ?

- მაგალითად, ჯონი, კლარკი, სმიტი, ჯეკი...

- ჩემს სიცოცხლეში არ გამიგია.

ჩაფიქრდა, მოიჟამა სონღულისთვალება, ეტყობა, ედიღეის დაკითხვამ მაინცდამაინც ვერ დააკმაყოფილა. ცოტა ხნის შემდეგ შემპარავად ჰკითხა:

- რა, აქ სკოლა-ინტერნატი გახსნა, ბავშვებს ასწავლიდა?

- ამას თუ სკოლა ჰქვია! - უნებლიეთ გაეცინა ედიღეის. - მისი ორი ბიჭი და ჩემი ორი გოგო, ესაა და ეს მთელი სკოლა. უფროსები ხუთი წლისა, უმცროსები კი სამისა არიან. ირგვლივ უდაბნოა, რა ქნან გოგო-ბიჭებმა. ამიტომაც ამეცადინებენ, არ-თობენ ბავშვებს. ეგა და მისი ცოლი ხომ მასწავლებლები არიან. უკითხავენ, ახატინებენ, წერას, ანგარიშს ასწავლიან. ესაა და ეს სკოლა.

- რა სიმღერებს მღეროდნენ?

- ყველანაირს, საბავშვო რაცაა. აღარც მახსოვს.

- რას ასწავლიდა? რას წერდნენ?

- ასოებს, ჩვეულებრივ სიტყვებს.

- მაგალითად, რა სიტყვები იყო?

- რა უნდა ყოფილიყო! ვეღარც მომიგონია.

- აი, ამას წერდნენ! - სონღულისთვალებამ ქაღალდებიდან ხელით ეწერა: „ჩვენი სახლი“, - ხედავ, პირველი სიტყვა, რასაც ბავშვი წერს - „ჩვენი სახლია“, რატომ „ჩვენი გამარჯვება“ არა გაიხსენე, რა სიტყვა უნდა ეკეროს ახლა ყველას პირზე? რა და „ჩვენი გამარჯვება“, ხომ კი? იმას კი რატომ არ მოუვიდა თავში? გამარჯვება და სტალინი ერთმანეთისაგან განუყოფელია.

შეკრთა დაიბნა ედიღეი. ისე დამცირებულად იგრძნო თავი. ისე შეებრალა აბუტალიფი და ზარიფა, ამდენ ძალასა და დროს რომ არ იშურებდნენ პატარა, უგუნური ბალღებისათვის, ბრაზს ვეღარ სძლია და გაბედულად შეუტია:

- რაღაი ასეა, მაშინ პირველად „ჩვენი ლენინი“ უნდა და-იწეროს. რაც უნდა იყოს, ლენინი მაინც პირველ ადგილზე დგას

სონღულისთვალებას სუნთქვაც კი შეეკრა, იმდენად მო-ულოდნელი იყო მისთვის ეს სიტყვები, ერთხანა ნაფაზს ნაფაზზე არტყამდა. მერე წამოდგა, ალბათ გავლა-გამოვლა მოუნდა, მაგრამ ამ პატარა ოთახში რა გავლა-გამოვლა შეიძლებოდა.

- ვამბობთ სტალინს, ვგულისხმონთ ლენინს! - წარმოთქვა მოკლედ და მკაფიოდ. მერე ისე მოითქვა სული, თითქოს ბევრი ერბინოს, - კარგი, ჩავთვალოთ, რომ ეს ლაპარაკი არ ყოფილა, - თქვა შერიგების კილოზე და დაჯდა. აუმღვრეველი, შეშასავით გამჭვირვალე მოყვითალო სონღულის თვალები კვლავ მკაფიოდ იმზირებოდნენ გაქვავებულ სახეზე.

- ჩვენ გვითხრეს, რომ ქუთიბაევი წინააღმდეგი ყოფილა ბავშვების ინტერნატში სწავლებისა. რას იტყვი? ამ საუბარს თურმე შენც დასწრებიხარ.

- ვინ გითხრათ? საიდან მოიტანეთ? - გაოცდა ედიღეი და მყის თავში გაუელვა: აბილოვი ეტყოდა, იმან დაასმინა, ვინაიდან ისიც ესწრებოდა ამ საუბარს.

ედიღეის პასუხმა ახლა მართლა გააბრაზა სონღულისთვალება:

- გამიგონე, მე უკვე გითხარი: ვინ თქვა, საიდან გავიგეთ - ეს ჩვენი საქმეა. ანგარიშს ჩვენ არავის ვაბარებთ. კარგად დაიხსომე. აბა გადმოალაგე, რა თქვა?

- რა თქვა? უნდა მოვიგონო. ჰოო, მაშასადამე, ჩვენს ძველ მუშას, ყაზანგაპს ბიჭი ჰყავს, ქუმბელის ინტერნატში სწავლობს. ბიჭი, გასაგებია, ცელქობს, იტყუება ხანდახან. პირველ სექტემბერს ისევ უნდა გაეგზავნათ საბითჟანი სასწავლებლად. მამამ აქლემით წაიყვანა. დედამ კი, ყაზანგაპის ცოლმა ბუქეიმ ტირილი და ჩივილი დაიწყო - დავიღუპე, რაც ინტერნატში წავიდა, თითქოს გაუცხოვდა, გაგარეულდაო. გული აღარ მოუწევს შინ. დედა, მამა, ოჯახი ისე აღარ უყვარსო. რას იზამ, გაუნათლებელი ქალია. ესეცაა, შვილს თუ გინდა ასწავლო, ნება-უნებლიეთ შორს უნდა იყოლიო შენგან.

- კარგი, კარგი, - შეაწყვეტინა სონღულისთვალებამ. - ქუთიბაევმა რაღა თქვა ამ დროს ?

- ეგეც ჩვენთან იყო. ასე თქვა, დედის გული ცუდს მაშინვე გრძნობსო, იმიტომ რომ ინტერნატში ბავშვის გაგზავნა კაი ცხოვრებით არ ხდებაო. ინტერნატი ასე ვთქვათ, შვილს გართმევს, არა, კი არ გართმევს, დედ-მამას აშორებს ყმაწვილსო. ეს ძალიან მძიმე საკითხიაო. ყველასათვის მძიმე, მაგრამ რას იზამ, როცა სხვა გზა არ არისო. მე მესმის მისი. ჩვენც გვეზრდება შვილები. ახლავე გული მტკივა, როგორ იქნება, რა გამოვა, რა თქმა უნდა, ცუდია...

- ეგ მერე იყოს, - შეაჩერა სონღულისთვალებამ, - მაშასადამე, ასე თქვა, საბჭოთა ინტერნატი არ ვარგაო?

- „საბჭოთა“ იმას არ უთქვამს. უბრალოდ, ინტერნატიო, თქვა. ჩვენი ინტერნატი ქუმბელშია. არ ვარგა-მეთქი, ეს მე ვთქვი ახლა.

- ამას მნიშვნელობა არა აქვს. ქუმბელიც საბჭოთა კავშირშია.

- როგორ არა აქვს მნიშვნელობა! - აღშფოთდა ედიღეი, იგრძნო, სონღულისთვალება თავგზას უბნევდა, მახეს უგებდა. - კაცს რატომ უნდა მიაწერო ის, რაც არ უთქვამს? მეც ეგრე ვფიქრობ. სხვაგან რომ მეცხოვრა, არც მე გავუშვებდი შვილებს ინტერნატში. დიახ, მეც ასე ვფიქრობ. რა, გამოდის?..

- იფიქრე, იფიქრე! - წაილაპარაკა სონღულისთვალებამ და ლაპარაკი შეწყვიტა. ცოტა ხნის მერე ისევ განაგრძო. - ჰოო, მაშასადამე, დასკვნა გავაკეთოთ. გამოდის, რომ ის კოლექტიური აღზრდის წინააღმდეგია, ხომ?

- სულაც არაა წინააღმდეგი! - ვერ მოითმინა ედიღეიმ. - ცილს ტყუილად რად სწამებთ ადამიანს! ასე როგორ იქნება?

- მორჩი, მორჩი, შეწყვიტე ლაპარაკი, - ხელი აუქნია სონღულისთვალებამ, საჭიროდ არ მიიჩნია ახსნა-განმარტება, - ახლა ის მითხარი, ეს რა რვეულია, „დონენბაი ჩიტი“ რომ აწერია?

ქუთიბაევი ამტკიცებს, ყაზანგაპისა და ნაწილობრივ შენი ნათქვამით ჩაუწერია. ასეა მართლა?

- ზუსტად ეგრეა. - გამოცოცხლდა ედიღეი, - აქაური, სარო-ზექული ლეგენდაა. აქედან არც ისე შორს ნაიმანების სასაფ-ლაოა, ოდესღაც მარტო მათი იყო, ახლა კი ყველასია, ანა-ბეიითი ჰქვია. იქ მარხია ნაიმან-ანა, მანქურთმა შვილმა რომ მოჰკლა.."

- კმარა, წავიკითხავთ, ვნახავთ. რა იმალება ამ ჩიტის მიღ-მა, - სონღულისთვალება თან რვეულს ფურცლავდა, თან ხმა-მაღლა ამბობდა, რასაც ფიქრობდა, - დონენბაი ჩიტი, ჰმ, უკე-თესს ვერ მოიგონებ. ადამიანის სახელი დაურქმევია. ეგეც მწე-რალი მყავს რაღა, მუხტარ აუეზოვი ვითომ, ფეოდალური წარ-სულის მწერალი. მაშ, მაშ. დონენბაი ჩიტიო, ჰმ. გგონია, ვერ გამოვარკვევთ... დამიწყო აქ ჩუმ-ჩუმად წერა, ყმაწვილებისთვის. ეს კი რაა? ესეც, შენი აზრით, ყმაწვილებისათვისაა? - ცხვირთან მიუტანა სონღულისთვალებამ კიდევ ერთი მუშამბისყდიანი რვე-ული ედიღეის.

- რაზე ამბობთ? - ვერ მიხვდა ედიღეი.

- რაზე? შენ უნდა იცოდე. აგერ აწერია: „რაიმალ-აღას სიტ-ყვა თავის ძმა აბდილხანისადმი“.

- ჰო, ეგეც ლეგენდაა, - დაიწყო ედიღეიმ. - თქმულება. მო-ხუცებმა იციან ეგ ამბავი...

- ნუ გეშინია, მეც ვიცი, - შეაწყვეტინა სონღულისთვალებამ. - ყური მომიკრავს. გამოტვინებული ბებერი ცხრამეტი წლის გო-გოს შეიყვარებს. მერე და რა არის აქ კარგი? ეგ ქუთიბაევი მარ-ტო მტერი კი არაა, გარყვნილი ზნისაც ყოფილა. აბა უყურე, რა წვრილად ჩაუწერია მთელი ეს მარაზმი.

ედიღეი გაწითლდა, მაგრამ სირცხვილით არა, წყრომით აევსო გული. ამაზე მეტი უსამართლობა აბუტალიფის მიმართ არ იქნებოდა. ძლივს შეიკავა თავი:

- მე არ ვიცი, შენ რისი უფროსი ხარ ან ვისი, მაგრამ მის სინდისს ამ მხრივ ნუ შეეხები. ღმერთმა ქნას, ყველა მაგისთანა ქმარი და მამა იყოს. - აქ ყოველი კაცი გეტყვის, ვინც არის და რაც არის. ჩვენ აქ თითებზე დავითვლებით, ისე რომ ერთმანეთისა ყველაფერი ვიცით.

- კარგი, კარგი, დაწყნარდი, - უთხრა სონღულისთვალებამ, - ყველას ტვინი დაგიბნელათ მაგან. მტერი მუდამაც თავს იკატუნებს, ნიღაბს იფარებს. ჩვენ კი ამ ნიღაბს ჩამოვხსნით მაგას. მორჩა, შეგიძლია წახვიდე.

ედიღეი წამოდგა, ქუდი დაიხურა, ფეხი აითრია.

- რას უზამთ ახლა? რა მოელის? ნუთუ ამ რაღაც ნაწერების გამო ჩასვამთ კაცს?

სონღულისთვალება შეტოკდა, წამოიწია.

- გამიგონე, კიდევ გიმეორებ: ეს შენი საქმე არაა! მტერი რატომ უნდა დაიჭირო, როგორ მოექცე, რა სასჯელი დაადო - ჩვენ თვითონ ვიცით! თავს ტყუილად ნუ აიტკივებ. წადი, შენს გზას დაადექ. გასწი მეთქი!

გვიანღამ, ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ერთხელ კიდევ გაჩერდა სამგზავრო მატარებელი, ოღონდ საპირისპირო მხარეს მიმავალი. არც ახლა მდგარა დიდხანს, სამიოდე წუთზე მეტს.

მატარებელს პირველ ლიანდაგზე იმ ბნელ ღამეში ის სამი ქრომისჩექმებიანი კაცი ელოდა. აბუტალიფ ქუთიბაევი მიჰყავდათ, ზურგებით ჩამოფარებოდნენ აბუტალიფს განზე მდგომ ბორანლელებისაგან. ესენი იყვნენ ზარიფა, მისი ბიჭები, ედიღეი, უქუბალა და კიდევ ასაქცევის უფროსი აბილოვი, წინ და უკან

რომ დარბოდა არარა კაცუნასავით და გულისამრევად ფაციფუ-ცობდა - მატარებელი ნახევარი საათით იგვიანებდა. მაგრამ რა მისი ბრალი იყო, ვერ დაეტეოდა თავისთვის? ყაზანგაპი, ვინც აბუტალიფის სახლში აღმოჩენილ იმ უკუღმართი ლეგენდების გამო, ასევე დაჰკითხეს, ამ დროს ისართან იდგა: თავისი ხელით უნდა გადაეყვანა და გაეტარებინა მატარებელი იმ ლიანდაგზე, აბუტალიფს რომ წაიყვანდა საროზექიდან შორს. ბუქეი ედიღეის გოგოებთან დარჩა შინ.

იმ სამ ჩექმიან კაცს, აბუტალიფი თავიანთი ზურგებით რომ განეცალკევებინათ, საყელოები აეწიათ და დაძაბულად დუმ-დნენ. აბუტალიფის გამცილებელი ბორანლელებიც ჩუმად იდ-გნენ.

ქარი ქროდა, ქვემოდან ბერავდა შრიალ-შრიალით და ოდნავ გასაგონი ზუზუნით. ეტყობა, ქარბუქს ეპირებოდა. ჟივდე-ბოდა, იძაბებოდა წყვდიადი საროზექის თვალგაუტან ცაზე. მჭმუნვარედ, ცივად, უცხოდ ანათებდა მთვარე, ფერმილეულ, ეულ ლაქად ჩანდა. ყინვა ლოყებს სუსხავდა.

ზარიფა უხმოდ იცრემლებოდა. ფუთა ეჭირა აბუტალიფის გასატანებელი ტანსაცმლითა და საჭმლით. უქუბალას ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან, ეტყობა, მძიმედ ოხრავდა, ქურქის ქვეშ დაული შეეფარებინა. როგორც ჩანს, რაღაცას გრძნობდა ბიჭი და შეშინებული დუმდა, უქუბალა დეიდას ეხუტებოდა. ყველაზე დიდ გასაჭირში ედიდეი იყო - ერმექი ეჭირა ხელში და ქარისგან იფარავდა. პაწია ვერაფერს მიმხვდარიყო.

- მამუკი, მამუკი! - ეძახდა იგი მამას. - აქ მო, ჩვენთან, ჩვენც წამოგყვებით!

მისი ხმის გაგონებაზე აბუტალიფი კრთებოდა, უნებურად შემოტრიალება უნდოდა, შვილს გაპასუხებოდა, მაგრამ ის სამი ნებას არ აძლევდა. ბოლოს ერთმა ვეღარ მოითმინა.

- აქ ნუ დგახართ! გესმით? წადით აქედან, მერე მოდით, ბოლოს.

რა გზა იყო, უკან მიდგნენ ბორანლელები.

აგერ, შორიდან მოანათა ორთქლმავლის ბდღვიალა შუქმა. ყველა შეტოკდა, ამოძრავდა ადგილზე. ზარიფამ ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა ასლუკუნდა. ატირდა უქუბალაც. მოდიოდა მატარებელი და განშორება მოჰქონდა თან. მისმა შუქმა გაჰკვეთა სქელი, სუსხიანი წყვდიადი. მრისხანედ ახლოვდებოდა, ბურუსიდან ნელნელა იკვეთებოდა რახრახითა და გრიალით მისი ვეება ტანი. რაც უფრო ახლოვდებოდა, ზევით და ზევით იწევდა ორთქლმავლის ბდღვიალა შუქი. სინათლის ზოლში უფრო და უფრო გარკვევით ჩანდა რელსებს შუა ქარისგან აყენებული მტვერი, უფრო და უფრო გარკვევით და შემაშინებლად ისმოდა მრუდმხარებისა და დგუშების ქანცმილეული დგანდგარი, აჰა, გამოჩნდა მატარებელიც...

- მამუკი, მამუკი! შეხე, მატარებელი მოდის! - ყვიროდა ერმექი და გაკვირვებული, მამა რატომ ხმას არ მცემსო, ისევ ჩუმდებოდა. მერე ისევ აყვირდებოდა, იქნებ ახლა მაინც გავაგონოო; - მამუკი, მამუკი!

ასაქცევის აწრიალებული უფროსი იმ სამს მიადგა:

- საფოსტო ვაგონი მატარებლის თავშია, თუ შეიძლება, წინ წამობრძანდით, აგერ იქ.

ყველანი იმ მხარეს გაემართნენ საკმაოდ სწრაფად. მატარებელი უკვე ახლოვდებოდა. წინ სონღულისთვალება მიაბიჯებდა პორტფელით ხელში, თავს არ ატრიალებდა, მის უკან მიმავალ აბუტალიფს სონღულისთვალებას ორი ბეჭებგანიერი თანაშემწე მისდევდა, ცოტა მოშორებით ზარიფა მიიჩქაროდა, უქუბალას დაულისთვის ჩაევლო ხელი და ზარიფას მიჰყვებოდა. ედიღეი განზე მიდიოდა, ცოტა უკან, ერმექი მკლავზე ესვა. თავს

ებრძოდა, ქალებსა და ბავშვებთან არ ატირებულიყო, ყელში ბურთივით გაჩხერეროდა რაღაც.

- შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ, ერმექ? შენ ხომ ჭკვიანი ხარ და არ იტირებ, ხომ? - უაზროდ ბუტბუტებდა იგი და გულში იკრავდა პაწიას.

ამასობაში მატარებელმა თანდათან შეანელა სვლა და გაჩერებას მიუახლოვდა. როცა ორთქლმავალი ედიღეისა და ერმექს გაუსწორდა და ცოტაზე კიდევაც გაასწრო, შიშინით გამოუშვა ორთქლი. მკვახედ დასტვინა კონდუქტორმა.

- ნუ გეშინია, ნუ გეშინია, - უთხრა ედიღეიმ შიშით შემხტარ ბიჭს. - ნურაფრის გეშინია, ვინემ ჩემთან ხარ. მე კი მუდამ შენთან ვინები.

მატარებელი ხრჭიალ-ღრჭიალით გაჩერდა. თოვლის მტვერით შეთრთვილული ვაგონები, ყინულის თხელ ფენით დაბრმავებული ფანჯრებით, ადგილს მიეყინა. ირგვლივ სიჩუმე დადგა, მაგრამ ორთქლმავალმა მაშინვე ისევ შიშინით გამოაბოლქვა ორთქლი, ისევ უნდა განეგრძო გზა. საფოსტო ვაგონი საბაგაჟოს შემდეგ იყო, ფანჯრები ხარიხით ჰქონდა აჭედილი, კარი შუაში დატანებული. შიგნიდან გამოღებული კარიდან ქალმა და კაცმა გამოიხედეს. ორივეს საფოსტო უწყების ქუდები ეხურათ, დაბამბული შარვლები და ქურთუკები ეცვათ. ქალს, ეტყობა, უფროსს, ფარანი ეჭირა. ზონზრონა იყო, დიდი მკერდი ჰქონდა.

- თქვენა ხართ? - თქვა ქალმა და ფარანი თავთან ისე დაიჭირა, შუქი ყველას დასცემოდა. - გელით, ადგილი მზადაა.

სონღულისთვალება თავისი ვეება პორტფელით პირველი ავიდა ვაგონში.

- აბა, სწრაფად, სწრაფად, დაუჩქარეთ! - აწრიალდა მაშინვე ის ორი.

- მე მალე დავბრუნდები, აქ რაღაც გაუგებრობაა! - ჩქარ-ჩქარა იძახდა აბუტალიფი. - მალე დავბრუნდები, მელოდეთ!

უქუბალამ ვეღარ მოითმინა, ხმამაღლა ატირდა, როცა აბუ-ტალიფმა შვილები გულში ჩაიკრა. კოცნიდა და შეშინებულ, დაბ-ნეულ ბიჭებს რაღაცას ჩასჩურჩულებდა. ორთქლმავალი კი წა-სასვლელად ემზადებოდა. ამ სურათს ხელის ფარანი ანათებდა. უეცრივ ვაგონების გასწვრივ ელექტროობასავით გასხლტა ყუ-რისა და სულის გამაყრუებელი სასტვენის ხმა.

- აბა, ჩქარა, ჩქარა, ადი ვაგონში! - კიბისკენ წაათრია იმ ორმა აბუტალიფი.

ედიღეი და აბუტალიფი სულ ბოლოს გადაეხვივნენ ერთმა-ნეთს, სველი, გაუპარსავი ლოყა ლოყას მიადეს. მთელი გუ-ლით, არსებით, გონებით ესმოდათ ყველაფერი.

- ზღვაზე მოუყევი! - ჩასჩურჩულა აბუტალიფმა.

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები. მიხვდა ედიღეი, მამა თხოვდა, ჩემს ბიჭებს არალის ზღვაზე უამბეო.

- აბა, გეყოფათ აქ, ადი, ადი ზევით, ადი ჩქარა! - გააშორეს ისინი.

აბუტალიფი იმ ორმა მხრებით შეაგდო ვაგონში. ახლაღა მიხვდნენ ბიჭები, მამას რომ შორდებოდნენ. ორივე ერთად ატირდა, ერთად იყვირეს:

- მამუკი! მამა! მამუკი! მამა!

ედიღეი ერმექით ხელში ვაგონისკენ გაიჭრა.

- სად მოდიხარ? სად? რას შვრები! - გააფთრებით ჰკრა ფარნიანმა ქალმა მკერდში ხელი, უშველებელი მხრებით ჩა-მოეფარა ვაგონის კარს.

არავინ იცოდა, რომ იმ წუთას ედიღეი მზად იყო აბუტალი-ფის ნაცვლად თვითონ წასულიყო, ოღონდაც გზაში მოეხრჩო ის სონღულისთვალება, ისე დაუსერა გული ბავშვების კივილმა.

- აქ ნუ დგახართ! წადით, წადით აქედან! - ღრიალებდა, ის ფარნიანი ქალი. პირიდან თამბაქოსა და ხახვის მძაფრი სუნი ამოსდიოდა.

ზარიფას გაახსენდა, ფუთა რომ ხელში შერჩა.

- ეს გადაეცით, აქ საჭმელია! - შეაგდო ფუთა ვაგონში.

საფოსტო ვაგონის კარი მიიკეტა. ხმაური მიწყდა. ორთქლმავალმა დაჰკივლა, ადგილიდან ხრჭიალ-ღრჭიალით დაიძრა და ნელნელა უმატა სვლას.

უნებლიეთ დაიძრნენ ბორანლელებიც. ვაგონის ყრუდ დახშულ კარს გასდიეს. პირველი უქუბალა მოეგო გონს, ზარიფას ხელი სტაცა, გულში ჩაიკრა, არ გაუშვა.

- არ წახვიდე, დაულ აქ დადექ! დედას ჩაჰკიდე ხელი! - ხმამაღლა დაუძახა ბიჭს თანდათან აჩქარებული ბორბლების რახრახში.

ედიღეიც ერმექიანად სირბილით გაჰყვა ცოტაზე მატარებელს. მაშინღა გაჩერდა, როცა ბოლო ვაგონმა ჩაუარა. აგერ მიიმალა მატარებელი, თანდათან მიწყდა ბორბლების ხმაური, ნელ-ნელა გაქრა შუქიც.. უკანასკნელად დაჰკივლა ორთქლმავალმა...

გამობრუნდა უკან ედიღეი, დიდხანს ვერა და ვერ დააწყნარა ატირებული ბიჭი...

შუაღამემდე დარეტიანებული იჯდა ღუმელთან. მაშინღა გაახსენდა აბილოვი და ნელა წამოდგა, ჩაცმას შეუდგა. უქუბალა უმალ მიუხვდა და ქმარს ხელი სტაცა.

- სად მიდიხარ? ხელი არ ახლო, თითის დაკარება არ გაბედო ცოლი ფეხმძიმედ ჰყავს. შენ ვინ გკითხავს? რით დაუმტკიცებ?

- ნუ გეშინია, – დინჯად უთხრა ედიღეიმ, - ხელს არ ვახლებ, მაგრამ იცოდეს, რომ მისთვის ჯობია გაგვეცალოს, სხვაგან წა-

ვიდეს. პირობას გაძლევ, ღერი თმა არ დააკლდება. დამიჯერე! - ხელი გამოსტაცა ცოლს და გარეთ გავიდა.

აბილოვის ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა. მაშასადამე, არ ეძინათ.

დათოვლილ ბილიკს ჭრიჭინი გაჰქონდა ფეხქვეშ. ედიღეი ცივ კარს მიადგა, დააკაკუნა, კარი აბილოვმა გააღო. ედიღეი რომ დაინახა, დაფრთხა.

- ოჰო, ედიქე, შემო, შემო, - უთხრა და ფერდაკარგული უკან მიდგა.

ედიღეი უხმოდ შევიდა. ყინვის ოხშივარი შეიტანა. ზღურ-ბლზე დადგა, კარი მიხურა.

- რატომ დაამბლე ის უბედურები? - ნაძალადევი სიმშვი-დით ჰკითხა მან.

აბილოვი მუხლებზე დაეცა, ხოხვა-ხოხვით მივიდა ედიღე-ისთან, ტყაპუჭის კალთებზე მოებღაუჭა.

- ღმერთმანი, მე არაფერ შუაში არა ვარ, ედიქე! აი, ჩემს ცოლს არ ეღირსოს მოლოგინება! - დაიფიცა მან და შიშით გარინდულ ცოლისკენ მიიხედა. მერე ჩქარ-ჩქარა, ნაწყვეტ-ნაწ-ყვეტ განაგრძო: - ღმერთმანი, მე არა, ედიქე, ამას როგორ ვი-ზამდი: ეს იმ რევიზორის ბრალია! აბა მოიგონე, სულ მეკითხე-ბოდა და მეკითხებოდა, რას სწერს და რატომ სწერსო. ამ რევი-ზორმა ქნა ყველაფერი. ამას მე როგორ ვიკადრებდი! აი, იმას არ მოელოგინოს, თუ ვტყუი! წეღან მატარებელთან აღარ ვიცო-დი, სად წავსულიყავ, ლამის მიწაში ჩავმძვრალიყავ. ოღონდ არ მეცქირა მაგ რევიზორმა სული ამომართვა შეკითხვებით, ყვე-ლაფერს იძიებდა, აბა მე რა ვიცოდი... რომ მცოდნოდა...

- კაი, გეყოფა, – შეაწყვეტინა ედიღეიმ, - ადე, ადამიანურად ვილაპარაკოთ. აგერ შენი ცოლის წინ. ღმერთმა მშვიდობით მოალოგინოს. მაგრამ შენთვის ხომ სულ ერთია, სადაც იქნები,

ჩვენ კი იქნებ სიკვდილამდე აქ დავრჩეთ. ისე რომ დაფიქრდი. ალბათ გიჯობს შემდეგ სადმე სხვა სამუშაოზე გადახვიდე. მე ასე გირჩევ. მორჩა და გათავდა. ამაზე ნუღა ვილაპარაკებთ. ეს მინ-დოდა მეთქვა, სხვა არაფერი...

ედიღეი გამოვიდა და კარი გამოიხურა.

თავი 9.

წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით, შუადღე უკვე კარგა ხანია გადასულიყო. კვლავ დაქროდა ქარიშხალი, ოღონდ მთელი ძალით არა, კვლავ ზვირთი ზვირთზე მიგორავდა. მთელ თვალსაწიერზე, დასალიერიდან დასალიერამდე, ტორტმანებდა და მოძრაობდა თვალუწვდენელი წყლის სტიქიონი. ნელა ირწეოდა ტალღებზე ავიოსანი „კონვენცია“. ზუსტად ერთნაირი ვანძილით დაშორებული საჰაერო გზით როგორც სან-ფრანცისკოს, ისე ვლადივოსტოკს. საერთაშორისო სამეცნიერო პროგრამის ყველა განყოფილება გემზე დაძაბული იყო, სამოქმედოდ გამზადებული.

ამ დროისათვის ავიოსნის ქიმზე უკვე დასასრულს უახლოვდებოდა განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიების სასწრაფო სხდომა იმ საგანგებო ვითარების გასარკვევად, რაიც მნათობი მპყრობელის სისტემაში მიწისმიღმიერ ცივილიზაციის აღმოჩენამ წარმოშვა. უცხოპლანეტელებთან ერთად დაუკითხავად გამგზავრებული 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტები კვლავ ტყისგულეთის პლანეტაზე იმყოფებოდნენ. ისინი უკვე სამჯერ იყვნენ გაფრთხილებულნი ორბიტალურ სადგურ „პარიტეტის“ რადიოკავშირით მართვის საერთო ცენტრის მიერ, არამც და არამც არაფერი მოემოქმედათ საერთო ცენტრის საგანგებო მითითებამდე.

მართვის საერთო ცენტრის ეს კატეგორიული მოთხოვნები არა მარტო შეშფოთებამ გამოიწვია, არამედ იმ მეტისმეტად გართულებულმა, თანდათან გამწვავებულმა ვითარებამ, ორივე მხარეს შორის თანდათან გაზრდილმა იმ უთანხმოებამ, რის შე-

დეგადაც მოსალოდნელი იყო ურთიერთთანამშრომლობის სრული ჩაშლა. უფრო მეტიც - აშკარა კონფრონტაცია. ის, რაც ამ ცოტა ხნის წინ ორივე სახელმწიფოს აახლოებდა, რაც წამყვან სახელმწიფოთა ინტეგრირებული სამეცნიერო-ტექნიკური ძლიერების ინტერესებიდან გამომდინარეობდა - პროგრამა „დემიურგი“ მისდათავად ჩრდილში მოექცა და მაშინვე დაკარგა თავისი წინანდელი მნიშვნელობა იმ სუპერპრობლემის წინაშე, მიწისმიღმიერი ცივილიზაციის აღმოჩენის შედეგად რომ წარმოიშვა. კომისიის წევრებს ნათლად ესმოდათ: ეს გაუგონარი აღმოჩენა, რაც არც ერთ სხვა აღმოჩენას არ შეედრებოდა, კარდინალური გამოცდა გახლდათ მსოფლიოს თანამედროვე თანაურთიერთობის საფუძვლებისა, ყოველივე იმისა, რაც იქადაგებოდა, ინერგებოდა და მუშავდებოდა თაობათა შეგნებაში საუკუნეების მანძილზე - გამოცდა მისი არსებობის წეს-კანონების მთელი ერთობლიობისა. განა ვის შეეძლო ეკისრა ასეთი ნაბიჯის გადადგმა ან ვინ იქნებოდა იმის თავმდები, რომ თვით დედამიწას საშიშროება არ მოელოდა?

როგორც მუდამ ხდება ხოლმე ისტორიის გადამწყვეტ წუთებში, ახლაც მთელი ძალით იჩინა თავი დედამიწაზე ორ სხვადასხვა საზოგადო პოლიტიკურ სისტემათა შორის არსებულმა ძირეულმა წინააღმდეგობებმა.

გაცხარებულ კამათად იქცა საკითხის ირგვლივ გამართული ბჭობა. აზრთა სხვადასხვაობამ შეურიგებელი ხასიათი მიიღო. სულ ადვილი მოსალოდნელი იყო ისეთი შეჯახება-უთანხმოებანი, რომელთაც შეიძლება გარდაუვალი ომი გამოეწვია. ამიტომაც ყოველი მხარე ცდილობდა მეტისმეტად არ გაემწვავებინა საქმე, რადგან ამბების ასეთი განვითარება საყოველთაო საფრთხეს შექმნიდა. ყველაზე დიდ შემაკავებელ ძალად ის ამბავი აღმოჩნდა, რომ არავის სურდა, უფრო სწორად, ყველას

ეშინოდა იმ გარემოებისა, რა მოხდებოდა სტიქიურად დედამიწელთა შეგნებაში, თუკი ახალი ცივილიზაციის მოულოდნელი აღმოჩენის ამბავი საყოველთაოდ ცნობილი გახდებოდა... არავინ უწყოდა და ვერც ვერავინ იტყოდა წინასწარ, რა შედეგი მოჰყვებოდა საქმის ასეთ დაბოლოებას.

გონიერებამ მაინც სძლია ყველაფერს, ორივე მხარე ბოლოს და ბოლოს შეთანხმდა. ეს იყო იძულებითი, მკაცრად განწონასწორებული შეთანხმება. ამასთან დაკავშირებით „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურზე მართვის საერთო ცენტრმა კოდირებული რადიოგრამა გაგზავნა ასეთი შინაარსის:

„1-2 და 2-1 კოსმონავტ კონტროლიორებს! გევალებათ „პარიტეტის“ საბორტო სისტემის დახმარებით დაუკავშირდეთ რადიოთი 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებს, რომლებიც მზისმიღმიერ გალაქტიკაში, ეგრეთწოდებულ მნათობ „მპყრობელის“ სისტემის ტყისგულეთის პლანეტაზე იმყოფებიან. აუცილებელია სასწრაფოდ ემცნოთ მათ, რომ ორმხრივ კომისიათა დასკვნის საფუძველზე, რომლებმაც 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების მიერ აღმოჩენილ მიწისმიღმიერ ცივილიზაციაზე ინფორმაცია შეისწავლეს, მართვის საერთო ცენტრმა გადაწყვეტილება მიიღო და ეს გადაწყვეტილება ხელახლა განხილვას არ ექვემდებარება:

1) არამცდა არამც არ დაიშვება 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტების დაბრუნება „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურზე და შემდგომ დედამიწაზე, როგორც დედამიწისეული ცივილიზაციისათვის არასასურველი პირებისა.

2) გამოეცხადოს ტყისგულეთად წოდებულ პლანეტის მცხოვრებთ, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ყოველნაირ კავშირზე მათთან, რამეთუ ეს კავშირი ვერ შეუთავსდება დედამიწაზე მყოფ ადამიანთა საზოგადოების ისტორიულ გამოცდილებას,

მათ საჭირბოროტო ინტერესებს, კაცობრიობის თანამედროვე განვითარების თავისებურებებს.

3) გაფრთხილებულ იქნან ყოფილი 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული უცხოპლანეტელები, არამც და არამც არ შეეცადონ დედამიწელებთან კავშირის დამყარებას, მით უფრო დედამიწის ირგვლივ სფეროებში შემოჭრას, როგორც ეს უცხო პლანეტელებმა ჩაიდინეს, როცა „პარიტეტის“ ორბიტალურ სადგურს ეწვივნენ.

4) დედამიწის ირგვლივ მდებარე კოსმიური სივრცის იზოლაციის უზრუნველსაყოფად უცხოპლანეტური წარმოშობის მფრინავ აპარატების შესაძლებელ შემოჭრისაგან მართვის საერთო ცენტრი აცხადებს, რომ სასწრაფოდ იქნას დაწესებული საგანგებო ტრანსკოსმიური რეჟიმი ოპერაცია „სალტეს“ სახელწოდებით, რომელიც დააპროგრამებს მოცემულ ორბიტაზე ბარაჟირებულ საბრძოლო რაკეტა-რობოტების სერია, ბირთვულ-ლაზერული გამოხივებით რომ შეძლებენ კოსმოსში დედამიწას მიახლოებულ ყველა საგნის განადგურებას.

5) ეცნობოს ყოფილ პარიტეტ-კოსმონავტებს, რომლებიც თვითნებურად დაუკავშირდნენ უცხოპლანეტელ არსებებს, რომ უშიშროებისა და დედამიწელთა გეოპოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებულ სტაბილობის შენარჩუნების მიზნით მათთან დაკავშირების ყველა შესაძლებლობა გამორიცხულია. შემდგომ კი მიღებულ იქნება ყველა ზომები მომხდარი შემთხვევის დასაიდუმლოებისა და კონტაქტების დაუშვებლობისათვის. ამ მიზნით სადგური „პარიტეტი“ დაუყოვნებლივ შეიცვლის ორბიტას, ხოლო რადიოკავშირის არხები ხელახლა იქნება კოდირებული.

6) ერთხელ კიდევ იქნას გაფრთხილებული უცხოპლანეტელები, რომ დედამიწის ირგვლივ „სალტეს“ ზონასთან მოახლოება საშიშროებას წარმოადგენს ყველასათვის.

მართვის საერთო ცენტრი. ავიოსან „კონვენციის“ ქიმი“.

ამ დასაცავ ღონისძიებათა მიღების შედეგად მართვის საერთო ცენტრი იძულებული გახდა გაურკვეველი დროით მთლიანად შეეჩერებინა პლანეტა „იქსის“ ასათვისებლად შემუშავებული პროგრამა „დემიურგი“. ორბიტალური სადგური „პარიტეტი“ უნდა გადასულიყო ბრუნვის სხვა პარამეტრებზე და გამოყენებული ყოფილიყო მიმდინარე კოსმიური დაკვირვებებისთვის. კოოპერატიული სამეცნიერო-კვლევითი ავიოსანი „კონვენცია“ კი გადაწყვეტილების მიხედვით. ნეიტრალურ ფინეთს გადაეცემოდა შესანახად. შორეულ კოსმოსში სისტემა „სალტეს“ გაშვების შემდეგ ყველა პარიტეტული სამსახური, ყველა დამხმარე დაწესებულება უნდა დაშლილიყო, ყველა სამეცნიერო და საადმინისტრაციო მუშაკს, სასტიკი გაფრთხილების შედეგად, წერილობითი პირობა უნდა დაედო, სიკვდილამდე არამც და არამც არ გაამხელდა იმ მიზეზს, რამაც მართვის საერთო ცენტრს მოქმედების არე შეაკვეცინა.

ფართო საზოგადოებას კი ემცნობოდა, რომ პროგრამა „დემიურგის“ მუშაობა გაურკვეველი დროით იქნა შეჩერებული, რამეთუ აუცილებელი შეიქნა პლანეტა „იქსზე“ კაპიტალური კვლევა-ძიების და კორექციის ჩატარება.

წყნარ ოკეანეში, ალეუტის კუნძულების სამხრეთით დღე უკვე იწურებოდა. ამინდს შედარებით არა უშავდა. მაგრამ ოკეანეში ღელვა მაინც თანდათან მატულობდა. უკვე ისმოდა აქაფებული ტალღების ხმაური. ავიოსანზე ავიოფრთის მომსახურენი დაძაბული ელოდნენ იმ წუთს, როცა სხდომა დამთავრდებოდა და განსაკუთრებულ რწმუნებათა მქონე კომისიები თვითმფრინავებთან გამოვიდოდნენ. აგერ კიდევაც გამოვიდნენ, ერთმა-

ნეთს დაემშვიდობნენ, ნაწილი ერთი თვითმფრინავისკენ გაემართა, ნაწილი - მეორისკენ.

რწევის მიუხედავად, თვითმფრინავები მშვენივრად აფრინდნენ, ერთმა ლაინერმა სან-ფრანცისკოსკენ აიღო გეზი, მეორე საპირდაპირო მიმართულებით - ვლადივოსტოკისკენ გაფრინდა.

და ტრიალებდა დედამიწა თვის წრესა ზედა, და გარს უვლიდნენ ქარნი ზენანი და ტრიალებდა დედამიწა... ვით პაწაწა ქვიშის მარცვალი ამ განუზომელ ამ უსასრულო სამყაროში, სადაც ასეთი მარცვლების რიცხვი უამრავი და უთვალავია. მაგრამ მხოლოდ აქ დედამიწის პლანეტაზე იყვნენ, ცხოვრობდნენ ადამიანები, როგორც შეეძლოთ და ემარჯვებოდათ; ცნობისწადილით ატანილებმა ბევრჯერ სცადეს იმის გარკვევა, არის თუ არა სადმე სხვაგან მათი მსგავსი არსებანი. იყო დავა, იყო კამათი, ნაირ-ნაირი ჰიპოტეზები. გაფრინდნენ მთვარეზედაც, გაგზავნეს სხვა ციურ სხეულებზეც ავტომატური მოწყობილობანი, მაგრამ ყოველ ცდას მწარე იმედგაცრუება მოსდევდა, ყოველი ცდა არწმუნებდათ, რომ მზის სისტემის ირგვლივ მდებარე სამყაროში არავინაა მათი მსგავსნი, არსად არ არის სიცოცხლის ნიშანწყალი. მერე ავიწყდებოდათ ეს ამბები, იმიტომ რომ საამისოდ აღარ ეცალათ, იმიტომ რომ არცთუ ადვილი იყო ცხოვრება, ერთმანეთთან მშვიდობით ყოფნა და მორიგება. იმიტომ რომ არცთუ ადვილად იპოვებოდა პური არსობისა... ბევრი იმასაც ფიქრობდა, ეს არააო ჩვენი საქმე. და ტრიალებდა, ტრიალებდა დედამიწა ანაბარა თავის თავისა...

ძალზე სუსხიანი და ბურუსიანი იყო მთელი ის იანვრის თვე. ან ქარს საიდან მოჰქონდა ასეთი სუსხი საროზექში! ყინულს და-

ეფარა მატარებლების ჭიჭირაქები, ყინვას გათეთრებინა ვაგონებიც. უცნაური სანახავი იყო, როცა შავი ნავთობსასხმელი ცისტერნები ასაქცევზე თეთრად დათოვლილნი, შეჭირხლულნი ჩამოდგებოდნენ. ადგილიდან დაძვრაც ეძნელებოდათ მატარებლებს. შეწყვილული ორთქლმავლები ისეთი ძალითა და ღრჭიალალით აგლეჯდნენ ლიანდაგებზე მიყინულ ბორბლებს, ეს ხმა კარგა შორს ისმოდა ჰაერში. ღამღამობით ბორანლელ ბავშვებს ბევრჯერ შიშით გაჰღვიძებიათ ამ გრიალზე.

თოვლის ხიაწებიც აიმართა ლიანდაგებზე. ერთმანეთს მიეწყო ყველაფერი. ქარი სულ გაგიჟდა, სულ აიწყვიტა თავი. კარგი ნავარდო მიეცა საროზექში! არ იცოდი, რომელი მხრიდან შემოგიტევდა ბუქი. ბორანლელების აზრით, განგებ რკინიგზაზე ახვეტდა და ახვეტდა ქარი თოვლის ნამქერებს. სულ პატარა ღრიჭო კმაროდა, ზედ დაცხრომოდა. ბუქი დაეყენებინა და თოვლით აევსო ლიანდაგები.

ედიღეი, ყაზანგაპი და კიდევ სამიოდე მუშა რკინიგზის ხაზის ერთი ბოლოდან მეორეში გარბოდნენ, ხან აქ, ხან იქ და ხან ისევ ძველ ადგილზე წმენდნენ თოვლისაგან ლიანდაგებს. აქლემებს შეუბამდნენ სათრეველას და თოვლის ზედა მძიმე ფენას მიხვეტდნენ ხოლმე გზისპირებზე, დანარჩენი ხელით გაჰქონდათ. არ ზოგავდა ედიღეი ყარანარსაც. უხაროდა, ამით მაინც ქანცს გავაცლი, მოეთოკავ, იქნება აღარ იგიჟოსო. მასავით ღონიერ აქემს შეუწყვილა, მათრახით მირეკავდა, თვითონ კი განივ ფიცარზე იდგა და იმით გაჰქონდა ნამქერები. სხვა საშუალება მაშინ არ გააჩნდათ. იძახდნენ, ქარხნებმა უკვე გამოუშვეს საგანგებო თოვლის საწმენდი ლოკომოტივები, ნამქერებს ისინი განგანზე მიხვეტავენო. დაჰპირდნენ კიდეც, მალე გამოგიგზავნით ასეთ მანქანებსო, მაგრამ ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩებოდა.

თუ მთელი ორი თვე ზაფხულის სიცხემ ლამის ყველას სიქა გააცალა, ამ ყინვიანი ჰაერის შესუნთქვა კიდევ უფრო მტანჯველი გამოდგა - გეგონებოდა, საცაა ფილტვებს გაგლეჯსო. მაგრამ მატარებლები მაინც მიდი-მოდიოდნენ და შენი საქმე მაინც უნდა გეკეთებინა. ედიღეის ჯაგარმა დაუფარა სახე; იმ ზამთარს პირველად იელვა შიგ აქა-იქ ჭაღარამ. უძილობისგან თვალები დასიებოდა, სახე ქვად და რკინად ქცეოდა, სარკეში ჩახედვისა ეშინოდა. დღედაღამ ტყაპუჭი ეცვა, ზემოდან კიდევ ბრეზენტის კაპიუშონიანი ლაბადა, ფეხებზე თექები.

მაგრამ რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, რა ვაივაგლახშიც არ უნდა ყოფილიყო, აბუტალიფ ქუთიბაევის ამბავი ედიღეის თავიდან არ შორდებოდა. ძალიან ატკინა ამ ამბავმა გული. ისა და ყაზანგაპი ხშირად იმტვრევდნენ თავს - რანაირად მოხდა ეს ყველაფერიან რით დამთავრდებაო. ყაზანგაპი მეტწილად დუმდა, წარბშეჭმუხნილი, დაძაბული. ფიქრობდა თავისას.

- ყოველთვის ასე იყო, - თქვა ერთხელაც, - ვინემ გაარკვევენ და გაარჩევენ... ტყუილად კი არ უთქვამთ ძველად: „ხანი ღმერთი კი არაა. განა ყოველთვის იცის, რას იქმიან მისი ხელქვეითნი, არც მისმა ხელქვეითებმა იციან, ბაზარზე ხარკს ვინ კრეფსო“. მუდამაც ასე იყო.

- ნეტა რას ამბობ! გამომიჩნდა რაღა ბრძენი, - უკმაყოფილოდ დასცინა ედიღეიმ, - რა ხანია ეგ შენი ხანები დაიფრინეს! საქმე ეს არაა!

- აბა რაა? - დინჯად ჰკითხა ყაზანგაპმა.

- რაა, რაა! - ბრაზით წაიბუზღუნა ედიღეიმ, მაგრამ პასუხი ვერ მოძებნა. ვერც შემდგომ მოუნახა ტვინში ხიწვივით ჩარჩენილ ამ კითხვას პასუხი.

უბედურებას ცალად არ უყვარს სიარული. გაცივდა, დიდი სიცხე მისცა ქუთიბაევების უფროს ბიჭს, დაულს, სულ აბოდებდა, ყელი სტკიოდა და ხველა ახრჩობდა. ზარიფა იძახდა, ანგინა სჭირსო, და აბებს აყლაპებდა. მაგრამ მთელი დღე ბავშვებთან ვინ გააჩერებდა, როცა მეისრედ მუშაობდა, ცხოვრება ხომ უნ-დოდათ - ხან ღამით, ხან დღისით მორიგეობდა. ისევ უქუბალამ იტვირთა ოთხ ბავშვზე ზრუნვა, იცოდა, რა გამოუვალი მდგომა-რეობა შეექმნა აბუტალიფის ოჯახს. ეხმარებოდა ედიღეიც, რო-გორც შეეძლო. დილაადრიან ქვანახშირს მიუტანდა ხოლმე ფარდულიდან ბარაკში, თუ დრო ჰქონდა, ღუმელსაც უნთებდა ზარიფას. ქვანახშირის დანთებასაც ოსტატობა უნდა. ვედრონა-ხევარ ნახშირს ერთად ჩაჰყრიდა ხოლმე ღუმელში, რომ ბალ-ღებს მთელი დღე სითბო არ მოჰკლებოდა, შეშასაც ჩეხდა ცეც-ხლის გასაჩაღებლად. სულაც არ ემძიმებოდა ეს საქმეები, გინდ შეშის ჩეხა, გინდ წყლის მოტანა თუ სხვა... ძნელი სხვა რამ იყო. ძალზე უჭირდა აბუტალიფის ბიჭებისთვის თვალის გასწორება. მათ კითხვებზე პასუხი. წამება იყო პირდაპირ. უფროსი ავად იყო და იწვა, თან ხასიათიც უფრო თავშეკავებული ჰქონდა. პატარა ერმექი კი, დედის პირწავარდნილი ასლი, დიდ გასაჭირში აგ-დებდა. დილით რომ ნახშირს მოიტანდა და ღუმელს აანთებდა, ედიღეი ცდილობდა ბავშვები არ გაეღვიძებინა და შეუმჩნევლად წასულიყო, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებდა, თმახუჭუჭა ერმექი მაშინვე გამოაჭყეტდა ხოლმე თვალებს.

- ხომ ჩამოვა დღეს მამუკი, ძია ედიღეი? - პირველად ამას ჰკითხავდა და პერანგისამარა, ფეხშიშველი მისკენ მორბოდა. თვალებში იმედი უბრწყინავდა, რომ ძია ედიღეი კის ეტყოდა და მამაც უთუოდ დაუბრუნდებოდა. ედიღეი იღლიაში ამოიდებდა ბიჭის გამდარ თბილ სხეულს და ისევ ლოგინში ჩააწვენდა.

- დღეს არ ვიცი, ჩამოვა თუ არა შენი მამუკი, ერმექ, - ეტყოდა ხოლმე, როგორც დიდს, - მაგრამ სადგურიდან უთუოდ გვაცნობებენ, რომელი მატარებლით დაბრუნდება. ხომ იცი, ჩვენთან სამგზავრო მატარებლები არ ჩერდება, თუკი გზის ყველაზე უფროსმა დისპეტჩერმა არ ბრძანა. ჩემი აზრით, ამ დღეებში უნდა გვაცნობონ. მაშინ მე, შენ და დაული, თუკი იმ დროისთვის გამოკეთდა, ერთად დავხვდებით მატარებელს.

- ჰოდა, ჩვენც ვეტყვით, მამუკი, აქა ვართ-თქო, ხომ კი? - ედიღეის მონაგონს ფრთას ასხამდა ბიჭი.

- აბა როგორ! ასეც ვეტყვით, - ვითომ რიხით კვერს უკრავდა ედიღეი.

მაგრამ საზრიანი ბიჭის გაცურება არცთუ იოლი იყო.

- ძია ედიღეი, იქნებ მაშინდელივით სატვირთო მატარებელს გავყვეთ იმ ყველაზე უფროს დისპეტჩერთან და ვუთხრათ, მამუკი რომ ჩამოვა, ის მატარებელი გააჩერე-თქო.

ედიღეის ახალი ტყუილი უნდა მოეგონებინა.

- მაშინ ზაფხული იყო, თბილოდა. ახლა კი სატვირთოს როგორ გავყვეთ, როცა ასე ცივა? ხედავ, ფანჯრებიც კი გაყინა. გზაშივე გავიყინებით. არა, ეს ძალიან საშიშია.

ბიჭი დაღონებით დადუმდებოდა.

- შენ იწექი, მე კი დაულს დავხედავ, - მოიმიზეზებდა ედიღეი და ავადმყოფთან მივიდოდა, ბიჭს გახურებულ შუბლზე მძიმე, დაკორძილ ხელს დაადებდა... ისიც ძლივს გაახელდა თვალებს, სუსტად გაიღიმებდა სიცხისაგან დამსკდარი ტუჩებით.. არა და არ ჩამოდიოდა სიცხე. - არ გადაიხადო, დაულ, ოფლი გაქვს გესმის? უარესად გაცივდები, შენ კი ტაშტი მიუტანე ხოლმე, ერმექ ფისი რომ მოუნდება, გაიგე? რომ არ წამოდგეს. დედა მალე მოვა მორიგეობიდან. უქუბალა დეიდაც ახლავე შემოგაკითხავთ, საქმელს გაჭმევთ, ხოლო დაული რომ გამოკეთდება,

ჩვენთან მოირბენთ, საულესა და შარაფათს ეთამაშებით. მე კი უნდა წავიდე. სამუშაო მაქვს, ხომ ხედავთ, რა თოვლი დადო, მატარებლები ვეღარ ივლიან, - წასვლისას ეუბნებოდა ედიღეი ბიჭებს.

მაგრამ ერმექს ასე ადვილად ვინ გააჩერებდა.

- ძია ედიღეი, - ეტყოდა უკვე ზღურბლზე მდგარ ედიღეის, - თუ ბევრი თოვლი იქნა, როცა მამუკის მატარებელი მოვა, მეც წამოვალ თოვლის გასაწმენდად. პატარა ნიჩაბი ხომ მაქვს.

გულდამძიმებული წამოვიდოდა ხოლმე მათი სახლიდან ედიღეი ბრაზის, უმწეობისა და სიბრალულის გრძნობა გულს უწეწკავდა. მთელ ქვეყანაზე ბოროტდებოდა მაშინ. ჯავრს ისევ თოვლზე, ქარზე, ნამქერებსა და აქლემებზე იყრიდა, იმათაც აღარ ინდობდა საქმეში. თვითონაც გამხეცებული მუშაობდა, თითქოსდა საროზექისეულ ქარბუქისთვის კისრის მოგრეხა მარტოს შეეძლო..

ასე გადიოდა დღეები, ასე მიჰყვებოდა დღე დღეს წყლის წუთებივით, ნელ-ნელა, გამოზომილად რომ ცვივა. გაიარა იანვარმაც და ყინვაც ცოტაოდენ მოტყდა, აბუტალიფისა კი არაფერი ისმოდა. რა არ იფიქრეს ედიღეიმ და ყაზანგაპმა - ხან ასე სჯიდნენ, ხან ისე. მათი აზრით, მალე უნდა გამოეშვათ აბუტალიფი, აბა ისეთი საშინელი რა ჩაიდინა - თავისთვის წერდა რაღაცებს, სხვისთვის ხომ არა. აიმედებდნენ ზარიფასაც, სულით რომ არ დაცემულიყო ქალი. ზარიფამაც კარგად იცოდა, რომ შვილების გულისთვის ქვა და რკინად უნდა ქცეულიყო. მართლაც ქვა და რკინა გახდა. გული ჩაიხურა, ხმას არ იღებდა. ოღონდ თვალებში უელავდა შიში, ვინ იცის, სადამდე ეყოფოდა ძალა და მოთმინება.

ერთ დღეს სამუშაოდან თავისუფალი იყო ბურანელი ედიღეი. გადაწყვიტა ტრამალში წასულიყო და ენახა, აქლემების

ჯოგი როგორ სძოვდა იქა, რაც მთავარია, ყარანარი როგორ იქცეოდა. ვინმე ხომ არ დაასახიჩრა ჯოგში: ჭკუაზე თუ მოვიდა, თუ დაცხრა და დაშოშმინდა. შორი არ იყო და თხილამურებით გასწია იქით. დროზე დაბრუნდა. დააპირა ყაზანგაპისთვის ეცნობებინა, ყველაფერი რიგზეაო. აქლემები მელიკუდას ღარტაფში სძოვდნენ. თოვლი იქ თითქმის აღარ იყო, ქარი არ აჩერებდა, იმიტომაც ნავროტი კარგად ჩანდა და შესაშფოთებელი არაფერი იყო. მაგრამ მაინც ჯერ შინისკენ გასწია, თხილამურებს დავტოვებო. კარიდან უფროსმა გოგომ, საულემ გამოხედა.

- დედა ტირის! - უთხრა შეშინებულმა და მიიმალა.

ედიღეიმ თხილამურები დაყარა და შეშფოთებული გაეჩქარა შინისკენ. უქუბალა ისე ხმამაღლა ზლუქუნებდა, ედიღეის სუნთქვა შეეკრა.

- რა იყო,რა მოხდა?

- წყეულიმც იყოს ყველაფერი ამ წყეულ ქვეყანაზე, - ქვითინით წამოიძახა უქუბალამ.

ასეთ დღეში ცოლი არასოდეს ენახა ედიღეის. უქუბალა მაგარი, ჭკუადამჯდარი ქალი იყო.

- შენი, შენი ბრალია ყველაფერი!

- ჩემი რა ბრალია? - სახტად დარჩა ედიღეი.

- ზღაპრებით რომ ატყუებდი საწყალ ბავშვებს. წეღან, აი, სულ ახლახანს, სამგზავრო მატარებელი ჩამოდგა, შემხვედრი უნდა გაეშვა და იმიტომ გაჩერდა. ნეტა რაღა აქ შეხვდნენ ერთმანეთს? ბუტალიფის ბიჭებმა კი რომ დაინახეს, სამგზავრო მატარებელი ჩამოდგაო, ყვირილით გაცვივდნენ მატარებლისკენ: „მამა, მამუკი, ჩვენი მამუკი სადაა!“ მამუკი ჩამოვიდა!“ მე უკან გავეკიდე. ისინი კი ხან ერთ ვაგონთან მიირბენდნენ, ხან მეორესთან, გაჰკივიან : „მამა, მამუკი! ჩვენი მამუკი სადაა!“ მეგონა, მატარებლის ქვეშ ჩავარდებიან-მეთქი. ისინი კი მირბიან

და მირბიან მატარებლის გასწვრივ, მამას ეძახიან! ერთი კარიც არ გაიღო. არადა, გრძელი მატარებელი იყო, ჩაგმანულ-ჩაკეტილი. ვინემ მე დავეწიე, ვინემ პატარა დავიჭირე, ვინემ დიდს ვტაცე ხელი, მატარებელი დაიძრა და წავიდა. ისინი ხელიდან მისხლტებიან: „იქ ჩვენი მამუკია, ჩამოსვლა ვერ მოასწრო!“ ატეხეს ღრიალი. გული გადამიქანდა. მეგონა, ჭკუაზე შევცდებოდი, ისე ღრიალებდნენ და ტიროდნენ ბიჭები. ერმექი ვერაფრით ვერ გავაჩერეთ! წადი ახლავე და დააწყნარე. გასწი-მეთქი! ეს შენ უთხარი მაგათ, სამგზავრო მატარებელი რომ ჩერდება, მამაც ჩამოვაო, ერთი გენახა, რა დაემართათ, როცა მატარებელი წავიდა, მამა კი არ გამოჩნდა! ერთი შენი თვალით გენახა! ან რატომაა ასე მოწყობილი ეს ქვეყანა, ასე რად უყვარს მამას შვილი, შვილს კი მამა? ასე რად უნდა დაიტანჯოს ადამიანი?

წამება იყო ედიღეისთვის ქუთიბაევებთან მისვლა. მხოლოდ ამ ერთს ევედრებოდა ღმერთს, შემინდე და მაპატიე ეს უნებლიე ტყუილი ამ პატარა მიამიტ სულთა წინაშეო. ღმერთმა ხომ იცის, ბოროტებით არ მოსვლია. ახლა რა უთხრას, რა პასუხი გასცეს ბიჭებს?

მისი გამოჩენა და, ტირილით თვალებდასიებული, სახეშეცვლილი ბიჭების ხელახლა აღრიალება ერთი იყო. მაშინვე მიცვივდნენ ძია ედიღეის ზლუქუნ-ზლუქუნით, ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე უხსნიდნენ, რომ ჩამომდგარი მატარებლიდან მამამ ჩამოსვლა ვერ მოასწრო და ძია ედიღეიმ ახლავე უნდა გაეჩერებინოს ის მატარებელი...

- საღინდიმ, პაპიკამდი! საღინდიმ, საღინდიმ![16] - ყვიროდა ერმექი და იმედით, ნდობით, მწუხარებით სავსე თვალებით შესციცინებდა ედიღეის.

---

[16] გული გამისკდება, მოვკვდები დარდ

- ახლავე ყველაფერს გავიგებ. დაწყნარდით, დამშვიდდით, ნუ ტირით, - აჩუმებდა, აშოშმინებდა ტირილით გულამომჯდარ ბიჭებს ედიღეი. თვითონაც ძლივს იკავებდა თავს არ ატირებულიყო, სახეზე არაფერი დამჩნეოდა, ბავშვების თვალში უმწეო, უძლური არ გამოჩენილიყო. - ახლავე წავალ, ერთად წავალთ! – „სად წავალთ? ვისთან? რა ვქნა? როგორ მოვიქცე?“ - ფიქრობდა თან გულში. - ახლა ჩვენ გარეთ გავალთ და იქ მოვიფიქრებთ, მოვითათბირებთ, - ბურტყუნებდა ედიღეი, თუმცა რას პირდებოდა, თვითონაც არ იცოდა.

ზარიფა ლოგინზე უძრავად დამხობილიყო, თავი ბალიშში ჩაერგო.

- ზარიფა, ზარიფა! - მხარზე შეახო ხელი ედიღეიმ. ზარიფას თავი არ აუღია.

- ჩვენ ახლა წავალთ, ცოტა გავივლ-გამოვივლით, მერე ჩვენთან შევალთ, - უთხრა ედიღეიმ, - მე და ბიჭები წავალთ.

ამის მეტი ვერაფერი მოიგონა ბიჭების დასამშვიდებლად: იქნებ გაერთონ, დარდი გადაიყარონ ამასობაში და მეც რაღაცა მოვიფიქროო ერმექი ზურგზე შეისვა, დაულს ხელი ჩაჰკიდა და ასე უმიზნოდ გაჰყვნენ რკინიგზის ლიანდაგს. სხვისი უბედურება თავის დღეში ასე ახლოს არ მიუტანია გულთან ედიღეის. ერმექი ზურგზე ეჯდა და სუკუნ-სილუკუნით, მწუხარედ სუნთქავდა კისერში, პაწია, დარდით გულმოკლული არსება ისეთი ნდობით ჩაკვროდა და ჩაჭიდებოდა მხრებზე, მეორე ასეთსავე პატარა არსებას ისე ნდობით ჩაეკიდებინა მისთვის ხელი, ედიღეის გული დაუწვა მათმა საცოდაობამ, ლამის ხმამაღლა ებღავლა სიბრალულით.

ასე მიჰყვებოდნენ ისინი რკინიგზას ამ უკაცრიელ საროზექში. მხოლოდ მატარებლები მიგრიალებდნენ ხან აქეთ, ხან იქით... მიდიოდნენ და მიდიოდნენ რახრახით.

სხვა რა გზა იყო. ახლაც ტყუილები მოუჩმახა ედიღეიმ ბიჭებს. უთხრა, შეცდითო, ის მატარებელი შემთხვევით გაჩერდა ჩვენს ასაქცევზე. თორემ სულ სხვა მხარეს მიდიოდა. თქვენი მამუკი კი სულ სხვა მხრიდან უნდა ჩამოვიდესო. მაგრამ ალბათ ასე მალე ვერ ჩამოვა, იმიტომ რომ სადღაც, რომელიღაც ზღვაზე მეზღვაურო, გაგზავნეს. ჰოდა, როგორც კი გემი შორეული მგზავრობიდან დაბრუნდება, მამუკიც მაშინვე ჩამოვა. ჩვენ კი უნდა დავუცადოთო. ედიღეის ფიქრით, ეს ტყუილი ცოტა დაამშვიდებდა ბიჭებს, ვინემ სიცრუე სიმართლედ არ იქცეოდა. ხოლო აბუტალიფი რომ მართლა დაბრუნდებოდა, ედიღეის ეჭვი არ ეპარებოდა. გავა დრო, გაარკვევენ ყველაფერს და, როგორც კი გაათავისუფლებენ, აბუტალიფი წამსაც არ დაახანებს, შვილების ესოდენ მოყვარული მამა წამსაც არ დაკარგავს ზედმეტად... იმიტომაც თხზავდა ამ ტყუილებს ედიღეი... აბუტალიფის ამბავი რომ იცოდა, კარგად გრძნობდა, რად უღირდა ამ კაცს ოჯახთან განშორება. სხვას იქნებ არც ისე მწარედ განეცადა, მისი ნებისდა დამოუკიდებლად, ოჯახთან დროებითი დაცილება, იმ იმედით, შინ მალე დავბრუნდებიო. აბუტალიფისთვის კი, ედიღეი დარწმუნებული იყო ამაზე დიდი სასჯელი არ არსებობდა: იმიტომაც ეშინოდა ედიღეის გაუძლებს თუ არა, ვინემ საქმე გაირჩევა და გადაწყდებაო..

ამასობაში ზარიფამ უკვე რამდენიმე წერილი გაგზავნა სათანადო დაწესებულებებში თავისი ქმრის საქმის თაობაზე და ისიც ითხოვა თუ ქმრის ნახვა შეიძლება, მაცნობეთო, ჯერჯერობით პასუხი არ ჩანდა. ყაზანგაპი და ედიღეი დიდი ფიქრის და თავისმტვრევის შემდეგ პასუხის დაგვიანებას მეტწილად ბორანლი-ბურანში პირდაპირი საფოსტო ხაზის უქონლობას აბრალებდნენ. წერილები ან სხვისთვის უნდა გაეტანებინათ, ან თვითონ წაეღოთ ქუმბელის სადგურზე ფოსტასაც ქუმბელიდან ამ წესით

აგზავნიდნენ ანუ სხვებს ჩამოჰქონდათ. ასეთი წესი კი, მოგეხსენებათ, ყველაზე სწრაფი როდია წერილის მისაღებად.

ასეც მოხდა ერთ დღეს...

თებერვლის ბოლოს ყაზანგაპი ქუმბელში გაემგზავრა ინტერნატში მყოფი საბითჟანის მოსანახულებლად. აქლემით წავიდა. ზამთარში სატვირთო მატარებელში კაცი გაიყინება. ვაგონში ვერ შეხვალ, აკრძალულია, ღია ბაქანზე კი ქარი უბედურად უბერავს. ხოლო აქლემით თუ გაემგზავრები, თან თბილად ჩაიცვამ, არხეინად შეგიძლია ერთ დღეში ჩახვიდე და ჩამოხვიდე, თან სხვა საქმეებიც მოაგვარო.

ყაზანგაპი იმავე საღამოს დაბრუნდა. ვინემ აქლემიდან ჩამოვიდოდა, უგუნებობა შეატყო ედიღეიმ ყაზანგაპს. იფიქრა, ალბათ ბიჭმა რაღაც ოხრობა ჩაიდინა ინტერნატში, თანაც აქეთიქით გზობისას აქლემზე ჯიყჯიყმა დაღალაო.

- კარგად მოიარე? - შეეხმიანა ედიღეი.

- არა უშავს, - ყრუდ წაილაპარაკა ყაზანგაპმა, თან საპალნეს ხსნიდა. მერე მოტრიალდა და მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ ჰკითხა: - შინ იქნები?

- ჰო.

- საქმე მაქვს, ახლავე მოვალ.

- მოდი.

ყაზანგაპს დიდხანს არ დაუყოვნებია. ბუქეიც თან მოჰყვა. პირველი თვითონ შემოვიდა, მერე ბუქეი. ორივე ძალიან შეწუხებული ჩანდა. ყაზანგაპი დაღლილი იყურებოდა, კისერი კიდევ უფრო დაგრძელებოდა, მხრები, ულვაშები ჩამოჰყროდა. სქელი ბუქეიც ისე ქოშინებდა, თითქოს გულის ფრიალი ავარდნია და სუნთქვა უჭირსო.

- ხომ არ გიჩხუბიათ და შესარიგებლად ხომ არ მოსულხართ? - გაეცინა უქუბალას. - დაბრძანდით.

- ნეტამც ეგრე ყოფილიყო, - გაგუდული ხმით თქვა ბუქეიმ, სული ჯერაც ვერ ამოეთქვა.

ყაზანგაპმა ირგვლივ მიმოიხედა.

- შენი გოგოები სად არიან?

- ზარიფასთან, ბიჭებს ეთამაშებიან, - მიუგო ედიღეიმ, - რად იკითხე?

- ცუდი ამბავი მოვიტანე, - წაილაპარაკა ყაზანგაპმა და ედიღეის და უქუბალას შეხედა. – ბავშვებმა სჯობია ჯერ არ იცოდნენ. დიდი უბედურება მოხდა. ჩვენი აბუტალიფი აღარაა!

- რას ამბობ! - შეხტა ედიღეი, უქუბალამ კი ერთი შეჰკივლა, პირზე ხელი მიიჭირა და მიტკალივით გათეთრდა.

- მოკვდა, აღარაა! საცოდავი ბაღები, საწყალი ობლები! - ხმაჩახლეჩით გააბა მოთქმა ბუქეიმ.

- როგორ თუ მოკვდა? - ყაზანგაპს ახლოს მიუჩოჩდა ედიღეი, ყურებს არ უჯერიდა.

- ასეთი ქაღალდი მოსულა სადგურზე.

ანაზდად ყველანი დადუმდნენ, ერთმანეთს მიაჩერდნენ.

- ვაიმე, რა უბედურება მოხდა! ვაიმე, რა უბედურება! - დაიკვნესა უქუბალამ და თავზე იტაცა ხელები, ხან აქეთ გადაქანდებოდა, ხან იქით..

- ქაღალდი სადაა? – ამოთქვა ბოლოს ედიღეიმ.

- ქაღალდი იქაა, სადგურში. - დაიწყო მოყოლა ყაზანგაპმა. მოკლედ, ვიყავი ინტერნატში, მერე ვიფიქრე, სადგურის მოსაცდელ დარბაზში რომ პატარა მაღაზიაა, იქ შევივლი-მეთქი. ბუქეიმ საპონი დამაბარა. კარს მივადექი თუ არა, სადგურის უფროსი ჩერნოვი შემომხვდა. მივესალმეთ, რამდენი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. მითხრა: „კიდევ კარგი, შემხვდი, წამო კაბინეტში, წერილია მოსული, ბორანლი-ბურანში ჩაიტან ბარემ“. კაბინეტი გააღო და შემიყვანა. მერე მაგიდიდან კონვერტი აიღო,

ზედ დაბეჭდილი ასოები ჩანდა. „აბუტალიფ ქუთიბაევი თქვენთან მუშაობდა?“ - მკითხა. ჩვენთან-მეთქი. რა იყო? - „აგერ მესამე დღეა მოვიდა, მაგრამ ვერავის გამოვატანეთ ბორანლი-ბურანში. აჰა, წაიღე და მის ცოლს გადაეცი. პასუხი შემოუთვალეს შეკითხვაზე. თურმე მომკვდარა, როგორც აქ სწერია, უცხო სიტყვა მითხრა. ინფარქტისაგანო, თქვა. ეს ინფარქტი რაღაა-მეთქი, ვკითხე. გული გაუსკდაო, მიპასუხა. მაშ, გული გახეთქია თურმე. სადაც ვიჯექი, იქვე გავშეშდი. ჯერ არც კი დავიჯერე. ხელში ავიღე ქაღალდი, იქ ნათქვამია: სადგურ ქუმბელის უფროსს. გადაეცით ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ოფიციალური პასუხი ამა და ამ მოქალაქეს მისი შეკითხვის თაობაზე - შემდეგ კი სწერია, რომ გამოძიებაში მყოფი აბუტალიფ ქუთიბაევი, ასე და ასე, გულის შეტევით გარდაიცვალაო. ასე იყო ნათქვამი. დავყურებ ქაღალდს და არ ვიცი, რა ვქნა. „მაშ, ასეა საქმე, - ხელები გაშალა ჩერნოვმა, - ჰოდა, წაიღე და ცოლს მიეცი“. მე ვუთხარი: - არა, ჩვენთან ასე არაა-მეთქი წესად. ამ შავ ამბავს მე ვერ მივიტან. პატარა შვილები ჰყავს, როგორ უნდა მოვუკლა გული, ვერა, ამას ვერ ვიზამ-მეთქი. ჩვენ, ბორანლელები, ჯერ მოვილაპარაკებთ და მერე გადავწყვეტთ. ან რომელიმე ჩვენთაგანი ჩამოვა საგანგებოდ ამ ქაღალდისათვის და ჩამოიტანს, როგორც ასეთი მძიმე ამბავი ჩამოაქვთ ხოლმე, კაცი მოკვდა, ჩიტი ხომ არა, ანდა მისი ცოლი ზარიფა ქუთიბაევა თვითონ ჩამოვა და თქვენ მიეცით. თქვენ აუხსენით და უამბეთ, რაც მოხდა და როგორც მოხდა. ჩერნოვმა კი მითხრა: „შენი საქმეა, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ოღონდაც მე რა უნდა ავუხსნა და ვუამბო. დაწვრილებით რა იყო, მე რა ვიცი, ჩემი საქმეა ეს ქაღალდი დანიშნულების მიხედვით გადავცე, მორჩა და გათავდა“. უკაცრავად ვეუბნები, მაგრამ ეს ქაღალდი ჯერჯერობით მაინც თქვენთან დარჩეს, სიტყვით კი გადავცემ და იქ, ადგილზე მოვი-

ლაპარაკებთ-მეთქი. „შენი საქმეა, შენი საქმისა შენ უკეთ იცი“, მითხრა. ასე წამოვედი იქიდან. მთელი გზა მოვერეკებოდი აქ-ლემს. გული მეწიწკნებოდა: როგორ მოვიქცეთ? რა პირით ვუთ-ხრათ? ან ვინ ეტყვის-მეთქი იმათ...

ყაზანგაპი დადუმდა. თითქოს მთა გადმოემხო თავზე, ისე მოიხარა და მოიკუზა ედიღეი.

- რა ვქნათ ახლა? - ჩაილაპარაკა ყაზანგაპმა, მაგრამ პა-სუხი მისთვის არავის გაუცია.

- ასედაც ვიცოდი, - მწუხარედ გააქნია თავი ედიღეიმ. - შვი-ლების დაშორებას ვერ გაუძლებდა. ყველაზე მეტად ეს მაშინებ-და. ვერ აიტანა უიმათობა. დარდზე საშინელი კი არაფერია, მისი ბიჭებიც ისე დარდობენ მამა - ვეღარ ვუყურებ. სხვანაირი კაცი რომ ყოფილიყო, ვთქვათ, რომ კიდევაც მიესაჯათ, თუმცა არ ვიცი კი, რისთვის, ერთი ორი წელი იქნებოდა ციხეში და დაბრუნდებოდა. გერმანელების ტყვეობაში, საკონცენტრაციო ბანაკებში განა ცოტა იტანჯა, არც პარტიზანობის ხანს დაკლებია წვალება, ამდენი წელი იომა უცხო მხარეში და მაინც არ გატყდა იმიტომ რომ მარტო იყო, ოჯახი არ ჰყავდა. ახლა კი ასე ვთქვათ, სისხლ-ხორციანად მოგლიჯეს მისთვის ყველაზე უძ-ვირფასესს, თავის შვილებს, ჰოდა, ვეღარც გადაიტანა...

- ჰოო, მეც ეგრე მგონია, - დაემოწმა ყაზანგაპი. - არ მჯეროდა, რომ განშორებას შეეძლო კაცი მოეკლა. თორემ ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ჭკვიანი, წიგნიერი, დაიცდიდა, ვინემ გაარჩევდნენ მის საქმეს და გამოუშვებდნენ. აკი დამნაშავე არ იყო არაფერში. გონებით, რა თქმა უნდა ესმოდა, მაგრამ გულმა ვერ გაუძლო. უყვარდა, ძალიან უყვარდა თავისი ბიჭები, მისდა საუბედუროდ...

დიდხანს ისხდნენ და ბჭობდნენ, რა ექნათ, როგორ შეემ-ზადებინათ ზარიფა ამ ამბისათვის. მაგრამ რამდენიც არ უნდა

ეფიქრათ და ემტვრიათ თავი, იმას მაინც არაფერი ეშველებოდა, - რომ ოჯახმა მამა დაკარგა შვილები ობლებად დარჩნენ, ზარიფა კი ქვრივად, ამას ვერც ვერაფერს მიუმატებდი და ვერც დააკლებდი. ბოლო-ბოლო ისევ უქუბალამ განსაჯა ყველაზე გონივრულად:

- დაე, თვითონ წავიდეს ზარიფა და თვითონ მიიღოს ის ქაღალდი. იქ სჯობია ეს მეხი დაეცეს, ვინემ აქ, შვილების გვერდით, ჯერ სადგურზე და მერე გზაში დრო ექნება იფიქროს, როგორ მოიქცეს. ახლავე უთხრას შვილებს თუ არა. იქნებ დაიცადოს, ვინემ წამოიზრდებიან და მამა ცოტათი მაინც მიავიწყდებათ. ახლა მაინც ძნელია თქმა...

- სწორს ამბობ, - კვერი დაუკრა ედიღეიმ. - დედაა და თვითონ უნდა გადაწყვიტოს, უთხრას თუ არა ბიჭებს აბუტალიფის სიკვდილი. მე პირადად ვერ შევძლებ... - ედიღეიმ ვეღარ გააგრძელა ენა ვერ დაიმორჩილა. სიბრალულის გრძნობამ ყელში წაუჭირა და ჩაახველა, რომ არავის შეემჩნია. როცა ყველა ამ აზრზე შეთანხმდა, უქუბალამ ყაზანგაპსაც ურჩია

- ზარიფას უნდა უთხრათ, ყაზაქე, რომ სადგურის უფროსთან მის სახელზე რაღაც წერილია მოსული, მისი შეკითხვების პასუხად. მაგრამ უფროსმა ითხოვა თვითონ ჩამოვიდეს, ასეა საჭიროო. ეს ერთი, მეორე კიდევ, - განაგრძო მან, - ზარიფას მარტო გაშვება ამისთანა დღეს არ შეიძლება. აქ მათ არც ნათესავები ჰყავთ არც ახლობლები. მწუხარების დროს კი ყველაზე საშინელი - მარტოობაა. შენ უნდა გაჰყვე, ედიღეი, იმ დროს მასთან უნდა იყო. რა იცი, რა მოუვა ამ უბედურების გაგებისას. უთხარი, მეც მაქვს-თქო სადგურში საქმე, და ერთად წადით. ბიჭები კი ჩემთან დარჩებიან.

- ეგრე იყოს, - დაეთანხმა ცოლის მოსაზრებას ედიღეი, - ხვალ აბილოვს ვეტყვი, ზარიფა სადგურის საავადმყოფოში უნდა წავიყვანო და რომელიმე მატარებელი გააჩერე-მეთქი.

ასეც გადაწყდა, მაგრამ მხოლოდ ორი დღის შემდეგღა გაჰყვნენ მიმავალ მატარებელს, რომელიც ასაქცევის უფროსის თხოვნით გაჩერდა ბორანლი-ბურანში. ეს იყო 5 მარტი და ეს დღე სამიდღემჩიოდ დაამახსოვრდა ბურანელ ედიღეის.

საერთო ვაგონში უამრავი ხალხი იყო, ოჯახებიან ბავშვებიანად მიემგზავრებოდნენ. იდგა სამგზავრო ალიაქოთი ჰყარდა იქაურობა რახის სუნით, იყო გაუთავებელი წინ და უკან სიარული, დარეტიანებამდე კარტის თამაში. ქალების ხმადაბლა ჩურჩული თავიანთ მძიმე ყოფაზე, თუ ვისი ქმარი ლოთობს, ვინ ვის გაეყარა, ვინ დაქორწინდა, ვის ვინ მოუკვდა... მიდიოდნენ შორ გზაზე და თან მიჰყვებოდათ ყველაფერი, რაც მათ ყოველდღიურ ყოფას შეადგენდა... თავიანთი გასაჭირითა და მწუხარებით მცირე ხნით მათ დაემგზავრნენ ზარიფა და ბურანელი ედიღეიც.

რად უნდა თქმა, რომ ზარიფა ვერ იყო გუნებაზე. მთელი გზა დაღონებული, შეშფოთებული იჯდა, ხმა არ ამოუღია, ალბათ იმაზე ფიქრობდა, რა პასუხი დახვდებოდა სადგურის უფროსთან. ედიღეიც მეტწილად დუმდა.

მაგრამ არიან ქვეყნად გულისხმიერი, გულმტკივნეული ადამიანები, ვის თვალსაც სხვისი მწუხარება არ გამოეპარება, ზარიფა რომ ადგა და ტამბურში გავიდა ფანჯარასთან დასადგომად, პირდაპირ მჯდარმა მოხუცმა რუსის ქალმა ედიღეის მიაპყრო ოდესღაც ცისფერი, ახლა კი სიბერით გამოცრიატებული კეთილი თვალები და ჰკითხა:

- ავად ხომ არაა, შვილო, შენი ცოლი?

ედიღეი შეკრთა კიდევაც.

- ცოლი კი არა, ჩემი დაა, დედი. საავადმყოფოში მიმყავს.

- ეტყობა, იმიტომაც წუხს საწყალი. რაღაც ძალიან სტკივა ისეთი გატანჯული თვალები აქვს. ალბათ გულში ეშინია, საავადმყოფოში უსაშველო რამ სენი არ აღმომიჩინონო. ეჰ, რა ვუთხრა ჩვენს წუთისოფელს! არ გაგაჩენს ღმერთი - ქვეყანას ვერ ნახავ, გაგაჩენს და - დარდსა და უბედურებას არ გამოგილევს! ასეა, ასე, მაგრამ ღმერთი მოწყალეა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, იქნებ არც არაფერი გაუჭირვოს, - ამბობდა მოხუცი, რომელიც გუმანით მიხვედრილიყო, რა შეშფოთება და ნაღველი ეუფლებოდა სადგურთან მიახლოვებისას ზარიფას.

ქუმბელამდე საათნახევარი სავალი იყო. სად გაიარეს, რა ადგილები გაიარეს იმ დღეს, მატარებლის მგზავრებისათვის სულ ერთი იყო. მხოლოდ იმას კითხულობდნენ, რომელ სადგურში შევდივართო. დიდი საროზექი კი ჯერაც თოვლის საბანში იყო გახვეული, მდუმარე, უკაცრიელი და უკიდეგანოდ გადაშვილი. მაგრამ რაღაც-რაღაც ნიშნებით უკვე იგრძნობოდა, რომ ზამთარს უკან დაეხია. ფერდობზე აქა-იქ შავად იმზირებოდა ლილოები, ხევებს დამჩნეოდათ უსწორმასწორო ნაპირები, მარტის მოახლოებით გამოღვიძებული თბილი ნოტიო ქარის წყალობით, თითქოს ყველგან ჩაფუშულიყო თოვლი. მაგრამ მზეს კვლავაც მჭიდროდ ეხვია დაბლა ჩამოსული, თვალის შესამჩნევადაც კი გაწყალებული ლეგა ღრუბლები. ზამთარს ჯერ კიდევ ედგა სული - შეიძლება ჭყაპი თოვლი წამოსულიყო ან უკანასკნელად მოექნია კუდი ქარბუქს...

ედიღეის ფეხი არ მოუცვლია, ხან იმ გულისხმიერ მოხუც ქალს ელაპარაკებოდა, ხან ფანჯარაში იმზირებოდა, ზარიფასთან არ მისულა. დაე, იდგეს. მარტო ვაგონის სარკმელთან, იფიქროს თავის ამბავზე. იქნებ შინაგანმა წინათგრძნობამ რა-

ღაც უკარნახოს. იქნებ გაიხსენოს ის დღე, როცა შარშან, შემოდგომის დამდეგს ყველანი ერთად, მთელი ოჯახით, ქუმბელში გაემგზავრნენ ნესვებსა და საზამთროებზე. რა ბედნიერები იყვნენ, რა დაუვიწყარი დღესასწაული იყო ის დღე ბალღებისათვის. თითქოს სულ ახლახან მოხდა ეს ამბავი. ისა და აბუტალიფი მაშინ ვაგონის ღია კართან ისხდნენ, ქიქინა ნიავზე, ლაპარაკობდნენ ათას რამეზე, იქვე ტრიალებდნენ ბალღები, უკან გაცურებულ მიდამოს უყურებდნენ. ზარიფა და უქუბალაც რაღაცაზე გულითადად მუსაიფობდნენ ერთმანეთში. მერე მაღაზიები მოიარეს, გაისეირნეს სადგურის ბაღში, ნახეს კინო, სადალაქოშიც შევიდნენ, ბავშვებმა ნაყინი ჭამეს. მაგრამ ყველაზე სასაცილო და თან სავალალო ის ამბავი იყო, როცა ერმექი ვერა და ვერ დაიყოლიეს თმის გაკრეჭაზე. რატომღაც ძალიან ეშინოდა საპარსი მანქანის მიკარებისა. ისიც მოაგონდა ედიღეის, როგორ გამოჩნდა ამ დროს სადალაქოს კარში აბუტალიფი, როგორ გაქანდა ბიჭუნა მისკენ, როგორ ჩაიკრა აბუტალიფმა გულში შვილი, თითქოს იცავსო, როგორ უთხრა დალაქს, ცოტა დაგვაცადეთ, გამბედაობას მოვიკრებთ და შემდეგ ჩამოსვლაზე მოგაკითხავთო. პატარა ერმექი კი დღემდე გაუკრეჭავი შავი კულულებით დარბის, ოღონდ მამა აღარა ჰყავს..

რამ მოჰკლა აბუტალიფი, ვინემ მისი საქმე გაირკვეოდა, ისევ ამის ახსნას, ამის გარკვევას ცდილობდა ბურანელი ედიღეი. ერთადერთი დასკვნა, მისი ფიქრით, ისევ ეს იყო - შვილებზე დარდმა გაუხეთქა გული, შვილებთან განშორებას ვერ გაუძლო. იმ მწარე ფიქრმა, რომ მისი ბიჭები, რომელთა გარეშე სიცოცხლე კი არა სუნთქვა არ შეეძლო, მისგან მოწყვეტილნი, ბედის ანაბარა დარჩნენ უკაცრიელი, უწყლო საროზექის რომელიღაც ასაქცევზე, მხოლოდ ამან მოუსწრაფა სიცოცხლე...

ამაზე ფიქრობდა ედიღეი, როცა სადგურის პატარა ბაღში ზარიფას უცდიდა, რომელიც სადგურის უფროსთან წასულიყო ქაღალდების მისაღებად. დათქმული ჰქონდათ, ედიღეი აქ, ამ სკამზე დაელოდებოდა.

უკვე შუადღე იყო, მაგრამ ამინდს ცუდი პირი უჩანდა. ცა ისევ ჩამობურულიყო. ზემოდან ხან თითქოს თოვლი, ხან თითქოს წვიმის წვეთები ცვიოდა. ტრამალის ნოტიო ქარი ქროდა, გამდნარი თოვლის სუნი დაიკრავდა უკვე. ედიღეის მუდამ უყვარდა სადგურში ტრიალი, იქ გამეფებული ფაციფუცი და ალიაქოთი, მეტადრე, როცა შორს არ მიემგზავრები, არაფერი გაწუხებს. აქ კი შეხედავ მატარებელს, უცქერი, როგორ მირბი-მორბიან მგზავრები ბაქანზე, თითქოსდა კინოში იყო: აგერ - ჩამოდგა მატარებელი, აგერ წავიდა - მორჩა, აღარ არის. ახლა კი შემცივნულივით, მიუსაფარივით იჯდა, აღარაფერი აინტერესებდა, უკვირდა, რა გაუცხოებული იერი აქვთ ადამიანებს, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ, გულგრილნი, დაღლილნი ჩანან, ერთმანეთს დაშორებულნი... თანაც სადგურის მოედანზე რადიოდან ჩახრინწული მუსიკა ისმოდა, ერთფეროვანი, მწუხარე და ჭმუნვისმომგვრელი. ნეტა რა მუსიკაა? რატომღაც არც დიქტორების მედიდური, ზვიადი ხმა ისმის. მარტო მუსიკას უკრავენ და უკრავენ!..

აგერ ოც წუთზე მეტია, რაც ზარიფა სადგურის შენობაში მიიმალა. ედიღეი შიშმა შეიპყრო.. კი, მართალია, შეთანხმდნენ, რომ სწორედ ამ სკამზე დაუცდიდა ზარიფას ედიღეი, სადაც მაშინ აბუტალიფსა და ბავშვებთან ერთად ისხდნენ და ნაყინს შეექცეოდნენ, მაგრამ მაინც გადაწყვიტა მიეკითხა ზარიფასათვის, გაეგო, რა მოხდა იქ.

იმავე წუთს კარებში მოჰკრა თვალი ზარიფას და უნებლიეთ შეკრთა, ისე ეულად, ისე უცხოდ გამოიყურებოდა ზარიფა სადგურში შემავალ თუ გამომავალ ხალხში. სახეზე მკვდრისფერი ედო, აქეთიქით არ იხედებოდა, მთვარეულივით მოდიოდა, არავის და არაფერს ეჯახებოდა, თითქოს მის ირგვლივ სიცარიელე, უდაბნო სუფევდა, ბრმასავით აეწია თავი მაღლა, მჭმუნვარედ, ტუჩები მაგრად მოეკუმა. ედიღეი წამოდგა. იმდენად საშინელი იყო ამ თითქოს სიზმარში, სხვა სამყაროში მყოფი, თვალებდაცარიელებული ქალის მოახლოება, ასე ეგონა, მთელი საუკუნე გავიდა იმ გაუსაძლის, იმ ცივ და ბნელით მოცულ მოლოდინში, ვინემ ზარიფა მოვიდოდა. მოკუმულ პირს გახსნიდა და ეტყოდა:

- შენ უკვე იცოდი? - ხელში ის სქელი კონვერტი ეჭირა, რომელზედაც, ყაზანგაპის თქმით, ბეჭდური ასოები ეწერა.

ედიღეიმ ნელა დახარა თავი. ზარიფა სკამზე დაეშვა, თავპირზე ისე მიიჭირა ხელები, თითქოს ეშინია, თავის ქალა არ გამისკდესო. ნაწილ-ნაწილ არ დამეშალოსო, და მწარედ აქვითინდა, დარდსა და ტკივილს მთელი არსებით მინებდა, სიმწრისაგან მუჭად ქცეული ძაგძაგებდა, უფრო და უფრო ითრევდა უსაზღვრო მწუხარების ზღვა. ედიღეი კი გვერდით ეჯდა და მაშინდელივით, როცა აბუტალიფი წაიყვანეს, მზად იყო აბუტალიფის მაგივრად თვითონ წასულიყო, მას დასტყდომოდა ყველანაირი წამება, ოღონდ დაეცვა და დაეფარა ეს ქალი, აეშორებინა მისთვის ტანჯვა, თუმცა იცოდა კია, რომ ვერც ნუგეშს სცემდა და ვერც ვერაფრით დაამშვიდებდა, ვინემ უბედურების პირველი ტალღა თავისით არ გადაივლიდა.

ასე ისხდნენ სადგურის პატარა ბაღში, ზარიფა ისევ ტიროდა, მწარედ სლუკუნებდა. არც აუხედავს, ისე მოისროლა ის ავბედითი ქაღალდი თავის დაჭმუჭნულ კონვერტიანად. ვიღას სჭი-

როდა ახლა ეს ქაღალდი, როცა აბუტალიფი აღარ იყო? მაგრამ ედიღეიმ ჯიბეში ჩაიდო კონვერტი. მერე ცხვირსახოცი ამოაძვრინა, ძალით გააშლევინა თითები აქვითინებულ ზარიფას და თვალები მოაწმენდინა. მაგრამ არც ამან გასჭრა.

რადიო კი, თითქოს იცისო, გაუთავებლივ გაჭიანურებულ სამგლოვიარო ჰანგებს აფრქვევდა. მარტის ნოტიო ლეგა ცა დაბლა ჩამოსულიყო, ქარი გამძაფრებით ბერავდა. გამვლელ-გამომვლელნი ცერად გამოხედავდნენ ხოლმე ზარიფასა და ედიღეის, რა თქმა უნდა, გულში ფიქრობდნენ: აბა უყურე, ჩხუბი მოსვლიათ, ალბათ ძალიან აწყენინაო ამ კაცმა. მაგრამ თურმე ყველა ასე როდი ფიქრობდა..

- იტირეთ, იტირეთ... იტირეთ, ჩემო კარგებო, მოესმა ედიღეის თანაგრძნობით სავსე ხმა, - დავკარგეთ მშობელი მამა! რა გვეშველება ახლა?

ედიღეიმ თავი ასწია. ქალმა ჩაუარა გვერდით, რუხი მაზარა ეცვა, ყავარჯნებს მიათრევდა. ცალი ფეხი თეძომდე ჰქონდა მოკვეთილი. ედიღეი იცნობდა ამ ქალს. ნაფრონტალი იყო, ახლა სადგურის ბილეთების სალაროში მუშაობდა. ნამტირალევ სახეზე ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. „იტირეთ, იტირეთ, რა გვეშველება ახლა?“ - იძახდა და თან ყავარჯნებს ყრუდ მიაკაკუნებდა, მხრები არაბუნებრივად აეწია. გადადგამდა ყავარჯნებს და მერე ცალ ფეხს წააფრატუნებდა; ზედ გაცვეთილი სალდათური ჩექმა ეცვა..

მაშინღა ჩახვდა მისი ნათქვამის აზრს ედიღეი, როცა სადგურის შესასვლელთან შექუჩული ხალხი დაინახა. თავი უკან გადაეგდოთ და კედელს უყურებდნენ. კედელზე კიბე მიედგათ და კარის ზემოთ რამდენიმე კაცი სტალინის დიდ სურათს ჰკიდებდა, სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმულს.

მიტომაც ისმოდა თურმე რადიოდან მჭმუნვარე მუსიკა. სხვა დროს ედიღეიც წამოდგებოდა და იმ ხალხს შეუერთდებოდა, გაიგებდა, რა დაემართა ამ დიდ კაცს, ურომლისოდაც ქვეყნიერების ჩარხის ტრიალი ვერავის წარმოედგინა. მაგრამ ახლა თავისი დარდი, ეყოფოდა და ხმა არ გაიღო. არც ზარიფას ჰქონდა არავისი და არაფრის თავი...

მატარებლები კი მოდიოდნენ და მოდიოდნენ, რაც უნდა მომხდარიყო, მათ სვლას ვერაფერი შეაჩერებდა. ნახევარი საათის შემდეგ შორით სამგზავრო ასმეჩვიდმეტე მატარებელი ჩამოდგებოდა. როგორც სხვა ყველა სამგზავრო, არც ის ჩერდებოდა ბორანლი-ბურანისთანა ასაქცევზე - განრიგი ასეთი იყო. კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ ამჯერად ასმეჩვიდმეტეს ბორანლი-ბურანზე გაჩერება მოუხდებოდა, როგორც ეს მტკიცედ და დინჯად გადაწყვიტა თავის გულში ედიღეიმ.

- ჩვენ მალე უნდა დავბრუნდეთ, ნახევარი საათის შემდეგ, უთხრა მან ზარიფას. - ახლავე გმართებს მოფიქრება, როგორ მოიქცე - უთხრა შვილებს მამის სიკვდილი თუ ჯერ მოითმინო. მე ვერც დაგამშვიდებ და ვერც ვერაფერს გიკარნახებ. შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო ყველაფერი. ახლა შენ იმათი მამაც ხარ და დედაც. მაგრამ ეს ყველაფერი გზაშივე უნდა მოიფიქრო, თუ გადაწყვეტ, ბიჭებს არაფერი უთხრა, თავს სძლიე, ბავშვებმა ცრემლი არ დაგინახონ. მაგრამ შესძლებ კი, გეყოფა ძალა? ჩვენც უნდა ვიცოდეთ, მათთან როგორ მოვიქცეთ. გაიგე? ამაშია საქმე.

- კი, ყველაფერი მესმის, - სლუკუნით უთხრა ზარიფამ. - ვინემ ჩავალთ, აზრს მოვიკრებ, გეტყვი, რაც უნდა ვქნათ. კი, ახლავე ახლავე შევიკავებ თავს. მე ახლავე...

მატარებელში იგივე ამბავი იყო, რაც აქეთ გზობას. თამბაქოს ბოლი იდგა ყველგან. ადამიანების გროვა კვლავაც კიდით კიდემდე სერავდა ამ ვეებერთელა ქვეყანას.

ზარიფა და ედიღეი კუპირებულ ვაგონში მოხვდნენ. აქ უფრო ცოტა ხალხი იყო. გასავალში ფანჯარასთან მიდგნენ, რომ თავის საქმეზე ელაპარაკათ და არც სხვებისთვის შეეშალათ ხელი. ედიღეი ასაკეც სკამზე იჯდა, ზარიფა გვერდით ედგა და ფანჯარაში იყურებოდა. აქ მირჩევნიაო, უთხრა ასე, როცა ედიღეიმ სკამი შესთავაზა. თავს დამტყდარ უბედურებას უძალიანდებოდა ქალი, აზრის მოკრებას ლამობდა. ფანჯარაში იყურებოდა და ფიქრობდა, როგორ წარემაროა, დასაწყისში მაინც, თავისი ცხოვრება, იგი ხომ ახლა ქვრივი იყო, თუ წინათ იმედი ჰქონდა, ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს საზარელი სიზმარივით გაქრება, აბუტალიფი ადრე თუ გვიან დაბრუნდება, ხომ არ შეიძლება ეს გაუგებრობა მართლა და ლებსმართლა არ გამოირკვეს, მთელი ოჯახი კვლავ ერთად იქნება, დანარჩენი კი როგორმე მოგვარდეს - რაღაცას იღონებენ, სიძნელის მიუხედავად, როგორმე გაუძლებენ გაჭირვებას და ბიჭებს დაზრდიან, ახლა ეს იმედი გაქრა. ამიტომაც საფიქრალი ბევრი ჰქონდა..

იგივე ფიქრებში იყო ბურანელი ედიღეი, ვინაიდან ამ ოჯახის ბედი მასაც აწუხებდა. ასე იყო და რა ექნა, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად მართებდა თავშეკავება და სიდინჯე, ზარიფაც რომ ცოტაოდენ გაემხნევებინა. ამიტომაც არ აჩქარებდა და სწორადაც მოიქცა. ზარიფამ ტირილით რომ იჯერა გული, თვითონ დაიწყო სლუკუნ-სლუკუნით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ქვითინს გულში იკლავდა:

- ბიჭებს ჯერჯერობით დავუმალავ, მამა რომ აღარ ჰყავთ, ახლა არ შემიძლია თქმა. მეტადრე ერმექს ვერ ვეტყვი... ღმერთო, რა საშინელებაა, შვილი რომ ასე მიეჩვევა მამას... როგორ

დავუკარგო იმედი ბიჭებს, როცა ამით ცოცხლობენ... ყოველ-
დღე, ყოველ წუთს მოელიან... ალბათ შემდეგში უნდა წავიდეთ
აქედან, სხვაგან დავსახლდეთ... ოღონდაც ცოტათი მოიზარ-
დონ. ერმექისა ძალიან მეშინია, ცოტა უფრო დიდი რომ იქნე-
ბა... მაშინ ვეტყვი, თუმცა ალბათ თვითონაც მიხვდებიან ამასო-
ბაში... ახლა კი არა, ძალა არ მეყოფა... ისევ მე... მივწერ მაგის
და-ძმასაც და ჩემსასაც, ახლა რაღასი შეეშინდებათ? იმედია, შე-
მეხმიანებიან, ხელს შემიწყობენ, აქედან რომ წავიდე... შემდეგ
კი ვნახოთ, რა იქნება... ოღონდაც აბუტალიფის შვილები წამო-
მაზრდევინა, რაღაი თვითონ აღარაა..

ასე სჯიდა ზარიფა. უხმოდ უსმენდა ბურანელი ედიღეი, ეს-
მოდა მისი ყოველი სიტყვის აზრი, თუმცა დანამდვილებით იცო-
და, რომ ეს მხოლოდ მცირედი, მხოლოდ ზედაპირული ნაწილი
იყო იმისა, რამაც ქარბორბალასავით გაურბინა და იქნებ ახლაც
უტრიალებს თავში. განა ასეთ დროს ყველაფერს იტყვის კაცი.
იმიტომაც მოკლედ უთხრა, ბევრი არ გაუგრძელებია თვითონაც:

- მართალი ხარ, ზარიფა... შენს ბიჭებს რომ არ ვიცნობდე,
დავეჭვდებოდი. მაგრამ შენს ადგილზე ვერც მე გავბედავდი
თქმას, ცოტა უნდა დაიცადო, ხოლო ვინემ ნათესავები მოგაწ-
ვდიან ხმას, ჩვენი იმედი გქონდეს. როგორც ვიყავით აქამდე,
ახლაც ისე ვიქნებით. იმუშავე, როგორც აქამდე მუშაობდი. შენი
შვილები ისევ ჩვენთან იქნებიან. ხომ იცი, უქუბალა თავის შვი-
ლებში არ არჩევს მათ. დანარჩენი კი ვნახოთ, როგორც მოეწ-
ყობა...

ესეც თქვა იმ საუბრისას მძიმე ოხვრით ზარიფამ:

- თურმე როგორ ყოფილა ეს ცხოვრება მოწყობილი. რა
საშინელი, რა ბრძნული და ერთიმეორისაგან გამომდინარეა
ყველფერი. სასრული, საწყისი, გაგრძელება.. ბიჭები რომ არა,
ღმერთმანი, თავს არ ვიცოცხლებდი, ედიღეი. ამაზე უკან არ და-

ვიხევდი. რად მინდა სიცოცხლე? მაგრამ შვილებს რა ვუყო. იძულებული ვარ მათ გამო ვიცოცხლო. ესაა ხსნა და ესაა გაგრძელება სიცოცხლისა, მწარე, მძიმე, მაგრამ მაინც გაგრძელება... ის არ მაშინებს ახლა. სიმართლეს რომ გაიგებენ, ამას მაინც ვერ გავექცევი, როგორც ის, შემდეგ რა იქნება. ის, რაც მათ მამას დაემართა, მოუშუშებელ იარად დარჩება. რასაც არ გააკეთებენ, სკოლაში წავლენ, მუშაობას დაიწყებენ თუ საზოგადოების თვალში რაღაცით, თავის გამოჩენას დააპირებენ, ამ გვარის პატრონებს ყველაფერი მოეხაზებათ... ჰოდა, ამაზე რომ ვფიქრობ, ასე მგონია, რაღაც გადაულახავი კედელია ჩვენ წინ აღმართული. მე და აბუტალიფი ამაზე ლაპარაკს გავურბოდით. მე იმას ვზოგავდი, ის მე. მწამდა, მის ხელში ჩვენი ბიჭები სრულყოფილი ადამიანები გაიზრდებიან-მეთქი. ეს იყო ჩვენი უბედურების, ჩვენი გაჭირვების წამალი... ახლა კი აღარ ვიცი... ის ყველაფერს მიაღწევდა. შვილებისთვის უნდოდა ჩაედგა თავისი სული, მათ არსებაში გარდაქმნილიყო. იმიტომაც მოკვდა, შვილებს რომ მოწყვიტეს...

ედიღეი მთელი გულისყურით უსმენდა. ზარიფამ რომ გული გადმოუშალა, თავისი ხვაშიადი არ დაუმალა, მასაც სულითა და გულით მოუნდა რამეთი მაინც ეშველა, დახმარებოდა, დაეცვა ქალი, მაგრამ გრძნობდა თავის უძლურებას და ეს გრძნობა ყრუ იდუმალ ბრაზს იწვევდა მის გულში.

მალე ბორანლი-ბურანის ასაქცევიც გამოჩნდებოდა. ამ ადგილებში, ამ გადასარბენზე მუშაობდა ბურანელი ედიღეი მრავალი წელი და მრავალი ზამთარი...

- აბა მოემზადე, - უთხრა ზარიფას. - უკვე ჩავდივართ. მაშ, ასე გადაწყდა ბიჭებს არაფერს ვეტყვით. კეთილი, ასეც გვეცოდინება. შენც ისე მოიქეცი, არაფერი შეგეტყოს. ახლა კი მოემზადე და დამბურაში გადი. კართან გაჩერდი, როგორც კი მატარე-

ბელი გაჩერდება. არხეინად ჩადი ვაგონიდან და იმ დამიცადე, მეც ჩამოვალ და ერთად წავალთ.

- რას აპირებ ?

- არაფერს. ეს მე მომანდე. ბოლოს და ბოლოს იმის უფლება მაინცა გაქვს, მატარებლიდან ჩახვიდე.

ასმეჩვიდმეტე სამგზავრო მატარებელს, როგორც ყოველთვის,ასაქცევზე შეუჩერებლივ უნდა ჩაევლო, ოღონდაც შუქნიშანთან შეანელა სვლა. იმ წუთას, როცა ბორანლი-ბურანში შეგრიალდა, მატარებელმა ღრჭიალ-ღრჭიალით დაამუხრუჭა და გაჩერდა. ყველაშიშით წამოიჭრა ადგილებიდან. გაისმა ყვირილი და სტვენა:

- რა მოხდა?

- სდექ-ონკანი ჩამოგლიჯეს?

- ვინ?

- სად?

- კუპირებულ ვაგონში.

ამასობაში ედიღეიმ ზარიფას კარი გაუღო და ბაქანზე ჩაუშვა, თვითონ კი ვაგონის გამყოლისა და კონდუქტორის შემოვარდნას დაუცადა დამბურაში.

- შეჩერდი! ვინ ჩამოგლიჯა სდექ-ონკანი?

- მე, - მიუგო ბურანელმა ედიღეიმ.

- ვინა ხარ? რა უფლებით?

- საჭირო იყო.

- საჭირო? სასამართლო ხომ არ მოგნატრებია?

- არაფერიც. დასწერეთ ოქმი, რომელიც, გნებავთ, სასამართლოში, გნებავთ, სადმე სხვაგან გადააგზავნეთ - აი, ჩემი. საბუთები - რომ ყოფილმა ფრონტელმა, ლიანდაგის მუშა ედიღეი ქანგელდინმა სდექ-ონკანი ჩამოსწია და მატარებელი ბო-

რანლი-ბურანზე გააჩერა ამხანაგი სტალინის სიკვდილის დღეს გლოვის ნიშნად.

- რა თქვი? განა სტალინი მოკვდა?

- დიახ, რადიოთი გადმოსცეს. უნდა უსმინოთ ხოლმე.

- მაშინ სხვა საქმეა, უცბად შეცბენ და ედიღეი აღარ დაა-ყოვნეს, - რაკი ასეა, ჩადი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ასმეჩვიდმეტე მატარებელმა გზა განაგრძო.

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით კვლავ ისევე მიგრიალებდნენ.

რკინიგზის გაღმა-გამოღმა ისევ ის ათადან-ნაბადან ხელუხ-ლები უკაცრიელი სივრცე-სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

სარი-ოზექ-1-ის კოსმოდრომი მაშინ ჯერ კიდევ არ არსე-ბობდა ამ მხარეში. შესაძლოა მომავალი კოსმიური გაფრენების შემქმნელთა ფიქრები ისახებოდა მხოლოდ.

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით კვლავ ისევე მიგრიალებდნენ.

ორმოცდაცამეტის ზაფხული და შემოდგომა ყველაზე მწა-რე ხანა იყო ბურანელი ედიღეის ცხოვრებაში. არც მერმე და არც მანამდე არანაირ თოვლის ნამქერებს, არანაირ საროზე-ქულ პაპანაქებას თუ უწყლობას, არანაირ სხვა გასაჭირსა და უბედურებას, თვით ომსაც კი, თუმცა კენიგსბერგამდე მისული შე-იძლება ათასჯერ მოეკლათ, დაეჭრათ თუ დაესახიჩრებინათ, იმ-

დენი ტანჯვა, მწუხარება არ მოუტანია ედიღეისთვის, როგორც იმ დღეებს.

ელიზაროვმა ერთხელ უამბო ბურანელ ედიღეის, რა იწ-ვევს მეწყერს, რა მიზეზი იმ აუშორებელი ძვრებისა, როცა ნე-ლინელ ჩამოიმხობა მთის კალთები, ზოგჯერ მთელი მთაც გვერდზე გადაიქცევა და დედამიწის თვალით უხილავ სიზრქეს გააპობს. ხალხს ძრწოლა იტანს - ეს რა საფრთხე ჰქონიათ თურმე ფეხქვეშ და არ კი იცოდნენ. მეწყერი იმიტომაც არის ასე საშიში, რომ უბედურება შეუმჩნევლად გეპარება, დღითიდღე გი-ახლოვდება. მიწისქვეშა წყლები ნელ-ნელა ხრავს და თხრის შიგნიდან ქანების ძირს და საკმარისია დედამიწა ოდნავ შეინ-ძრეს, სადმე ახლოს მეხი გავარდეს ან თავსხმა წვიმამ წამოუძი-ნოს, რომ მთა დაიძრეს და ძირს ჩამოცოცდეს. მეწყერს ვერა ძალა ვერ შეაჩერებს და შეაკვებს, მაშინ როცა ჩვეულებრივი ზვავი უეცრივ და ერთბაშად მოსკდება ხოლმე...

დაახლოებით ასეთი რამ შეიძლება მოუვიდეს ადამიანსაც, თუ კი იგი მარტო დარჩა გადაულახავ დაბრკოლებათა პირის-პირ. ადამიანი ბორგავს, გულს ასკდება, სხვას კი ვერაფერს ეუბ-ნება რადგან იცის, რომ ამქვეყნად ვერვინ უშველის და ვერვინ გაუგებს. მას ეშინია, მას ძრწოლა იტანს, უბედურება კი ახლოვ-დება და ახლოვდება...

ეს ძვრა პირველად მაშინ შეიგრძნო ცხადად ედიღეიმ, როცა ქუმბელში ზარიფასთან ერთად მგზავრობის ორი თვის თავზე ხელახლა მოუწია იქ საქმეებზე წასვლა და ზარიფას დაპირდა, რომ ფოსტაშიაც შეივლიდა და ნახავდა, წერილი თუ იყო მის სახელზე მოსული. ხოლო თუ არ იყო, სამ ტელეგრამას გაგვზავნიდა იმ სამ მისამართზე, რომლებიც ქალმა მისცა. აქამ-დე არც ერთ წერილზე პასუხი არ მოსვლია ნათესავებისაგან. ზარიფას უნდოდა მარტო ის გაერკვია, მიიღეს თუ არა ნათესა-

ვებმა მისი წერილები, ასეც სწერდა დეპეშებში - დაბეჯითებით გთხოვთ მაცნობოთ, მიიღეთ თუ არა წერილები, პასუხი აუცილებელი არაა, ან ჰო ან არა შემოთვალეთო, როგორც ჩანს, დაძმებს ფოსტითაც კი არ სურდათ აბუტალიფის ოჯახთან რამე საერთო ჰქონოდათ.

ბურანელი ყარანარით დილითვე გაემგზავრა ედიღეი, რომ საღამოს უკან დაბრუნებულიყო. თუ მარტო მიდიოდა, თან ტვირთიც არ ჰქონდა, ყველა ნაცნობ მემანქანეს სიხარულით მიჰყავდა ხოლმე და საათნახევარში უკვე ქუმბელში იყო. მაგრამ აბუტალიფის ბიჭების გამო ახლა ერიდებოდა რომელიმე ჩამოვლილ მატარებელს გამოჰყოლოდა. დიდიცა და პატარაც ახლაც ყოველდღე ელოდნენ რკინიგზაზე მამის ჩამოსვლას. თამაშობდნენ, ლაპარაკობდნენ, გამოცანებს ხსნიდნენ თუ ხატავდნენ, მათი ბავშვური ცხოვრების არსს მამის მოლოდინი შეადგენდა. რაღა თქმა უნდა, იმხანად ედიღეის სიტყვა ყველაზე სარწმუნო იყო მათთვის, რადგან სწამდათ, ძია ედიღეიმ ყველაფერი იცის და ყველაფერში დაგვეხმარებაო.

ედიღეიმაც იცოდა, რომ უმისოდ ასაქცევზე კიდევ უფრო გაუჭირდებათ, ობლობას კიდევ უფრო მეტად იგრძნობენ ბიჭები. ამიტომაც თავისუფალ დროს სულ მათთან იყო, სულ მათ ართობდა, რომ მამის ჩამოსვლის ფუჭი იმედი ნელ-ნელა გაექარვებინა პატარებისთვის. ახსოვდა, აბუტალიფმა რომ ანდერძივით დაუბარა, ბიჭებს არალის ზღვის ამბები მოუყევიო, და ედიღეიც იხსენებდა თავის სიყრმისა თუ მეთევზედ ყოფნის ახალ-ახალ წვრილმანს, არალის ზღვის ნამდვილსა თუ ტყუილ ამბებს. ცდილობდა პატარებისთვის გასაგებად ეამბნა და მუდამ უკვირდა მათი ნიჭი და საზრიანობა, მეხსიერება და გრძნობიერება. მამის ხელი ეტყობოდათ ბიჭებს ყველაფერში და ეს საოცარ სიამეს ჰგვრიდა ედიღეის. მუდამ ისე ჰყვებოდა, რომ ყვე-

ლაზე პატარა ერმექისთვისაც ყოფილიყო გასაგები. მაგრამ პატარა ტოლს არ უგდებდა უფროს ძმას. მისი ოთხი მსმენელიდან - ორივე ოჯახის ბავშვებიდან - ედიღეისთვის ერმექი ყველაზე მახლობელი იყო, თუმცა ცდილობდა კი არ დაემჩნია. ერმექი იყო მისი ყველაზე ერთგული მსმენელი და მისი მონაყოლის ყველაზე კარგი განმმარტებელი. რაზედაც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, ამბავი იყო ეს თუ საინტერესო შემთხვევა, ერმექი ყველაფერს მამას უკავშირებდა. მამა იყო დამსწრე მისთვის ყველგან და ყველაფრისა. მაგალითად, ედიღეი მოჰყვებოდა:

- არალის ზღვის ნაპირებზე ისეთი ტბებია, თითქმის მთლიანად ლელიანითაა დაფარული. სწორედ ამ ლელიანში იმალებიან ხოლმე თოფიანი მონადირენი. აი, დადგა გაზაფხული და იხვებიც არალის ზღვაზე მოფრინავენ. მთელი ზამთარი ხომ ისინი სხვა ზღვებზე იყვნენ, სადაც უფრო თბილოდა. ხოლო როგორც კი არალზე ყინული დადნა, საჩქაროდ აქეთ გამოფრინდნენ გუნდ-გუნდად, ისე ძალიან მოენატრათ აქაურობა, ისე ძალიან მოუნდათ იცურაონ აქაურ წყლებში, გზის ჭუჭყი ჩამოიცილონ, იყურყუმალონ. აი, თანდათან მოუახლოვდნენ ნაპირს, ნელ-ნელა ძირს დაეშვნენ, და უცბად ლელიანიდან ბახბახ! - კვამლი და ცეცხლი გამოიჭრა! მონადირეები ესვრიან თოფებს. იხვები ყიყინით ცვივიან წყალში. სხვები კი შიშისაგან შუა ზღვაში გაფრინდნენ, აღარ იციან, სად დაიბუდონ ახლა. ტალღებზე დაფრინდნენ, ყატყატებენ, ნაპირთან მოახლოებას ვერ ბედავენ, არადა, მიჩვეულნი არიან ნაპირზე ცურვას.

- ძია ედიღეი, ერთი იხვი ხომ მაშინვე გაფრინდა უკან, საიდანაც მოფრინდა?

- რატომ უნდა გაფრენილიყო?

იმიტომ რომ ჩემი მამუკია იქ მეზღვაურად, დიდი გემით დაცურავს იქა. აკი შენ თვითონ გვითხარი ასე, ძია ედიღეი.

-სწორია, სწორია, აბა როგორ, - იხსენებდა შემცბარი ედიღეი, - მერე რა მოხდა?

- ის იხვი მიფრინდა და ჩემს მამუკის უთხრა, მონადირეები ლელიანში ჩასაფრებულან და იხვებს გვესვრიანო. საცხოვრებელი ბინა აღარსად გვაქვსო!

-კი, კი, შენ მართალს ამბობ.

- ჩემმა მამუკიმ კი უთხრა იმ იხვს, მე მალე ჩამოვალო, ასაქცევზე მე ორი ბიჭი მყავსო - დაული და ერმექი, კიდევ იქ არისო ძია ედიღეი. როცა ჩამოვალო, ყველანი მოვემზადებით, არალის ზღვაზე წავალთ და ლელიანიდან იმ მონადირეებს გავყრით, იხვებს რომ ესვრიანო. იხვებიც ამის შემდეგ ბედნიერად იცხოვრებენ არალის ზღვაზე... წყალში იცურავებენ და აი, ასე იყურყუმალავებენ...

მოსაყოლი რომ გამოელეოდა, ბურანელი ედიღეი კენჭებით მკითხაობას გამართავდა ხოლმე. ახლა მუდამ ჯიბეში ეყარა ორმოცდაერთი თხილისოდენა კენჭი. მკითხაობის ამ ძველისძველ ხერხს თავის რთული სიმბოლიკა და ძველებური ტერმინოლოგია ჰქონდა. ედიღეი კენჭებს გაშლიდა და თან იძახდა, აბა პატიოს ნად და პირდაპირ მითხარით, ცოცხალია თუ არა ერთი კაცი, სახელად აბუტალიფი, სად არის, მალე თუ მოუწევს დიდ გზაზე სიარული, რა ახატია სახეზე და რა აქვს გულშიო. განაბული ბიჭები გაფაციცებით დაჰყურებდნენ, როგორ დალაგდებოდა კენჭები. ერთხელ რაღაც ჩურჩული მოესმა ედიღეის ფეხაკრეფით წავიდა იქით და აბუტალიფის ბიჭები შერჩა ხელში. თურმე ერმექი მკითხაობდა კენჭებზე, ედიღეივით შლიდა კენჭებს, მერე აიღებდა ერთს, შუბლსა და ტუჩებთან მიიტანდა და ყველას სათითაოდ ეფიცებოდა – მე შენც მიყვარხარ. შენც ძალიან ჭკვიანი, ძალიან კარგი კენჭი ხარ. აბა არ შეცდე, არ წაბორძიკდე, პატიოსნად და პირდაპირ თქვი, როგორც ძია

ედიღეის კენჭები ამბობენ. - მერე უფროს ძმას მიუბრუნდა და აუხსნა, ზუსტად ისე, როგორც ედიღეი უხსნიდა ხოლმე, თუ რას მოასწავებდა კენჭების განლაგება. - ნახე, დაულ, ურიგო სურათი არ გამოვიდა, დიახაც, დიახაც არაა ურიგო. აი, ეს გზაა. გზა ცოტა ნისლიანია, რაღაც ნისლი ჩანს. მაგრამ ეს არაფერია, ძია ედიღეი ამბობს, ეს რაღაც დაბრკოლებააო გზაში. არც უამისობა იქნება. მამას წამოსვლა უნდა. აგერ, უნაგირზე უნდა დაჯდეს, მაგრამ მოსართავი მოეშვა ცოტაზე. ხომ ხედავ, მოსართავი მოჭიმული არაა. მაგრად კი უნდა მოიჭიმოს. მაშასადამე, რაღაც აბრკოლებს ისევ მამას, დაულ, უნდა მოვითმინოთ კიდევ, ახლა კი ვნახოთ, რა აქვს მარცხენა ნეკნზე და რა მარჯვენაზე. არა, ნეკნები მთელი ჰქონია. ეს კარგია. შუბლზე კი რა ჩანს? შუბლი მოღუშული ჩანს. იმიტომ რომ ჩვენი ედარდება, დაულ გულზე ხომ ხედავ ამ კენჭს, გულზე მწუხარება და ნაღველი აწევს - იმიტომ რომ სახლი ძალიან მოენატრა. გზა მალე თუ ელის? მალე ელის. მაგრამ უკანა ფლოქვზე ერთი ნალი მორყევია ცხენს. მაშასადამე, დაჭედვა უნდა, ჩვენც ისევ ცოტა უნდა მოვითმინოთ. ხურჯინში კი რა უწყვია? ოჰო, ბაზარში ნაყიდები უწყვია! ახლა ვნახოთ - ვარსკვლავები თუ მშვიდობით მგზავრობას უწინასწარმეტყველებენ? ხომ ხედავ ამ ვარსკვლავს - ეს ოქროს კადონია, იქიდან კი ნაკვალევი მოდის. თუმცა არც ისე ნათლად ამჩნევია. მაშასადამე, მალე ახსნის ცხენს და გზას გაუდგება...

გულაჩუყებული, შეწუხებული და თან გაოცებული ედიღეი შეუმჩნევლად გაეცალა იქაურობას. იმ დღიდან კენჭებზე მკითხაობას თავს არიდებდა.

მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია, შეიძლება რაღაცით დაამშვიდო, დააიმედო, თუნდაც ცოდვა დაიდო და მოატყუო დროებით. მაგრამ კიდევ ერთი დარდი და ფიქრი ჩაუსახლდა გულში ბურანელ ედიღეის. იმ ვითარებასა და ერთმანეთზე მიწყობილ

ამბებს იგი უთუოდ უნდა წარმოეშვა, მეწყერივით ისიც ოდესმე უნდა დაძრულიყო და ედიღეი ვერა ძალით შეაჩერებდა...

აწუხებდა, ძალზე აწუხებდა ზარიფას ამბავი, მერე რა, რომ ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებისეული ამბების გარდა სხვა არაფერზე უსაუბრიათ, მერე რა, რომ ზარიფას არასოდეს საამისო საბაბი მიუცია, ედიღეი მაინც გამუდმებით მასზე ფიქრობდა, მაგრამ ეს მარტო სიბრალული და თანაგრძნობა, მარტო შეცოდება არ იყო იმის მნახველისა და მოწმის, რა მეხი დაატყდა ქალს, მაშინ სალაპარაკოც არ იქნებოდა. ედიღეი სიყვარულით ფიქრობდა ამ ქალზე, მასზე ფიქრი არ შორდებოდა, მთელი არსებით ეწადა ზარიფასთვის ისეთი ადამიანი გამხდარიყო, ვისაც ყველაფერში მიენდობოდა ქალი, რაც კი ცხოვრებაში მოუხდებოდა. ედიღეი ბედნიერი იქნებოდა, რომ გაეგო, ზარიფაც ასევე ფიქრობს, ზარიფასაც ბურანელი ედიღეი მის ყველაზე ერთგულ და მოსიყვარულე ადამიანად მიაჩნია.

არადა, რა საწამებელი იყო ისე დაეჭირა თავი, ვითომ ზარიფასადმი განსაკუთრებულს არაფერს გრძნობს, ვითომ მათ შორის სხვა რამ არც შეიძლება და არც უნდა მოხდეს...

ამ ფიქრებში იყო მთელი გზა ქუმბელამდე. იტანჯებოდა, ხან რას ფიქრობდა და ხან რას. წამდაუწუმ ეცვლებოდა განწყობა. ხან ეგონა, მალე დღესასწაული დაუდგებოდა, ხან ეგონა, ავადმყოფობა არ აცდებოდა. ამ განწყობაზე მყოფს ზოგჯერ ისე ეგონა, თითქოს კვლავაც ზღვაზე იყო. ზღვაზე ადამიანი მუდამ სულ სხვანაირად გრძნობს თავს, ვინემ მიწაზე, გინდაც ირგვლივ სიმშვიდე სუფევდეს და საფრთხე არსაიდან გემუქრებოდეს. რარიგ გაშლილი არ უნდა იყოს ზღვა, რარიგ სასიამოვნო ტალღების გაპობა, გინდაც საჭირო საქმეზე, რარიგ ლამაზი წყლის ზედაპირზე ასარკული დაისი თუ აისი, სულ ერთია, მაინც ნაპირს უნდა დაუბრუნდე, მაინც ნაპირს უნდა მიადგე, სულ მუდამ ზღვაში

ვერ იქნები. ნაპირზე კი ადამიანს სხვა ცხოვრება ელის. ზღვა დროებითი, ხმელეთი კი სამუდამო საყუდელია. ხოლო თუ ნაპირზე მიდგომა შეგაშინებს, კუნძული უნდა მოძებნო, იქ გადახვიდე და იცოდე, რომ აქაა შენი ადგილი, აქ უნდა იყო მუდამ. ედიღეიმ კიდეც წარმოიდგინა, როგორ აღმოაჩენს ასეთ კუნძულს, წაიყვანს ზარიფას შვილებიანად და იქ იცხოვრებს. ბიჭებს მიაჩვევს ზღვასა და თვითონაც ბედნიერად, დაუჩივლელად გაატარებს თავის დღეებს ამ კუნძულზე, ოღონდაც კი იცოდეს, რომ ყოველ წუთს ნახავს ზარიფას, რომ მისთვის ყველაზე სასურველი, ყველაზე საჭირო, ახლობელი ადამიანია...

მაგრამ მაშინვე შერცხვა ამ სურვილისა და გაწითლდა კიდე თუმცა ირგვლივ ასეულ კილომეტრზე ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ლაწირაკივით ოცნებებს აჰყვა, კუნძულზე გაქცევა მოინდომა, ვითომ რატომ, რისი გულისთვის? რა უფლება აქვს იმ კაცს, ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, ვინც საქმეს ადგია, რკინიგზაზე მუშაობს, დაბოლოს საროზექში ცხოვრობს, რომელსაც თავისდა შეუმჩნევლად მთელი არსებით შეესისხლხორცა... ან რაში ჭირდება იგი ზარიფას, მერე რა, რომ ქალს ასე უჭირს, რატომ იფიქრა, ზარიფას შეიძლება შევუყვარდეო? კიდევ ჰო, ბიჭებზე რომ თქვას, ბიჭები თვითონაც თავს ურჩევნია და იმათაც უყვართ ძია ედიღეი. ზარიფა კი რატომ ინდომებს ამას?! ან განა თვითონ აქვს ამის ნება, როცა ცხოვრებამ დიდი ხანია მიუჩინა თავისი ადგილი და ამ ადგილს თავისი დღე და მოსწრება ალბათ ვეღარ შეიცვლის...

ნაცნობ ბილიკს მიჰყვებოდა ბურანელი ყარანარი, რომლითაც ბევრჯერ უვლია. იცოდა, კიდევ რამდენი სავალი ჰქონდა, და დაუცაცხანებლად მიჩინდრიკობდა ხამუშ-ხამუში ბღავილითა და კუთვა-კუთვით, მარდად კეცავდა საროზექის უზომელ სივრცეს, გაზაფხულის სუნდაკრულ ფერდობებს, ხევებს, გვერდს

უვლიდა ოდესღაც მარილიან ახლა კი დამშრალ ტბას. ედიღეი კი თავის წუხილს, თავის დარდებს მისცემოდა... იმდენად მოეცვა გრძნობათა ჭიდილს, ისეთ გაუსაძლის ნაღველს შეეპყრო, საროზექის განუზომელ სივრცეშიც კი მის სულს საყუდელი ვერ მოენახა...

ამ განწყობით ჩავიდა ქუმბელში. უნდოდა, როგორ არ უნდოდა, ზარიფას რომ ბოლოს და ბოლოს ნათესავებიდან თავის წერილებზე პასუხი მიეღო, მაგრამ იმის გაფიქრებაზე, ნათესავებმა შეიძლება დაობლებულ ოჯახს ჩამოაკითხონ წასაყვანად ან თავისთან გამოიძახონო, ედიღეის მთლად ეძმარებოდა გუნება. ფოსტაში სარკმელს რომ მიადგა, სადაც „მოკითხვამდე“ ეწერა და ისევ უპასუხეს, ზარიფა ქუთიბაევას სახელზე წერილები არ მოსულაო, თავისდა მოულოდნელად სიხარულმა აიტანა, გაუგებარმა, უკეთურმა, უსინდისო ფიქრმაც კი გაუელვა, კარგია რომ არ მოსულაო. შემდეგ კეთილსინდისიერად შეასრულა ზარიფას დავალება - სამი დეპეშა გაგზავნა სამ მისამართზე. საღამოს კი შინ დაბრუნდა...

ამასობაში გაზაფხული ზაფხულმა შესცვალა გადაყვითლდა, გადახუნდა საროზექი. ყვითელი ტრამალი ისევ ყვითელი გახდა. ჰაერი გახურდა, პაპანაქება ახლოვდებოდა. ქუთიბაევების ნათესავებისაგან ბაიბური არ ისმოდა. არავინ გამოხმაურებია არც წერილსა და არც დეპეშას. მატარებლები კი კვლავ გრიალით მიჰპროდნენ ბორანლი-ბურანის ასაქცევზე და ცხოვრებაც თავის დინებას მიჰყვებოდა...

აღარც ზარიფა ელოდა უკვე პასუხს, მიხვდა, ნათესავების იმედი არ უნდა ჰქონდეს, აღარ ღირს წერილებით საშველად ხმობა... ქალი უხმო სასოწარკვეთამ შეიპყრო, - სად წავიდეს, რა ქნას ახლა... როგორ უთხრას შვილებს მამის ამბავი, რითი და-

იწყოს, დანგრეულ ცხოვრებას რა უშველოს? პასუხს კი ჯერჯერობით ვერ პოულობდა.

იქნებ ზარიფაზე ნაკლებ არ განიცდიდა მისი ოჯახის ამბავს ედიღეი... ბორანლი-ბურანშიც ყველანი შეწუხებული იყვნენ ამ ამბით, მაგრამ ედიღეიმ ხომ იცოდა, ამ ოჯახის უბედურება რად იქცა პირადად მისთვის. თავისი თავი ვეღარ განეყო მათგან, ამ ოჯახის ბედი ასულდგმულებდა ყოველდღე. ისიც ასევე დაძაბული ელოდა, რა იქნებოდა მათ თავს, ისიც უხმო სასოწარკვეთილებით ფიქრობდა - როგორ ეცხოვრათ ზარიფასა და მის შვილებს. მაგრამ ამასთან გამუდმებით არ ასვენებდა, გამუდმებით ტანჯავდა ის ფიქრი: რა უყოს თავის თავს, როგორ მოერიოს, როგორ ჩაიკლას გულში ის გრძნობა, ამ ქალისკენ რომ იზიდავს? მაგრამ პასუხი ვერც ამაზე ეპოვა... ყველა-ყველა და თუ ცხოვრებაში ასეთ რასმე გადაეყრებოდა, არ ეგონა...

ბევრჯერ დააპირა ედიღეიმ, ბევრჯერ გადაწყვიტა გამოუტყდეს ქალს, პირდაპირ, დაუფარავად უთხრას, როგორ უყვარს ზარიფა, როგორ უნდა მისი საწუხარი, მისი გასაჭირი თვითონ იკისროს, რომ ვერ წარმოუდგენია მათ გარეშე არსებობა, მაგრამ რანაირად უთხრას? რა პირით? გაუგებს კია ზარიფა? იმის თავი აქვს გაუბედურებულ, მარტოხელა ქალს, ედიღეის სიტყვას უსმინოს! ან ლამაზი კი იქნება? დღედაღამ ამაზე ფიქრობდა ედიღეი, ეს უძმარავდა გუნებას, საქციელს უკარგავდა. ოჰ, როგორ უჭირდა გარეგნულად არაფერი დაემჩნია ხალხში.

მაგრამ ერთხელ მაინც ვერ სძლია თავს, მაინც გაამჟღავნა თავი. გადასარბენის შემოვლის შემდეგ უკან ბრუნდებოდა. შორიდან დაინახა, ზარიფა რომ ვედროებით ცისტერნისკენ წავიდა. რაღაც ძალამ ხელი ჰკრა და მისკენ უბიძგა. განა იმიტომ, ვედროების წამოღებაში შეშველებოდა, ამ საბაბით ესარგებლა. თითქმის ყოველ მეორე დღეს, ზოგჯერ ყოველდღეც კი ერთად

მუშაობდნენ რკინიგზაზე, შეეძლოთ რამდენიც სურდათ ელაპარაკათ, არა, სწორედ იმ წუთს აიტანა ედიღეი დაუძლეველმა სურვილმა მისულიყო და ის ეთქვა, რაიც სულს ვეღარ დაეტია. ცხელ გულზე კიდეც იფიქრა, იქნება ასეც სჯობდესო – გაუშვი, ვერ გაუგოს ზარიფამ, გაუშვი, ხელი კრას, სამაგიეროდ გული გაუნელდება, დაუმშვიდდება ედიღეის. ზარიფას არ გაუგია მისი მიახლოება. ზურგით იდგა, ცისტერნის ონკანი მოეშვა. ერთი ვედრო უკვე გაევსო და განზე გაედგა, მეორეც გავსებულიყო და წყალი ბუყბუყით გადმოდიოდა, ირგვლივ გუბე დგებოდა. ზარიფა კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, ცისტერნას მიყრდნობოდა და თავი ჩაექინდრა. ჩითის კაბაში იყო, შარშან ზაფხულს იმ თქეშის დროს რომ ეცვა. საფეთქლებზე და ყურს უკან კულულები უჩანდა - ერმექიც ხომ მასავით თმახუჭუჭა იყო - სახე გალეოდა, კისერი გაწვრილებოდა, მხარი ჩამოგდებოდა, ხელი თეძოზე დაცურებოდა. იქნებ წყლის თქრიალმა მონუსხა, სემირეჩიეს მთის ნაკადულები და არხები მოაგონა ან მწარე ფიქრები მოერია იმ წუთს, ამან წაიღო მისი გონება? ღმერთმა იცის. მაგრამ ედიღეის კი გული შეეკუმშა მის დანახვაზე. ისე საოცრად ახლობელი იყო მისთვის ამ ქალის ყველაფერი. ისე მოუნდა მიფერებოდა ახლავე, ამ წუთს, დაეცვა, დაეფარა იმისგან, რაც ქალს ლოდივით დასწოლოდა. მაგრამ ვაი რომ არ შეეძლო. ედიღეიმ მხოლოდ უხმოდ დაკეტა ონკანი, თქრიალით წამოსული წყალი შეაჩერა. ზარიფამ ისე შეხედა, თითქოს არ გაკვირვებია, თითქოს აქ კი არა, სადღაც შორს, ძალიან შორს იყო ამ ადგილიდან.

- რა იყო? რა მოგივიდა? - თანაგრძნობით ჰკითხა ედიღეიმ. ხმა არ გაუღია ზარიფას, მხოლოდ ოდნავ გადაჰკრა ღიმმა, ოდნავ გაუნათდა თვალები, წარბები გაურკვევლად აზიდა. არაფერი, ჩემთვის ვფიქრობდი, თითქოს თქვა ამით...

- ვერა ხარ კარგად? - გაუმეორა ისევ ედიღეიმ.

- ვერა ვარ, - მძიმედ ამოიოხრა ქალმა.

ედიღეი დაიბნა, მხრები აიჩეჩა.

- ასე რად იწამებ თავს? - სიბრალულით უსაყვედურა ქალს, თუმცა სულ სხვა რამის თქმას აპირებდა, - რამდენ ხანს შეიძლება ასე? ამით რას უშველი, ჩვენც გვიმძიმს (მეც მიმძიმსო – უნდოდა ეთქვა,) ამ დღეში რომ ხარ, ბიჭებიც ცოდვები არიან, გაიგე, ასე არ შეიძლება, რაღაც უნდა იღონო, - ამბობდა და ცდილობდა ისეთი სიტყვები შეერჩია, ქალს ეგრძნო, ედიღეი რომ ყველაზე მეტად განიცდის მის ამბავს, ყველაზე მეტად უყვარს იგი. - აბა თვითონ დაფიქრდი. არ გწერენ წერილს და ნუ გწერენ, ღმერთმა კარგად ამყოფოთ, უიმათოდაც არ დავიღუპებით, ჩვენ ხომ (მეო - უნდოდა ეთქვა) შენთან ვართ ყოველთვის. ოღონდ სულით ნუ დაეცემი, იმუშავე, გამაგრდი. ბიჭებს აქაც წამოზრდი, ჩვენთან (ჩემთანო - უნდოდა ეთქვა). ნელ-ნელა მოგვარდება ყველაფერი. რად უნდა წახვიდე სხვაგან? ჩვენ აქ ყველანი ერთი ოჯახივით ვართ. მე კი თვითონაც იცი, შენი ბიჭების უნახაობა ერთი დღეც არ შემიძლია. - ედიღეი დადუმდა. რაც თქვა, იმაზე მეტის თქმა უკვე აღარ შეიძლებოდა.

- მესმის, ყველაფერი მესმის, ედიქე, - მიუგო ზარიფამ, მადლობის მეტი რა მეთქმის. ვიცი, გაჭირვებაში დამეხმარებით, მაგრამ აქედან კი უნდა წავიდეთ, ბავშვებმა უნდა დაივიწყონ, რა იყო და როგორ იყო, მაშინ ვეტყვი ყველაფერს. თვითონაც იცი, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება.. ჰოდა, ვფიქრობ, რა ვქნა, რა გზას და ვადგე...

- ეგ კი მართალია, - იძულებული გახდა ედიღეი კვერი დაეკრა, - ოღონდ ნუ იჩქარებ. იფიქრე კიდევ. ამ პაწიებით სად უნდა წახვიდე, რას გაახერხებ? რომ გავიფიქრებ, უთქვენოდ აქ როგორ უნდა ვიყო, თავზარი მეცემა...

მართლაც ძალიან აშინებდა ზარიფას და მისი ბიჭების ბედი ედიღეის, იმიტომაც ხვალინდელ დღეზე შორს აღარ იყურებოდა, თუმცა თვითონაც იცოდა, ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებაო. გაიარა რამდენიმე დღემ ამ ლაპარაკიდან და ერთმა შემთხვევამ თავიან-ფეხიანად გასცა ედიღეი. თუმცა კი ბევრი ინანა და განიცადა შემდეგ, თავისთვის ვერ ეპატიებინა, ეს როგორ მომივიდაო.

ბევრმა თვემ ჩაიარა იმ დღის აქეთ, როცა ქუმბელში იყვნენ ყველანი ერთად და ერმექმა თმა არ გააპარსინა პარიკმახერს. ახლაც გაუხოტრავი დადიოდა ბიჭი, გრუზად ეყარა შავი კულულები და ძალიანაც შვენოდა, მაგრამ თმა კი აქამდე უნდა გადაეპარსათ ამ პატარა ლაჩრისთვის. ედიღეი წარამარა ფუშფუშა თავზე კოცნიდა ბიჭუნას, ცხვირს ჩაყოფდა, მისი თმის სუნით ტკბებოდა, მაგრამ თმა უკვე მხრებამდე ჩამოზრდოდა ერმექს და თამაშსა და სირბილში უშლიდა. ბიჭს ვერა და ვერ გაეგო, რა საჭირო იყო თმის გაკრეჭა, ვერ მიჩვეოდა ამ აზრს, ეუცხოებოდა, იმიტომაც არავის იკარებდა ახლოს, კიდევ ყაზანგაპმა მოახერხა და დაიყოლია, შეაშინა თიკნებს არ უყვართ გრძელთმიანები, გირქეენო.

თურმე ნუ იტყვი - მსოფლიო ტრაგედია დატრიალებულა ის დღეს. მერე მოუყვა ზარიფა, გაკრეჭა კი დავიწყეთ, მაგრამ დამთავრება გაგვიჭირდაო. აღარ ვიცოდით, რა გვექნა! ტირილი ატეხა ერმექმა, ხელიდან გვისხლტებოდა ყველას. ისევ ყაზანგაპმა იხმარა ძალა, ფეხებში მოიმწყვდია და ისე გაკრიჭაო. მთელი ასაქცევი გადააქუხა თურმე ერმექის ღრიალმა. გაკრეჭა რომ მოათავეს გულკეთილმა ბუქეიმ პაწიას დასაწყნარებლად სარკე მიაჩეჩა ხელში, აბა ჩაიხედე, რა ლამაზი ბიჭი გახდიო. ჩაიხედა ბიჭმა, თავი ვეღარ იცნო და უარესად აღრიალდა. ასე

აღრიალებული მოჰყავდა ზარიფას ყაზანგაპის ეზოდან, როცა ბილიკზე ედიღეი შეხვდათ.

გადახოტრილ ერმექს ვეღარ იცნობდა კაცი. წვრილი კისერი გაშიშვლებოდა, გაპარტენილი ყურები უჩანდა. ტირილ-ტირილით დაუსხლტა დედას ხელიდან და ედიღეის მივარდა:

- ძია ედიღეი, ნახე, რა მიყვეს?

ვინმეს რომ ეთქვა ედიღეისათვის, ასეთ დღეში ჩავარდებიო, არამც არ დაიჯერებდა. ბიჭუნა ხელში აიტაცა და გულში ჩაიკრა, ასე ეგონა, თითქოს მის თავზე მოხდა ეს უბედურება, ის იყო უმწეო, მან მიაშურა სხვას ჩივილით და ნდობით. კოცნიდა ეუბნებოდა, თვითონაც არ იცოდა, რას:

- დაწყნარდი, ჩემო ძვირფასო! ნუ ტირი. მე არავის დავაჩაგგრინებ შენს თავს, მე შენთვის მამა ვიქნები, მამასავით მეყვარები, ოღონდაც ნუ ტირი! - მაგრამ გამტკნარებულ და გაქვავებულ ზარიფას დანახვაზე მიხვდა, აკრძალულ ზღვარს რომ გადააბიჯა, და დაიბნა, სასწრაფოდ გაეცალა ბავშვიანად, შემცბარი ერთსა და იმავეს ბურტყუნებდა: - ნუ ტირი! აბა ნახე, რა ვუყო იმ ყაზანგაპს! მე ვუჩვენებ სეირს მაგ ყაზანგაპს, დამაცადოს ერთი აი, ნახავ, რას ვუზამ!..

რამდენიმე დღე აღარ გაჰკარებია ედიღეი ზარიფას და შეამჩნია, რომ ზარიფაც ერიდებოდა. ნანობდა ბურანელი ედიღეი, რომ ისე სულელურად გათქვა თავი, სიმშვიდე დაურღვია ყოვლად უდანაშაულო ქალს, ვისაც უამისოდაც საზრუნავი და საჯავრებელი არ აკლდა. თავისთვის ვერ ეპატიებინა ედიღეის. მრავალი წელი, თუმცა წლები კი არა, სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნუნთქვამდე ემახსოვრება ედიღეის ის წუთი, როცა უმწეო, ნაწყენი ბიჭუნა ჩაიკრა გულში, როცა სინაზემ და სიმწარემ შეუძრა სული და როცა ზარიფას ჰკრა თვალი, ამ სურათით გაოგნებული რომ შეჰყურებდა და უტყვი კივილი ედგა თვალებში.

გაიყუჩა, გაილურსა რამდენიმე ხანს ბურანელი ედიღეი, გულში ჩახშული მთელი გრძნობა მის შვილებზე გადაიტანა სხვა ვერაფერი ეღონა. ყოველი მოცალეობის წამს მათ ართობდა, უყვებოდა და უყვებოდა ზღვაზე, ზოგს იმეორებდა და ზოგ ახალს იხსენებდა. ზღვაზე ლაპარაკს არაფერი ერჩივნათ ბიჭებს. ჰყვეოდა თოლიებზე, თევზებზე, მძლევარ ფრინველებზე და არალის კუნძულებზე, სადაც სხვაგან გადაშენებული იშვიათი ნადირი შემორჩენოდა. მაგრამ ამ ამბებზე ლაპარაკისას უფრო ხშირად, უფრო დაჟინებით ახსენდებოდა ედიღეის საკუთარი ცხოვრების ამბავი არალის ზღვაზე, მხოლოდ ამას არ უყვებოდა ბიჭებს, ეს საიათო საქმე არ იყო. ეს ამბავი მხოლოდ ორმა იცოდა, მან და უქუბალამ, მაგრამ ერთმანეთშიაც სიტყვა არ დაუძრავთ არასოდეს ამაზე, ვინაიდან ეს ამბავი მათ გარდაცვლილ პირმშოს შეეხებოდა. ცოცხალი რომ ყოფილიყო მათი ბიჭი, ახლა ბორანლელ გოგობიჭობაზე უფროსი იქნებოდა, ყაზანგაპის საბითჟანზეც ორი წლით დიდი. გგონია, დაიბადება და დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს, ისე დიდხანს, წარმოდგენაც კი ძნელია, თორემ მაშინ ვინღა გააჩენს შვილებს?..

როცა ახალგაზრდა იყო და მეთევზეობდა - ომი ცოტა ხნის მერე დაიწყო მხოლოდ - მან და უქუბალამ საოცარი რამ განიცადეს. ასეთი განცდა ალბათ სიცოცხლეში ერთხელ თუ ეწვევა ადამიანს და არასოდეს გამეორდება.

ცოლის შერთვის შემდეგ ედიღეის სული მიუდიოდა, როდის დაბრუნდებოდა ზღვიდან შინ, იმიტომ რომ უქუბალა უყვარდა, იმიტომ რომ იცოდა, უქუბალა ელოდა. უქუბალა ყველაზე სასურველი ქალი იყო მისთვის ამქვეყნად. მხოლოდ მასზე ფიქრობდა, მხოლოდ უქუბალასთან დაბრუნების სურვილს შეეპყრო იგი. ზოგჯერ კიდევაც ეგონა, მარტოდენ იმიტომ არსებობს, რომ

სულ მასზე იფიქროს, შეიწოვოს და დაიგროვოს ზღვისა და მთის მთელი მადლი, რომ ცოლს მოუტანოს, რომელიც ელის, ვინაიდან ეს ბედნიერებას ანიჭებდა ორივეს, ეს იყო ბედნიერების გულისგული - სხვა დანარჩენი, გარეგნული, მხოლოდ ავსებდა, ამდიდრებდა მათ ბედნიერებას, მათ ნეტარებას იმით, რაიც მზისა და ზღვისაგან მიმადლებოდა ედიღეის. ხოლო როცა უქუბალამ იგრძნო, მის თავს რაღაც იყო, როცა იგრძნო, მალე დედა ვიქნებიო, ერთმანეთის ნახვის ნატვრას მომავალი პირმშოს ნატვრაც მიემატა. ეს მათი ცხოვრების უღრუბლო ხანა იყო.

გვიან შემოდგომაზე, უკვე ზამთრის პირს, უქუბალას ყავისფერი ლაქები დააჩნდა სახეზე და მუცელიც წამოეზარდა, უკვე კარგად დაეტყო. ერთხელ ქმარს ჰკითხა, თუ გინახავს ალთინ მექრეო. გამიგონია კი, მაგრამ თვალით არ მინახავსო, ედიღეიმ უთხრა, ეს ძალიან იშვიათი თევზიაო, თართების ოჯახისა, საკმაოდ დიდიც, მაგრამ მის თავიდათავ ღირსებას სილამაზე შეადგენს, ტანი მოლურჯო და დაწინწკლული აქვს, თხემი, ფარფლები და ზურგზე ჩაყოლებული, ხრტილოვანი სავარცხელი - ბაჯაღლო ოქროსფერი, გასაოცრად ბრჭყვიალაო. იმიტომაც შეარქვეს ალთინ მექრე, ოქროს მექრეო.

მეორედ უქუბალამ უთხრა, სიზმარში ოქროს მექრე ვნახეო. თევზი თურმე ირგვლივ დაცურავდა, უქუბალას კი მისი დაჭერა უნდოდა. დაჭერა და მერე გაშვება, ოღონდაც ჯერ ხელი შეევლო, ეგრძნო მისი ოქროს სხეული. ისე მოეწადინა იმ თევზის გულში ჩაკვრა, რომ გაედევნა კიდეც. მაგრამ თევზი ვერა და ვერ დაიჭირა. დიდხანს ვეღარ დამშვიდდა გამოღვიძების შემდეგ უქუბალა, რაღაც უცნაურად დაწყდა გული, თითქოსდა რაღაც დიდი მიზნისთვის ვერ მიეღწიოს მართლა. გაეცინა საკუთარ თავზე, მაგრამ ვაი რომ ცხადშიაც ისევე საოცრად ეწადა იმ ოქროს თევზის დაჭერა.

ედიღეი მიუხვდა ამას, ზღვიდან ბადის ამოტანისასაც ამაზე ფიქრობდა. მერე აღმოჩნდა, თურმე სწორად აუხსნია ცოლის სიზმრისეული და მერე ცხადშიაც გამოყოლილი ნატვრა. მაშასადამე ედიღეიმ უთუოდ უნდა დაიჭიროს ოქროს მექრე. რადგან ეს ფეხმძიმე უქუბალას თალგაქი[17] იყო. ორსულობისას ბევრი ქალი განიცდის ამ თალგაქს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, ზოგს მუავე მოენატრება, ზოგს მწარე თუ ცხარე, ზოგს რომელიმე გარეული ცხოველისა და ფრინველის შემწვარი ხორცი მოუნდება სულის სიმწარით. ედიღეის არ გაკვირვებია ცოლის თალგაქი. მეთევზის ცოლს სწორედაც ის უნდა მონატრებოდა, რაიც მისი ქმრის ხელობასთან იყო დაკავშირებული. ღმერთსაც დაუდგენია, რომ ცხადში ენახა და ხელში დაეჭირა ეს დიდი ოქროს თევზი. ედიღეის ყური ჰქონდა მოკრული, თუ ფეხმძიმე ქალს თალგამი არ შეუსრულე, დედის მუცელში მყოფ ბავშვს შეიძლება რაღაც დაუშავდესო.

უქუბალამ ხმამაღლა ვერც გაბედა თავის თალგაქი ეთქვა, იმდენად უჩვეულო იყო იგი.

ამასობაში არალის ზღვაზე უკვე საცაა დამთავრდებოდა თევზის ჭერის დიდი სეზონი - ივლისიდან ნოემბრამდე რომ გრძელდებოდა. ზამთარი უკვე კარზე იყო მომდგარი. არტელი საზამთრო თევზაობისთვის ემზადებოდა, როცა ათასნახევარ კილომეტრზე გადაჭიმული. არალი სქელი ყინულით დაიფარება და ვეებერთელა ყინულების ჩეხვა მოუხდებათ ტყვიებით დამძიმებული ბადეების შიგ ჩასაშვებად, მერე კი ერთი ყინულჭრილიდან მეორემდე უღელში შებმულ აქლემებით მათი გათრევა. გამ-

[17] ფეხმძიმე ქალის მონატრება რაღაც საჭმლისა და ამ ნატვრას ასრულება (მიზეზობა).

წევის ძალის პირობაზე ხომ აქლემს ვერავინ შეედრება ტრამალზე.. მაგრამ გინდ ზამთარში და გინდ ზაფხულში რამდენი ძვირფასი თუ უბრალო თევზი არ დაუჭერია ედიღეის არტელს, ოქროს მექრე ჯერ არ მოხგედრია ბადეში. ამ თევზს ანკესით ან ნემსკავით თუ დაიჭერდა კაცი და დიდ ვაჟკაცობადაც ეთვლებოდა ყველა მეთევზეს. ყველა ამას გაიძახოდა ხოლმე შემდეგ, ამა და ამ კაცს ბედმა უღიმა და ოქროს მექრე დაიჭირაო.

იმ დილას ადრიანად წავიდა ედიღეი, ცოლს დაუბარა, ვინემ არალი ჯერ არ გაყინულა, თევზს დავიჭერ სახლისთვისო. უქუბალა წინა ღამეს ბევრი ეხვეწა:

- რად მიდიხარ ამ სიცივეში, განა თევზი გვაკლია?

მაგრამ ედიღეიმ უკან არ დაიხია:

- არ გვაკლია, მაგრამ შენ არ თქვი, საღინ დეიდა ჩაწვაო. ჭერეხის ან მურწას ცხელი წვნიანი მისწრება იქნება მისთვის. მოხუც ქალს ვინ დაუჭერს თევზს?

ამ საბაბით გასწია დილაადრიან ედიღეიმ ოქროს მექრეს და საჭერად, წინასწარ მოამზადა ანკესები და ნავის ცხვირზე დაიწყო თვითონაც თბილად ჩაიცვა, ზემოდან კაპიუშონიანი საწვიმარიც მოისხა და ასე შეცურდა ზღვაში.

ღრუბლიანი დღე იყო, ცვალებადი, შემოდგომა ზამთარს შორის რომ იცის ხოლმე. მიაცურებდა გვერდულად ნავს ედიღეი, ნიჩბებს უსვამდა და ღია ზღვისკენ მისრიალებდა. მისი ვარაუდით იქ უნდა ყოფილიყო ოქროს მექრეს ქარავანი. ცხადია, ბედის საქმე იყო ყველაფერი, ვინაიდან ზღვის თევზის ანკესით დაჭერა ყველა ნადირობაზე ძნელი რამაა. მიწაზე, რაც უნდა იყოს, მონადირე და მისი მსხვერპლი ერთ გარემოში არიან, მონადირეს შეუძლია ნადირს ხან მალვით დაედევნოს, ხან ჩაუსაფრდეს, ხან თავს დაესხას. წყლის ქვეშ კი მონადირე ამას ვერ მოახერხებს. ჩაუშვებს ანკესს და უნდა ეცადოს, როდის გამოჩ-

ნდება თევზი, ხოლო თუ გამოჩნდა მიეტანება თუ არა სატყუარას.

ედიღეის გულში დიდი იმედი ჰქონდა, ბედი რომ გაუღიმებდა, ის ხომ ზღვაში მარტო თევზის საჭერად არ გასულა, როგორც სხვა დროს, არამედ ფეხმძიმე ცოლის გულთმისნურმა სურვილმა წამოიყვანა.

ამ ფიქრით მიაცურებდა ნავს. ღონიერი და ჯანიანი იყო ახალგაზრდა ედიღეი, ნიჩბებს ძალოვნად, დაუღლელად უსვამდა შუა ზღვისკენ მიაცურებდა ნავს დაკლაკნილ, ატორტმანებულ ტალღებზე. ასეთ ტალღებს არალელი მეთევზეები იირექ-ტოლკუნებს - გვერდელა ტალღებს ეძახდნენ. იირექ-ტოლკუნები ქარიშხლის მომასწავებელია, თუმცა თავისთავად საშიში არ არის, გაბედულად შეგიძლია შეღრმავდე ზღვაში.

თანდათან დაპატარავდა თიხიანი ციცაბო ფლატე, ქვიანი აქაფებული ნაპირი. უფრო და უფრო გაურკვევლად ჩანდა იგი, ბოლოს ბუნდოვან ხაზად იქცა. დროდადრო ამ ხაზსაც ვეღარ ხედავდი. ღრუბლები უმოძრაოდ განრთხმულიყვნენ ცაზე, ქვემოთ ქარი დაფარფაშებდა, აზვირთებულ ტალღებს ქეჩოს ულოკავდა.

ორიოდე საათის შემდეგ ედიღეიმ ნავი გააჩერა, ნიჩბები ამოიღო, ღუზა ჩაუშვა და ანკესების გამართვას შეუდგა. ორი კოჭი თოკი ჰქონდა, ზედ ისეთი მოწყობილობა - მისივე ნაკეთები, ანკესს რა სიღრმეზეც უნდოდა, იმდენს ჩაუშვებდა. ერთი კიჩოზე დააყენა, საძირავმობმული თოკი ასიოდე მეტრის სიღრმეზე ჩაუშვა, ოცი მეტრი კიდევ მარაგად შემოინახა. მეორეც ასევე დააყენა ნავის ცხვირზე. თვითონ კი ნიჩბები მოიმარჯვა, რათა ნავი ქარსა და დინებას თავის ნებაზე არ ეტრიალა. რაც მთავარია, ნემსკავის ძუები ერთმანეთს არ გადახლართოდა.

მისი ვარაუდით, სწორედ ამ ადგილებში უნდა ყოფილიყო ეს იშვიათი თევზი, მტკიცებით ვერ დაამტკიცებდა, მაგრამ ალ-ღო კი უკარნახებდა, უთუოდ აქ უნდა გამოჩნდესო, დიახ, დიახ, უთუოდ აქ უნდა გამოჩენილიყო ის თევზი, უიმისოდ შინ ვერ დაბ-რუნდებოდა. სათამაშოდ ხომ არ უნდა, მისი ცხოვრების დიდზე დიდ ამბავს წყვეტს ეს თევზი.

რამდენიმე ხნის შემდეგ თევზიც მიეტანა ნემსკავს, მაგრამ ეს ის თევზი არ იყო, მას რომ უნდოდა. პირველად ჭერეხი და-იჭირა. ანკესი რომ ამოჰქონდა, იცოდა ედიღეიმ, რომ ოქროს მექრე არ იქნებოდა, არ შეიძლება ანკესს ოქროს მექრე მაშინვე მოდებოდა. მაშინ ხომ ამქვეყნად ცხოვრება სულ იოლი და უხა-ლისო რამ იქნებოდა. არა უშავს, ედიღეი მოიცდის, გაიჭირვებს. მერე ნემსკავს ვეება მურწა მოედო. იმას თევზი არ ჯობდა არა-ლის ზღვაში. ისიც დარტყმით დაარეტიანა და ნავის ფსკერზე დააგდო. ავადმყოფ სალინ დეიდის წვნიანისათვის საკმარისზე მეტიც იყო. კიდევ ტარანი დაიჭირა – არალის კაპარჭინა. ნეტა აქ საიდან მოხვდა? ის ხომ ჩვეულებრივ ზედაპირს ეტანება. ჯან-დაბას, თავის თავს დააბრალოს, ამის შემდეგ კარგა ხანს ლო-დინი მოუხდა, დრო ძალიან გაჭიანურდა. „არა, რამდენიც არ უნდა დამჭირდეს, მოვიცდი, უთხრა თავს ედიღეიმ, - არ მითქვამს, მაგრამ უქუბალამ იცის, რომ ოქროს მექრეს დასაჭე-რად წამოვედი. ვერ დავიჭერ, ბავშვი დედის მუცელში დაიტან-ჯება. ეს მას უნდა, დედამისმა რომ ნახოს და ხელში დაიჭიროს ოქროს მექრე, თუმცა რად უნდა, კაცმა არ იცის. დედასაც იგივე სწყურია, მე კი მამა ვარ და ნატვრა უნდა შევუსრულო ორივეს“.

გაანცებული იირექ-ტოლკუნები ნავს ატრიალებდნენ. იმი-ტომაც ჰქვიათ გვერდულა ტალღები, არასწორად რომ ტორტმანებენ. გაიყინა უმოძრაობისაგან ედიღეი, და მაინც თვალს არ აშორებდა ბაწრის კოჭებს - ხომ არ შეირხა ბაწარი,

ხომ არ გაცურდა ნემსკავის ძუა, პატარა ორთითაზე გადადებული. არა, არც ნავის ცხვირზე, არც კიჩოზე არავითარი ნიშანი არ იყო ამისა. მაგრამ ედიღეი იმედს არ კარგავდა. იცოდა, სჯეროდა, რომ ოქროს მექრე მოვიდოდა. ოღონდაც კი ცოტათი დაეცლია ზღვას - რაღაც მეტად დაბზრიალდნენ იირექ-ტოლკუნები. ნეტა რას მოასწავებს? არა, ქარიშხალი ასე მალე არ ამოვარდება, საღამოს ან ღამით შეიძლება ამოვარდეს, აიყალყოს ალაბაშები - ჭრელთავა ღრიალა ტალღები. მაშინ კი აბუყბუყდება მრისხანედ არალი, კიდით კიდემდე თეთრი ქაფით დაიფარება. ვერავინ გაბედავს ამ დროს ზღვაში გასვლას. მაგრამ ჯერჯერობით კიდევ არა უშავს, ჯერ კიდევ აქვს დრო...

აბუზული, შეციებული იჯდა ედიღეი, აქეთ-იქით იხედებოდა და თავის თევზს ელოდა ზღვაში. „რაღას აყოვნებ მართლა და მართლა, რისი გეშინია? ეუბნებოდა გულში თევზს, - დარდი ნუ გაქვს, ხომ გითხარი, ისევ ზღვაში გაგიშვებ-მეთქი. ამბობ, ასეთი რამ არ ხდებაო? შენ წარმოიდგინე - ხდება ხოლმე. საჭმელად ხომ არ მინდიხარ, საჭმელიცა და თევზი თავსაყრელი მაქვს შინ. აგერ ნავის ფსკერზეც სამი თევზი მიგდია. საჭმლის გულისთვის დაგელოდები განა, ოქროს მექრევ! პირმშოს ველით. შენ კი ამას წინ დაესიზმრე ჩემს ცოლს, მას აქეთ მოსვენება დაკარგა, კი არაფერს მეუბნება, მაგრამ ხომ ვამჩნევ. ვერ გეტყვი, რატომ, მაგრამ ჩემმა ცოლმა უთუოდ უნდა გნახოს და ხელში დაგიჭიროს, სიტყვას გაძლევ, მაშინვე ისევ გაგიშვა ზღვაში. ყველაფერი იმის ბრალია, რომ სულ სხვანაირი თევზი ხარ. თხემი და კუდი ოქროსი გაქვს. ფარფლებიც და ზურგიც ოქროსფრად გიბრჭყვიალებს. ჩვენიც გაიგე. ჩემს ცოლს სწყურია ცხადში გნახოს, ხელი შეგახოს, რომ იგრძნოს, როგორი ხარ ხელშეხებით, ოქროს მექრევ, ნუ გგონია, თევზი რომ ხარ, ჩვენთან საერთო არა გაქვს რა. თევზი კი ხარ, მაგრამ მას დასავით, ძმასავით

ენატრები, მანამდე უნდა გნახოს, ვინემ ბავშვი გაჩნდება. ეამება მუცელში ბავშვსაც. მაშ, ასეა საქმე, უნდა დამიხსნა, ჩემო კარგო ოქროს მექრე, უნდა მოხვიდე. არ გაწყენინებ. სიტყვას გაძლევ. მე რომ ავი ზრახვა მქონდეს გულში, თავად იგრძნობდი. ანკესებზე - ანკესი კი ორია, რომელიც გინდა ამოირჩიე - ხორცის დიდი ნაჭერი ჩამოვაცვი, ოდნავად სუნი დაჰკრავს, მაგრამ შორიდან რომ მოგიტყუოს იმიტომ ვქენი ასე. ჰო, მოდი, ცუდი რამ გულში არც გაივლო. ნემსკავით რომ მომეტყუებინე, ეს უპატიოსნო საქციელი იქნებოდა, თუმცა ნემსკავი უფრო მალე მოგიტყუებდა. მაგრამ როგორ უნდა გეცხოვრა ამ გადაყლაპული რკინით ზღვაში, როცა გაგიშვებდი? ეს მოტყუება იქნებოდა. მე კი ნამუსიანად გთავაზობ ანკესს. ცოტაზე ტუჩი გაგეჭრება, სხვა არაფერი. ნუ გეშინია, თან დიდი გუდა მაქვს წამოღებული. შიგ წყალს ჩავასხამ, იქ ცოტა ხანს მოგიხდება ყოფნა, მერე კი ისევ ზღვაში გაცურავ. იცოდე, უშენოდ ფეხს არ მოვიცვლი აქედან. დრო კი არ იცდის. ვერა გრძნობ, როგორ იყალყება ტალღები და ქარიც ფრთებსა შლის. განა შენ გინდა ჩემი პირმშო ობლად, უმამოდ დარჩეს? იფიქრე, მიშველე რამე...“

უკვე ბინდი ჩამოდიოდა საზამთროდ მომზადებულ მტრედისკერ სივრცეზე. ნავი ხან ტალღათა ქეჩოზე მოექცეოდა, ხან ზვირთებში იმალებოდა და ასე მიიწეოდა ნაპირისაკენ. უჭირდა სვლა, ფურთუნს ებრძოდა. ზღვა უკვე ხმაურობდა, ნელინელ ქაფდებოდა , ტორტმან-ტორტმანით ქარიშხლისთვის ძალას იკრებდა, გაყინელ შხეფებს თავპირში აფრქვევდა ედიღეის, სიცივემ და წყალმა ხელები დაუსივა.

უქუბალა ნაპირზე დაწრიალებდა, რა ხანია შეშინებული ელოდა ქმარს. მეთევზის ცოლობა რომ გადაწყვიტა, ტრამალელმა შესაქონლე ნათესავებმა უთხრეს: ვიდრე დათანხმდებოდე, ჯერ დაფიქრდი, იცოდე, სატანჯველად სწირავ თავს,

ზღვაზე თხოვდები, ბევრჯერ მოგიხდება ცრემლების ღვრა ზღვის ნაპირზე, ზღვის ხვეწნა და მუდარაო. უქუბალამ მაინც არ უთხრა უარი ედიღეის. როგორც ჩემი ქმარი, მეც ისე ვიქნებიო...

ასეც გამოვიდა, მაგრამ ამჯერად არტელთან ერთად კი არა, მარტო იყო წასული ედიღეი. უკვე ღამდებოდა, ზღვა ღელავდა და შფოთავდა.

მაგრამ აჰა, ფურთუნში გაკრთა ნიჩბები და ნავიც გამოჩნდა ტალღებზე. უქუბალა ნაპირს მიადგა და იქ დაელოდა ედიღეის. თავშალი ეხვია, მუცელი უკვე კარგა დიდზე წამოზრდოდა. ზვირთცემამ ძლიერი მოქნევით გამოაგდო ნავი ნაპირზე. ედიღეი მაშინვე წყალში ჩახტა და ნავი გამოათრია ქვიშაზე, მერეღა გაიმართა წელში, ერთიანად მარილიან წყალში ამოლუმპული. უქუბალა მივიდა და ხელი მოხვია სველ კისერზე. ლაბადა ყინვისგან გაშეშებულიყო.

- თვალები დამაწყდა შენს ცდაში. ასე რად დაგაგვიანდა?

- მთელი დღე არ გამოჩნდა, სულ ბოლოს მოცურდა.

- შენ რა, ოქროს მექრეს დასაჭერად იყავი?

- კი, ხვეწნით დავიყოლიე, როგორც იქნა. აბა მოდი და დახედე.

ტყავის მძიმე გუდა წყლით იყო სავსე. ედიღეიმ პირი მოხსნა გუდას, წყალი გადმოაქცია და ოქროს მექრეც წყალს გადმოჰყვა ქვიშაზე. ვეება, მძლავრი, ლამაზი თევზი იყო. გამწარებით აატლაშუნა ოქროს კუდი, დაიგრიხა, ახტა და დახტა, ირგვლივ სველი ქვიშის ბუქი დააყენა, ვარდისფერი პირი განივრად დააღო, თავი კი ზღვისკენ მიიქცია, ისევ მშობლურ სტიქიონში ეწადა დაბრუნება. უცებ წამით გაირინდა თევზი, უმოძრაო, მრგვალი, კრიალა თვალებით მოათვალიერა ის სამყარო, სადაც უეცრად მოხვდა. ზამთრის დღის ამ ბინდბუნდიან ჟამსაც კი უჩვეულო სინათლე მოხვდა თავზე, მისკენ დახრილი ადამიანე-

ბის ელვარე თვალები დაინახა, ნაპირის კიდე და შორს, ძალიან შორს, მეჩხერ ღრუბლებს მიღმა, დასალიერზე მისთვის მეტის-მეტად კაშკაშა დაისი. სული შეუგუბდა თევზს, ახტა, ასხმარტალ-და ხელახლა, წყლისკენ გაიწია. ედიღეიმ ლაყუჩებით ასწია თევზი.

- აჰა, დაიჭი, - უთხრა უქუბალას.

ბავშვივით ჩამოართვა უქუბალამ თევზი, ორივე ხელით გულზე მიიკრა. იგრძნო თევზის ზამბარასავით მოქნილი ტანი, მისი ძალა

- რა მკვრივია! - შესძახა ქალმა, - ნაკოდალივით მძიმე! ზღვის სუნი ასდის! თან რა ლამაზია! ჰა, წაიღე, ედიღეი, ძალიან, ძალიან გამახარე, ნატვრა ამისრულე. ახლა კი ჩქარა გაუშვი ზღვაში...

ზღვისკენ წაიყვანა ოქროს მექრე ედიღეიმ, მუხლებამდე შეტოპა წყალში, ხელი გაუშვა, შიგ ჩააცურა თევზი. ვინემ ჩაცურ-დებოდა, მუქ ლურჯ ჰაერში წამით იელვა თევზის ოქროდ შეფე-რილმა ზურგმა, იელვა, წყალი გაკვეთა და სიღრმეში მიიმალა...

ღამით კი დიდი ქარიშხალი ამოვარდა ზღვაზე. კედელს მიღმა, ხრამის ძირას ღმუოდა და ღრიალებდა ზღვა. ერთხელ კიდევ იწამა ედიღეიმ: იირექ-ტოლკუნები მართლა ქარიშხალს მოასწავებენო. შუაღამე იყო, ბურანში რომ ჩაესმა ზვირთების ცემა ედიღეის, უნებლიეთ ოქროს მექრე მოაგონდა. რა დღეშია ახლა მისი თევზი? თუმცა დიდ სიღრმეზე ზღვა ალბათ ასე არ ზანზარებს. იმ უკუნ სიბნელეში იქნებ თევზიც აყურადებს, ერთი-მეორეზე როგორ გადადის ტალღები. ბედნიერად გაეღიმა ედიღეის და ვინემ დაიძინებდა, ცოლს ფერდზე მიადო ხელი. იგრძნო, ბავშვი როგორ ინძრეოდა დედის მუცელში, აქ ვარო, ამცნობდა მისი პირმშო. ამანაც ბედნიერი ღიმილი მოჰგვარა ედიღეის და უზრუნველად დაიძინა.

აბა რა იცოდა, ერთი წელიც არ გაივლიდა, ომი ატყდებოდა, ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა, ზღვას სამუდამოდ მიტოვებდა და მოსაგონრადღა ექნებოდა. მეტადრე მძიმე დღეებში...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა ამ მხარეში ვეებერთელა უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი, ყვითელ ტრამალთა შუაგული მიწები გადაჭიმულიყო...

ბურანელი ედიღეისათვის იმ საშინელ ორმოცდაცამეტ წელს ნაადრევად დადგა ზამთარი. საროზექში ეს ჯერ არავის მოსწრებია. ოქტომბრის ბოლოს უკვე თოვლი იდო, სიცივემ დაიჭირა. კიდევ კარგი, მოასწრო და ქუმბელიდან კარტოფილი ჩამოუტანა ოჯახსა და ზარიფას. თითქოსდა გულმა უგრძნო, უკანასკნელად აქლემით გაემგზავრა, შეეშინდა სამგზავრო მატარებლით წამოეღო, ღია დამბურაში დაზრებოდა კარტოფილი, დამზრალი კი აბა რაღად ვარგოდა, ამიტომ ბურანელი ყარანარით წავიდა, ორი უზარმაზარი ტომარა გადაჰკიდა იქ ყარანარს, თვითონ ვერც მოერეოდა, ხალხი რომ არ მიშველებოდა, ერთი - ერთ მხარეს, მეორე მეორე მხარეს, ზემოდან კიდევ ქეჩა დაეფარა და ქვემოდანაც შემოუკეცა, ქარმა არ დააზროსო, თვითონ კი ამ ტომრებს შუა ჩაჯდა და არხეინად გასწია ბორანლიბურანისაკენ. გეგონებოდა სპილოზე იჯდა. ასეც გაივლო გუნებაში ედიღეიმ. აქამდე საჯდომ სპილოზე წარმოდგენა არ ჰქონ-

და არავის. იმ შემოდგომაზე სადგურში პირველად აჩვენეს ინ-დური ფილმი. დიდ-პატარიანად მთელი ქუმბელი მიაწყდა ამ უჩ-ვეულო კინოს უჩვეულო ქვეყნისა. გაუთავებელი ცეკვა-სიმღერე-ბისგარდა სპილოებიც უჩვენეს იმ სურათში. სპილოებით მიდიო-და ვეფხვებზე სანადიროდ ჯუნგლებში ხალხი. ედიღეიმაც ნახა ის სურათი. ასაქცევის უფროსი და ედიღეი პროფკავშირების გა-ერთიანებულ თათბირზე დელეგატებად იყვნენ გაგზავნილნი ბორანლი-ბურანიდან. თათბირის შემდეგ დეპოს კლუბში ეს ინ-დური ფილმი აჩვენეს მონაწილეთ. იქიდან დაიწყო ყველაფერი, კინოდან რომ გამოვიდნენ, ლაპარაკი გააბეს რკინიგზელებმა, უკვირდათ, ინდოეთში რომ ხალხი სპილოებით დადიოდა. ვიღაცამ კი ხმამაღლა გამოაცხადა:

- ნეტა რა გიკვირთ მაგ სპილოების, ედიღეის ბურანელი ყარანარი სპილოზე რა ნაკლებია? დაადე ტვირთი და სპილო-სავით წაიღებს!

- ეგეც მართალია, გაიცინეს ირგვლივ.

- სპილო რა არის! - მიატანა კიდევ სხვამ. - სპილო მარტო ცხელ ქვეყნებში ცხოვრობს. აბა ერთი საროზექში ჩამოიყვანე ზამთარში. ფეხებს გაფშიკავს ეგ შენი სპილო, ყარანართან ეგ სად მივა!

- მოიხედე, ედიღეი ბურანელო, რა იქნება ვითომ მაგ შენს ყარანარს ისეთივე კოშკი დაადგა, როგორც ინდოეთში სპილო-ებს ადგამენ? იქაური მდიდარივით ისეირნებ აქეთ-იქით!

ედიღეიმ ჩაიცინა. მართალია, მეგობრები ეხუმრებოდნენ, მაგრამ მაინც ძალზე ეამა გულში თავის სახელოვან ათანზე ასე-თი სიტყვები...

სამაგიეროდ შავ დღეში ჩააგდო იმ ზამთარს ედიღეი ამ ყა-რანარმა, ბევრი განცდა და დარდი შეხვდა მისი წყალობით...

მაგრამ ეს მერე იყო, როცა ყინვები დაიჭირა. ხოლო იმ დღეს ედიღეის გზაში მოუსწრო პირველმა თოვლმა. მანამდე რამდენჯერმე წამოვიდა თოვლი, მაგრამ მაშინვე დადნა. აქ კი წამოუშინა და მერე რანაირად! საროზექის მთელი ცა ბნელმა დაფარა, ქარი დატრიალდა. სქლად, მძიმე-მძიმედ, ბზრიალ-ბზრიალით ცვიოდა თოვლის ფანტელები. არ ციოდა, მაგრამ აჭყაპდა მიწა და უსიამო შეიქნა გარემო. თავიდათავი ის იყო, აღარაფერი ჩანდა თოვლში. რა უნდა ექნა? საროზექში სად გინდა შეაფარო თავი კაცმა! სხვა რა გზა იყო, ბურანელი ყარანარის ძალასა და ალღოს უნდა მინდობოდა. მას უნდა მიეყვანა შინ. ედიღეიმ თავის ანდეს მიანება ყარანარი, თვითონ კი საყელო აიწია, ქუდი ჩამოიფხატა. კაპიუშონიც ჩამოიფარა. მოთმინებააღჭურვილი ამაოდ ცდილობდა აქეთ-იქით რაღაც დაენახა, მაგრამ ყველაფერს თოვლის თვალგაუტანი ფარდა ფარავდა... ყარანარი კი ისევ ისე მიჩინდრიკებდა ამ ორომტრიალში, ნაბიჯიც არ შეუნელებია. ალბათ გრძნობდა, რომ მისი პატრონი პატრონობას ვეღარ გასწევდა ახლა, იმიტომაც გალურსულა საპალნეებზე და კრინტს არა სძრავს. მართლა დიდი ღონე ჰქონდა ყარანარს, ამ ტვირთით რომ თოვლში მირბოდა საროზექის ტრამალზე. ძლიერად სუნთქავდა, ცხელი ბუღი ამოდიოდა პირიდან, ნადირივით ბღაოდა და ბრდღვინავდა, ხან მგზავრულ ზუზუნს გააბამდა, და მიარღვევდა დაუცხრომლად და შეუჩერებლივ მისკენ ფრენით წამოსულ თოვლს...

რა გასაკვირია, მეტისმეტი გრძელი ეჩვენა ის გზა ედიღეის. „ნეტა ჩქარა მივაღწევდეთ“, ფიქრობდა და თვალწინ ედგა, როგორ შევიდოდა სახლში, სადაც ალბათ უკვე შფოთავენ, ამ ავდარში რამე უბედურება არ შეემთხვასო. უქუბალა შეშინებული იქნება, მაგრამ ხმამაღლა არ იტყვის, ისეთი ქალი არაა რაც ფიქრში აქვს, ენას ათქმევინოს. იქნება ზარიფაც ფიქრობს, რა

მოუვიდა ედიღეის? მაგრამ ის მით უმეტეს არ დაძრავს კრინტს. ახლა თავს არიდებს და მასთან მარტო ლაპარაკს გაურბის. მაინც რად გაურბის, რა მოხდა მაშინ ასეთი? ედიღეის ხომ არც სიტყვით, არც საქციელით არ მიუცია არავითარი საბაბი, აქ რაღაც სხვა იმალებაო, ეფიქრა. ყველაფერი ისევ ისე იყო. უბრალოდ, როცა ბედმა ერთმანეთს დაამგზავრათ ცხოვრებაში, თითქოს მიმოიხედეს, სწორ გზას ვადგივართ თუ არაო... და ისევ გზა განაგრძეს. მორჩა და გათავდა, ხოლო ედიღეი რა დღეშია ამ დროს, ეს მისი საქმეა, მისი უბედურება... ალბათ ასე ეწერა ბედის წიგნში, რომ ორ ცეცხლშუა მოხვედრილიყო. ამიტომ ნურავის შეაწუხებს მისი ამბავი, თავად იცის, რა უყოს თავს, თავის გატანჯულ სულს. ვისი რა საქმეა, უჭირს თუ ულხინს, ან მომავალი რას უქადის! პატარა ბავშვი ხომ არაა, როგორმე თვითონ გაარკვევს, თვითონ გახსხის იმ კვანძს, მისივე წყალობით რომ უფრო და უფრო მაგრად ისკვნება...

მწარე, გამოუვალი, საშინელი ფიქრები იყო, აგერ ზამთარიც დადგა საროზექში. ედიღეის კი კვლავინდებურად არც ზარიფას დავიწყება ძალუძს და არც უქუბალაზე ხელის აღება, ფიქრშიაც კი. მისდა საუბედუროდ, ორივე ერთად საჭიროა მისთვის. ალბათ ისინიც ამჩნევენ, იმათაც იციან ეს და იმიტომაც არ ცდილობენ ამბავთა მსვლელობა დააჩქარონ, დაეხმარონ ედიღეის ჩქარა დაადგეს რაღაც გზას. გარეგნულად ისევ ისეა ყველაფერი - ქალებს შორის სიმშვიდე სუფევს, ოთხივე ბავშვი ერთი ოჯახის შვილებივით იზრდებიან, სულ ერთად თამაშობენ - ოჯახში, ხან - მეორეში... ასე გამოხდა ზაფხული და ასე გაიარა შემოდგომამ...

ობლად, მიუსაფრად გრძნობდა თავს ბურანელი ედიღეი ამ თოვაში მარტოდმარტო. ქარი ერეკებოდა თოვლს, არა სულიერის ჭაჭანება არ იყო ირგვლივ, ყარანარი წარამარა თავიდან

იბერტყავდა გუნდ-გუნდა თოვლს და ბდღვინვითა და ყვირილით აღვიძებდა გამეფებულ მდუმარებას. ძალიან ცუდ გუნებაზე იყო მისი პატრონი ამ მგზავრობისას ვერა გაეწყო რა თავის თავთან, ვერ ეპოვა სიმშვიდე, უცილობლად ან ერთი გზა უნდა აერჩია ან მეორე, ვერც ის გადაეწყვიტა, გულახდილად გამოტყდომოდა ზარიფას, ვერც ის, უქუბალაზე აეღო ხელი. ისევ თავის თავს აგინებდა, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა: „შე პირუტყვო შენა! შენც ჰაივანი ხარ და შენი აქლემიც! ვიგინდარავ! ძაღლო! ტუტუცო!“ - და კიდევ ათას რასმე იძახდა, დედას იგინებოდა, საკუთარ თავს ამათრახებდა, აშინებდა, შეურაცხყოფდა, რომ გონს მოგებულიყო, წერტილი დაესვა ყველაფრისათვის... მაგრამ არა შველოდა რა.. მეწყერსა ჰგავდა, ადგილიდან დაძრულს... ერთადერთ ნუგეშად ბიჭები ჰყავდა, როგორიც იყო, ისეთ ძია ედიღეიზედაც ყაბულს იყვნენ ისინი, განსაკუთრებულ პრობლემებს არ უყენებდნენ. რითი დახმარებოდა, რა მოეტანა, შინ რა ეკირკიმელა მათთვის - ედიღეისთვის ეს დიდი სიამოვნება იყო მუდამ, ახლაც საზამთროდ კარტოფილი მიჰქონდა მათთვის ორი ტომარა. შეშაც მოუმარაგა...

ბავშვებზე ფიქრი ერთადერთი თავშესაფარი იყო მისთვის, აქ თავის თავს არ ღალატობდა. თვალწინ ედგა, როგორ ჩავიდოდა ბორანლი-ბურანში, როგორ გამოცვივდებოდნენ ბიჭები შინიდან, გაიგებდნენ თუ არა მის ჩამოსვლას, ამ თოვაში უკან ვერც შერეკავდი. მოჰყვებოდნენ ხტუნვა-ხტუნვას: „ძია ედიღეი ჩამოვიდა ყარანარით, კარტოფილი ჩამოიტანა!“ - როგორ მკაცრად უბრძანებს აქლემს, დაწექიო, თოვლით დაფარული როგორ ჩამოძვრება თვითონ ყარანარიდან. თოვლს ჩამოიბერტყავს, მოასწრებს და ბიჭებსაც თავზე ხელს გადაუსვამს, მერე კარტოფილის ტომრებს გადმოიღებს, თან თვალს გააპარებს, ზარიფა ხომ არ გამოჩნდაო, შინ თუაო. ედიღეი ისეთს არაფერს

ეტყვის, არც ზარიფა იტყვის რამეს, მაგრამ შეხედავს ზარიფას და ამითაც კმაყოფილი იქნება - ხოლო თუ ისევ კვნესა დაუწყო გულმა, თუ ნაღველმა დარია კვლავაც ხელი, რას იზამ, ამას ვერ გაექცევი. ბიჭები კი იქვე იქნებიან, იქვე იტრიალებენ, ხან მისკენ გამოიქცევიან, ძია ედიღეის მოვეხმაროთო, მიუხედავად შიშისა, აქლემმა არ გვიბდღვინოსო. ეს კი ყველა წამებასა და ტანჯვას აუნაზღაურებს ედიღეის...

გულში უკვე ემზადებოდა აბუტალიფის ბიჭებთან შესახვედრად, წინასწარ ფიქრობდა: ახალი რა ეამბნა ამ თავის გაუმაძღარი მსმენელებისათვის, როგორც თვითონ ეძახდა. ისევ არალის ზღვაზე? ყველაზე მეტად ხომ ბიჭებს ზღვის ამბები უყვართ, ზღვაზე მომხდარი შემთხვევები, რომელსაც მერე თავისებურად ალამაზებენ, თავისებურად ავსებენ, უთუოდ მამას ხდიან მათ მონაწილედ და თავისდა შეუგრძნობლად, კავშირს არ სწყვეტენ მამასთან, მის ხსოვნას ინარჩუნებენ... ოღონდაც შემოელია ამბები რაც კი იცოდა თუ გაეგონა ზღვის თაობაზე, ყველაფერი მრავალჯერ ჰქონდა მოყოლილი და გამეორებული, გარდა ოქროს მექრეს ამბისა. ეს კი როგორ მოუყვეს? როგორ აუხსნას, როცა მხოლოდ მან იცის, ამ ძველი ამბის უკან რა იდგა.

ასე მოჰყვებოდა თოვლში, მთელი გზა ფიქრებსა და ეჭვებში გაატარა... მთელი გზა არ შეწყვეტილა თოვა.

იმ დღიდან დაიწყო ზამთარი საროზექში, სუსხიანი და ნაადრევი ზამთარი. პირველი დღეებიდანვე მოუჭირა ყინვამ და ბურანელმა ყარანარმაც ისევ აიწყვიტა თავი, ისევ გააფთრდა, ისევ იფეთქა მასში მამრულმა ძალამ. უკვე ვერავინ და ვერაფერი შეაკავებდა, ვერ ხელყოფდა მის თავისუფლებას. პატრონსაც კი უკან უნდა დაეხია, თუ უნდოდა თავი ხიფათში არ ჩაეგდო...

თოვლის წამოსვლიდან მესამე დღეს საროზექს ყინვიანმა ქარბუქმა გადაუქროლა. ამ ქარბუქის მერე მაშინვე ყინვის ჯანღი

ჩამოწვა ოხშივრის დარად ტრამალზე. ამ სიცივეში შორიდან გესმოდა ყოველი ნაბიჯი, ყოველი ჩქამი, ყოველი შრიალი, გესმოდა საოცრად მკაფიოდ და ნათლად. გადასარბენზე მატარებლების გრიალი მრავალი კილომეტრის იქიდან აღწევდა. როცა განთიადზე ედიღეის ძილში ჩაესმა ბურანელი ყარანარის გამაყრუებელი ღრიალი საჩეხეში, გაიგონა ღრჭიალ-ღრჭიალით როგორ ამტვრევდა სახლის უკან მესერს, მიხვდა, რა უბედურებაც ეწვია ხელახლა მის სახლს. სწრაფად ჩაიცვა, სიბნელეში გარეთ გავიდა, საჩეხეს მიადგა და ისე დაუღრიალა ყარანარს, ყინვამ მთელი ყრონტი აუწვა:

- შენ რას სჩადიხარ! ქვეყანა იქცევა ისევ? ისევ შენსას მოჰყევ? ისევ ჩემი სისხლი გინდა დალიო! ჰაი, შე ჰაივანო! გაჩუმდი! ხმა ჩაიწყვიტე-მეთქი, გესმის. რაღაც ძალიან ადრე დამიწყე წელს ეგ ამბები. ხალხი არ გააცინო!

მაგრამ ტყუილად ხარჯავდა ედიღეი სიტყვებს. ვნებით გაგიჟებული აქლემი ყურადღებასაც არ აქცევდა. ის თავისას ითხოვდა, ბღაოდა, ფრუტუნებდა, კბილებს საზარლად აკრაჭუნებდა, საჩეხეს ამტვრევდა.

- მაშ, სუნი იკარ? - ახლა ყვედრებაზე გადავიდა პატრონი. ოჰო, გასაგებია, ახლავე დაუყოვნებლივ გინდა გაიქცე, ჯოგს მიაშურო, სუნი იკარ, რომელიღაც ქაიმანჩა[18] ახუნტრუცდაო! ეჰეე! ან ნეტა ღმერთმა ასე რად დაგიწესათ აქლემების ჯილაგს, რომ წელიწადში მხოლოდ ერთხელ გაგონდებათ ის, რაც ყოველდღე შეგიძლიათ აურზაურისა და აყალმაყალის გარეშე აკეთოთ? მაშინ ვინ იტყოდა რამეს, ვისი რა საქმე იყო! არა, დაიქცა ქვეყანა და ესაა..

[18] ახალგაზრდა ჯამა აქლემი

მშვენივრად იცოდა ბურანელმა ედიღეიმ, რომ ვერაფერს გააწყობდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა. სხვა რა გზა დარჩენოდა, ტყუილუბრალო ყვირილს რა აზრი ჰქონდა, - გააღო ისევ საჩეხე. ვერ მოასწრო კაცის სიმაღლე მძიმე, ჯაჭვზე დაკეტილი ხერგული ჭიშკრის გაღება, ყარანარი ისე სწრაფად გამოვარდა, ლამის ედიღეი არ წააქცია. გააფთრებული ღრიალითა და ბრდღვინვა-ბრდღვინვით გაიჭრა ტრამალში. აყლანცულ ფეხებს განივრად მიიქნევდა, შავ, მკვრივ კუზებს აძიგძიგებდა, წამიც და მის მიერვე აყენებულ თოვლის კორიანტელში თვალს მიეფარა.

- ფუჰ შენი! - მიაფურთხა უკან პატრონმა და გაბრაზებულმა დაუმატა: – წადი, გაიქეც, ჩერჩეტო, არ დაგაგვიანდეს!

სამუშაოზე დილით უნდა წასულიყო ედიღეი. იმიტომაც შეურიგდა ყარანარის ამბოხს. ცოდნოდა, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, როგორ გაუშვებდა - ჭიპზედაც რომ გამსკდარიყო, არამე და არამც არ გაატანინებდა თავისას. მაგრამ მის გარდა ვინ გაუმკლავდებოდა შინ გაცოფებულ ათანს? ასემც უქნია, ჯანდაბაში წასულა. იმედი ჰქონდა, თავისუფლად გაინავარდებს და სისხლი დაუცხრება, დაწყნარდებაო...

შუადღისას კი ყაზანგაპი დაადგა თავზე, თანამგრძნობელი ღიმილით უთხრა:

- ვერაა კარგად, ბაი, შენი საქმე, ეს წუთია საძოვარზე ვიყავი, შენი ყარანარი, ჩემი აზრით, შორ გზას დაადგა. აქაური ქაიმანჩები, როგორც ჩანს, აღარ იკმარა.

- სადმე გაშპა თუ? შენ ნუ მემასხრები, მართლა მითხარი.

- რა არი აქ სამასხრო? აკი გეუბნები, სხვა ჯოგებს მიაშურამეთქი. რაღაც იყნოსა პირუტყვმა. სანახავად წავედი, როგორაამეთქი იქ საქმე. დიდ ხევს რომ გავცდი, ვხედავ, ვიღაც მორბის ტრამალში, მიწას აზანზარებს - ყარანარია თურმე. თვალები

გადმოუკარკლავს, ბღავის, რაც შეუძლია, ლორწკო ჩამოსდის პირიდან. ორთქლმავალივით მოქშუის. უკან კორიანტელი რჩება ბუქივით. ვიფიქრე, აქ არ გადამთელოს-მეთქი. ისე ჩამიქროლა გვერდით, თითქოს ვერც შემამჩნია. მალაყუმდიჩაფის მხარეს გაიქცა. იქ, ხრამის ძირას ჩვენზე დიდი ჯოგებია გაშვებული, აქ ახლა აღარ აინტერესებს. ახლა ფრთები აქვს გაშლილი, მოიწიფა ყმაწვილი.

ედიღეი მართლა შეწუხდა. იცოდა, რამდენი უსიამოვნება და დავიდარაბა შეხვდებოდა.

- კაი კაი, დაწყნარდი. იქაც აღმოჩნდება მამალი ათანები, შავ დღეს დააყრიან, კუდამოძუებული დაბრუნდება ნაცემი ძაღლივით. სად წავა, - დაამშვიდა ყაზანგაპმა.

მეორე დღიდან კი უკვე მოდიოდა და მოდიოდა, როგორც ფრონტიდან, ბურანელი ყარანარის საგმირო საქმეებზე ცინცხალ-ცინცხალი ამბები. სურათი საკმაოდ უნუგეშო გახლდათ. ბორანლი-ბურანზე მატარებელი არ გაჩერებულა, მემანქანეს, მეცეცხლურსა თუ გამყოლს მაშინვე არ ჩაეკაკლათ ედიღეისთვის, როგორ აწიოკებდა სხვა სადგურებსა და ასაქცევებზე მყოფ აქლემთა ჯოგებს ყარანარი. თურმე მალაყუმდიჩაფის ასაქცევზე ყარანარს ორი ათანი სიკვდილის პირამდე მიუყვანია წიხლების - ცემით და ტრამალში გაუტაცნია ოთხი დედალი. პატრონებს ძლივს წაურთმევიათ თავიანთი ჯამა აქლემები, ჰაერში უსვრიათ თოფები. მეორე ადგილას ყარანარს ჯამა აქლემიდან ჩამოუგდია პატრონი. იმ ყეყეჩმა თურმე ორი საათი უცადა, იფიქრა, გულს მოიჯერებს ათანი და ჩემს ჯამას უკან დამიბრუნებსო, თუმცა მის ჯამას სულაც არ უფიქრია ამ თავხედის მოშორება. ბოლოს, როცა პატრონი თავის ჯამას მიუახლოვდა იმ განზრახვით, შევჯდები და შინ დავბრუნდებიო, ყარანარი მხეცივით ებღღვნა და იფრინა - ალბათ კიდევაც გაქელავდა, პატრონს რომ

არ ემარჯვა, ღრმა ნაღვარევში არ ჩამხტარიყო და, ცოცხალ-მკვდარი, თაგვივით არ გატრუნულიყო იქა. როცა გონს მოვიდა და ხევ-ხევ იმ ადგილს შორს გასცილდა, სადაც ბურანელ ყარა-ნარს შეხვდა, გახარებული გაეჩქარა შინ, კიდევ კარგი, ცოცხა-ლი გადავრჩიო.

საროზექის ზეპირი ტელეფონით სხვა ამბებიც ბლომად მო-დიოდა ყარანარის მძვინვარე ლაშქრობის თაობაზე. მაგრამ ყველაზე შემაშფოთებელი და მრისხანე ცნობა წერილობით მო-ვიდა აქ-მოინაქის ასაქცევიდან. აბა, უყურე, სად გაუტევია ამ ქაჯს, სადგურ ქუმბელს იქით! იქიდან გამოეგზავნა თავისი უსტა-რი ვინმე კოსპანს. აი, რა ეწერა ამ ღირსშესანიშნავ ბარათში:

„სალემ, პატივცემულო ედიღეი-აღა! მართალია, საროზექ-ში ცნობილი კაცი ხარ, მაგრამ უსიამო ამბები მაინც უნდა გამ-ცნო. მე მეგონა, კაი მაგარი ვაჟკაცი იყავი, მეტი ძალა გქონდა. ასე როგორ გააქსუე ეს ავაზაკი ყარანარი? შენგან ამას არ მო-ველოდით. აქ დიდი შიში გვაჭამა ყველას. დაგვისახიჩრა ათანე-ბი, სამი ყველაზე კარგი ჯამა მოგვტაცა და წაიყვანა. თან მარტო კი არ მობრძანდა, შეკაზმული ჯამაც მოიყოლია, ეტყობა, მისი პატრონი გზაში ჩამოაგდო, თორემ უნაგირით რად გვესტუმრე-ბოდა ეს უცხო ჯამა აქლემი. ჰოდა, წაასხა ის ოთხი ჯამა ტრა-მალში და ახლოს არავის გვიშვებს. არც ადამიანებს და არც პი-რუტყვს. რას ჰგავს ეს ამბავი? ერთმა ჩვენმა ახალგაზრდა ათან-მა უკვე შენი ჭირი წაიღო, ნეკნები აღმოაჩნდა ჩამტვრეული. ვი-ფიქრე, სროლით მაინც დავაშინებ ყარანარს, მოვაშორებ-მეთქი იმ ჩვენს ჯამა აქლემებს, გაგიგონია! არაფრისაც არ ეშინია. მზა-დაა ყველა ცოცხლად დაგლიჯოს და შეჭამოს, ოღონდაც საქმე-ში ხელი არ შეეშალოს. არც ჭამს, არც სვამს, დღედაღამ მძვინ-ვარებს, მიწა ზანზარებს მაგის წყალობით. გული აგერევა, ისე გამხეცებით იქცევა. თან ისე ბღავის, გეგონება, ქვეყანა იქცევაო,

მთელი ტრამალი გადააყრუა. დაგვტანჯა ხალხი! მე მგონი, ასე წელი შეუსვენებლივ გააგრძელებს ამ საქმეს. ეგეთი ღვთის პირისაგან შეჩვენებული არავინ მინახავს. ჩვენს დაბაში ყველა შეშინებულია, ქალები, და ბავშვები შორს ვეღარ წასულან. ამიტომ გთხოვ, დაუყოვნებლივ ჩამოხვიდე და ეგ შენი ყარანარი წაიყვანო. გაფრთხილებ, ერთი დღის შემდეგ არ ჩამოსულხარ და ეგ ღვთის რისხვა არ მოგიშორებია ჩვენთვის, ნუღა გაგვინაწყენდები, ედიღეი-აღა. მე ისეთი თოფი მაქვს, დიდ დათვსაც კი გააგორებს. მოწმეებს დავისწრებ, მაგ წყეულს თავს გავუხვრეტ და საქმეს მოვრჩები. ტყავს კი სატვირთო მატარებლით გამოგიგზავნი, იმას არ მივხედავ, ბურანელი ყარანარი რომ ბრძანდება. იცოდე, ჩემი სიტყვა სიტყვაა. ჩამოდი, ვინემ გვიან არაა.

შენი აქ-მოინაქელი ინი[19] კოსპანი“.

აი, რა ამბები დაატრიალა ყარანარმა, რა ვუყოთ, რომ წერილს ვიღაც უხიაკი იწერებოდა, მუქარა სახუმარო არ იყო. ითათბირეს ედიღეიმ და ყაზანგაპმა და გადაწყვიტეს, რომ ედიღეი დაუყოვნებლივ გაემგზავრებოდა აქ-მოინაქის ასაქცევზე.

მაგრამ თქმა ადვილია, შენ საქმე თქვი. ჯერ აქ-მოინაქამდე ჩააღწიე, მერე ყარანარი დაიჭირე ტრამალში და შემდეგ ამ ყინვებში უკან დაბრუნდი. იქნებ ქარბუქიც ატყდეს გზაში. რა თქმა უნდა, ყველაფერს სჯობდა თბილად ჩაეცვა ედიღეის, სატვირთოთი გამგზავრებულიყო აქ-მოინაქში, იქიდან კი აქლემით წამოსულიყო. მაგრამ, ვინ იცის, რა სიშორეზე ჰყავს გატაცებული თავისი ჰარემი ყარანარს, თანაც, წერილზე ეტყობა, აქ-მოინაქელები ისე არიან გაცეცხლებულნი, შეიძლება აქლემიც არ ათ-

[19] უმცროსი ძმა, ნათესავი თუ თვისტომი

ხოვონ და უცხო მხარეში ფეხით მოუწიოს ყარანარის დევნა იმ თოვლის ნამქერებში ედიღეის.

დილას გაუდგა გზას ედიღეი. უქუბალამ საგზალი მოუმზადა. ედიღეიმ თბილად ჩაიცვა, დაბამბულ შარვალსა და ქურთუკზე ტყაპუჭი მოისხა, ფეხზე თექის ჩექმები ჩაიცვა, თავზე მელიის სამყურა ქუდი დაიხურა, აღარა მხრიდან არ დაუბერავდა ქარი - მთელი თავ-კისერი ბეწვით ჰქონდა დაფარული - ხელებზე თბილი ხელჯაგები წამოიცვა. აქლემს რომ უნაგირს ადგამდა, აბუტალიფის ბიჭებმაც მოირბინეს. დაულმა ხელით ნაქსოვი შარფი გაუწოდა:

- ძია ედიღეი, დედამ თქვა, კისერი არ გაუცივდესო.

- კისერი კი არა, ყელი-თქო, დაულ.

გახარებულმა ედიღეიმ ბიჭები ჩაიხუტა, დაკოცნა; ისე აუჩუყდა გული, ხმა ვეღარ დაძრა. ბიჭივით ცას ეწია სიხარულით - ზარიფამ პირველად გამოიჩინა ასეთი ყურადღება.

- დედას უთხარით, - დააბარა ბიჭებს წასვლის წინ. - მალე მოვბრუნდები. ღმერთმა ქნას, იქნებ ხვალეც დავბრუნდე. ერთ წუთს ზედმეტს არ გავჩერდები, მაშინ ყველა თავს შევიყრით და ჩაის ერთად დავლევთ.

ჰოი, როგორ უნდოდა ბურანელ ედიღეის ჩქარა მიეღწია იმ უკულმართ აქ-მოინაქამდე და ჩქარა მობრუნებულიყო შინ, ზარიფა ენახა, თვალებში ჩაეხედა მისთვის და დარწმუნებულიყო, ეს შარფი, რომელიც მან ფრთხილად დაკეცა და პიჯაკის უბის ჯიბეში ჩაიდო, შემთხვევით არ მოექსოვა ზარიფას. როცა გზას გაუდგა და მერეც, როცა სახლს კარგა შორს გასცილდა, ძლივს შეიკავა თავი უკანვე არ გამობრუნებულიყო. ჯანდაბამდიც წასულა ის გაცოფებული ყარანარი, დაე მოჰკლას იმ ვიღაც კოსპანმა და ტყავი გამოუგზავნოს მისი, ბოლოს და ბოლოს რამდენი შეიძლება ელოლიავოს ამ გაველურებულ აქლემს.

დაე, დასაჯოს განგებამ! კი, კი, დასაჯოს! ახია მაგაზე! აი რას ფიქრობდა ცხელ გულზე! მაგრამ შერცხვა, მიხვდა, რომ წმინდაწყლის ტუტუცად გამოჩნდება, თავი მოეჭრება ხალხის, უქუბალასა და თვით ზარიფას თვალშიც. მიხვდა და დაცხრა, დაწყნარდა. თავი დაირწმუნა, ერთადერთი გზა მოუთმენლობის მოსათოკავად ადგილზე სწრაფად მისვლა და სწრაფადვე უკან დაბრუნებაა. ამ ფიქრით მიერეკებოდა კიდეც ჯამა აქლემს. საკმაოდ ყინავდა. ქარი თანაბრად, მაგრამ კარგა ძლიერად ბერავდა. ჭირხლით უფარავდა თავ-პირს, მეტადრე მელის ბეწვს. ასეთივე თეთრი ჭირხლით იფიფქებოდა ჯამა აქლემის ნასუნთქი, შლეიფივით დაფენოდა კისრიდან ჯიდაომდე. ზამთარი ძალაში შედიოდა. ჯანღმა დაფარა შორეთი. ახლოს თითქოს არაა ჯანღი, გაიხედავ - და დასალიერი ნისლს დაუფარავს. მიდიოდა ედიღეი და ნისლიც ადგილს იცვლიდა, იმდენზე იხევდა უკან, რამდენზედაც მგზავრი უახლოვდებოდა. უდაბური და გოროზი იყო ზამთარში საროზექი, თეთრად გარინდულიყო ამ თოვლსა და ქარში.

ახალგაზრდა ჯამა საკმაოდ ჩქარა მიჩიქჩიქებდა, მხნედ მიარღვევდა ტრამალს. მაგრამ ედიღეი მაინც არ იყო კმაყოფილი. აბა ერთი ყარანარით ემგზავრა, მაშინ სულ სხვა იქნებოდა! იმას სუნთქვაც უფრო ძალუმი ჰქონდა და ნაბიჯიც გაცილებით ფართე. ტყუილად კი არ უთქვამთ ძველად:

ის ცხენი ამ ცხენს ნეტა რითი სჯობს?
ნაბიჯითა სჯობს,
ბათირი ბათირს ნეტა რითი სჯობს?
ჭკუით, გონით სჯობს...

გზა შორი იყო და ამ შორ გზაზე ეულად, მარტოს უნდა ევლო. ზარიფას ნაჩუქარი შარფი რომ არა, მართლაც ძალიან და-

იღლებოდა ედიღეი. ხომ თითქოს უბრალო რაღაც იყო, მაგრამ მთელი გზა გრძნობდა უბეში იმ შარფს ედიღეი. ამდენი ეცხოვრა და კი არ ეგონა, საყვარელი ქალისაგან ნაჩუქარ მისთანა წვრილმანს ასე თუ შეეძლო გაეთბო გული. მთელი გზა ამან გააძლებინა. ჩააცურებდა ხელს უბეში, შარფს მოეფერებოდა და ნეტარებით იღიმებოდა. მაგრამ მერე ფიქრმა შეიპყრო. რა ქნას, შემდეგ როგორ მოიქცეს? მართლა ჩიხშია მოქცეული. რა იღონოს? ცოცხალ ადამიანს წინ მიზანი უნდა ჰქონდეს და ამ მიზნის მისაღწევი გზაც იცოდეს. მაგრამ რომ არც ერთი აქვს და არც მეორე, ამის გაფიქრებაზე მწუხარებით ენისლებოდა მზერა ბურანელ ედიღეის, მდუმარე საროზექის სუსხიანი ჯანღით მოსილი შორეთის მსგავსად. პასუხს ვერ პოულობდა გულს ასკდებოდა იმედს ჰკარგავდა და კვლავაც ისევ უიმედო ოცნებებს ეძლეოდა.

ხანდახან კი მართლა ზარავდა ეს მდუმარება და მარტოობა, რად არგუნა ბედმა ასეთი ხვედრი: რად მოიყვანა საროზექში? ან ეს უბედური, ბედისგან დევნილი ოჯახი რად გადმოაგდო ბორანლი-ბურანში? არ მომხდარიყო ეს ყველაფერი - არხეინად იცხოვრებდა ედიღეი. არ გაიტანჯებოდა და გაწამდებოდა. მაგრამ არა, შეუძლებელი მოინდომა, გაურჩდა სული მისი, არაფრის შესმენა არ უნდა... ამას კიდევ ეს ყარანარიც დაემატა, ეს ღვთის რისხვა, ეს ჭირი და უბედურება. არა, ბედი არ წყალობს ცხოვრებაში, მართლა, მართლა არ წყალობს ბედი...

თითქმის ბინდისას ჩააღწია ედიღეიმ აქ-მოინაქში. მოქანცა ამ შორმა, თანაც ზამთრის გზამ ჯამა აქლემი.

აქ-მოინაქი ისეთივე ასაქცევი იყო, როგორც ბორანლი-ბურანი. ოღონდაც წყალი თავისი ჰქონდათ აქაურებს, ჭისა. თორემ სხვა მხრივ იგივე საროზექი იყო.

აქ-მოინაქს რომ მიუახლოვდა, ქუჩის პირას შეხვედრილ ბიჭს ჰკითხა ედიღეიმ, კოსპანი სად იქნებაო. თურმე სამუშაოზე ყოფილა კოსპანი, ასაქცევზე მორიგეობდა. ედიღეიმაც იქით მიმართა თავისი გზა. სამორიგეოსთან ის იყო აქლემიდან უნდა ჩამოსულიყო, როცა პარმაღზე შუა ტანის, ცქვიტი, ეშმაკურად მოღიმარი კაცი გამოვიდა, თითქოს სხვისი ტყაპუჭი ეცვა, გაცვეთილი თექის ჩექმები, ძველი სამკუთხა ქუდი კინკრიხოზე მოეგდო.

- ოჰო, ედიღეი-აღა მობრძანებულა! ჩვენი ძვირფასი ბორანლელი-აღა - ხელად იცნო მან ედიღეი და პარმაღიდან ჩამოგორდა. - ჩვენ კი გელით და გელით. თავს ვიმტვრევთ ფიქრით, ჩამოვა თუ არ ჩამოვაო.

- ისეთი მუქარის წერილი გამოაგზავნეთ, - ჩაეცინა ედიღეის, - აბა ერთი ნუ ჩამოსულიყავ.

- მეტი რა ჩარა იყო!.. წერილს რა უშავს, ედიღეი-აღა, წერილი ქაღალდია. აქ ისეთი დღე გვადგას, თუ ჩქარა არ მოგვაშორე ეგ შენი ყარანარი, ხალხი ალყაში ვართ რაღა მოქცეული. ტრამალს ვერ გავკარებივართ. შორიდან თუ ვისმეს მოჰკრა თვალი - ცოფიანივით მორბის, მზადაა სახიჩრად გაქციოს! ეს რა ჭირი და ნაცილია! ასეთი ათანი ღმერთმა მტერსაც ნუ შეახვედროს. - კაცი გაჩუმდა, აქლემზე შემჯდარი ედიღეი შეათვალიერა და დასძინა: - ეს კი არ ვიცი, რითი მოარჯულებ, ნეტა შიშველი ხელით ხომ არა!

- შიშველით რატომ? აი, ჩემი იარაღი, ედიღეიმ ხურჯინიდან ტარზე დახვეული მათრახი ამოიღო.

- მაგ შოლტით?

- აბა ზარბაზნით ხომ არ გინდა აქლემს ვეომო?

- ჩვენ თოფებითაც ვერ გაგვიბედავს მიახლოება. რა ვიცი, იქნებ კი გიცნოს პატრონი... თუმცა არა მგონია, ჩინი აქვს დაკარგული...

- ვნახოთ აბა, მიუგო ედიღეიმ, დრო რად დავკარგოთ. ალბათ შენა ხარ სწორედ კოსპანი. თუ ასეა, გამიძეხ, მაჩვენე, სადაა, და მერე მე ვიცი.

- ეგ არც ისე ახლოა, - თქვა კოსპანმა და ირგვლივ მიმოიხედა, მერე საათს დააცქერდა. - იცი, რას გეტყვი, ედიღეი-აღა, ახლა უკვე გვიანია. სანამ იქ მივალთ, დაგვაღამდება. ამ ღამეში კი სად წახვალ მერე? არა, ასე არ გამოვა. შენისთანა კაცი, ედიღეი-აღა, ყოველთვის როდი ესტუმრება ადამიანს. უნდა ჩვენსა წამოხვიდე. დილას კი, რაც გინდა, ის ჰქენი, ნება შენია.

საქმის ასე შეტრიალებას ედიღეი არ მოელოდა. მისი ანგარიშით, თუ დღესვე მოახერხებდა ყარანარის დაჭერას, ამ ღამესვე ჩავიდოდა ქუმბელში, იქ, სადგურზე ნაცნობებთან გაათევდა ღამეს და დილაუთენია შინისკენ გასწევდა. კოსპანმა რომ შეატყო, ედიღეი დღესვე აპირებს უკან გაბრუნებასო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

- ეგ არც იფიქრო ედიღეი-აღა, წერილზე სხვა გამოსავალი არ გვქონდა. სიცოცხლე გაგვიმწარა მაგ შენმა აქლემმა. ახლა კი არამც და არამც არ გაგიშვებ. ღმერთმა ნუ ქნას რამე დაგემართოს ამ ზამთრის ღამეს უდაბურ ტრამალში, ხომ პირშავად დავრჩი მთელი საროზექის წინაშე. არა, უნდა დარჩე, დილას კი შენი ნებაა. აგერ ჩემი სახლი, განაპირას დგას, კიდე საათნახევარი მიკლია მორიგეობის გათავებამდე. ჩემი სახლი შენად იგულე, მოეწყვე, როგორც გინდა. ჯამა აქლემი საჩეხეში შეიყვანე. საჭმელიც იქაა. წყალი ჩვენი გვაქვს, სულო და გულო, რამდენიც გინდა.

მალე დაბნელდა ზამთრის დღე. კოსპანი და მისი ოჯახი საოცარი ხალხი გამოდგა. კოსპანის მოხუცმა დედამ, ცოლმა, ხუთი წლის ბიჭმა (უფროსი გოგონა თურმე ქუმბელის ინტერნატ-ში სწავლობდა) და თვითონ კოსპანმა აღარ იცოდნენ, რითი ესიამოენებინათ სტუმრისათვის. სახლი გაღუზღუზებული იყო, იდგა ერთი ფაციფუცი, სამზარეულოში საზამთროდ დაკლული საქონლის ხორცი იხარშებოდა. მანამდე კი ჩაი შესვეს. კოსპანის მოხუცი დედა ფიალაში თავისი ხელით უსხამდა ჩაის ედიღეის და ეკითხებოდა ოჯახის, შვილების, ცხოვრების, ამინდის ამბებს, საიდან იყო წარმოშობით, რომელი გვარისა და ტომისა. თავის მხრივაც მოჰყვა, როდის და რატომ ჩამოვიდნენ აქ-მოინაქის ასაქცევზე. ედიღეი ხალისით პასუხობდა, უქებდა ერბოს, რო-მელშიც ცხელ-ცხელ ლავაშის ნაჭრებს აწობდა და ისე გიახლე-ბოდათ, ძროხის ერბო საროზექში იშვიათი ხილი არისო, იძახ-და, ცხვრის, თხის, აქლემის ერბოც კარგია, მაგრამ ძროხისა ყველას სჯობიაო. ეს ერბო თურმე ნათესავებს გამოუგზავნიათ კოსპანის ოჯახისათვის ურალიდან. ედიღეი მადიანად მიირ-თმევდა ერბოში ჩაწობილ ლავაშს, ირწმუნებოდა, ასე მგონია, მინდვრის ბალახის სუნი მომდისო, და ისე მოინადირა მოხუცი ქალის გული ამ სიტყვებით, რომ ისიც მოჰყვა თავისი მშობლიუ-რი მხარის - იაიცკიხის[20] მიწების, იქაური ბალახის, ტყეებისა და მდინარეების ამბავს...

ამასობაში ასაქცევის უფროსი ერლეფესიც მოვიდა. იგი კოსპანს დაეპატიჟა ედიღეის საპატივსაცემოდ. ერლეფესის მოს-ვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ლაპარაკი სამსახურის, ტრან-სპორტის, თოვლის ნამქერების თაობაზე ჩამოვარდა. ედიღეი ადრევეც იცნობდა ერლეფესს - დიდი ხანია აქ მუშაობდა რკი-

[20] ასე ეძახდნენ ყაზახები წინათ მდინარე ურალს

ნიგზაზე - ახლა კი უფრო ახლოს გაეცნო. ერლეფესი ედიღეიზე უფროსი იყო. აქ-მოინაქის ასაქცევის უფროსად ომის დამთავრების შემდეგ დაენიშნათ და, ეტყობა, ხალხის პატივისცემაც მოეხვეჭა.

გარეთ უკვე ღამე იდგა. ბორანლი-ბურანივით აქაც წამდაუწუმ მიგრიალებდნენ მატარებლები, ზრიალებდა ფანჯრები, დარაბებში სტვენდა ქარი. და თუმცა აქაც საროზექის რკინიგზა გადიოდა, მაინც ადგილიცა და ხალხიც სხვა იყო. აქ ედიღეი სტუმარი გახლდათ, იმ შეთი ყარანარის გამო ჩამოსული, მაგრამ მაინც სტუმარი, რომელსაც პატივით შეხვდნენ.

ერლეფესის მოსვლის შემდეგ ედიღეიმ კიდევ უკეთ იგრძნო თავი. იგი ჭკვიანი მოსაუბრე გამოდგა, კარგად იცოდა თურმე ძველი ყაზახური თქმულებები. მალე საუბარი ძველ დროზე გადავიდა, სახელოვან ადამიანებზე, საყოველთაოდ ცნობილ ამბებზე. იმ საღამოს ძალიან მოეწონა ედიღეის თავისი აქ-მოინაქელი ახალი მეგობრები, მოეწონა არა მარტო მათი საუბარი, არამედ სტუმართმოყვარეობა და კარგი სასმელ-საჭმელი. შეციებულმა და მგზავრობით დაღლილმა ედიღეიმ ნახევარი ჭიქა არაყი შესვა, პატარა, დაბალ მაგიდაზე დაწყობილი კერძებიდან მზეზე გამხმარი ორკუჩი - კოზაკის კუზის ქონი მიატანა, მთელ სხეულში საამო სითბომ დაუარა, სული და გული მოულბო, დაუწყნარა. ოდნავ ზარხოში მოეკიდა ბურანელ ედიღეის, გამოცოცხლდა, ღიმი მოეფინა სახეზე. ერლეფესმაც შესვა სტუმრის პატივსაცემად და ისიც გახალისდა. იმიტომაც სთხოვა კოსპანს:

- ღვთის გულისათვის, წადი და ჩემი დომბრა მომიტანე, კოსპან.

- მაგას რა აჯობებს, - მოუწონა ედიღეიმ. პატარაობიდანვე მშურდა იმათი, ვინც დომბრაზე უკრავდა.

- დიდი დამკვრელი არა ვარ, ედიღეი, მაგრამ შენი ხათრით ზოგ რასმე გავიხსენებ. - ერლეფესმა პიჯაკი გაიხადა და ხალათის სახელოები დაიკაპიწა.

ცქვიტი, სიტყვაუხვი კოსპანისაგან განსხვავებით ერლეფესი თავშეკავებული ჩანდა, ზორბა ტანი და ვეება სახე რწმენას გინერგავდა მისას. რა წამს დომბრა ხელში აიღო, დადინჯდა, თითქოს ყოველდღიურობას რაღაც მანძილით გაცილდა. ასეა ხოლმე, როცა კაცი თავისი გულის ხვაშიადის გასამჟღავნებლად გაემზადება. დომბრის აწყობისას ერლეფესმა ბრძნული მზერა მიაპყრო ედიღეის, ერთხანს უყურა ასე. მის შავ, წამოზიდულ დიდრონ თვალებში სინათლის ათინათი ზღვასავით ირეკლებოდა, ხოლო როცა სიმებს ჩამოჰკრა, როცა მისმა გრძელმა თითებმა აღმა-დაღმა დაურბინა დომბრას, ბგერების მთელი კონა დააფრქვია და იმავე დროს ბგერების ახალ კონათა ნასკვი გაკვანძა, რომელთაც შემდეგ, თემის განვითარებისას, უხვად მოსწყვეტდა სიმებს, მიხვდა ბურანელი ედიღეი, რომ არც ისე იოლად დაუჯდებოდა ამ მუსიკის სმენა. რადგან მხოლოდ წამით გაერთო, წამით გადაიყარა თურმე ჯავრი სტუმრად ყოფნისას. დომბრის სიმების პირველმავე ჟღერამ კვლავ დაუბრუნა თავის თავს, კვლავ მწუხარებისა და ვაების მორევში ჩასძირა. რამ აღუძრა ეს გრძნობა? მაშ უკვე ადრევე უწყოდნენ ამ მუსიკის შემქმნელებმა, რა იქნებოდა ბურანელი ედიღეის თავს, რა სიძნელეების, რა ტანჯვის გადატანა ეწერა ბედის წიგნში? თორემ საიდან იცოდნენ, რას იგრძნობს იგი, როცა თავის ამბავს მოისმენს ერლეფესის დომბრის ჟღერაში? აღზევდა ედიღეის სული, ზე აფრინდა, აკვნესდა, და მყის განიხვნა სამყაროს ყველა ბჭენი, ბჭენი სიხარულის, მწუხარებისა და ფიქრის, გაურკვეველი სურვილებისა და ეჭვების...

მართლა დიდებულად უკრავდა ერლეფესი დომბრაზე, ძველ განცდებს ძველად საცხოვრები ხალხისას აცოცხლებდა სიმები და, ვით კოცონში აბრიალებული შეშა, აალებულ სულს გზას უხსნიდა. ედიღეი კი უბეში ჩამალულ შარფს ეფერებოდა, იმ ქალზე ფიქრობდა, ვინც მას უყვარდა, ვისზე ფიქრი მისთვის ნეტარებაც იყო და ტანჯვაც, ვის გარეშეც სიცოცხლე არ შეეძლო, ვინც მუდამ, დაუფიქრებლად, შეუნელებლად, უსაზღვროდ ეყვარებოდა, რადაც უნდა დაჯდომოდა. ამაზე ჟღერდა ერლეფესის ხელში დომბრა ხან ნელიად, ხან აგზნებით, ჰანგი ჰანგს ცვლიდა, და ედიღეის სულსაც ნავივით მიაცურებდა ბგერათა ტალღებზე. ფიქრით ისევ არალის ზღვაზე გაჩნდა, გაახსენდა ზღვის უხილავი დინებანი ნაპირების გასწვრივ, რომელთა მიმართულებას ქალის თმასავით გაშლილი გრძელი და ხშირი წყალმცენარენი გამცნობდა. ოდესღაც უქუბალასაც ასეთი თმა ჰქონდა, მუხლს ქვემოთ სცემდა, როცა უქუბალა ზღვაში ბანაობდა, მის გრძელ თმას წყალი განზე მიაცურებდა, როგორც წყალმცენარეებს ზღვის დინება. ბედნიერად კისკისებდა მაშინ უქუბალა, ლამაზი, შავგვრემანი უქუბალა.

სული გაუნათდა, გულში სინაზე ჩაეღვარა ედიღეის დომბრის სმენისას. თუნდაც ამიტომ ღირდა თოვლიან საროზექში მთელი დღე მგზავრობა. „კაი ქნა ყარანარმა, აქეთ რომ გამოუტია. - გაივლო გუნებაში, - თავადაც აქ ამოჰყო თავი და მეც მომიტყუა, მაიძულა ჩამოსვლა. ერთხელ მაინც დავიტკბობ სულს დომბრის ჟღერით. აფერუმ, ერლეფეს! რა ოსტატი ყოფილხარ თურმე! მე კი არა მცოდნია...“

უსმენდა ერლეფესს ედიღეი და თავისას ფიქრობდა, გარეშე თვალით ლამობდა შეეხედა თავისი ცხოვრებისათვის, ამაღლებულიყო მასზე, ვით ძერა აფრინდება ხოლმე ყრიყინ-ყრიყინით მაღლა-მაღლა ტრამალიდან, ფრთებგაშლილი ნა-

ვარდობს ჰაერის ნაკადებს მიწებებული და იქიდან დაჰყურებს ქვეყნიერებას. ვეებერთელა ზამთრის საროზექი გადაჭიმულია ძირს. იქ, სადაც შეუმჩნევლად უხვევს რკინიგზა, რამდენიმე პატარა სახლი მიყუჟული და სინათლე ციმციმებს - ეს ბორანლიბურანია. ერთ-ერთ სახლში უქუბალაა თავისი გოგოებით, ახლა ალბათ სძინავთ უკვე. თუმცა უქუბალას იქნებ არც სძინავს. ალბათ რაღაცას ფიქრობს. გულმა უგრძნო ალბათ რაღაცა. მეორე სახლში კი ზარიფაა თავისი ბიჭებით. ზარიფას დასტურ არ სძინავს. უმძიმს. ძალიან უმძიმს ზარიფას, რა ლაპარაკი უნდა. მომავალშიაც რამდენი გაჭრვება და ჯავრი ელის - ბიჭებმა ხომ მამის ამბავი ჯერ არ იციან, არადა სიმართლე როდემდე გინდა დაუმალო...

ალბათ ახლა, ამ ღამეში იქ მატარებლები მიგრიალებენ შუქის ბრდღვიალით, თოვლის კორიანტელს აყენებენ. რა ბნელი, რა გაუთავებელი ღამე დგას ირგვლივ. იმ ადგილიდან არც ისე შორს, სადაც ახლა ედიღეი სტუმრობს და დომბრას უსმენს, წყვდიადში ჩაფლულ ტრამალზე, თოვლსა და ქარში გახელებული ყარანარი ფხიზლობს. იმას ძილისა და მოსვენებისთვის არა სცალია. მაინც როგორაა ეს ბუნება მოწყობილი. მთელი წელი ძალას იკრებს ყარანარი, მთელი დღეები გადაბმით საჭმელს იგროვებს, გაუთავებლივ იცოხნება ძლიერი ყბებით, სტომაქიც ამის შესაბამისად აქვს მოწყობილი, რომ ჯერ დაუღეჭავი საჭმელი დააგროვოს და მერე ხელმეორედ ღეჭოს და ცოხნოს. ჰოდა, აქლემიც დღედაღამ ცონხნის სიარულის დროსაც და ძილშიაც, რათა ძალა მოაქუჩოს და დაიგროვოს კუზებში. აკი რაც უფრო მკვრივი და მაგარია კუზი, რაც უფრო მეტი ქონია შიგ, მით უფრო ძლიერია მამალი ზამთრის მძუნაობისას; მაშინ არც თოვლის ეშინია და არც სიციცის, არც პატრონისა და მით უმეტეს უცხო ხალხისა, მაშინ მძვინვარებს და ბობოქრობს იგი, დაუც-

ხრომელი ძალით დამთვრალი, მაშინ მეფეა და უფალი, არც დაღლა იცის და არც შიში, მისთვის აღარაფერი არსებობს ქვეყნად, არც საჭმელი და არც სასმელი, გარდა ერთისა, დაიცხროს და დაიკმაყოფილოს თვისი დაუძლეველი ჟინი და ვნება. აკი ამად ცოცხლობდა მთელი წელი აკი იმიტომაც იგროვებდა ძალას დღიდან დღემდე. იმ დროს, როცა ბურანელი დიდი სითბოსა და პატივში ზის სტუმრად და დომბრას უსმენს, სადღაც ამ მიდამოში, ნისლიან ღამეში, მთვარის შუქით დაფენილ თოვლზე დაძრწის ახურებული ბურანელი ყარანარი, სისხლის ყივილს მინდობილი. დაჰკანკალებს სასურველ ჯამა აქლემებს, არ აკარებს არც ნადირსა და არც ფრინველს, მთელი ხმით ბღავის და მუქარით ატოკებს შავ ბანჯგვლიან წვერს.

ამაზედაც ფიქრობდა ედიღეი დომბრის სიმების ხმაზე...

მუსიკა დააფრენდა მის ფიქრებს ხან ნამყოში, ხან აწმყოში მერე კვლავ ნამყოში, ხვალინდელ დღესაც სწვდებოდა ფიქრი, უცნაური სურვილი გაეღვიძა გულში - დაეფარა, დაეცვა საფრთხისაგან ყოველივე, რაც მისთვის ძვირფასი იყო, მთელი ეს ქვეყნიერება, რათა უბედურება არავის და არაფერს სწვეოდა: რაღაც გაურკვეველი გრძნობა, რომ დამნაშავეა იმათ წინაშე, ვისაც ბედმა ცხოვრებაში გადაჰყარა, იდუმალი ნაღველით უვსებდა გულს...

- ჰაუ, ედიღეი, - გამოსძახა ერლეფესმა ჩაფიქრებული ღიმილით და მიჩუმებულ სიმებს ნელა ჩამოჰკრა თითები. - ვინ იცის, გზამ დაგღალა, მოსვენება გინდა, მე კი დომბრას ვაჟღრიალებ აქა.

- რას ამბობ, ერლიქე, გულწრფელად შეცბა ედიღეი და ხელები გულზე მიიდო, - პირიქით, რა ხანია ასე კარგად არ მიგრძვნია თავი. თავად თუ არ დაღლილხარ, მადლი ჰქენ, დაუკარ.

- მაინც რა გინდა?

- შენ უკეთ იცი, ერლიქე, ოსტატმა თვითონ უწყის, რა უფრო ემარჯვება. რა თქმა უნდა, ძველებური სიმღერები - ისინი უფრო ახლოა სულთან. არ ვიცი, რატომ, და გულში გწვდებიან, გაფიქრებენ.

ერლეფესს ჩაეღიმა.

- ჩვენი კოსპანიც ეგრეა, - გადახედა მან უჩვეულოდ გალურსულ კოსპანს. - დომბრის ხმაზე ლამის დნება კაცი, სულ სხვანაირი ხდება. ხომ ასეა, კოსპან? მაგრამ არ კი დაივიწყო, რომ დღეს სტუმარი გვყავს. ცოტა დაგვისხი.

- ახლავე, - გამოცოცხლდა კოსპანი და ჭიქები ხელახლა შეავსო.

დალიეს, საჭმელიც მიატანეს. მერე ერლეფესმა ისევ აიღო დომბრა, ისევ ჩამოჰკრა და შეამოწმა, თუ სიმები ხმაშეწყობით ჟღერსო.

- რახან ძველებური სიმღერები გყვარებია, - უთხრა მან ედიღეის, - ერთ ამბავს მოგაგონებ, ედიქე, მოხუცებიდან ბევრმა იცის და ალბათ შენც იცი. თქვენი ყაზანგაპი მშვენივრად ჰყვება, მაგრამ ის ჰყვება, მე კი დავამღერებ დომბრაზე თეატრს გავმართავ შენდა საპატივცემოდ, ედიქე. „სიტყვა, ნათქვამი რაიმალი-აღას მიერ თავის ძმა აბდილხანისადმი“.

ედიღეიმ მადლიერად დაუქნია თავი. ჩამოჰკრა სიმებს ერლეფესმა, სიმღერას ესოდენ კარგად ნაცნობი შესავალი წაუმძღვარა. და კვლავ აკვნესდა ედიღეის სული, რამეთუ ყოველივე, რასაც ეს ამბავი ჰყვებოდა, ამჯერად გასაოცარი კაეშნითა და გრძნობით გაუხმიანდა სულში.

ჟღერდა დომბრა, დაბალი ხმით ბანს აძლევდა ერლეფესი, დასტურ შესაფერისად სახელოვანი ჟირაუ[21] რაიმალი-აღას მწუხარე ამბისა. სამოცდაათს იყო თურმე გადაცილებული რაიმალი-აღა, როცა ცხრამეტი წლის ასული შეუყვარდა, მოხეტიალე მომღერალი ბეგიმაი. ვარსკვლავივით აკიაფდა იგი აშუღის ცხოვრების გზაზე. უფრო სწორად, ბეგიმაის შეუყვარდა რაიმალი-აღა. ბეგიმაი თავისუფალი, თავისნება ასული იყო და, როგორც ეწადა, ისე შეეძლო მოქცევა, მაგრამ ხალხის ხმამ გაჰკიცხა რაიმალი-აღა. მას აქეთ სიყვარულის ამ ამბავს თავისი მომხრეებიც ჰყავს და მტრებიც. გულგრილთ ვერ ნახავ. ერთნი ჰგმობენ და ჰკიცხავენ რაიმალი-აღას, მეორენი თანაუგრძნობენ, განიცდიან, მიჯნურის მწარე ნაღველს პირიდან პირში, გვარიდან გვარში გადასცემენ: ასე ცოცხლობს თქმულება რაიმალი-აღაზე. ყველა დროსა და ჟამს ჰყავს რაიმალი-აღას თავისი მგმობელიც და თავისი დამცველიც.

გაიხსენა იმ საღამოს ედიღეიმ, როგორ ლანძღავდა და ღვარძლიანად კილავდა აბუტალიფ ქუთიბაევს ის სონღულისთვალება კაცი, როცა მის ნაწერებში რაიმალი-აღას სიტყვა აღმოჩნდა, თავის ძმა აბდილხანისადმი მიმართული. აბუტალიფი კი პირიქით, დიდად აფასებდა ამ, როგორც თვითონ ეძახდა, პოემას ტრამალელ გოეთეზე: თურმე გერმანელებსაც ჰყოლიათ დიდი და ბრძენი ბერიკაცი, რომელსაც ყმაწვილი ქალი შეჰყვარებია. აბუტალიფმა ყაზანგაპის მონაყოლით ჩაიწერა ეს სიმღერა იმ იმედით, ჩემი ბიჭები მოიზრდებიან და წაიკითხავენო. აბუტალიფი ამბობდა, არის ისეთი განკერძოებული შემთხვევები, ისეთი განკერძოებული ბედის ადამიანები, საყოველთაოდ ცნობილი რომ ხდებიან, ვინაიდან მათი ცხოვრების გაკვეთილის ფა-

[21] ტრამალის აშუღი

სი იმდენად დიდია, ისეთ ბევრ რასმე მოიცავს მათი ამბავი, რომ ერთი ადამიანის განცდილი თითქოს ყველაზე ვრცელდება, ვინც იმ ხანაში ცხოვრობდა და იმათზეც, ვისაც კარგა ხნის მერე მოუწევდა მათ შემდგომ ცხოვრება...

შთაგონებით აჟღერებდა და დამღერადა დომბრაზე ერლეფესი, ასაქცევის უფროსი, რომლის მოვალეობას, უპირველეს ყოვლისა, მატარებლების მიმოსვლა შეადგენდა რკინიგზის გარკვეულ უბანზე. თითქოს რა იყო მისთვის ეს ძველისძველი მწუხარე ამბავი, ამბავი უბედური რაიმალი-აღასი, რად უნდა განეცადა ისე, თითქოსდა მის თავს იყო ეს ყველაფერი... თურმე რა ძალა ჰქონია მუსიკასა და ჭეშმარიტ სიმღერას, ფიქრობდა ედიღეი, ამ წუთს რომ გითხრან: მოკვდი და ხელახლა დაიბადეო - მაშინვე დათანხმდები... ეჰ, ნეტავი მუდამ გიღვიოდეს სხივნათლიერ სულში ასეთი ცეცხლი, რაიც ყველაზე ცხადად ჩაგაფიქრებს საკუთარ თავზე...

ერთხანს არა და არ დაეძინა დიღეის ახალ ადგილზე, თუმცა გარეთაც გაისეირნა სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად, ლოგინიც მოხერხებული და თბილი გაუშალეს მასპინძლებმა ფანჯარასთან, ყოველ ოჯახში სასტუმროდ შემონახული ქათქათა თეთრეული დაუფინეს. გარედან ესმოდა, როგორ დაზუზუნებდა ქარი, ხან აქეთ, ხან იქით მიგრიალებდნენ მატარებლები... ალიონს ელოდა, რომ გაურჩებული ყარანარი ჭკუაზე მოეყვანა და ადრე გადგომოდა გზას, მალე ჩასულიყო ბორანლი-ბურანში, სადაც ორივე ოჯახის გოგო-ბიჭობა მოელის, იმიტომ რომ ყველა ერთნაირად უყვარს ედიღეის და იმად ცოცხლობს ამ ქვეყანაზე, მათ არაფერი გაუჭირდეთ.. ფიქრობდა იმაზედაც, როგორ მოდრიკოს, მოარჯულოს ყარანარი. მაინც რა ბედი აქვს, აქლემიც კი ისეთი ოჩანი და მძვინვარე შეხვდა, ადამიანები ისე დააფრთხო, ლამის ტყვია ესროლონ და მოკლან... არადა, რო-

გორ უნდა შეაგნებინო პირუტყვს, რაა ცუდი და რა კარგი... ტყუილუბრალოდ კი არ გამოიქცა, ბუნებამ უკარნახა ასე, იმიტომაც არ სცნობს არა დაბრკოლებას, ვინც გზაზე გადაუდგება, ყველას გაქელავს... რა ქნას, რანაირად მოდრიკოს ყარანარი? ალბათ ისევ ჯაჭვზე უნდა დააბას და მთელი ზამთარი საჩეხეში იყოლიოს, თორემ თავს წააგებს ეს ავაზაკი, კოსპანი თუ არა, სხვა ვინმე ესვრის ტყვიას და ვერაფერსაც ვერ იზამ... ბურანში წასულს ჩაესმა ისევ ერლეფესის ხმა, დომბრის ჟღერა და კმაყოფილება იგრძნო, ეს საღამო რომ ამ კაცთან გაატარა, იმ დომბრის წყალობით გაუცოცხლდა და სულში ჩაუსახლდა ოდესღაც, მისდა საუბედუროდ, გამიჯნურებული მგოსანი რაიმალი-აღას ვნებანი და თუმცა საერთო არაფერი ჰქონდათ, რაიმალი-აღას ამბავმა რაღაც შორეული თანხმიერება გამოიწვია მის სულში, ისეთივე ტკივილი აგრძნობინა. ის, რაც ასი წლის წინათ განიცადა რაიმალი-აღამ, ნახმევივით გამეორდა უკაცრიელ საროზექში მცხოვრები ბურანელი ედიღეის სულში. მძიმედ ოხრავდა, ლოგინში ტრიალებდა ედიღეი, ვერ გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს წუხდა, დარდობდა, სად წავიდეს, როგორ მოიქცეს შემდეგში?

რა უთხრას ზარიფას და რა პასუხი გასცეს უქუბალას? გამოსავალს ვერ პოულობდა ედიღეი, უგზოუკვლოდ აწყდებოდა აქეთ-იქით, გზა ებნეოდა და ძილში უცებ არალის ზღვაზე გაჩნდა... თვალისმომჭრელმა ლაჟვარდმა და ქარმა რეტი დაასხა... როგორც ბავშვობაში, ახლაც გაიჭრა ზღვისკენ, რომ თოლიად წარმოედგინა თავი, მასავით ლაღად ენავარდა ფურთუნზე. საოცრად გახარებული დაჰქროდა ზღვის გაშლილ სივრცეზე და თან განუწყვეტლივ ჩაესმოდა დომბრის ჟღერა, ერლეფესის სიმღერა რაიმალი-აღას სევდიან სიყვარულზე. ხელახლა ესიზმრა, ის ამბავი, როცა ზღვაში ოქროს მექრე გაუშვა. მკვრივი და მოქნილი იყო მექრე, წყლისკენ რომ მიჰყავდა, აშკარად იგ-

რძნო თევზის ცოცხალი სხეული, მისი წყურვილი - დასხლეტოდა და მშობლიურ სტიქიონს დაბრუნებოდა. ტალღებში მიალაჯებდა, ზღვა მისკენ მოაგორებდა ზვირთებს, ედიღეი კი პირში შესცინოდა ქარს, მერე გაშალა ხელები, ცისარტყელასავით გაიელვა ოქროს მექრემ მუქლურჯ ჰაერში და როდის-როდის ჩასრიალდა წყალში... მუსიკა კი ისევ ისმოდა სადღაც შორიდან... ტიროდა და ბედს უჩიოდა ვიღაცა...

იმ ღამეს სუსხიანი ქარი დაქშუოდა ტრამალზე. ყინვა თანდათან ძალას იკრებდა. ოთხი ჯამა აქლემი, ბურანელი ყარანარის მიერ არმეული და გამორეკილი, პატარა გორაკის ძირას ხევში იდგა მოფარებულში. საქარე მხრიდან თოვლი ეყრებოდათ, ამიტომაც შექუჩულიყვნენ გასათბობად და ერთმანეთისთვის ყელი ყელზე გადაედოთ. მაგრამ მათი შმაგი ბანჯგვლიანი მეუფე ყარანარი მოსვენებას არ აძლევდათ, გაავებული ბღავილით დარბოდა, დატრიალებდა მათ ირგვლივ, ეჭვი არ ასვენებდა, თუმცა საეჭვო იმ არემარეში, ნისლიდან მზირალი მთვარის გარდა, არა იყო და არა ჩანდა რა.

ყარანარი ადგილს ვერ პოულობდა, ბუქისაგან კორიანტელად ამდგარ თოვლზე წიხლსა სცემდა ბრდღვინვა-ბრდღვინვით ეს ორკუზა შავი ნადირი, გრძელკისერა და თავბანჯგვლიანი. ჰოი, რამდენი ძალა ჰქონია. ახლაც სიამოვნებით გააგრძელებდა ტრფიალს, ახლაც მზად იყო მოეკლა ჟინი. ამიტომაც ხან ერთ ჯამას მიადგეოდა, ხან მეორეს, არ ასვენებდა, გულს უწყალებდა, კოჭებსა და ბარკლებზე კბენდა, ერთმანეთისთვის რომ მოეშორებინა. მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი თავხედობა იყო მისი მხრიდან. ჯამა აქლემებს დღისითაც ეყოთ, დღისით დიახაც ხალისით უსრულებდნენ ხოშსა და სურვილს, ღამით კი ძილი ენებათ. ამიტომ თვითონაც მტრულად შებღაოდნენ პასუხად, მის

უადგილო არშიყობას თავს არიდებდნენ და დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ. ღამით მათ მოსვენება ეწადათ.

ალიონის მოახლოებისას დაცხრა, დაწყნარდა ყარანარიც. თავის ტურფების გვერდით მდგარი, ხამუშ-ხამუშ წამოიბღავლებდა ხოლმე თითქოს ძილში და თვალებს გიჟივით დააცეცებდა. ჯამა აქლემები თოვლზე დაწვნენ, ოთხივე ერთად, კისრები წაიგრძელეს, თავი ჩაქინდეს და გაიყუჩნენ. ცოტა წათვლიმეს. ესიზმრათ კოზაკები, ისინი, რომლებიც ჰყავდათ ისინიც, რომლებიც ამ საიდანღაც მოვარდნილი შავი ათანისაგან ეყოლებოდათ, სხვა ათანებს რომ შეეჭიდა მათი გულისთვის და კიდევაც სძლია. ესიზმრათ ზაფხული, სურნელოვანი აბზინდა, კოზაკების ნაზი ლამუნი ცურზე. სტკიოდათ ცური, მომავალი რძის წინასწარ შეგრძნებას სადღაც ბნელი სიღრმიდან მოჰქონდა ეს ტკივილი და ნეტარი ჩხვლეტა... ბურანელი ყარანარი კი კვლავ სადარაჯოზე იდგა და ქარი სტვენით დაქშუოდა მის შავ ბანჯგვლებში...

და ტრიალებდა დედამიწა თვის წრესა ზედა, და უვლიდნენ ირგვლივ ქარნი ზენანი. ტრიალებდა იგი მზის გარშემო, ჰოდა, როცა თავისი ღერძის ირგვლივ შემოტრიალდა და იმ გვერდით დადგა, საროზექზე დილა გათენდა, ბურანელმა ყარანარმა ანაზდად მის შორიახლოს ჯამა აქლემზე შემჯდარი ორი კაცი დაინახა. ეს ედიღეი და კოსპანი იყვნენ. კოსპანს თან თოფი წაეღო.

გაცოფდა, გახელდა ბურანელი ყარანარი, აცახცახდა, აბღავლდა რისხვით - როგორ გაბედეს. ადამიანებმა მის სამფლობელოში ფეხის შემოდგმა, როგორ გაბედეს მის ჯოგთან მიახლოება, ხურაობის დროს მისთვის ხელის შეშლა? ომახიანად, გამძვინვარებით შებღავლა ყარანარმა, გრძელ კისერზე წამოდგმული თავი ააქნია, კბილები ურჩხულივით გააღრჭიალა და საზარელი ხახა დააღო. ორთქლივით ამოუდიოდა ჰაერი

ცხელი პირიდან და შავ ბანჯგვლებზე თეთრ ჭირხლად ეფინებოდა. აგზნებისაგან შარდიც კი გაუშვა ყარანარმა, ფეხები გაფარჩხა და შარდის ნაკადი ქარს შეაშხურა. იმიტომაც უცბად ავარდა ჰაერში შხეფებად ქცეული შარდის სუნი და ედიღეისაც მისი გაყინული წვეთები სახეში მოხვდა.

ჩამოხდა ძირს ედიღეი, ტყაპუჭი თოვლზე დააგდო, დაბამბულ ქურთუკისა და შარვლის ამარა დარჩენილმა. დახვეული მათრახის გაშლა იწყო.

- ედიქე, რამე რომ იყოს, იცოდე, ვესვრი, - თქვა კოსპანმა და თოფი შემართა.

- არამც და არამც, ჩემი ნუ გეშინია. პატრონი მე ვარ და პასუხსაც მე ვაგებ. თუ შენ გეტაკა, მაშინ ესროლე.

- ეგრე იყოს, – დაეთანხმა კოსპანი, რომელიც აქლემიდან არ ჩამოსულა.

მათრახის ხაფი ტყლაშუნ-ტყლაშუნით თავის ყარანარისკენ გაეშურა ედიღეი. მისმა მოახლოებამ მთლად გააგიჟა ყარანარი, ღრიალ-ღრიალითა და დორბლების ყრით გამოიქცა მისკენ. ამასობაში ჯამა აქლემებიც წამოდგნენ და შეშფოთებულებმა დაიწყეს ირგვლივ სირბილი.

ედიღეი თოვლს მიარღვევდა, მათრახს მიატყლაშუნებდა, როგორც სათრეველაში შებმულ აქლემებს მირეკავდა ხოლმე ნამქერების წმენდისას, და შორიდან ხმამაღლა უყვიროდა ყარანარს, იმ იმედით, ეგებ ხმაზე მაინც მიცნოსო:

- ჰეი, ჰეი ყარანარ! ნუ სულელობ! ნუ სულელობ-მეთქი! ეს მე ვარ! ხომ არ დაბრმავდი? მე ვარ-მეთქი!

მაგრამ ყარანარს ყურიც არ გაუბერტყავს მის ყვირილზე. თავზარი დაეცა ედიღეის, როცა ბრაზისაგან დაელმებული აქლემის მზერა დაიჭირა და დაინახა, როგორ უახლოვდებოდა ეს უშველებელი შავი პირუტყვი ზურგზე მოცახცახე კუზებით. მაშინ

ბეწვის ქუდი უფრო დაბლა ჩამოიფხატა ედიღეიმ და მათრახი დაატრიალა. გრძელი იყო მათრახი, შვიდი მეტრი იქნებოდა, მძიმე, გაფისულ ტყავისაგან დაწნული. აქლემი ბღავილით მოიწევდა მისკენ, რომ კბილები ეტაცა, ძირს დაეგდო და გაეთელა მაგრამ ედიღეი ახლოს არ უშვებდა, მთელი ძალით ატკაცუნებდა მათრახს, ხან უკან იხევდა, ხან ისევ წინ მიიწევდა, თან ყვირილს არ წყვეტდა, რომ პატრონი ეცნო და გონს მოსულიყო ყარანარი. ასე ებრძოდა ერთმანეთს თითოეული თავისი ძალისა და შეძლების მიხედვით და თითოეული თავისებურად მართალი იყო. ედიღეი შესძრა ათანის დაუცხრომელმა ლტოლვამ ბედნიერებისაკენ; ესმოდა, რომ ამ ბედნიერებას ართმევდა აქლემს, მაგრამ სხვა გზა არ დარჩენოდა. ყარანარისთვის თვალი არ ამოეგდო, მარტო ამისღა ეშინოდა ედიღეის, თორემ დანარჩენს ყველაფერს ეშველებოდა. პატრონის სიჯიუტემ ბოლოს და ბოლოს მოტეხა პირუტყვი. მათრახის ტყლაშუნით და ყვირილით, როგორც იყო, მოახერხა ედიღეიმ აქლემთან ახლოს მისვლა. მერე ისკუპა და ზედა ტუჩში ისეთი ძალით ჩააფრინდა, ლამის ჩამოაგლიჯა ლაში. შემდეგ იმარჯვა და წინასწარ მომზადებული საბმელი ჩამოაცვა კიდეც. ყარანარმა დაიზმუვლა, დაიგმინა აუტანელი ტკივილისაგან, გაფართოებულ, უმოძრაო, შიშითა და ტკივილით გაყინულ მის თვალებში თავისი თავი დაინახა ედიღეიმ. დაინახა და კინაღამ უკან გახტა, ისე შეზარა საკუთარმა თავმა. არაადამიანურად დაღმეჭილი გაოფლილი პირისახე, ირგვლივ ფეხებით გადათხრილი თოვლი - ეს ყოველივე წამით აისარკა ყარანარის დაფეთებულ თვალებში. ედიღეიმ კინაღამ არ მიატოვა ყველაფერი და უკან არ გაიქცა, ოღონდაც ასე აღარ ეწამებია სრულიად უდანაშაულო პირუტყვი, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო: მას ბორანლი-ბურანში მიელოდნენ და ვერც ყარანარის გარეშე დაბრუნდებოდა, ვინაიდან აქ-მოინაქელი მე-

ზობლები უთუოდ თოფით მოკლავდნენ. ამიტომაც სძლია თავს, მძლავრად შეჰყვირა და აქლემს მუქარა დაუწყო, რომ მიწაზე დაეწვინა და უნაგირი დაედგა. ბურანელი ყარანარი მაინც ურჩობდა, ღრიალებდა და ბრდღვინავდა, დაფჩენილ ხახიდან ცხელ ოხშივარს აფრქვევდა პატრონს, მაგრამ პატრონმა უდრეკობა გამოიჩინა, მაინც აიძულა აქლემი პატრონს დამორჩილებოდა.

- კოსპან, უნაგირი აქეთ გადმოაგდე და ეგ ჯამა აქლემები გორაკს იქით გადარეკე, რომ აღარ დაინახოს! - დაუყვირა ედიღეიმ კოსპანს.

იმანაც მაშინვე გადაუგდო საჯდომი ჯამა აქლემის უნაგირი და თვითონ ყარანარის ჯოგს გამოუდგა გასარეკად. ამასობაში ედიღეიმ ყარანარს დაადგა უნაგირი, ხოლო როცა კომსპანმა თოვლზე გადაგდებული ტყაპუჭი მოურბენინა, სწრაფად ჩაიცვა და ხელდახელ შეაჯდა უნაგირდადგმულ და მოთოკილ ყარანარს.

გაცოფებულმა ყარანარმა მაინც სცადა თავის დედლებთან დაბრუნება, თავიც კი გვერდზე მოიქცია, რომ კბილებით სწვდენოდა პატრონს. მაგრამ ედიღეიმ კარგად იცოდა თავისი საქმე. ყარანარის ბდღვინვის, გაავებული ღრიალისა და განუწყვეტელი ბრაზიანი ღმუილის მიუხედავად ჯიუტად მირეკავდა დათოვლილ ტრამალზე პირუტყვს და მორჯულებას ცდილობდა მისას.

- გაჩუმდი! გეყოფა! - ჩასჩიჩინებდა იგი. - გაჩუმდი-მეთქი! უკან მაინც ვერ დაბრუნდები, სულელო! გგონია, შენთვის ცუდი მინდა? მე რომ არა, ახლა თოფით იქნებოდი ცოფიანი ნადირივით გაგორებული. ჰა, რას იტყვი? შენ ხომ მართლა ისე გაცოფდი, მეტი რომ არ შეიძლება! გაცოფდი და დამთხვეულივით იქცევი! თორე აქ რამ მოგაჩანჩალა. საკუთარი ჯამა აქლემები არ გეყო? იცოდე, მივალთ შინ და მორჩა, ამას იქით სხვის ჯოგებში

ტანტალს გამოეთხოვე! ჯაჭვებზე დაგაბამ, ერთ ნაბიჯს შენს ნებაზე ვერ გადადგამ, რახან ასეთი აღმოჩნდი!

საკუთარი თავის გასამართლებლად უფრო იმუქრებოდა ბურანელი ედიღეი, თორემ სადაური სამართალი იყო, თავის აქმოინაქელ ჯამა აქლემებს ძალით რომ აცილებდა ყარანარს. თვინიერი პირუტყვი იყოს - ასე კი არ მოექცეოდა! აგერ თავისი საჯდომი ჯამა აქლემი კოსპანს მიუტოვა, რომელიც შეჰპირდა, შემთხვევა მექნება, ბორანლი-ბურანში გამოვატან ვისმეო. მორჩა და გათავდა, ყოველგვარი დავიდარაბის გარეშე დამთავრდა საქმე. ამ წყეულთან კი უსიამოვნებას ვეღარ აუდის.

რამდენიმე ხნის შემდეგ შეურიგდა ბურანელი ყარანარი იმ ამბავს, რომ უნაგირი დაადგეს და იმასაც, რომ ისევ პატრონის ნებას უნდა დამორჩილდეს. ბღავილს უკლო და ნაბიჯს აუჩქარა, მალე უკვე გამალებით მიჩიქჩიქებდა მომართულ მანქანასავით კეცავდა საროზექის სივრცეს. ედიღეიც დამშვიდდა, მარჯვედ მოკალათდა ორ მკვრივ კუზს შუა, ტყაპუჭი შეიკრა, ქუდი მჭიდროდ დაიმაგრა თავზე და უკვე მოუთმენლად ელოდა, როდის მიუახლოვდებოდა ბორანლის მიდამოებს.

მაგრამ შინამდე ჯერ კიდევ კარგა დიდი გზა იყო. ამინდს არა უშავდა, თუმცა ქარიც ქროდა და ცაც ღრუბლიანი იყო. ქარბუქი ახლა არადა, ღამით კი იქნებ ამოვარდეს. კმაყოფილი ბრუნდებოდა ბურანელი ედიღეი შინ, ყარანარი რომ დაიჭირა და ჭკუაზე მოიყვანა, მეტადრე კი წუხელ კოსპანთან ასეთი კარგი დრო გაატარა, ერლეფესის დაკვრა და სიმღერა მოისმინა.

ედიღეის ფიქრი კვლავ ისევ თავის უკუღმართ ბედს გადასწვდა. ეს რა დღეში ჩავარდა! რა ქნას, როგორ მოახერხოს, არავის ატკინოს გული და თავისი ხვაშიადიც გაამჟღავნოს, პირდაპირ უთხრას - რა ვქნა, ზარიფა, მიყვარხარო. აბუტალიფის შვილებს მამის გვარი თუ ხელს შეუშლის ცხოვრებაში და ზარიფაც

დაყაბულდება, კი, ბატონო, თავის გვარს მისცემს ედიღეი. ბედნიერიც იქნება, თუ მისი გვარი დაულსა და ერმექს გამოადგება, დაე, ამქვეყნად ნურაფერმა დააბრკოლოთ და შეაფერხოთ, დაე, თავისი უნარისა და შეძლების მიხედვით გაუმარჯვოთ ცხოვრებაში. განა ედიღეის თავისი გვარი დაენანება? დიახ, დიახ, ასეთი ფიქრებიც ეწვია გზაში ბურანელ ედიღეის.

დღე უკვე იწურებოდა, ხომ ამდენი იბრძოლა და რისხვის ცეცხლი ჰყარა ყარანარმა, გზას მაინც დაუღლელად და ნამუსიანად მიუყვებოდა. აგერ გამოჩნდა კიდეც ბორანლი-ბურანის ღარტაფები, ნამქერებით დაფარული ნაცნობი ხრამები, აგერ მაღლობიც, წინ, სადაც რკინიგზა უხვევს, ბორანლი-ბურანის ასაქცევია მიყუჟული. საკვამურებიდან ბოლი ამოდის. ნეტა რას იქმიან მისი საყვარელი ოჯახები? აგერ თითქოს ერთი დღით დატოვა მხოლოდ, არადა, ისეთი შიში აქვს, გეგონება, მთელი წელი არ ყოფილა. ძალიან მოენატრა ყველანი - მეტადრე ბალღები. დაბის დანახვაზე ყარანარმა ნაბიჯს აუჩქარა, გაოფლილი, გახურებული მიდიოდა, ფეხებს განივრად ალაჯებდა, პირიდან ოხშივარი ამოსდიოდა. ვინემ ედიღეი სახლს მიუახლოვდებოდა, ასაქცევზე ორი სატვირთო ჩამოდგა და წავიდა. ერთმა დასავლეთით გასწია, მეორემ აღმოსავლეთით...

უკანა ეზოში გაჩერდა ედიღეი, ყარანარი რომ ჩაეკეტა საჩეხეში, ჩამოხტა, მიწაში ჩათხრილ პალოზე დამაგრებული სქელი ჯაჭვი წინა ფეხზე მოაბა აქლემს და ასე გაუშვა. „ცოტა გაგრილდება და მერე ავხსნი უნაგირს“, - გადაწყვიტა გულში. რატომღაც ძალიან ჩქარობდა. წელში გაიმართა, ზურგი და ფეხები დაბუჟებოდა, ის იყო საჩეხედან გამოდიოდა, რომ მისმა უფროსმა გოგომ, საულემ მოირბინა. ედიღეი გადაეხვია, აკოცა, თუმცა ტყაპუჭი მოძრაობას უშლიდა.

- გაიყინები, - უთხრა თხლად ჩაცმულ საულეს, - შინ გაიქეცი, ახლავე მოვალ.

- მამა, - მიეხუტა ედიღეის შვილი, - დაული და ერმექი წავიდნენ.

- სად წავიდნენ?

- სულ წავიდნენ, დედასთან ერთად. მატარებელში ჩასხდნენ და წავიდნენ.

- წავიდნენ? როდის წავიდნენ? - თვალებში ჩახედა შვილს ედიღეიმ, ჯერ გონს არ იყო, რაც მოხდა.

- ამ დილით.

- ჰოო! - ხმა ჩაუწყდა ედიღეის. - აბა შინ გაიქეცი, - ხელი უშვა საულეს, - მე მერე მოვალ. ჰო, წადი, წადი...

საულე სახლის კუთხეს მიეფარა. ჭიშკარი არ დაუკეტია. ასევე ტყაპუჭიანად გასწია ედიღეიმ ზარიფას ბარაკისკენ. მიდიოდა და არ ეჯერა. იქნებ ბალღს შეეშალა რაღაც. ეს არ შეიძლება მომხდარიყო. მაგრამ პარმაღი ატალახიანებული დახვდა. კაუჭს ჩაავლო ხელი, სწრაფად შეაღო კარი. ოთახი ცარიელი იყო, უკვე გამოციებული, მონაგვიანებული, ხარახურით მოფანტული, არც ბიჭები და არც ზარიფა ჩანდნენ!

- ეს რა მოხდა? - წაიჩურჩულა ედიღეიმ სიცარიელეში, ჯერ კიდევ არ უნდოდა იმის დაჯერება, რაც მოხდა. - მაშ წავიდნენ? - წაილაპარაკა გაკვირვებით და მწუხარედ, თუმცა სრულიად აშკარა იყო, რომ აქ აღარავინ ცხოვრობდა.

ასე ცუდად არასოდეს გამხდარა ედიღეი. შუა ოთახში ცივ ღუმელთან იდგა ტყაპუჭიანად, არ იცოდა, რა ექნა, როგორ ეცხოვრა შემდეგ. გულს ვეღარ დაეტია წყენისა და დანაკარგის გრძნობა, ლამის გახეთქილიყო გული. რაფაზე ერმექის დავიწყებული კენჭები ეყარა, ის ორმოცდაათი კენჭი, რომლითაც მკითხაობდნენ ბიჭები, მამა როდის ჩამოვაო, მამა, რომელიც

ამქვეყნად დიდი ხანია აღარ იყო. იმედისა და სიყვარულის კენ-ჭები. ედიღეიმ მობოჭა და ხელში ჩაბღუჯა კენჭები - ამის მეტი აღარაფერი დარჩა მათგან. ახლა კი ვეღარ შეიმაგრა თავი, კედლისკენ მიბრუნდა, გახურებული სახე ცივ ფიცრებს მიახუტა და მწუხარედ, ყრუდ, უნუგეშოდ აქვითინდა. აკანკალებული ხე-ლიდან თითო-თითოდ უცვიოდა კენჭები, თითები ვერა და ვერ დაემორჩილებინა, კაკაკუკით დაცარიელებული სახლის კუნჭუ-ლებისკენ მიგორავდა...

მერე მობრუნდა, ნელ-ნელა ჩამოცურდა კედლიდან და ჩაჯდა. ასე იჯდა ერთხანს, ზურგით კედელზე მიყრდნობილი, ისევ ტყაპუჭსა და ბეწვის ქუდში, და მწარედ სლუკუნებდა. ცრემ-ლებს ზარიფას ნაჩუქარი შარფით იწმენდდა...

ასე იჯდა მიტოვებულ ბარაკში და ცდილობდა გაერკვია, რა მოხდა, ალბათ ზარიფა განზრახ გაემგზავრა თავისი ბიჭებით, როცა ედიღეი აქ არ იყო. ალბათ ეშინოდა, ედიღეი არ გამიშ-ვებსო. მართლაც არ გაუშვებდა, არამც და არამც არ გაუშვებდა! რაც არ უნდა მომხდარიყო. თუმცა ახლა უკვე გვიანია მკითხა-ობა, რა მოხდებოდა და როგორ მოხდებოდა, ის რომ აქ ყოფი-ლიყო. ისინი აქ უკვე აღარ არიან. არაა არც ზარიფა, არც ბიჭე-ბი! ედიღეი განა მათ მოიშორებდა! ზარიფამ გააკეთა ეს, ედი-ღეის აქ არყოფნისას არჩია წასვლა, გააიოლა საქმე, ის კი აღარ იფიქრა, რა მეხი დაეცემოდა ედიღეის დაცარიელებული ბარა-კის ნახვისას.

მაგრამ მატარებელი ვიღაცამ ხომ გააჩერებინა მისთვის ასაქევზე! ვინ? რაღა თქმა უნდა, ყაზანგაპმა, მის მეტი ამას ვინ იზამდა! ოღონდაც სტოპ-ონკანი არ ჩამოუგლეჯია, როგორც ედიღეიმ ჩამოგლიჯა სტალინის სიკვდილის დღეს, უბრალოდ მოელაპარაკა, თხოვა ასაქცევის უფროსს, რომელიმე სამგზავ-რო მატარებელი გააჩერეო. ეგ ხომ ისეთი ვინმეა. უქუბალამაც

ალბათ თავი გამოიდო, როგორმე ჩქარა გაესტუმრებინა ისინი აქედან! აბა ახლა უყურონ! სისხლი აუდუღდა ედიღეის, ტვინი აეწვა, შურისძიება მოეძალა - ახლავე მოიკრებს ძალას და ყველაფერს და ყოველივეს გააცამტვერებს ამ ღვთის დაწყევლილ ბორანლი-ბურანში, ნაფოტსაც არ დატოვებს, მერე კი დაჯდება ყარანარზე და საროზექში გადაიკარგება, შიმშილით და სიცივით ამოხდება იქ მარტოს სული. ასე იჯდა ამ ცარიელ ბინაში ედიღეი - ღონეგამოცლილი, შეძრული, სულდაცარიელებული მომხდარით. „რატომ წავიდა, სად წავიდა? რატომ წავიდა? სად წავიდა?“ - მხოლოდ ამას ფიქრობდა უაზრო გაოცებით.

მერე თავის სახლს მიაშურა. უქუბალამ უხმოდ ჩამოართვა ტყაპუჭი და ქუდი, თექის ჩექმები კუთხეში მიაყუდა. ბურანელ ედიღეის გაქვავებულ, განაცრისფერებულ სახეზე კაცი ვერ ამოიკითხავდა, რას ფიქრობს და რა აქვს გადაწყვეტილი. თვალები გაყინული ჰქონდა, გამოცარიელებული. არაადამიანური ძალა დასჭირდა ედიღეის, თავი რომ შეეკავებინა. ქმრის მოლოდინში უქუბალამ რამდენჯერმე გააცხელა სამოვარი. თუხთუხებდა წყალი, მინავლებული ნაკვერჩხლით იყო სავსე სამოვარი.

- ჩაი ცხელია, - წაილაპარაკა უქუბალამ, - ახლა ჩამოვდგი ცეცხლიდან.

ედიღეიმ უხმოდ შეხედა და მდუღარე წყლის ხვრეპა განაგრძო. ვერც გრძნობდა, მდუღარეს რომ სვამდა. ორივე დაძაბულიყო ლაპარაკის მოლოდინში.

- ზარიფა და ბავშვები გაემგზავრნენ, - ამოთქვა ბოლოს უქუბალამ.

- ვიცი, - თავი არ აუწევია, ისე ჩაიბურტყუნა ედიღეიმ და ცოტა ხნის მერე, ასევე თავაუწევლად, იკითხა: - სად გაემგზავრა?

- არ უთქვამს.

ორივე გაჩუმდა. პირს უფუფქავდა ქაფქაფა ჩაი ედიღეის და მიუხედავად ამისა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ოღონდაც არ აფეთთქდეს, ოღონდაც აქ ყველაფერი არ დალეწოს, ბავშვებს გული არ გაუხეთქოს, ოღონდაც უბედურება რამ არ დაატრიალოს...

შესვა და ისევ გარეთ გასასვლელად მოემზადა. ჩაიცვა თექის ჩექმები, ტყაპუჭი, დაიხურა ქუდი.

- სად მიდიხარ? - ჰკითხა ცოლმა.

- საქონელს დავხედავ, - მოუგდო სიტყვა კარიდან.

ზამთრის მოკლე დღე უკვე მილეულიყო. სწრაფად, თითქმის თვალის დასანახავად ჩამოდიოდა ირგვლივ ბინდი. ყინვას შესამჩნევად მოემატა, ქვენა ქარი უკვე ყალყზე შემდგარიყო, ტალღა-ტალღად იკლაკნებოდა. მოქურუხებული შევიდა საჩეხეში ედიღეი, ბრაზით დააკვესა თვალები, ყარანარს დაუღრიალა, რომელიც ჯაჭვიდან აწყვეტას ლამობდა:

- შენ მაინც ბღავი! მაინც ვეღარ გაიძღე გული! აბა ახლა მიიღებ საკადრისს! ნაძირალავ! ახლა ბევრ ლაილაის აღარ გაგიბამ! ახლა ყველაფერი ფეხებზე მკიდია!

ედიღეიმ ღვარძლიანად ჰკრა მუშტი ყარანარს ფერდში, დედა შეაგინა, უნაგირი მოხსნა, შორს მოისროლა და ფეხზე ჯაჭვი ახსნა. მერე სადავეს ჩაჰკიდა ერთი ხელი, მეორეში ტარზე დახვეული მათრახი ჩაბღუჯა და ტრამალისაკენ გასწია, თან წაათრია ათანი, მჭმუნვარედ რომ კუთავდა და ბღაოდა. რამდენჯერმე უკან მოიხედა ედიღეიმ, მუქარით შეარხია და ღონივრად ჩამოსწია სადავე ბურანელ ყარანარს, კუთვა და ბღავილი რომ შეეწყვიტა, მაგრამ რაღაი არაფერმა გასჭრა, მიაფურთხა და ისევ წინ გაალაჯა, ყურადღებას აღარ აქცევდა აქლემის ბღავილს, ღრმა თოვლს მიარღვევდა ქვენა ქარის საპირისპიროდ

ნელ-ნელა ჩამობნელებულ ტრამალზე. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ არ ჩერდებოდა. ასე იარა დიდხანს მოღუშულმა და თავჩაქინდრულმა, ასაქცევის კარგა შორს გორაკის ძირას გააჩერა ყარანარი და უწყალოდ გაუსწორდა. ტყაპუჭი თოვლზე მიაგდო, ავშარის სადავე დაბამბულ ხალათის ზემოთ ქამარზე მიიბა, აქლემი რომ არ გაქცეოდა და თან ხელებიც თავისუფალი ჰქონოდა, მათრახის ტარი ორივე ხელით ჩაბღუჯა და თან ათანს დაუწყო ცემა ჯავრისა და ბოღმის ამოსაყრელად. გამხეცებით, დაუნდობლად უზაპუნებდა მათრახს ბურანელ ყარანარს, თან ხრიწინით აგინებდა და წყევლიდა:

- ესეც შენ! ესეც შენ! უნამუსო პირუტყვო! ყველაფერი შენი ბრალია? კი, კი, შენი, შენი! შენა ხარ ყველაფერში დამნაშავე. ახლა გაგიშვებ, გაიქეც, სადაც გენებოს, მაგრამ მანამდე კი დაგასახიჩრებ! ესეც შენ! ესეც შენ! გაუმაძღარო პირუტყვო! აღარაფერი გეყო! გარე-გარე მოგინდა წოწიალი ის კი ამასობაში წავიდა და ბიჭებიც თან წაიყვანა! არც ერთს არ განაღვლებთ, მე რა დღეში ვარ! როგორ ვიცხოვრო ამქვეყნად? როგორ გავძლო უმისოდ? თუ თქვენთვის სულ ერთია, ჩემთვისაც სულ ერთია. აჰა, ესეც შენ, ძაღლო!

- ბღაოდა, თავის აწყვეტას ლამობდა ყარანარი, აქეთ-იქით აწყდებოდა, მათრახი რომ აეცდინა. ბოლოს შიშისა და ტკივილისაგან გაგიჟებულმა პატრონი წააქცია და გაიქცა. მირბოდა გასაოცარი ძალით და თოვლზე მორივით მიათრევდა პატრონს, ოღონდაც მოეშორებინა, ოღონდაც თავი აეხსნა და იქ გაქცეულიყო, საიდანაც ძალით გამოაბრუნეს.

- გაჩერდი! გაჩერდი! - უყვიროდა თოვლისგან ლამის გაგუდული ედიღეი ათანს.

ქუდი გადასძვრა ედიღეის, ნამქერებს უხათქუნებდა თავპირს, მუცელს. თოვლი ეყრებოდა კისერში, უბეში, ხან ცეცხლი-

ვით შანთავდა და ხან ჰყინავდა, მათრახი ხელებში გაბლანდოდა. ვერაფერი გაეხერხებინა ათანის გასაჩერებლად, რომ ავშარის სადავე აეხსნა. ის კი დაფეთებული, გონდაკარგული გარბოდა და პატრონს მიათრევდა, გრძნობდა, რომ გაქცევითღა უშველიდა თავს. კაცმა არ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, ედიღეის რომ რაღაც სასწაულით ღვედი არ მოეშვა, ბალთა არ მოეგლიჯა და ასე არ ეხსნა თავი, თორემ ნამქერებში ჩაიხრჩობოდა. როცა უკვე ავშარის სადავეს მოებღაუჭა, აქლემმა რამდენიმე მეტრზე კიდევ წაათრია და გაჩერდა. პატრონს უკანასკნელი ძალა მოეკრიბა და ისე აკავებდა

- უჰ, შენი! - ბურტყუნებდა გულმოსული, თოვლისგან დასუსხული ედიღეი, რომელსაც სუნთქვა ეკვროდა და ბანცალებდა. - ასე ხომ! აჰა, სამაგიეროდ, პირუტყვო! მომწყდი, თვალთაგან დამეკარგე, გაიქეცი, წყეულო, ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს! ჯანდაბამდე გზა გქონია! დაიკარგე, მოუსვი აქედან! გაუშვი, მოგკლან, ცოფიანი ძაღლივით გაგაცხებინონ სული! ყველაფერი შენი ბრალია! სულიც გაგძრობია ტრამალში. შენი ჭაჭანება არ იყოს ამ არემარეში! - ყარანარი ბღავილ-ბღავილით მირბოდა აქ-მოინაქისკენ. ედიღეი კი მათრახის ცემით მიაცილებდა, გმობდა, წყევლიდა და დედას აგინებდა. შურისგებისა და განშორების დრო მოვიდა. ჰოდა, ედიღეიც, დიდხანს ყვირილით მიძახოდა კვალდაკვალ:

- დაიკარგე, ეშმაკის კერძო! გაიქეც! სულიმც გაგიცხია, უძღებო შენა! აგრემც ტყვია უხლიათ შენთვის შუბლში!

შორს და შორს გარბოდა ყარანარი ჩამობნელებულ ტრამალზე და მალე ქარბუქის ბურს შეერია. დროდადრო მისი მკვეთრი, ხმამაღალი ბღავილი ისმოდა. ახლა ალბათ მთელი ღამე ირბენს ამ ქარბუქში, ვინემ აქ-მოინაქელ ჯამა აქლემებს არ მიაღწევს.

- ფუი! - გადააფურთხა ედიღეიმ და უკან გამოჰყვა მისი სხეულით თოვლზე გატანილ კვალს. უქუდო, უტყაპუჭო მილასლასებდა სიბნელეში, პირი და ხელები უხურდა, მათრახს მიათრევდა. და უცებ ძალა გამოელია, ძალამ უმტყუნა ედიღეის, თოვლში ჩაიჩოქა, სამად მოიკაკვა, თავზე ხელები წაივლო და ყრუდ, გულამოსკვნით აქვითინდა. ის მარტო, სულ მარტოდმარტო იყო დაჩოქილი შუა საროზექში. ზუზუნით დაქშუოდა ქარი, ყალყზე დგებოდა, იფაფრებოდა, ზემოდან ცვიოდა თოვლი. ყოველი ფიფქი, მილიონობით ფიფქი, ჰაერში უხმაუროდ მოშრიალე და მოგლასუნე, თითქოს ჩასჩურჩულებდა, რომ ვერ აიტანს ედიღეი განშორების სიმძიმეს, რომ საყვარელი ქალის და იმ პატარა ბიჭების გარეშე, რომელთაც ბევრ მამაზე მეტად მიეჩვია, აზრი არა აქვს მის სიცოცხლეს. სიკვდილი ინატრა იმ წუთს ედიღეიმ, მოუნდა აქვე ჩაემარხა იგი თოვლს.

- „არაა, არაა ღმერთი! არც იმას გაეგება ინჩიბინჩი ამ ცხოვრებისა! სხვებისაგან რაღას უნდა ველოდე! არაა, არაა ღმერთი! - უთხრა თავის თავს ამ უკაცრიელ ღამის სიბნელით მოცულ საროზექში უსასოო მარტოობაში დარჩენილმა. მანამდე ხმამაღლა არასოდეს უთქვამს ასე. არც მაშინ, როცა ელიზაროვი, რომელსაც თავის გულში ღმერთი მუდამ ახსოვდა, არწმუნებდა, მეცნიერების აზრით, ღმერთი არ არსებობსო, არ დაუჯერებია ეს ედიღეის. ახლა კი დაიჯერა...

და ტრიალებდა დედამიწა თვის წრესა ზედა, და უვლიდნენ ირგვლივ ქარნი ზენანი. ტრიალებდა იგი მზის გარშემო, ტრიალებდა თავისი ღერძის ირგვლივ და თან მიჰყავდა თოვლიან უდაბნოში ჩაჩოქილი კაცი. არა ხელმწიფე, არა იმპერატორი, არა სხვა მეუფე, სახელმწიფოსა და ხელისუფლების დაკარგვით შეძრწუნებული, არ დაიჩოქებდა ამქვეყნად ისეთი სასოწარკვე-

თილებით, როგორც ბურანელი ედიდეი იყო დაჩოქილი საყვარელ ქალთან განშორების დღეს... და ტრიალებდა დედამიწა...

სამიოდე დღის შემდეგ ყაზანგაპმა საწყობთან გააჩერა ედიღეი, სადაც რელსების შესაკეთებელი ნაწილები უნდა მიეღოთ.

- ძალიან გაგარეულდი, ედიღეი, - უთხრა თითქოს სხვითა შორის, როცა რკინის ნაწილების შეკვრას საზიდზე აწყობდა. - არ ვიცი, გამირბიხარ, არ ვიცი, პირს მარიდებ. ვერა და ვერ დაგლაპარაკებივარ.

ედიღეიმ მკვახედ, გაავებით შეხედა.

- რომ დაგელაპარაკო, ადგილზე მიგახრჩობ, თავადაც იცი!

- ეჭვი არ მეპარება, რომ მეც მიმახრჩობ და კიდევ სხვასაც. მაგრამ ასე რამ განგარისხა?

- თქვენ აიძულეთ წასულიყო! - პირში მიახალა ედიღეიმ, რაც აწუხებდა და რაც მთელი ეს დღეები მოსვენებას არ აძლევდა.

- იცი, რას გეტყვი, - თავი გადააქნია ყაზანგაპმა და ბრაზმა თუ სირცხვილმა სახე აულანძა. - რაღაი ეგეთი რამ გიფიქრია, მაშასადამე, მარტო ჩვენზე კი არა, ამ ქალზედაც ცუდი აზრისა ყოფილხარ. მადლობა თქვი, რომ დიდი ჭკუა აღმოაჩნდა მაგ ქალს, შენ არ გგვანებია. როდესმე თუ გიფიქრია, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი? არა, ხომ? მაგან კი იფიქრა და გადაწყვიტა, ვინემ გვიან არაა, აქედან წასულიყო. ჰოდა, როცა მთხოვა, მეც ავდექი და გამგზავრებაში დავეხმარე. არ ჩავეძიე, საით მიდიოდა თავისი შვილებით, არც თვითონ უთქვამს. დაე, განგებამ უწყოდეს მხოლოდ, მეტმა არავინ გაიგე? ისე წავიდა,

არც ერთი სიტყვით არ შეულახავს არც თავისი ღირსება, არც შენი ცოლისა. ადამიანურად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. შენ კი ორივეს წინაშე თავი მიწას უნდა ახალო, რომ გარდაუვალ განსაცდელს აგაცდინეს. უქუბალასთანა ცოლს შენს სიცოცხლეში ვერ მოძებნი. სხვა მაგის ადგილზე ისეთ დღეს დაგაწევდა, ყარანარზე უფრო შორს გადაიკარგებოდი.

ხმა არ გაუღია ედიღეის - ან რა უნდა ეპასუხა? კაცმა რომ თქვას, ყაზანგაპი მართალს ამბობდა. თუმცა არა, ვერ ჩასწვდებოდა ყაზანგაპი იმას, რაც მისთვის მიუწვდომელი იყო. იმიტომაც ზიზღით გადააწიტა და დაურიდებლად მიახალა:

- ეგრე იყოს! გავიგე, შენისთანა ბრძენი რასაც ფიქრობს. ალბათ ოცდასამი წელი იმიტომაც დადიხარ აქ შეუნაცვლებლად, კაცი წუნს ვერ მოგინახავს სალოცავი კერპივით, რა იცი შენ ამ ამბების! კაი, კაი დრო არა მაქვს, აქ ვიდგე და გისმინო. - გატრიალდა და წავიდა ედიღეი, აღარ დაუწყო ლაპარაკი.

- შენ იცი, შენი თავის პატრონი შენა ხარ, - მოესმა უკნიდან ამ საუბრის შემდეგ გადაწყვიტა ედიღეიმ დაეტოვებინა ეს მოძულებული ბორანლი-ბურანის ასაქცევი. მართლა აღარ გაეძლებოდა აქ, მოსვენებას ვერ პოულობდა, ვერ დაევიწყა, ვერ მორეოდა გულისმღრღნელ ნაღველს. ზარიფსა და მისი ბიჭების გარეშე დაცარიელდა, გაუკაცრიელდა მისთვის აქაურობა. ჰოდა, ამ წამებისგან რომ თავი ეხსნა, მაშინ გადაწყვიტა ედიღეი ჟანგელდინმა ოფიციალურად მიეცა განცხადება ასაქცევის უფროსისათვის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე და ოჯახიანად სადმე გამგზავრებულიყო, სულ ერთია, სად, ოღონდ აქ აღარ ეცხოვრა. მართლა და მართლა მიჯაჭვული ხომ არაა ამ დაწყევლილ მიყრუებულ ასაქცევზე, ხომ ცხოვრობს უმრავლესობა სხვა ადგილებში - ქალაქებსა თუ სოფლებში, ერთი საათიც კი არ და თანხმდებოდნენ აქ ცხოვრებას. მან რატომ უნდა გა-

ატაროს თავისი წუთისოფელი საროზექში? რა შესცოდა ასეთი? არა, ეყოფა, წავა, ან არალის ზღვას მიაშურებს ან ყარაგანდასა თუ ალმაატაში გასწევს - რამ გამოლია ამქვეყნად ადგილები. მუშა კარგია, ხელი და ფეხი არ აკლია, ჯანს არ უჩივის, თავი ჯერ კიდევ მხრებზე აბია, მიაფურთხებს ყველაფერს და წავა, რა არის აქ თავსამტვრევი და ტვინსაჭყლეტი, ოღონდაც უქუბალას როგორ უთხრას, როგორ დაარწმუნოს, მარტო ეს აფიქრებდა, თორემ დანარჩენს როგორმე მოევლებოდა. ხოლო ვინემ მოიფიქრებდა, ვინემ მარჯვე დროს შეარჩევდა სათქმელად, ამასობაში კვირაც მიილია. და მოულოდნელად ბურანელი ყარანარი, ის ყარანარი, რომელიც მან გააგდო, რათა თავის ნებაზე ეცხოვრა და ეწანწალა, ისევ გამოეცხადა.

სახლის უკან ძაღლის ყეფა მოესმა ედიღეის: გაიქცეოდა, დაჰყეფდა და ისევ უკან მორბოდა ძაღლი. გარეთ გავიდა, რა ამბავიაო, და საჩეხეს ახლოს უცხო აქლემი დაინახა, ერთ ადგილზე უცნაურად გახევებულ-გაშეშებული. რომ მიუახლოვდა, მაშინდა იცნო თავისი ყარანარი.

- ეს შენ ხარ? რა გიქნია, სადამდე მისულხარ, ბეჩერა[22]? ასე როგორ დაუძლურებულხარ და გაგცლია სიქა! - შესძახა სახტად დარჩენილმა ედიღეიმ.

ცარიელი ძვალი და ტყავიღა იყო ბურანელი ყარანარი. გალეულ კისერზე ვეებერთელა თავი უკანკალებდა, ჩაცვივნული თვალუები დაღონებით იმზირებოდნენ, ბანჯგვლებიც თითქოს მისი არ იყო, თითქოს სამასხარაოდ მიებათ, მუხლებს ქვემოთ ეკიდა ძენძივით. სადღა იყო ყარანარის ზურგზე ორი კოშკივით ამართული კუზი - ბებრის ძუძუებივით დაჩუტოდა და გვერდზე ჩამოჰკონწიალებოდა ორივე. საჩეხემდეც ვერ მოეღწია ათანს,

[22] საცოდავი, უბედური, სნეული

სულის მოსათქმელად გაჩერებულიყო, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე გამოეწურა მძუნაობას, უკანასკნელ უჯრედამდე დაცლილიყო ყველაფრისაგან და დაბერტყილ ტომარასავით დაბრუნდა, ძლივას მოფოფხდა შინამდე.

- ჰაი, ჰაი, ჰაი, - გაკვირვებული უვლიდა გარშემო ედიღეი და, ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგებით იძახდა. - აი, სადამდე მისულხარ! ძაღლმაც ვერ გიცნო. ათანი კი იყავი! ვაჰ, ვაჰ! რა პირით მოხვედი ნეტა?! სინდის-ნამუსი რა უყავ! კვერცხები თუ შეგრჩა მაინც, ხომ არ დაგიკარგავს გზაში? ფუჰ, რანაირად ყარხარ! ძალა არ გეყო და ფეხებზე ისხამდი შარდს. მიგყინვია კიდეც უკან! ეს როგორ გაგიუბედურებია თავი!

განძრევის თავი არ ჰქონდა ყარანარს, სადღა იყო მისი ძველი ძალა და მედიდურება. დაღონებული, გასაცოდავებული აყანყალებდა თავს და იმასღა ცდილობდა, არ წაქცეულიყო.

შეეცოდა ედიღეის ათანი. შინ შებრუნდა და სავსე ტაშტით ნარჩევ-ნარჩევი პურის ხორბალი გამოუტანა. ზემოდან ერთი მუჭა მარილი მოაყარა.

- აჰა, ჭამე, - დაუდგა საჭმელი წინ აქლემს. - იქნებ ცოტა მოსულიერდე. მერე წაგიყვან საჩეხეში. დაისვენებ, გონს მოხვალ.

იმავ დღეს თავისი ფეხით მიადგა სახლში ყაზანგაპს და უთხრა:

- აი, რა საქმეზე მოვედი, ყაზანგაპ. არ გაგიკვირდეს, გუშინ ლაპარაკიც არ ინდომა ჩემთან, ასე და ისეო, დღეს კი თავისი ფეხით მომადგაო. დიდი საქმე მაქვს. ყარანარი მინდა დაგიბრუნო და მადლობაც გითხრა, თავის დროზე რომ ძუძუთა მაჩუქე. კარგად მემსახურა ეს ხანი. ამას წინ გავაგდე, მოთმინება გამიწყდა, მაგრამ დღეს კი ისევ მოლასლასდა ჩემთან. ფეხები ძლივს მოათრია. ახლა საჩეხეში წევს. ორიოდე კვირის შემდეგ ადრინ-

დელ ძალას დაიბრუნებს, ისევ ღონივრად იქნება. ოღონდაც ჭამა ჭირდება.

-დაიცა, - გააწყვეტინა ყაზანგაპმა. - გულში რა ჩაგიდვია? ასე უცბად რამ გადაგაწყვეტინა ყარანარის დაბრუნება? მე გთხოვე თუ?

მაშინ გაუმხილა ედიღეიმ, რაც ედო გულში. ასე და ასეო, მინდა ოჯახიანად აქედან წავიდეო. მომბეზრდა საროზექში, დროა საცხოვრებელი ადგილი შევიცვალო. იქნებ უკეთესად წამივიდეს საქმეო. ყაზანგაპმა ყურადღებით მოუსმინა და ასე უთხრა:

- შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ მგონია, თავადაც არ გესმის რა გინდა: კარგი, ვთქვათ, აქედან წადი, მაგრამ საკუთარ თავს სად გაექცევი. სადაც არ უნდა გადაიკარგო, შენი ჯავრი და სადარდებელი თან წაგყვება, არ მოგშორდება. არა, ედიღეი, თუ ჯიგიტი ხარ, აქ მოერიე შენ თავს. აქედან წასვლა კი ვაჟკაცობა არაა. ჰაი, ჰაი, რომ წასვლა ყველას შეუძლია, საკუთარ თავს კი ყველა ვერ მოერევა.

ედიღეი არ დათანხმდა, მაგრამ არც შეედავა. ჩაფიქრებული იჯდა და მძიმედ ხვნეშოდა. „იქნებ მართლა წავიდე, სხვა მხარეში გადავიკარგო? - ფიქრობდა იგი. - მაგრამ დავივიწყებ კია? ან რატომ უნდა დავივიწყო? არადა, როგორ ვიცხოვრო მერმე? არ შემიძლია არ ვიფიქრო და ფიქრიც რომ მიმძიმს! თვითონ რა დღეშია ნეტა? სად არის ახლა თავისი პატარებით? ან ჰყავს კი ვინმე, გაუგოს და დაეხმაროს გაჭირვებაში? უქუბალაც რომ იტანჯება, რამდენი დღეა ითმენს ამ ჩემს გაბუებას, გაუცხოებას... რა მისი ბრალია?“

მიხვდა ყაზანპაგი, რაზედაც დაფიქრებულიყო ბურანელი ედიღეი. მიხვდა და, მისთვის რომ საქმე გაეადვილებინა, ჩაახველა, ხოლო როცა ედიღეიმ თავი ასწია, ასე უთხრა:

- ჩემი დარიგება რად გინდა, ედიღეი, თვითონაც კარგად იცი ყველაფერი. კაცმა რომ თქვას, არც შენ ხარ რაიმალი-აღა და არც მე აბდილხანი. რაც მთავარია, ამ ჩვენს კედაროში ას ვერსზე ერთ ხეს ვერ ნახავ, შენი მიბმა შეძლოს კაცმა. თავისუფალი ხარ, როგორც გიჯობდეს, ისე მოიქეცი. ოღონდაც ვინემ წასვლას გადაწყვეტდე, კარგად დაფიქრდი.

ყაზანგაპის ეს სიტყვები დიდხანს არ დავიწყებია ედიღეის.

თავისი დროისათვის დიდად ცნობილი მომღერალი იყო რაიმალი-აღა, სიყმაწვილითვე სახელგანთქმული. ღმერთმა ერთად დააბერტყა სამი სიკეთე, სამი დიდებული მადლი: პოეტიც იყო, კომპოზიტორი და საკუთარი სიმღერების გასაოცარი შემსრულებელიც, ძალუმი სუნთქვის პატრონი. თავის თანამედროვეებს აოცებდა რაიმალი-აღა. სიმებს ჩამოჰკრავდა თუ არა, უმალ სიმღერაც იღვრებოდა, მსმენელთა თვალწინ იბადებოდა. მეორე დღეს კი ეს სიმღერა პირიდან პირში გადადიოდა, რამეთუ რაიმალი-აღას სიმღერის მსმენელი ჰანგს მაშინვე იმახსოვრებდა, თან მიჰქონდა აულებსა და ქოჩებში. ამ სიმღერას მღეროდნენ იმდროინდელი ჯიგიტები:

ცივი წყლის გემოს მაშინ იგრძნობს კარგი ტაიჭი,
ოდეს მთის წყაროს დაეწაფება.
ოდეს მე შენკენ ცხენით მოვქრივარ,
ჩამოუხდელად ბაგე ბაგეს რომ შეგაწებო,
მაშინ განვიცდი წუთისოფლის მთელ სიტკბოებას...

ლამაზად იცვამდა რაიმალი-აღა, სულ ნაირ-ნაირს, ღმერთსაც დაედგინა მისთვის ასე. მეტადრე ძვირფასი ბეწვით შემოვ-

ლებული ქუდები უყვარდა, ზამთარ-ზაფხულ-შემოდგომობით სულ სხვადასხვა. მის განუყრელ ჩალისფერ ახალთეკელ ტაიჭ სარალასაც, თურმენებს რომ ერთ ნადიმზე უჩუქებიათ, პატრონ-ზე არანაკლები სახელი და დიდება ჰქონდა. მისი მოხდენილი, მედიდური თამაშ-თამაშა, სიარული ნეტარებას ანიჭებდა ცხენე-ბის მოტრფიალეთ. იმიტომაც ამბობდნენ ენაკვიმატნი: რაიმა-ლის მთელი სიმდიდრე დომბრის ხმა და სარალას თამაშ-თამა-შა სიარულიაო.

ასედაც იყო. მთელი სიცოცხლე უნაგირზე გაატარა რაიმა-ლი-აღამ, მთელი სიცოცხლე დომბრა არ გაუშვია ხელიდან. ქო-ნება და სიმდიდრე ვერ შეიძინა, სახელი კი დიდი მოიხვეჭა. მა-ისის ბულბულივით ატარებდა თავის წუთისოფელს, სულ ნადი-მებზე, სულ ქეიფსა და ლხინში იყო, ყველგან პატივით და სიყ-ვარულით ეგებებოდნენ. ტაიჭსაც არ აკლდა მოვლა და ჭამა. მაგრამ წელმაგარი, შეძლებული ხალხიდან ბევრს არ უყვარდა რაიმალი, ქარაფშუტულად და უჭკუოდ გაატარა ცხოვრება, მინ-დვრად მოფშტრიალე ქარივითო. დიახ, ამასაც იძახდნენ რაიმა-ლი-აღას ზურგს უკან.

მაგრამ რაიმალი-აღა რომ წვეულებაზე გაჩნდებოდა, მისი დომბრისა და სიმღერის გაგონებაზე ყველა ილურსებოდა, ყვე-ლა მონუსხული მიჩერებოდა ხელებსა, თვალებსა და პირზე, ისინიც კი, ვინც ცხოვრების ყაიდას უწუნებდა. ხელებში იმიტომ, ადამიანის ყველა გრძნობას ახმიანებდა ეს ხელები დომბრაზე; თვალებში იმიტომ - სულისა და ფიქრის მთელ სიძლიერეს აკ-ვესებდა ეს თვალუები, პირზე იმიტომ - ლამაზი და ზეშთაგონე-ბული პირსახე ჰქონდა რაიმალის. რომ მღეროდა, ქარიან დღე-ში წამისწამ ცვალებად ზღვას მოგაგონებდა მისი სახე...

ცოლები გარბოდნენ მისგან, სასოწარკვეთილნი, მოთმინებაგამწყდარნი. მაგრამ ბევრ ქალს კი ღამღამობით ჩუმ-ჩუმად უღვრია ცრემლი მისი გულისთვის, მასზე ოცნებით.

ასე გადიოდა ცხოვრება ქორწილიდან ქორწილზე, ნადიმიდან ნადიმზე სიმრერებსა და დაკვრაში. და ჰა, შეუმჩნევლად შემოეპარა სიბერე. ჯერ ულვაშებში გაერია ჭაღარა, მერე წვერიც გაუთეთრდა. ხანი დაეტყო სარალასაც - ხორცი დაყარა, კუდსა და ფაფარზე ძუა დაეკვნიტა. სიარულზეღა თუ შეატყობდი ადრინდელ სიჩაუქეს, დაუზამთრდა რაიმალი-აღას, ვით ჭკნობაშეპარულ ოლედ მდგარ ამაყ ალვას. მაშინ აღმოჩნდა, რომ არ ჰყავს ოჯახი, არა აქვს სახლი, არ აბადია არც ფარა და არც ქონება. მისმა უმცროსმა ძმამ აბდილხანმა შეიკედლა იგი, თუმცაღა ახლო ნათესავებში უკმაყოფილება და საყვედური თქვა ძმაზე. მაინც ბრძანა ცალკე კარავი დაედგათ რაიმალი-აღასათვის, ეჭმიათ და ერეცხათ მისთვის...

სიბერეზე დაიწყო სიმღერა რაიმალი-აღამ, სიკვდილზე ხშირად ფიქრობდა ახლა. დიდებული, მჭმუნვარე სიმღერები იქმნებოდა იმ დღეებში. მისი რიგიც დადგა, მოცალეობის ჟამს მოაზროვნეთა დასაბამიერ ფიქრს მისცემოდა - რად იბადება კაცი? წინანდელივით აღარ დადიოდა ნადიმებსა და ქორწილებზე, უფრო ხშირად შინ იჯდა, უფრო ხშირად ნაღვლიან ჰანგებს აჟღერებდა დომბრაზე, მოგონებებით სულდგმულობდა, უფრო ხშირად და უფრო დიდხნობით იჯდა ხოლმე უხუცესებთან და წუთისოფლის ამაოებაზე მსჯელობდა...

ღმერთია მოწმე, მშვიდად დაასრულებდა თავის წუთისოფელს რაიმალი-აღა, ერთ ამბავს არ შეეძრა იგი სიცოცხლის ბოლოს.

ერთ დღეს ვეღარ მოითმინა რაიმალი-აღამ, თავისი ბებერი სარალა შეკაზმა და დიდ ლხინზე გასწია დარდების გასაქარ-

ვებლად. ყოველი შემთხვევისათვის დომბრაც თან წაიღო. ძალიან შეეხვეწა და შეემუდარა საპატიო ხალხი, ქორწილზე გვეწვიე, თუ არ იმღერებ, სტუმრად მაინცო. დარბაისელთა წრეში იჯდა, კუმისსა სვამდა, დინჯად ბაასობდა და კეთილ სურვილებს გამოთქვამდა.

გახურებული ლხინი იყო აულში, ყოველი მხრიდან ყმაწვილების სიმღერა და სიცილი მოისმოდა, მათი თამაში და გართობა. ემზადებოდნენ ნეფე-პატარძლის საპატიოდ გამართული დოღისათვის, ტრიალებდნენ მზარეულები კოცონებთან, თავისუფლად დანავარდობდნენ ჯოგები, უზრუნველად დარბოდნენ ძაღლები, მონავარდე ქარს ტრამალიდან აყვავებული ბალახების სურნელი მოჰქონდა... მაგრამ რაიმალი-აღას მთელი გულისყური მეზობელ კარავს მიეჯაჭვა, საიდანაც მუსიკა და სიმღერა მოისმოდა, ყმაწვილ ქალთა სიცილ-კისკისზე ყურებს ცქვეტდა...

გული უკვნესდა, სული უწუხდა ბებერ აშუღს, არ იმჩნევდა, მაგრამ ფიქრით კი წარსულში ჰქროდა, იმ დღეებს იგონებდა როცა ჭაბუკი და ლამაზი იყო, როცა თავის ახალგაზრდა რაშს გზებზე დააგელვებდა, როცა გადათქერილი ბალახი სიცილ-ტირილით ხვდებოდა, როცა მზე მისი სიმღერის გაგონებისას შესაგებებლად მოგორავდა, როცა მკერდს ქარი უვსებდა, როცა მისი დომბრის ჟღერა ხალხს გულს უჩქროლებდა, როცა მის სიტყვებს ჰაერში იჭერდნენ, როცა ტანჯვაც ძალუძდა, სიყვარულიც და სინანულიც, როცა უზანგის მოშორება ცრემლებს აღვრევინებდა... რად, რისთვის იყო ეს ყველაფერი? განა იმისთვის, რომ სინანულს აევსო გული და მინავლებული ცეცხლივით ნელინელ ჩაფერფლილიყო სიბერეში?

სევდამ მოიცვა რაიმალი-აღა, მეტწილად მდუმარ ფიქრს მისცემოდა. ანაზდად ნაბიჯის ხმა, ლაპარაკი, ფარღულის წკრი-

ალი და კაბის ნაცნობი შრიალი შეესმა კართან. ვიღაცამ გარე-დან ასწია იურტას კარზე ჩამოფარებული ფარდაგი და ზღურ-ბლზე ვიღაც ასული გადმოდგა. დომბრა მიეკრა გულზე. გაშ-ლილა სახე ჰქონდა, ცქვიტი, ამაყი მზერა. შვილდივით მოზი-დული წარბები, მტკიცე ხასიათს რომ მოწმობდა მისას. ყველაფ-რით შეემკო გამჩენს ეს შავთვალა - სიმაღლით, გარეგნობით. შესამოსელით, თითქოსდა ოსტატის ხელებს გამოეძერწოს იგი. თავი დახარა დარბაისელთა წინაშე, პატიების თხოვნის ნიშნად. დაქალები და რამდენიმე ჯიგიტი ახლდა. მაგრამ პირის გაღება ვერავინ მოასწრო, რომ ასულმა სიმებს ჩამოჰკრა, რაიმალი-აღას მიაპყრო მზერა და მისასალმებელი სიმღერა წამოიწყო:

„ვით მექარავნე მოწყურებული შორი გზით მოდის წყაროს წყალთან, ასე მოველ მეც. სახელოვანო რაიმალი-აღა, მისალ-მების სიტყვა რომ გითხრა. ნუ შეგვიწყრები, ხმაურით რომ შე-მოგეჭერით, - ქორწილი რისი ქორწილია, თუ ლხინი და მხი-არულება არ გაამეფა. ნუ გაიკვირვებ ჩემს სითამამეს, რაიმალი-აღა - ისეთივე გულის კანკალით და ფარული შიშით გავბედე შენთან მოსვლა ჩემი სიმღერით, თითქოს სიყვარულს გიმხელ-დე ჩემსას. მაპატიე, რაიმალი-აღა, როგორც მამაპაპური თოფია ხოლმე დატენილი თოფისწამალით, მეც სითამამე ისევე მავ-სებს. თუმც ლაღად ვცხოვრობ. ნადიმებსა და ქორწილებზე დროს ატარებ, მთელი სიცოცხლე ამ შეხვედრისათვის ვემზადე-ბოდი იმ ფუტკარივით, წვეთ-წვეთობით რომ თაფლს აგროვებს. ვემზადებოდი იმ კოკორივით, ვისაც გაფურჩქვნა დანიშნულ დროზე უწერია და ეს დროც დადგა...“

„კი მაგრამ, ვინ ხარ, მშვენიერო უცხო ასულო?“ - კითხვა უნდოდა რაიმალი-აღას, მაგრამ ვერ გაბედა სხვისი სიმღერის შუაზე შეწყვეტა. ეს კია, განცვიფრებული და აღტაცებული მისკენ გადაიხარა. სული შეეძრა, მჩქეფარე სისხლმა გზნებით აუნთო

მთელი სხეული. იმ წუთს, რომ ვინმე დაკვირვებოდა. დაინახავ-და, როგორ შეთრთოლდა. როგორ აიქნია ფრთები როგორც სვავმა ცად აფრენისას. თვალები გამოუცოცხლდა და აუელვარ-და, მთელი სხეული დაეძაბა, თითქოს ზეციდან ხმა სასურველი შემოესმა. თავი ასწია რაიმალი-აღამ, სულ დაავიწყდა თავისი წლები...

მომღერალი ასული კი განაგრძობდა:

„მაშ, მოისმინე ჩემი ამბავი, დიდო ჟირაუ, რახან გადავწყვი-ტე და გადავდგი ეს ნაბიჯი, მე სიყრმითგანვე მიყვარდი, ღვთის ნიჭით მომადლებულო მგოსანო რაიმალი-აღა. მე სულ თან გდევდი, რაიმალი-აღა, სადაც არ უნდა წასულიყავ, სადაც არ უნდა გემღერა. ნუ გამკიცხავ, ჩემი ოცნება იყო ისეთი აკინი ვყო-ფილიყავ, როგორიც შენ იყავ და ახლაცა ხარ, დიდოსტატო რა-იმალი-აღავ. უხილავ ჩრდილივით შენს კვალში მავალს არ გა-მიშვია არც ერთი შენი სიტყვა, შენს ჰანგებს ლოცვასავით ვიმეო-რებდი, ასე ვსწავლობდი, ასე დავიზეპირე, ვით შელოცვანი, შე-ნი ლექსები. მე ვოცნებობდი, მე ღმერთს ვვედრიდი ჩემთვის მო-ევლინა დიდი ნიჭი, რომ ერთ ბედნიერ დღეს შემძლებოდა და მოგსალმებოდი, რომ სიყვარულში გამოგტეხოდი, შენი დიდი ხნის მოთაყვანეს მემღერა შენ წინ შექმნილი სიმღერები და, დაე ღმერთმა არ შემრისხოს სითავხედისათვის, ოსტატობაში გაგ-ჯიბრებოდი, დიდოსტატო, გინდაც ძლეული ვყოფილიყავი. ამ დღეზე ისე ვოცნებობდი, რაიმალი-აღა, როგორც ზოგიერთი ქორწილს ინატრებს, მაგრამ მე მაშინ პატარა ვიყავ, შენ კი - ეგზომ დიდს, ეგზომ საყვარელს ყველასათვის, დიდებითა და პა-ტივით მოსილს, განა რა გასაკვირია, ჩემისთანა პატარა გოგო ვერ შეგემჩნია და გამოგრჩენოდა ნადიმებზე შეყრილ ხალ-ხმრავლობაში. მე კი, შენი სიმღერებით დამტკბარსა და მთვრალს, იდუმლად შენზე მეოცნებეს, თუმცა კი სირცხვილით

დამწვარს, დაქალება მინდოდა ჩქარა, რომ შენ წინ თამამად და გაბედულად წარვმდგარიყავი. მე ფიცი დავდე ჩავწვდომოდი სიტყვის მუღამს, ჩავწვდომოდი მუსიკის არსს შენებრ ღრმად და შენნაირი სიმღერა მესწავლა, ჩემო მოძღვარო, რათა შენთან მოვსულიყავი, არ მშინებოდა გამკიცხავ მზერის, მოგსალმებოდი, სიყვარულში გამოგტყდომოდი და დაუფარავად გამომეწვიე. და ჰა, მოვედი. მოვედი და უნდა განმსაჯო. ვინემ გაზრდას, ვინემ დაქალებას ვესწრაფოდი, დრო ზლაზვნა-ზლაზვნით გადიოდა. და როგორც იქნა ამ გაზაფხულზე ცხრამეტი წელი შემისრულდა. შენ კი, რაიმალი-აღა, ჩემს ქალწულებრივ წარმოსახვაში ისევ ისა ხარ, ისევ ისეთი, ოღონდ ცოტა გაჭაღარავდი. მაგრამ ეს სულაც ხელს არ მიშლის, რომ შეგიყვარო, ისევე, როგორც შემიძლია არ შევიყვარო სხვა უჭაღარო. და ჰა, აქა ვარ. ახლა კი მინდა პირდაპირ და აშკარად გითხრა, როგორც ქალს, შეგიძლია ზურგი მაქციო, ხელი ამაღო, მაგრამ ვით აშუღს - უფლება არა გაქვს უარი მითხრა, რამეთუ მე აქ მჭევრმეტყველებაში გასაჯიბრებლად მოვედი შენთან... მე გიწვევ, ოსტატო ჩემო, სიტყვა ახლა მხოლოდ შენზეა!“

- კი, მაგრამ ვინ ხარ? სადაური? - შესძახა რაიმალი-აღამ . ადგილიდან წამოდგა. - ან რა გქვია?

- ბეგიმაი მქვია.

- ბეგიმაი? აქამდე სად იყავ, ბეგიმაი, საიდან გაჩნდი, ბეგიმაი? - უნებურად აღმოხდა რაიმალი-აღას და თავი დაღონებით ჩაჰკიდა.

- აკი გითხარი, რაიმალი-აღა, პატარა ვიყავ, ვიზრდებოდი.

- ყველაფერი მესმის, - მიუგო რაიმალი-აღამ. - ეს ერთი არ მესმის მხოლოდ, ვერ გამიგია ჩემი ბედისა! რად მოინდომა ეგზომ მშვენიერი გაეზარდე ჩემი ცხოვრების დაისისათვის, ჩემი ცხოვრების დაზამთრების ხანს? რატომ, რისთვის? რომ მათქმე-

ვინოს, ყველაფერი, რაც წინათ იყო, ყველაფერი ის არ იყო, რომ ამაოდ გავლიე დღენი და არ ვიცოდი, ცით მოვლენილი სიხარული და ჯილდო - შენი გაცნობა, სმენა, ხილვა, სატანჯველად გამიხდებოდა? რად შემიწყრა ასე სასტიკად ბედი ჩემი?

- სულ ტყუილად დრტვინავ ასე მწარედ, რაიმალი-აღა - უთხრა ბეგიმაიმ. - უკეთუ ბედი ჩემი სახით მოევლინა - ეჭვი არ გქონდეს, რაიმალი-აღა, ჩემი ალერსი, სიმღერა და თავდადებული სიყვარული თუ გაგახარებს, უფრო ძვირფასი ჩემთვის არ რა იქნება. მაგრამ თუ ეჭვებს მაინც ვერ სძლიე, თუ შენკენ კარი გადამიკეტე, მაშინაც კი, შენი უსაზღვროდ მოყვარული, დიდ პატივად ჩავთვლი. ოსტატობაში შეგეჯიბრო, ყაბულსა ვარ ყველანაირ გამოცდაზე!

- აბა რას ამბობ, ბეგიმაი, სიტყვით გამოცდას, ოსტატობაში შეჯიბრებას ნეტა რას ვაქნევ, როცა უფრო საშინელი, სიყვარულში გამოცდა გველის, რაიც იმ წესებს არ ეთანხმება, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ. არა, ბეგიმაი, ვერ შეგპირდები ენამჭევრობაში გაპაექრებას. განა იმიტომ, ძალა არ შემწევს, განა იმიტომ, სიტყვა მოკვდა, არ ცოცხლობს ჩემში. განა იმიტომ, ხმა ძველებურად აღარ მიჟღერს. ამიტომ არა. მე ძალმიძს მხოლოდ შენით ვიყო აღტაცებული, ბეგიმაი. მე ძალმიძს მხოლოდ შეგიყვარო ჩემდა ჭირად და სავალალოდ, ბეგიმაი, და შეგეჯიბრო მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულში, ბეგიმაი.

რაიმალი-აღამ დომბრა აიღო, ახლებურად ააწყო იგი და დაამღერა სრულიად ახალი სიმღერა, დაამღერა ძველებურად - ხან ჟღერდა იგი, ვით ნიავი მოშრიალე ბალახებში, ხან ვით ავდარი, მოგრიალე მოლურჯო-მოთეთრო ცაზე. მას აქეთ დარჩა სიმღერა „ბეგიმაი“.

„შენ თუ მწყურვალი შორით მოხველ, რომ წყაროს წყალსა დაეწაფო მე ვით ნიავი მოვირბენ შენთან და ფეხებში ჩაგივარ-

დები, ბეგიმაი. თუკი ბედისგან მიწერია, ეს დღე უკანასკნელი დღე იყოს ჩემთვის, დღეს არ მოვკვდები, ბეგიმაი. არც არასოდეს არ მოვკვდები, ბეგიმაი, გავცოცხლდები და კვლავ ვიცხოვრებ, ვისულდგმულებ, ბეგიმაი, რომ უშენოდ არ დავრჩე, ბეგიმაი, როგორც უჩინოდ არ შეიძლება დარჩეს კაცი, ბეგიმაი...“

აი, ასე მღეროდა იგი სიმღერა „ბეგიმაის“.

ის დღე ხალხს დიდხანს ჩარჩა ხსოვნაში, ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა უცბად რაიმალი-აღასი და ბეგიმაის გარშემო მაშინ. ხოლო როცა პატარძალი ნეფესთან მიაცილეს, სადღესასწაულო თეთრ კარვებს შორის, სადღესასწაულო ტაიჭებზე ამხედრებულთა შორის სადღესასწაულოდ ჭრელად მორთულ გამცილებელთა ქარავნის თავში რაიმალი-აღა და ბეგიმაი მიჯირითობდნენ კეთილმსურველი სიმღერებით. გვერდი-გვერდით, უზანგ-უზანგ მიაგელვებდნენ ისინი ტაიჭთ, ერთმანეთს მხარს უმშვენებდნენ, ღმერთს მიმართავდნენ, კეთილ ძალთ უხმობდნენ, ახალნაქორწინევთ ბედნიერებას უსურვებდნენ, დომბრაზე, სალამურზე უკრავდნენ. სიმღერებს მღეროდნენ ხან ერთი, ხან მეორე, ხან ერთი, ხან მეორე...

გაოცებული იყო ხალხი, ეს რა სიმღერები გვესმისო, იცინოდა მათ ირგვლივ ხალხი, მიწას ეფინებოდა კოცონთა კვამლი. დაფრინავდნენ ჩიტები. ირგვლივ, მხიარულობდნენ ბავშვები, ორწლიან კვიცებს დააჭენებდნენ.

ვეღარ ეცნო ბერი აშუღი რაიმალი-აღა ხალხს. ადრინდელ ვით ჟღერდა მისი ხმა, ადრინდელივით მოქნილი და ჩაუქი გამხდარიყო, როგორც მწვანე მოლზე დადგმულ თეთრ კარავში მოკიაფე ორი სანთელი, ისე უელვარებდა თვალები. ტაიჭ სარალასაც ამაყად მოეღერა ყელი.

მაგრამ ყველას არ ეჭაშნიკა, არ მოეწონა ეს ამბავი. ზოგზოგი იფურთხებოდა რაიმალი-აღას ცქერისას. ნათესავები და

თვისტომები ბარაქბაის გვარიდან აღშფოთებულნი იყვნენ. ბრაზს შეეპყრო ქორწილზე მყოფი ბარაქბაები. ეს რასა ჰგავს, სულ შეიშალა სიბერეში რაიმალი-აღა. მის ძმა აბდილხანს მიადგნენ და უსაყვედურეს. ასე უთხრეს, თემის უფროსად როგორ აგირჩევთ, მასხრად აგვიგდებს ხალხი არჩევნებზე, როცა ეს ბებერი ქოფაკი რაიმალი-აღა თავსლაფს გვასხამსო? გესმის, როგორ მღერის, როგორ ხვიხვინებს ახალგაზრდა ულაყივით, ან ის გომბიო რას პასუხობს, ხომ გაიგე? სირცხვილო და თავის მოჭრავ! ყველას თვალწინ ეკურკურება. ეს კარგს არას მოასწავებს. რას გადაეკიდა ამ გომბიოს, რაში ჭირდება? თუ ჭკუაზე არ მოიყვან, იცოდე, აულებში ცუდი ხმები დაირხევა...

კარგა ხანია დაბოღმილი იყო აბდილხანი უწესო ძმაზე, გაჭაღარავდა და უზნეობას მაინც არ იშლისო. ეგონა კია, სიბერეში მაინც ჭკუაზე მოვა, დადინჯდებაო, გაგიგონია - ბარაქბაების მთელ გვარს არცხვენს ახლაც და თავს სჭრის.

ქუსლი ჰკრა თავის ტაიჭს აბდილხანმა, ხალხის გარღვევა მოინდომა და ძმასთან მისვლა. მათრახს უღერდა, გონს მოდი, შინ გასწიო! - ყვირილით ემუქრებოდა. მაგრამ არ ესმოდა, ვერ ამჩნევდა აბდილხანს ტკბილადმჟღერი სიმღერებით გართული უფროსი ძმა. უმალ განზე მიაგდეს მომღერლების ირგვლივ დასეულმა თაყვანისმცემელმა მხედრებმა აბდილხანი, სიმღერის ყოველ სიტყვას ხარბად რომ იჭერდნენ, აქეთ-იქიდან თავკისერზე მათრახიც გადაუჭირეს, ვინ, ვერც გაარჩია. უკანვე გაქუსლა აბდილხანმა...

სიმღერა კი არ შეწყვეტილა, ყოველ წუთს ახალ-ახალი სიმღერა იბადებოდა. „ოდეს მარალი[23] შეყვარებული დილაო-

[23] გარეული ირემი

ბით ყვირილით უხმობს თავის მიჯნურს, ხევი ნახმევით ეხმაურე-ბა და ბანს აძლევენ მთა-გორებიც“, - მღეროდა რაიმალი-აღა.

„ოდეს თეთრ გედთან განშორებული დილის მზეს უცქერს მამალი გედი, მზე მისთვის ირგვლივ შავად ანათებს“, - სიმღე-რით ეპასუხებოდა ბეგიმაი.

ასე მღეროდა ახალდაქორწინებულთა პატივსაცემად ხან ერთი, ხან - მეორე, ხან – ერთი, ხან - მეორე...

იმ თავდავიწყების ჟამს რაიმალი-აღამ არ უწყოდა, რა და-ბოღმილმა გაქუსლა მისმა ძმამ აბდილხანმა, რა შეურაცხყოფი-ლი და შურისძიების წყურვილით მიჰყვა უკან ბარაქბაევთა მთე-ლი გვარი. არ უწყოდა, როგორ შეჰკრეს პირი მისდა სამტროდ და რა სასჯელსაც უმზადებდნენ...

სიმღერები კი არ წყდებოდა - ხან ერთი მღეროდა, ხან - მეორე, ხან - ერთი, ხან - მეორე...

უნაგირზე დახრილი, ავად მოქურუზებული მიქროდა აბ-დილხანი შინისკენ, თავის აულში. მგლის ხროვასავით მისდევ-დნენ გვერდიგვერდ ნათესავები, ცხენებიდან უყვიროდნენ:

- შენი ძმა ჭკუაზე შეირყა! გაგიჟდა! უბედურება გველის! უნ-და ვუწამლოთ ჩქარა!

სიმღერები კი არ წყდებოდა - ხან ერთი მღეროდა, ხან - მეორე, ხან - ერთი, ხან - მეორე...

ასე სიმღერ-სიმღერით მიაცილეს მექორწინეთა მაყრიონი დაქმულ ადგილას. გამოთხოვებისას კიდევ იმღერეს კეთილმო-სურნე სიმღერები. მერე ხალხს უთხრა რაიმალი-აღამ - ბედნიე-რი ვარ, რომ ბედმა ამ დალოცვილ დღეს მომასწრო, რომ ჩემი ბადალი აკინი - ნორჩი ბეგიმაი გამომიგზავნა, უთხრა, რომ მარ-ტოოდენ კაჟის კაჟზე დაკვრით ჩნდება ცეცხლი, ასევე სიტყვის ხელოვნებაში ერთმანეთთან გაპაექრება სრულყოფილსა ხდის აკინს. მაგრამ ყველაზე უფრო ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სიცოც-

ხლის მიწურულს, როგორც დაისზე მთელი ძალით აგიზგიზდება ხოლმე მნათობი დასაბამიდან მომადლებული ძალით, ისევე ვიგრძენ მეც სიყვარული, ისეთივე ძალით ამევსო სული, არასოდეს რომ არ მიგრძვნია და განმიცდია.

- რაიმალი-აღა! - უთხრა პასუხად ბეგიმაიმ. - ახდა ჩემი ოცნება, ამიერიდან მე შენს კვალსა ვსდევ, როგორც იტყვი და სადაც იტყვი, ჩემი დომბრით იქ გავჩნდები დაუყოვნებლივ, რათა სიმღერა ჩემი და შენი შევაუღლო, რათა მიყვარდე და შენც გიყვარდე. ასე გაბარებ მე ჩემსა ბედს დაუფიქრებლად.

სიმღერები კი არ წყდებოდა.

იქვე, მთელი ტრამალელი ხალხის წინ დათქვეს რაიმალი-აღამ და ბეგიმაიმ, რომ ერთი დღის შემდეგ დიდ ბაზრობაზე შეიყრებოდნენ და ყოველი მხრიდან ჩამოსულთათვის იმღერებდნენ.

როგორც კი ხალხი დაიშალა, მთელ იმ მხარეში ხმა გავარდა, რაიმალი-აღა და ბეგიმაი ბაზრობაზე ჩამოვლენ და იმღერებენო. პირიდან პირში გადადიოდა ამბავი.

- ბაზრობაზე!

- ბაზრობაზე შეკაზმეთ ცხენები!

- ბაზრობაზე შეიყარეთ აკინთ სასმენად!

პასუხად კი ექოდ ისმოდა:

- აი, ზეიმიც ეს იქნება!

- აი, სეირიც ეს იქნება!

- ვაი, რა დიდებული რამ იქნება!

- ვაი, სირცხვილო და თავის მოჭრავ!

- ვაჰ, რა კარგია!

- ვაჰ, უსირცხვილობაც ასეთი უნდა!

რაიმალი-აღა და ბეგიმაი შუა გზაზე დასცილდნენ ერთმანეთს:

- მაშ, ბაზრობამდე, ჩემო ძვირფასო ბეგიმაი!

- მაშ, ბაზრობამდე, რაიმალი-აღა!

დღე ილეოდა. ზაფხულის თეთრი ბინდი მშვიდად ეფინებოდა ვეება ტრამალს. გადამწიფებულიყო უკვე ბალახი, ჭკნობის სურნელს დაიკრავდა, მთებში გრილი სიო ბერავდა წვიმების შემდეგ, მზის ჩასვლის წინ მძიმე-მძიმედ, დაბლა ფრენდნენ ძერანი, გალობდნენ ჩიტნი უშფოთველ მწუხრის სადიდებელს...

- რა სიჩუმეა, რა მადლია! - წაილაპარაკა რაიმალი-აღამ და სარალას ფაფარზე დაუსვა ხელი. - ეჰ, სარალა, ძველო მეგობარო, ეჰ, ჩემო კარგო, ნუთუ სიცოცხლე მართლა ესოდენ მშვენიერია, რომ ცხოვრების დასასრულსაც ესოდენი ძალის სიყვარულს გვმადლის?

სარალა კი გზას მიჰყვებოდა ფრუტუნ-ფრუტუნით, შინისაკენ მიიჩქაროდა, რომ დაესვენა, დღეს ძალიან დაღლილი იყო, მდინარის წყალი მოსწყურებოდა, მინდვრად მთვარის შუქზე ბალახობა მონატრებოდა.

აგერ აულიც გამოჩნდა მდინარის მოსახვევში, კარვებში მხიარულად მოგიზგიზე კოცონები.

ცხენიდან ჩამოხდა რაიმალი-აღა, ცხენი კადონთან დააბა, კარავში არ შესულა, დასასვენებლად გარეთ დაჯდა კერიასთან. მაგრამ ვიღაც მიუახლოვდა, მეზობლის ბიჭი იყო ეს ვიღაცა.

- რაიმალი-აღა, კარავში გთხოვენ.

- ვინ მთხოვს?

- ჩვენები, ბარაქბაები.

ზღურბლზე გადააბიჯა რაიმალი-აღამ. გვარის უხუცესნი ნანევარწრედ ჩამომსხდარიყვნენ. ცოტა განზე თავის ძმას, აბდილ-

ხანს ჰკრა თვალი. მოღუშული, თავდახრილი იჯდა, თითქოს არ უნდაო მზერა გაუსწოროს ძმას.

- მშვიდობა თქვენდა! - მიესალმა რაიმალი-აღა თვისტომებს. - რამე უბედურება ხომ არ მოხდა?

- შენ გელოდებით, - წარმოთქვა ყველაზე უხუცესმა.

- თუ ასეა, მეც აგერა ვარ, - მიუგო რაიმალი-აღამ, - ოღონდ ადგილს ვეძებ წრეში ჩამოვჯდე.

- დაიცა! კართან დადექ და დაიჩოქე! - გაიგონა ბრძანება.

- ეს რას ნიშნავს? ჯერჯერობით მე ვარ ამ კარვის პატრონი.

- არა, შენ არ ხარ! ჭკუიდან შერყეული ბებერი კარვის პატრონი ვერ იქნება!

- რაზეა ლაპარაკი?

- იმაზე, რომ ამიერიდან ფიცს დადებ, არსად არასოდეს არ იმღერებ, არ იწანწალებ ნადიმ-ნადიმ და თავიდან სამუდამოდ ამოიგდებ იმ გომბიოს, ვისთანაც დღეს თავისმომჭრელ სიმღერებს მღეროდი, დაივიწყე რა ეგ შენი უსირცხვილო ჭაღარა წვერი, საკუთარი თავისა და ჩვენი პატივი. ჰოდა, ფიცი მოგვეც, რომ ამას იქით თვალითაც არ ნახავ იმ გომბიოს!

- ტყუილად ხარჯავთ სიტყვებს. ზეგ ბაზრობაზე მე და ის ერთად ვიმღერებთ მთელი ხალხის წინაშე.

ყვირილი ატეხეს თვისტომებმა:

- თავს გვჭრის და ესაა!

- ვინემ გვიან არაა, უარი თქვი.

- მართლა ჭკუიდან გადასულა!

- აბა, გაჩუმდით! - წესრიგი დაამყარა მთავარმა მსაჯულმა. - მაშასადამე, ესაა შენი სიტყვა, რაიმალი-აღა?

- მე ვთქვი და გავათავე.

- გესმათ, ბარაქბაების გვარის შთამომავლებო, რა თქვა ჩვენმა თვისტომმა, ამ ურჯულო რაიმალიმ?

- გვესმა.

- მაშ, ყური მიგდეთ, რასაც ვიტყვი. მანამდე კი შენ გეტყვი, უბედურო რაიმალი. მთელი შენი წუთისოფელი ქეიფსა და დროსტარებაში გაატარე, ღარიბ-ღატაკად, ერთი ცხენის ამარა, ნადიმებზე მღეროდი, დომბრას აჟღარუნებდი, პამპულა-მანსქარაფოსი იყავი. შენი წუთისოფელი სხვის გართობასა და შექცევას გადააყოლე. ყმაწვილი იყავ და ამ უზნეობას იმიტომაც გპატიობდით. ახლა დაბერდი, ახლა სასაცილო ხარ, ჩვენს თვალში არარაობა გახდი. დრო დადგა სიკვდილზე და მორჩილებაზე იფიქრო უკვე. შენ კი სხვა აულების გასართობად და საჭორაოდ იმ გომბიოს გადაეკიდე, ვით ქარაფშუტა და ქერქეტა ბიჭი, გადათელე ადათ-წესები, არც ჩვენ, რჩევას ემორჩილები. ჰოდა, როცა ღმერთი ამისთვის დაგსჯის, შენს თავს დააბრალე. ჩემი მეორე სიტყვა ეს იქნება. ადექ, აბდილხან, შენ ამის ძმა ხარ, მამითა და დედით ერთი, შენ ხარ ჩვენი იმედი და ნუგეში. მთელი ბარაქბაის გვარის სახელით თემის უფროსად გვინდოდა შენი არჩევა, მაგრამ შენმა ძმამ საბოლოოდ დაჰკარგა გონი, თავად არ იცის, რას სჩადის და როგორ იქცევა, და შეიძლება ამ საქმეში დაგაბრკოლოს. ამიტომ უფლებას გაძლევთ ისე მოიქცე, რომ ჭკუაზე შეშლილმა რაიმალიმ თავი არ მოგვჭრას ხალხში, რომ თვალებში არავინ მოგვაფურთხოს და ბარაქბაები სასაცილოდ არ აგვიგდონ!

- წინასწარმეტყველად და მსაჯულად ჩემად მე არავის გცნობთ, - სიტყვა დაასწრო აბდილხანს რაიმალი-აღამ, - საბრალისნი ხართ აქ მყოფნი თუ აქ არაჰყოფნი. შემცდარნი თქვენი უბირობით, იმასა სჯით, რაც საერთო ბჭობით არ განისჯება. არ უწყით, სადაა ქვეყნად ჭეშმარიტება და ბედნიერება. განა სამარცხვინოა სიმღერა, როს გემრერება, განა სამარცხვინოა

სიყვარული როს ღმერთისაგან მოგევლინება? ყველაზე დიდი სიხარული დედამიწაზე მიჯნურთ ხილვაა. ხოლო უკეთუ შეშლილად მარტო მიტომ მთვლით, რომ ვმღერი და უდროო დროს მოსულ სიყვარულს ხელს არა ვკრავ, სიხარულით ვეგებები, მაშინ წავალ, გაგეცლებით. მიწა დიდია, დავჯდები სარალაზე და ბეგიმაის მივადგები, არადა, ორივენი სხვაგან სადმე გავეშურებით, რა არის ჩვენმა სიმღერებმა, ჩვენმა საქციელმა არ შეგაწუხოთ.

- ვერსადაც ვერ წაბრძანდები! - წაიხრიწინა მრისხანედ აქამდე მდუმარე აბდილხანმა. - აქედან ფეხსაც ვერ გადაადგამ! ვერა ბაზრობაზე ვეღარ წახვალ, ვინემ არ გიწამლებთ და ჭკუაზე არ მოეგები!

ამ სიტყვებით დომბრა გამოსტაცა აკინს მისმა ძმამ.

- აბა, უყურე! - მიწას დაახეთქა და ზედ ისე შედგა ამ ნაზ საკრავს, როგორც ბუღა გააფთრებული მწყემსს შეადგება. - ამიერიდან დაგავიწყდება სიმღერა ეი, თქვენ, აბა ერთი ის ჯაგლაგი სარალა აქ მომგვარეთ! - დაიძახა მან.

ეზოში მდგომებმა საჩქაროდ მოაჩიქჩიქეს სარალა.

- უნაგირი მოაძრეთ! აქეთ მომეცით! - აბდილხანმა დამალული ნაჯახი იძრო და ნაკუწ-ნაკუწ აქცია უნაგირი.

- ესეც შენ! ვერსად ვერ წაბრძანდები! ვერა ბაზრობაზე ვერ წაეთრევი! - გაცეცხლებულმა ნაგლეჯებად დაჭრა აღკაზმულობა, უზანგის ღვედები, უზანგები კი ბუჩქებში მოისროლა, ერთი აქეთ და მეორე იქით.

დაფეთდა სარალა, უკანა ფეხებზე ჩაჯდა, ფრთხვინვა მორთო, ლაგამი ლამის დაღრღნა, თითქოს იგრძნო, რაც მოელოდა.

- მაშ, ბაზრობაზე გნებავს წაბრძანება? სარალათი გამგზავრება? მაგასაც ვნახავთ! - ცეცხლებს ჰყრიდა აბდილხანი.

ნათესავებმა წამსვე წამოაქციეს სარალა, დაწნული ქამანდით გაკოჭეს; ღონიერი ხელი ღრჭაში ჩაავლო ტაიჭს აბდილხანმა, თავი უკან გადაუწია, დანა მოუღერა უმწეო ცხოველს. გამკავებელთა ხელიდან დასხლტომა მოინდომა რაიმალი-აღამ.

- შეჩერდი! არ მოჰკლა ცხენი!

მაგრამ ვერ მოასწრო. შადრევანივით იფეთქა ცხელმა სისხლმა, თვალებში შეესხა, მზერა დაუბნელდა დღისით, მზისით რაიმალი-აღას. სარალას ოხშივარადენილ სისხლში ამოთხვრილი რაიმალი-აღა ბანცალ-ბანცალით წამოდგა ზეზე.

- ტყუილად მოჰკალი! ფეხით წავალ! ხოხვა-ფორთხვით მივაღწევ მაინც! - თქვა დამცირებულმა მგოსანმა და კალთით მოიწმინდა პირისახე.

- ვერც ფეხით წახვალ! - მყის თავი ასწია სარალას გამოღადრულ კისრიდან აბდილხანმა. კბილები დაკრიჭა. - აქედან ნაბიჯსაც ვერ გადადგამ! - ჩაილაპარაკა ჩუმად და უცბად შეჰღრიალა: - დაიჭით! ვერა ხედავთ, გაგიჟდა კაცი! გაკოჭეთ, ვინემ კაცი არ მოუკლავს!

ატყდა ყვირილი, წრიალი, ერთმანეთს ეჯახებოდა ყველა:

- თოკი მოიტა!

- ხელები უკან გაუკარი!

- მაგრად შეჰკარი!

- შეიშალა! ღმერთსა ვფიცავ!

- შეხე, როგორ იყურება!

- ვაჰ, ვაჰ, გონი დაჰკარგა!

- აქ მოათრიეთ, ამ არყის ხესთან!

- აბა ჰე, წავათრიოთ!

- ჩქარა მოიყვა!

მთვარე უკვე კარგა მაღალზე იდგა. სიმშვიდე დასადგურებულიყო ზევით ცაში და ქვევით მიწაზე. ვიღაც-ვიღაც შამანები მოვიდნენ, კოცონი დაანთეს, გიჟური როკვით შეეცადნენ იმ მავნე სულთა განდევნას, დიდ აშუღს რომ გონი დაუბნელეს.

აშუღი კი არყის ხეს იყო მიკრული, ზურგს უკან გათოკილი ხელებით.

მერე მოლაც მოვიდა, ყურანიდან ლოცვები წაუკითხა, წესიერ გზაზე დადგომა ურჩია აშუღს.

აშუღი კი არყის ხეს იყო მიკრული, ზურგს უკან გათოკილი ხელებით.

და ამღერდა რაიმალი-აღა, თავის ძმა აბდილხანს მიმართა ასე:

„ილევა ღამე და მიიკრეფს ბინდს უკანასკნელს, კვლავ გათენდება, კვლავ დადგება დღე მომავალი, მაგრამ ჩემთვის კი ამიერიდან ჩაქრა ნათელი. შენ მზე წამართვი, უბედურო ძმაო აბდილხან. შენ გიხარია, შენ ზეიმობ ბოღმით ავსილი, რადგან წამართვი მე სიყვარული, სიცოცხლის ბოლოს ღვთისგან ზეციდან მოვლენილი. ის კი არ იცი, ბედნიერება რომ ჩემთან დარჩა, ვინემ ვსუნთქავ, ვინემ ისევ მიფეთქავს გული. შენ მე შემკარი, შენ მე თოკით მიმაბი ხეზე, მაგრამ ნუ ფიქრობ, მე აქ ვიყო, უბედურო ძმაო აბდილხან. აქ მხოლოდ ხრწნადი ხორცია ჩემი, სული კი, სული, ქარად ქცეული, მიჰქრის, მიფრინავს, სული ჩემი, წვიმად ქცეული, მიწას შეერთვის, წუთით არა ვარ განშორებული ჩემს სატრფოსთან, ვით თმა მისი, ვით სუნთქვა მისი საკუთარი. ალიონზე რომ თვალს გაახელს, ვითარცა ჯიხვი, დავეშვები მთებიდან მისკენ, კლდეზე დავუცდი, ვინემ იურტიდან დილაადრიან გამოვიდოდეს. ცეცხლს რომ დაანთებს, კვამლად ვიქცევი და საკმეველივით შემოვეკმევი. მდინარეზე ფონით მკლავებზე შევეშხეფები. ის რომ იმღერებს, იმ სიმღერად გადავიქცევი...“

მაღლა ჩუმად შრიალებდნენ ხის ტოტები განთიადისას. დღე ისევ დადგა. რაიმალი ჭკუაზე შეცდაო, მეზობლები ჩამოვიდნენ მის სანახავად, შორს დადგნენ და ცხენებიდან ჩამოუხდელად უთვალთვალებდნენ.

აშუღი კი, ხეზე მიკრული, ზურგს უკან გათოკილი ხელებითა და შემოფლეთილი სამოსელით, იდგა და მღეროდა სიმღერას, შემდეგში რომ ცნობილი გახდა:

როს შავ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
თოკი ამხსენი ხელებიდან, ძმაო აბდილხან.
როს ლურჯ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
თავისუფლება დამიბრუნე, ძმაო აბდილხან.
არ მეგონა და ვერც ვიფიქრებდი, რომ გამკოჭავდი,
რომ შენ მე ხელ-ფეხს დამიბორკავდი.
როს შავ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
როს ლურჯ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
თოკი ამხსენი ხელებიდან, ძმაო აბდილხან,
მე ჩემი ნებით ზეცას ავალ..

როს შავ მითებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
მე ბაზრობაზე ვეღარ მოვალ, ბეგიმაი,
როს ლურჯ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
მე ბაზრობაზე ნუ მომელი, ბეგიმაი.
ჩვენ ვერ ვიმღერებთ ბაზრობაზე,
ვერც ცხენი მოვა, ვერც მე მოვაღწევ.
როს შავ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
როს ლურჯ მთებიდან დაეშვებიან მომთაბარენი,
ბაზრობაზე ნუღა მომელი, ბეგიმაი,
მე ჩემი ნებით ზეცას ავალ...

აი, როგორ იყო ეს ამბავი...

ახლა, როცა ანა-ბეიითზე ყაზანგაპის ნეშტს უკანასკნელად მიაცილებდა, სულ ამ ამბავზე ფიქრობდა ბურანელი ედიღეი.

თავი 10.

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ. რკინიგზის გაღმა-გამოღმა უზარმაზარი უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები...

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა...

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

კარგა დიდი გზა რომ გაიარეს მალაყუმდიჩაფის წითელქვიშოვანი ხრამის გასწვრივ, სადაც ოდესღაც ნაიმან-ანა დაწრიალებდა თავის მანქურთი შვილის საძებრად, სამგლოვიარო პროცესია ანა-ბეიითის მისადგომებს მიუახლოვდა. ბურანელი ედიღეი ხან საროზექის თავზე წამომდგარ მზეს ახედავდა, ხან საათს აცქერდებოდა. არა, ჯერჯერობით ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა. ყაზანგაპის დაკრძალვის შემდეგ თავისუფლად მოასწრებდნენ შინ დაბრუნებას და ყაზანგაპის სულის მოხსენიებას. მერე რა, რომ საღამო იქნება, თავიდათავია, იმ დღეს თანხვდეს აღაპი. ვაჰ, საწუთროვ! ყაზანგაპი უკვე ანა-ბეითის მიწაში იქნება, როცა ისინი, შინ მობრუნებულნი, ერთხელ კიდევ კეთილი სიტყვით მოიხსენიებენ მას...

ანა-ბეითის ვაკეზე გამოსულთ, წინ ისევ ედიღეი მიუძღოდა ფუნჯებიანი ყაჯრით მორთული ყარანარით, უკან მისაბმელიანი ტრაქტორი მისდევდა, ტრაქტორის კვალდაკვალ ექსკავატორი „ბელარუსი“. წითურა ჟოლბარსი კი გვერდით მირბოდა დამოუკიდებელი იერით და დაუდევრად გადმოგდებული ენით, სწორედ მალაყუმდიჩაფიდან გამოსვლისას გადააწყდნენ მოულოდნელ დაბრკოლებას - ეკალმავთულის ღობეს.

პირველი ედიღეი შეჩერდა - ეს რა ამბავიაო! უზანგებზეც კი შედგა და ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ. სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, გაუვალი ეკლიანი მავთული მიუყვებოდა ტრამალს, ყოველ ხუთ მეტრზე მიწაში ჩარჭობილ რკინა-ბეტონის ოთხკუთხა ბოძებზე ჩამოცმული. მკვიდრად და საიმედოდ ნაკეთები იყო ღობე, ვერ გაიგებდი, საიდან იწყებოდა და სად თავდებოდა. იქნებ არც ჰქონდა ბოლო. აქედან გზა აღარ იყო. რა ექნათ, როგორ გაეგრძელებინათ სავალი?

ამასობაში ტრაქტორებიც შეჩერდნენ. კაბინიდან პირველი საბითჟანი გამოხტა, მერე აყლაყუდა ედილბაი.

- რაშია საქმე? - ხელი გაიქნია საბითჟანმა ღობისაკენ. - სხვაგან ხომ არ მოვხვდით?

- სხვაგან რატომ? სწორედ აქა ვართ, ოღონდაც საიდან გაჩნდა ეს მავთული, დასწყევლოს ღმერთმა!

- განა ადრე არ იყო?

- არა.

- ახლა რა ვქნათ? საით წავიდეთ?

ედიღეი დუმდა, თვითონაც არ იცოდა, რა ექნა.

- შენ, ეი! ტრაქტორი გააჩერე! რას არახრახებ! - ბრაზიანად შეუყვირა საბითჟანმა კაბინიდან თავგამოყოფილ კალიბეგს.

კალიბეგმა ტრაქტორი გააჩერა. დადუმდა ექსკავატორიც. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. ბურანელი ედიღეი წარბშეკრული იჯდა თავის ყარანარზე, საბითქანი და აყლაყუდა ედილბაი გვერდით ედგნენ, კალიბეგი და ჟუმაგალი კაბინაში ისხდნენ. თეთრ ქეჩაში გახვეული ყაზანგაპი მისაბმელზე ესვენა, გვერდით აიზადას ლოთი ქმარი ეჯდა. წითურა ჟოლბარსს დრო ეხელთა და ტრაქტორის თვალს ფეხაწეული მიდგომოდა.

კიდით კიდემდე გადაჭიმულიყო საროზექის დიდი ტრამალი, ოღონდაც ანა-ბეითისაკენ მისავალი გზა აღარსად ჩანდა. ყველა შეცბუნებული იდგა ამ ეკლიანი კედლის წინ.

სიჩუმე აყლაყუდა ედილბაიმ დაარღვია:

- მაშ, აქამდე ღობე აქ არ ყოფილა, ედიქე?

- თავის დღეში არა! პირველად ვხედავ.

- მაშასადამე, შემდეგ შემოუღობავთ ზონა. ალბათ კოსმოდრომისთვის,ხომ? გამოთქვა ვარაუდი აყლაყუდა ედილბაიმ.

- ასე გამოდის, თორემ ტყუილად ვინ შეიწუხებდა თავს ტრიალ ტრამალში ასეთი ღობის გადასაჭიმად. ვიღაცას მოაფიქრდა ალბათ. ვისაც რა მოუვა თავში, იმას აკეთებს, ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი! - შეიკურთხა ედიღეიმ.

- ეშმაკი რას გვიშველის! ამას სჯობდა, ჯერ გაგვერკვია და მერე წამოვსულიყავით ამ სიშორეზე, - კუშტად წაილაპარაკა საბითჟანმა.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. უსიამოდ გადმოხედა ბურანელმა ედიღეიმ გვერდზე მდგარ საბითჟანს.

- იცი, რას გეტყვი, ჩემო კარგო, მოთმინება იქონიე, ნუ ფათაფუთობ, - უთხრა დინჯად, - საიდან უნდა გვცოდნოდა, თუკი აქ წინათ ეკლიანი მავთულის ხსენებაც არ იყო.

- მეც მაგას ვამბობ, - წაიბურტყუნა საბითჟანმა და ზურგი აქცია.

ისევ გაჩუმდა ყველა. აყლაყუდა ედილბაის ჩაფიქრება დაეტყო.

- ახლა რა ვქნათ, ედიქე? როგორ მოვიქცეთ? სხვა გზა თუ იმ სასაფლაოსკენ?

- უნდა იყოს. რატომ არ უნდა იყოს? ხუთიოდე კილომეტრზეა, აქედან მარჯვნივ, - მიმოიხედა ირგვლივ ედიღეიმ. - მოდით, იქით წავიდეთ. არ შეიძლება სადმე მისასვლელი გზა არ იყოს.

- არის კია? - გამომწვევად იკითხა საბითჟანმა, ვაითუ არც იქით იყოს და არც აქეთ!

- არის, არის, - დაარწმუნა ედიღეიმ. - ჩასხედით და წავიდეთ. დროს ნუ ვკარგავთ.

ისევ დაიძრა პროცესია. ისევ არახრახდნენ ტრაქტორები, ეკალხლართებს გაჰყვნენ.

შეაწუხა და შეაცბუნა ამ ამბავმა ედიღეი. ეს როგორ იქნება, ბრაზობდა გულში, გადაკეტეს, გადაღობეს ირგვლივ მიდამო, საფლაოსკენ მიმავალი გზა არც მიანიშნეს. ესაა საქმე, ესაა ცხოვრება! მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა - არ შეიძლება რაღაც სანიშნო არ იყოს აქ, ამ სამხრეთ მხარეს. ასეც გამოდგა. პირდაპირ შლაგბაუმს მიადგნენ.

შლაგბაუმთან მიახლოებისას შეამჩნია ედიღეიმ. რა მკვიდრად, საფუძვლიანად იყო ნაგები საგუშაგო; აქეთ-იქით ბეტონის მონოლითები იდგა, გზის პირზე, შესასვლელთან აგურის სახლი ჩანდა, ვეებერთელა სამზირი ფანჯრით, ზემოთ, ბანიან სახურავზე კი ორი პროჟექტორი იდგა, ალბათ ღამეში გასანათებლად. შლაგბაუმიდან მოასფალტებული გზა მიემართებოდა. შეშფოთდა ედიღეი. ასე მკვიდრად მოწყობილ საგუშაგოს დანახვაზე.

საგუშაგო ოთახიდან ქერა ყმაწვილი ჯარისკაცი გამოვიდა, ავტომატი მხარზე ეკიდა, ლულით ქვემოთ. გზადაგზა გიმნასტუ-

რასა და ქუდს ისწორებდა. ჭრელი შლაგბაუმის შუა ნაწილთან გაჩერდა გოროზი იერით. თუმცა ედიღეი რომ მიუახლოვდა გზის გადამღობავ კადონს, ჯარისკაცი ჯერ მიესალმა, მერე ხელი აუღო და ღია ცისფერი, ჯერ კიდევ ბავშვური თვალები შეანათა.

- გამარჯობათ, ვინ ბრძანდებით? საით მიდიხართ?

- აქაურები ვართ, ჯარისკაცო, - გაეღიმა ეღიღეს ამ ყმაწვილი ბიჭის სიმკაცრეზე. - ჩვენებური კაცი მოგვყავს, მოხუცი, უნდა დავმარხოთ.

- საშვის გარეშე ვერ გაგატარებთ, აკრძალულია, - თავი გადააქნია უარის ნიშნად ჯარისკაცმა, ოდნავ განზე გადგა, ყარანარს გაერიდა, კბილებგადმოყრილი კვლავაც რომ იცოხნებოდა. - ეს დაცული ზონა გახლავთ, - დაუმატა მერე.

- მესმის, განა არ მესმის. მაგრამ ჩვენ ხომ სასაფლაოზე მივდივართ. აქედან შორს არაა. რა მოხდა? დავმარხავთ და უკანვე წამოვალთ. დიდხანს არ დავყოვნდებით.

- არ შემიძლია, ნება არა მაქვს, - მიუგო გუშაგმა.

- გამიგონე, ჩემო კარგო, - ედიღეი უნაგირიდან გადმოიხარა, გუშაგს რომ მისი ორდენები და მედლები დაენახა. - ჩვენ ხომ გარეშე ხალხი არა ვართ. ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ვცხოვრობთ. ალბათ გაგონილი გაქვს. უცხოები ნუ გეგონებით. დასამარხი გვყავს კაცი, მივალთ სასაფლაოზე და უკანვე წამოვალთ.

- მე კი მესმის, - დაიწყო გუშაგმა და მიამიტად აიჩეჩა მხრები. მაგრამ ამ დროს რაღაც ჭირად საბითუანი მიუახლოვდათ საქმიანი დიდკაცის იერით.

- რა იყო, რა მოხდა? მე საოლქო პროფსაბჭოდან გახლავარ, - განაცხადა მან. - რატომ გვაბრკოლებთ?

- იმიტომ, რომ შესვლა აკრძალულია.

- აკი გითხარით, ამხანაგო გუშაგო, საოლქო პროფსაბჭოდან ვარ-მეთქი.

- ჩემთვის სულ ერთია, საიდანაც უნდა იყო.

- ეს რას ნიშნავს? - სახტად დარჩა საბითუანი.

- იმას, რომ აკრძალული ზონაა.

- მაშინ ამდენი ლაპარაკი რა საჭიროა?

- მერედა, ვინ ლაპარაკობს? აგერ ამ კაცს ვუხსნი, აქლემზე რომ ზის, თქვენ კი არა. პატივი ვეცი და იმიტომ, მინდა გავაგებინო, თორემ უფლებაც არა მაქვს უცხოებს გუშაგად ყოფნის დროს ველაპარაკო.

- მაშასადამე, სასაფლაოზე ვერ გაგვიშვებთ?

- ვერა, ვერც სასაფლაოზე და ვერც სხვაგან სადმე.

- მაშ რაღაა სალაპარაკო, - გაბრაზდა საბითჟანი. - ასედაც ვიცოდი! - მიუბრუნდა იგი ედიღეის, - თავიდანვე სისულელე იყო! დაიჟინეს, ანა-ბეითი, ანა-ბეითიო! ესეც შენი ანა-ბეითი! - საბითჟანმა გადააწიტა და შეურაცხყოფილი იერით განზე გადგა.

ედიღეის შერცხვა ყმაწვილი გუშაგისა.

- გვაპატიე, შვილო, - უთხრა მამაშვილურად, - ცხადია, სამსახურში ხარ. მაგრამ მიცვალებულს რა ვუყოთ? ხის მორი ხომ არაა, გადავაგდოთ და უკან გავტრიალდეთ.

- მესმის, განა არ მესმის, მაგრამ მე რა შემიძლია? რასაც მეტყვიან, ის უნდა შევასრულო. მე კი არა ვარ აქ უფროსი.

- ჰოო, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, - დაბნევით წაილაპარაკა ედიღეიმ. - შენ თვითონ სადაური ხარ?

- ვოლოგდელი ვარ, ბიძაჩემო, - ოზე მოუქცია მახვილი გუშაგმა და რატომღაც თან დარცხვენა და თან სიხარული შეეტყო. არც დაუმალავს, რარიგ ეამა ეს შეკითხვა.

- მერედა, იმ თქვენს ვოლოგდაშიაც გუშაგები გიდგათ სასაფლაოზე?

- რას ამბობ, ჩვენში როცა გინდა და რამდენიც გინდა, იარე სასაფლაოზე, ვინ დაგიშლის. ეს რა შუაშია? აქ ხომ აკრძალული ზონაა, როგორც ვხედავ, შენც გიმსახურია და გიომია ჯარში, ბიძაჩემო. თვითონ იცი ალბათ, რომ ჯარი ჯარია. გინდა არ გინდა, მოვალე ხარ ბრძანება შეასრულო, ვერსად გაექცევი.

- ეს კი ასეა, - დაუდასტურა ედიღეიმ, - ოღონდ ამ მიცვალებულს რაღა ვუყოთ?

ორივე გაჩუმდა. ყმაწვილმა გუშაგმა, კარგა დიდი დაფიქრების შემდეგ, დანანებით გადააქნია ქერა თავი.

- არა, არ შემიძლია, ნება არა მაქვს!

- რა გაეწყობა,- წაილაპარაკა თავგზადაბნეულმა ედიღეიმ.

ძალიან უმძიმდა ედიღეის თავის თანამგზავრებთან დაბრუნება, თანდათან უფრო გაგულისებული საბითჟანი აყლაყუდა ედილბის მიადგა ახლა ექსკავატორთან.

- მე რა გითხარით! - ისმოდა მისი გაჯავრებული ხმა, - ამ სიშორეზე არ უნდა წამოვხეტებულიყავით! ცრუმორწმუნეები ხართ ყველანი! თავს ისულელებთ და სხვებსაც ასულელებთ. რა მნიშვნელობა აქვს, სად ჩააგდებ მიწაში მიცვალებულს. არა, ბატონო, დაიჟინეს, გინდა თუ არა, ანა-ბეიითზე უნდა დავმარხოთო. შენც კარგი ვინმე ხარ - წაბრძანდი, უშენოდ დავასაფლავებთო! მიდით და დაასაფლავეთ ახლა!

აყლაყუდა ედილბაი უხმოდ გაეცალა საბითჟანს და შლაგბაუმს მიუახლოვდა.

- გამიგონე, მეგობარო, - უთხრა მან გუშაგს. - მეც ნამსახური ვარ ჯარში და წესებისა მეც რაღაც გამეგება. ტელეფონი არის აქ სადმე?

- რა თქმა უნდა, არის.

- ჰოდა, მიდი და საგუშაგოს უფროსს დაურეკე. მოახსენე, აქაური მცხოვრებლები ითხოვენ, ანა-ბეითის სასაფლაოზე გაგვიშვითო.

- სად? სად? ანა-ბეიითზე? - ჩაჰკითხა გუშაგმა.

- ჰო, ანა-ბეიითზე. ასე ჰქვია ჩვენს სასაფლაოს. დაურეკე, მეგობარო, სხვა გამოსავალი არაა. დაე პირადად თვითონ გამოითხოვოს ჩვენთვის ნებართვა. ჩვენ კი, დარწმუნებული იყავ, სასაფლაო ოს გარდა აქ არაფერი გვაინტერესებს.

გუშაგი ჩაფიქრდა, შუბლი შეჭმუხნა, ფეხი შეინაცვლა.

- ჰო, ჰო, ნუ ყოყმანობ, - უთხრა აყლაყუდა ედილბაიმ, - წესდებას არ გადახვალ. საგუშაგოზე უცხო ხალხი მოვიდა. შენ კი საგუშაგოს უფროსს მოახსენებ ამ ამბავს. მორჩა და გათავდა. მართლა და მართლა, მოვალეც ხარ მოახსენო!

- კარგი, - თავი დაუქნია გუშაგმა. - ახლავე დავრეკავ. ოღონდაც საგუშაგოს უფროსი სულ საგუშაგოებს უვლის მთელ ზონაში. ზონა კი, ვერა ხედავ, რამოდენაა!

- მეც რომ შემოგყვე, ხომ შეიძლება? - სთხოვა აყლაყუდა ედილბაიმ. - თუ საჭირო იქნება, გიკარნახებ, რა უთხრა და როგორ უთხრა.

- კარგი, წამოდი! - დაეთანხმა გუშაგი.

ორივე საგუშაგოს შენობაში მიიმალა. კარი ღია იყო და ედიღეის ესმოდა, როგორ რეკავდა გუშაგი სადღაც, საგუშაგოს უფროსს კითხულობდა, ის კი ვერსად აღმოეჩინათ.

- არა, არა, მე საგუშაგოს უფროსი მინდა! - ისევ და ისევ იძახდა გუშაგი. - პირადად ის... არა, დიდი საქმეა.

ედიღეი ღელავდა. სად დაიკარგა საგუშაგოს უფროსი? ბედმა თუ ერთხელ გიმუხთლა, მორჩა, მეორედ ნუღარც სცდი!

როგორც იყო, მიაგნეს საგუშაგოს უფროსს.

- ამხანაგო ლეიტენანტო! ამხანაგო ლეიტენანტო! - ხმა აიმაღლა გუშაგმა, ღელვა დაეტყო. მოახსენა, აქაური მცხოვრებნი მოვიდნენო ძველ სასაფლაოზე კაცის დასამარხად და რა ვქნაო? ედიღეიმ ყურები ცქვიტა. უფროსი ეტყვის - გაუშვიო, და მორჩა ყველაფერი! ყოჩაღ, აყლაყუდა ედილბაი! მაინც საზრიანი ბიჭია. მაგრამ ტელეფონზე ლაპარაკი რატომღაც გაჭიანურდა. გუშაგი ახლა მხოლოდ პასუხობდა:

- დიახ... რამდენი? ექვსი კაცია. მიცვალებულიანად შვიდი. ვიღაც მოხუცი მომკვდარა. მათი უფროსი აქლემზე ზის. მისაბმელიანი ტრაქტორიც ახლავთ, ექსკავატორიც... ასე თქვეს, საფლავის ამოსათხრელად გვჭირდებაო. რა? მე რაღა ვუთხრა? მაშასადამე, არ შეიძლება? აკრძალულია! მესმის, მესმის!

იმავ წამს აყლაყუდა ედილბაის ხმა გაისმა, ეტყობა, გუშაგს ყურმილი გამოსტაცა.

- ამხანაგო ლეიტენანტო! ჩვენიც გაიგეთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ბორანლი-ბურანის ასაქცევიდან ჩამოვსულვართ. ახლა სადღა წავიდეთ! აქაური ხალხი ვართ, ცუდს არაფერს ჩავიდენთ, დავმარხავთ კაცს და მაშინვე გავბრუნდებით. ჰა? რაო? კი მაგრამ, ასე როგორ იქნება! კარგით, მობრძანდით, თვითონ დარწმუნდებით! აქ ძველი ფრონტელიც გვყავს, ომში ნამყოფი მოხუცი. იმას აუხსენით.

დაძმარებული გამოვიდა აყლაყუდა ედილბაი საგუშაგოს შენობიდან. ასე თქვა, ლეიტენანტი მოვა და ყველაფერს ადგილზე გადაწყვეტსო. გუშაგიც ფეხდაფეხ მოჰყვა და იგივე გაიმეორა. გულზე მოშვებოდა გუშაგს, რადგან ამ ამბავს ახლა საგუშაგოს უფროსი გადაწყვეტდა. იმიტომაც მშვიდად დააბიჯებდა წინ და უკან ჭრელი შლაგბაუმის გასწვრივ.

ჩაფიქრდა ბურანელი ედიღეი. ვინ წარმოიდგენდა, საქმე ასე თუ შეტრიალდებოდა? ისევ ლეიტენანტს უნდა დაელოდონ.

ამასობაში ედიღეი ჩამოქვეითდა, აქლემი ექსკავატორთან მიიყვანა, ციცხვზე მიაბა და ისევ უკან დაბრუნდა. კალიბეგი და ჟუმაგალი რაღაცაზე ხმადაბლა მასლაათობდნენ, თან აბოლებდნენ. საბითჟანი აღელვებული სცემდა ბოლთას მოშორებით. ყაზანგაპის სიძე, აიზადას ქმარი, ისევ ცხედრის გვერდით იჯდა.

- როგორაა საქმე, ედიქე, გაგვიშვებენ თუ არა? - ჰკითხა მან ედიღეის.

- უნდა გაგვიშვან. ახლა თვითონ უფროსი მოვა, ლეიტენანტი. ჯაშუშები ხომ არა ვართ, რომ არ გაგვიშვან! რას ზიხარ, ჩამოდი, გაიარ-გამოიარე, მუხლი გამართე.

უკვე სამი საათი იყო, ანა-ბეითს კი ვერა და ვერ მიაღწიეს, თუმცა არც ისე დიდი გზა დარჩენოდათ.

ედიღეი გუშაგთან გამობრუნდა.

- დიდხანს მოგვიხდება, შვილო, შენი უფროსის ცდა? - ჰკითხა.

- არა, ახლავე მოგრიალდება მანქანით. ათი, თხუთმეტი წუთის სავალია იქიდან.

- რას ვიზამთ, მოვუცდით. კარგა ხანია ეს ეკლიანი ღობე დადგეს?

- კარგა ხანია. ჩვენვე დავდგით. მე აქ ერთი წელია ჯარში ვარ. მაშასადამე, ნახევარი წელია, რაც შემოღობეს.

- გასაგებია. მეც არ ვიცოდი, თუ შემოღობილი იყო. იმიტომაც მოხდა ასე. გამოდის, ყველაფერი ჩემი ბრალია, მე ვთქვი, აქ დაგვემარხა მიცვალებული. ანა-ბეითი ჩვენი ძველთაძველი სასაფლაოა. განსვენებული ყაზანგაპი ძალიან კარგი კაცი იყო. ოცდაათი წელი ერთად ვიმუშავეთ ასაქცევზე. მეგონა, ასე აჯობებდა.

გუშაგი, ეტყობა, თანაგრძნობით განიმსჭვალა ბურანელი ედიღეის მიმართ.

- მისმინე, ბიძაჩემო, - უთხრა საქმიანად, - აი, მოვა საგუშაგოს უფროსი ლეიტენანტი თანსიებაევი და ეგ ყველაფერი უამბეთ. ის რა, კაცია არაა? დაე, ზევით მოახსენოს. ვინ იცის, იქ ნებაც დაგრთონ.

- მადლობ კაი სიტყვისთვის. თორე რა უნდა ვქნათ? როგორა თქვი - თანსიქბაევიო? ლეიტენანტის გვარი თანსიქბაევია?

- ჰო, თანსიქბაევია. აქ დიდი ხანია არაა ჩამოსული. რა იყო? იცნობ? თქვენებურია. მოყვარე ხომ არაა?

- არა, რას ამბობ, ჩაეცინა ედიღეის. - თანსიქბაევები ჩვენაში იმდენია, რამდენიც თქვენში ივანოვები. უბრალოდ ერთი ამ გვარის კაცი გამახსენდა.

ამ დროს საგუშაგოში ტელეფონმა დარეკა და გუშაგიც იქით გაეჩქარა. ედიღეი მარტო დარჩა. ისევ აეჯაგრა წარბები, მოღუშულმა მიმოიხედა, შლაგბაუმის იქით მანქანა ხომ არ გამოჩნდაო, მერე თავი გადააქნია. „ვთქვათ და იმ სონღულისთვალებას ვაჟი გამოდგა? - გაიფიქრა და თვითონვე შეუკურთხა თავის თავს გულში. - რა სისულელეს არ იფიქრებ კაცი! ამისთანა გვარის ხალხს რა დათვლის. ის არ იქნება, არ შეიძლება იყოს. იმ თანსიქბაევის ოხტში ხომ ბოლოს და ბოლოს მაინც ამოვიდნენ... სიმართლე მაინც იმარჯვებს ქვეყნად! კი, კი! რაც უნდა მოხდეს, სიმართლე მუდამ გაიმარჯვებს...“

ედიღეი განზე მიდგა, ცხვირსახოცი ამოიღო და ხელახლა გაიპრიალა ისევ ორდენები, მედლები და დამკვრელის ნიშნები მკერდზე. დაე იმ ლეიტენანტ თანსიქბაევს მაშინვე მოხვდეს თვალში.

თავი 11.

სონღულისთვალება თანსიქბაევის საქმე კი ასე გახლდათ.

1956 წლის გაზაფხულის დამლევს ქუმბელის დეპოში დიდი მიტინგი გაიმართა. ყველას დაუძახეს, ყველა სადგურსა და ასაქცევიდან შეკრიბეს მაშინ რკინიგზის მუშაკები, იმათ გარდა, ვინც იმ დღეს ხაზზე მუშაობდა. რამდენ შეკრებას არ დასწრებია ბურანელი ედიღეი, ის მიტინგი კი არასოდეს დაავიწყდება.

ორთქლმავალშემკეთებელ საამქროში შეიკრიბნენ. ხალხით იყო გაჭედილი იქაურობა, ზოგი სახურავზე ამძვრალიყო და იქ ბრჯენებზე იჯდა, მაგრამ თავიდათავი ის იყო, რა სიტყვებით გამოდიოდნენ! ბერიაზე ყველაფერი ძირისძირობამდე გაცხადდა. შეაჩვენეს წყეული ჯალათი, არავის დასწყვეტია გული! მაგარ-მაგარი სიტყვები წარმოთქვეს. საღამომდე გაგრძელდა მიტინგი, დეპოს მუშები თავისით ადიოდნენ ტრიბუნაზე, კაციშვილი არ წასულა მიტინგიდან, თითქოს ყველა ერთ ადგილს მილურსმოდა. საამქროს თაღებქვეშ ისეთი გუგუნი იდგა, ტყეში გეგონებოდა თავი. ვიღაცამ წაილაპარაკა წმინდა რუსულით ედიღეის გვერდით: „ქარიშხლის წინ ზღვა რომაა, ისეა სწორედ“. ასედაც იყო. გულს დაგადუგი გაჰქონდა, როგორც იერიშის წინ ფრონტზე, პირი გამშრალი ჰქონდა. მაგრამ ამ ზღვა ხალხში წყალს სად მოძებნიდი. წყლისთვის ვის ეცალა, უნდა მოეთმინა ედიღეის. შესვენებაზე დეპოს პარტორგ ჩერნოვთან გააღწია, როგორც იყო. სადგურის ყოფილი უფროსი პრეზიდიუმში იჯდა.

- მისმინე, ანდრეი პეტროვიჩ, იქნებ მეც გამოვიდე?

- თუ ძალიან გინდა, გამოდი.

- მინდა ჰქვია! ოღონდ ჯერ რჩევა უნდა გკითხო. გახსოვს, ჩვენს ასაქცევზე ქუთიბაევი მუშაობდა, აბუტალიფ ქუთიბაევი. აი, რევიზორმა რომ დაასმინა, იუგოსლავიურ მოგონებებს წერსო. აბუტალიფი იქ ომობდა, პარტიზანი იყო. კიდევ სხვა რაღაც-რა-ღაცებიც მიაკერა იმ რევიზორმა. მერე ბერიას ხალხი ჩამოვიდა, წაიყვანეს კაცი. იქ კი მოკვდა, დაიღუპა ამის გამო! გახსოვს?

- კი მახსოვს. ცოლი ჩამოვიდა ქაღალდის წასაღებად.

- სწორედ, სწორედ. მერე სხვაგან გაემგზავრა მისი ოჯახი. აი, ახლა ვუსმენდი და ვფიქრობდი! იუგოსლავიასთან მეგობ-რობა გვაქვს - არავითარი უთანხმოება! ჰოდა, რატომ უნდა გა-იტანჯონ უდანაშაულო ადამიანები? აბუღალიფის ბიჭები და-იზარდნენ, მალე უკვე სკოლაშიც წავლენ, ხომ უნდა გამოაშკა-რავდეს ყველაფერი. თორემ ყველა ცხვირში ატაკებს ამ ამბავს. ბალღები ისედაც დაგჩაგრნენ - უმამოდ დარჩნენ.

- დაიცა, ედიღეი, ამაზე გინდა თქვა?

- მაშ.

- ის რევიზორი“ რა გვარის იყო?

- მაგის გაგებას რა უნდა. თუმცა მერე აღარც მინახავს.

- კი მაგრამ, ვისგან გაიგებ? ან გაქვს კია საბუთი, რომ სწო-რედ იმან დაწერა?

- აბა სხვა ვინ დაწერდა?

- აქ ნაღდი საბუთია საჭირო, ჩემო ძვირფასო ბურანელო ედიღეი. ვთქვათ და, ასე არ იყოს? სახუმარო საქმე არაა. იცი, რას გირჩევ, ედიღეი. ადექი, დაწერე ყველაფერი და ალმა-ატა-ში გაგზავნე. დაწერე, როგორ მოხდა, და რესპუბლიკის პარტიის ცკ-ში გაგზავნე. იქ გაარკვევენ ყველაფერს. პარტიამ ამ საქმეს მაგრად მოჰკიდა ხელი, წინ არაფერი დაუდგება. თვითონაც ხედავ.

როგორც ყველა, ბურანელი ედიღეიც ყვიროდა მტკიცედ და ხმამაღლა იმ კრებაზე: „დიდება პარტიას! პარტიის ხაზს მხარს ვუჭერთ!“ მიტინგის ბოლოს კი უკანა რიგებში ვიღაცამ „ინტერნაციონალი“ წამოიწყო. ჯერ რამდენიმე ხმა აჰყვა, ერთი წუთის შემდეგ კი ყველა ერთი კაცივით მღეროდა ამ ყველა დროისა და ყველა ჩაგრული კაცის ჰიმნს. ამდენ ხალხში არასოდეს უმღერია ბურანელ ედიღეის. ტალღასავით აიტაცა და თან წარიტანა ამაყმა, ძლიერმა და თან მწარე შეგრძნებამ თავისი ერთობისა ყველა მშრომელთან, ვინც ოფლსა ღვრიდა ამ ქვეყანაზე. კომუნისტების ჰიმნი უფრო და უფრო მძლავრად ისმოდა და გულს გაბედულებით ავსებდა, რომ დაგეცვა და განგემტკიცებინა მრავალთა უფლება მრავალთ, ბედნიერების მოსაპოვებლად. ედიღეი, ისეთმა გრძნობამ აიტანა, თითქოს არალის ზღვაზე იყო, როგორც ყოველი დიდი აღელვების დროს სჩვეოდა, მისი სული ლაღად დაფრენდა თოლიასავით თეთრად აქოჩრილ ფურთუნების - ალაბაშების თავზე.

ასეთი საზეიმო განწყობით დაბრუნდა შინ. ჩაიზე დაწვრილებით უამბო უქუბალას, რაც მიტინგზე მოხდა. ისიც უამბო, თვითონაც რომ დააპირა სიტყვით გამოსვლა და რა უპასუხა ამაზე პარტორგმა ჩერნოვმა. უქუბალა უსმენდა ქმარს, თან ჩაის უსხამდა და ედიღეიც ფიალას ფიალაზე სცლიდა.

- რა მოგივიდა, ლამის მთელი სამოვარი გამოსცალე უკვე! - იცინოდა გაკვირვებული უქუბალა.

- იცი, მიტინგზე რატომღაც საოცრად მომწყურდა, ძალიან ავღელდი და იმიტომ. მაგრამ იმდენი ხალხი იყო, ვერ გაინძრეოდი. მერე გამოვვარდი, ვიფიქრე, წყალს დავლევ-მეთქი. ამ დროს კი ჩვენკენ მომავალი მატარებელი ჩამოდგა და მეც იქით გავქანდი. ჩვენი ბიჭი გამოდგა, თოგრექ-თამელი ჟადნოსი. იმან დამალევინა წყალი. მაგრამ წყურვილი ვერ მომიკლა.

- ვხედავ, ვხედავ, - წაილაპარაკა უქუბალამ და ისევ ჩაით აუვსო ფიალა. მერე დასძინა: - იცი რა, ედიღეი, ეგ კარგია, აბუ-ტალიფის ბიჭები რომ გაგახსენდა. რახან ისე წავიდა საქმე და ასეთი დრო დადგა, ობლებს აღარ დაჩაგრავენ, შენც უნდა გა-ბედო. წერილი კარგია, მაგრამ ვინემ დაწერ, ვინემ გაგზავნი, ვინემ წაიკითხავენ, დაფიქრდებიან, ამას სჯობს თვითონ გაემ-გზავრო ალმა-ათაში და ყველაფერი თვითონ უამბო.

- შენი აზრით ალმა-ათაში წავიდე? პირდაპირ დიდ უფ-როსს მივადგე?

- მერე რა მოხდა? საქმეზე წახვალ, შენი მეგობარი ელი-ზაროვი რა ხანია გვეპატიჟება. მუდამ მისამართს გვიტოვებს. შენ მაინც წადი: მე აბა ბავშვები, ოჯახი ვის დავუტოვო? შენ კი ნუ გადადებ. ამ წლების მანძილზე ლამის ასი წლის შვებულება და-გიგროვდა. ერთხელ მაინც ისარგებლე, წადი და უფროსებს ყვე-ლაფერი უამბე.

ედიღეი გააოცა ცოლის ასეთმა გონიერებამ.

- მგონი, შენ ჭკვიანური რაღაც მითხარი. მოფიქრებაა სა-ჭირო.

- ბევრი ფიქრი არ გინდა. რაც უფრო მალე გააკეთებ ამ საქმეს, უკეთესია. აფანასი ივანოვიჩიც დაგეხმარება. სად წახვი-დე, ვისთან მიხვიდე, იმას უკეთ ეცოდინება.

- ეგეც სწორია.

- იმიტომაც გეუბნები, არ გადადო-მეთქი. თანაც გაიხედ-გა-მოიხედავ, სახლისთვის რაღაც-რაღაცებს იყიდი. გოგოები წა-მოგვეზარდნენ, ხომ არ დაგავიწყდა, საულე შემოდგომაზე სკო-ლაში რომ მიდის? ინტერნატში გავგზავნით თუ არა? ამაზე არ გიფიქრია?

- როგორ არ მიფიქრია, - ენაზე იკბინა ბურანელმა ედიღეიმ. არ დაიმჩნია, რარიგ გააკვირვა იმ ამბავმა, რომ უფროსი გოგო ისე წამოეზარდა, სკოლაში უნდა წასულიყო.

- ჰოდა, თუ გიფიქრია, - განაგრძო უქუბალამ, - წადი, ხალხს უამბე, იმ წლებში ჩვენ რა განვიცადეთ. დაე ობლებს იმით მაინც დაეხმარონ, მამა გაუმართლონ. მერე კი, თუ დრო დარჩა, გაიარ-გამოიარე, გოგოებისა და ჩემთვის იქნებ რამე ნახო, ზედმეტი არ იქნება მეც ხომ უკვე ახალგაზრდა აღარ ვარ, - დასძინა მან რატომღაც და თავშეკავებით ამოიოხრა.

ედიღეიმ ცოლს შეხედა. საკვირველია, ადამიანს შეიძლება ყოველდღე ხედავდე და ის ვერ შეამჩნიო, რასაც მერე ერთბაშად შეამჩნევ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა აღარ იყო უქუბალა, თუმცა სიბერემდე ჯერ ბევრი აკლდა. მაგრამ რაღაც უცხო, ახალი შეამჩნია ცოლს ედიღეიმ. მზერა დამძიმებოდა და სამი თუ ოთხი ღერი ჭაღარა გარეოდა საფეთქლებზე, მეტი არა, მაგრამ ეს ყოველივე მაინც განვლილსა და განცდილზე მეტყველებდა...

ერთი დღის შემდეგ ედიღეი უკვე ქუმბელის სადგურზე იყო. ჰო, ბორანლის ასაქცევიდან ჯერ იქ გაემგზავრა, ალმა-ათის მატარებელზე რომ დამჯდარიყო. არც უნანია ეს ამბავი ედიღეის... ასეა თუ ისე, ჯერ ელიზაროვისთვის უნდა გაეგზავნა დეპეშა, ჩამოვდივარო. ეს კი მხოლოდ ქუმბელის სადგურიდან შეიძლებოდა.

შემდეგ მოსკოვ-ალმა-ათას- მატარებელი ჩამოდგა და იმას გაჰყვა ედიღეი. კუპირებულ ვაგონში ჰქონდა ადგილი, ზედა თაროზე. ბარგი რომ დააწყო, მაშინვე დერეფანში გამოვიდა და ფანჯარასთან დადგა, რომ თავისი ასაქცევისათვის გადმოეხედა მატარებლიდან, მერე კი აძვრებოდა ზედა თაროზე და დაიძინებდა, გზაში ორი დღე უნდა ყოფილიყო. მაგრამ მეორე დღეს

უკვე აღარ იცოდა, რა ექნა, უსაქმურობამ შეაწუხა. უკვირდა, ზოგი მუქთახორა რომ ჭამის და ძილის მეტს არაფერს აკეთებდა.

მაგრამ პირველ დღეს, მეტადრე პირველ რამდენიმე საათს საზეიმო და, ცოტა არ იყოს, აფორიაქებულ გუნებაზე იყო. ასე დიდი ხნით ჯერ არ მოშორებია თავის ოჯახს. აღელვებული იდგა ფანჯარასთან, კოხტად გამოწყობილი, ახალი ქუდი ეხურა, სადგურის მაღაზიაში ნაყიდი, სუფთა ხალათი ეცვა. ყაზანგაპის ომისდროინდელი, კარგად შენახული კიტელი რამდენიმე ღილზე შეეხსნა. ყაზანგაპმა ძალათი ჩააცვა ეს კიტელი, უთხრა, ასე აჯობებს, ორდენები და მედლები უნდა გაიკეთო, გალიფე და ოფიცრული, გამძლე ტყავის ქრომის ჩექმები უნდა ჩაიცვაო. ეს ჩექმები ძალიან მოსწონდა ბურანელ ედიღეის, თუმცა იშვიათად კი უწევდა მათი ჩაცმა. მისი აზრით, დარბაისელ კაცს უპირველეს ყოვლისა კარგი ჩექმები და ახალი ქუდი უნდა ჰქონოდა. ედიღეის ერთიც ჰქონდა და მეორეც.

დერეფანში გამვლელნი რიდით უვლიდნენ გვერდს ვაგონის ფანჯარასთან მდგარ ედიღეის, უკან უხედავდნენ, ისე გამოირჩეოდა ღირსეული იერით, ისეთი მღელვარება ეწერა სახეზე.

მატარებელი კი გამალებით მიჰქროდა ხალვათად გაშლილ გაზაფხულის საროზექზე, თითქოსდა ეშურებოდა ჰორიზონტის კამკამა არშიას დასწეოდა, სულ წინ-წინ რომ გარბოდა. ამქვეყნად ორად ორი სტიქიონი არსებობდა - ცა და გაშლილი ტრამალი, რომლებიც ნათელ ზოლად შერთვოდნენ ერთმანეთს შორეთში. იქით მიისწრაფოდა სწორედ მატარებელი.

მაგრამ აგერ ბორანლის მიდამოებიც გამოჩნდა. მიწის ყოველი ნაოჭი თუ ნაკეცი ნაცნობი იყო აქ ედიღეისთვის. ბორანლი-ბურანის მიახლოებისას ცქვიტად ამოძრავდა ედიღეი, ულვაშებში ჩაეღიმა, თითქოს რამდენიმე წელია აქ არ ყოფილიყო. აგერ ასაქცევიც. გაიელვა სემაფორმა, სახლებმა, ფარდულებმა,

საწყობთან ხორა-ხორად დაწყობილმა რელსებმა და განძელებმა, გაიელვა წამიერად რკინიგზის ხაზთან მიწებებულმა ასაქცევმა ამ ვეებერთელა, ამ უკაცრიელ საროზექში. ედიღეიმ თავის გოგოებსაც შეასწრო თვალი. ეტყობა, ყველა სამგზავრო მატარებელს ხვდებოდნენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალთ. ხელებს იქნევდნენ, ხტუნავდნენ საულე და შარაფათი, მხიარულად უცინოდნენ მიმავალ ვაგონებს, ყურადღება რომ მიექციათ. სასაცილოდ უხტოდათ კიკინები და უბრწყინავდათ თვალები. ედიღეი უნებლიეთ მიეკრა ფანჯარას, ხელი დაუქნია, საალერსო სიტყვები წაიდუდუნა, მაგრამ ალბათ ან ვერ დაინახეს ანდა ვერ იცნეს. მაინც გაეხარდა, მისი გოგოები რომ იდგნენ და უცდიდნენ. მგზავრებიდან არავინ იცოდა, რომ ეს წუთია მის გოგოებს, მის სახლს, მის ასაქცევს ჩაუარეს! მით უმეტეს არ იცოდნენ, რომ ასაქცევის სადღაც იქით, აქლემთა ჯოგში მისი განთქმული ყარანარი დასეირნობდა. შორიდანვე იცნო ედიღეიმ, თვალებში სითბო ჩაეღვარა.

მერე, რამდენიმე სადგურის შემდეგ ედიღეიმ დაიძინა. კარგა ხანს ტკბილად ეძინა, თვლების რაკრასა და მისი კუპის თანამგზავრთა ხმადაბალი საუბრის ხმაზე.

მეორე დღეს, ნაშუადღევისას, ალათაუს მთებიც გამოჩნდა - ჩიმკენთიდან. დაწყებული მთელ შვიდმდინარეთის გადაყოლებაზე. ვაჰ, რა მთები იყო, თვალს ვერ მოწყვეტდა კაცი! უყურებდა ედიღეი მძლეთამძლედ ასვეტილ თოვლიან ქედებს, ალმა-ათამდე რომ გასდევდა რკინიგზას, და ვერ გამძღარიყო მათი ცქერით. საროზექელი ტრამალელისთვის ეს საოცრება, ეს მარადისობის ჭვრეტა იყო. ეს დიდებული მთები არათუ აღტაცებას იწვევდა, ფიქრის სურვილსაც ბადებდა. რა კარგი იყო ამ მთების ცქერა და თან შენთვის ფიქრი. გულში ემზადებოდა იმ ხელმძღვანელ მუშაკებთან შესახვედრად, რომლებმაც განაცხადეს,

წარსულის შეცდომები აღარასოდეს გამეორდებაო. ამიტომაც უნდოდა ეამბნა მათთვის აბუტალიფის ოჯახის მწარე ამბავი. დაე გაარჩიონ, დაე გადაწყვიტონ ახლა, ეს საქმე როგორ გამოასწორონ. თვითონ აბუტალიფს ვერავინ გააცოცხლებს, მაგრამ მის შვილებს მაინც ნუ დაჩაგრავენ, დაე ცხოვრებაში გზა ხსნილი ჰქონდეთ. ამ შემოდგომაზე დაული ალბათ სკოლაში წავა. დაე ისე წავიდეს, საშიში და დასამალი არა ჰქონდეს რა. ნეტა როგორ არიან ახლა? როგორ ცხოვრობენ? როგორაა, რასა იქმს ზარიფა?

გულს უყინავდა, უმძიმებდა მისი მოგონება ედიღეის. თითქოს ამდენ ხანს უნდა დავიწყებოდა, უნდა გადაეხარშა წარსული. ზარიფაც ხომ იმიტომ წავიდა, მასზე ფიქრი ერთბაშად შეეწყვიტა ედიღეის. მაგრამ ღმერთმა უწყის, რა დაავიწყდა და რა არა ედიღეის! დარდობდა ბურანელი ედიღეი, გულში იკლავდა გრძნობებს ბედს დამორჩილებული. ან ვისთვის შეეჩივლა, ვინ გაუგებდა? იქნებ ამ ცამდე აყუდებულ თოვლიან მთებისათვის, მაგრამ იმ სიმაღლეზე ატყორცნილთ რა საქმე აქვთ ადამიანის დარდსა და ვარამთან მიწაზე. იმიტომაც არიან დიადი ალათაუს მთები, რომ მოკვდავნი მოვიდნენ და წავიდნენ, ისინი კი იდგნენ და იდგნენ მარად, ბევრი დააფიქროს მათმა ჭვრეტამ, ისინი კი ურყევად დუმდნენ და დუმდნენ...

აბუტალიფმა „რაიმალი-აღას სიტყვა თავის ძმა აბდილხანისადმი“ რომ ჩაიწერა, ალბათ ბევრი იფიქრა ამ ჩაწერილ თქმულებაზე და ერთხელ საუბრისას ედიღეის თავისი აზრი გაუზიარა: რაიმალი-აღასა და ბეგიმაისთანა ადამიანებს ცხოვრების გზაზე ერთმანეთისთვის იმდენივე ბედნიერება მოაქვთ, რამდენიც უბედურება, ერთმანეთს სავალალო ტრაგედიაში ითრევენო, რამეთუ ადამიანი სხვების მსჯავრს ვერ გაექცევაო. იმიტომაც მოექცნენო ასე რაიმალი-აღას მისი ახლობლები, მისივე სი-

კეთისათვის, როგორც თვითონ ეგონათო. ეს ჭკვიანური სიტყვები მაშინ ედიღეისთვის მხოლოდ ჭკვიანური სიტყვები იყო, სხვა არაფერი, ვინემ საკუთარ თავზე არ გამოსცადა მათი სიმართლე. ვინემ თვითონ არ განიცადა ტანჯვა. მერე რა, რომ ისა და ზარიფა ამ ამბიდან ისევე შორს იყვნენ, როგორც და დედამიწა, მერე რა, რომ მათ შორის არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, ედიღეი სულ ზარიფაზე ფიქრობდა და ზარიფა უყვარდა, მაგრამ ზარიფამ პირველმა იდო თავის თავზე მთელი სიმძიმე. თავად გადაწყვიტა ამ გამოუვალ მდგომარეობას გაქცეოდა და ისე მოკვეთა ერთბაშად ყველაფერი, როგორც ძარღვს გადაუჭერ და შეწყვეტ სისხლის დენას. არ იფიქრა, ედიღეი რა დღეში ჩავარდებოდა, რად დაუჯდებოდა ეს მისი გადაწყვეტილება, კიდევ კარგი ცოცხალი მაინც დარჩა. ახლაც კი დროდადრო ისე შემოაწვება დარდი, ლამის ქვეყნის დასასრულს გაიქცეს, ოღონდაც ზარიფა ნახოს, მისი ხმა ერთხელ მაინც გაიგონოს...

ისიც მოაგონდა ედიღეის მწარე სიცილით, რარიგ გაუკვირდა, აბუტალიფმა რომ უამბო, გერმანიაში ძალზე ცნობილი კაცი ცხოვრობდა, დიდი პოეტი გოეთეო. ყაზახურად ეს სახელი არცთუ საამოდ ჟღერს, მაგრამ ეს არაა მთავარი. ყველა ხომ იმ სახელს ატარებს, რაიც განგებამ დააბედა. მოხუცი გოეთე სამოცდაათს იყო გადაცილებული, როცა ყმაწვილი ქალი შეუყვარდა და იმ ქალმაც მთელი გულით შეიყვარა პოეტი. ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ გოეთესთვის არავის შეუკრავს ხელ-ფეხი, გიჟად არავის შეურაცხავს... რაიმალი-აღას კი რა უქნეს! დაამცირეს, გაანადგურეს კაცი, ვითომდა მისივე სიკეთისთვის... ზარიფასაც, მისი აზრით, სიკეთე უნდოდა ედიღეისათვის და ისე მოიქცა, როგორც სინდისმა უკარნახა... იმიტომაც მისგან არ სწყენია ედიღეის. ან კი შეიძლება საყვარელი ადამიანისაგან რამე გეწყინოს? უფრო შენს თავზე გეწყინება, შენს თავს დასდებ

ბრალს. სჯობს ისევ შენ გაიტანჯო... გინდაც მიგატოვოს, მაშინაც არ უნდა დაივიწყო, მაშინაც უნდა გიყვარდეს იგი.

ასე ფიქრობდა ბურანელი ედიღეი გზაში. არ ივიწყებდა ზარიფას, უყვარდა იგი, არ ივიწყებდა აბუტალიფსა და მის დაობლებულ შვილებს...

ალმა-ათას უახლოვდებოდა, როცა ედიღეის ანაზდად თავში გაჰკრა: ვაითუ ელიზაროვი ქალაქში არ იყოს? აბა უყურე! რატომ შინ არ მოაფიქრდა, არც უქუბალას მოჰგონებია. თავისი თავით განსაჯეს. თვითონ რომ სულ საროზექში არიან, ყველა ასე ჰგონიათ. არადა, ადვილი შესაძლებელია აფანასი ივანოვიჩი შინ არ დახვდეს. კაცი აკადემიაში მუშაობს, სად არ იწვევენ, მისთანა მეცნიერს საქმეს რა გამოულევს. იქნებ მივლინებაშია წასული და დიდხანს ვერც ჩამოვიდეს. „ეს რა შეცდომა მომივიდა“, - შფოთავდა ედიღეი. მაშინ ისევ ყაზახური გაზეთის რედაქციას უნდა მიაკითხოს. გაზეთის მისამართი ყოველ ნომერში სწერია. იქ ნაღდად აუხსნიან, სად და ვისთან წავიდეს. გაზეთის მუშაკებს კი ეცოდინებათ, ვის უნდა მიმართოს კაცმა ამ საკითხზე. შინ ყველაფერი უბრალოდ ეგონა - დაჰკრა ფეხი და წამოვიდა. ახლა კი ალმა-ათას მიახლოებისას შფოთმა აიტანა ბურანელი - ტყუილად კი არაა ნათქვამი: უხეირო მონადირე ნადირობაზე შინ ოცნებობსო... ედიღეისაც ასე მოუვიდა, ცხადია, ელიზაროვის იმედი ჰქონდა, ელიზაროვი ახლობელი კაცი იყო. დიდი ხნის მეგობარი, ედიღეის ოჯახში ბევრჯერ ნამყოფი, აბუტალიფ ქუთიბაევის ამბავი კარგად იცოდა, ის ერთი სიტყვითაც გაიგებდა ყველაფერს. უცხო ხალხს კი როგორ უამბოს, საიდან დაიწყოს, როგორ ილაპარაკოს - სასამართლოზე გამოსულ მოწმესა თუ მომხსენებელივით? მოუსმენენ კია? ან პასუხად რას იტყვიან? შენ ვინა ხარ; აბუღალიფ ქუთიბაევის გამართლებაზე რატომ

იდებ ასე თავს? რა კავშირი გაქვს? მისი ძმა ხარ, მოყვარე თუ ნათესავიო?

ამასობაში მატარებელი უკვე ალმა-ათას გარეუბნებში მიგრიალებდა. მგზავრები დერეფანში გამოლაგებულიყვნენ. მოემზადა ედიღეიც. აგერ სადგურიც გამოჩნდა. დამთავრდა მგზავრობა. ბაქანზე უამრავი ხალხი იდგა, დამხვდურნი თუ მიმავალნი. მატარებელმა სვლა შეანელა. უცებ ფანჯარაში ბურანელმა ედიღეიმ ელიზაროვს ჰკრა თვალი და ბავშვივით გაიხარა. ელიზაროვი გულითადად უქნევდა ქუდს და ვაგონს მოჰყვებოდა. ბედმა გაუმართლა ედიღეის! არ ეგონა, ელიზაროვი თუ თვითონ დახვდებოდა. დიდი ხანია არ ენახათ ერთმანეთი, შარშან შემოდგომას აქეთ: არა, არ გამოცვლილა აფანასი ივანოვიჩი, მერე რა რომ ხანშია შესული. ისეთივე მკვირცხლია და ხმელ-ხმელი. ყაზანგაპი არგამაკს ეძახდა, წმინდა სისხლის რაშს. ეს დიდი ქება იყო - არგამაკ აფანასი. ელიზაროვმა იცოდა, ასე რომ ეძახდა ყაზანგაპი, და უარს არ იყო - დაე შენებურად იყოს, ყაზანგაპ! ბებერ არგამაკზედაც მადლობელს ვარო! საროზექში ჩვეულებრივ სამუშაო ტანსაცმლით ჩამოდიოდა, ქირზის ჩექმები ეცვა, ძველი, კარგა ნახმარი ქუდი ეხურა, აქ კი რუხი, ჩინებული კოსტიუმი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. ძალზე შვენოდა ეს კოსტიუმი, მეტადრე თმას ეხამებოდა - თმა უკვე ნახევრად გაჭაღარავებოდა.

ვინემ მატარებელი გაჩერდებოდა, ელიზაროვი გვერდით მოჰყვებოდა ვაგონს და ედიღეის შეჰღიმოდა. ღია ფერის წამწამები და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა ელიზაროვს, სასურველი სტუმრის ხილვით გამოწვეული სიხარული უბრწყინავდა შიგ. ეამა ედიღეის, გულში სითბო ჩაეღვარა, წეღანდელი ეჭვები მყის გაუქარწყლდა. „საქმე კარგად დაიწყო, - გაეხარდა მას, - ღმერთმა ქნას, კარგადაც დამთავრდეს“.

- ძლივს არ ჩამობრძანდი! როდის-როდის გვაღირსე თავი! გამარჯობა, ედიღეი! გამარჯობა, ბურანელო! - მიეხარა ელიზა-როვი

მაგრად გადაეხვივნენ ერთმანეთს. უჩვეულო ხალხმრავ-ლობამ და
სიხარულმა ცოტა არ იყოს დააბნია ედიღეი. ვინემ სადგურის წინ მოედანზე გამოვიდოდნენ, ელიზაროვმა ყველა მოიკითხა, ყაზანგაპი, უქუბალა, ბუქეი, ბალღები, ისიც ჰკითხა, ასაქცევის უფროსი ეხლა ვინააო. არც ყარანარი დავიწყებია, სიცილით ჰკითხა:

- როგორ გყავს ბურანელი ყარანარი? ისევ ლომივით ბდღვინავს?

- მაგას რა უჭირს, დადის და ბდღვინავს, - მიუგო ედიღეიმ. – საროზექში ლაღად გრძნობს თავს. მეტი რა უნდა!

სადგურის გვერდით ახალთახალი შავი კრიალა მანქანა იდგა. ასეთი ედიღეის ჯერ არ ენახა. ეს „ზიმი“ იყო - ორმოცდა-ათიანი წლების საუკეთესო მანქანა.

- ეს კი ჩემი ყარანარია, - იხუმრა ელიზაროვმა და წინა კარი გააღო, - აბა დაბრძანდი, ედიღეი, წავიდეთ.

- მანქანას ვინ წაიყვანს?

- მე თვითონ, - ელიზაროვი საჭესთან დაჯდა. - ამ სიბერეში, როგორც ხედავ, მანქანის ტარებაც ვისწავლე. ამერიკელები ვი-თომ რითი გვჯობიან?

ელიზაროვმა ძრავა ჩართო. ვინემ მანქანას დასძრავდა, სტუმარს ღიმილით გადახედა.

- მაშ, ჩამოხვედი ჩვენთან. ახლავე მითხარი, რამდენი ხნით?

- საქმეზე ჩამოვედი, აფანასი ივანოვიჩ. ვნახოთ, რა გამო-ვა. თქვენი რჩევა მჭირდება..

- ასედაც ვიცოდი, საქმეზე რომ ჩამოხვიდოდი, თორემ სხვანაირად ვინ გამოგათრევდა საროზექიდან! აბა როგორ! მოდი, ასე შევთანხმდეთ, ედიღეი. ახლა ჩვენსა წავალთ, ჩვენთან იცხოვრებ. უარი არ გამაგონო, სასტუმრო არც ახსენო! შენ ჩემი სტუმარი ხარ, როგორც მე ვარ საროზექში თქვენი სტუმარი, სიიდინ სიიი ბარ - ასე არ ამბობთ ყაზახები! პატივს პატივი უნდაო!

- ასეა თითქოს, - დაეთანხმა ედიღეი.

- მაშასადამე, გადაწყდა. მეც უფრო მოლხენით ვიქნები. ჩემი იულია მოსკოვში გაემგზავრა ვაჟთან, მეორე შვილიშვილი გვეყოლა. ჰოდა, გახარებული გაქანდა ახალგაზრდებთან.

- უკვე მეორე შვილიშვილი! მომილოცნია! - უთხრა ედიღეიმ.

- მაშ, უკვე მეორეა, - წაილაპარაკა ელიზაროვმა და მხრები გაოცებით აიჩეჩა. - ბაბუა რომ გახდები, მაშინ გამიგებ! თუმცა მანამდე ბევრი წყალი ჩაივლის. შენი ხნის რომ ვიყავი, თავში ქარი მიქროდა. თუმცა უცნაური კია, მიუხედავად ასაკის განსხვავებისა, ერთმანეთის კარგად გვესმის. აბა დავიძრათ. მთელი ქალაქი უნდა გავიაროთ. ხედავ, ზემოთ რომ თოვლიანი მთები ჩანს? აი, იქ, მთების ძირას, მედეოში უნდა მივიდეთ. მე მგონი, გიამბე, სახლი ქალაქგარეთ, თითქმის სოფელში მაქვს- მეთქი.

- მახსოვს, აფანასი ივანოვიჩ, ღელის პირას მიდგასო სახლი, ასე თქვით, ნიადაგ წყლის ჩხრიალი მესმისო.

- ახლა თვითონ დარწმუნდები. აბა დავიძრათ. ვინემ სინათლეა, ქალაქი ვნახოთ. იცი, რა ლამაზია. გაზაფხულია. ყველაფერი ჰყვავის.

სადგურიდან პირდაპირ იწყებოდა ქუჩა, თითქოს მთელ ქალაქს ჭრიდა, და მერე თანდათან მაღლობისკენ ადიოდა ალვის ხეებსა და ბაღებს შორის. ელიზაროვს ნელა მიჰყავდა მანქანა, ჰყვებოდა, სად რა დაწესებულება იყო, სად რა მაღაზიები, სად

საცხოვრებელი სახლები. შუა ქალაქში გაშლილ დიდ მოედანზე შენობა იდგა, რომელიც სურათის მიხედვით მაშინვე იცნო ედიღეიმ - ეს მთავრობის სახლი იყო.

- ჰო, ცკ-აა, - თავი დაუქნია ელიზაროვმა.

რას იფიქრებდნენ, რომ მეორე დღეს აქ მოუხდებოდათ საქმეზე მოსვლა. კიდევ ერთი შენობა იცნო ბურანელმა ედიღეიმ, ლარივით გაჭიმულ ქუჩიდან მარცხნივ გადაუხვიეს - ეს ყაზახური ოპერის თეატრი იყო.

ორიოდე უბნის შემდეგ ხელახლა შეუხვიეს მთებისკენ, მედეოსკენ მიმავალ გზას აუყვნენ. ქალაქის შუაგული უკან დარჩა. დიდხანს მიჰყვებოდნენ ქუჩას პატარა სახლების, ბაღჩების, მთიდან მომსკდარ წყალმოდიდებულ არხებს შორის, ირგვლივ ჰყვაოდა ბაღები.

- რა ლამაზია! - წაილაპარაკა ედიღეიმ.

- მიხარია, ამ დროს რომ ჩამოხვედი, - უთხრა ელიზაროვმა, - ალმა-ათას ამ თვეებში არაფერი სჯობია. ზამთარშიც ლამაზია, მაგრამ ახლა გულს გიხარებს კაცს!

- მაშასადამე, კარგ გუნებაზე ხართ, - ელიზაროვის მაგიერ გაიხარა ედიღეიმ.

ელიზაროვმა სწრაფად შეავლო წამოზიდული თვალები, თავი დააქნია, წარბები შეიკრა დადინჯებულმა და მერე ისევ ღიმილმა გაუშუქა თვალები, ნაოჭები მოჰყარა თვალის უპეებთან.

- ეს სხვანაირი გაზაფხულია, ედიღეი. ბევრი რამ შეცვალა. იმიტომ უფრო გეხალისება კაცს ცხოვრება, თუმცა წლები კი გემატება. გონს მოეგენ, მიიხედ-მოიხედეს. ოდესმე თუ გიავადმყოფია ისე, რომ ცხოვრების გემო ხელახლა გეგრძნოს?

- რაღაც არ მახსოვს, - წრფელად თქვა ედიღეიმ. - აი, კონტუზიის შემდეგ კი...

- რა გიჭირს, ბუღასავით ხარ, - გაეცინა ელიზაროვს. - თუმცა მაგაზე არ მითქვამს. სიტყვამ მოიტანა... ჰოდა, ასე. პირველი სიტყვა თვითონ პარტიამ თქვა. ეს კი ძალიან მესიამოვნა, მერე რა,რომ პირადად მე არ შემეხო. არადა, ისე მიხარია, ისეთი იმედები მომეცა, თითქოს ჭაბუკი ვიყო. ან იქნებ მართლა ვბერდები და იმიტომ? ჰა?

- მეც ამ საქმეზე ვარ ჩამოსული, აფანასი ივანოვიჩ.

- რა საქმეზე? - ვერ მიხვდა ელიზაროვი.

- იქნებ გახსოვთ, აბუტალიფ ქუთიბაევზე რომ გიამბეთ?

- როგორ არ მახსოვს! მშვენივრად მახსოვს. აი, თურმე რა კარგად გაგიჭვრეტია ყველაფერი. ყოჩაღ. აღარ გადადე და ჩამოხვედი.

- მე კი არა ვარ ყოჩაღი, უქუბალამ მიკარნახა. ოღონდ არ ვიცი, საიდან დავიწყო? სად წავიდე?

- საიდან დაიწყო? ეს უნდა მოვიფიქროთ. შინ, ჩაიზე აუჩქარებლად მოვითათბიროთ ყველაფერზე. - ელიზაროვი მცირე ხნით გაჩუმდა და მერე მრავლისმეტყველად დასძინა: – როგორ იცვლება დრო, ედიღეი, - რამდენიმე წლის წინათ თავშიაც არ გაგივლიდა ასეთ საქმეზე ჩამოსვლა. ახლა კი არ გეშინია. სინამდვილში ასედაც უნდა იყოს. ჩვენ ყველამ ასეთ სიმართლეს უნდა მივსდიოთ. არავის არ უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული უფლებანი. მე ასე მესმის.

- თქვენ აქ ყველაფერს უკეთ ამჩნევთ, თანაც მეცნიერი კაცი ბრძანდებით, - გამოთქვა თავისი ვარაუდი ედიღეიმაც. - იმ მიტინგზე, დეპოში, ამაზედაც ილაპარაკეს. ჰოდა, მაშინვე აბუტალიფზე ვიფიქრე. დიდი ხანია გული მტკივა ამ ამბის გამო. მიტინგზედაც მინდოდა გამოსვლა. განა მარტო სამართალზეა ლაპარაკი. აბუტალიფს შვილები დარჩა, დაიზარდნენ ბიჭები, უფროსი ამ შემოდგომაზე სკოლაში წავა...

- ახლა თუ იცი, სად არის მისი ოჯახი?

- არ ვიცი, აფანასი ივანოვიჩ, მალე სამი წელი გახდება, რაც წავიდნენ, მას აქეთ არაფერი ვიცით.

- მაგ საქმეს მოევლება, მოვნახავთ, მოვძებნით. ახლა მთავარია, იურიდიულად რომ ვთქვათ, აბუტალიფის საქმე აღიძრას.

- სწორედ. სწორედ, მაშინვე მოძებნეთ საჭირო სიტყვა. იმიტომაც ჩამოვედი თქვენთან.

- ჩემი აზრით, ტყუილად არ ჩამოსულხარ.

როგორც ფიქრობდა ედიღეი, ისეც მოხდა. ძალიან მალე, ედიღეის დაბრუნებიდან ზუსტად სამი კვირის თავზე ალმა-ათიდან ქაღალდი მოვიდა, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ ბორანლი-ბურანის ასაქცევის ყოფილი მუშა, საქმის ძიების დროს გარდაცვლილი აბუტალიფ ქუთიბაევი, მთლიანად რეაბილიტირებულია დანაშაულის უქონლობის გამო. ასეც იყო ნათქვამი! ეს ქაღალდი ხმამაღლა უნდა წაეკითხათ იმ კოლექტივში, სადაც ქუთიბაევი მუშაობდა.

ამ საბუთს კვალდაკვალ ელიზაროვის წერილი მოჰყვა. ეს ღირსშესანიშნავი წერილი იყო. ამ წერილს მთელი სიცოცხლე ინახავდა ედიღეი ოჯახის სხვა მნიშვნელოვან საბუთებთან ერთად, როგორიც იყო შვილების დაბადების, საბრძოლო ჯილდოების, ფრონტზე დაჭრისა და სამუშაო დახასიათებების მოწმობები...

იმ დიდ წერილში ელიზაროვი იუწყებოდა, რომ დიდად კმაყოფილია აბუტალიფის საქმის ასე სწრაფი განხილვით, მისი რეაბილიტაციით, თვით ეს ამბავი დროის კარგ ნიშანს მოასწავებს და, მისივე სიტყვით, საკუთარ თავზე ჩვენს გამარჯვებას ნიშნავს.

შემდეგ იწერებოდა, რომ ედიღეის გამგზავრების მერე კიდევ ერთხელ მიაკითხა იმ დაწესებულებებს, სადაც ისა და ედიღეი იყვნენ, და ფრიად საგულისხმო ამბები შეიტყო. ჯერ ერთი, გამომძიებელი თანსიქბაევი სამუშაოდან მოხსნეს, დააქვეითეს, მიღებული ჯილდოები ჩამოართვეს და პასუხისგებაში მისცეს. მეორეც, როგორც მას აცნობეს, აბუტალიფ ქუთიბაევის ოჯახი ამჟამად თურმე პავლოდარში ცხოვრობს (ჰოი, რა შორს ამოუყვიათ თავი!) ზარიფა სკოლაში მასწავლებლობს, იგი გათხოვილია. აი, რა ოფიციალური ცნობები მოვიდა მისი ადგილსამყოფიდან. შენი ეჭვი, ედიღეი, იწერებოდა კიდევ ელიზაროვი, იმ რევიზორის თაობაზე დამტკიცდა საქმის ხელახლა გადასინჯვის შემდეგ - თურმე სწორედ მას დაუსმენია აბუტალიფ ქუთიბაევი. „რად გააკეთა ეს, რამ აიძულა ასეთი ბოროტება ჩაედინა? ბევრი ვიფიქრე ამაზე, გავიხსენე სხვა მსგავსი ამბები, ისიც, რაც შენ მიამბე, ედიღეი, ყოველივე შევაწონე და შევეცადე ამეხსნა მისი საქციელის მიზეზი. არა, ჩემთვის ძნელად ასახსნელია, რამ გამოიწვია ასეთი სიძულვილი, აბუტალიფ ქუთიბაევი ხომ მისთვის სრულიად უცხო კაცი იყო. შესაძლებელია სენი, ეპიდემია დავარქვათ ამას. ისტორიის გარკვეულ ხანას რომ მოაქვს. ან იქნებ ასეთი დამღუპველი თვისება ათადან-ბაბიდან ბუდობს ადამიანში - შური, რომელიც სულს აპარტახებს და სასტიკს, დაუნდობელსა ხდის. მაგრამ რა ჰქონდა შესაშური აბუტალიფ ქუთიბაევს? ეს ჩემთვის გამოუცნობი რჩება. რაც შეეხება ანგარიშის სწორების ხერხს, იგი ისეთივე ძველია, როგორც ეს ქვეყანა. თავის დროზე საკმარისი იყო ვინმე დაებეზღებინათ, ერეტიკოსი არისო, რომ ბუხარის ბაზრებზე ასეთი კაცი ქვებით ჩაექოლათ, ევროპაში კი კოცონებზე დაეწვათ. ამაზე ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ, ედიღეი, შენი ჩამოსვლის ხანს. აბუტალიფის საქმის განხილვის დროს

ფაქტების გამორკვევამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა: ჯერ ისევ ბევრი დრო უნდა, რომ ადამიანებში ეს მავნე თვისება პიროვნების სიძულვილი - ამოძირკვოს. თუ რამდენი დრო დასჭირდება - ძნელი სათქმელია. მიუხედავად ამისა, მაინც ვადიდებ სიცოცხლეს, ვინაიდან სამართალი აღუხოცველი და მოუსრველია ამ ქვეყანაზე. მან ამჯერადაც იმძლავრა! თუმც დიდი მსხვერპლის ფასად, მაგრამ მაინც იმძლავრა! ასე იქნება მუდამ, ვინემ ეს ქვეყანა იარსებებს. მე მიხარია, ედიღეი, უანგაროდ რომ მიაღწიე სამართალს...“

დიდხანს იყო ამ წერილის შთაბეჭდილების ქვეშ ედიღეი. უკვირდა თავის თავისა, როგორ შეცვალა ამ წერილმა, რაღაც შესძინა, თითქოს რაღაცაში გაარკვია. მაშინ იფიქრა პირველად, ალბათ დადგა დრო სიბერისთვის შევემზადო, რომელიც უკვე არც ისე შორიაო...

ელიზაროვის წერილი, ასე ვთქვათ, მიჯნა გამოდგა მისთვის - ზღვარი გაავლო იმას, რაც მანამდე იყო და რაც შემდეგ მოხდა. ყველაფერი, რაც ამ წერილამდე იყო - თითქოს დაშორდა, ბურუსით დაიფარა, თითქოს შორს დარჩა ზღვის ნაპირივით. რაც შემდეგ იყო - მშვიდად მიედინებოდა და ახსენებდა, რომ ცხოვრება დიდხანს, მაგრამ მუდმივად არ გაგრძელდება. თავიდათავია – წერილიდან შეიტყო, ზარიფა უკვე გათხოვილიაო. ამ ამბავმა ერთხელ კიდევ განაცდევინა მძიმე წუთები. თავს მხოლოდ იმით ინუგეშებდა, რომ რაღაცნაირად გული უგრძნობდა, ზარიფა გათხოვდებაო, თუმცა არ იცოდა, სად იყო, ბიჭები როგორ იყვნენ და სხვა ხალხში როგორ ეცხოვრებოდა. განსაკუთრებით შინ დაბრუნებისას მწვავედ უთქვამდა ამას გული. საოცარია, რატომ იფიქრა ასე, რად ჩაეჭიდა ეს ფიქრი ტვინში. ცუდ გუნებაზე სულაც არ წამოსულა ედიღეი ალმა-ათიდან, პირიქით, ძალიანაც კარგ განწყობაზე იყო. სადაც არ მივიდნენ ისა და

ელიზაროვი, ყველგან თანაგრძნობით, თბილად შეხვდნენ. იმიტომაც აღეძრა რწმენა, რომ მისი განზრახვა სწორი იყო და საქმე კარგად დამთავრდებოდა. ასეც გამოდგა. ედიღეის წასვლის დღეს კი ელიზაროვმა იგი სადგურის რესტორანში დაპატიჟა სადილად. მატარებლის გასვლამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, ისე რომ კარგად მოილხინეს, დალიეს, გულითადად ისაუბრეს დამშვიდობების წინ. იმ საუბრის დროს, როგორც ედიღეი მიხვდა, ელიზაროვმა თავისი ხვაშიადი გაუმჟღავნა. მან, მოსკოველმა კომკავშირელმა, ოციან წლებში თურქმენისტანში ამოჰყო თავი, ბასმაჩებს ებრძოდა თურმე, მერე კი დარჩა და დარჩა აქ, გეოლოგიურ მეცნიერებას გაჰყვა. ელიზაროვის აზრით. მთელი მსოფლიო ტყუილად არ შეჰყურებს იმედის თვალით ოქტომბრის რევოლუციის წამონაწყებს. თუმცა შეცდომების გამოსწორება ძვირად დაუჯდათ. მაგრამ გაუკვალავ გზაზე წინსვლა ამან ვერ შეაფერხა, რაც ისტორიის დედაარს შეადგენს. ელიზაროვმა ისიც თქვა, წინსვლა ახლა უფრო დაჩქარდება, ამის საწინდარი კი - საზოგადოების თვითგამოსწორება, თვითგანწმენდა არისო. რაკი ჩვენსავე თავს პირში შეგვიძლია ეს ვუთხრათ, მაშასადამე, მომავლის ძალა გაგვაჩნიაო, ამტკიცებდა ელიზაროვი. დიახ, ძალიან კარგად ისაუბრეს იმ სადილობის ჟამს ორივემ.

ასეთ განწყობაზე ბრუნდებოდა ბურანელი ედიღეი სარაზექში.

ისევ აიმართა ედიღეის თვალწინ ალათაუს თოვლიანი ლურჯი მთები, მთელ შვიდმდინარეთს მიჰყვებოდა მოშორებით მისი მთაგრეხილი. აი, მაშინ, გონების თვალით რომ გადახედა ალმა-ათაში თავის მგზავრობას, მაშინ მიხვდა, მაშინ უკარნახა გულისთქმამ ედიღეის, ზარიფა ალბათ გათხოვილი იქნებაო.

უყურებდა მთებს, გაზაფხულით გაცისკროვნებულ სივრცეებს ედიღეი და ფიქრობდა, ელიზაროვისთანა მართალი სიტყვისა და საქმის ერთგული ხალხი რომ არა, ადამიანს კიდევ უფრო გაუჭირდებოდა ამქვეყნად ცხოვრება. აბუტალიფის საქმის გარკვევის შემდეგ სწრაფად წარმავალი, დაუდგრომელი დროის ცვალებადობაზე ფიქრობდა ედიღეი - აბუღალიფს რომ ეცოცხლა, ცილისწამებას მოხსნიდნენ ახლა, გაანთავისუფლებდნენ და იქნებ ბედნიერად ეცხოვრა თავის ბიჭებთან ერთად! დიახ, დიახ, რომ ეცოცხლა! ამით ყველაფერია თქმული. რომ ეცოცხლა, თქმა რად უნდა, ზარიფა უკანასკნელ დღემდე დაელოდებოდა. ამას წყალი არ გაუვა! ასეთ ქალი ქმარს უთუოდ დაუცდიდა. ხოლო როცა აღარავის მოელი, მაშინ მოცდას რა აზრი აქვს, ახალგაზრდა ქალმა მარტო რად უნდა იცხოვროს. ხოლო რაკი ასეა საქმე, თუ შესაფერისი ადამიანი შეხვდა, გაჰყვება კიდეც ცოლად, რატომაც არა? გუნება მოუშხამა ამ ფიქრებმა ედიღეის. შეეცადა სხვა რამეზე გადაეტანა ფიქრი, ამაზე არ ეფიქრა, ფიქრებისთვის ფრთა შეეკვეცა. მაგრამ ვერ შეძლო, ვერა და ამიტომაც ვაგონ-რესტორანს მიაშურა.

ვაგონ-რესტორანში ხალხი ცოტა იყო, არც მონაგვიანებული ჩანდა იქაურობა, ვინაიდან არც ისე დიდი ხანია მგზავრობდნენ. ედიღეი მარტო მიჯდა ფანჯარასთან. ჯერ ერთი ბოთლი ლუდი გამოართვა, გავერთობიო. დიდი ფანჯრიდან ერთდროულად მთებიც ჩანდა ტრამალებიცა და ცაც. ეს ხასხასა სივრცე, სადაც ერთ მხარეს ყაყაჩოთი გადაწითლებული ველები ჩანდა, მეორე მხარეს კი მედიდურად აზიდული თოვლიანი მწვერვალები, სულს ამაღლებდა, აუხდენელი ოცნებებით ავსებდა და მწარე იმედგაცრუებითაც წამლავდა. ჯავრიან გულზე არაყი მოუნდა ედიღეის და რამდენიმე ჭიქაც გადაჰკრა, მაგრამ არაფერი უგრძვნია. მაშინ ისევ ლუდი შეუკეთა. იჯდა ასე და ფიქრებს

მისცემოდა. დღე იწურებოდა. გაზაფხულის კამკამა ბინდში რკინიგზის გაღმა-გამოღმა მიქროდნენ სოფლები, ბაღები, გზები, ხიდები, ჯოგები თუ ფარები. მაგრამ ედიღეის გულს - არაფერი ეკარებოდა; ხელახლა მოეძალა მწარე ნაღველი, გულზე ლოდად დააწვა გაურკვეველი წინათგრძნობა, წარსულს უკვე ჯვარი დაესვაო.

ასე იჯდა დაღამებამდე, ვინემ ვაგონ-რესტორანი ხალხით არ გაიჭედა და თამბაქოს კვამლმა არ გაბურა იქაურობა. უკვირდა ედიღეის - რად არიან ასე უზრუნველად ეს ხალხი, რა წვრილმანებზე ლაპარაკობენ და ღელავენ, რა სიამოვნებას ანიჭებთ არაყის სმა და თამბაქოს ქაჩვა? მამაკაცებს რომ შემოჰყვნენ, იმ ქალების დანახვაც არ გახარებია, მათი სიცილი ყურს ჭრიდა, ბარბაც-ბარბაცით წამოდგა, ოფიციანტი ქალი მოძებნა, აყაყანებულ მაგიდებს შორის აქლოშინებული რომ დარბოდა ლანგრებით, ფული გადაიხადა და თავის კუპესკენ გასწია. მიდიოდა, მატარებელთან ერთად თვითონაც ხანხალებდა და უფრო და უფრო უმძიმებდა გულს სიმარტოვე, უცხოობა, უფრო და უფრო ობლად გრძნობდა თავს...

ნეტა რად უნდოდა სიცოცხლე, ნეტა სად მიდიოდა...

ახლა მისთვის სულ ერთი იყო, საიდან, სად ან რისთვის მიემგზავრებოდა, საით ისწრაფოდა ამ ღამეში ჩქარი მატარებელი, რომელიღაც ტამბურში შედგა, კარის გრილ მინას გახურებული შუბლი მიადო. იდგა ასე, არ იხედებოდა უკან, არ აქცევდა ყურადღებას აქეთ-იქით მოფუსფუსე მგზავრებს.

მატარებელი კი მიდიოდა რაკარუკით, ყანყალ-ყანყალით. ედიღეის შეეძლო კარი გაეღო როგორც ყველა რკინიგზელს, გასაღები მასაც ჰქონდა - კარი გაეღო და ზღურბლზე გადაებიჯებინა... რომელიღაც უდაბურ ადგილას, სადღაც შორს ორი სინათლე კიაფობდა, დიდხანს, დიდხანს ჩანდა მატარებლიდან.

იქნებ ეულად მდგარი სახლის ფანჯრების სინათლე იყო, იქნებ პატარა კოცონები. იქ ალბათ ვიღაც ადამიანები იმყოფებოდნენ და იმიტომ ენთო სინათლე. ვინ იყვნენ? ან რატომ იყვნენ? ეჰ, ნეტა ზარიფა და მისი ბიჭები ყოფილიყვნენ! იმწამსვე მატარებლიდან გადახტებოდა ედიღეი და მასთან გაიქცეოდა სულმოუთქმელად, ფენებში ჩაუვარდებოდა, მთელ თავის დარდსა და ნაღველს გამოიტირებდა, არც შერცხვებოდა, ისე...

ნელ-ნელა თვალს მოეფარა ტრამალში მოციმციმე ის ორი სინათლე და ბურანელმა ედიღეიმაც ამოიგმინა. ასე იდგა ტამბურის კართან ედიღეი, ჩუმად სლუკუნებდა, ზედაც არ უყურებდა ვაგონებში ხმაურით მიმომავალ მგზავრებს. სახე ცრემლებით მორწყოდა.. ასე იდგა და შეეძლო კარი გაეღო, შეეძლო ზღურბლზე გადაებიჯებინა...

მატარებლები ამ მხარეში აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრი-ალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა ვეებერთელა უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.

ამ მხარეში ყველა მანძილი, გრინვიჩის მერიდიანის დარად, რკინიგზასთან მიმარჯვებით ისაზღვრებოდა.

მატარებლები კი აღმოსავლეთიდან დასავლეთით, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიგრიალებდნენ...

ვეება ბოლოთეთრა ძერა მოსწყდა ბუდეს მალაყუმდიჩა-ფის ფლატეზე და არემარეს დასათვალიერებლად აფრინდა. ასე უვლიდა იგი დღეში ორჯერ თავის სამფლობელოს - ნაშუ-ადღევამდე და შუადღევის შემდეგ.

მის თვალს არ გამოპარვია რა ტრამალის ზედაპირზე, არც ღოღვით მიმავალი ხოჭოები და არც ცქაფი ხვლიკები. უხმოდ ფრენდა იგი საროზექის თავზე, დინჯად მიიქნევდა ფრთებს, თანდათან მაღლა და მაღლა მიირწეოდა, რათა დიდზე და შორზე გადმოეხედა ტრამალისათვის, ცაში დაბრუნავდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა თავის საყვარელ სანადირო ად-გილს - დახურულ ზონას. მას აქეთ, რაც ის უშველებელი სივრცე შემოღობეს, პატარ-პატარა ცხოველებისა და სხვადასხვა ფრინ-ველების რიცხვმა საგრძნობლად იმატა, ვინაიდან მელიებსა თუ სხვა მოსუნსულე ნადირს უკვე ვეღარ გაებედათ თავის ნებაზე აქ ძრომიალი. სამაგიეროდ ძერა აინუნში არ აგდებდა ღობეს. მის-თვის სასიკეთოც კი გამოდგა. თუმცა არც სულ მთლად. ამ სამი დღის წინ ზემოდან კურდღლის ბაჭიას რომ ჰკრა თვალი და ისა-რივით დაეშვა მისკენ, ბაჭიამ მოასწრო და მავთულის ქვეშ შეძ-ვრა, ძერა კი ლამის ზედ წამოეგო მავთულის ეკლებს. ძლივს გაარიდა თავი, გააფთრებული მყისვე აიჭრა ზემოთ, ბასრმა ეკ-ლებმა რამდენიმე ბუმბული ააგლიჯა მკერდიდან, თავისთვის რომ გაფრიალდა მერე. მას აქეთ ერიდებოდა ამ საშიშ ღობეს ძერა.

ასე მიფრინავდა მეფური მედიდურებით, ზედმეტად ერ-თხელ არ მოუქნევია ფრთა, რომ მიწაზე მცხოვრებ არსებათა ყურადღება არ მიექცია. იმ დღეს დილიდანვე - ჯერ პირველი და მერე მეორე შემოფრენისას - ადამიანების რაღაც დიდი გამო-ცოცხლება შეამჩნია კოსმოდრომის ვეება დაბეტონებულ მინ-დვრებზე. მანქანები აქეთ-იქით დაგორავდნენ, მეტწილად რაკე-

ტებიანი კონსტრუქციების ირგვლივ დატრიალებდნენ. ეს ცისკენ აღერილი რაკეტები დიდი ხანია განცალკევებით ასვეტილიყვნენ თავიანთ მოედნებზე, ძერა დიდი ხანია უკვე მიეჩვია მათ, მაგრამ დღეს რაღაც ხდებოდა იქ - მეტისმეტად ბევრი მანქანა, მეტისმეტად ბევრი ხალხი ირეოდა მათ გარშემო.

არც ის გამოჰპარვია ძერას, რომ წეღან ტრამალში აქლემით ჩავლილი კაცი, ორი მორახრახე ტრაქტორი და წითურა ბანჯგვლიანი ძაღლი ახლა ეკლიანი მავთულის გამოღმა იდგნენ, თითქოსდა ვერ გადაელახათ იგი... წითურა ძაღლის უსაქმურმა იერმა ბრაზი მოჰგვარა ძერას, მეტადრე იმან გააღიზიანა, ადამიანებს რომ მიტუზებოდა. მაგრამ ეს ბრაზი არაფრით გამოუხატავს, ასე როგორ დაიმდაბლებდა თავს. უბრალოდ, იმ ადგილს დატრიალებდა და გაფაციცებით უთვალთვალებდა, რას ეპირებოდა ეს წითურა ძაღლი, ადამიანების გვერდით რომ იდგა კუდის ქიცინით..

ედიღეიმ მაღლა აიხედა და ცაში მონავარდე ძერა დაინახა. „ბოლოთეთრაა, კარგა დიდი, - გაიფიქრა მან, - ეეჰ, ნეტა ძერა ვიყო, ვინღა შემაჩერებდა მაშინ. გავფრინდებოდი და ანაბეიითის ყუმბეზებზე[24] დავეშვებოდი!..“

ამასობაში მოახლოებული მანქანის ხმა მოისმა გზაზე. „მოდის! - გაეხარდა ბურანელ ედიღეის. - ღმერთმა ქნას, ყველაფერი მოგვარდეს!“ „გაზიკი“ სწრაფად მოგრიალდა შლაგბაუმთან და საგუშაგო შენობის გვერდით ხელდახელ დადგა. გუშაგი მანქანის მოახლოებას ელოდა, მანქანიდან გადმოსულ ყარაულის უფროს ლეიტენანტ თანსიქბაევს ხელი აუღო და მოახსენა:

- ამხანაგო ლეიტენანტო, მოგახსენებთ...

[24] აკლდამები

მაგრამ ყარაულის უფროსმა გააჩუმა. როცა შუა სიტყვაზე შეწყვეტილმა გუშაგმა ხელი დაბლა დაუშვა, უფროსი შლაგბაუმის გაღმა მდგართ მიუბრუნდა.

- ვინ არიან აქ უცხოები? ვინ მიცდის? თქვენ? – შეეკითხა იგი ბურანელ ეღიღეის.

- ბიზ, ბიზგოი ქარაგიმ. ანა-ბეითქე ქეტპეი თური ქალდიკ, კალაი და ბოლსა, ქანდამდეშ, ქარაგიმ[25]", - უთხრა ედიღეიმ, თან შეეცადა ორდენ-მედლები ახალგაზრდა ოფიცრისთვის დაენახვებინა.

ლეიტენანტ თანსიქბაევზე ედიღეის სიტყვებს არ უმოქმედია, მხოლოდ ჩაახველა. ხოლო როცა ედიღეიმ ისევ დააპირა ლაპარაკი, ცივად გააფრთხილა.

- ამხანაგო უცნობო, რუსულად მელაპარაკეთ. მე აქ ჩემს მოვალეობას ვასრულებ, - წარბები შეჭმუხნა მარღთვალება ლეიტენანტმა.

- ეეჰ, უკაცრავად, უკაცრავად. თუ რამე შემცდა, მაპატიე. - ედიღეის ენა ჩაუვარდა, სათქმელი დაავიწყდა.

- ნება მომეცით, ჩვენი სათხოვარი მოგახსენოთ, ამხანაგო ლეიტენანტო, - წამოეშველა აყლაყუდა ედილბაი მოხუცს.

- მომახსენეთ, ოღონდაც მოკლედ, - გააფრთხილა ყარაულის უფროსმა.

- ერთი წუთით, დაე, განსვენებულის ვაჟიც დაესწროს, - აყლაყუდა ედილბაი საბითჟანისკენ მიბრუნდა, - საბითჟან, ჰეი, საბითჟან, აბა ერთი აქ მოდი!

---

[25] ეს ჩვენა ვართ, ჩვენ, შვილო, სასაფლაოზე არ გვიშგვებენ. რამე გაახერხე, დაგვეხმარე, შვილო.

მაგრამ განზე მობოლთავე საბითჟანმა ხელი უსიამოდ აუქნია:

- თქვენ თვითონ მოილაპარაკეთ.

აყლაყუდა ედილბაი გაწითლდა.

- აპატიეთ, ამხანაგო ლეიტენანტო, ნაწყენი გახლავთ. ეგ ჩვენი განსვენებული ყაზანგაპის ვაჟია. მისი სიძეც აქაა, აგერ მისაბმელზე ზის.

სიძეს ეგონა, მეძახიანო, და მისაბმელიდან ჩამოძვრა.

- წვრილმანები არ მაინტერესებს, საქმის არსი მითხარით, – თქვა ყარაულის უფროსმა.

- კეთილი.

- მოკლედ და დალაგებით.

- დიახ, მოკლედ და დალაგებით.

მოჰყვა აყლაყუდა ედილბაი, როგორი იყო - ვინ არიან, სადაურები, აქ რატომ მოვიდნენ. ედიღეი ამასობაში ლეიტენანტ თანსიქბაევს თვალს არ აშორებდა. მიხვდა. აქ სასიკეთო არაფერი გამოვიდოდა - შლაგბაუმის იქით ლეიტენანტი მარტო იმიტომ იდგა, ყასიდად მოესმინა გარეშე პირთა საჩივარი - მიხვდა და იმედი ჩაუქრა გულში. ყაზანგაპის სიკვდილი, წამოსვლის სამზადისი, ყველაფერი, რაც ახალგაზრდების დასაყაბულებლად გააკეთა, ყაზანგაპი ანა-ბეიითზე დავკრძალოთო, მისი ფიქრები, ის ყოველივე, რაც მისი აზრით, საროზექის ისტორიასთან აკავშირებდა - ერთბაშად არარად აქცია, უნაყოფო, კნინი გახადა თანსიებაევის სახემ. სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი იდგა ედიღეი. სასაცილო და გულსაწყვეტი ეჩვენა საბითჟანის ლაჩრული საქციელი, რომელმაც გუშინ, არაყისა და შუბათის სმისას, ამდენი ილაქლაქა ღმერთებზე ამდენი იყბედა იმაზე, თუ როგორ უგამგებლებს ადამიანებს რადიო, რა არის ბორანლელები თავისი ცოდნით გაეკვირვებინა, ახლა კი სიტყვის დაძვრაც არ

ინება! სასაცილოდ ეჩვენა ფუნჯებიანი, ნაქარგი ყაჯრით მორთული ბურანელი ყარანარი - ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო ეს ყველაფერი! განა შეეძლო აგრე რიგად მორთული ყარანარის დაფასება ამ უბადრუკ ლეიტენანტ თანსიქბაევს, რომელმაც ან არ ისურვა, ან ვერ გაბედა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი? სასაცილოდ ეჩვენა და გული ეტკინა ყაზანგაპის გაუბედურებული ლოთი სიძის გამოც, რომელსაც მთელი დღე წვეთი არ ულევია, მთელი დღე იმ მისაბმელზე იჯაყჯაყა, მიცვალებულს არ მოშორებია, ახლა კი ჩამოვიდა და გვერდით დაუდგა, ეტყობა, მაინც იმედი ჰქონდა, სასაფლაოსკენ გაგვიშვებენო. სასაცილოდ ეჩვენა და გული ეტკინა თავისი წითურა ჟოლბარსის გამო - ნეტა რად აეკიდა მათ, ან ასე მოთმინებით რად ელის, როდის გააგრძელებენ გზას? ძაღლი მაინც რამ აიძულა? ან იქნებ სწორედ ძაღლმა იგრძნო წინასწარ, რა ცუდ დღეში ჩავარდებოდა პატრონი, იმიტომაც გამოჰყვა, რომ ასეთ დროს პატრონის გვერდით ყოფილიყო. ან რა უთხრას კალიბეგსა და ჟუმაგალის, რომლებიც ახლა კაბინებში სხედან, რას იფიქრებენ ისინი?

ცხადად გრძნობდა დამცირებული და გუნებააშლილი ედიღეი, თანდათან როგორ ერეოდა აღშფოთება, როგორ უდუღდა ძარღვებში სისხლი. იცოდა თავისი ხასიათი, იცოდა, რა საშიში იყო მისთვის სიბრაზის აყოლა, თავს იკავებდა, გულში იხშობდა წყრომას. არა, არ ჰქონდა უფლება წონასწორობა დაეკარგა, ვინემ მიცვალებული დაუმარხავი ესვენა მისაბმელზე. არ ეკადრება ამ ხნის კაცს აღშფოთება და ხმის ამაღლება. ამიტომაც ენას კბილი დააჭირა, ყბის ძარღვები დაძაბა, რათა არც სიტყვით და არც საქციელით არ გაემჟღავნებინა, რა ხდებოდა ამ წუთს მის გულში.

ასედაც იცოდა ედიღეიმ, რომ აყლაყუდა ედილბაის საუბარს ყარაულის უფროსთან საიმედო არაფერი მოჰყვებოდა.

- ვერაფრით დაგეხმარებით. უცხო პირთა შესვლა ზონის ტერიტორიაზე სასტიკად აკრძალულია, - თქვა ბოლოს ლეიტენანტმა.

- ეს ჩვენ არ ვიცოდით. ამხანაგო ლეიტენანტო, თორემ რად, რისი გულისთვის წამოვიდოდით? მაგრამ რაღაი ჩამოვედით, სთხოვეთ ზემდგომ უფროსებს, ნება დაგვრთონ კაცი დავმარხოთ. უკან ხომ ვერ წავიყვანთ.

- მე უკვე მოვახსენე და ბრძანებაც მივიღე, არა მიზეზით არავინ შემოუშვაო.

- მიზეზიო? - გაოცდა აყლაყუდა ედილბაი. მიზეზი რა შუაშია, ამხანაგო ლეიტენანტო? რა დაგვრჩენია მაგ თქვენ ზონაში? კაცი რომ დასამარხი არ გვყავდეს, ამოდენა გზა, რატომ გამოვივლიდით?

- მე ერთხელ კიდევ გიმეორებთ, გარეშე ამხანაგო, რომ აქ არავის შემოსვლა არ შეიძლება.

- ვინაა აქ გარეშე! - უცებ ამოიღო ხმა აქამდე ჩუმად მდგარმა ყაზანგაპის ლოთმა სიძემ. - ვინაა-მეთქი აქ გარეშე? ჩვენ ვართ გარეშენი? - ყაზანგაპის სიძეს მომჩვარული სახე წამოუჭარხალდა, ტუჩები ჩაუ-ლურჯდა.

- დიახ, დიახ, როდის აქეთ გავხდით გარეშენი? - მხარი აუბა აყლა-ყუდა ედილბაიმაც.

- ეს ჩვენი სასაფლაოა - ყაზანგაპის ლოთ სიძეს ხმა არ აუმაღლებია, ზღვარს რომ არ გადასულიყო. არც რუსული ემარჯვებოდა და ნელა ლაპარაკობდა, სწორად გამოთქმას ლამობდა. - ეს ჩვენი, ჩვენი სასაფლაო არის. უფლება გაქვს სარაზექის ხალხი, ჩვენი ხალხი დამარხო. როცა აქ, ძალიან დიდი ხნის წინ, დაიმარხა ნაიმან-ანა, არავინ იცოდა, დახურული ზონა თუ იქნებოდა.

- მე აქ კამათს ვერ გავმართავ - განაცხადა ლეიტენანტმა თანსიქბაევმა. - როგორც ყარაულის უფროსი ამჟამად, კიდევ ერთხელ გიმეორებთ - აკრძალული ზონის ტერიტორიაზე ვერა საბაბითა და მიზეზით ვერც ახლა და ვერც შემდეგ ვერავინ შემოვა.

ყველანი ჩუმად იდგნენ. „ღმერთო. მომთმენინე. ღმერთო, არ გამალანძღინო!“ გულში ამბობდა ბურანელი ედიღეი და ცას ცერად ახედა. შორს კამარას კრავდა ისევ ის ძერა. კვლავაც შენატრა ამ დინჯსა და ძლიერ ფრინველს ედიღეიმ. გადაწყვიტა, აღარ ღირდა ბედის ცდა, უნდა მოშორდნენ აქაურობას, მართლა ძალით ხომ არ შევარდებოდნენ. ედიღეიმ ისევ ახედა ძერას და თქვა:

- ჩვენ წავალთ, ამხანაგო ლეიტენანტო, მაგრამ გადაეცი იმ თქვენს გენერალს თუ ვინცა გყავთ - ასე არ შეიძლება-თქო! მე, როგორც ძველ ჯარისკაცს, მითქვამს - ეს სწორი არაა.

- სწორია თუ არა - ზემოდან ნაბრძანების განსჯის უფლება მე არა მაქვს. ხოლო შემდეგში რომ იცოდეთ, დავალებული მაქვს გადმოგცეთ: ეს სასაფლაო გაუქმებული იქნება.

- ანა-ბეითი? - განცვიფრდა აყლაყუდა ედილბაი.

- დიახ, თუკი ასე ჰქვია.

- რატომ? ნეტა ვის შეუშალა ხელი ამ სასაფლაომ? - აღშფოთდა აყლაყუდა ედილბაი.

- იქ ახალი მიკრორაიონი იქნება.

- სასწაულია და ესაა! - ხელები გაშალა აყლაყუდა ედილბაიმ. რა, მაგის მეტი ადგილი ვერ ნახეთ, მიწა არ გეყოთ?

- გეგმით ასეა გათვალისწინებული.

- გამიგონე, მამაშენი ვინაა? - ჯიქურ ჰკითხა ბურანელმა ედიღეიმ ლეიტენანტ თანსიქბაევს.

ლეიტენანტი გაოცდა.

- რა შუაშია? ან რაში გეკითხებათ?

- იმ შუაშია, რომ ჩვენთვის კი არ უნდა გეთქვა ეს ყველაფერი, იქ უნდა გელაპარაკა, სადაც ჩვენი სასაფლაოს მოსპობა განიზრახეს. ან იქნება შენი მამა-პაპა არ მომკვდარა ან შენ არ მოკვდები არასოდეს?

- ამას არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან.

- კარგი, მაშინ საქმეზე გადავიდეთ. მაშინ, ამხანაგო ლეიტენანტო, მოდი და იმ თქვენს ყველაზე უფროსს დამაკავშირე, რომ მომისმინოს, მე მოვითხოვ, რომ უფლება მომცენ ჩემი საჩივარი თქვენს ყველაზე მთავარ უფროსს მოვახსენო. გადაეცი, რომ ძველ ფრონტელს, საროზექის მცხოვრებ ედიღეი ჟანგელდინს ორიოდე სიტყვა სურს უთხრას!

- არ შემიძლია. მე მხოლოდ მიბრძანეს, როგორ ვიმოქმედო.

- ნეტა რა შეგიძლია? - ისევ ჩაერია ყაზანგაპი ლოთი სიძე და სასოწარკვეთით დაუმატა: - ბაზრის მილიციაც კი გჯობია შენ!

- ახლავე შეწყვიტეთ ეს უმსგავსოება! - წელში გასწორდა გაფითრებული ყარაულის უფროსი. - შეწყვიტეთ-მეთქი! მოაშორეთ ეგ კაცი შლაგბაუმს და ტრაქტორებიც წაიყვანეთ, გზა გაათავისუფლეთ!

ედიღეიმ და აყლაყუდა ედილბაიმ ხელი სტაცეს ყაზანგაპის ლოთ სიძეს და ტრაქტორებისკენ წაათრიეს. ის კი მაინც უკან იხედებოდა და გაჰყვიროდა:

- საგან ჟოლ და ჟეტპეიდი, საგან ჟერ და ჟეტბეიდი, ურდომ სეიდეიდინ აიზინ![26]

---

[26] შენ გზაც არ გყოფნის, მიწაც არ ყოფნის! მომიფურთხებია შენთვის!

აქამდე ჩუმად მყოფმა საბითჟანმა, მოშორებით მოღუშული რომ სცემდა ბოლთას, ახლა გადაწყვიტა თავის გამოჩენა:

- რა იყო? გამოგაბუნძულეს ყველა? ასედაც უნდა ყოფილიყო! თავი მოიკლეს, გამოცვივდნენ, გინდა თუ არა ანაბეიითიო! ახლა კი ნაცემი ძაღლებივით ამოიძუეს კუდი!

- ვინაა ნაცემი ძაღლი? - გაქანდა მისკენ სულ მთლად გაცეცხლებული ყაზანგაპის ლოთი სიძე. - თუ ვინმეა ჩვენში ძაღლი, ეს შენა ხარ, ნაძირალავ! რაღა შენ და რაღა ის, იქ რომ დგას! კიდევ რომ ყოყოჩობ - სახელმწიფო კაცი ვარო! რა კაცი ხარ შენ!

- აბა, აბა, ენა დააყე, ლოთო! - დაუღრიალა საბითუანმა, რომ საგუშაგოზედაც გაეგოთ. - მაგათ ადგილზე მე ისე შორს გიკრავდი თავს, შენი ჭაჭანება არ ყოფილიყო ახლომახლო! შენისთანები უნდა მოსპო, საზოგადოებისთვის რა ხეირი ხარ!

ამ სიტყვებით საბითჟანმა ზურგი შეაქცია სიძეს, ვითომდა მიმიფურთხებია შენთვისა და ვინც შენ გახლავსო. მერე ერთბაშად დაფაცურდა, დიდგულად და ხმამაღლა უბრძანა ტრაქტორისტებს:

- თქვენ კი რა პირი დაგიღიათ? აბა მიდით, ტრაქტორები აამუშავეთ! როგორც მოვედით, ისევე წავალთ! ჯანდაბა და დოზანა! აბა მოატრიალე ტრაქტორი! მეყო, რაც ვისულელე, სხვების ჭკუას ავყევი.

კალიბეგმა ტრაქტორი აამუშავა და ფრთხილად მოატრიალა მისაბმელთან ერთად. ამასობაში ლოთი სიძე ისევ ურიკაში ჩახტა და ისევ მიცვალებულს მიუჯდა გვერდით. ქუმაგალი ბურანელ ედიღეის ელოდა, ექსკავატორის ციცხვზე მიბმულ ყარანარს როდის ახსნისო. საბითჟანმა ამის დანახვაზე უფრო ააჩქარა ჟუმაგალი:

- შენ რაღას უდგეხარ? მიდი, აამუშავე! რას უცდი! ჩქარა უკან მიაბრუნე! დასაფლავებაც ამას ჰქვია! აკი თავიდანვე წინააღმდეგი ვიყავი! კმარა! შინისკენ მიატრიალე.

ვინემ ბურანელი ედიღეი აქლემს ჩააჩოქებდა, ვინემ უნაგირზე დაჯდებოდა და ისევ წამოაყენებდა ყარანარს - ტრაქტორები წინ წავიდნენ, უკანა გზას დაადგნენ, თავისივე ნაკვალევს გაჰყვნენ, ედიღეის არ დაუცადეს. საბითუანმა ქნა ასე, იჯდა პირველ ტრაქტორში და აჩქარებდა...

ძერა კი ისევ ცაში დანავარდობდა, ძაღლს დაჰყურებდა, მისი უაზრო საქციელი აბრაზებდა. ვერ გაეგო, წინ რად არ გაიქცა ძაღლი, როცა ტრაქტორები დაიძრნენ, იმ კაცს რად არ მოშორდა, რად დაუცადა, ვინემ აქლემზე შეჯდებოდა, და მერეღა გასდია ტუსტუსით.

კვლავ საროზექს გაუყვნენ მალაყუმდიჩაფის ხრამისკენ ჯერ ტრაქტორები, მერე აქლემზე შეყუნცული კაცი, უკან კი ნახტომ-ნახტომ მისდევდა წითურა ძაღლი. მალაყუმდიჩაფის შვერილზე, ერთ მოფარებულ ნაღვარევში ძერას ჰქონდა ბუდე. სხვა დროს იცოცხლე, ძერა აფორიაქდებოდა, შეშფოთებული კაპკაპს მოჰყვებოდა, არ მოუახლოვდებოდა, მაგრამ თვალს არ მოაცილებდა მოსულებს, ფრთებს უფრო ჩქარა მოუსვამდა, დედა ძერას მოუხმობდა, რომელიც თავის კანონიერ მიწებზე ნადირობდა, მეზობლად, რათა ისიც შემოერთებოდა, თუკი ბუდის დაცვა დასჭირდებოდათ. მაგრამ ახლა ბოლოთეთრა ძერა არ შეშფოთებულა - მისი მართვენი რა ხანია მოჩიტულიყვნენ და ბუდე მიეტოვებინათ. ქარვისთვალება, ნისკარტკაუჭა პატარა ძერები უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას შესდგომოდნენ, ფრთები მომაგრებოდათ, თავიანთი სამფლობელოები გაეჩინათ საროზექის მიდამოებში და არცთუ დიდად სიამოვნებდათ, როცა ბებერი ძერა მათ მიდამოს მოაკითხავდა. ძერა თვალს არ აცი-

ლებდა უკან გაბრუნებულ ადამიანებს, რათა არაფერი გამოჰ-პარვოდა, რაც მისი საუფლოს საზღვრებში ხდებოდა. მეტადრე იმ წითურა, ბანჯგვლიან ძაღლს აკვირდებოდა ცნობისწადი-ლით, ადამიანებს რომ არ შორდებოდა. ნეტა რამ მიაჯაჭვა ამ ხალხს, რატომ თავისით არ ნადირობს, კუდის ქიცინით რად დასდევს იმათ, ვინც თავისი საქმეებით გართულა? ნეტა რას აქ-ნევს ასეთ ყოფას? ძერის ყურადღებას ის ბრჭყვიალა. საგნებიც იქცევდა, აქლემით მიმავალ ადამიანს რომ უჩანდა მკერდზე. იმიტომაც შეამჩნია მაშინვე, იმ აქლემიანმა კაცმა, ტრაქტორების კვალდაკვალ მიმავალმა. ერთბაშად რომ გაუხვია განზე, ხევს გაუყვა ქეშად, ვინემ ტრაქტორები ხევს შემოუვლიდნენ, გზა უყე-ლა მათ და წინ გაუსწრო. კაცი გამალებით მირეკავდა აქლემს, მათრახს იქნევდა, მკერდზე უხტოდა და უწკრიალებდა ის ბრჭყვიალა საგნები, აქლემი მარდად მირბოდა, განივრად, გრძლად ადგამდა ფეხებს, წითურა ძაღლი კი ძუნძულით მის-დევდათ...

ასე იყო, ვინემ აქლემიანმა კაცმა ტრაქტორებს არ გაუს-წრო და მალაყუმდიჩაფის კანიონის შესასვლელში გზა არ გა-დაჭრა. ტრაქტორებმა დაამუხრუჭეს.

- რა იყო? კიდევ რა მოხდა? - თავი გაჰყო კაბინიდან სა-ბითუანმა.

- არაფერი, ძრავები გააჩერეთ, - ბრძანა ბურანელმა ედი-ღეიმ. - სალაპარაკო მაქვს.

- რა სალაპარაკო?ნუ გვაყოვნებ, გვეყო სეირნობა, ყელში ამოვიდა!

- ახლა შენ გვაყოვნებ. ყაზანგაპი აქ უნდა დავმარხოთ.

- ნეტა როდემდე უნდა გვაპამპულო! - აენთო საბითუანი და ისედაც მომჩვარული ჰალსტუხი უარესად დაჭმუჭნა. - მე თვითონ დავმარხავ ასაქცევზე, მორჩა და გათავდა!

- გამიგონე, საბითჟან! მამაშენი რომაა, არ გედავები, მაგრამ მარტო შენ ხომ არა ხარ ამქვეყნად. ჩვენიც გაიგონე, თუ რა მოხდა საგუშაგოზე, შენი თვალით ნახე და შენი ყურით გაიგონე. ჩვენი ბრალი აქ არაფერია. მაგრამ აბა დაფიქრდი. სად გაგონილა, მიცვალებული სასაფლაოდან უკან მიაბრუნო? ეს თავის დღეში არ მომხდარა. ხომ თავი მოგვეჭრა ყველას. ათადან-ბაბადან ასეთი რამ არავის უქნია.

- ფეხებზედაც არ მკიდია, - მიუგო საბითჟანმა.

- ახლა ამბობ ასე. ცხელ გულზე რას არ იტყვი კაცი. ხვალ კი შეგრცხვება. დაფიქრდი, ამ სირცხვილს ვერაფრით ჩამოირეცხავ. შინიდან გამოსვენებული მიცვალებული უკან არ შეიძლება მიაბრუნო.

ამასობაში ექსკავატორის კაბინიდან აყლაყუდა ედილბაი ჩამოძვრა, ურიკიდან ლოთი სიძე ჩამოვიდა. ჟუმაგალიც გადმოვიდა იმის გასაგებად, რა მოხდაო. ბურანელი ედიღეი, ყარანარზე ამხედრებული, შუა გზაზე გაბოგირებულიყო.

- გამიგონეთ, ჯიგიტებო, - თქვა მან. - ადათებს ნუ გადაბიჯებთ, ბუნებას წინ ნუ აღუდგებით! ჯერ არ მომხდარა, მიცვალებული სასაფლაოდან უკან გაბრუნებინოთ. ვინც დასაკრძალავად წამოიყვანეს, უნდა დაიკრძალოს. სხვა გზა არაა! აქ, ამ მალაყუმდიჩაფზე თქვა ნაიმან-ანამ თავისი დიდი ზარი. დამიჯერეთ მოხუც ედიღეის. აქ უნდა დაიმარხოს ყაზანგაპი, აქ უნდა გაითხაროს ჩემი საფლავიც. ღვთის მადლით, თქვენვე დამასაფლავებთ. ამას შემოგეხვეწებით. ახლა კი, ვინემ დრო კიდევ დაგვრჩენია - აგერ იქ, ხრამის თავზე მივაბაროთ მიცვალებული მიწას.

აყლაყუდა ედილბაიმ იმ ადგილს გახედა.

- ჟუმაგალი, გავა იქ შენი ექსკავატორი?

- გავა, რატომაც არ გავა. აგერ იმ კიდეზე...

- დაიცა, დაიცა! იმ კიდეზე, რომ ამბობ, მე არ მეკითხები? – ჩაერია საბითჟანი.

- მეტი კითხვა რად გინდა, - მიუგო ჟუმაგალიმ, - ვერ გაიგე, ამ კაცმა რა თქვა!

- გამასხრებას თავი გაანებეთ! ეს ადამიანის შეგინებაა! ასაქცევზე დავბრუნდეთ!

- თუ ეგ გაწუხებს, შეგინება სწორედ მიცვალებულის სასაფლაოდან შინ მიყვანა იქნება! - უთხრა ჟუმაგალიმ. - ისე რომ კარგად დაფიქრდი.

დუმილი ჩამოვარდა.

- რაც გინდა თქვით და, მე კი წავალ და საფლავს ამოვთხრი. ჩემი ვალია, რაც შეიძლება ღრმად გავჭრა საფლავი. ჯერ კიდეც დროა. სიბნელეში ამას არავინ გააკეთებს. თქვენ კი როგორც გენებოთ, - თქვა ჟუმაგალიმ და თავის ექსკავატორისაკენ გასწია, მაშინვე აამუშავა, გზის პირისკენ წაიყვანა, გორაკს ჩაუარა და იქიდან მალაყუმდიჩაფის ხრამზე გადავიდა. მას აყლაყუდა ედილბაიმ მისდია, ბურანელმა ედიღეიმაც მათ კვალდაკვალ დასძრა ყარანარი.

- თუ იქით არ წახვალთ, - უთხრა ლოთმა სიძემ კალიბეგს და ხრამზე მიათითა, - იცოდე, ტრაქტორის ქვეშ გავწვები, ხომ იცი, ჩირად არ მიღირს არაფერი, - იგი წინ გადაუდგა ტრაქტორს.

- რა ვქნა, საით წავიდე? - ჰკითხა კალიბეგმა საბითჟანს.

- ყველანი ნაძირალებია და ძაღლები! - ხმამაღლა შეიგინა საბითჟანმა. - აქ რაღას ზიხარ, მიდი, დაქოქე და იმათ მიჰყევი!

ძერა ახლა ხრამს დაჰყურებდა, სადაც ადამიანები დაფუსფუსებდნენ. ერთი მანქანა ძიგძიგებდა, მიწას თხრიდა და გვერდზე ჰყრიდა ზაზუნასავით. ამასობაში მისაბმელიანი ტრაქტორიც

მოფოფხდა, სადაც შუა ურიკაზე ისევ ისე უძრავად იდო თეთრში გადახვეულ რაღაც საგანი და ისევ ის ერთი კაცი ეჯდა გვერდით. წითურა ბანჯგვლიანი ძაღლიც ადამიანებს არ შორდებოდა, თუმცა მეტწილად აქლემის ფეხებთან იწვა.

მიხვდა ძერა, რომ ეს მოსული ხალხი დიდხანს დარჩებოდა ხრამზე, დიდხანს არ მოათავებდნენ მიწის ჩიჩქნას. ამიტომ მოიქნია ფრთები, რამდენიმე დიდი კამარა შეკრა ტრამალის თავზე და დახურული ზონისაკენ გაფრინდა - გზაში წაინადირებდა და თან იმასაც ნახავდა, რა ხდებოდა იქ კოსმოდრომზე.

აგერ უკვე მეორე დღეა კოსმოდრომის მოედნებზე დაძაბულობა გამეფებულიყო. არც დღე, არც ღამე არ წყდებოდა მუშაობა. მთელი კოსმოდრომი ასობით მძლავრ პროჟექტორს გაეჩახჩახებინა. დღეზე უფრო მეტი სინათლე იდგა. ათობით მძიმე, მსუბუქი თუ საგანგებო მანქანა, მრავალი მეცნიერი და ინჟინერი ოპერაცია „სალტეს“ განსახორციელებლად მზადებას შედგომოდა.

ანტითანამგზავრები, კოსმოსში მფრინავი აპარატების გასანათებლად გამზადებულნი და ცისკენ დამიზნებულნი, რა ხანია კოსმოდრომის საგანგებო მოედანზე იდგნენ. მაგრამ ოსვ-7-ის ხელშეკრულების მიხედვით მათი გამოყენება განსაკუთრებულ შეთანხმებამდე იყო შეჩერებული, ისევე როგორც ამერიკის მხრიდან გახლდათ შეჩერებული ასეთივე ღონისძიებანი. ახლა კი ტრანსკოსმიური ოპერაცია „სალტეს“ განსახორციელებელ სასწრაფო პროგრამასთან დაკავშირებით უნდა გამოყენებულიყო. ასეთივე რობოტ-რაკეტები ამერიკულ კოსმოდრომ ნევადაზედაც მზადდებოდა ოპერაცია „სალტეს“ დაწყებისას სინქრონული გაფრენისათვის.

სარობექის განედებში სტარტის დრო საღამოს რვა საათს ემთხვეოდა. ზუსტად რვა საათსა და ნოლ-ნოლ წუთზე რაკეტები უნდა აფრენილიყვნენ. თანამიმდევრულად, წუთნახევარი ინ-ტერვალით, შორეულ კოსმოსში სარობექიდან ცხრა ანტითანამ-გზავრული რაკეტა აიჭრებოდა, რომელთაც დასავლეთ-აღმო-სავლეთის სიბრტყეზე მუდმივად მოქმედი სალტე უნდა შეექმნათ დედამიწის სფეროს ირგვლივ უცხოპლანეტელთა მფრინავი აპარატების შემოჭრის წინააღმდეგ. ნევადის რაკეტა-რობოტები ჩრდილოეთ-სამხრეთის სალტეს შეკრავდნენ.

ნაშუადღევს, ზუსტად სამ საათზე, სარი-ოზექ-1-ის კოსმოდ-რომზე საკონტროლო სისტემა „ხუთწუთიანი“ ჩაერთო. ყოველ ხუთ წუთში არხის ეკრანებსა და ტაბლოებზე სინათლე ენთებო-და ბგერითი დუბლიაჟით: „სტარტამდე ოთხი საათი და ორ-მოცდათხუთმეტი წუთი დარჩა! სტარტამდე ოთხი საათი და ორ-მოცდაათი წუთი დარჩა...“ სტარტამდე სამი საათით ადრე სის-ტემა „წუთიანი“ ჩაირთვებოდა.

ამ დროისათვის ორბიტალურმა სადგურმა „პარიტეტმა“ მოასწრო და შეცვალა კოსმოსში თავისი ადგილმდებარეობის პარამეტრები და ერთდროულად ხელახალი კოდირება გაუკე-თა სადგურის საბორტო სისტემების რადიოკავშირის არხებს, რათა 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებთან კავშირის ყოველ-გვარი შესაძლებლობა გამორიცხულიყო.

ამასობაში კი სამყაროდან, ვით ხმა მღაღადებლისა უდაბ-ნოსა შინა, ამაოდ მოდიოდა განუწყვეტელი რადიო-სიგნალები 1-2 და 2-1 პარიტეტ-კოსმონავტებიდან. ისინი სასოწარკვეთით იხვეწებოდნენ არ გაეწყვიტათ მათთან კავშირი, ისინი სადაოდ არ ხდიდნენ მართვის საერთო ცენტრის გადაწყვეტილებას, მაგ-რამ ითხოვდნენ ხელმეორედ შესწავლილიყო ტყისგულეთის ცი-ვილიზაციასთან კავშირის შესაძლებლობა, ცხადია, უპირველეს

ყოვლისა დედამიწელთა ინტერესებიდან გამომდინარე, თანახმა იყვნენ დაეცადათ და ყველაფერი მოემოქმედათ, რათა ტყისგულეთის პლანეტაზე მათი ყოფნა სასარგებლო გამომდგარიყო ორივე მხარის საგალაქტიკათაშორისო დამოკიდებულებისათვის, მაგრამ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ ორივე მხრის მიერ წამოყენებული ოპერაცია „სალტესი“ - წინააღმდეგი იყვნენ გლობალური თვითიზოლაციისა, რაც, მათი აზრით, ადამიანთა საზოგადოებას გარდაუვალ ისტორიულ და ტექნოლოგიურ რუტინამდე მიიყვანდა, რომლის დაძლევას ათასეული წლები დასჭირდებოდა... მაგრამ უკვე გვიანი იყო... ამქვეყნად არავის ესმოდა მათი, არავინ უწყოდა, სამყაროს სივრცეში რა უხმოდ ღაღადებდნენ მათი ხმები...

ამასობაში სარი-ოზექ-1-ის კოსმოდრომზე უკვე ჩაერთო „წუთიანის“ სისტემა, გარდუვალად რომ ითვლიდა ოპერაცია „სალტის“ სტარტის მოახლოებას...

ძერამ კი ირგვლივ შემოიფრინა და ისევ მალაყუმდიჩაფის ხრამის თავზე მოექცა. იქ კვლავაც თავის საქმეს აკეთებდა ხალხი - ნიჩბებით მუშაობდნენ. ექსკავატორს უკვე კარგა ბლომა მიწა ამოეყარა. ახლა ღრმად ჩაჰქონდა ორმოში ციცხვი და დარჩენილი მიწა ამოჰქონდა. მალე კიდეც შეწყვიტა ძიგძიგი და განზე მიდგა. ადამიანები კი ორმოს ფსკერზე ისევ რაღაცას თხრიდნენ. აქლეშიც იქვე იყო, ოღონდ წითურა ძაღლი არ ჩანდა არსად. ნეტა სად გაქრა? ძერა დაბლა დაეშვა, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ატრიალებდა თავს. ბოლოს და ბოლოს მაინც მიაკვლია ძაღლს. მისაბმელი ურიკის თვლებთან გაშოტილიყო. ისვენებდა ან იქნებ თვლემდა კიდეც აინუნშიაც არ აგდებდა ძერას! დღეს რამდენჯერ არ გადაუფრინა ძერამ, ერთხელაც არ აუხედავს ძაღლს მაღლა. ზაზუნა რაა, ზაზუნაც კი უკანა ფეხებზე შედგება, ჯერ ირგვლივ მიმოატარებს თვალებს და მერე ცას ახედავს,

საფრთხე ხომ არ ჩანსო, ძაღლი კი შეჰგუებია ადამიანთა ყოფას და არაფრისაც არ ეშინია, არაფერი არ ანაღვლებს. აბა უყურე, როგორ გაშხლართულა! ძერა წამით გაირინდა, გაიჭინთა და ძაღლის მხარეს ტყვიასავით გაუშვა მომწვანო-მოთეთრო ნაკადი. ესეც შენო!

სახელოზე რაღაც დაეღვენთა ბურანელ ედიღეის ზემოდან. ფრინველის სკორე იყო თურმე. ნეტა საიდან? გადაიბერტყა სახელო და ზემოთ აიხედა. „ისევ ის ბოლოთეთრაა. ეს რამდენჯერ გადაგვიფრინა თავზე. ნეტა რას ნიშნავს? რა უჭირს, ლაღად გრძნობს თავს, და ფრინავს, დანავარდობს ჰაერში“. ფიქრის ძაფი აყლაყუდა ედილბაიმ შეაწყვეტინა, ორმოს ძირიდან ამოსძახა:

- აბა შეხედე, ედიქე! კმარა თუ კიდევ უნდა გავთხარო?

ედიღეი მოღუშვით დაიხარა საფლავის კიდეზე.

- იმ კუთხეში დადექ, - უთხრა აყლაყუდა ედილბაის, - შენ კი, კალიბეგ, ჯერჯერობით ამოდი. მადლობელი ვარ. ჰო, მე მგონი, სიღრმე საკმარისია. ოღონდ ცოტა კიდევ გააფართოვე ქაზანაქი, ედილბაი, უფრო დიდი უნდა იყოს.

ბურანელმა ედიღეიმ პატარა წყლიანი კანისტრა აიღო, ექსკავა– ტორს შემოუარა და, როგორც წესი ითხოვდა, ლოცვის წინ განიბანა. გულზე მოეშვა თითქოს ედიღეის, სული დაუმშვიდდა ცოტაოდენ - მართალია, ანა-ბეიითზე ვერ მოახერხა ყაზანგაპის დაკრძალვა, მაგრამ ასე იყო თუ ისე - სირცხვილი არ ჭამა, განსვენებული დაუსაფლავებელი უკან არ წააჩიქჩიქა. არ დაეჟინებინა ედიღეის, ასეც მოხდებოდა. ახლა უნდა ეჩქარათ, ბორანლი-ბურანზე დაბნელებამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ. თორემ იქ ალბათ უკვე მიელიან და, თუ დაიგვიანეს, შეეშინდებათ. აკი თქვეს, ექვსზე გვიან არ დავბრუნდებითო, ქელეხსაც იმ დროისათვის მოამზადებდნენ. მაგრამ უკვე ხუთის ნახევარია. ჯერ და-

მარხვას, მერე გზას, რა სიჩქარითაც არ უნდა იარონ, ორი საათი მაინც მოუნდება. მაგრამ არც ის ვარგა, ხელდახელ ჩააგდონ კაცი მიწაში და ჰაიჰარად დაასაფლავონ. თუ გაჭირდა, გვიანღამ მოიხსენებენ ყაზანგაპს, რას იზამ..

განბანვის შემდეგ ედიღეიმ იგრძნო, რომ მზადაა უკანასკნელი წესის ასაგებად. კანისტრას საცობი დაუცო და ისევ საფლავთან დაბრუნდა. დადინჯებული იყურებოდა, წვერ-ულვაშს ისწორებდა.

- ღვთის მონა ყაზანგაპის ძევ საბითჟან, შენ მარცხნივ დამიდექ, თქვენ ოთხმა კი საფლავის კიდეზე დაასვენეთ მიცვალებული, თავით დასავლეთისაკენ, - თქვა ცოტა არ იყოს საზეიმო ხმით. როცა მისი ნათქვამი შესრულდა, განაგრძო: - ახლა კი ყველა პირით დავდგეთ წმიდათაწმიდა ქააბისაკენ. ხელისგულები გაშალეთ, იფიქრეთ ღმერთზე, რათა სიტყვა და ფიქრი ჩვენი ამწუთიერი ისმინოს.

საკვირველია, მაგრამ არავის ხითხითი თუ ბურტყუნი არ სმენია ზურგს უკან ედიღეის და ესიამოვნა. თორემ ხომ შეეძლო ეთქვა ვისმე: მორჩი, ბებერო, თვალებს ნუ გვიხვევ, რომელი მოლა შენ, გვყავხარ, ამას სჯობია ჩქარა დავმარხოთ მკვდარი და შინ დავბრუნდეთო. უფრო მეტიც: დამარხვის ლოცვა ფეხზე მდგარმა წარმოთქვა და არა მჯდომმა, ვინაიდან გაგებული ჰქონდა მცოდნე ხალხისაგან, არაბულ ქვეყნებში, საიდანაც სჯულს ეზიარენ, სასაფლაოზე ფეხზე მდგარი ლოცულობენო. ასე იყო თუ ისე, ედიღეის თავით უფრო ახლოს უნდოდა ყოფილიყო ცასთან.

მაგრამ ვინემ წესს შეუდგებოდა, ჯერ ქვეყნის მარჯვენა და მერე მარცხენა მხარეს ეთაყვანა ედიღეი, ასევე ეთაყვანა მიწას, ცასა და გამჩენს, ვინაც ესრეთ ურყევი შექმნა ქვეყნიერება, სადაც ადამიანი შემთხვევით ჩნდება და, როგორც დღე ღამეს

სცვლის მუდამ, ისევე გარდუვლად ქრება. ამ დროს ისევ ბოლოთეთრა ძერას ჰკრა თვალი ბურანელმა ედიღეიმ. იგი ოდნავ არხევდა ფრთებს, ნელ-ნელა, მოზომილად. მაგრამ ძერამ ვერ დაურღვია სულიერი წონასწორობა, პირიქით, უფრო აღაზევა ზენა ფიქრებისათვის.

მის წინ, საფლავის პირდაღებულ ორმოს კიდეზე, თეთრ ქეჩაში გახვეული ყაზანგაპის ცხედარი ესვენა. ედიღეი ხმადაბლა ამბობდა დაკრძალვის ლოცვის სიტყვებს, რომლებიც წინასწარ იყო განწესებული ყველასა და ყოველისათვის ყველა დროსა და ხანაში ქვეყნიერების დასასრულამდე, სიტყვებს, რომლებშიც დასაბამიდან გამოთქმულია განგების ძალა, გარდაუვალი და ერთნაირი ყველა კაცისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი და რა ხანაშიც არ იცხოვროს, ასევე გარდაუვალი იმათთვისაც, ვინც ჯერ არ გაჩენილა, მაგრამ გაჩენა უწერია, ყოფიერების ამ ყოვლისმომცველ ფორმულებს, შეცნობილთ და ნაანდერძევთ წინასწარმეტყველთაგან და თან ცდილობდა მისი სულიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე საკუთარი ფიქრებით შეევსო ისინი. ამაოდ ხომ არ უცხოვრია ამ ქვეყანაზე.

„უკეთუ შენ მართლა გესმის, ჰოი, უფალო, ჩემი ლოცვები, რომლებსაც მამა-პაპათა კვალდაკვალ დაზეპირებული წიგნებიდან ვიმეორებ, მისმინე მეც. ჩემი ფიქრით, ერთი მეორეს არ დაუშლის

აგერ ახლა ჩვენ აქ ვდგავართ, მალაყუმდიჩაფის ხრამის კიდეზე, ყაზანგაპის ღია საფლავთან, უკაცრიელ და უდაბურ ადგილზე, ვინაიდან ვერ შევძელით იმ სასაფლაოზე მისი დამარხვა, სადაც მან დაგვიბარა. მაღლიდან ძერა დაგვყურებს, როგორ ვდგავართ გაშლილი ხელისგულებით და ყაზანგაპს ვეთხოვებით. ო, დიდო ღმერთო, თუ ხარ მართლა, შეგვინდე და წყალობით მიიბარე მონა შენი ყაზანგაპი. თუ დაიმსახურა, მი-

უჩინე მის სულს, საუკუნო განსასვენებელი. რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, გავაკეთეთ. დანარჩენი უკვე შენზეა! ახლა კი, რაღაი ასეთ წუთს მოგმართე, ყური მომაპყარ, ვინემ ჯერ კიდევ პირში სული მიდგას და ფიქრი ძალმიძს. ვიცი, ადამიანები წამდაუწუმ გევედრებიან - შეგვიწყალე, გვიშველე, დაგვიფარეო! მეტისმეტად ბევრს გამოელიან შენგან სწორნი თუ მრუდნი. კაცისმკვლელსაც გულში უნდა, მის მხარეს იყო. შენ კი სულ სდუმხარ. რა თქმა უნდა, კაცნი ვართ და გვგონია, მეტადრე, როცა ძალიან გვიჭირს, რომ მხოლოდ ამიტომ სუფევხარ ზეცად. ვიცი, რომ გიმძიმს, ვინაიდან ჩვენს მუდარას და ხვეწნას ბოლო არ უჩანს, შენ კი ერთი ხარ. მე არაფერს გთხოვ, მხოლოდ მინდა გითხრა ამისთანა წუთს, რასაც ვფიქრობ. დიდად ვწუხვარ და გული მწყდება, რომ ჩვენი მამაპაპისეული სასაფლაო, სადაც ნაიმან-ანა ასვენია, ამიერიდან ჩვენთვის მიუწვდომელია. ამიტომაც მინდა, რომ მეც ამ ადგილზე, ამ მალაყუმდიჩაფზე მივებარო მიწას, სადაც მან ფეხი დაადგა. დაე, მეც ვიწვე ყაზანგაპის გვერდით, ვისაც ახლა მიწას ვაბარებთ. და თუ მართალია, რომ სიკვდილის მერე სული ჩემი რაღაცაში უნდა ჩასახლდეს, ჭიანჭველად არ მინდა ყოფნა, მინდა ბოლოთეთრა ძერად ვიქცე, რათა მასავით საროზექზე ვიფრინო და დავტკბე მისი ცქერით.

ხოლო ჩემს ანდერძს მე იმ ყმაწვილებს ვაბარებ, ჩემთან ერთად აქ რომ მოსულან, ვეტყვი, ანდერძი შემისრულონ და აქ მიმაბარონ მიწას. ოღონდაც არ ვიცი, ვინ წაიკითხავს ლოცვას ჩემს ცხედარზე. ღმერთი მათ არ სწამთ და ლოცვები მათ არ იციან. რამეთუ არავინ უწყის და ვერც ვერვინ შეიტყობს, არის თუ არა ღმერთი ამ ქვეყანაზე. ერთნი ამბობენ - არისო, მეორენი - არ არისო. მე მინდა ვიწამო, რომ შენ ხარ და ხარ ჩემს ფიქრებში. და როცა ლოცვებით მოგმართავ. სინამდვილეში ჩემს თავს მივმართავ, შენი მეოხებით ამ წუთს მომაღლებული მაქვს

ისე ვიფიქრო, როგორც შენ იფიქრებდი, ჩვენო გამჩენო. ეს არის თავიდათავი ახალგაზრდები კი ამაზე არ ფიქრობენ, ლოცვებს აბუჩად უყურებენ. მაგრამ ნეტავი რას ეტყვიან ან თავის თავს ან სხვებს, როცა სიკვდილის ჟამი დაუდგებათ? მებრალებიან მე ესენი, როგორ შესძლებენ ჩასწვდნენ თავიანთი ადამიანობის მუღამს, თუკი ძალა არ შესწვდებათ ისე ამაღლდნენ ფიქრით, თითქოსდა ყოველი იმათგანი უცბად ღმერთი გახდა? შემინდე ეს მკრეხელობა. ვერც ერთი იმათგანი ღმერთი ვერ გახდება, არადა, მაშინ ხომ ვერც შენ იარსებებ. თუკი ადამიანი ვერ შესძლებს გულში მაინც თავი ღმერთად წარმოიდგინოს, ყველას მფარველად და მწედ, როგორც შენ უნდა იყო უფალო, ადამიანთა მფარველი და მწე, აღარც შენ იქნები მაშინ... მე კი არ ვისურვებდი უკვალოდ გამქრალიყავი... ესაა და ეს ჩემი თავშესაწყენი თხოვნა და დარდი. მაპატიე, თუკი რამე ისე ვერა ვთქვი. მე უბრალო კაცი ვარ და, როგორც მეფიქრება, ისე ვფიქრობ. ახლა ვიტყვი საღვთო წერილის უკანასკნელ სიტყვებს და დაკრძალვას შევუდგებით. დაგვლოცე და გვაკურთხე ამ საქმეზე უფალო“

- ამინ... - დაასრულა ბურანელმა ედიღეიმ ლოცვა და მცირე ხნით დადუმდა. მერე მწარე ნაღველით ერთხელ კიდევ გახედა ძერას და ნელა მოტრიალდა მის უკან მდგარ ახალგაზრდებისაკენ, რომლებზედაც ეს წუთია თავისი აზრი უთხრა უფალ ღმერთს. მოათავა ედიღეიმ ღმერთთან საუბარი. ახლა ის იმ ხუთი ყმაწვილის წინ იდგა, ვისთან ერთად აქ ჩამოვიდა და ვისთან ერთადაც ბოლო-ბოლო მიწას უნდა მიაბაროს ყაზანგაპის ცხედარი.

- ჰოო, - ჩაილაპარაკა მან ფიქრიანად, - ის, რისი თქმაც ლოცვაში იყო საჭირო, თქვენ მაგივრად მე ვთქვი.

ბურანელმა ედიღეიმ ორდენებიანი პიჯაკი გაიხადა და ორმოში ჩავიდა აყლაყუდა ედილბაის დახმარებით. საბითჟანი (განსვენებულის ვაჟი), განზე იდგა, მწუხარების ნიშნად თავჩაკიდული. სამმა - კალიბეგმა, ქუმაგალიმ და ყაზანგაპის ლოთმა სიძემ საკაციდან ქეჩაში შეკრული ცხედარი ჩამოიღეს და ედიღეის და აყლაყუდა ედილბაის ხელებზე დაუსვენეს.

„დადგა განშორების ჟამიც! - გაიფიქრა ბურანელმა ედიღეიმ, როცა ყაზანგაპი სამუდამო განსასვენებლად მიწის სიღრმეში დაასვენა. - მაპატიე, ამდენ ხანს რომ ვერ მიგაბარეთ მიწას. მთელი დღე აქეთ-იქით გატარეთ. მაგრამ ასე მოხდა კია. ჩვენი ბრალი არაა, ანა-ბეიითზე რომ ვერ დაგმარხეთ. თუმცა არ იფიქრო, ეს საქმე ასე დავტოვო. სადაც არ იქნება, მივაღწევ მაინც. ვინემ სული მიდგას, არ გავჩუმდები, მე ვიცი, რასაც ვეტყვი მათ! შენ კი მშვიდად იწექი. დიდია, უზომოდ დიდი ეს მიწა, ათი გოჯი მიწა კი, ხომ ხედავ, აქ გარგუნა ბედმა. მაგრამ მარტო არ დაგტოვებ, მალე მეც მანდ დავბინავდები, ყაზანგაპ. ოღონდ ცოტა ხანს მოითმინე. ეჭვი არ გქონდეს, თუ რამ უბედურება არ მოხდა, თუ ჩემი სიკვდილით მოვკვდი, მეც აქ მოვალ და კვლავაც ერთად ვიქნებით, საროზექის მიწად ვიქცევით. ოღონდაც ჩვენ ეს არ გვეცოდინება. ეს ცოდნა მხოლოდ ცოცხალს ეძლევა. ამიტომაც ვითომ შენ მოგმართავ, სინამდვილეში კი ჩემს თავს ვეუბნები. იმიტომ რომ, რაც იყავ, ახლა აღარ ხარ. ასე წავალთ ყველანი - ყოფნიდან არყოფნაში. საროზექში კი კვლავაც იგრიალებენ მატარებლები და ჩვენ მაგივრად სხვები მოვლენ...“ აქ კი ამოიქვითინა მოხუცმა ედიღეიმ, თავი ვეღარ შეიკავა - ის, რაც იყო და მოხდა ბორანლი-ბურანზე მათი ცხოვრების ხანს, ამ თითქოსდა ვეებერთელა დროის მანძილზე, უბედურება, მწუხარება, ჭირი თუ ლხინი, რამდენიმე გამოსათხოვარ სიტყვასა და დამარ-

ხვის რამდენიმე წუთში ჩაეტია. რა ბევრი და რა ცოტა აქვს ადამიანს მონიჭებული!

- გესმის, ედილბაი? - უთხრა ედიღეიმ ამ ვიწრო ორმოში მის მხარდამხარ მდგარ ედილბაის, - შენ მეც აქ უნდა დამმარხო, რომ მის გვერდით ვიყო. ისე უნდა დამაწვინო შენი ხელით და მომაწყო, როგორც ახლა ჩვენ გავაკეთეთ, რომ მეც მოხერხებულად ვიწვე. მაძლევ სიტყვას?

- კაი, კაი, ედიქე, მერე ვილაპარაკოთ. ახლა მიდი და იმ დალოცვილ მიწაზე აძვერი. თავად მოვათავებ აქ ყველაფერს. დამშვიდდი, ედიქე, ადი ზემოთ. ნუ ჯავრობ და დარდობ.

ორმოდან ამოძვრა ბურანელი ედიღეი, სხვებმა ხელები შეაშველეს. ტიროდა და გულაჩვილებულ სიტყვებს ბურტყუნებდა, ცრემლებით მორწყულ სახეზე თიხას იგლესდა. კალიბეგმა კანისტრით წყალი მოიტანა, მოხუცს სახე მოაბანინა.

მერე თითო-თითო პეშვი მიწა მიაყარეს და საქარე მხრიდან ნიჩბებით დაუწყეს საფლავს ამოვსება. შემდეგ ჟუმაგალი მიუჯდა საჭეს და მიწა ბულდოზერით მიახვეტა. მერე ისევ ნიჩბებით მოალამაზეს და აამაღლეს საფლავი.

ბოლოთეთრა ძერა კი ისევ ისე დანავარდობდა ცაში, მტვრის ბუღსა და ერთი მუჭა ადამიანების უცნაურ საქმიანობას უთვალთვალებდა მალაყუმდიჩაფის ხრამზე. როცა ორმოს ადგილზე მიწის ახალი გორა აიმართა, რაღაც მეტისმეტი გამოცოცხლება შეამჩნია ადამიანებს. წითურა ძაღლიც ზმორებით წამოდგა ურიკის ქვემოდან და ისიც ადამიანებთან ტრიალებდა ახლა. ნეტა იმას რაღა რჯიდა? მხოლოდ ფუნჯებიანი ყაჯრით მორთული ბებერი აქლემი იცოხნებოდა კვლავაც დინჯად და ყბებს გაუჩერებლივ ამოძრავებდა... თითქოს წასვლას აპირებდა

ეს ხალხი. მაგრამ არა, აგერ ერთმა, აქლემის პატრონმა, გაშ-ლილი ხელისგულები სახესთან მიიტანა, სხვებმაც მას მიბაძეს...

დრო კი უკვე აღარ ითმენდა. ბურანელმა ედიღეიმ დაკვირ-ვებით მოავლო თვალი ყველას და თქვა:

- ამგვარად მორჩა ყველაფერი. ხომ კარგი კაცი იყო ყა-ზანგაპი?

- კარგი კაცი იყო, - უპასუხეს სხვებმა.

- ხომ არ დარჩენილა ვისიმე ვალში? აგერ აქა დგას მისი ვაჟი, დაე, მამის ვალი იმან იკისროს.

ხმა არავის გაუღია. მაშინ კალიბეგმა თქვა ყველას მაგივ-რად:

- არა, არავის ვალი არ დარჩენია ყაზანგაპს.

- შენ რაღას იტყვი, ყაზანგაპის ძევ? – ჰკითხა ედიღეიმ.

- მადლობელი ვარ ყველასი, - მოკლედ მოჭრა მან.

- რახან ასეა, მაშ დავიძრათ შინისკენ! - თქვა ჟუმაგალიმ.

- ახლავე, ერთსაც ვიტყვი კიდევ, - შეაჩერა იგი ბურანელმა ედიღეიმ, - მე თქვენში ყველაზე მოხუცი ვარ. ჰოდა, ამას გთხოვთ ყველას. თუ რამე მოხდა, აქ უნდა მიმაბაროთ მიწას, ყაზანგაპის გვერდით. გესმით? ესაა ჩემი ანდერძი, მაშასადამე, ასეც უნდა გაიგოთ.

- აბა ვინ იცის, ედიქე, როგორ და რა იქნება, წინასწარ რა საჭიროა ფიქრი, - გამოთქვა ვარაუდი კალიბეგმა.

- სულ ერთია, - არ გადათქვა თავისი დიღეიმ. - ჩემი ვალია გითხრათ, თქვენ - მომისმინოთ, ხოლო თუკი საქმე საქმეზე მიდ-გა, გაიხსენეთ, რა გიანდერძეთ.

- კიდევ რა ანდერძს გვიტოვებ? ბარემ ყველაფერი ერთად გვითხარი, - იხუმრა აყლაყუდა ედილბაიმ, რომ უსიამო ლაპა-რაკი მიეფუჩეჩებინა.

- შენ ნუ იცინი, - ეწყინა ედიღეის, - მე არ ვხუმრობ.

- დავიმახსოვრებთ, ედიქე, - დაამშვიდა აყლაყუდა ედილ-ბაიმ, - ასე თუ მოხდა, ეჭვი არ გქონდეს, როგორც შენ გინდა, ისე გავაკეთებთ.

- აი, ეს კი ჯიგიტის სიტყვაა, - კმაყოფილებით ჩაილაპარაკა ედიღეიმ.

ტრაქტორები ხრამიდან ჩამოსასვლელად მოემზადნენ. ბურანელმა ედიღეიმ ყარანარი სადავით წაიყვანა და საბითჟანს გაჰყვა გვერდით. ვინემ ტრაქტორები ძირს ჩავიდოდნენ, მარტოდმარტო უნდოდა საბითჟანთან ლაპარაკი იმ ამბავზე, რაც არ ასვენებდა.

- მისმინე, საბითჟან, ახლა ხელები გახსნილი გვაქვს და მინდა რაღაც გითხრა. რა ვქნათ, იმ ჩვენს ანა-ბეიითის სასაფლაოს რა ვუყოთ? - ჰკითხა მან.

- რა უნდა ვქნათ? აქ თავსამტვრევი რაა. გეგმა გეგმაა. გააუქმებენ, დაანგრევენ ალბათ გეგმის მიხედვით. მორჩა და გათავდა.

- მე მაგაზე არ ვამბობ. ასე შეიძლება ყველაფერზე ჩაიქნიო ხელი. შენ ხომ აქ დაიბადე და გაიზარდე. მამაშენმა გასწავლა და განათლება მოგცა. ახლა მამაშენი ტრიალ მინდორზე მარტოდმარტო მივაბარეთ მიწას - ეს ერთი ნუგეშია, რომ მაინც თავის მიწაში წევს. შენ წიგნიერი კაცი ხარ, ოლქში მუშაობ, ღვთის მადლით, ყველასთან მიგესვლება, ყველას შეგიძლია ელაპარაკო...

- მერედა რა? - გააწყვეტინა საბითჟანმა.

- რადა იქნება დამეხმარო, ერთად მივიდეთ, ვინემ გვიან არაა, არ გადავდოთ და ხვალვე აქაურ უფროს მივადგეთ, ხომ ჰყავთ აქ ყველაზე უფროსი. არ შეიძლება ანა-ბეიითი მიწასთან გაასწორონ. ეს ხომ ისტორიაა.

- გაიგე, ედიქე, ეს ყველაფერი ძველი ზღაპრებია. აქ სამყაროს კოსმიური საკითხები წყდება, ჩვენ კი უნდა ავდგეთ და რაღაც სასაფლაოს თაობაზე მივადგეთ. ვის რაში სჭირდება? აინუნშიაც არ ჩააგდებენ! იქ, სულ ერთია, მაინც არ შეგიშვებენ.

- თუ არ მივედით, არ შეგვიშვებენ. ხოლო თუ მოვითხოვთ, გაგვატარებენ. არადა, თვითონ უფროსს შეუძლია მანქანით მოვიდეს ჩვენთან. მთა კი არაა, ადგილიდან ვერ დაიძრას.

საბითჟანმა გაგულისებული მზერა ესროლა ედიღეის.

- მოეშვი, არაფერი გამოგივა, ბებერო. ნურც ჩემი იმედი გექნება. მე ეს სულაც არ მაძლევს ხელს.

- ასეც გეთქვა და მოვრჩეთ ლაპარაკს. ზღაპრებიო - რაღას იძახი.

- აბა რა გეგონა? ავდგებოდი და გავიქცეოდი? რისი გულისთვის? ოჯახი მყავს, შვილები, სამსახური მაქვს. ქარის პირუკუ ვის მოუშარდავს? იქიდან რომ დარეკონ და პანღური ამომკრან? უკაცრავად, მადლობელი ვარ!

- მადლობა შენთვის დაიტოვე, - მოუჭრა ბურანელმა ედიღეიმ და მერე ბოღმით დაატანა: - პანღური მკრანო? გამოდის, საჯდომისათვის გიცხოვრია და ეგაა.

- აბა რა გეგონა? დიახაც, მაგისთვის. შენ რას ჰკარგავ, რას წარმოადგენ? არაფერს. ჩვენ კი საჯდომისთვის ვცხოვრობთ, პირში რომ გემრიელი ლუკმა მოგვხვდეს.

- მაშ, მაშ! ადრე თავს უფრთხილდებოდა კაცი, ახლა კი, გამოდის, საჯდომს.

- როგორც გინდა, ისე გაიგე. სულელები კი სხვაგან ეძიე.

- გასაგებია. მოვრჩეთ ლაპარაკს! - მოკვეთა ბურანელმა ედიღეიმ. - ქელეხს მოვათავებთ და მერე ჩვენ და შენ, ღმერთმა ქნას, ნუღა შეგვახვედროს ერთმანეთს.

- ეგ არავინ იცის, - გაიღრიჯა საბითჟანი.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს. ვინემ ბურანელი ედიღეი აქ-ლემზე შეჯდებოდა, ტრაქტორისტებმა ძრავები ჩართეს და და-ელოდნენ. მაგრამ ედიღეიმ მაშინვე უთხრა, მე ნუ დამიცდით, თქვენი გზით წადით, ხალხი ქელეხში გელოდებათ, მე კი აქლე-მით ვარ, რა გზითაც მინდა, იმ გზით ვივლიო.

ტრაქტორისტები წავიდნენ. ედიღეი კი ერთხანს არ დაძრუ-ლა, იდგა და ფიქრობდა, შემდეგ რა ექნა და ეღონა.

ახლა სულ მარტო იყო შუა საროზექაში, თუ ერთგულ ჟოლბარსს არ ჩათვლიდა. ძაღლი ჯერ ტრაქტორებს გაეკიდა, მაგრამ რა დაინახა, პატრონი არ მოდისო, უკანვე მოძუნძულდა. ედიღეის არ მოუხედავს მისთვის. შინ რომ გაქცეულიყო ძაღლი, ვერც ამას შეამჩნევდა. ამისთვის არ ცხელოდა, ისე მოშხამოდა გუნება. ვერა და ვერ მოინელა საბითჟანთან ლაპარაკი, გული დამდუღრა, სული აუფორიაქა, დაუცარიელა. მოუნელებელი ტკივილის გულისმწიწკნელ სიცარიელეს იმ ნაპრალივით გაეპო მისი სული, სადაც მხოლოდ სიცივე და სიბნელე მეფობს. ნანობ-და, მწარედ ნანობდა ბურანელი ედიღეი, რად წამოიწყო ეს ფუ-ჭი ლაპარაკი, ტყუილად რად დახარჯა სიტყვები. განა საბითჟანი ის კაცია, ვისაც რჩევასა და შემწეობას თხოვ? ეგონა - წიგნიერი ბიჭია, განათლებული, უფრო იოლად გამონახავს საერთო ენას თავისთანა ხალხთანო. რა მერე, სხვადასხვა კურსებსა და სხვა-დასხვა ინსტიტუტებში რომ ასწავლეს? იქნებ იმიტომაც ასწავ-ლეს, ასეთი გამოსულიყო. იქნებ ზის სადმე ეშმასავით გამჭრიახი ვიღაც, რომელმაც დიდზე დიდი შრომა დახარჯა, რომ საბითჟა-ნი საბითჟანი გამოსულიყო და არა სხვა ვინმე. აკი თვითონ სა-ბითჟანი მოჰყვა, საბითჟანმა აღწერა და დააფრქვია ეს სისულე-ლეები, რადომ უნდა განაგოს ხალხიო. დადგება ასეთი დროცო! იქნებ უკვე ახლაც მართავს რადიოთი საბითჟანს ის უხილავი და ყოვლისშემძლე ვიღაცა...

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე მოხუცი ედიღეი, მით უფრო მეტი წყენა უგუბდებოდა გულში, გამოსავალი ვერ მოენახა...

- მანქურთი ხარ, ნამდვილი მანქურთი! - წაიჩურჩულა მან ბრზით. სძულდა და თან ეცოდებოდა საბითუანი.

მაგრამ მომხდარ ამბავთან შერიგებას სულაც არ აპირებდა ედიღეი, გრძნობდა, რაღაც უნდა ეღონა, რაღაც გაეკეთებინა, რომ არ გამტყდარიყო, წელში სამად არ მოკაკულიყო. უკან თუ დაიხევდა, საკუთარ თვალში დამარცხდებოდა. გული უთქვამდა, რომ დღევანდელი ამბის დასასრულის მიუხედავად რაღაც უნდა მოემოქმედა, მაგრამ ჯერ არ იცოდა ზუსტად. რას იღონებდა, საიდან და როგორ დაიწყებდა, რათა თავისი ფიქრები და იმედები ანა-ბეიითის თაობაზე იმათ ყურამდე მიეწვდინა, ვისაც მართლა შეეძლო ბრძანების შეცვლა, დიახ, მიეწვდინა და გავლენა მოეხდინა, დაერწმუნებინა ისინი... მაგრამ ვის მიადგეს, რა ქნას?

აქეთ-იქით მიმოიხედა მძიმედ ჩაფიქრებულმა, ყარანარზე ამხედრებულმა ედიღეიმ. ირგვლივ მდუმარე ტრამალი გაჭიმულიყო. მწუხრის ჩრდილი უკვე შემოჰპარვოდა მალაყუმდიჩალის წითელქვიშოვან ფლატეებს. რა ხანია თვალს მოეფარნენ ტრაქტორები, აღარც მათი ხმა ისმოდა. წაგრიალდნენ ახალგაზრდები. უკანასკნელი, ვინც იცოდა და ვისაც ახსოვდა საროზექული თქმულება - ახლა ხრამის მიწაში წევს, ახლახან გათხრილ სამარეში, ამ თვალუწვდენელ ტრამალზე. ნელ-ნელა ჩაიწევა, ალბათ საფლავის ბორცვი, ჩაიჭყლიტება, საროზექის აბზინდის ფერს შეერევა და მერე ძნელად, ან იქნებ სულაც ვეღარ გაარჩიოს კაცმა ყაზანგაპის საფლავი, ასეც უნდა იყოს - ყველას ინელებს მიწა. ვერავინ ასცდება მიწას..

აივსო, დამძიმდა მზე დღის მიწურულს, თავისივე სიმძიმემ ნელ-ნელა დასწია დასალიერისაკენ. წამისწამ ფერს იცვლიდა ჩამავალი მნათობი. დაისის წიაღში თვალშეუსწრებლად იბადე-

ბოდა ბნელი, მზით გაცისკროვნებულ სივრცეს ნელა ავსებდა ლურჯი ღიმღამი.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ბურანელმა ედიღეიმ ისევ ზონაში დაბრუნებულიყო, შლაგბაუმთან. სხვა ვერაფერი მოიფიქრა. ახლა, როცა ყაზანგაპი დაასაფლავა, უკვე აღარაფერი უბორკავდა ხელებს და ამიტომაც შეეძლო იმდენად დაყრდნობოდა თავს, რამდენადაც ბუნების მიერ მის წილად გამომეტებული ძალა და გამოცდილება ეყოფოდა, შეეძლო თავის ნება-სურვილზე ემოქმედა, როგორც საჭიროდ ჩათვლიდა. პირველ ყოვლისა იმისათვის უნდა მიეღწია, რომ საყარაულო რაზმი აეძულებინა თუნდაც ბადრაგის თანხლებით ედიღეი მთლად უფროსთან მიეყვანა, ან თვითონ უფროსი მოსულიყო მანქანით შლაგბაუმთან და ბურანელი ედიღეისთვის მოესმინა. მაშინ ედიღეი პირში ეტყოდა ყველაფერს...

ასე გადაწყვიტა ბურანელმა ედიღეიმ დიდი ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ემოქმედა, უბრალო საბაბად კი ყაზანგაპის დასაფლავების სავალალო შემთხვევა გამოეყენებინა. მტკიცედ ჰქონდა განზრახული შლაგბაუმთან ან საშვი ანდა უფროსთან შეხვედრა მოეთხოვა ჯიუტად, გუშაგებისთვის ცხადი გაეხადა, რომ მანამდე არ მოეშვებოდა, ვინემ ვიღაც თანსიქბაევი კი არა, ყველაზე უფროსი არ მოუსმენდა...

ამ გადაწყვეტილებამ გაამხნევა ედიღეი.

- თაუბაქელ! თუ ძაღლს პატრონი ჰყავს, მგელს ღმერთი შეეწევა! - თქვა მან, ყარანარს ქუსლი ჰკრა და შლაგბაუმისკენ გაემართა.

ამასობაში მზე ჩავიდა, სწრაფად ჩამობნელდა. ზონას რომ მიუახლოვდა, უკვე სავსებით ბნელოდა. შლაგბაუმიდან ნახევარ კილომეტრზე იყო, როცა საგუშაგო ფანრების სინათლე დაინახა. აქ ჩამოქვეითდა ედიღეი, უნაგირიდან ჩამოვიდა. აქლემი

ამისთანა საქმის დროს არაფერი საჭირო იყო. რატომ უნდა დაებორკა ხელ-ფეხი? კაცმა არ იცის, უფროსი რა კაცი იქნება, ხომ შეიძლება არც ალაპარაკოს: „აქე- დან მოწყდი შენი აქლემიანად. ვინ ხარ, საიდან მოხვედი! არ მიგიღებ და მორჩა“, - კაბინეტში არც შეუშვას. რა იცი, რით დამთავრდება მისი ეს წამოწყება, დიდხანს მოუხდება თუ არა ცდა. ისე რომ სჯობს ფეხით მივიდეს, ყარანარი კი დაბორკილი დატოვოს ტრამალში, იდგეს და ძოვოს თავისთვის.

- შენ აქ მომიცადე, მე კი წავალ და ვცდი, რა გამოვა, - წაიბუტბუტა ან ყარანარის გასაგონად, თუმცა უფრო თავისი თავის გასამხნევებლად. აქლემი კი მაინც დააწვინა მიწაზე, ხურჯინიდან ხომ უნდა ამოეღო ფალმანდი და გაემზადებინა. ვინემ ედიღეი ამ სიბნელეში ფალმანდის გახსნაზე ცოდვილობდა, ირგვლივ ისეთი სიჩუმე, ისეთი უსაზმნო მდუმარება იდგა, საკუთარი სუნთქვა და რაღაც მწერების წრიპინ-ბზუილი ესმოდა ედიღეის. მოკრიალებულ ცაზე უეცრივ და ერთბაშად გამოიშალა ურიცხვი და უთვალავი ვარსკვლავი. მიდამო თითქოს რაღაცის მოლოდინში გაყურსულიყო... საროზექის მდუმარებას მიჩვეული ჟოლბარსიც კი რაღაც დაძაბული ჩანდა, რატომღაც წკმუტუნებდა. ნეტა რა არ მოეწონა ამ სიჩუმისა?

- შენ აქ ფეხებში ნუ მებლანდები! - უკმაყოფილოდ უთხრა პატრონმა. ძაღლს რა უყოს ახლა? ფალმანდს ატრიალებდა და ფიქრობდა, ძაღლისათვის რა ექნა. ცხადია, ძაღლი არ მოშორდება. გააგდოს - მაინც არ წავა. ძაღლთან ერთად კი სათხოვრით მისვლა ვერაფერი დარბაისლური საქციელია, თუ ხმამაღლა არ იტყვიან, გულში მაინც გაიცინებენ: კაცი აგერ სიმართლის დასაცავად მოვიდა და ძაღლის მეტი არავინ ახლავსო. არა, სჯობს უძაღლოდ მოვიდეს, ძაღლს კი გრძელი ღვედით აქლემის აკაზმულობას მიაბამს. დაე, პატრონის მოსვლამდე

ორივე ერთად იყოს. ამიტომაც დაუძახა ძაღლს: „ჟოლბარს! ქოლბარს! აქ მო!“ და ძაღლისთვის ღვედის ჩამოსაცმელად დაიხარა. იმავე წუთს რაღაც მოხდა ჰაერში, რაღაც დაიძრა სივრცეში, თანდათან მომძლავრებული ვულკანისებური გრგვინვით. სულ ახლოს, სადღაც იქვე. კოსმოდრომის ზონაში. ჰაერში სვეტივით აიჭრა ცეცხლის მრისხანე ალი. ბურანელი ედიღეი შიშით უკან გახტა, აქლემი ბღავილით წამოიჭრა ზეზე... შეშინებული ძაღლი ფეხებში შეუვარდა პატრონს.

ეს იყო ტრანსკოსმიურ გადამღობავ ოპერაცია „სალტეს“ ცად აჭრილი პირველი საბრძოლო რაკეტა-რობოტი. საროზექში ზუსტად საღამოს რვა საათი იყო. პირველ რაკეტას კვალდაკვალ მეორეც მიჰყვა, შემდეგ მესამე, კიდევ და კიდევ... რაკეტები შორეულ კოსმოსში მიფრინავდნენ დედამიწის ირგვლივ მუდმივად მოქმედი კორდონის შესაქმნელად, რათა მიწიურ საქმეებში არა შეცვლილიყო რა, რათა ყველაფერი ისევ ისე დარჩენილიყო.

ცა ინგრეოდა, ცა განეხვნა აბრიალებულ ცეცხლსა და კვამლს... ადამიანი, აქლემი და ძაღლი - ეს მარტივი, შიშით გონდაკარგული არსებანი უკან გაცვივდნენ, თავზარდაცემულნი ერთად გაიქცნენ ცეცხლის ვეება კლით დაუნდობლად განათებულ ტრამალზე, ერთმანეთთან დაშორებისა ეშინოდათ. მაგრამ ეს მაინც ადგილზე სირბილი იყო, ვინაიდან ყოველი ახალი აფეთქება თავფეხიანად ცეცხლის ალსა და გამაყრუებელ გრგვინვაში ახვევდათ...

ისინი კი, ადამიანი, აქლემი და ძაღლი უკან მოუხედავად მირბოდნენ და მირბოდნენ. ანაზდად ისე მოეჩვენა ედიღეის, რომ მის გვერდით, საიდან სადაო, თეთრი ჩიტი მოფრინავს, ის თეთრი ჩიტი, ოდესღაც მანქურთი შვილის მშვილდისრით განგმირული, უნაგირიდან ჩამოცურებულ ნაიმან-ანას თეთრი მან-

დილი რომ იქცა, მოფრინავს და იმ გრიალსა და წარღვნაში ჩასძახის:

- ვისი ხარ? რა გქვია? გაიხსენე შენი სახელი! მამაშენი დონენბაია, დონენბაი, დონენბაი, დონენბაი, დონენბაი, დონენბაი...

კიდევ დიდხანს, დიდხანს ისმოდა ჩიტის ეს მოძახილი ირგვლივ შემოჯარულ სიბნელეში...

რამდენიმე დღის შემდეგ ყიზილ-ორდიდან ბორანლი-ბურანის ასაქცევზე ედიღეის ორივე ასული ჩამოვიდა ქმარშვილიანად. დეპეშა მიეღოთ საროზექის ბერი ყაზანგაპის სიკვდილის გამო და მის მოსახსენიებლად, თავიანთი მწუხარების დასადასტურებლად ჩამოსულიყვნენ. თან ერთ-ორ დღეს მშობლებთანაც დარჩებოდნენ. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხომ უთქვამს ხალხს.

როცა ჩამოსულები ედიღეის ზღურბლს ჯგროდ მიადგნენ, მამა შინ არ დახვდათ, უქუბალა შემოეგებათ მხოლოდ, ტირილით გადაეხვია შვილებს, ცას დაეწია შვილიშვილების ნახვის სიხარულით.

- დიდად მადლობელი ვარ შენი, ღმერთო! რა კარგია, რომ ჩა– მოხვედთ. მამას როგორ გაეხარდება, ყველა რომ ერთად ჩამოდით!

- მამა სადღაა? - ჰკითხა შარაფათმა.

- საღამოს დაბრუნდება. დილით გაემგზავრა საფოსტო ყუთში, იქაურ უფროსობასთან. სულ რაღაც საქმეები აქვს იქა! მერე გიამბობთ. კი მაგრამ, რას დგახართ? ეს ხომ თქვენი სახლია.

მატარებლები ამ მხარეში კვლავ დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიგრიალებდნენ...

რკინიგზის გაღმა-გამოღმა ვეებერთელა უკაცრიელი სივრცე - სარი-ოზექი გადაჭიმულიყო, ყვითელ ტრამალთა შუაგულ მიწები.